მერაბ ფუტკარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია



ბათუმი - 2021

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
გეოგრაფიის დეპარტამენტი

მერაბ ფუტკარაძე

მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია

სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების
სტუდენტებისთვის

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი - 2021

UDC(უაკ) 91(100)
ფ-985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფიის ძირითადი საკითხები - მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, რეგიონებისა და ქვეყნების ბუნებრივი პირობები და რესურსები, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობა, მეურნეობის დარგობრივი ანალიზი, საგარეო-ეკონომიკური კავშირები და შიდარეგიონალური სხვაობები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის გეოგრაფიისა და მომიჯნავე სპეციალობების სტუდენტებისთვის. სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს, სახელმწიფო მოხელეებსა და მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: **მალხაზ ღვინჯილია**, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კონოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის ხელმძღვანელი, პროფესორი

რეცენზენტები:

ნაზიბროლა ფაღავა, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ბაგრატ დევაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის საზღვაო აკადემიის ლოჯისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ISBN 978-9941-488-26-9
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2021

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
FACULTY OF NATURAL SCIENCES AND HEALTH CARE
DEPARTMENT OF GEOGRAPHY
FACULTURAL SCIENCES AND HEALTH RAL SCIENCES AND HEALTH CARE

Merab Putkaradze

HUMAN GEOGRAPHY OF REGIONS AND COUNTRIES OF THE WORLD

Textbook for students of higher educational institutions

,,Batumi Shota Rustaveli State University" publishing
Batumi - 2021

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი ეძღვნება ჩემი მასწავლებელის,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის –
ვახტანგ ჯაოშვილის ნათელ ხსოვნას

The book is dedicated in memory of my teacher,
the corresponding member of Georgian National Academy of Sciences –
Vakhtang Jaoshvili

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო შესულია განვითარების განსაკუთრებულ ფაზაში, როცა გლობალიზაციის პროცესმა, ერთი მხრივ, ინფორმაციულად გააერთიანა და მეორე მხრივ, კაცობრიობა მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა. ცხოვრების დონის ამაღლება უწინარესად დაკავშირებულია ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალზე, პოლიტიკურ მდგომარეობაზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებსა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მწყობრ სისტემაზე. მშვიდობის შენარჩუნება, საერთაშორისო კონფლიქტებისა და ტერორიზმის აღკვეთა თანამედროვე პოლიტიკის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს. ამას ემატება ეკონომიკური ჩამორჩენილობის და სიღარიბის პრობლემებიც. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს განვითარების სურათი, რეგიონალური თვალსაზრისით, საკმაოდ განსხვავებულია. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოში განხილულია მსოფლიოს ყველა რეგიონის (ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი) ბუნებრივ-გეოგრაფიული, პოლიტიკური, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები. ამასთან ერთად, დეტალურადაა წარმოდგენილი ყველა რეგიონის წამყვანი ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ცალკეული ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლებით გარკვეულია მათი ადგილი გლობალურ სივრცეში. გამოკვეთილია ქვეყნების წინაშე არსებული სპეციფიკური პრობლემების ხასიათი და ნაჩვენებია განვითარების ძირითადი პრიორიტეტები.

რეგიონებისა და ქვეყნების ბუნებრივ-რესურსულ და სოციალურ-ეკონომიკურ დონეთა შორის სხვაობა მსოფლიოს ჰარმონიულ განვითარებაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის. მსოფლიოში წარმოებული მთლიანი შიდა პრუდუქცია ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ 17 ათას აშშ დოლარამდეა (2018 წ.), როცა ეს მაჩვენებელი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში 45 ათას დოლარს აღემატება, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 5 ათას დოლარამდეა (ცალკეულ ქვეყანაში 2 ათას დოლარამდე). ქვეყნებს შორის განვითარების დონეთა შორის სხვაობა სერიოზულ პრობლემებს ქმნის, რაც თავის მხრივ დღის წესრიგში აყენებს განსხვავებათა დაძლევის გზების დასახვის აუცილებლობას; ეს კი კაცობრიობის წინაშე კომპლექსური გამოწვევაა. სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ახალ და მრავალფეროვან გეოგრაფიულ ინფორმაციას აქვს როგორც შემეცნებითი, ისე გამოყენებითი მნიშვნელობა.

თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციების ბუმის ეპოქაში მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვება პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ სრულყოფილი ცოდნის მიღება სახელმძღვანელოს გარეშე შეუძლებელია. სწორედ ამ მიზნით, ავტორი შეეცადა, ქართულ ენაზე პირველად, წარმოედგინა მსოფლიოს რეგიონებისა და წამყვანი ქვეყნების შესახებ დეტალური საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება. სახელმძღვანელოში გამოყენებული სტატისტიკური და კარტოგრაფიული მასალები მოძიებულია ინტერნეტით სხვადასხვა ვებგვერდის საშუალებით. სახელმძღვანელო დაზღვეული არ არის ცალკეული უზუსტობებისაგან, ამიტომ ავტორი სიამოვნებით მიიღებს საქმიან შენიშვნებს.

თავი 1. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

1.1. მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების ძირითადი ეტაპები

მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირება მიმდინარეობდა ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში. მრავალი ათასეული წლის წინ დაიწყო ცალკეული ცივილიზაციების (ბაბილონი, ეგვიპტე, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.) ჩამოყალიბების პროცესი, ზოგიერთი მათგანი განვითარდა, ზოგი კი საერთოდ განადგურდა. საწარმოო ძალების განვითარების პარალელურად, თანდათანობით ყალიბდებოდა სახელმწიფოები, იქმნებოდა იმპერიები, აღმოჩენილი იქნა ახალი ტერიტორიები და მიმდინარეობდა ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისთვის. ყოველ ისტორიულ ეპოქას თავისი დამახასიათებელი პოლიტიკური რუკა ჰქონდა, რომელიც ასახავდა სახელმწიფოების წარმოშობას, განვითარებასა და დაცემას, მათ ტერიტორიულ ზრდას თუ შემცირებას, ახალი ტერიტორიების ათვისებას და კოლონიზაციას, გათავისუფლებას და დაპყრობას, მმართველობის ფორმებისა და ტერიტორიული მოწყობის ცვლილებებს, საერთაშორისო ალიანსების წარმოშობას და დაშლას და სხვ.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი პერიოდები: **ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი.** ასეთი პერიოდიზაცია, რასაკვირველია, სრულად ვერ ასახავს პოლიტიკური რუკის განვითარების ტენდენციათა მთელ მრავალფეროვნებას, მაგრამ წარმოდგენას გვიქმნის ძირითად კანონზომიერებებზე.

ძველი პერიოდი (უძველესი პერიოდიდან ახ. წ. V ს-მდე) მოიცავს მონათმფლობელურ ეპოქას და ასახავს პირველი სახელმწიფოების - ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის, ძველი საბერძნეთის, ძველი რომის, კართაგენის, მიდიისა და სხვა იმპერიების განვითარებასა და დაცემას. ამ ქვეყნებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციაში. იმ პერიოდისათვის პოლიტიკური რუკის ფორმირება, იმპერიებისა და ქვეყნების წარმოშობა, განვითარება და დაშლა ომისა და ძალის გამოყენებით ხდებოდა. მსოფლიოში პირველი იმპერია თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე კიროს II დიდის ძვ. წ. VI საუკუნეში შეიქმნა, მიდიისა და ორი ირანული სამეფოს დაიპყრობის გზით. კიროს დიდის იმპერია ეგვიპტიდან ცენტრალურ აზიამდე ვრცელდებოდა. ალექსანდრე მაკედონელმა გაანადგურა ძველ საბერძნეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციები (მ.შ. კიროს II დიდის იმპერია), ხოლო, მთელი დასავლეთი ევროპის დაპყრობა და ერთი ანტიკური ზესახელმწიფოს პოლიტიკური სივრცის

ქვეშ გაერთიანება რომის იმპერიამ შეძლო, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივ იმპერიას წარმოადგენდა (შეიქმნა რომის დაარსებიდან ძვ. წ. 354, ახ. წ. 476). რომის იმპერიის დაშლის შემდეგ დაიწყო დასავლეთი ევროპის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირების პროცესი.

შუა საუკუნეების პერიოდი (V-XV საუკუნეები) ფეოდალიზმის ჩამოყალიბებას უკავშირდება. ფეოდალური სახელმწიფოების ფორმირების პროცესი რთულად მიმდინარეობდა, ვიდრე მონათმფლობელობის პერიოდში, რადგან შიდა ბაზრების ჩამოყალიბების პროცესს თან ახლდა ახალი ტერიტორიების ათვისება და მათ შორის ეკონომიკური კავშირების დამყარება. ამავდროულად, პატარა სამეფო-სამთავროების ფონზე, უფრო მკვეთრად იჩინა თავი ფეოდალური სახელმწიფოების სწრაფვამ ტერიტორიული ექსპანსიისათვის. ჩამოყალიბდა იმპერიები და ცენტრალიზებული სახელმწიფოები - ბიზანტია, არაბთა ხალიფატი, ფრანკთა სახელმწიფოები, სელჩუკთა იმპერია, მონღოლების იმპერია (ჩინგის-ყაენის იმპერია არსებობდა XIII-XIV საუკუნეში და იგი იყო მსოფლიოში ტერიტორიის მიხედით ყველაზე დიდი იმპერია, რომელიც აერთიანებდა ჩინეთიდან აღმოსავლეთ ევროპამდე ტერიტორიებს). შუა საუკუნეებში იწყება ცენტრალიზებული ეროვნული სახელმწიფოების (ესპანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, ინგლისი, რუსეთი და სხვ.) ჩამოყალიბება.

ახალი პერიოდი (XV –XVI საუკუნეების მიჯნიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე) წარმოადგენს თანამედროვე პოლიტიკური რუკის ფორმირების ძირითად ეტაპს, რადგან მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში ჩამოყალიბებულია ცენტრალიზებული სახელმწიფოები. ქვეყნებს შორის აქტიურად მიმდინარეობდა პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა. შესაბამისად, საწარმოო ძალების განვითარება მოითხოვდა ახალ სანედლეულო ბაზებსა და ტერიტორიებს, რაც საფუძვლად დაედო დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. ევროპელების მიერ „ახალი სამყაროს“ - ამერიკის აღმოჩენით (კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა 1492 წელს). უმნიშვნელოვანესი ცვლილებები მოხდა პოლიტიკურ რუკაზე, გაჩნდა ახალი ტერიტორიები, რომელთა უმრავლესობა ევროპის დიდი ქვეყნების კოლონიებს წარმოადგენდა. კოლონიების ძარცვის შედეგად დაგროვილი ჭარბი კაპიტალი საფუძვლად დაედო კაპიტალიზმის ჩასახვას, რომელიც უფრო პროგრესული ეკონომიკური ფორმაცია იყო. ამან კიდევ უფრო გააძლიერა მსოფლიოს კოლონიზაცია, არა მარტო ამერიკაში, არამედ აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიასა და ოკეანეთში. XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო გადანაწილებული იყო დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. აზიაში კოლონიურ მფლობელობაში იყო ქვეყნების 56%, აფრიკაში - 92%, ამერიკაში - 27%, ხოლო ავსტრალია-ოკეანეთში - 100%. კოლონიების ფართობის

45% და მოსახლეობის 70% დიდ ბრიტანეთზე, ხოლო საფრანგეთზე, შესაბამისად, 10% და 15% მოდიოდა. სხვა კოლონიური ქვეყნები იყვნენ: ესპანეთი, პორტუგალია, ნიდელანდები, რუსეთი, თურქეთი და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმატებებს აღწევენ ახალგაზრდა კაპიტალისტური ქვეყნები - გერმანია, აშშ, იაპონია და სხვა, რომლებსაც მსოფლიოს კოლონიზაციის პროცესში მოკრძალებული ადგილი ეკავათ. შესაბამისად, მათაც მოითხოვეს კოლონიების გაფართოება, რასაც შედეგად პირველი მსოფლიო ომის დაწყება მოჰყვა.

უახლესი პერიოდი, რომელიც დღევანდლამდე გრძელდება, 5 მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება დაიყოს:

პირველი ეტაპი მოიცავს 1914-1918 წლებს, როცა პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. ომის დაწყების მთავარი მიზეზი დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის პოლიტიკური კრიზისი, ხოლო საბაბი - სარაევოში ავსტრია-უნგრეთის ერცჰერცოგის და ტახტის მემკვიდრის, ფრანც ფერდინანდის მკვლელობა იყო. ომი გერმანიამ წამოიწყო, რომლის ალიანსში ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიები იყვნენ. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის, იტალიისა და აშშ-ს მოკავშირე ძალებმა დაამარცხეს გერმანია და მისი მოკავშირეები. ბრძოლების უდიდესი ნაწილი განხორციელდა დასავლეთის ფრონტის გასწვრივ, ჩრდილოეთის ზღვიდან შვეიცარიის საზღვრებამდე. ომს 9 მილიონი ადამიანი შეეწირა. ომის შედეგად დაიშალა ოთხი იმპერია: - ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, ოსმალეთი და რუსეთი. გერმანიამ დაკარგა ზღვისიქითა იმპერიები, ელზასი, სუდეტები და სხვ. ევროპაში შეიქმნა ადრე დანაწევრებული ახალი სახელმწიფოები: ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და იუგოსლავია. ანტანტის ქვეყნების შეთანხმებით, ლიბანი გადაეცა დიდ ბრიტანეთს, ტრანსიორდანია და ერაყი - საფრანგეთს, ხოლო აშშ-მა სპარსეთის ყურეში ნავთობის მოპოვების ლიცენზია მოიპოვა. მოგვიანებით, ომის შედეგები მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მეორე მსოფლიო ომის განვითარებაში.

მეორე ეტაპი მოიცავს 1918 – 1933 წლებს. ამ პერიოდში პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი მძიმედ დააწვა მშრომელ მოსახლეობას, რასაც მოჰყვა რუსეთში ვლადიმერ ლენინის ხელმძღვანელობით პროლეტარიატის გაერთიანება და 1917 წლის ნოემბერში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. შესაბამისად, ამ პროცესის შედეგად დაიშალა რუსეთის იმპერია. ამიერკავკასიისა (საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო 1918 წლის 26 მაისს, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს ოკუპირებული იქნა წითელი არმიის მიერ და შეიქმნა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა. შესაბამისად, 1921 წელს სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც

მყარდება საბჭოთა ხელისუფლება) და ბალტიისპირეთის ქვეყნები ღებულობენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას (ბალტიის ქვეყნები 1940 წელს მოლოტოვ-რიბენტროპის შეთანხმებით შედიან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში). 1922 წლის დეკემბერში იქმნება მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნების გაერთიანება - საბჭოთა კავშირი, რომელიც დააფუძნეს რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ და ამიერკავკასიის ფედერაციამ (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი). საბჭოთა კავშირის შექმნით მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა პირველი კომუნისტური სახელმწიფო, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაუპირისპირდა. ფაქტობრივად, გაჩნდა ორი ანტაგონისტური - სოციალისტური და კაპიტალისტური სამყარო.

მესამე ეტაპი იწყება 1933 წელს, როცა გერმანიაში არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოვიდნენ ნაციონალ-სოციალისტები ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით, რომელმაც დროის მოკლე მონაკვეთში გაატარა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური რეფორმები. გერმანია, ფაქტობრივად ომისთვის ემზადებოდა და 1939 წლის 1 სექტემბერს თავს დაესხა პოლონეთს. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. გერმანიის მოკავშირეები იყვნენ იტალია და იაპონია (იაპონია 1937 წლის 7 ივლისს თავს დაესხა ჩინეთს და მანჯურია დაიკავა). გერმანიამ მოკლე პერიოდში მოახერხა თითქმის მთელი ევროპის ოკუპაცია, მაგრამ მისი მთავარი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის და კომუნისტური იდეოლოგიის განადგურება. გერმანიამ დროის მოგების მიზნით და ახალი ფრონტის მოსამზადებლად 1940 წელს საბჭოთა კავშირთან დადო თავდაუსხმელობის შეთანხმება - მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა ბალტიის ქვეყნები, რუმინეთისაგან მიტაცებული ბესარაბია და პოლონეთისგან - ჩრდილო ბუკოვინა. 1941 წლის 22 ივლისს გერმანიამ დაარღვია ხელშეკრულება და თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დაპყრობით ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთის რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირი (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დარღვევის შემდეგ) და ამერიკის შეერთებული შტატები (იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ). ომი ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისს, ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში - 1945 წლის 2 სექტემბერს, იაპონიის კაპიტულაციით. მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ომმა იმსხვერპლა 60 მილიონზე მეტი ადამიანი, მათ შორის, 20 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე.

მეორე მსოფლიო ომმა პოლიტიკური რუკის ფორმირებაში სერიოზული ცვლილებები შეიტანა. აშშ-მა იაპონიას წაართვა მარიანის, მარშალინის და კაროლინის კუნძულები. საბჭოთა კავშირმა გერმანიას წაართვა აღმოსავლეთი პრუსია, ანუ კენისბერგი, ამჟამად რუსეთის კალინინგრადის ოლქი, ხოლო იაპონიას - კომანდორის კუნძულები, კერძოდ, რიუკიუს 4 კუნძული. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის შედეგად, აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის რიგმა ქვეყნებმა დაიწყეს სოციალისტური სისტემის შექმნა. გაეროს ინიციატივით, 1947 წელს ახლო აღმოსავლეთში იქმნება ახალი სახელმწიფო ისრაელი და არაბული ტერიტორიები (პალესტინა, ღაზის სექტორი და მდინარე იორდანეს მარცხენა სანაპირო). 1949 წელს გერმანია დაიყო ორ ნაწილად - გერმანიის ფედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკად, აგრეთვე, ბერლინიც გაიყო ორ ნაწილად, სადაც 1961 წლის 13 აგვისტოს ე.წ. ბერლინის სადემარკაციო კედელის მშენებლობა დაიწყო, რომელიც „ცივი ომის“ სიმბოლოდ გადაიქცა.

მეოთხე ეტაპი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და სოციალისტური სისტემის შექმნის შემდეგ, მსოფლიოს მასშტაბით გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რის შედეგადაც აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და ოკეანეთში ბევრმა ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. XX საუკუნის 50-60 იანი წლები „აფრიკის განთავისუფლების“ წლებადაა მიჩნეული.

მეხუთე ეტაპი XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. ამ პერიოდიდან სოციალისტური სისტემის ქვეყნებში შეინიშნება პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. საბჭოთა კავშირში დაწყებულმა გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკამ ძირეულად შეცვალა დასავლეთთან ურთიერთობები და ბოლო მოუღო “ცივ ომს”. 1990 წელს გაერთიანდა გერმანია. 1990 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი 15 სუვერენულ ქვეყნად დაიშალა. 1991 წელს 6 ქვეყნად დაიყო იუგოსლავიის ფედერაცია, ხოლო 1993 წელს ჩეხოსლოვაკია გაიყო ჩეხეთად და სლოვაკეთად. ამასთან, პოლიტიკური რუკის ცვლილებები მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც მიმდინარეობდა. კერძოდ, აფრიკაში: 1991 წელს სუდანს გამოეყო სამხრეთი სუდანი, 1993 წელს ეთიოპიას - ერითრეა.

ამჟამად მსოფლიო პოლიტიკური რუკა, ფაქტობრივად, ჩამოყალიბულია (იხ ნახ. 1.). პოლიტიკური რუკის ფორმირების მიუხედავად, მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში არის „ცხელი წერტილები”, კერძოდ: სირია, ერაყი, ავღანეთი, ისრაელი-პალესტინა, დნესტრისპირეთი, ინდოეთსა და პაკისტანს შორის პენჯაბის შტატი, ჩინეთსა და ტაივანს შორის კონფლიქტი, სომალი, რუანდა და სხვ.



ნახ.1. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

წყარო: world-political-map-with-countries.jpg

1.2. თანამედროვე პოლიტიკური რუკა

1.2.1. ევროპის პოლიტიკური რუკა

ევროპა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, რომელიც აქტიურადაა ჩართული თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ტერმინი „ევროპა“ ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს. ევროპის კონტინენტური ნაწილის აღმოჩენას საფუძველი ჩაუყარეს კრეტელებმა ძვ.წ. XVI საუკუნეში. ძვ. წ. IX საუკუნისათვის ფინიკიელმა ზღვაოსნებმა მოიხილეს აპენინის ნახევარკუნძული, მალტა, სიცილია, სარდინია, ბალეარის კუნძულები, პირენეის ნახევარკუნძულის სანაპიროები, გაიარეს გიბრალტარის სრუტე. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის ძველმა ბერძნებმა დაამთავრეს სამხრეთ ევროპის გამოკვლევა, ხოლო დაახლოებით ძვ.წ. 320 წელს ბერძენმა პითეოსმა ზღვით მოგზაურობისას აღმოაჩინა დასავლეთ ევროპის სანაპირო, ბრიტანეთის, ჰებრიდისა და ორკნეის კუნძულებიც. ძვ. წ. IV საუკუნეში ბერძნები გადავიდნენ ბალკანეთის, აპენინის მთებსა და აღმოსავლეთ ალპებზე. კართაგენელებმა გამოიკვლიეს პირენეის ნახევარკუნძულის შიგა ნაწილები და ძვ.წ. 218 წელს, ჰანიბალის ლაშქრობისას, გადალახეს პირენეის მთები და დასავლეთი ალპები. ისტორიკოსთა უმრავლესობის აზრით, ევროპის პოლიტიკური რუკის ფორმირება 476 წელს რომის იმპერიის დაცემით და ცენტრალიზებული ქვეყნების ჩამოყალიბებით დაიწყო (იხ. ნახ. 2), რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 1000 წელი - 1492 წლამდე, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, ევროპის პოლიტიკური რუკა გაფართოვდა კონტინენტის საზღვრებს გარეთ. ევროპის მეტროპოლიების პოლიტიკური რუკის ფერში აღმოჩნდა ამერიკის, აფრიკის, აზიის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ვრცელი ტერიტორიები. ტერიტორიების გადანაწილების პროცესი პირველი მსოფლიო ომის პერიოდამდე გრძელდებოდა. პირველმა მსოფლიო ომმა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე სერიოზული ცვლილებები შეიტანა. ომის შედეგად ოთხი იმპერია: ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, ოსმალეთი და რუსეთი დაიშალა. გერმანიამ დაკარგა თავისი ზღვისიქითა იმპერიები, ელზასი, სუდეტები და სხვა. შეიქმნა ადრე დანაწევრებული ახალი სახელმწიფოები: ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და იუგოსლავია. რუსეთში 1917 წლის ნოემბერში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიშალა რუსეთის იმპერია, მაგრამ 1922 წლის დეკემბერში იმპერიაში შემავალ ტერიტორიებზე შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყანა - საბჭოთა კავშირი.

ნახ. 2. ევროპის პოლიტიკური რუკა 650 წელს
წყარო: Europe around 650. www. ka.wikipedia.org

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომამდე, ევროპის პოლიტიკური რუკა არსებული პოლიტიკური ალიანსების საფუძველზე განვითარდა და ომის შემდგომ მნიშვნელოვნად გადახალისდა. 1940 წელს, გერმანია საბჭოთა კავშირის მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულებით, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა ბალტიის ქვეყნები, დაუბრუნდა რუმინეთისაგან მიტაცებული ბესარაბია და პოლონეთისგან - ჩრდილო ბუკოვინა. 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, საბჭოთა კავშირმა გერმანიას წაართვა აღმოსავლეთი პრუსია, ანუ კენისბერგი, ამჟამად - რუსეთის კალინინგრადის ოლქი. პოლონეთის საზღვრები გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით. აღმოსავლეთი ევროპის ოკუპირებული ქვეყნები (აღმოსავლეთი გერმანია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ალბანეთი, უნგრეთი, იუგოსლავია) გათავისუფლდა საბჭოთა კავშირის მიერ, სადაც დამყარდა კომუნისტური იდეოლოგია და 1948 წლის ვარშავის ხელშეკრულებით შეიქმნა სოციალისტური სისტემა (ამის საპირწონედ 1949 წელს შეიქმნა ნატო). 1949 წელს გერმანია გაიყო ორ ნაწილად - გერმანიის ფედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებად, აგრეთვე, ბერლინიც გაიყო ორ ნაწილად, სადაც 1961 წლის 13 აგვისტოს დაიწყო ე.წ. ბერლინის სადემარკაციო კედლის, ანუ „ცივი ომის“ სიმბოლოს მშენებლობა (არსებობდა 1989 წლის 9 ნოემბრამდე).

ევროპის პოლიტიკურ რუკაზე სერიოზული ცვლილებები XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. ამ პერიოდიდან სოციალისტური სისტემის ქვეყნებში შეინიშნება პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. კერძოდ, საბჭოთა კავშირში შექმნილმა გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკამ ძირეულად შეცვალა დასავლეთთან ურთიერთობები და ბოლო მოუღო "ცივ ომს". 1990 წელს გაერთიანდა გერმანია. 1990 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი 15 სუვერენულ (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლიტვა, ლატვა, ესტონეთი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი) ქვეყნად დაიშალა. 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა იუგოსლავიის ფედერაციის 6 ქვეყანამ (სერბია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ხორვატია, სლოვენია, მაკედონია, მონტენეგრო), ხოლო 1993 წელს ჩეხოსლოვაკია გაიყო ჩეხეთად და სლოვაკეთად.

ევროპის პოლიტიკური რუკა მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ სტაბილურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს სადავო და "ცხელი წერტილები" - საქართველოში აფხაზეთი და სამაჩაბლო (ყოფილი სამხრეთი ოსეთი), აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სადავოა მთიანი ყარაბახი, მოლდოვაში დგას დნესტრისპირეთის პრობლემა და რუსეთში - ჩრდილო კავკასიის. სადავოა კუნძული კვიპროსი, რომელიც ორ - ბერძნულ და თურქულ ნაწილად არის გაყოფილი. სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის იბრძვის კოსოვო, რომელიც გაეროს 111 ქვეყანამ აღიარა, მაგრამ სერიოზული პრობლემები სერბეთთან გააჩნია. ესპანეთში ბასკები ითხოვენ დამოუკიდებლობას და სხვ.

ამჟამად ევროპის პოლიტიკურ რუკაზე 48 ქვეყანაა წარმოდგენილი (იხ.ნახ. 3, ცხრ.1), რომელიც გეოგრაფიული მდებარეობისა და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების გამო იყოფა 5 რეგიონად (იხ. ნახ.4):

ნახ. 3. ევროპის პოლიტიკური რუკა

წყარო: https://poznayka.org/s39029t1.html

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1.

ევროპის პოლიტიკური რუკა

№	სახელმწიფოები	ფართობი (ათასი კმ²)	მოსახლეობა (მლნ კაცი) 2018 წელი	დედაქალაქი	სახელმწიფო წყობა
1	2	3	4	5	6
1	ავსტრია	84,0	8,61	ვენა	ფედერაც. რესპუბ.
2	აზერბარჯანი	86,6	10,07	ბაქო	რესპუბლიკა
3	ალბანეთი	28,7	2,92	ტირანა	რესპუბლიკა
4	ანდორა	0,465	0,078	ანდორა-ლაველა	საპარლამენტო სათავადო
5	ბელგია	30,1	11,51	ბრიუსელი	კონსტ. მონარქია
6	ბელარუსი	207,6	9,43	მინსკი	რესპუბლიკა
7	ბოსნია და ჰერცოგოვინა	51,0	3,78	სარაევო	რესპუბლიკა
8	ბულგარეთი	110,9	6,99	სოფია	რესპუბლიკა
9	გერმანია	356,0	80,56	ბერლინი	ფედერაც. რესპუბ.
10	გიბრალტარი	0,0065	0,029	გიბლარტარი	დიდი ბრიტანეთის კოლონია
11	დანია	43,1	5,72	კოპენჰაგენი	კონსტ. მონარქია
12	დიდი ბრიტანეთი	244,0	65,91	ლონდონი	კონსტ. მონარქია
13	ესპანეთი	504,8	46,12	მადრიდი	კონსტ. მონარქია
14	ესტონეთი	45,1	1,30	ტალინი	რესპუბლიკა
15	ვატიკანი	0,00044	0,001	ვატიკანი	თეოკრატ.სახელმწ.
16	ირლანდია	70,3	4,79	დუბლინი	რესპუბლიკა
17	ისლანდია	103,3	0,34	რეიკიავიკი	რესპუბლიკა
18	იტალია	301,2	59,79	რომი	რესპუბლიკა

1	2	3	4	5	6
19	ლატვია	63,7	1,94	რიგა	რესპუბლიკა
20	ლიეტუვა	65,2	2,82	ვილნიუსი	რესპუბლიკა
21	ლიხტენშტაინი	0,016	0,035	ვადუცი	კონსტ. მონარქია
22	ლუქსემბურგი	2,6	0,59	ლუქსემბურგი	კონსტ. მონარქია
23	ჩრ. მაკედონია	25,7	2,09	სკოპე	რესპუბლიკა
24	მალტა	0,316	0,42	ვალეტა	რესპუბლიკა
25	მონაკო	0,002	0,031	მონაკო	კონსტ. მონარქია
26	მოლდოვა	33,7	4,04	კიშინიოვი	რესპუბლიკა
27	მონტენეგრო	13,8	0,63	პოდგორიცა	რესპუბლიკა
28	ნიდერლანდები	36,9	17,01	ამსტერდამი	კონსტ. მონარქია
29	ნორვეგია	324,0	5,39	ოსლო	კონსტ. მონარქია
30	პოლონეთი	312,7	38,52	ვარშავა	რესპუბლიკა
31	პორტუგალია	92,1	10,23	ლისაბონი	რესპუბლიკა
32	რუმინეთი	237,5	19,11	ბუქარესტი	რესპუბლიკა
33	რუსეთი	17075,0	143,26	მოსკოვი	ფედერაც. რესპუბ.
34	საბერძნეთი	131,9	10,87	ათენი	რესპუბლიკა
35	სან-მარინო	0,061	0,032	სან-მარინო	რესპუბლიკა
36	საფრანგეთი	551,0	65,21	პარიზი	რესპუბლიკა
37	საქართველო	69,7	3,75	თბილისი	რესპუბლიკა
38	სერბეთი	88,3	8,4	ბელგრადი	ფედერაც. რესპუბ.
39	სლოვაკეთი	49,0	5,43	ბრატისლავა	რესპუბლიკა
40	სლოვენია	20,0	2,07	ლუბლიანა	რესპუბლიკა
41	სომხეთი	29,8	3,03	ერევანი	რესპუბლიკა
42	უკრაინა	603,7	44,17	კიევი	რესპუბლიკა
43	უნგრეთი	93,0	9,74	ბუდაპეშტი	რესპუბლიკა

1	2	3	4	5	6
44	ფინეთი	327,0	5,56	ჰელსინკი	რესპუბლიკა
45	შვეიცარია	41,3	8,52	ბერნი	ფედერაც. რესპუბ.
46	შვედეთი	450,0	9,99	სტოკჰოლმი	კონსტ. მონარქია
47	ჩეხეთი	78,9	10,56	პრაღა	რესპუბლიკა
48	ხორვატია	57,7	4,19	ზაგრები	რესპუბლიკა

1. აღმოსავლეთი ევროპა, ტერმინი დასავლეთ ევროპის მსგავსად, სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ჩვეულებისამებრ, ამ ტერმინში იგულისხმება დსთ-ს ევროპული ქვეყნები: რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა. რეგიონში ასევე შედის ბალტიის (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) და ამიერკავკასიის ქვეყნები (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი - ყველაზე ხშირად მათ მიაკუთვნებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს).

2. დასავლეთ ევროპაში შედის: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ანდორა და მონაკო.

3. ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნებია: დანია, ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი.

4. სამხრეთ ევროპაში შედის: ესპანეთი, პორტუგალია, გიბრალტარი, იტალია, ვატიკანი, სან-მარინო, ხორვატია, სერბია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ჩრდილო მაკედონია, მონტენეგრო, ალბანეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, მალტა და ბულგარეთი.

5. ცენტრალური ევროპა არ არის ისეთი დამკვიდრებული ტერმინი, როგორც დასავლეთი ან აღმოსავლეთი ევროპა. ცივი ომის დასრულებისა და ევროკავშირის გაფართოების გამო, ევროპის ცენტრმაც აღმოსავლეთით გადაინაცვლა. ამჟამად მასში ქვეყნების ორი ჯგუფი მოიაზრება: 1. ალპური ქვეყნები - გერმანია, შვეიცარია, ლიხტენშტაინი, ავსტრია, სლოვენია; 2. ვიშეგრადის ქვეყნები - პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი.

ევროპის ტერიტორიაზე მოქმედებს სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციული ორგანიზაცია - ევროკავშირი, ევროსაბჭო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და სხვ. ევროპის 26 სახელმწიფო გაერთიანებულია ნატო-ს სამხედრო ბლოკში.



ნახ.4. ევროპის რეგიონები

- ჩრდილოეთი ევროპა
- დასავლეთი ევროპა
- აღმოსავლეთი ევროპა
- სამხრეთი ევროპა
- ცენტრალური ევროპა

წყარო: https://commons.wikimedia.org/wiki/File:European_regions.png

1. 2. 2. აზიის პოლიტიკური რუკა

აზია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონია, სადაც მიმდინარეობდა კაცობრიობის ცივილიზაციის და სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი. აზია სამი უძველესი - **შუმერული, ინდისა** და **ჩინური** ცივილიზაციის სამშობლოა, მათგან ყველაზე ძველია **შუმერი**, რომელიც ძვ.წ. III- I

ათასწლეულებში განფენილი იყო მესოპოტამიაში, მდინარეების – ტიგროსისა და ევფრატის აუზში. ცივილიზაცია შუმერში რამდენიმე ასეული წლის განმავ-ლობაში არსებობდა და ვითარდებოდა. შუმერების გამოგონებათა შორისაა დამწერლობა, ბორბალი და ირიგაცია. **ინდის** ცივილიზაცია ძვ.წ. 2000-2500 წლებში მდინარე ინდის ველზე განვითარდა. ქალაქების მოჰენჯო-დაროსა და ჰარაპას გარდა, ამ ადრეული ცივილიზაციის შესახებ თითქმის არაფერია დარჩენილი. **ჩინური** ცივილიზაცია კი ხუანხესა და იანძის გარშემო ჩამოყალიბ-და. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. 3500 წლიდან ამ უკანასკნელს არსებობა არასდროს შეუწყვეტია. ამ ცივილიზაციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს აზიის მომავალ განვითარებაზე.

ვასკო და გამას მიერ ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენისა და ფერნანდო მაგელანის მოგზაურობის შემდეგ, ესპანელებმა და პორტუგალიელებმა აზიის ქვეყნების საკუთარ კოლონიებად გადაქცევა დაიწყეს. XVI საუკუნის 60-70-იან წლებში ესპანელები შევიდნენ ფილიპინებშიც. პორტუგალიისა და ესპანეთის მიერ დაწყებული აზიის კოლონიზაცია XVII საუკუნეში ნიდერლანდებმა და ინგლისმა განაგრძეო. 1602 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ექსპლუატაცია-შესწავლას სათავეში ჩაუდგა ნიდერლანდების ოსტინდოეთის კომპანია, რო-მელიც 1619 წლიდან იავაზე დამკვიდრდა. XVII—XIX საუკუნეებში ინდონეზია ხელთ იგდეს ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა, ხოლო XVIII—XIX საუკუ-ნეებში ინდოეთი ინგლისის კოლონიად გადაიქცა. XIX საუკუნეში მათვე დაიპყ-რეს ბირმა, ფრანგებმა - ვიეტნამი, კამბოჯა და ლაოსი, ამერიკელებმა - ფილი-პინები. XIX—XX საუკუნეებში აზიის მრავალ არაბულ ქვეყანაში ბრიტანეთი და საფრანგეთი გაბატონდნენ. ევროპულ კოლონიზაციას მხოლოდ რამდენიმე აზიური ქვეყანა გადაურჩა, თუმცა ისინიც მათ ძლიერ გავლენას განცდიდნენ. XIX—XX საუკუნეებში მნიშვნელოვან იმპერიას წარმოადგენდა რუსეთი. XX საუკუნის დასაწყისისთვის აზიის ტერიტორიის 56% კოლონიურ მფლობე-ლობაში იყო. აზიის დეკოლონიზაციის პროცესი, არსებითად, XX საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა.

აზიის თანამედროვე პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბებას წინ კოლონი-ზაციის ხანგრძლივი პერიოდი უძღოდა. XX საუკუნის დასაწყისში კოლონიებს აქ დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, საფრანგეთი, იაპონია და აშშ ფლობდნენ. ვრცელ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული თურქეთის (ოსმალე-თის) იმპერია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აზიაში კოლონიური სისტემის დაშლა დაიწყო, მის რუკაზე მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა.

დღეისათვის აზიის ტერიტორიის 1/3-ზე მეტი რუსეთის აზიურ ნაწილს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს (ყაზახეთს, თურქმენეთს, ტაჯიკეთს, ყირგი-

ზეთს) უკავია. ისინი (თურქმენეთი ნეიტრალური ქვეყანაა) დსთ-ში არიან გაერთიანებულები და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ვითარდებიან. შემორჩენილია, აგრეთვე, სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნები: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ვიეტნამი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (ჩრდილო კორეა) და ლაოსი.

აზიის პოლიტიკურ რუკაზე წარმოდგენილია 43 ქვეყანა (იხ. ცხრ. 2; ნახ. 5).

RUSSIA
KAZAKHSTAN
MONGOLIA
CHINA
INDIA
IRAN
TURKEY
SAUDI ARABIA
PAKISTAN
AFGHANISTAN
NORTH KOREA
SOUTH KOREA
JAPAN
VIETNAM
THAILAND
MALAYSIA
INDONESIA
PHILIPPINES
AUSTRALIA
Arabian Sea
Indian Ocean
North Pacific Ocean
Philippine Sea
East China Sea
Yellow Sea
Moscow
Astana
Ulaanbaatar
Beijing
Pyongyang
Seoul
Tokyo
Ankara
Tehran
Kabul
Islamabad
New Delhi
Baghdad
Riyadh
Muscat
Abu Dhabi
Sanaa
Djibouti
Addis Ababa
Mogadishu
Nairobi
Kampala
Dar es Salaam
Victoria
Moroni
Antananarivo
Maputo
Port Louis
Colombo
Male
Rangoon
Bangkok
Hanoi
Manila
Kuala Lumpur
Jakarta
Dili
Port Moresby
Darwin
Cairns
Wyndham
Hong Kong
Taipei
Shanghai
Guangzhou
Kathmandu
Dhaka
Kolkata
Mumbai
Chennai
Hyderabad
Lahore
Karachi
Kandahar
Bishkek
Tashkent
Almaty
Ashgabat
Yerevan
Baku
Tbilisi
Damascus
Amman
Kuwait
Manama
Doha
Cairo
Khartoum
Asmara
Addis Ababa
Nairobi
Kampala
Mombasa
Zanzibar
Lilongwe
Maputo
Antananarivo
Port Louis
Victoria
Male
Colombo
Kathmandu
Thimphu
Dhaka
Yangon
Vientiane
Phnom Penh
Bangkok
Hanoi
Manila
Kuala Lumpur
Singapore
Jakarta
Dili
Port Moresby
Darwin
Cairns
Wyndham
Sydney
Melbourne
Perth
Adelaide
Brisbane
Hobart
Canberra
Darwin
Cairns
Wyndham
Dampier
Port Hedland
Broome
Kununurra
Alice Springs
Tennant Creek
Mount Isa
Longreach
Charleville
Cooktown
Cairns
Townsville
Mackay
Rockhampton
Bundaberg
Maryborough
Gympie
Toowoomba
Ipswich
Brisbane
Gold Coast
Tweed Heads
Coffs Harbour
Port Macquarie
Newcastle
Sydney
Wollongong
Nowra
Bega
Eden
Albury
Wagga Wagga
Griffith
Mildura
Swan Hill
Echuca
Shepparton
Wangaratta
Bendigo
Ballarat
Geelong
Melbourne
Warrnambool
Portland
Mount Gambier
Port Lincoln
Whyalla
Port Pirie
Port Augusta
Ceduna
Eucla
Esperance
Kalgoorlie
Boulder
Leonora
Laverton
Meekatharra
Carnarvon
Geraldton
Kalbarri
Shark Bay
Exmouth
Karratha
Port Hedland
Broome
Derby
Wyndham
Kununurra
Darwin
Tennant Creek
Alice Springs
Ayers Rock
Oodnadatta
Marla
Coober Pedy
Port Augusta
Whyalla
Port Lincoln

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2.

აზიის პოლიტიკური რუკა

№	სახელმწიფოები	ფართობი (ათასი კმ²)	მოსახლეობა (მლნ კაცი) 2018 წ.	დედაქალაქი	სახელმწიფო წყობა
1	2	3	4	5	6
1	ავღანეთი	652,9	34,94	ქაბული	რესპუბლიკა
2	არაბ.გაერთ. საამიროები	78,6	9,54	აბუ-დაბი	აბსოლ.მონარქია
3	ბანგლადეში	143,9	166,73	დაკა	რესპუბლიკა
4	ბაჰრეინი	0,6	1,22	მანამა	კონსტ. მონარქია
5	ბრუნეი	5,8	0,44	ბანდარ-სარი -ბაჰავანი	აბსოლ.მონარქია
6	ბუტანი	47,0	0,80	თხიმფხუ	აბსოლ.მონარქია
7	ერაყი	434,9	39,75	ბაღდადი	რესპუბლიკა
8	ვიეტნამი	329,6	96,36	ჰანოი	რესპუბლიკა
9	თურქეთი	779,4	81,09	ანკარა	რესპუბლიკა
10	თურქმენეთი	448,0	5,57	აშხაბადი	აბსოლ.მონარქია
11	იაპონია	372,2	125,73	ტოკიო	კონსტ. მონარქია
12	იემენი	531,5	28,76	სანა	რესპუბლიკა
13	ინდოეთი	3287,0	1354,14	დელი	რესპუბლიკა
14	ინდონეზია	1904,0	266,36	ჯაკარტა	რესპუბლიკა
15	იორდანია	89,4	7,99	ამანი	კონსტ. მონარქია
16	ირანი	1648,0	81,81	თეირანი	ისლამ.რესპუბლიკა
17	ისრაელი	20,7	8,46	იერუსალიმი	რესპუბლიკა
18	კამბოჯა	181,0	16,32	პნომპენი	კონსტ. მონარქია
19	კატარი	11,3	2,38	დოჰა	აბსოლ.მონარქია
20	კვიპროსი	9,25	1,20	ნიქოზია	რესპუბლიკა
21	კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	121,2	25,73	ფხენიანი	სოც.რესპუბლიკა
22	კორეის რესპუბლიკა	99,6	50,90	სეული	რესპუბლიკა
23	კუვეიტი	17,8	4,18	ელ-ქუვეითი	კონსტ. მონარქია

1	2	3	4	5	6
24	ლაოსი	236,8	7,16	ვიენტაინი	რესპუბლიკა
25	ლიბანი	10,4	6,02	ბეირუთი	რესპუბლიკა
26	მალაიზია	336,8	18,57	კუალა-ლუმპური	კონსტ. მონარქია
27	მალდივის რესპუბლიკა	0,3	0,38	მალე	რესპუბლიკა
28	მიანმარი (ბირმა)	678,0	55,31	ნაიფიიდო	ფედ. რესპუბლიკა
29	მონღოლეთი	1566,0	3,10	ულან-ბატორი	რესპუბლიკა
30	ნეპალი	140,8	29,52	კატმანდუ	კონსტ. მონარქია
31	ომანი	300,4	4,78	მასკატი	აბსოლ. მონარქია
32	პაკისტანი	803,9	200,66	ისლამაბადი	ფედ. რესპუბლიკა
33	საუდის არაბეთი	2150,0	33,30	ერ-რიადი	აბსოლ. თეოკ. მონარქია
34	სინგაპური	0,619	5,87	სინგაპური	რესპუბლიკა
35	სირია	185,2	19,48	დამასკო	რესპუბლიკა
36	ტაილანდი	514,0	68,42	ბანგკოკი	კონსტ. მონარქია
37	ტაჯიკეთი	143,1	9,05	დუშანბე	რესპუბლიკა
38	უზბეკეთი	447,4	31,07	ტაშკენტი	რესპუბლიკა
39	ფილიპინები	300,0	105,34	მანილა	რესპუბლიკა
40	ყაზახეთი	2712,3	18,26	ნურ-სულთანი	რესპუბლიკა
41	ყირგიზეთი	198,5	6,21	ბიშკეკი	რესპუბლიკა
42	შრი-ლანკა(ცეილონი)	65,6	21,01	კოლომბო	რესპუბლიკა
43	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	9600,0	1400,78	ბეიძინი	სოც. რესპუბლიკა

აზია იყოფა შემდეგ სუბრეგიონებად: ჩრდილოეთი, სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და ცენტრალური (იხ. ნახ. 6).

ნახ. 6. აზიის რეგიონები

ჩრდილოეთი აზია სამხრეთი აზია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია

სამხრეთ-დასავლეთი აზია აღმოსავლეთი აზია ცენტრალური აზია

წყარო: Location-Asia-UNsubregions.png:www. ka.wikipedia.org

ჩრდილოეთი აზია - მთლიანად რუსეთის ფედერაციის აზიურ ნაწილს წარმოადგენს.

სამხრეთ აზიაში 7 ქვეყანა - ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ნეპალი, ბუტანი, შრი-ლანკა (ცეილონი) და მალდივის რესპუბლიკა მდებარეობს. რეგიონში შუა საუკუნეებში მრავალი მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფო არსებობდა. პორტუგალიელების მიერ ევროპიდან ინდოეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებისაკენ გზების აღმოჩენამ აზიაში კოლონიურ დაპყრობებს ჩაუყარა საფუძველი. 1876 წელს ინგლისის დედოფალი ვიქტორია ინდოეთის იმპერატორად იყო გამოცხადებული. ასევე, დიდ ბრიტანეთს ეკუთვნოდა კუნძული ცეილონი (შრი-ლანკა). 1937 წელს ინდოეთი რელიგიური ნიშნის საფუძველზე გაიყო ინდოეთად, დასავლეთ პაკისტანად და აღმოსავლეთ პაკისტანად. ამ უკანასკნელის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბანგლადეშის სახელმწიფო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კოლონიური სისტემის რღვევის შედეგად, 1947 წელს დიდმა ბრიტანეთმა ინდოეთისა და პაკისტანის დამოუკიდებლობა აღიარა. შემდგომში ბევრმა აზიურმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მიიღო.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლონიზაცია ევროპული ქვეყნების (ნიდერ-ლანდები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი) და მოგვია-ნებით აშშ-ის მიერ XIX საუკუნის ბოლოს დასრულდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში რეგიონი იაპონიის მიერ იქნა ოკუპირებული. ომის დასრულების შემდეგ ინგლისმა, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა დაკარგულ კოლონიებზე კონტროლის აღდგენა სცადეს, რამაც შეარაღებული წინააღმდეგობა გამოიწვია და ბოლო დროს რეგიონს დამოუკიდებლობა მოუტანა (ვიეტნამი, კამბოჯა, ლაოსი, ტაილანდი, მიანმარი, ინდონეზია, სინგაპური, ბრუნეი). XX საუკუნის 60-იან წლებში ვიეტნამის ტერიტორიაზე ხანგრძლივი ომი დაიწყო, რომელიც 70-იან წლების დასაწყისში აშშ-ის დამარცხებით დასრულდა. 1967 წელს რეგიონში ინდუსტრიული პროცესების შედეგად შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ასეანსი) - ტაილანდის, მალაიზიის, ინდონე-ზიის, სინგაპურისა და ფილიპინების შემადგენლობით. 1984 წელს მათ შეუერთ-და ბრუნეი, 1995 წელს - ვიეტნამი, ხოლო 1997 წელს - მიანმარი და ლაოსი.

სამხრეთ-დასავლეთ აზია აერთიანებს 16 სახელმწიფოს (ბაჰრეინი, ისრაე-ლი (პალესტინასთან ერთად), იორდანია, ერაყი, იემენი, კატარი, ავღანეთი, ირანი, კვიპროსი, კუვეიტი, ლიბანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, საუდის არაბეთი, სირია, თურქეთი). ამ რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, 1947 წელს გაეროს ინიციატივით, შეიქმნა ახალი სახელმწიფო ისრაელი და არაბული ტერიტორიები (პალესტინა, მდინარე იორდანეს მარცხენა სანაპირო და ღაზის სექტორი). პალესტინა იბრძვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის და სახელმწიფოს აღიარების მიმართულებით. მან ამ კუთხით 2012 წლის გაეროს შეკრებაზე საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია და მის დამოუკიდებლობას ბევრმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი.

აღმოსავლეთი აზია - მოიცავს იაპონიას, კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას (კსდრ), კორეის რესპუბლიკას (სამხრეთი კორეა) და ჩინეთს. 1997 წელს დიდი ბრიტანეთის კოლონია ჰონგ-კონგი, ხოლო 2000 წელს პორტუგა-ლიის ყოფილი სამფლობელო - აომინი (მაკაო) ჩინეთს დაუბრუნდა. ეს ქვეყნები აზია-წყნაროკეანურ რეგიონშია გაერთიანებული, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკასა და ეკონომიკის ერთ-ერთ აქტიურ ზონად ყალიბდება.

ცენტრალური აზია - ამ სუბრეგიონში შედის ყოფილ საბჭოთა რესპუბ-ლიკები: ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი. აქვეა გაერთიანებული ავღანეთი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ „ცხელ წერტილს“ წარმოადგენს და მონღოლეთი.

1. 2. 3. აფრიკის პოლიტიკური რუკა

აფრიკა კაცობრიობის ცივილიზაციისა და სეპენტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა, მაგრამ პოლიტიკურად ყველაზე ახალი რეგიონია. პალეოანთროპოლოგთა უმრავლესობა აფრიკას დედამიწის უძველეს დასახლებულ ტერიტორიად თვლის, საიდანაც დაიწყო მოსახლეობის განსახლება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. XX საუკუნის შუა წლებში ანთროპოლოგებმა ამ კონტინეტზე აღმოაჩინეს ადამიანთა საქმიანობის დამადასტურებელი მრავალი არქეოლოგიური ნივთი, რომელიც 7 მილიონი წლით თარიღდება. აფრიკაში დაახლოებით ძვ.წ. 3100 წელს ყალიბდება ძველი ეგვიპტის სახელმწიფო - უძველესი ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა, რომელმაც ფარაონების მმართველობის ქვეშ სიძლიერის და სიმდიდის მწვერვალს ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში მიაღწია (ე.წ. ახალი სამეფო ძვ.წ. 1567, ძვ.წ. 1085). ფეოდალურ ეპოქაში აფრიკის რეგიონში ცენტრალიზებული სახელმწიფოები, ფაქტობრივად, არ არსებობდა. რეგიონის თანამედროვე პოლიტიკური რუკის ფორმირება იწყება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, როცა ქვეყნების უპირატესად დიდი ნაწილი ევროპელი კოლონიზატორების ხელში იყო. XX საუკუნის დასაწყისში კონტინენტის ქვეყნების 94% ევროპულ კოლონიზაციას წარმოადგენდა (იხ.ნახ. 7).

ნახ. 7. აფრიკის ქვეყნების კოლონიზაცია 1914 წელს
წყარო: Colonia_Africa.jpg. www. ka.wikipedia.org

XX საუკუნის 50-იანი წლებისათვის აფრიკაში მხოლოდ ოთხი იურიდიულად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო - ეგვიპტე, ეთიოპია, ლიბერია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. კოლონიური სისტემის დაშლა კონტინენტის ჩრდილოეთიდან დაიწყო: 1951 წელს გათავისუფლდა ლიბია, 1956 წელს - მაროკო, ტუნისი, სუდანი, 1957 წელს - განა, 1958 წელს - გვიანა. 1960 წელი ისტორიაში ,,აფრიკის წელიწადის" სახელწოდებით არის შესული, რადგან ამ წელს დამოუკიდებლობა აფრიკის 17 სახელმწიფომ მიიღო. დეკოლონიზაციის პროცესი 90-იან წლებამდე მიმდინარეობდა. 1990 წელს დამოუკიდებლობა ბოლო კოლონიამ - ნამიბიამ მიიღო. 1993 წელს, 30 - წლიანი ბრძოლის შემდეგ, დამოუკიდებლობა ეთიოპიის ყოფილმა პროვინციამ - ერითრეამ მოიპოვა. 1997 წლიდან ზაირი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკად იწოდება. 2011 წელს სუდანს გამოეყო ავტონომიური ერთეული სამხრეთი სუდანი, რომელიც გაერომ იმავე წელს 194-ე ქვეყნად აღიარა. დღეისათვის გაურკვეველი რჩება ესპანეთის ყოფილი კოლონიის - დასავლეთ საჰარის საერთაშორისო სტატუსი, რომლის საბოლოო ბედის გარკვევის მიზნით გაერო აქ რეფერენდუმის ჩატარებას ვარაუდობს.

აფრიკაში მხოლოდ ერთი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყანაა - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. სულ კონტინენტზე 57 სახელმწიფოა, რომელთა უმრავლესობა უნიტარულია (იხ. ნახ. 8 და ცხრილი 3). ფედერაციებია ლიბერია, სარ, კომორის კუნძულები. სამი მონარქია - ლესოტო, მაროკო, სვაზილენდი. კოლონიებად რჩება კუნძული რენინიონი და კუნძული მაორი (საფრანგეთი), წმინდა ელენეს კუნძული (დიდი ბრიტანეთი), მაროკოში ზღვისპირა ანკლავი - ქალაქები სეუტა და მელილია (ესპანეთი).

აფრიკაში მოქმედებს აფრიკის ერების ორგანიზაცია, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა, ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა და სხვა გაერთიანებები.

აფრიკა ბუნებრივი პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების მიხედვით იყოფა ჩრდილო, აღმოსავლეთ, დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკის რეგიონებად.

ნახ. 8. აფრიკის პოლიტიკური რუკა

წყარო: http://www.autobedrijfmaatje.nl/big-map-of-africa.html

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3.

აფრიკის პოლიტიკური რუკა

№	სახელმწიფოები	ფართობი (ათასი კმ²)	მოსახლეობა (მლნ კაცი) 2018 წ.	დედაქალაქი	სახელმწიფო წყობა
1	2	3	4	5	6
1	ალჟირი (ასდრ)	2382,0	41,73	ალჟირი	რესპუბლიკა
2	ანგოლა	1246,7	27,50	ლუანდა	რესპუბლიკა
3	ბენინი	112,6	11,76	პორტო ნოვო	რესპუბლიკა
4	ბოტსვანა	600,0	2,38	გაბორონე	რესპუბლიკა
5	ბურკინა-ფასო	274,2	19,72	უაგადუგუ	რესპუბლიკა
6	ბურუნდი	27,8	12,33	ბუჟუმბურა	რესპუბლიკა
7	გაბონი	267,7	1,84	ლიბრევილი	რესპუბლიკა
8	გამბია	11,3	2,19	ბანჯული	რესპუბლიკა
9	განა	238,5	29,28	აკრა	რესპუბლიკა
10	გვინეა (გვინეის რესპ.)	246,0	13,64	კონაკრი	რესპუბლიკა
11	გვინეა-ბისაუ	36,1	1,98	ბისაუ	რესპუბლიკა
12	დასავლეთი საჰარა	266,0	0,61	ელ-აიუნი	შეერთ. მაროკ.
13	ეგვიპტე	1001,0	97,01	ქაირო	რესპუბლიკა
14	ეთიოპია	1222,0	106,86	ადის-აბება	რესპუბლიკა
15	ეკვატორული გვინეა	28,1	0,72	მალაბო	რესპუბლიკა
16	ერითრეა	125,2	5,62	ასმერა	რესპუბლიკა
17	ესვატანი (სვაზილენდი)	17,4	1,34	მბაბანე	აბსოლუტური მონარქია
18	კონგოს დემოკრა-ტიული რესპუბლი-კა (ზაირი)	2345,5	83,31	კინშასა	რესპუბლიკა
19	ზამბია	752,6	17,77	ლუსაკა	რესპუბლიკა
20	ზიმბამბვე	390,7	16,71	ჰარარე	რესპუბლიკა
21	კაბო-ვერდე (მწვანე კონცხის კუნძულები)	4,0	0,54	პრაია	რესპუბლიკა
22	კამერუნი	475,4	25,11	იაუნდე	რესპუბლიკა
23	კენია	582,4	49,70	ნაირობი	რესპუბლიკა

1	2	3	4	5	6
24	კომორის კუნძულები	2,0	0,85	მორონი	ისლამური რესპ.
25	კონგო	342,0	5,01	ბრაზავილი	რესპუბლიკა
26	კოტ-დ' ივუარი (სპილოს ძვლის სანაპირო)	322,5	24,83	იამუსუკრო (ფაქტ.აბიჯანი)	რესპუბლიკა
27	ლესოტო	30,3	2,21	მასერუ	კონსტ. მონარქია
28	ლიბერია	11,4	4,85	მონროვია	რესპუბლიკა
29	ლიბია	179,5	6,51	ტრიპოლი	რესპუბლიკა
30	მავრიკი	2,0	1.29	პორტ-ლუი	სახ.ერთა თანამეგ.
31	მავრიტანია	1030,7	4,37	ნუაქშოტი	ისლამური რესპ.
32	მადაგასკარი	596,0	26,32	ანტანანარივუ	რესპუბლიკა
33	მალივი	118,0	18,86	ლილონგვე	რესპუბლიკა
34	მალი	1240,0	19,26	ბამაკო	რესპუბლიკა
35	მაროკო	446,6	35,65	რობატი	კონსტ.მონარქია
36	მოზამბიკი	783,0	30,34	მაპუტუ	რესპუბლიკა
37	ნამიბია	824,3	2,62	ვინდჰუკი	რესპუბლიკა
38	ნიგერი	1267,0	22,45	ნიამეი	რესპუბლიკა
40	ნიგერია	923,8	196,75	ლოგოსი	რესპუბლიკა
41	რუანდა	26,3	12,44	კიგალი	რესპუბლიკა
42	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	1221,0	55,87	პრეტორია	რესპუბლიკა
43	სამხრეთი სუდანი	644,3	8,55	ჯუბა	რესპუბლიკა
44	სან-ტომე და პრინსიპი	924,0	0,21	სან-ტომე	რესპუბლიკა
45	სეიშელის კუნძულები	0,4	0,10	ვიქტორია	რესპუბლიკა
46	სენეგალი	196,7	16,52	დაკარი	რესპუბლიკა
47	სიერა-ლეონე	72,3	6,88	ფრიტაუნი	რესპუბლიკა
48	სომალი	637,7	11,72	მოგადიში	რესპუბლიკა
49	სუდანი	2005,8	43,20	ხართუმი	რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6
50	ტანზანია	945,2	58,64	დარ-ეს-სალამი	რესპუბლიკა
51	ტოგო	56,8	7,89	ლომე	რესპუბლიკა
52	ტუნისი	164,2	11,61	ტუნისი	რესპუბლიკა
53	უგანდა	236,0	43,02	კამპალა	რესპუბლიკა
54	ჩადი	1284,0	15,43	ნჯამენა	რესპუბლიკა
55	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	623,0	5,20	ბანგო	რესპუბლიკა
56	წმინდა ელენეს კუნძულები	0,4	0,0043	ჯეიმსთაუნი	დიდი ბრიტ. სამფლობელო
57	ჯიბუტი	33,4	0,92	ჯიბუტი	რესპუბლიკა

1. 2. 4. ამერიკის პოლიტიკური რუკა

ამერიკის პოლიტიკური რუკის ფორმირება XV საუკუნის ბოლოს, ქრისტეფორე კოლუმბის მიერ „ახალი სამყაროს“, ანუ ამერიკის აღმოჩენით იწყება. ევროპელმა დამპყრობელ-კონკისტადორებმა, განსაკუთრებით, ესპანეთმა, პორტუგალიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა მოკლე პერიოდში მოახდინეს მთელი ამერიკის ქვეყნის ნაწილის კოლონიზაცია, გაანადგურეს ადგილობრივი მოსახლეობის, დიდი კულტურის მქონე ინდიელი ტომების - კეჩუას, აცტეკების, მაიას, ინკების ცივილიზაციები და შექმნეს კოლონიები. ამავდროულად, ევროპელებმა აფრიკიდან მოახდინეს მილიონობით მონა-ზანგების პლანტაციებში სამუშაოდ ჩამოყვანა. ესპანეთი, ძირითადად, აკონტროლებდა ცენტრალურ ამერიკას, პორტუგალია - სამხრეთ ამერიკას, ინგლისი - ჩრდილო-აღმოსავლეთ ამერიკას, ხოლო საფრანგეთი - კარიბის ზღვის აუზს.

ამერიკის პოლიტიკური რუკის ფორმირება იწყება 1776 წლიდან, როცა ჩრდილოეთ ამერიკაში, ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ სანაპიროზე, 13 ინგლისური კოლონიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად იქმნება ამერიკის ქვეყნის ნაწილზე პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). აშშ-მა 1861-1865 წლების სამოქალაქო ომამდე

თავისი ტერიტორიები თითქმის 10-ჯერ გააფართოვა. აშშ-ის სახელმწიფო ტერიტორიის ფორმირების მესამე ეტაპი იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან. 1803 წელს საფრანგეთისგან (15 მლნ. დოლარად) შესყიდულ იქნა ლუიზიანა (2,5 მლნ კმ²). 1819 წელს ესპანეთი იძულებული გახდა ძალიან იაფად მიეყიდა ფლორიდა. შემდეგ აშშ-ს მიუერთდა ტეხასი, რომელიც მანამდე მექსიკას ეკუთვნოდა. მექსიკასთან ომის შედეგად, აშშ-ს შემადგენლობაში გადავიდა უზარმაზარი ტერიტორია (2,5 მლნ კმ²), მათ შორის, კალიფორნია და მთიანი დასავლეთის მთელი სამხრეთი ნაწილი. იმავდროულად, დიდ ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულებით, აშშ-მა მიიღო ორეგონის ვრცელი ტერიტორია. 1867 წელს რუსეთისგან „ჩალის" ფასად შეისყიდა (7,2 მლნ დოლარი) ალასკა.

ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში 1810-1823 წლებში ეროვნულ-განმა-თავისუფლებელი მოძრაობის შედეგად წარმოიშვა 16 რესპუბლიკა. 1867 წელს კანადას (დიდი ბრიტანეთის კოლონია) დომინიონის სტატუსი მიენიჭა. XX საუკუნის დასაწყისისათვის ამერიკის რეგიონში ქვეყნების 27% კოლონიურ მფლობელობაში იყო, რომელთა შორის ზოგიერთი ქვეყანა დღესაც კოლონიას წარმოადგენს.

ამერიკის პოლიტიკური რუკა წარმოდგენილია ორ მსხვილ - ჩრდილო ამერიკისა (შედის მხოლოდ აშშ და კანადა) და ლათინური ამერიკის რეგიონად, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხვრივ, იყოფა შემდეგ სუბრეგიონებად: ცენტ-რალური ამერიკა, კარიბის ზღვის ქვეყნები, ანდების ქვეყნები და ლა-პლატის ქვეყნები.

ამერიკაში მოქმედებს რამდენიმე ეკონომიკური რეგიონალური კავშირი და დაჯგუფება: თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ხელშეკრულება, ინ-ტეგრაციის ლათინურ ამერიკული ასოციაცია, კარიბის თანამეგობრობა, სუბრე-გიონალური ბლოკი, ცენტრალურ ამერიკული საერთო ბაზარი, ანდების ქვეყა-ნათა დაჯგუფება და ა.შ.

ამჟამად ამერიკის პოლიტიკურ რუკაზე წარმოდგენილია 49 ქვეყანა (იხ. ნახ. 9 და ცხრილი 4).

ნახ. 9. ამერიკის პოლიტიკური რუკა

წყარო: http://amerika.org.ua/map/index.htm

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 4.

ამერიკის პოლიტიკური რუკა

№	სახელმწიფოები	ფართობი (ათასი კმ²)	მოსახლეობა (მლნ კაცი) 2018 წ.	დედაქალაქი	სახელმწიფო წყობა
1	2	3	4	5	6
1	ანგილია (ანგუილა)	0,1	0,015	ვალი	დიდი ბრიტან. სამფლობელო
2	ანტიგუა და ბარბუდა	442,6	0,095	სენტ-ჯონსი	ერთა თანამეგობრობა
3	არუბა	0,2	0,11	ორანესტადი	ნიდერლან. სამფ.
4	ანტილიის კუნძულები (ნიდერლანდების)	0,821	0,17	ვილემსტადი	ნიდერლან. სამფ.
5	ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)	9363,2	328,84	ვაშინგტონი	რესპუბლიკა
6	არგენტინა	2,8	44,69	ბუენოს-აირესი	რესპუბლიკა
7	ბარბადოსი	0,730	0,29	ბრიჯთაუნი	ერთა თანამეგობრობა
8	ბაჰამის კუნძულები	13,9	0,41	ნასაუ	ერთა თანამეგობრობა
9	ბელიზი	23,0	0,38	ბელმოპანი	ერთა თანამეგობ.
10	ბერმუნდის კუნძულულები	0,05	0,071	ჰამილტონი	დიდი ბრიტ. სამფ.
11	ბოლივია	1098,6	11,22	სუკრე	რესპუბლიკა
12	ბრაზილია	8512,0	212,87	ბრაზილია	რესპუბლიკა
13	გაიანა	215,0	0,78	ჯორჯთაუნი	რესპუბლიკა
14	გვადელუპა	1,8	0,48	ბას-ტერი	საფრან. ზღვის-გაღმა დეპარტ
15	გვატემალა	108,9	17,34	გვატემალა	რესპუბლიკა
16	გვიანა (საფრანგეთის)	215,0	0,28	კაიენა	საფრან. ზღვის-გაღმა დეპარტ
17	გრენადა	0,344	0,11	სენტ-ჯორჯესი	ერთა თანამეგობრობა

1	2	3	4	5	6
18	დომინიკა	0,790	0,078	როზო	ერთა თანამეგობრობა
19	დომინიკანთა რესპუბლიკა	48,7	10,89	სანტო-დომინგო	რესპუბლიკა
20	ეკვადორი	283,6	16,87	კიტო	რესპუბლიკა
21	ვენესუელა	916,4	32,32	კარაკასი	რესპუბლიკა
22	ვირჯინიის (ბრიტანეთის) კუნძულები	0,15	0.026	როდ-თაუნი	დიდი ბრიტ. სამფ.
23	ვირჯინიის კუნძულები (აშშ)	0,34	0,12	შარლოტა-ამალია	აშშ-ს სამფლობელო
24	იამაიკა	11,5	2,83	კინგსტონი	ერთა თანამეგობრობა
25	კაიმანის კუნძულები	0,26	0,84	ჯორჯ-თაუნი	რესპუბლიკა
26	კანადა	9997,7	36,96	ოტავა	ფედ. რესპ. დიდი ბრიტ. თანამ-ში
27	კოლუმბია	1114,7	49,47	ბოგოტა	რესპუბლიკა
28	კოსტა-რიკა	50,7	4,95	სან-ხოსე	რესპუბლიკა
29	კუბა	110,9	11,38	ჰავანა	სოც. რესპუბლიკა
30	მარტინიკა	1,1	0,41	ფორ-დე-ფრანს	საფრ. ზღვისგაღმა დეპ.
31	მექსიკა	1958,0	131,79	მეხიკო	რესპუბლიკა
32	მონტსერატი	0,1	0,42	პლიმუტი	დიდი ბრიტ. სამფ.
33	ნიკარაგუა	130,0	6,29	მანაგუა	რესპუბლიკა
34	პანამა	77,0	4,11	პანამა	რესპუბლიკა
35	პარაგვაი	406,0	6,90	ასუნსიონი	რესპუბლიკა
36	პერუ	1282,0	32,35	ლიმა	რესპუბლიკა
37	პუერტო-რიკო	8,9	3,68	სან-ხუანი	აშშ-თან ნებაყოფ. შეერ.თავის. ასოც
38	სალვადორი	21,4	6,19	სან-სალვადორი	რესპუბლიკა
39	სენტ-ვინსეტი და გრენადინი	0,389	0,12	კინგსთაუნი	ერთა თანამეგობრობა
40	სენტ-კიტსი და ნევისი	0,261	0,053	ბასტერი	ერთა თანამეგობრობა

1	2	3	4	5	6
41	სენტ-ლუსია	0,6	0,19	კასტერი	ერთა თანამეგობრობა
42	სურინამი	163,3	0,57	პარამარიბო	რესპუბლიკა
43	ტერქსისა და კაიკოსის კუნძულები	0,43	0,013	ქოქბერ-თაუნი	დიდი ბრიტ. სამფ.
44	ტრინიდადი და ტობაგო	5,0	1,37	პორტ-ოპ-სპეინი	რესპუბლიკა
45	ურუგვაი	189,6	3,47	მონტევიდეო	რესპუბლიკა
46	ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები	12,1	0,0022	პორტ-სტენლი	რესპუბლიკა
47	ჩილე	756,9	18,49	სანტიაგო	რესპუბლიკა
48	ჰაიტი	27,7	9,89	პორტ-ო-პრენსი	რესპუბლიკა
49	ჰონდურასი	112,0	8,42	ტეგუსიგალპა	რესპუბლიკა

1. 2. 5. ავსტრალიისა და ოკეანეთის პოლიტიკური რუკა

ავსტრალია და ოკეანეთი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა რეგიონია, რომლის პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბება XVI საუკუნიდან იწყება. რეგიონი აერთიანებს კონტინენტ ავსტრალიას და ოკეანეთში არსებულ კუნძულებს, რომლებიც მელანეზიის, მიკრონეზიისა და პოლინეზიის სახელწოდებითაა ცნობილი. რეგიონი, დასახლებული იყო დაახლოებით 30-50 ათასი წლის წინ, სავარაუდოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან წამოსული ხალხით, დაახლოებით 2-4 ათასი წლის წინ დასახლებული იქნა მიკრონეზიისა და პოლინეზიის დიდი ნაწილი. ჩასახლების პროცესი დამთავრდა დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვით 1200 წელს. XVI საუკუნის დასაწყისისთვის ოკეანეთის ხალხმა გადაიტანეს პირველყოფილი თემური წყობის დაშლისა და ადრეული კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდი.

XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით გრძელდებოდა ევროპელების მიერ ოკეანეთის შესწავლის პერიოდი. მათ ნელ-ნელა დაიწყეს კუნძულებზე დასახლება. XVIII-XIX საუკუნეებში მიმდინარეობდა ოკეანეთის კუნძულების დაყოფა კოლონიურ სახელმწიფოებად, უპირველეს ყოვლისა, ბრიტანეთის, ესპანეთსა და საფრანგეთის იმპერიებს შორის (შემდგომში მათ შეუერთდა აშშ და გერმანია).

ავსტრალიის კოლონიზაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც 1770 წელს ინგლისელმა ზღვაოსანმა ჯეიმს კუკმა კონტინენტის აღმოსავლეთი სანაპირო გამოიკვ-

ლია და იგი დიდი ბრიტანეთის საკუთრებად გამოაცხადა. თავდაპირველად ავსტრალიას ინგლისელები იყენებდნენ მსჯავრდებულთა გადასახლების ადგილად. მოგვიანებით კონტინენტზე აღმოჩენილი იქნა მრავალი სასარგებლო წიაღისეული, პირველ რიგში, ოქრო, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გადმოსახლებულთა ნაკადის ზრდას და საბოლოოდ მის ტიპურ კოლონიად გადაქცევას. 1900 წელს 6 კოლონიის (ახალი სამხრეთი უელსი, ვიქტორია, ქუინსილენდი, სამხრეთ ავსტრალია, დასავლეთ ავსტრალია, ტასმანია) გაერთიანებით შეიქმნა ავსტრალიის კავშირი, რომელიც 1901 წელს დიდი ბრიტანეთის დომინიონად გამოცხადდა. სრული დამოუკიდებლობა კი ამ ქვეყანამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო.

1907 წელს ახალი ზელანდია გახდა დომინიონი, მაგრამ ფორმალურად ის მთლიანად დამოუკიდებელი სახელმწიფო 1947 წლიდანაა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩაისახა პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები („მაუ“ დასავლეთ სამოაზე, „ფიჯის ახალგაზრდობა“ ფიჯიზე), რომლებიც იბრძოდნენ კოლონიების დამოუკიდებლობისათვის. მეორე მსოფლიო ომის წლებში ოკეანეთი იყო საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი რეგიონი, სადაც მოხდა ბევრი ბრძოლა (ძირითადად, იაპონურ და ამერიკულ ჯარებს შორის). 1960-იანი წლებიდან დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი: 1962 წელს დამოუკიდებლობა მიიღო დასავლეთმა სამოამ, 1963 წელს - დასავლეთმა ახალმა გვინეამ, 1968 წელს - ნაურუმ. შემდგომში კოლონიების დიდი ნაწილი გახდა დამოუკიდებელი.

რეგიონი გამორჩეულია თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური კონტრასტებით, გვხვდება როგორც ეკონომიკურად მაღალგანვითარებული (ავსტრალიის კავშირი, ახალი ზელანდია), ისე განვითარებადი (მცირეკუნძულოვანი) ქვეყნები, ასევე, ჯერ კიდევ შემორჩენილია კოლონიური სამფლობელოები.

ოკეანეთის ქვეყნებმა, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მიიღეს დამოუკიდებლობა. სულ რეგიონში 28 სახელმწიფო და ტერიტორიაა განლაგებული (იხ. ნახ. 10 და ცხრ. 5).



ნახ. 10. ავსტრალიის პოლიტიკური რუკა

წყარო: http://www.mapsfinder.ru/high_resolution_large_detailed_political_map_of_australia_and_oceania/

ცხრილი 5

ავსტრალიისა და ოკეანეთის პოლიტიკური რუკა

№	სახელმწიფოები	ფართობი (ათასი კმ²)	მოსახლეობა (მლნ კაცი) 2011 წ.	დედაქალაქი	სახელმწიფო წყობა
1	2	3	4	5	6
1	ავსტრალია (ავსტრალიის კავშირი)	7,7	24,97	კანბერა	საპარ. რესპუბლიკა ერთა თანამ - ში
2	ახალი ზელანდია	268,7	4,65	ველინგტონი	სახელმწ. ერთა თანამეგობრობაში
3	ახალი კალედონია	19,1	0,28	ნუმეა	საფრანგ. ზღვისგ-აღმა დეპარტამენ.
4	აღმოსავლეთი სამოა	0,19	0,071	პაგო-პაგო	აშშ-ს კოლონია

1	2	3	4	5	6
5	გუამი	0,55	0,18	აგანია	აშშ-ს კოლონია
6	დასავლეთი სამოა	2,9	0,22	აპია	დამოუკ. სახელმწ. ერთა თანამ-ში
7	ვანატუ	11,9	0,81	0,24	რესპუბლიკა
8	კირიბატი	0,719	0,12	ბაირიკა	რესპუბლიკა
9	კუკის კუნძულები	0,23	0,0012	ავარუა	ახალი ზელანდიის სამფლობელო
10	მარშალის კუნძულები	0,18	0,13	მაჯურო	თავისუფ. ასოციაც. აშშ-თან
11	მიკრონეზიის ფედერაციული შტატები	0,7	0,11	პალიკარი	თავისუფ. ასოციაც. აშშ-თან
12	ნაურუ	0,021	0,0093	იარენი	რესპუბლიკა ერთა ტანამ-ში
13	ნიუე (კუნძული)	0,26	0,0013	ალოფი	ახალი ზელანდიის სამფლობელო
14	ნორფოლკი (კუნძული)	0,36	0,0022	ქინგსთონი	ავსტრალიის სამფლობელო
15	პალაუ	0,5	0,014	კოროორი	რესპუბლიკა
16	პაპუა-ახალი გვინეა	462,8	8,10	პორტ-მორზბი	დამოუკ. სახელმწ. ერთა თანამე-ში
17	პიტკერნი	0,004	0,000122	ადამსთაუნი	დიდი ბრიტანეთ. სამფლობელო
18	პოლინეზია საფრანგეთის	4,2	0,70	პაპეეტე	საფ. ზღვისგაღმა ტერ. თვით. სტატ.
19	სოლომონის კუნძულები	29,8	0,71	პონიარა	სახელმწ. ერთა თანამეგობრობაში
20	ტოკულაუ	0,01	0,0014	ფაკაოფო	ახალი ზელანდიის სამფლობელო
21	ტონგა	0,699	0,11	ნუკვალოფა	მონარქია
22	ტუვალუ	0,01	0,0011	ფუნაფუტი	დამოუკ. სახელმ. ერთა თანამ-ში
23	უეიქი(კუნძული)	0,01	0,0022	_	აშშ-ს სამფლობელო
24	უოლსი და ფუტუნა (კუნძული)	0,27	0,0013	მატა-უტუ	საფრანგეთის სამფლობელო
25	ფიჯი	18,4	0,91	სუვა	რესპუბლიკა
26	ქოქოსის (ქილინგის) კუნძულები	0,01	0,00012	_	ავსტრალიის სამფლობელო

1	2	3	4	5	6
27	შობის კუნძულები	0,13	0,069	_	ავსტრალიის სამფლობელო
28	ჩრდილო მარიანის კუნძულების თანამეგობრობა	0,5	0,080	_	თავისუფალი ასოციაც. აშშ-თან

1.3. ქვეყნების დაჯგუფება და ტიპოლოგია

მსოფლიოში ამ პერიოდისათვის 225 ქვეყანაა, მათ შორის არის მსგავსებაც და განსხვავებაც. გამომდინარე აქედან, ქვეყნებს აჯგუფებენ: **1. სიდიდის; 2. გეოგრაფიული მდებარეობის; 3. მმართველობის ფორმის; 4. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის; 5. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და პოლიტიკური მოწყობის; 6. საერთაშორისო სტატუსის და საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით.**

სიდიდის მიხედვით ქვეყნებს აჯგუფებენ როგორც ფართობის, ისე მოსახლეობის რიცხოვნობით. ფართობის მიხედვით, ყველაზე დიდი ქვეყნებია: რუსეთი -17,1 მლნ კმ², კანადა - 9,9 მლნ კმ², ჩინეთი - 9,6 მლნ კმ², აშშ - 9,4 მლნ კმ², ბრაზილია - 8,6 მლნ კმ², ავსტრალია - 7,6 მლნ კმ² და სხვ. ყველაზე პატარა ქვეყანაა ვატიკანი - 0,44 კმ². მოსახლეობის რიცხოვნობით უდიდესი ქვეყნებია (2018 წ.): ჩინეთი - 1,39 მლრდ, ინდოეთი - 1,35 მლრდ, აშშ - 328,8 მლნ, ინდონეზია - 266,4 მლნ, პაკისტანი - 200,7 მლნ, ბრაზილია - 212,9 მლნ, რუსეთი - 143,4 მლნ, იაპონია - 125,7 მლნ და სხვ. მოსახლეობის რიცხოვნობით დამოუკიდებელი ქვეყნებიდან ყველაზე პატარაა ვატიკანი - 1000 კაცი, ხოლო კოლონიური ქვეყნებიდან პიტკერნი - 122 კაცი.

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ქვეყნები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას. მსოფლიოში საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნიათ: თურქეთს, პანამას, ეგვიპტეს, ესპანეთს, პორტუგალიას, საქართველოს და, ზოგადად, ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც აქვს გასასვლელი ზღვაზე, გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციები, მდებარეობს მნიშვნელოვანი სავაჭრო და რეკრეაციულ ცენტრებთან ახლოს და სხვ. ყველაზე ცუდი მდებარეობა გააჩნიათ: ნეპალს, ბუტანს, მონღოლეთს, ავღანეთს, სომხეთს და სხვ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნების პოლიტიკურ-გეოგრაფიული (გეოპოლიტიკური) მდებარეობა. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი მდებარეობა გააჩნია საქართველოს, რომელიც ევ-

როპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. ცუდი გეოპოლიტიკური მდებარეობით გამოირჩევიან სომხეთი (ჩაკეტილი ქვეყანაა და ორი მტრულად განწყობილი ქვეყანა ესაზღვრება) და ისრაელი (არაბული სამყაროს ცენტრშია). კარგი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია რუსეთს, ჩინეთს, დიდ ბრიტანეთს, ესპანეთს, აშშ-ს, კანადას და სხვ.

ქვეყნების დაჯგუფების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია **მმართველობის ფორმა.** განასხვავებენ მმართველობის ორ ძირითად ფორმას - **რესპუბლიკურსა და მონარქიულს.** რესპუბლიკური მმართველობა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს: საპრეზიდენტო და საპარლამენტო. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც მთელი მოსახლეობის მიერ ირჩევა და ფართო უფლებამოსილება გააჩნია. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება მკვეთრად არის გამიჯნული და არ შეიძლება ერთი და იგივე პირი ერთდროულად პარლამენტარიც იყოს და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც მუშაობდეს. კლასიკური საპრეზიდენტო ქვეყნებია: აშშ, რუსეთი, აგრეთვე, ლათინური ამერიკის, აზიის აფრიკის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა. საპარლამენტო რესპუბლიკაში მთელი ხელისუფლება საკანონმდებლო ხელისუფლებას, ანუ პარლამენტს ეკუთვნის. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიები ქმნიან მთავრობას, სადაც პრემიერმინისტრის უფლებები ძალიან დიდია. სახელმწიფოს მეთაურს - პრეზიდენტს კი, რომელიც პარლამენტის მიერ აირჩევა, მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციები აკისრია. კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკებია: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, იაპონია, ავსტრალია, ესპანეთი, საბერძნეთი, აგრეთვე, ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა, მათ შორის საქართველოც. არის შერეული ტიპის დუალისტური საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკებიც, კერძოდ, საფრანგეთი და ირლანდია. არის რესპუბლიკური საპრეზიდენტო მმართველობის მქონე ქვეყნები (ირანის ისლამური რესპუბლიკა, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა), რომლებიც გარკვეულწილად შარიათით (რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებული) იმართება.

მონარქიული მმართველობა ორი სახისაა - **კონსტიტუციური და აბსოლუტური.** კონსტიტუციური მონარქიების უმრავლესობაში მონარქი "მეფობს, მაგრამ არ მართავს". აქ მთელი ძალაუფლება პარლამენტის ხელშია და მეფის (დედოფლის) უფლებები ნომინალურია. დღევანდელ მსოფლიოში არსებულ მონარქიათა უმრავლესობა სწორედ კონსტიტუციურ მონარქიებს განეკუთვნება, რომელთა შორის აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია, ბელგია, ნიდერლანდები, ესპანეთი, იაპონია და სხვ. ზოგიერთ კონსტიტუციურ მონარ-

ქიაში მეფის უფლებები დიდია და პარლამენტი მას ექვემდებარება (მაროკო, იორდანია, ქუვეითი). რაც შეეხება აბსოლუტურ მონარქიებს, აქ მეფე ერთპიროვნული მმართველია და მისი უფლებები განუსაზღვრელი და შეუზღუდავია. ამასთან, მონარქის უფლებები შთამომავლობით გადაეცემა. აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებია: საუდის არაბეთი, ომანი, კატარი, ბაჰრეინი, ბრუნეი და ესვატანი (სვაზილენდი).

ცალკე გამოყოფენ თეოკრატულ ქვეყნებს, რომლებიც რელიგიური კანონებით იმართებიან (ვატიკანი, ჩრდილო ირლანდია).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნები ორ ჯგუფად იყოფა: 1. **უნიტარული** - ერთიანი ქვეყნებია, რომელიც არ იყოფიან პოლიტიკურ ერთეულებად, სადაც მთელ ტერიტორიაზე ერთიანი კანონმდებლობაა და ცენტრი მართავს რეგიონებს. ამ ჯგუფში შედის ქვეყნების უპირატესად დიდი ნაწილი; 2. **ფედერაციული** სახელმწიფოები იყოფიან პოლიტიკურ ერთეულებად (შტატი, პროვინცია, მიწა, კანტონი, ავტონომიური რესპუბლიკა და სხვ.), რომლებიც ავტონომიით სარგებლობენ - ჰყავთ საკუთარი მთავრობა, პარლამენტი და გააჩნიათ თავიანთი კანონები, თუმცა ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ძირითადი ფედერაციული სახელმწიფოებია: აშშ, გერმანია, რუსეთი, კანადა, ავსტრია, შვეიცარია, ინდოეთი, ბრაზილია, მექსიკა, ნიგერია და სხვ.

ქვეყნებს აჯგუფებენ **სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური** მოწყობის მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ შემდეგ ქვეყნებს: 1. მაღალგანვითარებულ; 2. განვითარებად; 3. სოციალისტურ; 4. კოლონიურ.

მაღალგანვითარებული ქვეყნები იყოფა: ა) დიდი მაღალგანვითარებული (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, კანადა) ქვეყნები; ბ. პატარა და ჯუჯა მაღალგანვითარებული ქვეყნები (ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ბელგია, დანია, მონაკო, შვეიცარია, ავსტრია, სან-მარინო, ლიხტენშტაინი და სხვ.); გ) საშუალოდ განვითარებული ქვეყნები (ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ირლანდია, ისლანდია და სხვ.).

განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში 150-მდე ქვეყანა შედის, რომელთა შორის გამოიყოფა: ა) დიდი პოტენციის მქონე ქვეყნები (ინდოეთი, ბრაზილია, ინდონეზია, პაკისტანი, ირანი, თურქეთი, ნიგერია, მექსიკა, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, კორეის რესპუბლიკა და სხვ.); ბ) საშუალოდ განვითარებული ქვეყნები („მეორე იარუსის ქვეყნები“), რომელშიც 100-მდე ქვეყანა შედის; გ) ნაკლებად განვითარებული და უკიდურერსად ჩამორჩენილი ქვეყნები - ბურკინა ფასო, მოზამბიკი, სომალი, რუანდა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და სხვ.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე მსოფლიოში 20-მდე **სოციალისტური** ქვეყანა იყო. ამჟამად სოციალისტური ქვეყნებია: ჩინეთი, ვიეტნამი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ლაოსი და კუბა.

ქვეყნები **საერთაშორისო სტატუსის და საგარეო პოლიტიკური კურსის** მიხედვით შეიძლება იყოს:

1. სუვერენული სახელმწიფო - ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებელია საერთაშორისო ურთიერთობებში და ახორციელებს უმაღლეს ხელისუფლებას მთელს საკუთარ ტერიტორიაზე;

2. დამოკიდებელი ტერიტორია - უცხო სახელმწიფოს (მეტროპოლიის) გამგებლობის ქვეშ მყოფი ქვეყანა, ან ტერიტორია, რომელსაც გააჩნია პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა და იმართება სპეციალური რეჟიმის მიხედვით;

3. დომინიონი - თანამეგობრობის ქვეყნები, სადაც, მიუხედავად მათი სრული დამოუკიდებლობისა, სახელმწიფოს მეთაურად ითვლება ბრიტანეთის მონარქი;

4. ნეიტრალური სახელმწიფოები - განსაკუთრებული საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მქონე ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში ახორციელებენ ნეიტრალურ პოლიტიკას. არჩევენ ორი სახის ნეიტრალიტეტს - **ევანტუალურს** და **მუდმივს**. ევანტუალურია ნეიტრალიტეტი, როცა ქვეყანას ომის პერიოდში ნეიტრალური პოზიცია უჭირავს. მუდმივი ნეიტრალიტეტის ქვეყანა (ავსტრია, შვეიცარია, შვედეთი, მალტა, თურქმენეთი) საომარ კონფლიქტებში და სამხედრო ბლოკებში გაწევრიანებაზე, აგრეთვე, მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარსა და სამხედრო ბაზის შექმნაზე უარს ამბობს.

1.4. სახელმწიფოთა საზღვრები და ტერიტორიული შემადგენლობა

ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია საზღვრები. ზოგადად, სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს საზღვრავს.

სახელმწიფო საზღვარი შეიძლება იყოს:

1. **ოროგრაფიული** - საზღვრები, რომლებიც გადის რელიეფის პირობების გათვალისწინებით (ქედი, მდინარე და სხვ.);

2. **გეომეტრიული** - საზღვრები, რომლებიც ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გადის სწორი ხაზების სახით;

3. **ასტრონომიული** - საზღვრები, რომლებიც გადის მერიდიანებისა და პარალელების გაყოლებით.

ქვეყნების დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ოროგრაფიული საზღვრები. მაგალითად, საქართველოსა და რუსეთის საზღვარი გადის კავკასიონის თხემურ ნაწილზე. აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები ერთმანეთისაგან მდინარე დუნაით ისაზღვრებიან. გეომეტრული საზღვრები უფრო მეტად დამახასიათებელია ჩრდილო აფრიკასა და ჩრდილო ამერიკაში. ერთადერთი ასტრონომიული საზღვარი გადის ჩრდილო და სამხრეთი კორეის ქვეყნებს შორის (38-ე პარალელზე).

სახელმწიფო ტერიტორია არის დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფება.

სახელმწიფო ტერიტორია შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან: სახმელეთო, საწყლო და საჰაერო.

სახმელეთო ტერიტორია - არის ხმელეთის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს იურიდიქციის ქვეშ იმყოფება.

საწყლო ტერიტორია - ოკეანის, ზღვის, ტბის, წყალსაცავის, მდინარის, არხის და სხვა ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს იურიდიქციის ქვეშ იმყოფება. სახელმწიფოს **ტერიტორიული წყლები** ოკეანის და ზღვის (კუნძულების და ნახევარკუნძულების ჩათვლით) ის სანაპირო ზოლია, რომელიც მოცემული სახელმწიფოს იურიდიქციის ქვეშ იმყოფება. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ერთიანი უნიფიცირებული ნორმა ტერიტორიული წყლებისა არ არსებობს. ყველა ქვეყანა თვითონ განსაზღვრავს ტერიტორიული წყლების სიგანეს, თუმცა საერთაშორისო მასშტაბით ჯერჯერობით დამკვიდრებულია მინიმუმი - სამი საზღვაო მილი და მაქსიმუმი - თორმეტი მილი.

საჰაერო ტერიტორია - მოიცავს სახელმწიფოს სახმელეთო და საწყლო ტერიტორიის თავზე მდებარე საჰაერო სივრცეს, რომელიც მისი იურიდიქციის ქვეშ იმყოფება.

1. 5. მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გაერთიანებები

1.5.1 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინამორბედად ერთა ლიგა ითვლება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ფუნქციონირებდა. გაეროს შექმნის საფუძველი გახდა ფაშისტური გერმანიისა და მისი ბლოკის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა გაერთიანება. 1942 წლის 1 იანვარს მათ ხელი მოაწე-

რეს „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“, რომლიდანაც შემდგომ წარმოსდგა ორგანიზაციის სახელწოდება. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრისას (თეირანი - 1943 წელი, დუმბარტონ-ოქსი - 1944 წლი, პოტსდამი - 1945 წელი: იოსებ სტალინი, კლიმენტ ეტლი, ჰარი ტრუმენი), დღის წესრიგში დადგა ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობისა და ისეთი უნივერსალური ორგანიზაციის შექმნის საკითხი, რომელიც დაიცავდა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, მოაგვარებდა სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სახის ურთიერთობას თანამშრომლობისა და თანასწორობის საფუძველზე. ორგანიზაციის წესდება შემუშავდა დუმბარტონ-ოქსის (1944 წლის აგვისტო) და იალტის (1945 წლის თებერვალი) კონფერენციებზე. 1945 წლის 26 ივნისს სანფრანცისკოში გამართულ საერთაშორისო ფორუმზე მსოფლიოს 51 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას. გაეროს დამფუძნებლები იყვნენ: აშშ, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და დიდი ბრიტანეთი. 1945 წლის 24 ოქტომბერს, ხელმომწერი ქვეყნების მიერ სარატიფიკაციო სიგელების ჩაბარების შემდეგ, გაერო მუშაობას შეუდგა. ამ დროიდან 24 ოქტომბერი ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations Organization, UNO; შემოკლებით - United Nations, UN**) დღე . დღეისათვის გაეროში 194 ქვეყანაა გაერთიანებული. 1992 წლის 31 ივლისს საქართველო 179-ე წევრი ქვეყანა გახდა. გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს.

გაეროს მთავარი ორგანოებია:

გენერალური ასამბლეა - გაეროს მთავარი სათათბირო ორგანო, სადაც წარმოდგენილია გაეროს 194 წევრი სახელმწიფო. თითოეულ მათგანს ხმის მიცემის თანაბარი უფლება აქვს (1 ხმა). გენერალური ასამბლეა მოიწვევა ყოველწლიურად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალური, ან საგანგებო სპეციალური სესიები.

უშიშროების საბჭო - გაეროს მუდმივმოქმედი ორგანო. გაეროს წესდების შესაბამისად, უშიშროების საბჭოს დაკისრებული აქვს მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. უშიშროების საბჭო ხუთი მუდმივი წევრისაგან **(აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი)** შედგება. თითოეულ წევრს ვეტოს უფლება აქვს.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო - გაეროს ორგანო, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს გამოკვლევები და შეადგინოს ანგარიშები საერთაშორისო საკითხებზე ეკონომიკის, სოციალურ ურთიერთობათა, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, ადამიანთა უფლებების, ეკოლოგიისა და სხვა სფეროებში. მის

შემადგენლობაში შედის: 1. მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაცია; 2. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; 3. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია; 4. მსოფლიოს საფოსტო კავშირი; 5. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია; 6. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 7. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია; 8. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია; 9. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია; 10. განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი ("მსოფლიო ბანკი"); 11. საერთაშორისო სავალუტო ფონდი; 12. ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაცია; 13. სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი; 14. გაეროს კომისია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში (იუნესკო); 15. გაეროს ორგანიზაცია სამრეწველო განვითარების დარგში (ივნიდო); 16. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (ფაო); 17. ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო საგენტო (მაგატე).

სამეურვეო საბჭო - გაეროს ორგანო, რომლის მიზანია კოლონიებისა და დამოკიდებული ტერიტორიების განვითარებაზე ზრუნვა მათ დამოუკიდებლობამდე.

საერთაშორისო სასამართლო - გაეროს მთავარი სასამართლო ორგანო. შეიქმნა 1945 წელს. მისი მიზანია სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტა მათი თანხმობით და იძლევა კონსულტაციებს და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებზე.

სამდივნო - გაეროს ბიუროკრატიული ორგანო, რომლის წევრები ახორციელებენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას და მის პროექტებს. სამდივნოს ხელმძღვანელობს გაეროს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი - გენერალური მდივანი.

გაეროს დამხმარე ორგანოები: მსოფლიო სასურსათო საბჭო, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვ.

გაეროს გენერალური მდივნები:

1946-1953 წლები : ტრიუგვე ლი (ნორვეგია);

1953-1961 წლები: დაგ ჰამარშელდი (შვედეთი);

1961-1971 წლები: უ ტანი (მიანმარი);

1972-1981 წლები: კურტ ვალდჰაიმი (ავსტრია);

1982-1991 წლები: ჰავიერ პერეს დე კუელიარი (პერუ);

1992-1997 წლები: ბუტროს ბუტროს-გალი (ეგვიპტე);

1997-2006 წლები: კოფი ანანი (განა);

2006-2016 წლები: პან კი მუნი (სამხრეთი კორეა);

2016 - წლიდან ანტონიუ გუტერეში (პორტუგალია)

1.5.2. ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო - **Council of Europe** - შეიქმნა 1949 წლის 4 მაისს ქ. ლონდონში. ორგანიზაციის დამფუძნებლები იყვნენ საფრანგეთი, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, დანია, ირლანდია, იტალია, ნორვეგია და შვედეთი.

ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია: 1. ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა; 2. ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება და ევროპული კულტურის განვითარება; 3. ევროპაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული და სხვა).

დღეისათვის ევროპის საბჭოში გაერთიანებულია ევროპის 47 სახელმწიფო (მათ შორის 28 ევროკავშირის წევრი ქვეყანაა). საქართველო მისი სრულუფლებიანი წევრი გახდა 1999 წლის 27 იანვარს.

ევროპის საბჭოს მთავარი ორგანოა მინისტრთა კომიტეტი და საპარლამენტო ანსამბლეა. მინისტრთა კომიტეტი აერთიანებს ყველა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს, ხოლო საპარლამენტო ანსამბლეა წარმოდგენილია 168 დეპუტატით. ევროსაბჭოს შტაბ-ბინა საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგშია.

1.5.3. ევროპის თანამეგობრობა (ევროკავშირი)

ევროკავშირი - **European Union** აერთიანებს ევროპის 28 სახელმწიფოს. ამ ორგანიზაციის შექმნას საფუძველი დაუდო "ევროპული ნახშირისა და ფოლადის გაერთიანებამ" (გაუქმდა 2002 წელს), რომელიც 1951 წელს ჩამოყალიბდა. დამფუძნებლები იყვნენ: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი. 1957 წელს ქ. რომში 6-მა დამფუძნებელმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას "ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას" და „ევროპის გაერთიანება ატომური ენერგიის დარგში" შექმნის შესახებ. 1967 წელს სამივე ორგანიზაცია გაერთიანდა და იწოდა ,,ევროპის გაერთიანება" - "საერთო ბაზარი".

1973 წელს ამ ორგანიზაციას შეუერთდა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი, 1981 წელს - საბერძნეთი, 1986 წელს - ესპანეთი და პორტუგალია, 1995 წელს - ფინეთი, შვედეთი და ავსტრია. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია ევროპული სივრცის ჩამოყალიბება, რეგიონში შემავალი ჩამორჩენილ და განვითარებულ რეგიონებს შორის არსებული განსხვავებების აღმოფხვრა, ერთიანი სავალუტო ერთეულის (ევრო) შემოღება და ევროპის ხალხთა კავშირის

შექმნა, რომელიც უკვე გაფორმდა 1992 წლის 6 თებერვალს ქ. მაასტრიხტის ხელშეკრულებით. ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი დღეისათვის არის 2003 წლის **„მიერთების შეთანხმება“ (Treaty of Accession),** რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ზემოთ აღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები ჩამოყალიბდა ერთიან დოკუმენტში - ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში, რომლის მიღების პროცედურა ამჟამად მიმდინარეობს. იმისათვის, რომ განხორციელდეს ის პროგრამები, რაც ევროპის თანამეგობრობას გააჩნია, შექმნილია სხვადასხვა ინსტიტუტი, როგორიცაა: მინისტრთა საბჭო, ევროპარლამენტი, ევროპის კომისია, სასამართლო და ევროპული საბჭო. ევროკავშირის შტაბ-ბინა ბელგიის ქალაქ ბრიუსელშია.

1.5.4. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

ორგანიზაციის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა პარიზისა და ვენის 1990 წლის და ჰელსინკის 1992 წლის დეკლარაციები. 1994 წელს ბუდაპეშტის უმაღ-ლესი შეხვედრის დროს გადაწყდა ეუთოს ორგანიზაციად გარდაქმნა, რომელიც 1995 წლიდან ფუნქციონირებს. ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია ქვეყნებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნა, საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვისათვის ზრუნვა, წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის სტიმული-რება, მშვიდობისა და უსაფრთხოების მჭიდრო ურთიერთკავშირის აღიარება, ადამიანთა უფლებების დაცვა, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მიღწევა და სხვა. ამჟამად ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 55 სახელმწიფო (ევროპის ყველა ქვეყანა, აშშ, კანადა, აგრეთვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა).

ეუთოს მთავარი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სათათბირო, რომელიც თავის სესიაზე ორ წელწადში ერთხელ იკრიბება.

1.5.5. შენგენის ქვეყნები

შენგენის ხელშეკრულება გაფორმდა 1985 წელს ლუქსემბურგის სოფელ შენგენში. თავდაპირველად ხელშეკრულება ამოქმედდა 7 ქვეყანაში (ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი, პორტუგა-ლია), 1997 წელს შეუერთდა იტალია და ავსტრია. 1999 წლის ამსტერდამის

შეხვედრაზე ხელშეკრულებამ საერთო ევროპული სამართლებრივი სტატუსი მიიღო, ანუ ევროკავშირის ყოველი ახალი წევრი ვალდებული იყო კანონმდებლობა მოეწესრიგებინა ამ დოკუმენტის გათვალისწინებით. 2000 წელს ზონაში შევიდა ახლადმიღებული საბერძნეთი და სკანდინავიის საპასპორტო კავშირის (ფინეთი, დანია, შვედეთი) ქვეყნები, ხოლო 2001 წელს ევროკავშირის არაწევრი 2 ქვეყანა ისლანდია და ნორვეგია. 2007 წელს ზონაში შევიდნენ ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. 2008 წლის 12 დეკემბერს ხელშეკრულებას მესამე არაწევრი ქვეყანა, შვეიცარია, ხოლო 2011 წელს არაწევრი ქვეყანა ლიხტენშტაინი შეუერთდა. ამჟამად ორგანიზაციაში 26 ქვეყანაა წარმოდგენილი.

შენგენის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ შემავალ სახელმწიფოებს შორის საზღვრები გაუქმებულიყო, ხოლო გარე საზღვრები გამაგრებულიყო. ასევე, ქვეყნები ვალდებულნი არიან, რომ ერთიანი პოლიტიკა შეიმუშაონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის შექმნას.

1.5.6. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)

1991 წლის 8 დეკემბერს, ბელარუსის დედაქალაქ მინსკის სამთავრობო რეზიდენცია ,,ბელოვეჟის ტევრში“, რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის (შეიქმნა 1922 წელს) დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (Содружество Независимых Государств - СНГ) შექმნის შესახებ. იმავე წლის დეკემბერში ქ. ალმა-ატაში ორგანიზაციას შეუერთდა 8 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა (ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი), ხოლო საქართველო 1993 წლის დეკემბერში. თურქმენეთმა 2005 წელს სრულუფლებიან წევრობაზე უარი განაცხადა და ამჟამად ასოცირებული წევრია. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველომ უარი განაცხადა ორგანიზაციის წევრობაზე და 2009 წლის აგვისტოში მისი შემადგენლობიდან გამოვიდა. რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, უკრაინა 2018 წელს გამოვიდა დსთ-ს შემადგენლობიდან. ამჟამად დსთ-ში 8 სახელმწიფოა. ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია: წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში თანამშრომლობა, თანამეგობრობის სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა უვიზო გადაადგილება და სხვ. დსთ-ს შტაბ-ბინა მდებარეობს ბელარუსის დედაქალაქ მინსკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.5.7. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი)

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი) - Organization of the Petroleum Exporting Countries, OPEC - კარტერი მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური გაერთიანებაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში კოლონიური სისტემის დაშლის შედეგად ბევრმა ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა და გამოაცხადა საკუთარი რესურსების ნაციონალიზაცია. ორგანიზაციის შექმნის იდეა ეკუთვნის ირანს, სადაც 1951 წელს გამოცხადდა ნავთობის ნაციონალიზაცია. შემდგომ წლებში მას მიბაძეს ალჟირმა, ერაყმა, კუვეიტმა, საუდის არაბეთმა, ლიბიამ, ვენესუელამ და სხვა ქვეყნებმა. იმ პერიოდში ნავთობი იყო ერთ-ერთი ყველაზე ექსპორტირებადი რესურსი, რომლის გეოგრაფიული დანაწილება პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად იქცა. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დადგა ნავთობმომპოვებელი ქვეყნების ინტერესების დაცვა და ერთ ორგანიზაციად გაერთიანება.

ორგანიზაცია - კარტერი (ოპეკი) დაფუძნდა 1960 წლის სექტემბერში. დამ-ფუძნებლები - ირანი, საუდის არაბეთი, ერაყი, კუვეიტი და ვენესუელა. მომდევ-ნო წლებში შეუერთდნენ - ლიბია (1962), ინდონეზია (1962 ყოფილი წევრი), ეკვა-დორი (1963-1993, 2007), არაბთა გაერთიანებული საემიროები (1967), ალჟირი (1969), ნიგერია (1971), გაბონი (1975), ეკვადორი (1963-1993, 2007), ანგოლა (2007). ამჟამად ორგანიზაცია აერთიანებს 13 წევრს. ორგანიზაციის მთავარი მიზანია წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვა, ნავთობის ბაზრებზე ფასების სტაბილი-ზაციის უზრუნველყოფა, მომხმარებელი ქვეყნებისთვის ნავთობის მიწოდების სტაბილურობა და სხვ. ორგანიზაციის შტაბ-ბინა 1965 წლიდან ავსტრიის დე-დაქალაქ ვენაში იმყოფება.

1.5.8. შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა

შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის (ბისეკი - BSEC) ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა თურქეთს ეკუთვნის. 1992 წლის 25 ივნისს ქ. სტამბოლში თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაი-ჯანის, ალბანეთის, სომხეთის, ბულგარეთის (სერბეთი შეუერთდა 2004 წელს) სახელმწიფოთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს სტამბოლის დეკლარაციას.

ორგანიზაციის ძირითადი მიზანია რეგიონის ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა, წევრი ქვეყნების ხალხის კეთილდღეობა და შავი ზღვის სივრცეში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა. ორგანიზაციამ რეგიონში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პრინციპე-

ბის ინიცირებაში, გაზარდა რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობა და შექმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუტები (საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო, თანამშრომლობის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო, შტაბ-ბინა არის ქ. სტამბოლში, დარგობრივი სამუშაო ჯგუფები და სხვ.). დიდი წარმატებები იქნა მიღწეული ერთიანი სატრანსპორტო სისტემის, ერთიანი სარალეო ხაზის, ერთიანი ენერგოსისტემის პროექტების, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების და სხვა პროგრამების შექმნის მიმართულებით. საქართველო აქტიურადაა ჩართული მისი ყველა პროექტის განხორციელებაში.

1.5.9. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ - International Monetary Fund) შეიქმნა 1944 წელს აშშ-ში, ბრეთონ ვუდის კონფერენციაზე. მისი შექმნის ინიციატორები იმჟამინდელი აშშ-ის პრეზიდენტი ფ. რუზველტი და ფინანსთა მინისტრი ს. მორგენთაუ იყვნენ. 1947 წელს ორგანიზაციაში შედიოდა 49 ქვეყანა, ამჟამად აერთიანებს 189 ქვეყანას. ორგანიზაციას მინიჭებული აქვს გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი. ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია: გლობალური ფინანსური სისტემის უზრუნველყოფა უცხოური გაცვლის კურსების და საგადასახადო ბალანსის მონიტორინგის საშუალებით, საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობა, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, განვითარებადი ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა და სხვ. სსფ-ის საწესდებო კაპიტალი 220 მილიარდ დოლარს აღემატება, შტაბ-ბინა ვაშინგტონშია.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია მსოფლიო ბანკი - World Bank შეიქმნა 1945 წელს. თავდაპირველად ორგანიზაცია ასოცირდებოდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან. 1960 წელს შეიქმნა განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, რომელმაც მსოფლიო ბანკის ფუნქციების ნაწილი იტვირთა. ბოლო წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციების გაერთიანებით ეწოდა მსოფლიო ბანკის ჯგუფი. ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია გლობალიზაციის პერიოდში ადამიანთა ინტერესების უზრუნველყოფა, ეკონომიკის ამაღლება გარემოზე ნაკლები ზიანის მიყენების გარეშე, ახალი ინიციატივებისა და შესაძლებლობების განხორციელება, განვითარებადი ქვეყნების ფინანსური და ტექნიკური დახმარება და სხვ. საწესდებო კაპიტალი 210 მილიარდ დოლარს აღემატება. ორგანიზაცია აერთიანებს 188 ქვეყანას, შტაბ-ბინა არის ვაშინგტონში.

1.5.10. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი** (**European Bank for Reconstruction and Development**) დაარსდა 1991 წლის აპრილში, ლონდონში. 61 ქვეყნის და ორი საერთაშორისო ორგანიზაციის (ევროკავშირი და ევროპის საინვესტიციო ბანკი) მიერ. საფინანსო ინსტიტუტის ძირითადი მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეწია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განვითარებისათვის ფინანსური დახმარება. ასევე, ბანკი აფინანსებს ახალწამოწყებული საქმიანობის, ასევე არსებული ბიზნესის პროექტებს, თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორთან და აქვს დაფინანსების ფართო სპექტრი (სესხების გაცემა, კაპიტალის შექმნაში მონაწილეობა, ბანკებისათვის საკრედიტო ხაზების გახსნა და სხვ.).

1.5.11. მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია

მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organization) შეიქმნა 1947 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში. მისი მიზანია გლობალური სავაჭრო კანონების შექმნა, აგვარებს სავაჭრო უთანხმოებას მის წევრ ქვეყნებს შორის, საბაჟო გადასახადების შემცირებით გააადვილოს ვაჭრობა ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს შორის, მოახდინოს ტარიფების შეთანაწყობა და სხვა.

ორგანიზაცია აერთიანებს 164 ქვეყანას (საქართველო სრულუფლებიანი წევრი გახდა 1999 წელს). ორგანიზაციის შტაბ-ბინა ჟენევაშია.

1.5.12. ჩრდილო ატლანტური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სოციალისტური ბანაკის შექმნამ გაამწვავა ურთიერთობა დასავლეთთან, რამაც დღის წესრიგში დააყენა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნის აუცილებლობა, რომლის ძირითადი მიზანი იქნებოდა მათ წინააღმდეგ მიმართული ყველა სახის აგრესიის შეჩერება.

ჩრდილო ატლანტური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო - North Atlantic Treaty Organisation, NATO) დაფუძნდა 1949 წლის 4 აპრილს ქ. ვაშინგტონში. მისი დამფუძნებლები იყვნენ: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ნორვეგია, დანია და ისლანდია. 1952 წლიდან დაიწყო პირველი გაფართოება - შეუერთდა თურქეთი და საბერძნეთი (1974 წლიდან 1980 წლამდე საბერძნეთი არ იღებდა

მონაწილეობას ალიანსის სხვა წევრთან - თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო). 1955 წლიდან - გერმანია, 1982 წლიდან - ესპანეთი.

სოციალისტურის სისტემის დაშლის შემდეგ ნატომ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. მისი ერთ-ერთი მიზანი არა აგრესიის მოგერიება იყო, არამედ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის გაძლიერება. 1991 წელს დაარსდა ჩრდილო ატლანტური თანამშრომლობის საბჭო, რომლის მიზანი გახდა ევროპაში დამოუკიდებელ ქვეყნებთან დაახლოება და თანამშრომლობა. 1994 წლიდან მოქმედებს პროგრამა ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელიც სამხედრო თანამშრომლობას ითვალისწინებს. ნატოს მეოთხე გაფართოება განხორციელდა 1999 წლის 12 მარტს, ალიანსს შეუერთდა უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი. მეხუთე გაფართოება მოხდა 2004 წლის 29 მარტს - ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. ბოლო მეექვსე გაფართოება იყო 2009 წლის 1 აპრილს - ალბანეთი და ხორვატია. ამჟამად (2019 წ.) ნატოს შემადგენლობაში 29 ქვეყანაა.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ნატოს სამხედრო წვრთნებში, თავის მხრივ, ჩრდილო ატლანტური ალიანსი დახმარებას უწევს ქართულ არმიას სამხედრო კადრების მომზადებასა და აღჭურვაში.

ნატოს გენერალური მდივანია იენს სტოლტენბერგი (ნორვეგია, 2018 წ.). ორგანიზაციის შტაბ-ბინა ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 2. ევროპა

2.1. ზოგადი დახასიათება

ევროპა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, რომელიც უძველესი პერიოდიდან ინარჩუნებს თავის დომინანტურ როლს მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ევროპის ფართობი 9,9 მლნ კმ², სადაც 765 მლნ (2018 წ.) კაცი ცხოვრობს.

ევროპა განლაგებულია ევრაზიის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში, გააჩნია საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა რეგიონის განვითარებაში. ევროპის ქვეყნების საუკეთესო სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს ქვეყნებს შორის მჭიდრო ინტეგრალურ და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს. სწორედ ევროპის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირება. ევროპაში სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი, აზიისა და აფრიკის რეგიონებთან შედარებით, გარკვეულწილად ჩამორჩებოდა. პირველი ევროპული სახელმწიფოები ჩნდება ძვ.წ. პირველ ათასწლეულში. ევროპის პოლიტიკური რუკის ფორმირება ძირითადად განხორციელდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ. ამასთან, პოლიტიკური რუკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი საბჭოთა კავშირის დაშლამაც შეასრულა. ამჟამად ევროპაში 48 ქვეყანაა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პოლიტიკური წყობითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით.

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ევროპის რელიეფი საკმაოდ მრავალფეროვანია. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაბლობებს უჭირავს, განსაკუთრებით, აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. მთებს უკავია ტერიტორიის 17%. მთიანი რეგიონები წარმოდგენილია კავკასიაში, ცენტრალურ ევროპაში, ჩრდილო-აღმოსავლეთში და ბალკანეთში. რეგიონის საშუალო სიმაღლე 300 მ-ია, უმაღლესი წერტილი ცენტრალური კავკასიონის მწვერვალი იალბუზია - 5642 მ. ევროპის რელიეფი, გარდა მცირე გამონაკლისისა, განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარების საქმეში საუკეთესო პირობებს ქმნის.

ევროპა განლაგებულია არქტიკულ, სუბარქტიკულ, ზომიერ და სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყლებში, სადაც ტერიტორიის დიდ ნაწილზე ჩამოყალი-

ბებულია ზომიერი, ხოლო ხმელთაშუა ზღვისპირეთში - სუბტროპიკული ჰავა. იანვრის საშუალო ტემპერატურა ხმელთაშუაზღვისპირეთში +10°C - +12 °C, ხოლო უდაბლესი ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში -20°C. ივლისის საშუალო ტემპერატურა ხმელთაშუა ზღვისპირეთში +28°C - +30°C, არქტიკულ კუნძულებზე +2-4°C. აბსოლუტური მაქსიმუმები +48°C პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ფიქსირდება. ნალექების რაოდენობა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათანობით მცირდება. სამხრეთ აღმოსავლეთში 200-500 მმ, აღმოსავლეთ ევროპაში - 500-600 მმ, ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე - 4000 მმ, ხოლო მაქსიმუმები საქართველოს ტერიტორიაზე - მთა ტირალაზე - 4500 მმ-ია. ევროპის ჰავა რეგიონის დიდ ნაწილზე განსახლებისა და სამეურნეო საქმიანობისთვის კარგ პირობებს ქმნის.

ევროპა მინერალური რესურსებით საკმაოდ მდიდარი რეგიონია, სადაც მოიპოვება თითქმის ყველა სახის წიაღისეული. ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი საბადოები დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ბაქნების პალეოზოურ და მეზოზოურ ნალექებთან, მეორე მხრივ, ალპური ნაოჭა სარტყლის მთისპირა და მთათაშუა როფების ნეოგენურ წყებებთან. ნავთობისა და გაზის ძირითადი საბადოები არის აღმოსავლეთ (ვოლგა-ურალი, პეჩორა, გროზნო, აფშერონი) და ჩრდილო ევროპაში (სკანდინავია, ჩრდილოეთის ზღვა). ქვანახშირის უმსხვილესი აუზებია რუსეთში (პეჩორა), გერმანიაში (რური), უკრაინაში (დონბასი), პოლონეთში (სილეზია), დიდი ბრიტანეთში (იორკშირი) და სხვ. მურა ნახშირით მდიდარია რუსეთი, გერმანია, პოლონეთი, უკრაინა, ბელგია და სხვ. რკინის მადნის მსხვილი საბადოებია რუსეთში (კურსკის მაგანიტური ანომალია, ურალზე, კოლის ნახევარკუნძულზე), უკრაინაში (კრივოი როგი), საფრანგეთში (ლოტარინგია), შვედეთსა (კირუნა) და სხვ. მანგანიუმის მნიშვნელოვანი საბადოები არის რუსეთში, უკრაინასა (ნიკოპოლი) და საქართველოში (ჭიათურა). სხვადასხვა სახის ფერადი ლითონებით უმდიდრესია რუსეთი. სპილენძის საბადოებია რუსეთში, გერმანიაში, პოლონეთში, საბერძნეთში, ესპანეთში, სომხეთში, საქართველოსა და სხვ. ალუმინის ნედლეულით გამოირჩევა რუსეთი და საფრანგეთი. ვერცხლისწყლით - იტალია. კალიუმის მარილებით მდიდარია რუსეთი, გერმანია და ბელარუსი. ევროპაში მინერალური რესურსებით უღარიბესი ქვეყნებია ისლანდია, დანია, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ბელარუსი, მოლდოვა, ლუქსემბურგი, ავსტრია და სხვ. თანამედროვე ევროპა, განსაკუთრებით დასავლეთი ევროპა, განიცდის მინერალური რესურსების დეფიციტს, რომლის შევსებაც დიდ პოლიტიკასთან და ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული.

წყლის რესურსებით, განსაკუთრებით, მდინარეთა ჰიდროპოტენციური ენერგიით მდიდარია რუსეთი, ნორვეგია, შვედეთი, ავსტრია, შვეიცარია, საქართველო და სხვ. ტყის რესურსებით გამორჩეული ქვეყნებია: რუსეთი (მსოფლიო მარაგის 1/3 ნაწილი), ფინეთი, შვედეთი, ავსტრია და სხვ. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით განსაკუთრებით უმდიდრესია საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი, საქართველო და სხვ. ევროპის მრავალფეროვანი მიწისა და აგროკლიმატური რესურსები განაპირობებენ ინტენსიურ და სასაქონლო სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მოსახლეობა

ევროპა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსახლების რეგიონია, სადაც მოსახლეობის დასახლება შორეულ წარსულში მოხდა. ჩვ.წ. აღის დასაწყისში ევროპაში - 40 მლნ, 1000 წელს - 53 მლნ, 1500 წელს - 90 მლნ, 1800 წელს - 210 მლნ, 1900 წელს - 425 მლნ, 2000 წელს - 728 მლნ და 2018 წელს - 765 მლნ კაცი ცხოვრობდა. ევროპის მოსახლეობა, მსოფლიოს სხვა რეგიონებთან მიმართებით, ნელი ტემპით იზრდება. მსოფლიოს მოსახლეობა 1950-2018 წლებში 2,52 მლრ-დან 7,55 მლრდ-მდე, ანუ 3,0-ჯერ, როცა ევროპის მოსახლეობა მხოლოდ 1,4 ჯერ გაიზარდა. XXI საუკუნეში მსოფლიოს მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდის ტემპი 1,2%-ია, როცა ანალოგიური მაჩვენებელი ევროპაში მხოლოდ 0,3%-ია. ევროპის მოსახლეობის დინამიკაზე უარყოფითი გავლენა იქონია XVII-XIX საუკუნეებში კონტინენტთაშორისმა მიგრაციამ (ამ პერიოდში ევროპიდან ამერიკაში გადასახლდა 35 მლნ-ზე მეტი), აგრეთვე, პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა (ამ პერიოდში 60 მლნ-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა). ევროპაში დაბალია მოსახლეობის აღწარმოების დონე და საშუალოდ 1000 კაცზე 1,5-2 პრომილეა (დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში დეპოპულაციაა, ხოლო შედარებით კარგი მდგომარეობაა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში).

ევროპაში დემოგრაფიული კრიზისი, ძირითადად, დარღვეული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შედეგადაა განპირობებული. მამაკაცების ხვედრითი წილი 47,2%-ია, ხოლო ქალების - 52,6% , როცა მსოფლიოში მამაკაცები - 50,4%-ია, ქალები კი - 49,6% (2018 წ). დასავლეთ ევროპის ცალკეულ ქვეყანაში მამაკაცების რაოდენობა 45%-ს არ აჭარბებს. ამ კუთხით შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. გაუარესებულია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 14,3% (მსოფლიოში-25,7%), 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 67,8%, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაზე - 17,9% (მსოფლიოში-8,5%). დეპოპულაციის ქვეყნებში 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა 12%-ზე

ნაკლებია, ხოლო 65 წელს ზემოთ მოსახლეობა 20%-ს აჭარბებს. აღნიშნული თავისებურება, ერთი მხრივ, განპირობებულია დაბალი აღწარმოების ტემპით და მეორე მხრივ, სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობით. თუ მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 69 წელია, ევროპაში ეს მაჩვენებელი 75 წელს აჭარბებს. ყველაზე მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არის მონაკოში - 86 წელი, შვეიცარიაში - 80 წელი და სხვ.

ეთნიკური თვალსაზრისით, ევროპა არცთუ ისე ჭრელი რეგიონია. ქვეყნების დიდ ნაწილში ცხოვრობს ადგილობრივი ეთნოსის ხალხი, რომლებიც უპირატესად ინდოევროპულ და ალთაურ ენობრივ ოჯახებს მიეკუთვნებიან. ისინი, ძირითადად, წარმოადგენენ გერმანულ, რომანულ და სლავურ ენობრივ ჯგუფებს. ყველაზე დიდი ერებია რუსები (125 მლნ), გერმანელები (82 მლნ), ფრანგები (60 მლნ), იტალიელები (58 მლნ), ინგლისელები (55 მლნ), ესპანელები (35 მლნ) და სხვ. მრავალეროვანი ქვეყნებია - რუსეთი, უკრაინა, ბალკანეთისა და ბალტიის ქვეყნები და სხვ. ერთეროვანი ქვეყნებია - სომხეთი, პოლონეთი, გერმანია, ისლანდია, იტალია და სხვ.

რასობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით, ევროპის მოსახლეობის უპირატესად დიდი ნაწილი - 95%-ზე მეტი ინდოევროპული რასის ხალხია. ცხოვრობენ ნეგროიდული რასის წარმომადგენლებიც, ძირითადად, დასავლეთ ევროპაში. გარდამავალი რასის (მულატები, მეტისები, ზამბოები, კრეოლები) ხალხთა ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

თანამედროვე ევროპაში უფრო მეტად დამახასიათებელია შიდა კონტინენტალური მიგრაციები. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობა მუდმივ საცხოვრებლად დასავლეთ და ჩრდილო ევროპაში გადადის. ამასთან, ადგილი აქვს კონტინენტთაშორის მიგრაციებსაც. კერძოდ, აღმოსავლეთი ევროპის მოსახლეობა საცხოვრებლად ჩრდილო ამერიკაში გადადის. ევროპაში არალეგალური მიგრაციის დიდი პრობლემაა. აფრიკისა და სამხრეთ-დასავლეთი აზიის ქვეყნების მოსახლეობა ცდილობს სხვადასხვა გზებით ევროპაში მოხვედრას. მიგრაციის საშუალო ინტენსივობა ყოველ 1000 კაცზე - 5,5, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში - 2,5 კაცია. მიგრაციის უარყოფითი ბალანსი აღმოსავლეთ ევროპის, ხოლო დადებითი - დასავლეთ ევროპის ქვეყნებშია.

ევროპა შრომითი რესურსებით საკმაოდ უზრუნველყოფილი რეგიონია, მაგრამ არათანაბრადაა განაწილებული. აღმოსავლეთ ევროპაში დასაქმების პრობლემებია, როცა დასავლეთ ევროპაში შრომითი რესურსების დეფიციტია. შრომითი რესურსების საშუალო მაჩვენებელი მთელ მოსახლეობასთან მიმართებით 51%-მდეა, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 48%-ს აღემატება. მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა, მეურნეობის სექტორების მიხედ-

ვით, შიდარეგიონალური თავისებურებებით გამოირჩევა. ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში საშუალოდ დასაქმებულია - 1,2%, მრეწველობაში - 24,7%, მომსახურების სფეროში - 74,1%. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დასაქმება საშუალოდ მაღალია სოფლის მეურნეობაში (აზერბაიჯანი - 37,0%, სომხეთში - 36,6%, ალბანეთში - 23,3%, უკრაინაში - 14%) და დაბალია მომსახურების დარგებში (სომხეთში - 46,7%, აზერბაიჯანში - 48,9%, სერბეთში - 49,1%, ბელარუსში - 51,1%, თურქეთში - 61,4%). უმუშევრობის საშუალო დონე 11-12%-ია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში - 7-8%, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში - 16-17%-ია. სიღარიბის მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში 9,8%-ია, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში 20%-ს აჭარბებს.

ევროპა მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, სადაც მოსახლეობა (რუსეთის გამოკლებით) საკმაოდ თანაბრადაა განლაგებული. საშუალო სიმჭიდროვე 74 კაცია 1 კმ²-ზე. საშუალო სიმჭიდროვე მაღალია დასავლეთ, ხოლო ნაკლები აღმოსავლეთ ევროპაში. ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვეა მონაკოში - 15500 კაცი, სან-მარინოში - 514 კაცი, ნიდერლანდებში - 460 კაცი, ხოლო ყველაზე დაბალია ისლანდიაში - 3 კაცი.

ევროპა მაღალურბანიზებული რეგიონია, სადაც ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 72%. ურბანიზაციის დონე მაღალია დასავლეთ, ხოლო დაბალი - აღმოსავლეთ ევროპაში. ურბანიზაციის საშუალო ტემპი 0,8%-ია (მსოფლიოში 1,9%). ურბანიზაციის ტემპი შედარებით მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ევროპაში საქალაქო ქსელის ფორმირების პროცესი ინტენსიურად კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდიდან იწყება, სადაც ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპული ქალაქების ტიპი - ცენტრში განლაგებული საბაზრო მოედნით (რატუშით), რომელთა შემდგომი დაგეგმარება რადიალური განშტოებებით მიმდინარეობდა. აგლომერაციების ჩამოყალიბების პროცესი XIX საუკუნიდან იწყება, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. მეგაპოლისები უფრო მეტად დასავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქების (პარიზი, ლონდონი, რომი და სხვ.) გარშემო ჩამოყალიბდა. უდიდესი ქალაქებია: მოსკოვი - 12,5 მლნ, ლონდონი - 8,2 მლნ, სანკტ-პეტერბურგი - 4,9 მლნ, ბერლინი - 3,5 მლნ და სხვ.

ევროპაში სასოფლო დასახლებები, ტერიტორიული ორგანიზაციის თვალსაზრისით, რეგიონალური თავისებურებებით ხასიათდება. კომპაქტური სასოფლო დასახლებები დასავლეთ ევროპაში წარმოდგენილია ფერმერული მეურნეობების სახით, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კოლექტიური მეურნეობების (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები) ხარჯზე ჩამოყალიბდა, უპირატესად საკარმიდამო მეურნეობებით. აღმოსავლეთ ევ-

როპის ჩრდილო ნაწილში გვხვდება დისპერსიული სასოფლო დასახლებები - ხუტორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ევროპა მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი უმსხვილესი რეგიონია, სადაც პირველად ჩაისახა სამრეწველო კაპიტალიზმი, ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ტრანსპორტის ახალი სახეები. თანამედროვე ევროპის მეურნეობა დინამიურად ვითარდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, მაღალტექნოლოგიური ძირითადი ფონდების, უდიდესი ფინანსური რესურსების, კვალიფიციური მუშახელისა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების საფუძველზე. რეგიონის მეურნეობის განვითარებაზე, აგრეთვე, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის მიზანმიმართული ეკონომიკური ინტეგრაცია (ევროკავშირი). მსოფლიოში 220 უმსხვილესი ბანკიდან, ევროპაში ფუნქციონირებს 70-ზე მეტი, რომლებიც ლონდონის, ფრანკფურტის, ციურიხისა და სხვა ფინანსური ცენტრებიდან ახორციელებენ მეურნეობის დაგეგმვასა და დაფინანსებას.

ევროპაში 2017 წელს წარმოებული იყო 24,6 ტრილიონი დოლარის პროდუქცია (მსოფლიოს მშპ-ის 19,4%), აქედან 20,4 ტრილიონი ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა. რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურაში წამყვანია მომსახურების დარგები საშუალოდ - 67-68% (ევროკავშირის ქვეყნებში 75%-ზე მეტი), მრეწველობის ხვედრითი წილი საშუალოდ 25-26%-ია, ხოლო სოფლის მეურნეობის წილი თანდათანობით ეცემა. რეგიონის ეკონომიკაში კვლავაც ჩამორჩენილი პოზიციები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უკავიათ, თუმცა სოციალისტური სისტემის დემონტაჟის შემდეგ საბაზრო ეკონომიკა საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება. ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფით გავლენას სანედლეულო ბაზის, განსაკუთრებით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტი ახდენს. გამომდინარე აქედან, მეურნეობის მოდერნიზაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე ნაკლებმასალატევადი, მეცნიერებატევადი და შრომატევადი დარგების განვითარების მიმართულებით მიმდინარეობს.

მრეწველობა

ევროპაში სამრეწველო კაპიტალიზმის ჩასახვა XVI საუკუნიდან დაიწყო და XIX საუკუნეში მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა. თანამედროვე პერიოდში ევროპის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურასა და ტერიტორიულ განლაგებაში მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა. მრეწველობის ძირითადი სპეციალიზაციის დარგი მანქანათმშენებლობაა, სადაც დასაქმებულია სამრეწველო პერსონალის 1/3 ნაწილი, იძლევა პროდუქციის 37-38%-ს და ექსპორტის 70%-ს.

დასპეციალიზებულია მართვადი და პროგრამული ჩარხების, ავტომანქანების, გემების, ავიარაკეტული მოწყობილობების, ელექტრონული და -რადიოტექ-ნიკური, საყოფაცხოვრებო პროდუქციის და სხვა მოწყობილობების წარმოებაზე. გამოირჩევა ავტომშენებლობით, სადაც საშუალოდ ყოველწლიურად 12-13 მილიონი ავტომანქანა იწარმოება. უმსხვილესი კომპანიებია: გერმანიაში - „ფოლკსვაგენი", ,,მერსედეს ბენცი", „ბმვ", „აუდი"; საფრანგეთში - „რენო", „სიტროენი"; იტალიაში - „ფიატი"; შვედეთში -„ვოლვო"; რუსეთში - „ვაზი" და სხვ. კოსმოსური მოწყობილობების და საავიაციო ტექნიკის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყნებია რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვ. გამოირჩევა გემების (რუსეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი), ლოკომოტივების, მოტოციკლეტების, ველოსიპედების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების წარმოებით. საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ გერმანიას - „სიმენსი", იტალიას - „არისტონი", „ინდეზიტი", ნიდერლანდებს - „ფილიპსი", საფრანგეთს და სხვ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა კარგადაა განვითარებული რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, უკრაინასა და სხვ.

ევროპაში ერთ-ერთი მთავარი სპეციალიზაციის დარგი ქიმიური მრეწველობაა, სადაც თანამედროვე ქიმიის ყველა სახის პროდუქცია იწარმოება. ბოლო დროს, სანედლეულო ბაზის დეფიციტის და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შედეგად, ქიმიური მრეწველობის კონცენტრაციის ტერიტორიულ განლაგებაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ძვრები. უმსხვილესი ცენტრებია ვოლგისპირეთში, რაინის, თემზის, სენას, რონას და სხვა მდინარეთა აუზებსა და ესტუარებში. სამთო ქიმია კარგადაა განვითარებული რუსეთში (მოიპოვება ყველა სახის ქიმიურ ნედლეული), გერმანიაში (კალიუმის მარილები), იტალიაში (გოგირდი), ბელარუსში (კალიუმის მარილები), უკრაინაში (კალიუმის მარილები, ქვამარილი), პოლონეთში (გოგირდი) და სხვ. ძირითადი ქიმია მეტ-ნაკლებად ბევრ ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ წარმოების მასშტაბებით გამოირჩევა რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, უკრაინა და სხვ. ორგანული ქიმია, ძირითადად, ეფუძნება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, შესაბამისად, მაღალგანვითარებულ ქვეყნებშია შედარებით უკეთ განვითარებული. ქიმიური მრეწველობის ცალკეული პროდუქციის წარმოებით გამორჩეული ქვეყნებია: საფრანგეთი - პარფუმერიით, გერმანია - მედიკამენტებით, შვეიცარია - მედიკამენტებით, ბულგარეთი - მედიკამენტებით. ქიმიური მრეწველობის უმსხვილესი კომპანიებია გერმანიაში („ბაიერი", „ჰოეხტი", „ბასფი"), ამასთან, გერმანია ქიმიური მრეწველობის პროდუქციის ექსპორტით მსოფლიოში პირველ ადგილ-

ზეა (10%), უმსხვილესი ცენტრი ლივერკუზენია, სადაც არის კომპანია ,,ბაიერის“ შტაბ-ბინა.

შავი მეტალურგია კაპიტალიზმისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად საკმაოდ ინტენსიურად ვითარდებოდა. შავი მეტალურგიის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულით რუსეთი, უკრაინა, შვედეთი, პოლონეთი და სხვა ქვეყნები გამოირჩევიან. რკინის მადნის ძირითადი მომპოვებელი ქვეყნებია: რუსეთი, უკრაინა, შვედეთი და სხვ. რკინის მადნის მსხვილი იმპორტიორებია: გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი და სხვ. ევროპაში საშუალოდ იწარმოება 275 მლნ ტ ფოლადი და 265 მლნ ტ თუჯი. წარმოების დიდი ნაწილი რუსეთზე, გერმანიაზე, დიდ ბრიტანეთზე, ბელგიაზე, საფრანგეთზე, იტალიაზე, პოლონეთსა და უკრაინაზე მოდის. შავი მეტალურგიის ძირითადი რაიონებია: რუსეთში ურალი და ცენტრი, გერმანიაში - რური, საფრანგეთში - ლოტარინგია, დიდ ბრიტანეთში - მიდლენდი, ბელგიაში - ლიეჟ-შარლურეა, პოლონეთში - სილეზია, უკრაინაში - დონბასი და სხვ. შავი მეტალურგიის უმსხვილესი კომპანიებია: რუსეთში - „რუს მეტალ“, გერმანიაში - „თისენი“, იტალიაში - ,,ფინსიდერი“ და სხვ. ზემოთ დასახელებულ მწარმოებელ ქვეყნებზე მოდის შავი მეტალურგიის პროდუქციის ექსპორტი, ხოლო მთავარი იმპორტიორებია ბალტიის ქვეყნები, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი და სხვ.

ფერადი მეტალურგია კარგადაა განვითარებული რუსეთში, სადაც ყველა სახის ფერადი ლითონი იწარმოება. სპილენძის წარმოებით გამოირჩევიან რუსეთი (ურალი, კოლის ნახევარკუნძული), გერმანია, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, სომხეთი და სხვ. ალუმინის მრეწველობა კარგადაა განვითარებული რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიაში, ფინეთში, უკრაინაში და სხვ. სხვა ფერადი ლითონების წარმოებით გამორჩეულია რუსეთი და დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნები (იტალია ევროპაში ვერცხლისწყლით პირველ ადგილზეა).

ხე-ტყის მრეწველობა, ზოგადად ევროპის მრეწველობის არასპეციალიზაციის დარგია, მაგრამ ამ კუთხით გამორჩეული ქვეყნებია: რუსეთი (არხანგელსკი - ხე-ტყის დედაქალაქი), გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი და სხვ. ევროპაში საშუალოდ 52-53 მლნ ტ ქაღალდი იწარმოება. ქაღალდის უმსხვილესი მწარმოებლებია: შვედეთი - 10 მლნ ტ, ფინეთი - 9 მლნ ტ (ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში პირველ ადგილზეა - 1772 კგ), გერმანია - 8 მლნ ტ, რუსეთი -7,7 მლნ ტ, საფრანგეთი - 6 მლნ ტ და სხვ. დასახელებულ ქვეყნებზე მოდის ხე-ტყის პროდუქციის ექსპორტის დიდი ნაწილი. მთავარი იმპორტიორებია სამხრეთ ევროპისა და კავკასიის ქვეყნები.

საშენ მასალათა მრეწველობა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციების განვითარებით რუსეთი და დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან. ცემენტის უმსხვილესი მწარმოებლები რუსეთი - 42 მლნ ტ და იტალია - 38 მლნ ტ.

ევროპაში კაპიტალიზმის ჩასახვა მსუბუქი მრეწველობის ბაზაზე განხორციელდა. XX საუკუნეში მსუბუქმა მრეწველობამ ჩრდილოეთიდან (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია) იაფი მუშახელის და სანედლეულო ბაზის გამო სამხრეთით და აღმოსავლეთით გადაინაცვლა. იტალია - შალეულის, სამკერვალო და ფეხსაცმლის, პორტუგალია - სამკერვალო, საბერძნეთი - ბეწვეულის, რუმინეთი - ტყავის, რუსეთი - ბამბეულის და სელის წარმოებაზე დასპეციალიზდნენ. მოდების კანონმდებლებად კვლავაც პარიზი (XIII საუკუნეში მეფის განკარგულებით შეიქმნა პირველი სამოდელო საწარმოები) და მილანი რჩებიან. მსუბუქი მრეწველობის დარგობრივი და ტერიტორიული ცვლილებების მიუხედავად, ძველ ცენტრებს არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და უმსხვილეს ცენტრებად რჩებიან. დიდ ბრიტანეთში - მანჩესტერი, რუსეთში - ივანოვო, საფრანგეთში - ლიონი, პარიზი, იტალიაში - მილანი, პრატო, პოლონეთში - ლოძი, გერმანიაში - პირგანზესი, ბელგიაში - ფლანდრია და სხვ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მსუბუქი მრეწველობის ბევრი საწარმო დაიხურა.

კვების მრეწველობა ევროპის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. იგი აბსოლუტურად ყველა ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ საერთაშორისო სპეციალიზაციის განვითარებით ცალკეული ქვეყნები გამოირჩევა. მაგალითად, რუსეთი - საფქვავ-საბურღულე, ხორცის, რძის, საკონდიტრო, თევზის კონსერვების; გერმანია - ხორცის, ლუდის; დიდი ბრიტანეთი - ხორცის, რძის; საფრანგეთი - ღვინის, ხორცის, საფქვავ-საბურღულე, ყველის; იტალია - ღვინის, საფქვავ საბურღულე (მაკარონი), ბოსტნეულის კონსერვების, ნაყინის; ნიდელანდები - რძის, ყველის, ბელგია - რძის, საკონდიტრო; ესპანეთი - ხილის კონსერვების, ღვინის; პორტუგალია - ღვინის; უკრაინა - შაქრის, საფქვავ-საბურღულე, ზეთის; ჩეხეთი - ლუდის; ბულგარეთი - ბოსტნეულის კონსერვების; საქართველო - ღვინის, მინერალური წყლების და სხვ.

სოფლის მეურნეობა

ევროპა სასოფლო-სამეურნეო წარმოებით ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია, სადაც პირველად ჩაეყარა საფუძველი ინტენსიურ, მსხვილ სპეციალიზებულ ფერმერულ, მაღალსაქონლურ და აგრობიზნესის სისტემას. მართალია, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო აგროკლიმატური რესურსები

ყველგან ერთნაირი არ არის, მაგრამ ამ თვალსაზრისით შედარებით საუკეთესიო პირობები ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და კავკასიაშია. სასოფლო სამეურნეო სავარგულებით მდიდარი ქვეყნებია: რუსეთი, უკრაინა, საფრანგეთი, რუმინეთი, იტალია, თურქეთი, აზერბაიჯანი და სხვ. ღარიბი ქვეყნებია: ნორვეგია, შვედეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ავსტრია, შვეიცარია, საქართველო, სომხეთი და სხვ. ევროპაში ერთ სულ სოფლის მცხოვრებზე საშუალოდ 0,9 ჰა სახნავი მიწა მოდის. ამ კუთხით უკეთესი მდგომარეობაა რუსეთში, უკრაინაში, საფრანგეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, აზერბაიჯანსა და სხვ. ინტენსიურად მიმდინარეობს ფერმერული მეურნეობების გამსხვილების პროცესი, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპაში. საშუალოდ ერთი ფერმერი ფლობს 30 ჰექტრამდე სასოფლო სამეურნეო სავარგულს.

ევროპაში აგროკლიმატური რესურსების და ისტორიული პირობების შედეგად სოფლის მეურნეობის ოთხი რაიონი ჩამოყალიბდა: 1. ჩრდილო ევროპული - ინტენსიური სარძევე და სარძევე-სახორცე მეცხოველეობის წამყვანი როლით; 2. შუა ევროპული - მეცხოველეობისა და მემცენარეობის (უპირატესად, მეცხოველეობის საკვები კულტურების) სპეციალიზაციით; 3. სამხრეთ ევროპული - მემცენარეობის (მარცვლეულის, მევენახეობის, ბოსტნეულის, სუბტროპიკული კულტურების, ეთერზეთოვანი კულტურების) სპეციალიზაციით; 4. აღმოსავლეთ ევროპული - მემცენარეობის (ხორბლის, ჭვავის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის, ბამბის), მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის (მესაქონლეობის, მეცხვარეობის, მეღორეობის) წამყვანი სპეციალიზაციით.

ევროპის მთლიან შიდა პროდუქციაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი, სხვა რეგიონებთან შედარებით, დაბალია და 4-5%-ს არ აღემატება. ნაკლებაგრალური ქვეყნებია: მონაკო, სან-მარინო, ლუქსემბურგი, გერმანია, ბელგია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, მალტა, სლოვენია, ნორვეგია, სადაც მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი 0,1-2,5%-ია. აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვაში, ალბანეთში, სომხეთში სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში კვლავაც მაღალია.

ბოლო წლებში ევროპაში პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას დიდი ყურადღება ენიჭება. გამომდინარე აქედან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს „მწვანე ევროპის“ ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხოლო ქიმიური სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენების შეზღუდვას.

ტრანსპორტი

ევროპას მსოფლიოს სატრანსპორტო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მასზე მოდის მსოფლიოს ტვირთბრუნვის 1/3 და მგზავრთბრუნვის 2/4 ნაწილი. რეგიონის ტრანსპორტის განვითარებაზე გავლენას ახდენს საუკეთესო სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის განლაგება, საწარმოო ძალების მაღალი დონე, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები, სახელმწიფოთაშორისო სატრანსპორტო და საგარეო ეკონომიკური კავშირები. აღნიშნული ფაქტორების გავლენით საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, საზღვაო ნავსადგურები, სანაოსნო მდინარეები და არხები, მილსადენები და აეროპორტები ქმნიან საერთო ევროპულ სატრანსპორტო სისტემას, რომლებიც პოლიმაგისტრალებს ქმნიან. თავის მხრივ, პოლიმაგისტრალები ,,სატრანსპორტო დერეფნებისგან“ შედგება. დასავლეთ ევროპაში მთავარი „დერეფანი“ გაუყვება რაინის ვაკეს, მდინარე რონას ვაკემდე. მეორე „დერეფანი'' მოიცავს ტერიტორიას გერმანიის ნავსადგურებიდან (ბალტიის ზღვა), იტალიის ნავსადგურებამდე (ადრიატიკისა და ლიგურიის ზღვები). განედობრივი „დერეფნები“ გადის ჩრდილო გერმანიის დაბლობზე. აგრეთვე, ალპებიდან აღმოსავლეთით და დასავლეთით. აღმოსავლეთ ევროპაში გამოიყოფა ოთხი „დერეფანი“: რუსეთი-პოლონეთი-ჩეხეთი-გერმანია, ბრესტი-ვარშავა-ბერლინი, დუნაისპირეთი და ტრანსკავკასიური (ბაქო-თბილისი-ბათუმი).

ევროპაში სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირებისთვის საკმაოდ კარგი ბუნებრივი პირობებია. მსოფლიოში პირველი სარკინიგზო ხაზი დიდ ბრიტანეთში სტოკტონი-დარლინგი (21 კმ) გაიყვანეს 1825 წელს. სამრეწველო რევოლუციის პერიოდში სარკინიგზო ტრანსპორტი გახდა შიდა ტვირთნაკადების გადატანის საუკეთესო საშუალება. შესაბამისად, იზრდებოდა სარკინიგზო გზების სიგრძეც (ბევრ ქვეყანაში გზების სიგრძე მცირდება). ბოლო წლებში გზების საერთო სიგრძით გამოირჩევა რუსეთი (87,2 ათასი კმ), გერმანია (33,6 ათასი კმ), საფრანგეთი (29,6 ათასი კმ), უკრაინა (21,7 ათასი კმ), იტალია (20,3 ათასი კმ) და სხვ. ამავდროულად, რეგიონალური თვალსაზრისით პირველ ადგილზეა გზების სიხშირით (ყველაზე მაღალია გერმანიაში 1000 კმ²-ზე 135 კმ). დასავლეთ ევროპაში ოცამდე საერთაშორისო მაგისტრალია. სამგზავრო ექსპრეს მატარებლების მიმართულებებიდან აღსანიშნავია ექსპრესი №2 - ამსტერდამი-მიუნხენი („რემბრანტი“), ექსპრესი №5 - ფრანკფურტი-პარიზი („გოეთე“), ექსპრესი №8 - ჰამბურგი-მილანი („რონალდი“). განედობრივი მიმართულებით უმნიშვნელოვანესი მაგისტრალებია: 1. პარიზი-ბერლინი-ვარშავა-მინსკი-მოსკოვი; 2. პარიზი-პრაღა-კიევი. მერიდიანული მიმართულების მაგისტრალებია: 1. ლონდონი-პარიზი-მარსელი; 2. ამსტერდამი-ბრიუსელი-პარიზი-მადრიდი; 3.

კოპენჰაგენი-ციურიხი-რომი; 4. როსტოკი-ბერლინი-მიუნჰენი-რომი; 5. გდანსკი-ვარშავა-ვენა-ბუდაპეშტი-ბელგრადი-ათენი. სარკინიგზო გვირაბებიდან აღსანიშნავია: ლა-მანშის სრუტის ქვეშ დიდი ბრიტანეთი-საფრანგეთი (50 კმ) და სიმპლონიო II შვეიცარია - იტალია (ალპებში, ბერნი-მილანი 19,825 კმ.). XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ევროპაში ფუნქციონირებს პირველი სწრაფმავალი სარკინიგზო მაგისტრალი პარიზი-ლიონი (250 კმ/სთ). სწრაფმავალი ექსპრესი მოძრაობს პარიზი-ბორდოს ხაზზე (350 კმ/სთ).

მსოფლიოში საავტომობილო ტრანსპორტის ისტორია ევროპიდან იწყება. 1882 წელს გერმანიაში კომპანია „დაიმლერ ბენცმა“ შექმნა თხევად საწვავზე მომუშავე პირველი შიგაწვის ავტომობილი. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება XX საუკუნის დასაწყისიდან იწყება, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და 60-იანი წლებიდან ტრანსპორტის ძირითადი სახე გახდა. საავტომობილო გზების კარკასში პრიორიტეტი მაგისტრალურ გზებს ენიჭება (პირველი ავტოსტრადა იტალიაში მილანი-ვარაზე აშენდა 1925 წ.). საავტომობილო გზების საერთო სიგრძით გამოირჩევა: რუსეთი (1,28 მლნ კმ), საფრანგეთი (951,5 ათასი კმ), გერმანია (645 ათასი კმ), იტალია (487 ათასი კმ), დიდი ბრიტანეთი (394,4 ათასი კმ), უკრაინა (169,7-კმ) და სხვ. თითქმის ყველა ქვეყანაში შენდება საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალები. უმნიშვნელოვანესი საავტომობილო გვირაბებია: სან-გოტარდი (შვეიცარია-იტალია, ალპებში ციურიხი-მილანი - 16,320 კმ.); ალბერგი (ავსტრია-შვეიცარია, ინსბურგი-ციურიხი 13,972 კმ); ფრეჟიური (საფრანგეთი-იტალია, ლიონი - ტურინი 12,800 კმ) და სხვ. ევროპაში ყოველ 1000 კაცზე მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობით გამოირჩევა: სან მარინო-1263, მონაკო-899, ლიხტეშტაინი -797, ისლანდია-717 და სხვ.

შიდა ტვირთბრუნვაში დიდი მნიშვნელობა შიდაწყლის ტრანსპორტს ენიჭება. უმსხვილესი სანაოსნო მდინარეებია ვოლგა, დუნაი, რაინი, მაინი, ტემზა, სენა, ელბა, ვისლა, დნეპრი და სხვ. სამდინარო სანაოსნო სისტემას ქმნის მდინარეების ერთმანეთთან არხებით დაკავშირება. უმნიშვნელოვანესი სამდინარო-სანაოსნო არხებია: რაინზე - 536 კმ, მაინზე - 384 კმ, მაინ-დუნაის - 241 კმ. მხოლოდ გერმანიაში სანაოსნო არხების საერთო სიგრძე 1850 კმ-ია. ამ დროისათვის ევროპაში სამი მთავარი სანაოსნო მაგისტრალია - რეინი (ტვირთბრუნვა 300 მლნ ტ), დუნაი (ტვირთბრუნვა 100 მლნ ტ) და ვოლგა (45 მლნ ტ). მსოფლიოში უდიდესი სამდინარო ნავსადგური გერმანიაში დიუსბურგია (ტვირთბრუნვა 50 მლნ ტ).

ევროპის საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარებაში განსაკუთრებული როლი საზღვაო ტრანსპორტს ეკუთვნის, რადგან სამრეწველო ნედლეულის დეფიციტთან დაკავშირებით სამრეწველო საწარმოებმა, მსხვილი საზღვაო პორ-

ტების მიმართულებით გადაინაცვლა. ისტორიულად ევროპაში ჩამოყალიბდა ორი საზღვაო-სანავსადგურო ფლანგი - ჩრდილოეთი და სამხრეთი. ჩრდილოეთ ფლანგს მიეკუთვნება ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების ნავსადგურები, რომელთა უმეტესობა მდინარეთა შესართავებსა და ესტუარებშია განლაგებული. მაგალითად, პორტი ჰამბურგი 110 კმ-ით არის დაშორებული ჩრდილოეთის ზღვიდან და ელბის ესტუარში მდებარეობს. ლონდონის ნავსადგური ზღვიდან მდინარე ტემზაზე - 80 კმ-ით, ანტვერპენი - 90 კმ-ით და სხვ. სამხრეთ ფლანგს მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურები მარსელი, გენუა, ბარსელონა, ტრეისტი და სხვ. ბოლო წლებში ევროპასა და აზიას შორის ტვირთნაკადების ზრდასთან დაკავშირებით, შავ ზღვაზე ყალიბდება მესამე ფლანგი. ამ ფლანგში განსაკუთრებულ ფუნქციებს საქართველოს (ფოთი და ბათუმი, შენდება ანაკლიის ღრმა ფარვატერის პორტი), ბულგარეთის (ვარნა), რუმინეთის (კოსტანცა), უკრაინის (ოდესა) და რუსეთის (ნოვოროსიისკი) პორტები ასრულებენ. ევროპაში უმსხვილესი საზღვაო ნავსადგურებია: ნიდელანდებში - როტერდამი (440,5 მლნ ტ), ბელგიაში - ანტვერპენი (190,8 მლნ ტ), გერმანიაში - ჰამბურგი (139 მლნ ტ), ესპანეთში - ალხესირასი (85,6 მლნ ტ), გერმანიაში - ბრემენი (78,8 მლნ ტ), საფრანგეთში - მარსელი (74,5 მლნ ტ), რუსეთში - ნოვოროსიისკი (73,6 მლნ ტ), საფრანგეთში - ჰავრი (67,2 მლნ ტ), ესპანეთში - ვალენსია (64,5 მლნ ტ), იტალიაში - ტრეისტი (56,6 მლნ ტ) და სხვ.

ევროპაში ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვის პრიორიტეტი მილსადენ ტრანსპორტს ენიჭება. პირველი მაგისტრალური ნავთსადენი (1929 წლიდან ნავთობსადენად იწოდება) ბაქო-ბათუმი (860 კმ) ამოქმედდა 1907 წელს. მაგისტრალური ნავთობსადენები და გაზსადენები რუსეთიდან დასავლეთ ევროპისაკენ მიემართება. უმსხვილესი ნავთობსადენია „დრუჟბა“ - რუსეთი (ალმეტიევსკი-ბელარუსი (ბრესტი)-დასავლეთი ევროპა (გერმანია), რომლის საშუალო წლიური სიმძლავრეა 66,5 მლნ ტონა. აღმოსავლეთ ევროპაში უდიდესია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომელიც ამოქმედდა 2002 წელს, სიგრძე - 1768 კმ, სიმძლავრე - 25,8 მლნ ტონა. მსოფლიოში უგრძესი გაზსადენია (4451 კმ) ურენგოი (დასავლეთ ციმბირი-უჟგოროდი (უკრაინა)-დასავლეთი ევროპის ქვეყნები. სამხრეთ ევროპაში მაგისტრალური გაზსადენიდან აღსანიშნავია ალჟირი-იტალია (2500 კმ, აქედან 600 კმ ზღვის ფსკერზეა). მიმდინარეობს ალჟირი-მაროკო-გიბრალტარის სრუტე-ესპანეთი-გერმანია გაზსადენის მშენებლობა. იგეგმება ნიგერია-დასავლეთი ევროპის გაზსადენის მშენებლობაც. ნავთობსადენების და გაზსადენების შიდა რეგიონალური ხაზები ფუნქციონირებს ჩრდილოეთის ზღვაში, ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპაში.

საჰაერო ტრანსპორტის ფუნქციონირების მასშტაბები, განსაკუთრებით, მგზავრთბრუნვის მიმართულებით, განუხრელად იზრდება. ევროკავშირის ქვეყნებში 3012 აეროპორტია. უმსხვილესი ავიაკომპანიებია: გერმანიის ავიახაზები (Lufthansa), უნგრული (Wizz Air) და სხვ. ამასთან, მგზავრთბრუნვის დიდი ნაწილი სრულდება თურქული ავიახაზების (Turkish Airlines) საშუალებით. უდიდესი აეროპორტებია: დიდ ბრიტანეთში - „ჰიტროუ“ (70 მლნ მგზავრი), საფრანგეთში - „შარლ დე გოლი“ (60 მლნ მგზავრი), გერმანიაში - „მაინის ფრანკფურტი“ (54 მლნ მგზავრი) და სხვ.

ტურიზმი

ტურიზმი ევროპის მეურნეობის საკმაოდ სწრაფად მზარდი დარგია. მის განვითარებაზე გავლენას ახდენს მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, პოლიტიკური სტაბილურობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ტურისტული ინდუსტრია და სხვ. ევროპაში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 620 მლნ-ს აჭარბებს, რაც იძლევა შემოსავლების 5,5%-ს და დასაქმებულია 8,6 მილიონი კაცი. ტურიზმის განვითარებით ლიდერი ქვეყნებია: საფრანგეთი (86,9 მლნ 2017 წ.), ესპანეთი (81,2 მლნ), იტალია (58,3 მლნ), დიდი ბრიტანეთი (37,7 მლნ), გერმანია (37,5 მლნ, საბერძნეთი (21,5 მლნ), ავსტრია (20,2 მლნ), რუსეთი (19,2 მლნ), შვეიცარია (13,4 მლნ), პორტუგალია (12,5 მლნ), ჩეხეთი (7,5 მლნ), საქართველო (5,2 მლნ) და სხვ. ევროპაში უცხოელი ტურისტების 3/4 ნაწილი მეზობელი და უახლოესი ქვეყნებიდან ჩასულებზე მოდის. შიდა ტურიზმის განვითარება მეზობლური მდებარეობით, ავტომობილიზაციისა და საავტომობილო ტურიზმის სწრაფი ზრდის შედეგია. შემეცნებითი და საზღვაო ტურიზმის მნიშვნელოვანი რაიონებია საფრანგეთში - პარიზი და ლაჟვარდოვანი სანაპირო (საფრანგეთის რივიერა 180 კმ, კურორტები: კანი, ნიცა ანტიბა), ესპანეთში - ხმელთაშუა ზღვის სანაპირო, კანარისა და ბალერის კუნძულები, იტალიაში - იტალიის რივიერა, საბერძნეთში - ანტიკური ქალაქები (ათენი, ოლიმპი), საქართველოში - თბილისი, შავიზღვისპირეთი და სხვ. სამთო ტურიზმი კარგადაა განვითარებული ალპებსა და კავკასიაში. ალპებში ტურისტული ინდუსტრია მაღალ დონეზეა განვითარებული, სადაც ფუნქციონირებს 40 ათასი საბაგირო და 120 ათასი კილომეტრის სიგრძის სამთო-სათხილამურო ტრასები. უმთავრესი კურორტებია: საფრანგეთში - შარმონი, კურშევილი, სენ-ჟერმე, შვეიცარიაში - დავოსი, იტალიაში - კორტინა-დე-ამპეცი, საქართველოში - გუდაური, ბაკურიანი და სხვ. მეტ-ნაკლებად ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს ტურიზმის სხვადასხვა სახე. რეკრეაციული ტურიზმი -

ჩეხეთში (კარლოვი ვარი), რუსეთში (ესენტუკი, კისლოვოდსკი), უკრაინაში (ჟელეზნოვოდსკი), საქართველოში (ბორჯომი, ნაბეღლავი, საირმე) და სხვ. ევროპას ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ მომავალში ტურისტების ნაკადი გაიზარდოს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი

ევროპის მეურნეობა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ეფუძნება, რის საფუძველზეც წარმოების ყველა დარგში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა ხდება. ევროკავშირის ქვეყნებში მეცნიერებაში დახარჯული ხარჯები 300 მლნ დოლარია (იაპონიაში - 500, აშშ-ში - 700). უმსხვილესი სამეცნიერო ცენტრებია: საფრანგეთში - სორბონის უძველესი უნივერსიტეტი (დაარსდა 1253 წ.), ლიონის უნივერსიტეტი, ფრანგი და სამხრეთი კავკასიის მეცნიერთა ერთობლივი პროექტი ნიცა - სოფია ანტიპოლისის ტექნოპოლისი ნიცის დეპარტამენტში; დიდ ბრიტანეთში პირველი სამეცნიერო პარკები ედინბურგის და კემბრიჯის უნივერსიტეტების ბაზაზე შეიქმნა; გერმანიაში - მიუნხენის უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილია უმსხვილესი სამეცნიერო პარკი „იზარ ველი“; იტალიაში - მსხვილი სამეცნიერო პარკებია ბარში, გენუასა და ფლორენციაში; რუსეთში - უმსხვილეს სამეცნიერო ცენტრებს მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის (დაარსდა 1755 წელს) და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტები წარმოადგენს. 1989 წელს 12 ქვეყანაში განხორციელდა პროგრამა „ლინგვა“, რომელიც 10 სახელმწიფო ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის, იტალიურის, ესპანურის, პორტუგალიურის, პოლონურის, ლათინურის, ბერძნულის და ირლანდიურის) შესწავლა ხდება. 1987 წლიდან მოქმედებს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა ერასმუს მუნსდუსი - Erasmus Mundus.

2. 1.1. რუსეთი

ფართობი - 17.1 მლნ კმ²

მოსახლეობა - 146,8 მლნ კაცი (2018 წ.)

დედაქალაქი - მოსკოვი

ზოგადი ცნობები

ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებაა რუსეთის ფედერაცია. რუსეთი ტერიტორიის მიხედვით (17,1 მლნ კმ²) ყველაზე დიდი ქვეყანაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) მოცულობით მსოფლიოში მე-6, ხოლო ევროპაში მეორე ადგილზეა. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 28610 დოლარს (2018 წ.),

ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი 0,755-ს (66-ე ადგილი, 2011 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 21 ავტონომიურ რესპუბლიკად, 9 მხარედ, 4 ავტონომიური ოკრუგად, 1 ავტონომიურ ოლქად, 46 ოლქად და ფედერაციული მნიშვნელობის 2 ქალაქად. სახელმწიფო ენა - რუსული, ფულის ერთეული - რუბლი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

რუსეთი მდებარეობს ევრაზიის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომლის ტერიტორიის 1/3 ევროპაში, ხოლო 2/3 ნაწილი აზიაშია განლაგებული. ჩრდილოეთით აკრავს ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე, აღმოსავლეთით - წყნარი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ატლანტის ოკეანის წყლები. საზღვრების საერთო სიგრძე 60061 კმ-ია (სახმელეთო - 22408 კმ, საზღვაო - 37653 კმ). ესაზღვრება 14 სახელმწიფო: ნორვეგია (191 კმ), ფინეთი (1309 კმ), პოლონეთი (210 კმ), ესტონეთი (324 კმ), ლატვია (261 კმ), ლიეტუვა (332 კმ), ბელარუსი (1312 კმ), უკრაინა (1944 კმ), საქართველო (894 კმ), აზერბაიჯანი (338 კმ), ყაზახეთი (7644 კმ), მონღოლეთი (3452 კმ), ჩინეთი (4133 კმ), კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (18 კმ). საზღვაო საზღვარი აქვს აშშ-სა და იაპონიასთან. დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაჭიმულია 9 ათას კმ-ის, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით 2,5 - 4 ათასი კმ-ის მანძილზე. რუსეთის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეულია 11 სასაათო სარტყელი.

რუსეთს გააჩნია საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. აქვს პირდაპირი გასასვლელი ჩრდილო ყინულოვან, წყნარ და ატლანტის ოკეანის წყლებში. ქვეყანაზე გადის ტრანსევრაზიული სახმელეთო და საჰაერო მაგისტრალები. ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ახლოსაა მსოფლიოს ძირითად რეგიონებთან. ამასთან, აქვს საუკეთესო სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობაც (იხ. ნახ. 11).

ნახ. 11. რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

რუსეთის რელიეფი ერთგვაროვანია, რომელიც, ძირითადად, ვაკეებითა (3/4 ნაწილი) და საშუალო სიმაღლის მთებითაა წარმოდგენილი. ევროპულ ნაწილში ვრცელი ტერიტორია აღმოსავლეთ ევროპის (რუსეთის) ვაკე-დაბლობს, დასავლეთ ციმბირში - დასავლეთ ციმბირის დაბლობს, შუა ციმბირში - შუა ციმბირის ზეგანს, ხოლო ციმბირის დანარჩენ ნაწილში სანაპირო დაბლობებსა და საშუალო სიმაღლის მთებს (ალთაი, სალარიის ჭიუხი, კუზნეცკის ალათაუ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საიანები, ვერხოიანსკის და ჩერსკის ქედები, ტუვის, ბაიკალისპირეთის, იმიერბაიკალის, სტანოვოის) უჭირავს. ევროპული ნაწილის სამხრეთში განედობრივი მიმართულებით აღმართულია კავკასიის მთები, სადაც მდებარეობს არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი (5642 მ). რელიეფი განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარების საქმეში ძირითადად ხელშემწყობ როლს ასრულებს, თუმცა რელიეფის ცალკეული ფორმა მკაცრი ჰავის ჩამოყალიბებასა და ჭაობების წარმოქმნაში არანაკლებ როლს ასრულებს.

რუსეთის ტერიტორიის უპირატესად დიდი ნაწილი არქტიკულ, სუბარქტიკულ და ზომიერ კლიმატურ სარტყლებშია განლაგებული. უკიდურეს სამხრეთით სუბტროპიკული, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მუსონური ჰავაა. ჰავის ჩამოყალიბებაზე, გარდა ძირითადი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორებისა, გავლენას ახდენს ტერიტორიის განფენილობის მაღალი დონე, რომელიც დასავ-

ლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ზომიერად კონტინენტალურიდან, მკვეთრად კონტინენტალურ ჰავაში გადადის. ივლისისა და იანვრის საშუალო ტემპერატურული ამპლიტუდა 50-90°C-ს შორის მერყეობს. იანვრის საშუალო ტემპერატურა (კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს გარდა) ყველგან უარყოფითია, ხოლო აღმოსავლეთ ციმბირში ოიმიაკონის ქვაბულში მდებარეობს ჩრდილო ნახევარსფეროს სიცივის პოლუსი - 72°C. ივლისის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთში +10°C, ხოლო კასპიის ზღვის სანაპიროზე + 25°C. ნალექების საშუალო რაოდენობა არათანაბრადაა განაწილებული. აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე - 600-700 მმ, კავკასიონისა და ალთაის მთებში - 1500-2000 მმ, შორეული აღმოსავლეთის სამხრეთ ნაწილში - 1000 მმ, ხოლო მინიმალური ნალექი - 120-150 მმ კასპიისპირა დაბლობზე მოდის. რუსეთის ჰავა და კლიმატური რესურსები ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე განსახლების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სამრეწველო საქმიანობისა და ტრანსპორტის ფუნქციონირებაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

მინერალური რესურსებით მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა, სადაც ბევრ სასარგებლო წიაღისეულს საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. წიაღისეული არის ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით, ურალში, სადაც გვხვდება 70-ზე მეტი სხვადასხვა წიაღისეული, რომელიც „წიაღის მუზეუმად“ იწოდება. ქვანახშირის საერთო მარაგი შეფასებულია 140,9 მლრდ ტონით. მნიშვნელოვანი აუზებია პეჩორის (ვორკუტა, ინტა), დონბასის (3/4 ნაწილი ეკრაინაშია), კუზნეცკის (კემეროვო), ტუნგუსკებისა და ლენის აუზები. მურა ნახშირის (მარაგი 49,2 მლრდ ტ) უმსხვილესი საბადოები ევროპულ ნაწილში მოსკოვის ახლომდებარე და ციმბირში კანსკ-აჩინსკის ღია აუზებია. მსოფლიო მნიშვნელობა ნავთობის რესურსებს გააჩნია, რომლის დაზვერილი მარაგი 8 მლრდ ტონაა. ნავთობის ძირითადი რაიონებია: ვოლგა-ურალი (იშიმბაი, ალმეტიევსკი), ჩრდილოეთი, დასავლეთ ციმბირი (სამოტლორი, მეგიონი, სურგუტი), ჩრდილო კავკასია (გროზნო) და შორეული აღმოსავლეთი (ოხა). გაზის დაზვერილი მარაგით მსოფლიოში პირველ ადგილზეა 49,5 მლრდ $მ^3$. გაზის რესურსები, ძირითადად, თანხვედრილია ნავთობის გავრცელების რაიონებში. უმსხვილესი საბადოებია: ჩრდილო კავკასიაში - სტავროპოლი, ვოლგისპირეთში - სარატოვი, ურალში - ორენბურგი, დასავლეთ ციმბირში - ურენგოი, მედვეჟიე და სხვ. სათბობი რესურსებიდან აღსანიშნავია ურანი, საწვავი ფიქლები და ტორფი.

მადნეული წიაღისეულიდან მსოფლიო მნიშვნელობა რკინის მადანს გააჩნია, რომლის უმსხვილესი საბადოებია ცენტრში - კურსკის მაგნიტური ანომალია (კმა), ურალში - კაჩკანარი, ჩრდილოეთში - კოლის, ალტაიში, ციმბირში და

სხვ. მარგანეცის მსხვილი საბადოები ურალში და ალტაის მხარეშია. სპილენძის მარაგით გამოირჩევა ურალი (მედნოგორსკი, პოლინოჩნოე), ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი ციმბირი (ნორილსკი) და სხვ. ალუმინის ნედლეული მოიპოვება ურალში, ჩრდილო დასავლეთში, ალტაის მხარესა და ციმბირში. პოლიმეტალური მადნების ტყვია-თუთიის უმსხვილესი საბადოებია ჩრდილო კავკასიაში (სადონი), ურალში, ჩრდილოეთში, ალტაის მხარეში (ზირიანოვსკი), ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ნიკელის საბადოებია ურალში, ჩრდილოეთში (ნიკელსკი), აღმოსავლეთ ციმბირში (ნორილსკი) და სხვ. კალის მნიშვნელოვანი საბადოები შორეულ აღმოსავლეთშია. ძვირფასი ლითონი - ოქრო გვხვდება თითქმის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით მდინარე ლენის აუზში (ბოდაიბო), მაგადანის ოლქში და ურალში. ალმასის მოპოვება, ძირითადად, ხდება იაკუტიაში. იშვიათი და გაფანტული წიაღისეული (ვოლფრამი, მოლიბდენი, ტიტანი, პლატინა და სხვა სტრატეგიული ნედლეული) ბევრ რეგიონშია. არამადნეული წიაღისეულიდან მსოფლიო მნიშვნელობა ფოსფოროვან და კალიუმიან ნედლეულს აქვს. აპატიტები გვხვდება ჩრდილოეთში ხიბინის მთებში, ხოლო ფოსფორიტები ცენტრში (ეგოროვი). კალიუმის უმსხვილესი საბადო ურალშია (სოლიკამსკი). სუფრის მარილის უმსხვილესი მარაგია ვოლგისპირეთში (ელტონის, ბასკუნჩაკის, კულუნდის ტბები). თითქმის ყველა რეგიონშია მინერალური წყლები, განსაკუთრებით, კავკასიაში (ესენდუკი, კისლოვოდსკი, პიატიგორსკი) ნაზრანის ტიპის სამკურნალო წყლებს დიდი რეკრეაციული მნიშვნელობა გააჩნია. ქვეყანა უმდიდრესია სხვადასხვა სახის სამშენებლო მინერალური ნედლეულით.

ჰიდროგრაფიული ქსელით უმდიდრესი ქვეყანაა. იგი ქვეყნის ტერიტორიაზე თანაბრადაა განაწილებული, სადაც 2,5 მლნ მდინარეა, ხოლო 10 კმ-ზე მეტი სიგრძის მდინარეთა რაოდენობა 120 ათასს აღემატება. უდიდესი მდინარეებია ვოლგა (3531 კმ ევროპაში უგრძესი), ობი-ირტიშით (5410 კმ), ლენა (4400 კმ), ენისეი (3487 კმ), ამური (2824 კმ), ჩრდილო დვინა (1302 კმ) და სხვ. მდინარეთა დიდი ნაწილი სანაოსნოდ გამოიყენება, განსაკუთრებით მდინარე ვოლგა (სიმბოლურად რუსეთის ცენტრალურ ქუჩას უწოდებენ), რომელიც არხების (ვოლგა-დონის, მოსკოვის სახელობის, თეთრი-ბალტიის) საშუალებით უკავშირდება შავი, კასპიის, ბალტიის და თეთრი ზღვების აუზებს. მდინარეთა ჰიდროპოტენციური ენერგიით რუსეთი მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა, რომელიც 2 ტრ. კვტ. სთ-ით არის შეფასებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოიყენება ვოლგა, ენისეი, ანგარა, ლენა და სხვ. ქვეყანაში 2 მილიონზე მეტი ტბაა, რომელიც ყველა რეგიონში გვხვდება, განსაკუთრებით, კოლა-კარელიაში (ტბა-

თა მხარე). უდიდესია კასპიის ზღვა-ტბა (მარტო რუსეთს არ ეკუთვნის) და უღრ-მესი ბაიკალის ტბა (1620 მ, მსოფლიოში მტკნარი წყლის მარაგის 1/3 ნაწილი).

ტყის რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა (პირველი ადგილი), სადაც არის მსოფლიოს მერქნის მარაგის 1/3 ნაწილი, ხოლო ტყიანობის კოეფიციენტი 49,4%-ია. ტყის რესურსებით მდიდარია ვოლგა-ვიატკის, ჩრდილოეთის, ურალისა და აღმოსავლეთ ციმბირის რაიონები. ტყის რესურსების დიდი ნაწილი - 60% ტაიგის ზონაშია, სადაც არის სამრეწველო დანიშნულების ნაძვის, სოჭისა და ლარიქსის წიწვოვანი ჯიშის მერქანი. ტყის ბოტანიკურ შემადგენლობაში ასევე ფართოდაა წარმოდგენილი არყი (ეროვნული ხე), მუხა და ცაცხვი. რუსეთი მერქნის დამზადების დონით ბევრ ქვეყანას ჩამორჩება.

რუსეთი მიწის რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლებით მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა (შეადგენს პლანეტის ხმელეთის 1/7 ნაწილს), მაგრამ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე (სახნავი, სათიბ-საძოვრები) მხოლოდ მთელი მიწის ფართობის 13% მოდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სტრატეგიულ სახნავ მიწებს - შავმიწებს, რომლის ძირითადი ფართობები ცენტ-რალურ-შავმიწანიადაგიან, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიაში, სამხრეთ ურალისა და ციმბირის სტეპის ზონებშია განლაგებული. საძოვრების ძირითადი მასივები კი რუსეთის დაბლობის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, კავკასიის, ალტაის და ბაიკალისპირეთის ქედების მთისწინეთებშია მოქცეული. ტერიტორიის დი-დი ნაწილი უჭირავს მარადი მზრალობისა (11 მლნ კმ²) და ჭაობიან რაიონებს.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

რუსეთის ტერიტორიაზე (ჩრდილო კავკასია, ყუბანისპირეთში) ნაპოვნია უძველეს ადამიანთა საცხოვრებელი კერები, ხოლო სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება VII-IX საუკუნიდან, კიევის რუსეთის ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის დროიდან იწყება. კიევის რუსეთის დიდგვაროვნებმა სკანდინავიიდან მოიწვიეს ვარიაგები, რომლებმაც სათავე დაუდეს კიევის რუსეთის პირველ სამეფო საგვარეულოს - რიურიკების დინასტიას. ვლადიმირ დიდის (980–1015) ზეობის დროს დაიწყო კიევის სამთავროს ოქროს ხანა. ვლადიმირმა გააქრის-ტიანა რუსეთი, მისმა შვილმა იაროსლავ ბრძენმა (1019–1054) კი ხელი შეუწყო კიევის რუსეთის კულტურულ და ეკონომიკურ აღმასვლას. კიევის რუსეთი უკანასკნელ ძალებს იკრებს ვლადიმირ მონომახისა (1113–1125) და მისი შვი-ლის მსტისლავის (1125 - 1132) დროს. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ კიევის რუსეთი საბოლოოდ დაიშალა სხვადასხვა სლავურ სამთავროებად.

XIII-XIV საუკუნეებში ცენტალურ რუსეთში ჩამოყალიბდა რუსული სახელ-მწიფოს ბირთვი ვლადიმერ-სუზდალის სამთავრო. XV საუკუნის ბოლოსა და

XVI საუკუნის დასაწყისში, ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და თათარ-მონღოლთა უღლის დაძლევის შემდეგ, შეიქმნა ცენტრალიზებული რუსეთის სახელმწიფო მოსკოვის (დაარსდა 1147 წელს) მეთაურობით. რომანოვების დინასტიის (1613-1917 წწ.) პერიოდიდან იწყება ქვეყნის ტერიტორიის გაფართოება, როგორც კავკასიის, ისე შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით. რუსეთმა განსაკუთრებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და მეცნიერულ განვითარებას პეტრე I დიდის (1682-1725 წწ.) მმართველობის პერიოდში მიაღწია. XVIII საუკუნის ბოლოს მიიერთა უკრაინა და ბელარუსი, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში - საქართველო (1801 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება ქვეშევრდომრობის შესახებ, რომელიც 1803 წელს გააუქმა და საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით გამოაცხადა), კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნები. XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი ერთ-ერთი უდიდესი იმპერია იყო. 1917 წლის 7 ნოემბერს გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ ვლადიმერ ლენინის ხელმძღვანელობით და შეიქმნა პირველი საბჭოეთის ხელისუფლება კომუნისტური იდეოლოგიით. 1922 წლის დეკემბერში რუსეთის ინიციატივით შეიქმნა საბჭოთა კავშირი (დააფუძნეს რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ და ამერიკავკასიის ფედერაციამ), რომელიც 1991 წლის დეკემბერში დაიშალა, ხოლო მისი ძირითადი მემკვიდრე რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა გახდა.

სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა

რუსეთი ფედერაციული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც აქვს საკანონმდებლო ხელისუფლების - ,,დუმის'' დათხოვნის უფლება. აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეშია პრემიერმინისტრი. საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს - "დუმა", რომელიც შედგება ფედერაციული საბჭოს (178 წევრი) და სახელმწიფო სათათბიროსაგან (450 წევრი).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, ფედერაციული ქვეყანაა, რომელიც 83 თანაბარუფლებიანი სუბიექტისაგან შედგება (იხ. ნახ. 12), მათ შორის 21 ავტონომიური რესპუბლიკაა: ადიღე, ალთაი, ბაშკირეთი, ბურიატეთი, დაღესტანი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყალმუხეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, კარელია, კომი, მარი ელი, მორდვეთი, სახა (იაკუტია), ჩრდილოეთ ოსეთი, თათრეთი, ტუვი, უდმურტეთი, ხაკასეთი, ჩეჩნეთი და ჩუვაშეთი; 4 ავტონომიური ოკრუგი: იამალ-ნენთა, ტაიმირის (დოლგან ნენთა), ხანტი-მანსის და ჩუკოტკის; 1 ავტონომიური ოლქი - ებრაელთა; 9 მხარე: კრასნოდარის,

სტავროპოლის, პერმის, მთიანი ალტაის, კრასნოიარსკის, ბაიკალისპირეთის, შორეული აღმოსავლეთის, ზღვისპირეთის და კამჩატკის; 46 ოლქი: ამური, არხანგელსკი, ასტრახანი, ბელგოროდი, ბრიანსკი, ეკატერინბურგი, ვლადიმირი, ვოლგოგრადი, ვოლოგდა, ვორონეჟი, იაროსლავლი, ივანოვო, ირკუტსკი, კალინინგრადი, კალუგა, კემეროვო, კიროვი, კოსტრომი, კურგანი, კურსკი, ლენინგრადი, ლიპეცკი, მაგადანი, მოსკოვი, მურმანსკი, ნიჟნი ნოვგოროდი, ნოვგოროდი, ნოვოსიბირსკი, ომსკი, ორენბურგი, ორიოლი, პემზა, როსტოვი, რიაზანი, სამარა, სარატოვი, სახალინი, სმოლენსკი, ტამბოვი, ტვერი, ტომსკი, ტულა, ტიუმენი, ულიანოვსკი, ფსკოვი, ჩელიაბინსკი; ფედერაციული მნიშვნელობის 2 ქალაქი - მოსკოვი და სანკტ-პეტერბურგი.

ნახ. 12. რუსეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები
წყარო: Russian-regions.png www. ka.wikipedia.org

მოსახლეობა

რუსეთი მოსახლეობის რიცხოვნობით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა, სადაც 2018 წლისათვის 146,8 მლნ კაცი ცხოვრობდა. ქვეყნის მოსახ-ლეობა ბოლო წლებში ნელი ტემპით მცირდება (1989 წელს ცხოვრობდა 147,4

მლნ), რაც მოსახლეობის დაბალი აღწარმოების დონისა და გარემიგრაციული პროცესების შედეგია. მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები თანდათანობით ეცემა, სადაც დეპოპულაცია აღინიშნება (ყოველ 1000 კაცზე შობადობა - 11,1, სიკვდილიანობა - 13,7 პრომილე, 2017 წ.). მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაღალია ჩრდილო კავკასიის რეგიონში (შობადობა - 14,7, სიკვდილიანობა - 8,4), ხოლო ყველაზე დაბალი ცენტრალურ რაიონებში (შობადობა - 10,0, სიკვდილიანობა - 14,2). დარღვეულია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. მამაკაცები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 46,3%-ს, ხოლო ქალები 53,7%-ს. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 17,2%, 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 68,1%, ხოლო 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფზე - 14,7%. ქვეყანაში შეინიშნება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71,3 წელია, მამაკაცებში - 65,6, ქალებში - 77,3 (2018 წ.).

რუსეთი მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც 100-ზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს. რუსები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 85,7%. სხვა ეთნოსიდან აღსანიშნავია თათრები - 3,2%, უკრაინელები - 1,4%, ბაშკირები - 1,1%, ჩეჩნები - 1,0%, ჩუვაშები -1,0%, სომხები 0,9% და დანარჩენი - 5,7%. რუსები ქვეყნის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით ევროპული ნაწილის ცენტრსა და დასავლეთში ცხოვრობენ. ევროპული ნაწილის ჩრდილოეთსა და ჩრდილო ვოლგისპირეთში ცხოვრობენ ფინურ-უგორული ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე ხალხი: კარელები, კომელები, მარელები, უდმურტები, მორდველები და სხვ. ვოლგისპირეთის სხვა რაიონებსა და სამხრეთ ურალში თურქულენოვანი ხალხი: თათრები, ბაშკირები, ჩუვაშები და სხვ. ჩრდილო კავკასიაში ეთნიკური შემადგენლობა ძალზე ჭრელია, სადაც მკვიდრი კავკასიელების (ჩერქეზები, ადიღები, ჩეჩნები, ინგუშები დაღესტანელები) გარდა თურქულენოვანი (ყარაჩელები, ბალყარები, ყალმუხები, ნოღაელები) და ირანულენოვანი (ოსები) ცხოვრობენ. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში შედარებით მცირერიცხოვანი მკვიდრი - იაკუტელები, ბურიატები, ტუველები, ევენკები, კორიაკები და სხვა ხალხი ცხოვრობს.

რუსეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი მართლმადიდებელი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის 80% ქრისტიანი მართლმადიდებელია. მეორე დიდი რელიგია მუსულმანობაა - 13%, ცხოვრობენ სხვა რელიგის აღმსარებლებიც და ათეისტები.

ისტორიულად რუსეთის მოსახლეობა მიგრაციულ პროცესებში ჩართული იყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალ ტერიტორიებზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რეპატრიაცია დაიწყო. თანამედროვე პერიოდში ქვეყანას გააჩნია მიგრაციის

უარყოფითი სალდო, მაგრამ მისი მაჩვენებლები უმნიშვნელოა (1,7 ყოველ 1000 კაცზე).

შრომითი რესურსებით ნაკლებუზრუნველყოფილი ქვეყანაა, რომლის დეფიციტი, განსაკუთრებით, იგრძნობა ჩრდილოეთისა და ციმბირის რეგიონებში. შრომითი რესურსების რაოდენობა 76,5 მილიონია, ანუ მთელი მოსახლეობის 51,1% (2018 წ.). დასაქმებული მოსახლეობა მეურნეობის დარგების მიხედვით, შემდეგნაირადაა განაწილებული: სოფლის მეურნეობა - 9,4%, მრეწველობა - 27,6% და მომსახურების დარგები - 63,0%. დაუსაქმებლობის დონე 5,2%-ია.

რუსეთის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება საკმაოდ არათანაბარია, სადაც მოსახლეობის 68,4% ევროპულ ნაწილში ცხოვრობს. საშუალო სიმჭიდროვე ერთ კმ²-ზე 9 კაცამდეა (ევროპულ ნაწილში - 27, ციმბირში - 2). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე, შიდარეგიონალური თვალსაზრისით, საკმაოდ განსხვავდება, კერძოდ, ცენტრალურ რაიონში 65 კაცია (მოსკოვის ოლქში-365), როცა სახას (იაკუტიის) ავტონომიურ რესპუბლიკაში 10 კვ. კმ-ზე 3 კაცი.

რუსეთი მაღალურბანიზებული ქვეყანაა, სადაც ქალაქად 80,9% ცხოვრობს (2018 წ.). ქვეყანაში 1100 ქალაქი და 1286 ქალაქის ტიპის დასახლებაა. 15 ქალაქი „მილიონერია“: მოსკოვი - 12,51 მლნ, სანკტ-პეტერბურგი - 5,35 მლნ, ნოვოსიბირსკი - 1,61 მლნ, ეკატერინბურგი -1,47 მლნ, ნიჟნი ნოვგოროდი - 1,26 მლნ, ყაზანი - 1,24 მლნ, ჩელიაბინსკი - 1,20 მლნ, ომსკი - 1,17 მლნ, სამარა - 1,16 მლნ, დონის როსტოვი -1,13 მლნ, კრასნოიარსკი - 1,09, პერმი - 1,05 მლნ, ვორონეჟი - 1,05 მლნ და ვოლგოგრადი - 1,01 მლნ. 153 125 სასოფლო დასახლებაა (მათ შორის, 19439 მოსახლეობის გარეშეა). სასოფლო განსახლების დასახლებები ფუნქციებითა და ტერიტორიული ორგანიზაციით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ისინი წარმოდგენილია სოფლების, სტანციების, ხუტორების (ჩრდილოეთში ტყის ზონაში), აულების (ჩრდილო კავკასია), მონადირეთა და მეირმეთა დროებითი სადგომების სახით.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

რუსეთის მეურნეობრივ განვითარებას პეტრე I დიდის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა რეფორმებმა ჩაუყარა საფუძველი. რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაში მეურნეობის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა იყო, ხოლო მრეწველობიდან ძირითადად მსუბუქი მრეწველობა იყო განვითარებული და „ჩითის რუსეთის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. იმპერიაში მეურნეობრივი თვალსაზრისით შედარებით კარგად იყო განვითარებული მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ურალისა და დონბასის სამრეწველო რაიონები, ხოლო პერიფერიებში უკიდურესი ჩამორჩენილობა იყო. რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა პე-

რიოდის პირველ წლებში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის შედეგად, არსებითი ცვლილებები განხორციელდა მეურნეობის დარგობრივ და ტერიტორიალურ სტრუქტურაში. პრიორიტეტი მიენიჭა მძიმე ინდუსტრიას, განსაკუთრებით, ენერგეტიკას, რის შედეგადაც მეურნეობის სტრუქტურამ ინდუსტრიულ-აგრარული მიმართულება შეიძინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქვეყანაში მოკლე პერიოდში აღდგენილი იქნა დანგრეული ეკონომიკა და მეურნეობრივ განვითარებაში ორიენტაცია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მიენიჭა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი რუსეთის მეურნეობა გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ენერგომატარებლების ექსპორტის შედეგად მიღებული დივიდენდების ხარჯზე მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი პოზიციები შეინარჩუნა და მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობით (4,02 ტრილიონი აშშ დოლარი, 2017 წ.) მსოფლიოში მე-6 ადგილზეა. მშპ-ში სოფლის მეურნეობაზე - 4,7%, მრეწველობაზე - 32,4% და მომსახურე დარგებზე - 62,3% მოდის. რუსეთს ბუნებრივი რესურსების, ტექნიკური საწარმოო ძალების და სამეცნიერო ტექნიკური მიღწევების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რაც ეკონომიკის შემდგომ ამაღლებაში განსაკუთრებულ როლს შეასრულებს.

მრეწველობის გეოგრაფია

რუსეთს სამრეწველო განვითარების დონით მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე პოზიციები უჭირავს, რომელიც მდიდარ სანედლეულო ბაზასა და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს ეფუძნება. მრეწველობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი მძიმე ინდუსტრიას ეკუთვნის, რომელიც წარმოების მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა და მასზე მოდის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის თითქმის 85%. მძიმე მრეწველობის სტრუქტურაში პრიორიტეტი სათბობ-ენერგეტიკულ მრეწველობას ეკუთვნის.

სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა საერთაშორისო მნიშვნელობის დარგია, რომელიც ეფუძნება მდიდარ სანედლეულო ბაზას. ნავთობის მოპოვებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (613 მლნ ტ, 2017 წ.). ნავთობის მოპოვების ძირითადი რაიონებია: ვოლგა-ურალი (იშიმბაი, ალმეტიევსკი), დასავლეთ ციმბირი (სამოტლორი, მეგიონი, სურგუტი), ჩრდილოეთი, ჩრდილო კავკასია (გროზნო) და შორეული აღმოსავლეთი (ოხა, ეხაბი). მოპოვებული ნავთობის 45 - 50% გადის ექსპორტში. გაზის მოპოვება - 665,6 მლრდ $მ^3$ (2017 წ) და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. გაზის მოპოვების ძირითადი რაიონებია ტიუმენის ოლქის ჩრდილო ნაწილი (ურენგოი, იანბურგი), ურალი (ორენბურგი), ვოლგისპირეთი, ჩრდილო კავკასია (სტავროპოლი) და სხვ. გაზის საშუალო

წლიური მოხმარება 467,5 მლრდ $მ^3$-ია. რუსეთი ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ყიდულობს 15,7 მლრდ $მ^3$ გაზს, ხოლო ექსპორტზე გააქვს 210,2 მლრდ $მ^3$, გაზის უმსხვილესი სახელმწიფო კომპანია „გაზპრომია - Газпром“, რომლის საშუალოწლიური შემოსავლები 14 მლრდ აშშ დოლარს აჭარბებს. მნიშვნელოვანი და ტრადიციული ნახშირის მრეწველობა შემცირების ტენდენციით ვითარდება. ბოლო წლებში ქვანახშირის მოპოვება 270 მლნ ტონას არ აღემატება. ქვანახშირის მოპოვების დიდი ნაწილი კუზბასის და პეჩორის აუზებზე მოდის. მურა ნახშირის მოპოვება (74,6 მლნ ტ) ძირითადად ცენტრში - მოსკოვის ახლომდებარე და ციმბირში - კანსკ-აჩინსკის აუზებზე მოდის. ნახშირის რესურსების 75% თესებში, ხოლო - 25% ტექნოლოგიურ ნედლეულად და შავ მეტალურგიაში სათბობად გამოიყენება. სხვა სათბობი რესურსებიდან მოიპოვებს ურანს, ტორფის მოპოვებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, ხოლო საწვავი ფიქლები ვოლგისპირეთში და ჩრდილო-დასავლეთში მოიპოვება.

ელექტროენერგეტიკის განვითარებას საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში „გოერლოს“ სტრატეგიული გეგმის საფუძველზე ჩაეყარა. ელექტროენერგიის წარმოებით (1,03 ტრილ კვტ/სთ, 2017 წ.) მსოფლიოში მესამე ადგილზეა. წარმოებული ელექტროენერგიის 68% - თეს-ებზე, 19% - ჰიდროზე, 11% - ატომურზე და 2% სხვა ტიპის სადგურებზე მოდის. უდიდესი თეს-ებია: სურგუტი (4,8 მლნ კვტ), რეფტინის (3,8 მლნ კვტ), ტროიცკის (2,5 მლნ კვტ), ზირიანსკის (2,4 მლნ კვტ) და სხვ. უმსხვილესი ჰესებია: საიანის (6,4 მლნ კვტ), კრასნოიარსკის (6,0 მლნ კვტ), ბრატსკის (4,5 მლნ კვტ), უსტ-ილიმსკის (3,8 მლნ კვტ) და სხვ. რუსეთში ატომური ენერგეტიკის განვითარება მსოფლიოში პირველად 1954 წელს, ობნინსკის (მოსკოვის ოლქი) აეს-ის ფუქციონირებით დაიწყო. ქვეყანაში 9 ატომური აეს-იდან უდიდესია სანკტ-პეტერბურგის (4,0 მლნ კვტ), ნოვო ვორონეჟის (2,4 მლნ კვტ), კურსკის (2,0 მლნ კვტ) და სხვ. ჩრდილოეთში, კოლის ნახევარკუნძულზე, ბარენციის ზღვის სანაპიროზე ფუნქციონირებს კისლოგუბის მიქცევა-უკუქცევის სადგური (0,5 მლნ კვტ). კამჩატკის ნახევარკუნძულზე მოქმედებს გეოთერმული ელსადგურები. რუსეთს ექსპორტზე საშუალოდ გააქვს 13,2 -13,5 მლრდ კვტ/ სთ ელექტროენერგია.

რუსეთს შავი მეტალურგიის განვითარებისთვის საკუთარი სანედლეულო ბაზა გააჩნია. რკინის მადნის მოპოვება (107 მლნ ტ) ხდება ცენტრში (კურსკის მაგნიტური ანომალი) ურალში (კაჩკანარი), ჩრდილოეთში (კოლის ნახევარკუნძულზე), ალტაის მხარეში, აღმოსავლეთ ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში. გარკვეული დეფიციტი არის მანგანიუმის და ქრომიტების სანედლეულო ბაზაში, რამაც ბოლო წლებში შავი მეტალურგიის განვითარებაში შემცირების ტენდენციები შეინიშნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსოფლიო პოზიციები

კლავაც შენარჩუნებულია. აწარმოებს 71,3 მლნ ტ ფოლადს (მსოფლიო წარმოების 4,2%, 2017 წ.), 55 მლნ ტ თუჯს და 60 მლნ ტ ნაგლინს. შავი მეტალურგიის ძირითადი რაიონებია (უმსხვილესი კომბინატებით): ცენტრალური (ლიპეცკი, ტულა), ჩრდილოეთი (ჩერეპოვეცი), ურალი (ნიჟნი ტაგილი, მაგნიტოგორსკი, ჩელიაბინსკი) და ციმბირის (ნოვოკუზნეცკი, ბელოვო). შავი მეტალურგიის პროდუქციის 52%-ს ურალის რაიონი იძლევა.

ფერადი ლითონის რესურსებით მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა, რის ბაზაზეც განვითარებულია ფერადი მეტალურგიის ყველა დარგი. სპილენძის ნედლეულის მოპოვების (760 ათასი ტ) და წარმოების (870 ათასი ტ) ძირითადი რაიონი ურალია, სადაც ფუნქციონირებს მედნოგორსკის, კრასნოურალსკის, კიროვოგრადის, რევდის, ვერხნი პიშმის და სხვა საწარმოები. სპილენძის წარმოება ასევე ხდება აღმოსავლეთ ციმბირის ჩრდილო ნაწილში - ნორილსკში. ალუმინის ნედლეულის ბოქსიტების მოპოვება ხდება სევეროურალსკის, სულეას და ტიხვინის საბადოებში, ხოლო ნეფელინების - კოლის ნახევარკუნძულზე (კიროვსკი) და ციმბირში (კია-შატლინი). ალუმინის ნედლეულის გარკვეული ნაწილი იმპორტის გზით შედის. აწარმოებს 3,6 მლნ ტ პირველად და მეორად ალუმინს (მსოფლიო წარმოების 6,3%, მეორე ადგილი). ლითონური ალუმინის წარმოება ძირითადად ორიენტირებულია იაფი ელექტროენერგიის რაიონებისაკენ. მთავარი რაიონებია: ჩრდილოეთი (ვოლხოვი, ნადვოიცა, კანდალაქსი), ვოლგისპირეთი (ვოლგოგრადი) ურალი (კრასნოტურინსკი, კამენსკი) და ციმბირი (კრასნოიარსკი, ბრატსკი, ნოვოკუზნეცკი, შელეხოვო). ნიკელის წარმოება (224 ათასი ტ, 2016 წ.) ადგილობრივი რესურსების ბაზაზე განვითარებულია კოლის ნახევარკუნძულზე (მინჩეგორი), ურალში (ვერხნი უფალეი, ორსკი, რეჟი) და აღმოსავლეთ ციმბირში (ნორილსკი). ტყვიის წარმოება (560 ათასი ტ, 2016 წ.) ხდება ჩრდილო კავკასიაში (ვლადიკავკაზი) და შორეულ აღმოსავლეთში (დალნეგორსკი). თუთიის წარმოება (1,2 მლნ ტ, 2016 წ.) განვითარებულია ჩრდილო კავკასიაში (სადონი, ვლადიკავკაზი), ურალში (ჩელიაბინსკი) და დასავლეთ ციმბირში (ბელოვო). მსოფლიო მნიშვნელობის დარგი ოქროს მოპოვებაა (საშუალოდ 180-240 ტ, მეორე ადგილი), რომლის რესურსები ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონშია, განსაკუთრებით ციმბირში მდინარე ლენის აუზში (ბოდაიბო) და მაგადანის ოლქში. ვერცხლის წარმოება (410 ტ) ხდება ცენტრში, ურალში, ციმბირში და სხვ. ალმასის მოპოვების ძირითადი რაიონია ციმბირი (ხასა-იაკუტია). განვითარებულია ვოლფრამის მოლიბდენის, იშვიათი და გაფანტული ელემენტების, სტრატეგიული ნედლეულის და სხვათა მოპოვება.

მანქანათმშენებლობა მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგია, რომლის განვითარება მდიდარ სანედლეულო ბაზას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, კვალიფიცირებულ მუშახელსა და ფართო მომხმარებელს ეფუძნება. იგი იძლევა მთელი სამრეწველო პროდუქციის 25%-ს და ჩაბმულია დასაქმებული მოსახლეობის 10%. აწარმოებს თანამედროვე მანქანათმშენებლობის ყველა სახის პროდუქციას, ხოლო დარგობრივი სტრუქტურა, ძირითადად, ორიენტირებულია სანედლეულო ბაზაზე და მომხმარებელზე. მძიმე მანქანათმშენებლობა ორიენტირებულია მეტალურგიის ცენტრებთან, სადაც იწარმოება სამთომადნო, მეტალურგიული წარმოების, სამშენებლო, საგზაო და სხვა სახის მანქანა-მოწყობილობები. უმსხვილესი საწარმოები არის ურალში „ურალმაში“ (ეკატერინბურგი), კუზბასში (ნოვოკუზნეცკი, კემეროვო) და ცენტრში (ვორონეჟი, კოლომნა).

ენერგეტიკული მანქანათმშენებლობა მაღალ დონეზეა განვითარებული, რომლის გეოგრაფია ორიენტირებულია ნედლეულზე და კვალიფიციურ მუშახელზე. ელექტროსადგურების ტურბინებისა და გენერატორების წარმოების უმსხვილესი ცენტრი სანკტ-პეტერბურგია. ატომური მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი „ატომაში“ შეიქმნა ვოლგოდონსკში. სხვადასხვა სახის ენერგეტიკული მანქანა-მოწყობილობების (ორთქლის ქვაბები, დიზელები, ელექტროძრავები და სხვ) წარმოება ხდება ულიანოვსკში, ვორონეჟში, კოლომნაში, ეკატერინებურგში, ნოვოსიბირსკსა და სხვა ცენტრებში.

ჩარხმშენებლობა ისტორიულად მოსკოვსა (“სერპ მოლოტოვი“) და სანკტ-პეტერბურგში ჩამოყალიბდა. თანამედროვე პერიოდში სხვადასხვა სახის ჩარხებს თითქმის ყველა რაიონი აწარმოებს. განსაკუთრებული პრიორიტეტი მართვადი და პროგრამული ჩარხების წარმოებას დიდი ყურადღება ენიჭება.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობიდან ლოკომოტივებს, კერძოდ თბომავლებს უშვებს კოლომნა, ხოლო ელმავლებს - ნოვოჩერკასკი. ცენტრალურ რაიონში საგარეუბნო ელექტრომატარებლებს უშვებს დემეხოვი, ხოლო სამგზავრო ვაგონებს - ტორჟოკი; მეტროპოლიტენის ვაგონებს - სანკტ-პეტერბურგი და მიტიშჩი; ტრამვაის ვაგონებს - უსტ-კატაევი. სხვადასხვა სახის ვაგონებს აწარმოებს: სანკტ-პეტერბურგი, ბრიანსკი, ტვერი, კალინინგრადი, ლუდინოვო, მურომი, ნიჟნი-ტაგილი და ნოვოალტაისკი. ტროლეიბუსების წარმოება ხდება ენგელსში.

საზღვაო გემთმშენებლობის მთავარი ცენტრებია: სანკტ-პეტერბურგი, ვიბორგი, მურმანსკი, ასტრახანი და ვლადივასტოკი. სამდინარო გემები იწარმოება: ნიჟნი-ნოვგოროდში, ტიუმენში, ტობოლსკში, ბლაგოეშევსკში და სხვ. საავიაციო და კოსმოსური აპარატების წარმოება თავმოყრილია კვალიფიციური

მუშახელის რაიონებში, ძირითადად ცენტრალურ რაიონში. თვითმფრინავებს აწარმოებს: მოსკოვი (ილ-96, ილ-114, ტუ-204, ტუ-134), სარატოვი და სმოლენსკი (იაკ-42), ვორონეჟი (ილ-86, ილ-96), ყაზანი (ილ-62), ულინოვსკი (ტუ-204, ან-124), სამარა (ტუ-154, ან-70). კოსმოსური აპარატების, ორბიტალური კოსმოსური ხომალდებისა და ხომალდის გამშვები რაკეტების წარმოების უმსხვილესი ცენტრებია: მოსკოვი, ომსკი და კრასნოიარსკი.

რუსეთში ავტომშენებლობის ისტორია XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, რომელიც სატვირთო ავტომანქანების წარმოების სპეციალიზაციაზე იყო ორიენტირებული. 1950 წელს გამოშვებული ავტომანქანების 80%-ზე მეტი სატვირთოზე მოდიოდა, როცა ბოლო წლებში მისი მაჩვენებლები 20%-მდე დაეცა. სატვირთო ავტომანქანები იწარმოება: მოსკოვში („ზილ“), ნიჟნი-ნოვგოროდში („გაზ“), ნაბერეჟნიე ჩელნში („კამაზ“), ულიანოვსკსა („უაზ“) და მაისში („ურალაზ“). მსუბუქი ავტომანქანების წარმოება მილიონს აღემატება. უმსხვილესი ცენტრი ვოლგისპირეთში ტოლიატია, სადაც კომპანია“ ვაზი“ (დაფუძნდა იტალიური კომპანია “ფიატის“ ერთ-ერთი მარკის ბაზაზე) „ჟიგულის“, „ლადას“ და „ნივას“ მარკის ავტომანქანებს აწარმოებს. „მოსკვიჩის“ მარკის ავტომანქანებს მოსკოვი და იჟევსკი უშვებს. ნიჟნი ნოვგოროდში იწარმოება ,,გაზის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანები. ავტობუსების წარმოება განვითარებულია ლიკანოში, ნაბერეჟნიე ჩელში, ულიანოვსკში, პავლოვოში, კურგანსა და კრასნოდარში. ავტომშენებლობაში თანდათანობით ინერგება უცხოური კომპანიების ერთობლივი საწარმოები.

საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობა საკმაოდ კარგადაა განვითარებული თითქმის ყველა დიდ ქალაქში, თუმცა პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები უცხოური ცნობილი ბრენდების კონკურენციის შედეგად თანდათანობით მცირდება.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ყველა ეკონომიკურ რაიონშია განვითარებული. ტრაქტორმშენებლობის უმსხვილესი ცენტრებია: სანკტ პეტერბურგი, ლიპეცკი, ვლადიმირი, ვოლგოგრადი, ჩებოქსარი, ჩელიაბინსკი და სხვ. კომბაინებს აწარმოებს დონის როსტოვი, ტაგანროგი, სარატოვი, ბეჟენცი და სხვა ცენტრები.

ელექტროტექნიკური და ელექტრონული მანქანათმშენებლობა თითქმის ყველა მსხვილ ქალაქშია განვითარებული, რომელიც უცხოური პროდუქციის კონკურენციის შედეგად კრიზისს განიცდის. ზუსტი მანქანების, ინსტრუმენტებისა და მექანიზმების, გამოთვლითი ტექნიკის წარმოება ძირითადად განვითარებულია კვალიფიციური შრომითი რესურსების რაიონებში.

რუსეთის მანქანათმშენებლობა დამოუკიდებლობის პერიოდში, უცხოური პროდუქციის კონკურენციის პირობებში, სერიოზულ ზეწოლას განიცდის. შედეგად მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების მასშტაბები თანდათანობით მცირდება. მიუხედავად აღნიშნულისა, ენერგეტიკულ და ავიარაკეტულ მანქანათმშენებლობაში მსოფლიო სპეციალიზაციას ინარჩუნებს.

ქიმიური მრეწველობა მეურნეობის ერთ-ერთი ახალი, მაგრამ სწრაფად მზარდი დარგია. მის განვითარებას საფუძველი საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა, რომელიც მდიდარ სანედლეულო ბაზასა და სამეცნიერო ტექნიკურ პროგრესს ეფუძნება. თითქმის ყველა დარგს საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. სამთო ქიმიის დარგებიდან მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ფოსფორიტების, აპატიტებისა და კალიუმის მარილების მოპოვებას. ძირითადი ქიმიის უმთავრესი დარგი მინერალური სასუქების წარმოებაა (24 მლნ ტ). აზოტოვანი სასუქების წარმოება ემთხვევა შავი მეტალურგიის, მსხვილი გაზის საბადოებისა და მაგისტრალური გაზსადენების განლაგებას. ფოსფოროვანი სასუქების დიდი ნაწილი ხიბინის რესურსების ბაზაზე იწარმოება ჩრდილო დასავლეთში, ხოლო კალიუმის სასუქები ურალში (სოლიკამსკი).

ორგანული ქიმიის ძირითადი დარგების ტერიტორიული ორგანიზაცია ემთხვევა ნავთობისა და გაზის რესურსებს, რის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია ნავთობქიმიისა და გაზქიმიის კომპლექსები. ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს წარმოების (1,5 მლნ ტ) მთავარი რაიონებია: ცენტრი (ორეხოვო ზუევო, კურსკი, რიაზანი), ვოლგისპირეთი (სარატოვი, სამარა, ენგელსი) ურალი (ეკატერინბურგი, ორსკი) დასავლეთი ციმბირი (ნოვოსიბირსკი, ბარნაული) და სხვ. სინთეზური კაუჩუკის წარმოების (1,1 მლნ ტ) უმთავრესი ცენტრებია: იაროსლავლი, ვორონეჟი, ეფრემოვი, არხანგელსკი, სარატოვი, ვოლგოგრადი, სამარა, ორსკი, პერმი და სხვ. სინთეზური ფისებისა და პლასტმასების წარმოება (5,8 მლნ ტ) ძირითადად განვითარებულია: სამარაში, ვოსკრესენსკში, ეკატერინეზურგში, ორსკში, ტიუმენში, ნოვოსიბირსკში და სხვ. პოლიმერული მასალებისა და მათი გადამუშავების პროდუქციის დიდი ნაწილი არხანგელსკზე, იაროსლავლზე, ტამბოვზე, ზავოლჟსკიეზე, სიზრანზე, ჩელიაბინსკზე და სხვა ცენტრებზე მოდის.

ხე-ტყის მრეწველობა საერთაშორისო მნიშვნელობის დარგია, რომელიც უზრუნველყოფილია საკუთარი სანედლეულო ბაზით (მსოფლიოს ტყის რესურსების 1/3 და წიწვოვანი ჯიშების 1/2 ნაწილი). მერქნის დამზადების ძირითადი რაიონებია: ჩრდილოეთი, ვოლგა-ვიატკა, ურალი და აღმოსავლეთ ციმბირი. საშუალოდ ყოველწლიურად ამზადებს 330 მლნ $მ^3$ მერქანს, რომლის გარკვეული ნაწილი ექსპორტში გადის. მერქნის მექანიკური დამუშავება ყველა რაიონში

ხდება, უმსხვილესი ცენტრებია: არხანგელსკი (ხე-ტყის დედაქალაქი), მოსკოვი, ყაზანი, ვოლგოგრადი, ჩელიაბინსკი, კურგანი, სალეხარდი, ტობოლსკი, იგარკა, ირკუტსკი, ვლადივასტოკი და სხვ. ნახერხი მასალის წარმოება 58 მლნ კუბ $მ^3$ (აშშ-ს შემდეგ, მეორე ადგილი). ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა ისტორიულად ჩაისახა ცენტრალურ რაიონში, მაგრამ ამჟამად წარმოების (ქაღალდი და მუყაო 15,3 მლნ ტ, 2014 წ.) დიდი ნაწილი მერქნის რესურსებით მდიდარ რაიონებზე მოდის. ქაღალდის წარმოების უმსხვილესი რაიონებია: ჩრდილოეთი (არხანგელსკი, პერვომაისკი, კონდოპაგა), ვოლგა-ვიატკა (პრავდინსკი, ბალახნა, ვოლჟსკი) ურალი (კრასნოკამსკი, კრასნოვიშერსკი, სოლიკამსკი), ბაიკალისპირეთი (ბაიკალსკი), შორეული აღმოსავლეთი (ბარაკანი, ამურსკი, დოლინსკი) და სხვ. ხე-ტყის ქიმიის ძირითადი რაიონებია ჩრდილოეთი, ვოლგისპირეთი, ურალი და აღმოსავლეთი ციმბირი. ხე-ტყის მრეწველობის უმსხვილესი კომპლექსებია: ჩრდილოეთში (არხანგელსკი, სიკტივკარი), აღმოსავლეთ ციმბირსა (კრასნოიარსკი, ენისეისკი, ბრატსკი) და შორეულ აღმოსავლეთში (ამურის კომსომოლსკი).

სამშენებლო მასალათა მრეწველობა ინდუსტრიულ დონეზე საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. დარგის განვითარება ეფუძნება მდიდარ სანედლეულო ბაზას, ხოლო პროდუქციის წარმოების მასშტაბები განუხრელად იზრდება. აწარმოებს ყველა სახის სამშენებლო მასალებს. ცემენტის წარმოებით (60 მლნ ტ, 2012 წ.) მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა. ცემენტი იწარმოება ყველა ეკონომიკურ რაიონში, განსაკუთრებით ურალში, ვოლგისპირეთში, ცენტრში, ჩრდილო კავკასიაში და სხვ. ყველგანაა განვითარებული აგურის და სხვადასხვა სახის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოება. ფართოდაა განვითარებული ფაიფურის, მინის, აზბესტის და სხვათა წარმოება. ბოლო წლებში სამშენებლო მასალების მსხვილი ცენტრები იქმნება ციმბირის რაიონებში.

მსუბუქი მრეწველობა ისტორიულად რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო, რომელიც უფრო მეტად ცენტრსა და ჩრდილო დასავლეთში იყო განვითარებული. საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა დარგობრივ და ტერიტორიულ სტრუქტურაში. მოხდა წარმოების კონცენტრაცია და შეიქმნა ახალი ცენტრები. მსუბუქი მეწველობის სანედლეულო ბაზა ნაწილობრივ საკუთარ რესურსებზე იყო განვითარებული, ხოლო ბამბა და ნატურალური აბრეშუმი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან შედიოდა. ბოლო წლებში მსუბუქ მრეწველობაში სერიოზული პრობლემები შეიქმნა და წარმოების მოცულობა რამდენჯერმე შემცირდა. მიუხედავად აღნიშნულისა, რუსეთი მსუბუქი მრეწველობის ცალკეული დარგის განვითარებაში მსოფლიოში მოწინავე პოზიციებს მაინც ინარჩუნებს. წამყვანი დარგი საფეიქრო

მრეწველობაა (5,4 მლრდ $მ^3$, 2016 წ.), განსაკუთრებით ბამბეულის, რომელიც მთლიანად იმპორტულ ნედლეულზეა დამოკიდებული. ბამბეულის ქსოვილ-ების წარმოების მაჩვენებლები 2016 წელს (1,2 მლრდ $მ^3$), 1990 წელთან (5,6 მლრდ $მ^3$) მიმართებით 4,6-ჯერ შემცირდა. ბამბეულის ქსოვილების წარმოების უპირა-ტესად დიდი ნაწილი ცენტრალურ ეკონომიკურ რაიონზე მოდის (ივანოვო, მოსკოვი, იაროსლავლი, ორეხოვო-ზუევო, სერპუხოვო, ეგოროვსკი და სხვ). სხვა რეგიონებიდან გამოირჩევა ურალი (კარპინსკი, უფა, ჩელიაბინსკი) და ციმბირი (ომსკი, ტომსკი, ნოვოსიბირსკი, ბარნაული, ბიისკი, კანსკი). შალეულის ქსოვი-ლების წარმოება (10,5 მლნ $მ^3$, 2016 წ.) 40-ჯერ შემცირდა, უმსხვილესი ცენტრი მოსკოვია. აბრეშუმის ქსოვილების (160 ათასი $მ^3$, 2016 წ.) წარმოების ძირითადი ცენტრები მოსკოვი და ნოვოფომინია. სელის ქსოვილების (25,5 მლნ $მ^3$, 2016 წ.) დიდი ნაწილი კოსტრომაში და ვიაზნიკში იწარმოება.

მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგები - სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის წარმოების მაჩვენებლები უცხოური პროდუქციის კონკურენციის შედეგად თანდათანობით მცირდება. რუსეთს ბეწვეულის წარმოების საერთა-შორისო სპეციალიზაცია გააჩნია და პროდუქციის მაჩვენებლებით იგი ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა.

რუსეთს კვების მრეწველობის განვითარებისათვის საკმაოდ მდიდარი სა-ნედლეულო ბაზა გააჩნია, მაგრამ ბოლო წლებში პროდუქციის წარმოების დონე გარკვეულწილად შემცირდა. განვითარებულია კვების მრეწველობის თითქმის ყველა დარგი, რომლის გეოგრაფია ემთხვევა, როგორც სანედლეულო ბაზას, ისე მომხმარებელს. მსოფლიო მნიშვნელობა საფქვავ-საბურღულე, შაქრის, ზეთის, ხორცის, რძის, კარაქის, საკონსერვო, საკონდიტრო, თევზის და სხვა დარგებს გააჩნიათ. საფქვავ-საბურღულე მრეწველობის უმსხვილესი საწარმოებია: სტავ-როპოლში, რიაზანში, კურსკში, ყაზანში, სამარაში, სტერლიტამსკში და სხვ. პროდუქციის გარკვეული ნაწილი გადის ექსპორტში. შაქრის წარმოება (6,4 მლნ ტ, 2017 წ.) ბოლო წლებში უმნიშვნელოდ შემცირდა. შაქრის წარმოების დიდი ნაწილი კურსკის, ბელგოროდის და ვორონეჟის ოლქებზე, აგრეთვე ვოლგის-პირეთსა და მთიან ალტაის მხარეზე მოდის. ყველა სახის ზეთის წარმოება 2,5 მლნ ტ-ს აღემატება, რომლის წარმოების ძირითადი რეგიონები ცენტრალური შავმიწანიადაგიანი რაიონი, ჩრდილო კავკასია და ვოლგისპირეთია. ყველა სახის ხორცის დამზადების (9,9 მლნ ტ, 2017 წ. მეოთხე ადგილი) ძირითადი რაიონებია: ცენტრი, ჩრდილო კავკასია, ვოლგისპირეთი, ურალი, დასავლეთ ციმბირი, ბაიკალისპირეთი და სხვ. რძის (30,8 მლნ ტ), კარაქის (870 ათასი ტ, პირველი ადგილი), ყველისა და სხვა რძის პროდუქტების წარმოება ყველა რაიონშია განვითარებული, განსაკუთრებით ცენტრში, ჩრდილო კავკასიასა და

ვოლგისპირეთში. თევჭერა და თევზის პროდუქტების რეწვის დიდი ნაწილი შორეულ აღმოსავლეთზე, თეთრი ზღვის აუზზე, კასპიის ტბაზე, მდინარე ობის ქვემო წელში და სხვა რაიონებზე მოდის. რუსეთი მსოფლიოში ძვირფასი სახეობის თევზის, ხიზილალისა და კიბორჩხლების ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი ქვეყანაა. მეტ-ნაკლებადაა განვითარებული კვების მრეწველობის სხვა დარგები. კვების მრეწველობის პროდუქციიდან ღვინის, სიგარეტის, ჩაის, ხმელი ხილის და სხვათა დიდი ნაწილი იმპორტირდება.

სოფლის მეურნეობა

რუსეთი ერთ-ერთი უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყანაა. სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 9,4% და იძლევა მშპ-ის 4,7% (2018 წ.). სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ტერიტორიის 13,4%, ანუ 229,7 მლნ ჰა (მესამე ადგილი ჩინეთის და აშშ-ს შემდეგ), მათ შორის სახნავია 134,3 მლნ ჰა (58,7%), საძოვრები - 64,0 მლნ ჰა და სათიბებები - 31,4%. სასოფლო-სამეურნეო მიწების 70% ევროპულ ნაწილზე მოდის. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე საკმაოდ მაღალია, სადაც არის 1,4 მლნ ტრაქტორი, 500 ათასზე მეტი კომბაინი, 600 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა და სხვ. სოფლის მეურნეობის ტერიტორიულ ორგანიზაციას მკვეთრად გამოხატული ზონალური ხასიათი აქვს, რომელიც ნიადაგურ-კლიმატური პირობების შედეგადაა განსაზღვრული. ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე (60˚- იანი განედების ჩრდილოეთით) სასოფლო-სამეურნეო წარმოება მკაცრი კლიმატური პირობების და მარადი მზრალობის შედეგად შეზღუდულია.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის თითქმის 60%. მემცენარეობის წამყვანი დარგი მარცვლეულის მეურნეობაა და მასზე მოდის სახნავი მიწების 59% (ხორბალი - 34%, ქერი - 11%, შვრია - 4%, სიმინდი - 3%, სხვა - 7%). მარცვლეული კულტურების საერთო წარმოება 119 მლნ ტ (მსოფლიოში მეოთხე ადგილი, 2016 წ.). მარცვლეულიდან მსოფლიო მნიშვნელობის ხორბლის წარმოებაა (1913 წელს რუსეთზე მოდიოდა მსოფლიოს ხორბლის ექსპორტის 28,1%), რომლის ნათესების საერთო ფართობი 45,7 მლნ ჰა, ხოლო წარმოება 85 მლნ ტ (ისტორიული მაქსიმუმი, 2017 წ. მეოთხე ადგილი მსოფლიოში). წარმოებული ხორბლის დაახლოებით 25-28% გადის ექსპორტში. ხორბალი ძირითადად იწარმოება („პურის ბეღლები“) ცენტრალური შავმიწანიადაგიან, ჩრდილო კავკასიისა და მთიანი ალტაის რაიონებში. ხორბლის გავრცელების რაიონების ჩრდილოეთით ითესება ქერი და შვრია, ხოლო სამხრეთით - სიმინდი. მოჰყავთ ჭვავი, წიწიბურა,

ბრინჯი (შორეულ აღმოსავლეთში მდინარეების ზეასა და ბურეას აუზებში, ტბა ხანკას სანაპიროსთან) და სხვა მარცვლეული კულტურები. მოჰყავთ სხვადასხვა სახის პარკოსანი კულტურებიც.

ტექნიკურ კულტურებს უჭირავს 21,9 მლნ ჰა, ანუ ნათესების 16%. მთავარი ტექნიკური კულტურაა შაქრის ჭარხალი, რომლის ნათესებს 1,5 მლნ ჰა უჭირავს, ხოლო იწარმოება 48 მლნ ტ (მსოფლიოში პირველი ადგილი, 2016 წ.). შაქრის ჭარხლის დიდი ნაწილი მოჰყავთ ცენტრალურ შავმიწანიადაგიან, ჩრდილო კავკასიის და ვოლგისპირეთის რაიონებში. აწარმოებს 11 მლნ ტ მზესუმზირას (მეორე ადგილი, 2016 წ.), რომლის ნათესები უფრო მეტად გავრცელებულია ვოლგისპირეთსა და ჩრდილო კავკასიაში. ერთ-ერთი მთავარი ტექნიკური კულტურა სოიოს მოყვანაა (3 მლნ ტ, 2016 წ.), რომლის წარმოების დიდი ნაწილი შორეული აღმოსავლეთის რაიონზე მოდის. თანდათანობით მცირდება საბოჭ-კოე სელისა და კანაფის წარმოების მაჩვენებლები.

მეხილეობა აგრო-კლიმატური რესურსების შედეგად სუსტადაა განვითარე-ბული. ძირითადად მოჰყავთ კონტინენტური ხეხილი (ვაშლი, მსხალი, ალუბა-ლი და სხვ.). მეხილეობა უფრო კარგად ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთ-შია განვითარებული. მევენახეობა, ძირითადად, ასევე, ჩრდილო კავკასიასა (დაღესტანი 1/3 ნაწილი) და ვოლგისპირეთშია წარმოდგენილი.

მებოსტნეობა თითქმის ყველგანაა განვითარებული, განსაკუთრებით, ევ-როპული ნაწილის სამხრეთში (ჩრდილოეთში და აღმოსავლეთში კი - სათბუ-რებში), ბოსტნეულის საერთო წარმოება 16 მლნ ტ (2016 წ.). მემცენარეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი მეკარტოფილეობაა, რომლის ნარგავებს 4 მლნ ჰა-ზე მეტი უჭირავს, ხოლო წარმოება 31 მლნ ტ (მესამე ადგილი, 2016 წ.). მეკარტოფილეობა ყველა ეკონომიკურ რაიონშია განვითარებული. ბაღჩეული კულტურები ძირი-თადად ჩრდილო კავკასიასა და ქვემო ვოლგისპირეთში იწარმოება. სახნავი მიწების 21%, ანუ 28,2 მლნ ჰა საკვებ (საფურაჟე) კულტურებს უჭირავს.

რუსეთში მეცხოველეობისთვის საჭირო საკვები ბაზის არსებობა, მეცხო-ველეობის სხვადასხვა დარგის განვითარების შესაძლებლობებს უზრუნველ-ყოფს. მესაქონლეობა მსოფლიო მნიშვნელობის დარგია (18,9 მლნ სული, მათ შორის ფური 8,9 მლნ, 2015 წ.). ევროპული ნაწილის ტყის და საგარეუბნო ზო-ნებში ძირითადად სარძევე-სახორცე მიმართულების, ხოლო დანარჩენ რაიო-ნებში სხვადასხვა ჯიშის პირუტყვია მოშენებული. მეღორეობა (21,4 მლნ სული, 2015 წ.) თითქმის ყველგანაა განვითარებული, განსაკუთრებით სასოფლო-სა-მეურნეო ნარჩენების რაიონებში (ცენტრალურ შავმიწანიადაგიანი, კრასნოდა-რის მხარე). მეღორეობის დარგობრივ სტრუქტურაში უპირატესობა საბეკონე მიმართულებას უჭირავს. მეცხოველეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი მეფრინ-

ველეობაა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველგანაა განვითარებული, განსაკუთრებით მარცვლეული წარმოების რაიონებში. თანდათანობით მცირდება ცხვრისა და თხის სულადობა (24,5 მლნ, 2015 წ.). უფრო მეტად სახორცე-სამატყლე მიმართულების მეცხვარეობაა განვითარებული, ხოლო მოშენების ძირითადი რაიონები ჩრდილო კავკასია, ვოლგისპირეთი, ალტაის მხარე და ბაიკალისპირეთია. ჩრდილოეთში ტუნდრის ზონაში აშენებენ ირემს, ევროპული ნაწილის სამხრეთ რაიონებში საკმაოდ კარგადაა განვითარებული მეფუტკრეობა, აშენებენ ცხენს, ძვირფასი ბეწვისმომცემ და სხვა ცხოველებს. რუსეთი მსოფლიოში მეცხოველეობის პროდუქციის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანაა, ხორცი - 9,9 მლნ ტ (ღორის - 46% ქათმის - 31,6%, საქონლის - 16,4%, ცხვრისა და თხის - 2,1%, დანარჩენი - 3,9%), რძე - 30,8 მლნ ტ, კვერცხი - 42,6 მლრდ, მატყლი - 55 ათასი ტ, თაფლი - 68 ათასი ტ (2016 წ.).

ტრანსპორტი

რუსეთი სატრანსპორტო კომუნიკაციებით ერთ-ერთი უზრუნველყოფილი ქვეყანაა, სადაც ფუნქციონირებს თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე. ტრანსპორტის განვითარებას ხელს უწყობს ტერიტორიის უზარმაზარი სივრცე, რელიეფის თავისებურება, მოსახლეობის არათანაბარი განლაგება, საწარმოო ძალების განვითარების დონე, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და სხვ.

ტრანსპორტის ძირითადი სახე სარკინიგზოა (პირველი სარკინიგზო ხაზი პეტერბურგი-პავლოვსკი, 22 კმ გაყვანილი იქნა 1837 წელს), რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე საკმაოდ კარგად იყო განვითარებული. სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირებას ხელს უწყობს არა მარტო რელიეფი, არამედ მკაცრი ჰავის პირობები, სხვა სახეებთან მიმართებით, ფუნქციონირების თვალსაზრისით, რიგი უპირატესობები. სარკინიგზო გზების საერთო სიგრძე 87157 კმ-ია, მათ შორის ელექტრიფიცირებულია 40300 კმ (2014 წ.). ბოლო წლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე როგორც ტვირთბრუნვა (55%), ისე მგზავრთბრუნვა (33,2%) თანდათანობით მცირდება. სარკინიგზო კარკასს ქმნის რადიალური, განედობრივი და მერიდიანული მაგისტრალები, რომელთა ძირითადი კონტურები რევოლუციამდე ჩამოყალიბდა. უმსხვილესი სარკინოგზო კვანძი მოსკოვია, საიდანაც 12 რადიალური მიმართულების ხაზებით ქვეყნის ყველა რეგიონთან არის დაკავშირებული. სამეურნეო და სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია განედობრივ ტრანსციმბირის (მოსკოვი-ვლადივასტოკი, 9332 კმ), სამხრეთ ციმბირის (მაგნიტოგორსკი-ბარნაული-ნოვოკუზნეცკი-აბაკანი), შუა ციმბირის (ჩელიაბინსკი-ობისკაემი) და მერიდიანული ჩრდილო-დასავლეთის (მოსკოვი-კალინინი-სანკტ-პეტერბურგი), სამხრეთის (მოსკოვი-კურსკი; მოსკოვი-რიაზა-

ნი-ვორონეჟი-დონის როსტოვი; მოსკოვი-სარატოვი-ვოლგოგრადი-ასტრახანი), ჩრდილოეთის(მოსკოვი-ვოლოგრა არხანგელსკი; ტიუმენი-სურგუტი-ურენგოი) და სხვა მაგისტრალები. სტრატეგიული და სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნია XX საუკ. 70-80 -ან წლებში აგებულ ბაიკალ-ამურის (ბამი: უსტ-კუტი - ამურის კომსომოლსკი, 3145 კმ) მაგისტრალს, რომელიც ერთ-ერთი ძვირადღირებული და ნაკლებეკონომიკური ღირებულების პროექტი აღმოჩნდა. სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითად ტვირთნაკადებს ნახშირი, ხე-ტყე, ნავთობროდუქტები, მარცვლეული და სხვა ტვირთები წარმოადგენს.

საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირებას გარკვეულწილად მკაცრი კლიმატური პირობები აფერხებს, მაგრამ მისი როლი და მნიშვნელობა თან-დათანობით იზრდება. შესაბამისად, მატულობს როგორც ტვირთბრუნვა (1,5%), ისე მგზავრთბრუნვა (33,0%). გზების საერთო სიგრძე 1,28 მლნ კმ-ია, აქედან მყარსაფარიანი გზების სიგრძე 927, 7 ათასი კმ-ია. მაგისტრალური გამჭოლი საავტომობილო გზები შორეულ ტერიტორიებთან დასაკავშირებლად კვლავაც არ არის.

რუსეთში ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებასთან დაკავში-რებით თანდათანობით იზრდება მილსადენი ტრანსპორტის მნიშვნელობა. მა-გისტრალური მილსადენი გზების საერთო სიგრძე 251,8 ათასი კმ (მეორე ადგი-ლი, 2016 წ.), მათ შორის გაზსადენები 177,7 ათასი კმ-ია, ხოლო ნავთობსადენები 74,1 ათასი კმ. შესაბამისად, იზრდება ტვირთბრუნვის მაჩვენებლები (27,5 %, 2015 წ.). მსოფლიოში პირველი მაგისტრალური ნავთობსადენის ბაქო-ბათუმის მშენებლობა დაიწყო 1897 წელს და დასრულდა 1907 წელს (სიგრძე 820 კმ). უმსხვილესი ნავთობსადენებია: „დრუჟბა“ ალმეტიევსკი-სამარა-უჩენა-მოზირი-ბრესტი-დასავლეთი ევროპა; ალმეტიევსკი-ნიჟნი-ნოვგოროდი-რიაზანი-მოსკო-ვი; სურგუტი-ტიუმენი-უფა-ალმეტიევსკი და სხვ. ცნობილი გაზსადენებია: ურენგოი-პომარი-უჟგოროდი (უკრაინა) - დასავლეთი ევროპა (მსოფლიოში უგრძესი, 4451 კმ); სარატოვი-მოსკოვი (პირველი გაზსადენი, 840 კმ); სტავროპო-ლი-მოსკოვი); ურენგოი-სურგუტი-ტობოლსკი-ტიუმენი-ჩელიაბინსკი; მედვე-ჟიე- ნადიმი-ტიუმენი-უფა-ტორჟოკი და სხვ.

ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირე და რელიეფი შიდაწყლის ტრანს-პორტის ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. შიდაწყლის გზების საერთო სიგრძე 102 ათასი კმ-ია, რომელთა საშუალებით ხდება ზღვებისა და ოკეანეების, აგრეთვე ეკონომიკური რაიონების ერთმანეთთან დაკავშირება. შესაბამისად, იზრდება ტვირთბრუნვა (4,7%) და მგზავრთბრუნვა. მნიშვნელოვანი სანაოსნო მდინარე ვოლგაა (სიმბოლურად რუსეთის ცენტრალურ ქუჩას უწოდებენ), რომელიც ვოლგა-დონის, ვოლგა-ბალტიისა და თეთრი ზღვა-ბალტიის არხით

უკავშირდება შავ, ბალტიისა და თეთრი ზღვის აუზებს. მასზე მოდი ქვეყნის სამდინარო ტვირთბრუნვის 40%. ვოლგაზე მნიშვნელოვანი სამდინარო ნავსადგურებია: მოსკოვი (ხუთი ზღვის ნავსადგური), ყაზანი, სამარა, ვოლგოგრადი და სხვ. უკიდურეს ჩრდილოეთში და აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი სანაოსნო მდინარეებია: ობი, ლენა, ენისეი და ამური. მდინარეებით გადაიტანება ხე-ტყე, ნავთობი, მარცვლეული, ბოსტნეული და სხვა ტვირთები. ვოლგის საშუალებით ხორციელდება საკრუიზო ტურიზმი.

რუსეთი უმსხვილესი საზღვაო ქვეყანაა, რომელიც სამი ოკეანის (ატლანტის, ჩრდილო ყინულოვანი, წყნარი) წყლების საშუალებით ახორციელებს როგორც საერთაშორისო, ისე შიდა გადაზიდვებს. საზღვაო გზებით გადაიტანება 712,2 მლნ ტ ტვირთი და მასზე მოდის ტვირთბრუნვის 11,3% (2016 წ.). გემების საერთო რაოდენობა 2572-ია (გენერალური ტვირთმზიდები - 874, ნავთობმზიდი ტანკერი - 411, კონტეინერმზიდი - 19, მშრალი ტვირთმზიდები - 16 და სხვ.), ხოლო ფლოტის სიდიდე 12,2 მლნ ბრუტ. რეგ. ტ (მსოფლიოში მე-11 ადგილზეა, 2017 წ.). ქვეყანაში 67 საზღვაო პორტია, მათ შორის მსხვილი პორტებია: შავ ზღვაზე - ნოვოროსიისკი (116,1 მლნ ტ, ტუაფსე (ნავთობის ექსპორტი), ბალტიის ზღვაზე - სანკტ-პეტერბურგი (60,0 მლნ ტ), კალინინგრადი (მანქანა მოწყობილობების იმპორტი, ხე-ტყის, მარცვლეულის, ლითონის ექსპორტი), თეთრ ზღვაზე - არხანგელსკი (ხე-ტყის ექსპორტი), ბარენცის ზღვაზე - გაუყინავი ნავსადგური მურმანსკი (აპატიტების, ფერადი ლიტონების, ხე-ტყის ექსპორტი), შორეულ აღმოსავლეთში - ვლადივასტოკი, ნახოდკა (მანქანა მოწყობილობების იმპორტი, ხე-ტყის, მადნეულის ექსპორტი), კასპიის ზღვაზე - ასტრახანი და მახაჩყალა.

ტერიტორიის განფენილობა საჰაერო ტრანსპორტის განვითარებას დიდ იმპულსს აძლევს, რის შედეგადაც მგზავრთბრუნვა თანდათანობით იზრდება. 1990 წელს გადაყვანილი იქნა 91 მლნ მგზავრი, 2005 წელს - 45 მლნ, 2017 წელს - 105 მლნ, ხოლო მგზავრთბრუნვამ 18,6% შეადგინა. ქვეყანაში 233 აეროპორტია (2017 წ.), მათ შორის უდიდესია: მოსკოვის „შერემეტევო“- 39,6 მლნ მგზავრი, მოსკოვის ,,დომოდედოვო“ - 30,7 მლნ, მოსკოვის ,,ვნუკოვო“ – 18,2 მლნ, სანკტ-პეტერბურგის“ პულკოვო“ - 16,1 მლნ, სოჩის - 5,3 მლნ და სხვ.

სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროტრანსპორტი, რომელიც მეტროპოლიტენების, ტრამვაის, ტროლეიბუსის, საბაგირო გზების და სხვა საშუალებების სახით წარმოდგენილია ქვეყნის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, სამეურნეო და ტურისტულ ადგილებში. მგზავრთა გადაყვანაში დიდი ადგილი მეტროპოლიტენებს ეკუთვნის, რომელთა შორის უმსხვილესი მოსკო-

ვის მეტროპოლიტენია, რომელიც 1937 წელს აშენდა, სიგრძე 217 კმ, მგზავრთბრუნვა - 2,9 მლრდ (მსოფლიოში პირველი ადგილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო ეკონომიკური კავშირები

რუსეთის საგარეო ეკონომიკურ კავშირებზე სერიოზული გავლენა პოლიტიკურმა პროცესებმა ითამაშა, რის შედეგადაც მსოფლიოს შრომის გეოგრაფიულ დანაწილებაში ნაკლებად იყო ჩართული. უფრო მეტიც, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იზოლირებულად ვითარდებოდა და მისი კავშირების გეოგრაფია პოლიტიკური არეალის ფარგლებში იყო ჩაკეტილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია თანდათანობით ფართოვდება. თანამედროვე პერიოდში საგარეო ეკონომიკური კავშირების ძირითადი ფორმა საგარეო ვაჭრობაა, რითაც მსოფლიოს ყველა რეგიონის ბევრ ქვეყანასთან არის დაკავშირებული. ვაჭრობის საერთო მოცულობა 491 მლრდ აშშ დოლარია (2017 წ.), ექსპორტზე მოდის 353 მლრდ, ხოლო იმპორტზე - 238. გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალი ვაჭრობის დადებითი სალდო და 115 მლრდ აშშ დოლარია. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 10,9%, ნიდერლანდები - 10,0%, გერმანია - 7,0%, ბელარუსი - 5,1%, თურქეთი - 4,9% და სხვ. იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 21,1%, გერმანია - 10,2%, აშშ - 5,6%, ბელარუსი - 5,0%, იტალია - 4,5%, საფრანგეთი - 4,2% და სხვ. რუსეთს გააქვს: ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, შავი და ფერადი ლითონის მადანი, აპატიტები, მერქანი, ზოგიერთი მანქანები და მოწყობილობები, ხორბალი, ხორცი, რძის პროდუქტები, თევზი, ხიზილალა და სხვ. შეაქვს: მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები (25%-მდე), ბამბა, ჩაი, ხეხილი და სახალხო მოხმარების საქონელი.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ვითარდება საერთაშორისო საწარმო თანამშრომლობა, როგორც ყოფილ სოციალისტურ, ისე განვითარებულ ქვეყნებთან. თანდათანობით იზრდება რუსული კაპიტალის დაბანდება უცხო ქვეყნებში. ინტენსიურად ვითარდება საერთაშორისო მომსახურებითი კავშირები და საერთაშორისო ტურიზმი.

შიდარეგიონალური სხვაობები

რუსეთი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ორ უმსხვილეს ნაწილად, დასავლეთის და აღმოსავლეთის მაკრორეგიონებად იყოფა, რომელიც (ბუნებრივი და სამეურნეო ნიშნებით) მოიცავს 11 ეკონომიკურ რაიონს. დასავლეთის მაკრორეგიონში შედის 8 ეკონომიკური რაიონი (ცენტრალური, ჩრდილო დასავლეთი,

ჩრდილოეთი, ცენტრალურ - შავმიწანიადაგიანი, ვოლგა-ვიატკის, ვოლგისპირეთის, ჩრდილო კავკასიის, ურალის), საერთო ფართობი 4,4 მლნ კმ²-ია (25,7%), მოსახლეობა 115,4 მლნ კაცი (78,6%). აღმოსავლეთის მაკრორეგიონში შედის 3 ეკონომიკური რაიონი (დასავლეთ ციმბირის, აღმოსავლეთი ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის), საერთო ფართობი 12,7 მლნ კმ² (74,3%), მოსახლეობა 31,4 მლნ კაცი (21,4%).

1. ცენტრალური ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 451,1 ათასი კმ², მოსახლეობა - 31,4 მლნ კაცი (2018 წ). აერთიანებს - ფედერალური დაქვემდებარების ქალაქ მოსკოვს და მოსკოვის, ტვერის, იაროსლავლის, კოსტრომის, ივანოვოს, ვლადიმირის, რიაზანის, ტულის, ორიოლის, ბრიანსკის, კალუგისა და სმოლენსკის ოლქებს. რაიონი წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოს ბირთვს, რომელიც თანამედროვე პერიოდის ძირითად ეკონომიკურ რაიონს წარმოადგენს. რესურსებიდან აღსანიშნავია რკინის მადანი, ბოქსიტები და სხვ. მრეწველობის წამყვანი დარგებია მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, შავი მეტალურგია, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობა ძირითადად საგარეუბნო მიმართულებისაა, რომელიც სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობაზეა სპეციალიზებული. მთავარი ქალაქებია მოსკოვი - 12,5 მლნ, იაროსლავლი - 608,7 ათასი, რიაზანი - 539,1 ათასი, ბრიანსკი - 405,1 ათასი, ვლადიმირი - 357,1 და სხვ.

2. ჩრდილო დასავლეთის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 196,5 ათასი კმ², მოსახლეობა - 8,4 მლნ კაცი. აერთიანებს ფედერალური დაქვემდებარების ქალაქ სანკტ-პეტერბურგს და ლენინგრადის, ნოვგოროდის და ფსკოვის ოლქებს. გააჩნია გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. რევოლუციამდე, განვითარების მხრივ, ცენტრის შემდეგ მეორე რაიონი იყო. მინერალური რესურსებით არც ისე მდიდარია (ბოქსიტები, ფოსფორიტები, საწვავი ფიქლები, ტორფი). მრეწველობიდან სპეციალიზირდება მანქანათმშენებლობაზე, ელექტროენერგეტიკაზე, ფერად მეტალურგიაზე, მსუბუქ და კვების მრეწველობაზე. სოფლის მეურნეობა ნიადაგურ-კლიმატური პირობების შედეგად შეზღუდულია, სადაც განვითარებულია საგარეუბნო სარძევე-სახორცე მესაქონლეობა. მთავარი ქალაქებია: სანკტ-პეტერბურგი - 5,4 მლნ, ნოვგოროდი - 222,8 ათასი, ფსკოვი - 210,4 ათასი და სხვ.

3. ჩრდილოეთის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 1, 466 მლნ კმ², მოსახლეობა - 5,8 მლნ კაცი. აერთიანებს კარელიისა და კომის ავტონომიურ რესპუბლიკებს, მურმანსკის, არხანგელსკის და ვოლოგდის ოლქებს. მდიდარია მინერალური (აპატიტები, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, ფერადი ლითონები), ტყის და წყლის რესურსებით. მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული სამთო მოპო-

ვებითი, ხე-ტყის, ენერგეტიკა და ფერადი მეტალურგია. სოფლის მეურნეობა კლიმატური პირობების გამო შეზღუდულია და უფრო მეტად სასათბურე მეურნეობებია წარმოდგენილი. მთავარი ქალაქებია: არხანგელსკი - 349,7 ათასი, ვოლოგდა - 312,4 ათასი, მურმანსკი - 307,4 ათასი და სხვ.

4. ცენტრალური შავმიწანიადაგიანი რაიონი. ფართობი - 167,7 ათასი კმ², მოსახლეობა - 7,6 მლნ კაცი. აერთიანებს კურსკის, ვორონეჟის, ლიპეცკისა და ტამბოვის ოლქებს. რესურსებიდან აღსანიშნავია მინერალური (რკინის მადანი, კმა, დოლომიტები, ფოსფორიტები, ცარცი, ბოქსიტები) და ნიადაგური (შავმიწები). მრეწველობის წამყვანი დარგებია შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ატომური ენერგეტიკა, სამშენებლო და კვების მრეწველობა. რაიონი ქვეყნის „ბეღელია“ - მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის და მზესუმზირის წარმოების სპეციალიზაციით. მთავარი ქალაქებია: ვორონეჟი - 1,05 მლნ, ლიპეცკი -509,7 მლნ, კურსკი - 448,7 ათასი, ბელგოროდი - 391,6 ათასი, ტამბოვი - 297,2 ათასი და სხვ.

5. ვოლგა-ვიატკის რაიონი. ფართობი - 263,3 ათასი კმ², მოსახლეობა - 8,5 მლნ კაცი (2018 წ.). აერთიანებს მორდვეთისა და მარი ელის ავტონომიურ რესპუბლიკებს, ნიჟნი-ნოვგოროდისა და კიროვის ოლქებს. მინერალური რესურსებით არც ისე მდიდარია (ფოსფორიტები, ქვამარილი, სამშენებლო ნედლეული), გამოირჩევა ტყისა და წყლის რესურსებით. სპეციალიზირდება მანქანათმშენებლობასა და ხე-ტყის მრეწველობაზე. სოფლის მეურნეობა კლიმატური რესურსების გამო შეზღუდულია და ძირითადად საგარეუბნო მეურნეობებში სარძევე-სახორცე მეცხოველეობაა განვითარებული. მთავარი ქალაქებია: ნიჟნი-ნოვგოროდი - 1,26 მლნ, კიროვი - 507,5 ათასი, სარანსკი - 318,8 ათასი, იოშკარ-ოლა - 268,3 ათასი და სხვ.

6. ჩრდილო კავკასიის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 355,1 ათასი კმ², მოსახლეობა - 17,8 მლნ კაცი (2018 წ.). აერთიანებს ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის (ალანია), ინგუშეთის, ჩეჩნეთის და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებს, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებს, როსტოვის ოლქს. მინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია ნავთობი, გაზი, პოლიმეტალები, ვოლფრამი და სხვ. მრეწველობის დარგებიდან კარგადაა განვითარებული ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ფერადი და კვების მეტალურგია. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი რეგიონია, სადაც მოჰყავთ ხორბალი, შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, თამბაქო, ყურძენი, ხეხილი, რის ბაზაზეც შექმნილია აგროსამრეწველო კომპლექსები. მთავარი ქალაქებია: დონის როსტოვი - 1,13 მლნ, კრასნოდარი - 899,5 ათასი, მახაჩყალა - 596,4 ათასი, სტავროპოლი - 433,9 ათასი, 422,3 სოჭი - 424, 3 ათასი, ვლადიკავკაზი -306,3 ათასი, გროზნო - 297,3 ათასი და სხვ.

7. ვოლგისპირეთის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 535 ათასი კმ², მოსახლეობა - 16,7 მლნ კაცი (2018 წ.). აერთიანებს - თათრეთისა და ყალმუხეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს, სამარის, ულიანოვსკის, პენზის, სარატოვის, ვოლგოგრადის და ასტრახანის ოლქებს. მინერალური რესურსებიდან აღსანიშნავია ნავთობი, გაზი, სუფრის მარილი, გოგირდი და სამშენებლო ნედლეული. მრეწველობის წამყვანი დარგებია სამთო-მოპოვებითი, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, საშენ მასალათა და კვების. სოფლის მეურნეობიდან მთავარია ხორბლის, მზესუმზირის, ბაღჩეული კულტურებისა და ბოსტნეულის მოყვანა, ხოლო მეცხოველეობიდან წამყვანია მესაქონლეობა, მეღორეობა და მეფრინველეობა. მთავარი ქალაქებია: ყაზანი - 1,24 მლნ, სამარა - 1,16 მლნ, ვოლგოგრადი -1,02 მლნ, სარატოვი - 844,8 ათასი, ტოლიატი -707,6 ათასი, ულიანოვსკი - 626,5 ათასი, ასტრახანი - 532,9 ათასი, პენზა - 523,5 ათასი და სხვ.

8. ურალის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 824 ათასი კმ², მოსახლეობა - 20,2 მლნ კაცი (2018 წ.). შედის უდმურტეთის, ბაშკირეთის, კომი-პერმელთა ავტონომიური რესპუბლიკები, პერმის, ეკატერინებურგის, ჩელიაბინსკის, ორენბურგის და კურგანის ოლქები. უმდიდრესია მინერალური (ნავთობი, გაზი, რკინის მადანი, სპილენძის მადანი, კალიუმის მარილები, სუფრის მარილი, ძვირფასი ლითონები) და ტყის რესურსებით. მრეწველობიდან უპირატესობა მძიმე ინდუსტრიას (ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ხე-ტყის), ხოლო სოფლის მეურნეობიდან - მარცვლეულს და სარძევე-სახორცე მეცხოველეობას უჭირავს. მთავარი ქალაქებია: ეკატერინებურგი - 1,47 მლნ, ჩელიაბინსკი - 1,21 მლნ, უფა - 1,12 მლნ, პერმი - 1,05 მლნ, ორენბურგი - 564,8 ათასი, მაგნიტოგორსკი - 516,5 ათასი, ნიჟნი ტაგილი - 353,9 ათასი, კურგანი - 318, 1 ათასი და სხვ.

9. დასავლეთ ციმბირის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 2427,2 ათასი კმ², მოსახლეობა - 15,1% (2018 წ.). აერთიანებს ალთაის ავტონომიურ რესპუბლიკას, იამალ-ნენთა და ხანტი-მანსის ავტონომიურ ოკრუგებს, ალთაის მხარეს, ტიუმენის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, ტომსკისა და კემეროვოს ოლქებს. მინერალური რესურსებიდან მდიდარია ნავთობით, გაზით, ქვანახშირით, რკინის მადნით, მარგანეცით, პოლიმეტალებით და სხვ. მრეწველობის ძირითადი დარგებია: ენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის და ქიმიური. სოფლის მეურნობიდან წამყვანია ხორბლის მოყვანა და მეცხვარეობა. მთავარი ქალაქებია: ნოვოსიბირსკი - 1,61 მლნ, ომსკი - 1,16 მლნ, ბარნაული - 632,4 ათასი, ტომსკი - 574,1 ათასი, კემეროვო -558,0 ათასი, სურგუტი - 366,2 ათასი და სხვ.

10. აღმოსავლეთ ციმბირის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 4,1 მლნ კმ², მოსახლეობა - 8,7 მლნ კაცი (2018 წ.). შედის ტუვის, ბურიატეთის და ხაკასეთის

ავტონომიური რესპუბლიკები, ხანრი-მანსის, ტაიმირის (დოლგან-ნენთა), ევენკთა, უსტ-ორდის ბურიატთა და აგის ბურიატთა ავტონომიური ოკრუგები, კრასნოიარსკის მხარე, ირკუტსკისა და ჩიტის ოლქები. მდიდარია მინერალური (ქვანახშირი, მურა ნახშირი, სპილენძი, ნიკელი, რკინის მადანი, ოქრო), წყლის და ტყის რესურსებით. მეურნეობის წამყვანი დარგი მრეწველობაა ელექტროენერგეტიკის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ხე-ტყის დარგების სპეციალიზაციით. სოფლის მეურნეობიდან მთავარი დარგი ცხვრის მოშენებაა. მნიშვნელოვანი ქალაქებია: კრასნოიარსკი - 1,1 მლნ, ირკუტსკი - 623,9 ათასი, ჩიტა - 349,1 ათასი, ულან-უდე - 435,8 ათასი, აბაკანი - 182,1, ნორილსკი - 179,6 ათასი და სხვ.

11. შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონი. ფართობი - 6,2 მლნ კმ² (რუსეთის ტერიტორიის 36,3%), მოსახლეობა - 7,6 მლნ კაცი (2018 წ.). შედის იაკუტიის (სახა) ავტონომიური რესპუბლიკა, ებრაელთა ავტონომიური ოლქი, კორიაკთა და ჩუკოტკის ავტონომიური ოკრუგები, ხაბაროვსკის და ზღვისპირა მხარეები, ხაბაროვსკის, ამურის, მაგადანის და კამჩატკის ოლქები. მდიდარია მინერალური (ოქრო, ალმასი, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, პოლიმეტალები, კალა), წყლის, ტყის, თევზის და სხვა რესურსებით. მრეწველობის წამყვანი დარგებია სამთო-მოპოვებითი, ენერგეტიკა, ხე-ტყის, ფერადი მეტალურგია და კვების (თევზის, ხიზილალის) მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან მთავარია ბრინჯის მოყვანა და მეხილეობა. მთავარი ქალაქებია: ხაბაროვსკი - 618,6 ათასი, ვლადივასტოკი - 604,9 ათასი, იაკუტსკი - 311,8 ათასი, ამურის კომსომოლსკი - 248,3 და სხვ.

რუსეთში პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის უკეთ კოორდინაციის მიზნით, პრეზიდენტის 2000 წლის ბრძანებით, შექმნილია 8 ფედერალური ოკრუგი. **1. ცენტრალური** (ფართობი - 660 250 კმ², მოსახლეობა - 39,31 მლნ კაცი, შედის 18 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - მოსკოვი); **2. ჩრდილო-დასავლეთი** (ფართობი - 1 686 972 კმ², მოსახლეობა - 13,95 მლნ კაცი, შედის 11 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - სანკტ-პეტერბურგი); **3. სამხრეთის** (ფართობი - 447 821 კმ², მოსახლეობა - 16,44 მლნ კაცი, შედის 8 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - დონის როსტოვი); **4. ჩრდილო კავკასიის** (ფართობი - 170 439 კმ², მოსახლეობა - 9,82 მლნ კაცი, შედის 7 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - პიატიგორსკი); **5. ვოლგისპირეთი** (ფართობი - 1 036 975 კმ², მოსახლეობა - 29,54 მლნ კაცი, შედის 14 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - ნიჟნი ნოვგოროდი); **6. ურალის** (ფართობი -1 818 497 კმ², მოსახლეობა - 12,36 მლნ კაცი, შედის 6 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - ეკატერინბურგი); **7. ციმბირის** (ფართობი - 4 361 727 კმ², მოსახლეობა -

17,23 მლნ კაცი, შედის 10 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - ნოვოსიბირსკი); **8. შორეული აღმოსავლეთი** (ფართობი - 6 952 555 კმ², მოსახლეობა - 8,22 მლნ კაცი, შედის 11 სუბიექტი, ადმინისტრაციული ცენტრი - ვლადივასტოკი).

2.1.2. გერმანია

ფართობი - 357,0 ათასი კმ²

მოსახლეობა - 83,1 მლნ კაცი (2019 წ.)

დედაქალაქი - ბერლინი

ზოგადი ცნობები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალ-განვითარებული ქვეყანაა, რომელიც ყველა დროში აქტიურად იყო ჩართული მსოფლიოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 52095 დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი 0,936-ს (მე-5 ადგილი, 2017 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 16 ფედერალურ მხარედ. ქვეყნის დევიზია: ,,ერთიანობა, სამართალი, თავისუფლება“ -,,Einigkeit und Recht und Freihei“. სახელმწიფო ენაა - გერმანული, ფულის ერთეული - ევრო.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

გერმანია მდებარეობს ცენტრალური ევროპის ჩრდილო ნაწილში. გააჩნია საკმაოდ კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, აქვს პირდაპირი გასასვლელი ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებზე, აგრეთვე, ქვეყანაზე გადის მნიშვნელოვანი ტრანსევროპული სატრანზიტო კომუნიკაციები. ევროპაში გამოირჩევა ცენტრალური და კარგი ,,მეზობლური” მდებარეობით. გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა დადებითად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე.

საზღვრების საერთო სიგრძე 6103 კმ-ია, აქედან სახმელეთო - 3714 კმ-ია, ხოლო საზღვაო - 2389 კმ. ჩრდილოეთით ესაზღვრება დანია (140 კმ), ჩრდი-ლოეთისა და ბალტიის ზღვები; სამხრეთით - შვეიცარია (348 კმ) და ავსტრია (801 კმ), აღმოსავლეთით - პოლონეთი (467 კმ) და ჩეხეთი (704 კმ), დასავლეთით - ნიდერლანდები (575 კმ), ბელგია (133 კმ), ლუქსემბურგი (128 კმ) და საფ-რანგეთი (418 კმ). გერმანიის მდებარეობა და საზღვრები იხ. ნახ.13.

ნახ. 13. გერმანიის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

გერმანია რელიეფის ხასიათის მიხედვით იყოფა ოთხ ნაწილად: ჩრდილო გერმანიის დაბლობი, შუა გერმანიის მთები, ალპებისპირა ბავარიის წვრილ-გორაკები და ალპები. დაბლობები წარმოდგენილია ქვეყნის ჩრდილო ნაწილში განედობრივი სახით, რომელსაც ტერიტორიის დაახლოებით 1/3 ნაწილი უჭირავს. რელიეფი სამხრეთით თანდათანობით მაღლდება, ხოლო ბავარიის ალპებში მდებარეობს ქვეყნის უმაღლესი წერტილი ცუგშპიცე (2963 მ). რელიეფი, გარდა მცირე გამონაკლისისა, განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნის საწარმოო ძალებისა და განსახლების ქსელის ჩამოყალიბებაში.

გერმანია მინერალური რესურსებით საკმაოდ მდიდარია. სათბობი რესურ-სებიდან გამოირჩევა ქვანახშირით, რომლის საერთო მარაგი შეფასებულია 230 მლრდ ტონით და ამ მაჩვენებლით დასავლეთ ევროპაში პირველ ადგილზეა. მარაგის დიდი ნაწილი თავმოყრილია რურის (9/10 ნაწილი), ახენისა და ზაარის აუზებში. უმდიდრესია მურა ნახშირის მარაგითაც (40,5 მლრდ ტ). ძირითადი საბადოებია ქ. ლაიფციგის დასავლეთით და ქ. კელნთან. ქვანახშირის მოპოვება ხდება შახტური, ხოლო მურა ნახშირის ღია წესით. ნავთობისა და გაზის რესურსები უმნიშვნელოა (70 მლნ ტ და 340 მლრდ $მ^3$). საბადოები განლაგე-ბულია ჩრდილო გერმანიის დაბლობზე. მადნეული წიაღისეულიდან აღსანიშ-ნავია რკინის მადანი, რომლის მარაგი უმნიშვნელოა (7,5 მლრდ ტ) და რკინის შემცველობა დაბალია. მთავარი საბადოა ქვემო საქსონიის მიწაზე ქ. ზალცგი-ტერის ახლოს. გარცის საბადოში არის სპილენძისა და ტყვია-თუთიის გარკვეუ-ლი მარაგი. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს კალიუმის მარილებს. მარაგი 1500 მ-ის სიღრმემდე შეფასებულია 3 მლრდ ტონით. საბადოები განლაგებულია მდინა-რეების ფულდასა და ვერას აუზებში. საექსპორტო მნიშვნელობა აქვს კაოლინს. არის სუფრის მარილის, გოგირდის, ფოსფორიტების, ბარიტის, თაბაშირის, ცარცის და სხვა სამშენებლო მინერალური რესურსების შემცველი ქანები.

გერმანია განლაგებულია ზომიერ კლიმატურ სარტყელში, სადაც ჩამოყა-ლიბებულია ზომიერად კონტინენტური ჰავა. საშუალო წლიური ტემპერატურა +15°C - +16°C, მაქსიმუმები ზაფხულში აღემატება +25°C, ხოლო მინიმუმები ზამთარში მთიან რეგიონებში ეცემა -20°C -ის ქვემოთ. ნალექების რაოდენობა საშუალოდ 650-2000 მმ-ია. მინიმუმები მოდის ჩრდილო გერმანიის დაბლობზე, ხოლო მაქსიმუმები ალპებში. კლიმატური რესურსები არცთუ ისე ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის; ოპტიმალური პირობები იქმნება შაქრის ჭარხლის, ხორბლის, კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების მოყვანისათვის.

წყლის რესურსებით საკმაოდ უზრუნველყოფილია, რომელიც ხშირი მდინარეთა ქსელითაა წარმოდგენილი. მდინარეთა 68% მიეკუთვნება ჩრდილოეთის ზღვის აუზს (რაინი, ვეზერი, ემსა, ელბა), სადაც მთავარი სანაოსნო მდინარეა რაინი, რომელიც ძლიერ გაჭუჭყიანებულია სამრეწველო ნარჩენებისაგან. მდინარეების 18% მიეკუთვნება შავი ზღვის (დუნაი და მისი შენაკადები), ხოლო 14% ბალტიის ზღვის (ოდრა) აუზებს. მდინარეები ერთმანეთთან დაკავშირებულია სანაოსნო არხებით, რომელთა საერთო სიგრძე 1850 კმ-ია. დაბალია მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი და არ აღემატება 7,5 მლრდ კვტ/სთ-ს. წყლის რესურსების, განსაკუთრებით სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის რურის სამრეწველო რაიონი. ქვეყანა მდიდარია

მიწისქვეშა წყლებით (18 მლრდ m^3 წელიწადში). მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის 90% მოდის მიწისქვეშა წყლებზე. ქვეყანაში ბევრი ტბაა, მათ შორის უდიდესია ბოდენზე.

ტყის რესურსებით არცთუ ისე მდიდარია. ტყითაა დაფარული ტერიტორიის 31,8%. პირველადი ტყეები, გარდა ნაკრძალებისა, თითქმის არ არის შემორჩენილი. ძირითადად არის მეორეული და მესამეული ტყე. ტყის რესურსებით შედარებით მდიდარია სამხრეთი მთიანი რეგიონები. დაბალმთიან ზონაში, ძირითადად, არის ფართოფოთლოვნები (მუხა, რცხილა, ცაცხვი), ხოლო მაღალმთიან ზონაში წიწვოვნები (ფიჭვი). ტყის რესურსები ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის საერთო მოთხოვნილებებს.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

უძველეს პერიოდში გერმანიის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი ძველი გერმანული და სლავური ტომები ცხოვრობდნენ. ტომობრივი გაერთიანებები VI - IX საუკუნეებში ფრანკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცნენ. ფრანკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, X საუკუნის დასაწყისში, გერმანული ტომობრივი საჰერცოგოებისა (შვაბია, ბავარია, ფრიკონია, საქსონია, თიურინგია) და ზოგიერთი ტერიტორიის გაერთიანებით, ჩამოყალიბდა გერმანიის ფეოდალური სახელმწიფო. X საუკუნის მეორე ნახევარიდან იწყებს ტერიტორიის გაფართოებას, როგორც აღმოსავლეთის, ისე სამხრეთის მიმართულებით. XII - XIV საუკუნეებში გერმანია რამდენიმე სამთავროდ დაიშალა. XVII - XVIII საუკუნეებში ორი დიდი სახელმწიფო დაწინაურდა - ავსტრია და პრუსია. 1870 - 1871 წლებში შეიქმნა გერმანიის იმპერია.

1914 წელს გერმანიის ინიციატივით გაჩაღდა პირველი მსოფლიო ომი. ომში გერმანია დამარცხდა და ხელი მოაწერა ანტანტის ქვეყნების მიერ ნაკარნახევ ვერსალის საზავო ხელშეკრულებას.

1932 წელს გერმანიის ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდა ნაციონალისტური პარტია ადოლფ ჰიტლერის ხელმძღვანელობით. დროის მცირე შუალედში რადიკალური ძვრები განხორციელდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და გერმანია ღიად დაადგა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების გზას. 1939 წლის 1 სექტემბერს თავს დაესხა პოლონეთს და ამით დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, 1945 წლის 8 მაისს ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციას. 1945 წელს გერმანია დაიყო 4 საოკუპაციო ზონად, ხოლო ბერლინი 4 სექტორად. 1949 წელს ამერიკული, ფრანგული და ბრიტანული ზონებისაგან შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბჭოთა ზონისაგან - გერმანიის დემოკრატიული რესპუბ-

ლიკა. 1961 წელს აღიმართა ბერლინის კედელი (დაშლა დაიწყო 1989 წელს, რომელიც „ცივი ომის“ დასრულების სიმბოლოდ ითვლება). ეროვნული საზღვრები გაიხსნა 1989 წელს, ხოლო ოფიციალურად გერმანიის გაერთიანება გამოცხადდა 1990 წლის ოქტომბერში. გაერთიანებული გერმანიის პირველ კანცლერად აირჩიეს ჰელმუტ კოლი.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც 16 ფედერალურ მხარედ იყოფა. მმართველობის ფორმის მიხედვით, გერმანია კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკაა, ძლიერი მინისტრთა კაბინეტით. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა 5 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაური არ შედის ხელისუფლების არც ერთ შტოში. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია ფედერალური კანცლერი, რომელსაც ირჩევს ბუნდესტაგი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, პრეზიდენტის წარდგინებით. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მინისტრთა კაბინეტს, რომლის წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი ფედერალური კანცლერის რეკომენდაციითა და ბუნდესტაგის თანხმობით. მთავრობას კონსტიტუციის მიხედვით აქვს ფართო უფლებამოსილება.

საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს პარლამენტი, რომელიც შედგება ბუნდესტაგის (ქვედა პალატა) და მიწების მთავრობის მიერ დანიშნული წევრებისაგან შექმნილი ბუნდესრატისაგან (ზედა პალატა). ბუდესტაგი შედგება მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით მაჟორიტარული და პროპორციული სისტემით არჩეული 614 წევრისაგან. ბუნდესრატს აყალიბებენ მიწების მთავრობები 4 წლის ვადით (3-დან 6-მდე მოსახლეობის რიცხოვნობის პროპორციული ქვოტით) 68 წევრის რაოდენობით. კანონებს ღებულობს ბუნდესტაგი და დასამტკიცებლად გადაეგზავნება ბუნდესრატს. განსაკუთრებულ შემთხვევაში ბუნდესტაგს შეუძლია გადააყენოს კანცლერი. ამასთან, ყოველ მიწას გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, ერთპალატიანი არჩევითი საკანონმდებლო ორგანო - ლანდტაგი (ბავარიაში ორპალატიანი) და მთავრობა მინისტრ-პრეზიდენტის მეთაურობით.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, ფედერაციული რესპუბლიკაა. იყოფა 16 ფედერაციულ მხარედ, მათ შორის 13 ,,მიწაა” და სამი მათთან გათანაბრებული ქალაქი - ბერლინი, ჰამბურგი და ბრემენი (იხ. ნახ. 14 და ცხრ. 6).



ნახ. 14. გერმანიის ფედერაციული მხარეები

1.ბადენ-ვიურტენბერგი; 2. ბავარია; 3. ბერლინი; 4. ბრანდენბურგი; 5. ბრემენი; 6. ჰამბურგი; 7. ჰესენი; 8. მეკლენბურგი-წინა პომერანია; 9. ქვემო საქსონია; 10. ჩრდილოეთ-რაინ ვესტფალია; 11. რაინლანდ-ჰფალცი; 12. საქსონია; 13. ზაარლანდია; 14. საქსონია-ანჰალტი; 15. შლეზვინგ-ჰოლშტაინი; 16. თიურინგია.

წყარო: karte Deutsche Bundeslander (nummeriert).svg www. ru.wikipedia

ცხრილი 6.

გერმანიის ფედერაციული მხარეები

№	ფედერაციული მხარეები	ფართობი კმ²	მოსახლეობა კაცი (2014 წ.)	დედაქალაქი
1	ბადენ-ვიუტემბერგი	35751	10 879 618	შტუტგარტი
2	ბავარია	70553	12 843 514	მიუნხენი
3	ბერლინი	883	3 611 222	ბერლინი
4	ბრანდენბურგი	25900	2 457 872	პოტსდამი
5	ბრემენი	404	661 888	ბრემენი
6	ზაარლანდია	2569	1 834 244	ზაარლენდი
7	თიურინგია	15482	2 156 759	ერფურტი
8	მეკლენბურგი-წინა პომერანია	22887	1 599 138	შვერინი
9	რაინლანდ-პფალცი	19848	4 011 582	მაინცი
10	საქსონია	17036	4 065 274	დრეზდენი
11	საქსონია-ანჰალტი	25900	2 235 545	მაგდენბურგი
12	ქვემო საქსონია	47438	7 826 739	ჰანოვერი
13	შლეზვინგ-ჰოლშტაინი	15727	2 830 866	კილი
14	ჩრდილოეთ-რაინ ვესტფალია	34068	17 571 856	დიუსელდორფი
15	ჰამბურგი	755	1 834 244	ჰამბურგი
16	ჰესენი	21115	6 093 888	ვისბადენი

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

გერმანია მოსახლეობის რიცხოვნობით ევროპაში, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა - 83,1 მლნ კაცი (2019 წ). ქვეყნის მოსახლეობის დინამიკაზე უარყოფითი გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომმა და ამ პერიოდში დაიღუპა 5,5 მლნ კაცი. მოსახლეობის რიცხოვნობამ ომამდელ დონეს მიაღწია 60-იანი წლების დასაწყისში. გერმანიის მოსახლეობა ბოლო წლებამდე ნელი ტემპით იზრდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში უმნიშვნელოდ მცირდება (- 0,17%, 2018 წ.). ქვეყანაში აღინიშნება დეპოპულაცია, კერძოდ, შობადობის მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე 8,6 პრომილეა, ხოლო სიკვდილიანობა - 11,8 (2018 წ.). მოსახლეობის დინამიკაზე დადებით როლს იმიგრაციული პროცესები თამაშობს (მიგრაციის მოზიდვის სალდო 1,5 კაცია).

მსოფლიოს საშუალო მონაცემებთან შედარებით, დარღვეულია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 49,0%, ხოლო ქალებზე - 51,0%, 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფი შეადგენს მთელი მოსახლეობის - 12,8%, 15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი - 64,6%, ხოლო 65 წლის და ზემოთ - 22,6% (2018 წ.). ქვეყანაში აშკარადაა გამოხატული მოსახლეობის დაბერების, ანუ „ნაცრისფერი საშიშროების“ ტენდენციები.

გერმანიის მოსახლეობის უპირატესად დიდი ნაწილი 87,2% გერმანელებია (2018 წ.). სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან ჭარბობენ - თურქები (1,8%), სირიელები (1%) იტალიელები (0,7%), ბერძნები (0,4%), პოლონელები (0,4%), სერბები (0,3%) და სხვ.

რელიგიური კუთვნილების მიხედვით - 28,2% პროტესტანტია, 26% - კათოლიკე, 5% - მუსლიმანი, 1,9% - მართმადიდებელი, ხოლო დანარჩენი არცერთ რელიგიას არ აღიარებს.

გერმანიისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იყო, როგორც ემიგრაციული, ისე იმიგრაციული პროცესები. მარტო აშშ-ში 1820-1990 წლებში გადასახლდა 7,07 მლნ ემიგრანტი. პოლიტიკური ხასიათის მიგრაციებს ადგილი ჰქონდა პირველი და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ბოლო წლებში გერმანია ევროპაში იმიგრანტების მიღების მნიშვნელოვან ქვეყნად გადაიქცა. 2005 წელს იმიგრანტების რაოდენობა შეადგენდა 10,5 მლნ კაცს, ანუ მთელი მოსახლეობის 12,6%-ს. ბოლო წლებში იმიგრანტების რაოდენობა მინიმუმამდეა შემცირებული. იმიგრანტების 1/3 ნაწილს თურქები წარმოადგენენ, ასევე არიან სირიელები, იტალიელები, ბერძნები, სლავები და სხვ.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 45,9 მლნ კაცს, ანუ მთელი მოსახლეობის 56,9 %-ს (2018 წ.). დასაქმებული მოსახლეობის 1,4% ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, 24,2% - მრეწველობაში და 74,4% - მომსახურების სფეროში. უმუშევრობის დონე 3,8%-ია.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 226 კაცს შეადგენს. მჭიდროდ დასახლებული რაიონია რურის აგლომერაცია, სადაც სიმჭიდროვე 2500-3000 კაცია. სუსტადაა დასახლებული სამხრეთ მთიანი რეგიონები და აღმოსავლეთი გერმანია.

გერმანია მაღალურბანიზებული ქვეყანაა (77,3%), მაგრამ ,,მილიონერი” ქალაქები ცოტაა (ბერლინი-3,5 მლნ, ჰამბურგი - 1,8 მლნ, მიუნჰენი - 1,5 მლნ, კელნი -1,1 მლნ). აგლომერაციების ფორმირება დასრულდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. შექმნილია ბევრი მეგალოპოლისი, მათ შორის უდიდესია ,,რაინის”, რომელიც აერთიანებს 30-მდე აგლომერაციას, სადაც 31,5 მლნ კაცი ცხოვრობს.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

გერმანია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყანაა, რომელზეც მოდის მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის 3,3%. ქვეყნის მეურნეობის დაჩქარებული განვითარება იწყება XX საუკ-ის 60-იანი წლებიდან, რის შედეგადაც სერიოზული ძვრები განხორციელდა მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გადახალისებაში; მოხდა წარმოების დარგების გამსხვილება და ტერიტორიული კონცენტრაცია, ფართოდ დაინერგა სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი, კერძო კაპიტალის განვითარების მიზნით სახელმწიფოსაგან გაცემული იქნა შეღავათიანი კრედიტები და სხვ. ამასთან, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებამ, იაფი შრომითი რესურსების გამოყენებამ და სხვა ფაქტორებმა ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას.

გერმანიის ეკონომიკაში სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალია კერძო კაპიტალის, აგრეთვე, დიდია უმსხვალესი კომპანიების ხვედრითი წილი. უდიდესი კომპანიებია: ,,დაიმლერ-მერსედეს ბენცი“ - ,,Daimler Mercedes-Benz”, ,,აუდი“ - ,,Audi”, ,,ბმვ“ - ,,BMW”, ,,პორშე“ - “Porsche”, ,,სიმენსი“- ,,Siemens”, ,,ადიდასი“ - ,,Adidas”, ,,ბასფი“ - ,,Basf” და სხვ. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 4,2 ტრილიონ დოლარს შეადგენს (2017 წ.). წარმოებული პროდუქციის 0,7% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 30,7% - მრეწველობაზე და 68,6% - მომსახურების დარგებზე.

მრეწველობის გეოგრაფია

გერმანიის მრეწველობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა მე-20 საუკ-ნის 70-იან წლებში, შემცირდა მოპოვებითი მრეწველობის ხვედრითი წილი და პრიორიტეტი მიენიჭა დამუშავებით მრეწველობას. დაჩქარებული ტემპებით იზრდებოდა შრომატევადი დარგები, რომლებიც მოითხოვდნენ კვალიფიციურ მუშახელს და მწარმოებლობის მაღალ კულტურას. ამასთან, განხორციელდა მრეწველობის სტრუქტურულ-ტერიტორიული ცვლილებები. განსაკუთრებით დაწინაურდა მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა და ქიმიური მრეწველობა. აღნიშნულ დარგებზე მოდის მთელი სამრეწველო პროდუქციის არანაკლებ 2/3 და ექსპორტის 3/4 ნაწილი. ბოლო პერიოდში მრეწველობის ცალკეულმა კომპანიებმა თანდათანობით მოახდინეს წარმოების ტექნოლოგიების მოდერნიზება და გადავიდნენ თანამედროვე მანქანა-მოწყობილობების წარმოებაზე.

გერმანია ენერგორესურსებით საკმაოდ უზრუნველყოფილი ქვეყანაა, მაგრამ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებებს. ბოლო წლებში ქვეყნის ენერგობალანსი გადახალისებული იქნა. მაგალითად, 50-იანი წლების

დასაწყისში ნახშირზე მოდიოდა 90%, ხოლო ნავთობზე - 5%. ბოლო წლებში ენერგობალანსში ნავთობზე მოდის 46%, ბუნებრივ გაზზე - 22%, ნახშირზე - 22%, ჰიდროზე - 5%, ატომურზე - 3% და სხვა წყაროებზე - 2%.

ქვანახშირის მრეწველობა თანდათანობით მცირდება. 50-იან წლებში მოიპოვებოდა 152 მლნ ტ, ხოლო ბოლო წლებში 6,2 მლნ ტ-დე დაეცა (2015 წ.). მოპოვების 80% მოდის რურის აუზზე, 10% - საარის, ხოლო დანარჩენი - სხვა აუზებზე. ქვანახშირის დაახლოებით 25% მეზობელ ქვეყნებში ექსპორტში გადის. ამასთან, სხვა ქვეყნებიდან ზღვით შეაქვს 7-8 მლნ ტ საკოქსე ქვანახშირი. მურა ნახშირის მოპოვება რამდენჯერმე გაიზარდა (178,1 მლნ ტ, 2015 წ.), რის ბაზაზეც მუშაობს მსხვილი თბოსადგურები (13,6%).

საკუთარი ნავთობის მოპოვება უმნიშვნელოა (2,5 მლნ ტ, 2016 წ.) და აკმაყოფილებს მოთხოვნილების მხოლოდ 2-3%-ს. საშუალოდ ყოველწლიურად შეაქვს 110-115 მლნ ტ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ძირითადად, რუსეთიდან, ნორვეგიიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. გაზის მოპოვება ხდება ჩრდილო გერმანიის დაბლობზე (7,9 მლრდ $მ^3$ (2016 წ.), რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილების 9 -10%, ხოლო დეფიციტი ძირითადად რუსეთიდან და ნიდერლანდებიდან ივსება.

მაღალ დონეზეა განვითარებული ელექტროენერგეტიკა (სიმძლავრე 208,5 მლნ კვტ.), ხოლო წარმოებით მსოფლიოში მე-7 ადგილზეა (648 მლრდ კვტ/სთ (2016 წ.). წარმოებული ელექტროენერგიის 74% მოდის თბოსადგურებზე, 2% - ჰესებზე, 5% - ატომურზე და დანარჩენი სხვა წყაროებზე. 90-იანი წლების ბოლოს იყო 21 ატომური სადგური, რომელიც ბოლო წლებში 7-მდე შემცირდა. ატომური სადგურების დიდი ნაწილი განლაგებულია ზემო რეინის სანაპიროზე.

შავი მეტალურგია ერთ-ერთი უძველესი დარგია. პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებს მეტალურგიულ-მანქანათმშენებლობის მსხვილი კომპანიები („აუგუსტ ტისენი“- “August Thyssen”, „კრუპი“ - „Krupp”, „მანნესმანი“ - „Mannesmann”, „ზალცგიტერი“ - „Salzgitter”). საკუთარი რკინის მადნის მოპოვება უმნიშვნელოა და დამოკიდებულია იმპორტულ ნედლეულზე. საშუალოდ შეაქვს 42-45 მლნ ტ რკინის მადანი (შვედეთიდან, კანადიდან, ბრაზილიიდან). აწარმოებს 43,6 მლნტ ფოლადს და 28,7 მლნ ტ თუჯს (2017 წ.). პროდუქციის 60%-ს იძლევა რეინ-ვესტფალიის (ესსენი, დორტმუნდი, დიუსსელდორფი და სხვ.), ხოლო დანარჩენს - საარის, ქვემო საქსონიის და აღმოსავლეთ გერმანიის საწარმოები.

ფერადი მეტალურგია ძირითადად ფუნქციონირებს იმპორტულ ნედლეულზე. ალუმინის წარმოების დიდი ნაწილი მოდის სახელმწიფო კომპანია „ვერეინიგტე ალუმინიუმ-ვერქე” - „Vereinigte Aluminium-Werke”. ალუმინს, აგ-

რეთვე, აწარმოებენ აშშ-ის, კანადის და შვეიცარიის კომპანიებიც. საშუალოდ აწარმოებს 375 ათას ტონა პირველად და 530 ათას ტონა მეორად ალუმინს. ალუმინის ნახევარი იწარმოება ჩრდილო რეინ-ვესტფალიის მიწაზე (ესსენი, ფიურდე, ნორფესა, ლიუნენე). ძველი ქარხნები განლაგებულია რენფელდენსა და ტიუგინგში, რომლებიც ფუნქციონირებენ იაფი ჰესების ენერგიაზე. ახალი ქარხნები აგებული იქნა ჰარმბურგსა და შტადში. სპილენძის მრეწველობა ძირითადად მუშაობს შემოტანილი ნედლეულის (65%) ბაზაზე, რომელიც უფრო მეტად იმპორტირდება პაპუა-ახალი გვინეიდან. სპილენძის წარმოებით ევროპაში, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა (შავი - 165 ათასი ტ, რაფინირებული - 560 ათასი ტ). შავი სპილენძის დიდი ნაწილი იწარმოება ჰამბურგსა და რურში, ხოლო რაფინირებული - ჰამბურგში, ჰალეში, დიუსბურგში, ოსნაბურგში და ლიუნენში. მეტ-ნაკლებად არის განვითარებული თუთიის, ტყვიის და სხვა ფერადი ლითონების მრეწველობა.

მანქანათმშენებლობა მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი სპეციალიზაციის დარგია, მასში ჩაბმულია დამუშავებულ მრეწველობაში დასაქმებულთა თითქმის ნახევარი, იძლევა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 1/3, დამუშავებითი მრეწველობის 2/4 და ექსპორტის 1/2 ნაწილს.

დასაქმებულთა რაოდენობითა და პროდუქციის წარმოების მოცულობით გამოირჩევა საერთო და ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა. აწარმოებს შესაბამისი დარგის თითქმის ყველა სახის მანქანა-მოწყობილობებს. პროდუქციის დიდი ნაწილი მოდის ცნობილ კონცერნ ,,სიმენსზე" – "Siemens". უმსხვილესი ცენტრებია - მიუნხენი, ნიურნბერგი, შტუტგარტი, ფრანკფურტი, კიოლნი, ჰამბურგი, ბერლინი, დრეზდენი და სხვ.

მნიშვნელობით მეორე ადგილზე გამოდის სატრანსპორტო, განსაკუთრებით, საავტომობილო მანქანათმშენებლობა, რომელიც გამოირჩევა წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონით. უმსხვილესი კომპანიებია ,,დაიმლერ-მერსედეს ბენცი" - ,,Daimler Mercedes-Benz" (მსოფლიოში მანქანათმშენებლობის კომპანიებიდან უჭირავს მეოთხე ადგილი, დასაქმებული ჰყავს 0,4 მლნ კაცი, ცენტრი - ქ. შტუტგარტი), ,,ფოლკსვაგენი" – ,,Volkswagen", ,,ბმვ" - "BMW", ,,ოპელი" - ,,Opel" (,,ჯენერალ მოტორსის" შვილობილი კომპანია), ,,მანი"- Man", ,,კრუპი" - ,,Krupp" და სხვ. გერმანია ავტომანქანების წარმოებით მსოფლიოში ჩინეთის, აშშ-სა და იაპონიის შემდეგ მეოთხე ადგილზეა. საშუალოდ აწარმოებს 6,1 მლნ ავტომობილს (94,6% მსუბუქი). მთავარი ცენტრებია შტუტგარტი, ვოლფსბურგი, კიოლნი, რიუსელსხაიმი, მიუნხენი და სხვ.

გემთმშენებლობა, კონკურენციის გამო, კრიზისს განიცდის. მსხვილ გემთვერფებსა და გემთშენებელ ქარხნებს ფლობენ, როგორც კერძო (,,ტისსენი",

,,კრუპპი“, ,,სიმენსი“), ისე სახელმწიფო (,,ზალცგიტერი“) კომპანიები. ბოლო წლებში საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებს 0,9 - 1 მლნ ბრუტ. რეგისტ. ტ. გემებს. საზღვაო გემთმშენებლობის ცენტრებია - კილი, ჰამბურგი, ბრემენი, ემიდენი, როსტოკი და შჩეცინი. სამდინარო გემები იწარმოება დიუსბურგში.

ავიარაკეტული მრეწველობა აქტიურად არის ჩართული ევროპროექტის თანამედროვე ტიპის სამოქალაქო თვითმფრინავის ,,აერობუსის“ წარმოებაში. კოსმოსური აპარატების, სამხედრო თვითმფრინავების და რაკეტების წარმოებას ძირითადად ახორციელებს კომპანია ,,მისსერშმიდტი-ბიოლკოვ-ბლომი“- “Messerschmitt-Bolkow-Blohm”. მთავარი ცენტრებია მიუნხენი, აუგსბურგი, ჰამ-ბურგი და ბრემენი. საავიაციო და სარაკეტო ძრავების მთავარი მწარმოებელია კომპანია ,,მოტორენ-უნდ-ტურბინენ-უნიონი” - ,,Motoren-Und-Turbinen-Union”, რომლის მთავარი ქარხნებია მიუნხენში და ფრიდრიხსხაფენში.

საერთაშოროსო მნიშვნელობის დარგია საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებ-ლობა. უშვებს თითქმის ყველა სახის საყოფაცხოვრებო ტექნიკას. ცნობილი კომ-პანიებია ,,სიმენსი” - ,,Siemens” და ,,ფილიპსი” - ,,Philips”. მაღალ დონეზეა განვი-თარებული ოპტიკურ-მექანიკური და ინსტრუმენტული მანქანათმშენებლობა. სპეციალიზირდება მსხვილგაბარიტიანი საათების, ოპტიკური მოწყობილო-ბების, ფოტო და კინოაპა-რატურების და სხვათა წარმოებაზე. ევროპაში გა-მოირჩევა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, განსაკუთრებით ტრაქტორებისა და კომბაინების წარმოებით.

მძიმე ინდრუსტრიის მთავარი სპეციალიზაციის დარგია ქიმიური მრეწ-ველობა, რომელიც იძლევა მთლიანი პროდუქციის 11-12% და ექსპორტის 12-13%. მსოფლიოში პირველ ადგილზეა ქიმიური მრეწველობის ექსპორტით და მასზე მოდის ექსპორტის 10%. გაბატონებული პოზიციები უჭირავს სამ მსხვილ კომპანიას - ,,ბაიერი” – ,,Bayer”, ,,ჰოეხსტი” - ,,Hoechst” და ,,ბასფი” - “Basf” (პრო-დუქციის 2/5 და ექსპორტის 3/5). ქიმიური მრეწველობის ძირითადი რაიონია რეინ-ვესტფალია, სადაც იწარმოება პროდუქციის 40%. უმსხვილესი ცენტრია ლივერკუზენი, სადაც მდებარეობს ,,ბაიერის” შტაბ-ბინა და ძირითადად აწარ-მოებს ქიმიკატებსა და მედიკამენტებს. მეორე მნიშვნელოვანი რაიონია ქვემო მაინი და რეინის მიმდაბარე ნაწილი ფრანკფურტის მთავარი ცენტრით. რომლის დასავლეთ გარეუბან ჰოხსტში მდებარეობს კომპანია ,,ჰოეხსტის” შტაბ-ბინა და დასპეციალიზებულია ქიმიკატების წარმოებაზე. ზემო რეინში მთავარი ცენტ-რია ლუდვიგსჰაფენი (აქ მდებარეობს ,,ბასფის” შტაბ-ბინა), აქ და სხვა ცენტრებში (მანგეიმი) ძირითადად იწარმოება ქიმიკატები და საღებავები. აღმო-სავლეთ გერმანიის მთავარი რაიონია ჰალე, სადაც ,,ლაინა-ვერკეს” (ქ.ლაინა) და ,,ბენა-ვესკეს”(ქ.შკოჰაუ) უმსხვილესი კომბინატებია. ნავთობქიმიისა და ორგანუ-

ლი ქიმიის ზოგიერთი დარგის პროდუქციის წარმოებაში დიდი პოზიციები გააჩნია უცხოურ კომპანიებს. მსხვილი ნავთობ-გადასამუშავებელი ქარხნებია კიოლნში, კალსრუეში, ჰამბურგში, ინგოლშტადტში და შვედტში.

საშუალოდ გერმანია ყოველწლიურად აწარმოებს 4,8 მლნ ტ მინერალურ სასუქს (3,3 მლნ ტ კალიუმიანი, 1,4 მლნ ტ - აზოტოვანი, 0,1 მლნ ტ - ფოსფოროვანი), 0,6 მლნ ტ -სინთეზურ კაუჩუკს, 1,0 მლნ ტ - ქიმიურ ბოჭკოს, 11,8 მლნ ტ - პლასტმასებსა და სინთეზურ ფისებს, 49 მლნ - ავტოსაბურავს, 2,1 მლნ ტ - გოგირდის მჟავას, 3,5 მლნ ტ - კაუსტიკურ სოდას, 4,2 მლნ ტ - ეთილენს და სხვა პროდუქციას.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია იმპორტულ ნედლეულზე. განვითარებულია ხე-ტყის მრეწველობის ყველა დარგი, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მერქნის მექანიკურ დამუშავებასა და ნახერხი მასალის წარმოებას (11,5 მლნ $მ^3$). გამოირჩევა ხე-ტყის ქიმიის განვითარების მაღალი დონით. ქაღალდის და მუყაოს წარმოებით მსოფლიოში მე-4 ადგილზეა (28, მლნ ტ 2009 წ.). ხე-ტყის მრეწველობა ძირითადად განვითარებულია ჩრდილოეთის სანაპირო რაიონებში, სადაც მერქანი იმპორტირდება (ვილგელსჰაფმენი, ჰეიმიესტერი) და სამხრეთის მთიან რაიონებში, სადაც ტყის რესურსებია.

მსუბუქ მრეწველობაზე მოდის დამუშავებითი მრეწველობის 11-12% და ექსპორტის 8%-მდე. წამყვანია საფეიქრო მრეწველობა, რომელიც, ძირითადად, დამოკიდებულია იმპორტულ ნედლეულზე. აწარმოებს ყველა სახის ქსოვილებს, რომელთა შორის მთავარია ბამბეულის მრეწველობა, რომლის წარმოების მაჩვენებლები ბოლო წლებში გარკვეულწილად სინთეზური და იმპორტული ქსოვილების კონკურენციის შედეგად (0,7 მლრდ $მ^2$) მცირდება. შედარებით კარგადაა განვითარებული აბრეშუმის (645 მლნ $მ^2$) და უფრო სუსტად - შალეულის (85 მლნ $მ^2$) მრეწველობა. საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის 2/3 ნაწილი იწარმოება სამ მიწაზე: ჩრდილო რეინ-ვესტფალიაში, ბადენ-ვიუნტერბერგსა და ბავარიაში. სამკერვალო მრეწველობა ორიენტირებულია შიდა ბაზარზე. ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული ფეხსაცმლის მრეწველობა (138 მლნ წყვილი), რომლის უმსხვილეს სპეციალიზებულ ცენტრს წარმოადგენს რაინლანდ-ჰფალცის მიწაზე ქ. პინგანზესი. მეტ-ნაკლებადაა განვითარებული მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგები.

კვების მრეწველობა, ძირითადად, ორიენტირებულია საკუთარ სანედლეულო ბაზაზე. საერთაშორისო მნიშვნელობის დარგებია ლუდის (94 მლნ ჰექტოლიტრი, მე-5 ადგილი, 1300 კომპანია, 2016 წ.), ხორცის (6,9 მლნ ტ 2017 წ.), ძეხვეულის, რძის (31 მლნ ტ, მე-5 ადგილი, 2016 წ.), ცხოველური კარაქის (465

ათასი ტ. 2015 წ.) და მარგარინის (675 ათასი ტ 2015 წ.). შედარებით კარგადაა წარმოდგენილი შაქრის, საკონდიტრო და ზეთის მრეწველობა. მეტ-ნაკლებადაა განვითარებული კვების მრეწველობის სხვა დარგები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ქვეყნის მოთხოვნილებებს.

სოფლის მეურნეობა

გერმანიის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მოკრძალებული ადგილი უჭირავს და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის მხოლოდ 0,7%. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მეტ-ნაკლებად უარყოფით გავლენას ახდენს არცთუ ისე კარგი ნიადაგურ-კლიმატური რესურსები. სასოფლო სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 17,8 მლნ ჰა (ტერიტორიის 48,0%), აქედან სახნავია - 34%, მრავალწლიანი ნარგავები - 0,6 % და საძოვრები - 13,3%. სოფლის მეურნეობის პროდუქცია აკმაყოფილებს მოთხოვნილების დაახლოებით 70%-ს. პროდუქციის წარმოების დიდი ნაწილი მოდის საშუალო ფერმერულ მეურნეობებზე, ამასთან, თანდათანობით მცირდება წვრილ ფერმერთა რაოდენობა. საშუალოდ ერთი ფერმერი ფლობს 15 ჰა მიწას, რომელიც სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით გაცილებით დაბალია.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი მეცხოველეობაა, რომელზეც მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 70%. წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (12,5 მლნ სული, მ.შ. 6,2 მლნ ფურია, 2016 წ.), რომელიც იძლევა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 48%-ს. უპირატესობა ენიჭება სარძევე-სახორცე მიმართულებას. მესაქონლეობის ძირითადი რაიონია რეინ-ვესტფალია. მნიშვნელობით მეორე ადგილზე არის მეღორეობა (27,6 მლნ სული, 2017 წ.), რომელიც იძლევა პროდუქციის 18%-ს. მეღორეობა ყველგანაა განვითარებული, განსაკუთრებით შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის მოყვანის რაიონებში. აშენებენ ფრინველს (122 მლნ ფრთა), ცხენს, ფუტკარს და სხვა შინაურ ცხოველებს.

მემცენარეობის დარგებიდან მთავარია მარცვლეული კულტურების მოყვანა, რომელთა ნათესებს უჭირავს სახნავი მიწების 70%. მთავარი მარცვლეული კულტურაა ხორბალი (ნათესების 1/3 ნაწილი), რომლის საერთო წარმოებაა 24,5 მლნ ტ (2016 წ.). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქერის (11,8 მლნ ტ) სპეციალური ჯიშების მოყვანას (ბავარიაში ენდემური ჯიშებია), რომელსაც იყენებენ ლუდის წარმოებაში. ევროპაში გამოირჩევა ჭვავის (8,4 მლნ ტ) და შვრიის მოყვანითაც. მარცვლეულის წარმოების დიდი ნაწილი მოდის ქვემო რეინსა და გარცის ჩრდილო მთისწინეთებში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება

საკვები კულტურების (ნათესების 25%), ძირითადად სასილოსე სიმინდისა და ძირხვენების მოყვანას.

ტექნიკური კულტურებიდან მთავარია შაქრის ჭარხლის (25,7 მლნ ტ, 2016 წ.) მოყვანა, ძირითადად, ბავარიაში. დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახეობას (1,2 მლნ ტ, 2015 წ.), რომელიც პროდუქციის მოცულობით აღემატება მეხილეობას და მებოსტნეობას ერთად აღებული. მევენახეობის ძირითადი რაიონებია ზემო რეინი, მოზელი და მაინი. კარტოფილის წარმოებით (9,7 მლნ ტ 2016 წ.) ევროპაში მესამე ადგილზეა. შედარებით სუსტადაა განვითარებული მეხილეობა და მებოსტნეობა.

ტრანსპორტი

მსოფლიოში გერმანია სატრანსპორტო კომუნიკაციების მაღალი დონითა და ქსელის სიხშირით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ტრანსპორტის განვითარება განპირობებულია საუკეთესო სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით, საწარმოო ძალების განვითარების დონით, საგარეო ეკონომიკური კავშირების მოცულობითა და სხვა ფაქტორებით. ტვირთბრუნვა დაახლოებით 585 მლრდ ტ/კმ შეადგენს, ხოლო მგზავრთბრუნვა - 770 მლრდ მგზ/კმ. ტვირთბრუნვის 40,4% მოდის საავტომობილოზე, 22,7% - სარკინიგზოზე, 20,5% - საზღვაოზე, 13,2 % - სამდინაროზე, 2,5% - მილსადენზე და 0,7 % - საავიაციოზე; მგზავრთბრუნვის 88,3% მოდის საავტომობილოზე, 6,2% - სარკინიგზოზე, 5,1% - საავიაციოზე, ხოლო დანარჩენი სხვა სახეზე.

საავტომობილო გზების სიგრძე 645 ათასი კმ-ია (2018 წ.), აქედან მყარსაფარიანია 90% - მდე. გზების სიხშირით ყოველ 1000 კმ-ზე (1385 კმ) ჩამორჩება საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთს. ჩქაროსნული გზები შედარებით ცოტაა (12,8 ათასი კმ). საავტომობილო პარკი 45 მლნ ავტომობილს ითვლის, ხოლო ყოველ 1000 კაცზე 555 ავტომობილი მოდის (მე-17 ადგილი, 2016 წ.). სარკინიგზო ხაზის სიგრძე თანდათანობით მცირდება და 33590 კმ-ია, მათ შორის 19973 კმ, ანუ 59,5% ელექტრიფიცირებულია (2018 წ.). გზების უპირატესად დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაა. გერმანიის სარკინიგზო ტრანსპორტი ძალზე მაღალმექანიზებულია ცალკეულ მონაკვეთზე (ჰამბურგი-მიუნხენი, ბერლინი-ჰამბურგი) ჩქაროსნული მატარებლები ავითარებენ 250-320 კმ-ს. სარკინიგზო გზების სიხშირით ყოველ 1000 კმ²-ზე მსოფლიოში პირველ ადგილზეა (94 კმ).

მილსადენი ტრანსპორტი ნავთობისა და გაზის რესურსების შეზღუდვის გამო, შედარებით სუსტადაა განვითარებული. საერთო სიგრძე 34,3 ათასი კმ-ია, აქედან დიდი ნაწილი გაზსადენებზე მოდის (27022 კმ). გაზსადენები შემოდის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსეთიდან და ჩრდილოეთის ზღვის ფსკერიდან. მაღალია ქვეყნის გაზიფიკაციის დონე.

შიდა წყლის ტრანსპორტი დიდ როლს ასრულებს სანაპირო რაიონების ქვეყნის შიდა რეგიონებთან დაკავშირებაში. სამდინარო გზების საერთო სიგრძე 7467 კმ-ია. მდინარეები ერთმანეთთან სანაოსნო არხებით (1850 კმ) არიან დაკავშირებული. მთავარი სანაოსნო მდინარეა რეინი, რომლის ნავსადგური დიუსბურგი (50 მლნ ტ) მსოფლიოში უდიდესია. სხვა სანაოსნო მდინარეებია ელბა, ვეზერი, ოდერი და სხვ. შავ ზღვასთან სატრანსპორტო კავშირი დამყარებულია მაინ-დუნაის არხით.

გერმანია საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ სავაჭრო გემების საერთო რაოდენობა თანდათანობით მცირდება (614 გემი, 2018 წ.), რომელთა საერთო ტვირთტევადობა 5,5 მლნ ბრუტ. რეგ. ტ. ჩრდილოეთის ზღვაზე უდიდესი პორტია ჰამბურგი, რომელიც დაშორებულია ჩრდილოეთის ზღვიდან 76 მილზე და მდებარეობს მდინარე ელბაზე (ტვირთბრუნვა 139 მლნ ტ). სხვა პორტებიდან აღსანიშნავია ველგჰელსჰაფენი (32 მლნ ტ) და ბრემენი (78,8 მლნ ტ). ბალტიის ზღვაზე მთავარი პორტებია როსტოკი (22 მლნ ტ), ლიუბეკი (11 მლნ ტ).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჰაერო ტრანსპორტს. 16 საერთაშორისო აეროპორტიდან უმსხვილესია ფრანკფურტის ,,მაინის ფრანკფურტის''(ევროპაში მგზავრთბრუნვით მესამე ადგილზეა, 61,0 მლნ მგზავრი, ხოლო ტვირთბრუნვით პირველ ადგილზე (2015 წ.), დიუსელდორფის, მიუნხენის, ჰამბურგის, ბერლინის და შტუტგარტის აეროპორტები.

სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტრო ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა. მგზავრთბრუნვაში დიდ როლს მეტროპოლიტენები ასრულებენ, რომელთა შორის უძველესია ბერლინის (აიგო 1902 წელს). იზრდება ელექტრომობილების რაოდენობაც. მთიან რეგიონებში საბაგირო გზების ფართო ქსელია წარმოდგენილი.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

გერმანია საგარეო კავშირების გეოგრაფიითა და მასშტაბებით მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანაა. ვაჭრობს თითქმის ყველა ქვეყანასთან. ვაჭრობის მოცულობა შეადგენს 2,57 ტრილიონ დოლარს (2018. წ). ექსპორტზე მოდის 1,43, ხოლო იმპორტზე - 1,14 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის დადებითი სალდო (29 მლრდ დოლარი). ძირითადად, ექსპორტირდება ავტომანქანები, ჩარხები, სატრანსპორტო საშუალებები, ქიმიური პროდუქცია, ხორცი, რძე, ლუდი და სხვ. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: აშშ - 8,8%, საფრანგეთი - 8,2%, ჩინეთი - 6,8%, ნიდერლანდები - 6,8%, დიდი ბრიტანეთი - 6,6%, იტალია - 5,1%, ავსტრია -

4,9%, პოლონეთი - 4,7% და სხვ. იმპორტირდება ნავთობი, გაზი, რკინის მადანი, ზოგიერთი ფერადი ლითონის მადანი, მანქანა-მოწყობილობა, მერქანი, ბამბა, ხილი, ბოსტნეული და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: ნიდერლანდები - 13,8%, ჩინეთი -7,1%, საფრანგეთი - 6,6%, ბელგია - 5,9%, პოლონეთი -5,4%, ჩეხეთი -4,8%, აშშ - 4,8%, ავსტრია - 4,3%, შვეიცარია - 4,2% და სხვ.

საგარეო ეკონომიკური კავშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას კაპიტალის გატანა წარმოადგენს. პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა შეადგენს 970,5 მლრდ დოლარს (2017 წ.). გერმანული კაპიტალი ძირითადად ჩადებულია ევროპის ქვეყნების დამუშავებით მრეწველობაში. ამასთან, ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობაში, მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო და სატრანზიტო ტრანსპორტით, სადაზღვევო და საბინაო კომპანიებით, მართვის მომსახურებით და სხვ.

ტურიზმი

გერმანიაში ტურიზმი მეურნეობის პრიორიტეტული დარგი არ არის, მაგრამ აქ საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 37,6 მილიონს აღწევს (2017 წ.), ხოლო შემოსავლები 28 მლრდ დოლარს აჭარბებს. ქვეყანაში მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების საფუძველზე განვითარებულია ტურიზმის ბევრი სახე. აღსანიშნავია ლამაზი ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები, ძველი და თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობანი, კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრები, გალერეები და სხვ. ტურიზმის სახეებიდან კარგადაა განვითარებული შემეცნებითი, კულტურული, სპორტული, სამთო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვ. უმსხვილესი ცენტრებია ბერლინი (ღირსშესანიშნაობები - ალექსანდრის მოედანი, ბრანდენბურგის კარიბჭე, ბერლინის ზოოპარკი), დრეზდენი (ცვინგერის სასახლეთა კომპლექსი, სურათების გალერეა), მიუნხენი, ჰამბურგი, ბალტიის ზღვის სანაპირო და სხვ. ტურისტები ძირითადად ჩადიან ნიდერლანდებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

შიდა განსხვავებული რაიონები

ქვეყნის ტერიტორიაზე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის, ეკონომიკური განვითარების, ბუნებრივი პირობებისა და რესურსების თავისებურებების მიხედვით, გამოიყოფა 4 განსხვავებული რაიონი: დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილო-ცენტრალური და აღმოსავლეთი.

1. დასავლეთი მთავარი ინდუსტრიული რაიონია არა მარტო გერმანიაში, არამედ დასავლეთ ევროპაში. რაიონის გულია რურის ოლქი. მისი ფართობი 4,4

ათასი კმ²-ია, ცხოვრობს 5,5 მლნ კაცი (საშუალო სიმჭიდროვე 2100 კაცია ერთ კმ²-ზე) და იწარმოება სამრეწველო პროდუქციის 10%. აქ ჩამოყალიბებულია ნახშირ-მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და ენერგეტიკის რთული კომპლექსები. რაიონში არის ქვეყნის უმსხვილესი კომპანიები და საფინანსო ორგანიზაციები. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია სარძევე-სახორცე მესაქონლეობა. მაღალ დონეზეა უზრუნ-ველყოფილი სატრანსპორტო კომუნიკაციებით. მთავარი ქალაქებია: კიოლნი (1,1 მლნ), დორტმუნდი (587 ათასი), დიუსელდორფი (617 ათასი) და დიუსბურგი (513 ათასი).

2. სამხრეთის რაიონი ძირითადად მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას - ბავარიას. რეგიონი შედარებით ღარიბია მინერალური რესურსებით. ნაკლებადაა დასახლებული და შესაბამისად დაბალია სიმჭიდროვე. მრეწველობიდან წამყვანია მანქანათმშენებლობა, ქიმიური და კვების. რაიონი ქვეყნის ძირითადი ბეღელია, სადაც მოჰყავთ მარცვლეული, აგრეთვე, შაქრის ჭარხალი. მთავარი ქალაქებია: მიუნხენი (1,5 მლნ), შტუტგარტი (633 ათასი) და ნიუნბერგი (515 ათასი).

3. ჩრდილო-ცენტრალური რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი განლაგებულია ჩრდილო გერმანიის დაბლობზე. რაიონს გააჩნია კარგი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა. ბუნებრივი რესურსებით არცთუ ისე მდიდარია. მეურნეობის წამყვანი დარგია მრეწველობა, განსაკუთრებით სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა (ქ. ემადენში მდებარეობს საავტომობილო ქარხანა ,,ფოლკსვაგენი''), ქიმიური მრეწველობა ნავთობქიმიის მიმართულებით და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან ჭარბობს სახორცე-სარძევე მესაქონლეობა. მთავარი ქალაქებია: ჰამბურგი (1,8 მლნ), ბრემენი (568 ათასი) და ჰანოვერი (535 ათასი).

4. აღმოსავლეთის რაიონი ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზეა განლაგებული, რომელსაც უჭირავს ტერიტორიის 42% და ცხოვრობს მოსახლეობის 23%. ეკონომიკურად საკმაოდ ჩამორჩება ქვეყნის დანარჩენ რეგიონებს, სადაც დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ქვეყნის ეკონომიკასთან ინტეგრირება. მრეწველობიდან მთავარია მანქანათმშენებლობა, ქიმიური და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან მესაქონლეობა და მარცვლეულის მოყვანა. მთავარი ქალაქებია: ბერლინი (3,6 მლნ), ლაიფციგი (582 ათასი) და დრეზდენი (551 ათასი).

2.1.3. საფრანგეთი

ფართობი - 551 ათასი კმ²
მოსახლეობა - 65,7 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - პარიზი

ზოგადი ცნობები

საფრანგეთის რესპუბლიკა ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებს. იგი იყო და არის კოლონიური ქვეყანა, ამასთან, აქტიურადაა ჩართული მსოფლიო დემოკრატიის, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილება ერთ სულ მოსახლეზე 43795 დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,901-ს (21-ე ადგილი 2018 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 22 ოლქად და 95 დეპარტამენტად. ქვეყნის დევიზია: ,,თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ - ,,Liberté, égalité, fraternité''. სახელმწოფო ენაა ფრანგული, ფულის ერთეული - ფრანკი და ევრო.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

საფრანგეთი მდებარეობს დასავლეთ ევროპის უკიდურეს ნაწილში. გარდა ძირითადი ტერიტორიებისა, ქვეყნის შემადგენლობაში შედის ატლანტის ოკეანის წყლებში მდებარე რამდენიმე კუნძული, მათ შორის მნიშვნელოვანია ხმელთაშუა ზღვის კუნძული კორსიკა. გააჩნია საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა: აქვს ფართო გასასვლელი ატლანტის ოკეანეში, მათ შორის, ხმელთაშუა ზღვაზე, ქვეყანაზე გადის ტრანსევროპული სატრანსპორტო კომუნიკაციები, მდებარეობს ევროკავშირის ქვეყნების, რეკრეაციული და სავაჭრო ცენტრების ახლოს. აგრეთვე, გააჩნია კარგი გეოპოლიტიკური და ,,მეზობლური” მდებარება. გეოგრაფიული მდებარეობა დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

საზღვრების საერთო სიგრძე 7604 კმ-ია, მათ შორის 4853 კმ, ანუ 63,8% - საზღვაოა. დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით (ხმელეთშუა ზღვა) ესაზღვრება ატლანტის ოკეანის წყლები. სახმელეთო საზღვრები გააჩნია ჩრდილო-აღმოსავლეთით ბელგიასთან (556 კმ), აღმოსავლეთით ლუქსემბურგთან (69 კმ), გერმანიასთან (418 კმ), შვეიცარიასთან (525 კმ), იტალიასთან (476 კმ), სამხრეთ-აღმოსავლეთით მონაკოსთან (6 კმ), სამხრეთ-დასავლეთით ესპანეთთან (646 კმ) და ანდორასთან (55 კმ). საფრანგეთის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 15.

ნახ. 15. საფრანგეთის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

საფრანგეთის ტერიტორიაზე, რელიეფური თვალსაზრისით, გამოიყოფა სამი ძირითადი გეომორფოლოგიური ერთეული: 1. ახალგაზრდა მთები, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში წარმოდგენილია ალპების და პირენეის სახით. ამ რეგიონში საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე მდებარეობს ქვეყნის და დასავლეთ ევროპის უმაღლესი მწვერვალი მონბლანი (4807 მ); 2. ძველი ჰერცინული დანაოჭების მასივები, რომლებიც განლაგებულია ქვეყნის ცენტრალურ, ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და წარმოდგენილია საშუალო სიმაღლის მთებითა და მაღლობებით (ცენტრალური მასივები, ვოგეზები, არდენები, არმორიკანის მასივი); 3. დაბლობები, რომლებიც განლაგებულია ქვეყნის ჩრდილო და დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო საფრანგეთის და აქვითანიის დაბლობების სახით. დაბლობებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარი. რელიეფი, გარდა მცირე გამონაკლისისა, ქვეყანაში განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

მინერალური რესურსებით არცთუ ისე მდიდარი ქვეყანაა. უმნიშვნელოა ქვანახშირის (0,5 მლრდ ტ), მურა ნახშირის, ნავთობის (19,4 მლნ ტ) და ბუნებრივი გაზის (7,3 მლრდ $მ^3$) მარაგი. ნავთობის (პარანტისი) და გაზის (ლაკი) საბადოები განლაგებულია აქვითანიის დაბლობზე. მადნეული წიაღისეულიდან ევროპაში ცნობილია რკინის მადნისა (7 მლრდ ტ) და ბოქსიტების (60 მლნ ტ) მარაგით. რკინის მადნის მარაგის 9/10 ნაწილი არის ლოტარინგიაში მდ. ვეზერის დასავლეთით. ბოქსიტების რესურსები გვხვდება პროვანსეში და ლაგედოკში. არამადნეული წიაღისეულიდან უმნიშვნელოა კალიუმის მარილები (ელზასში) და ქვამარილი (ლოტარინგიაში). ქვეყანა მდიდარია მინერალური სამშენებლო ნედლეულით. ურანის მარაგით (53,8 ათასი ტ.) ევროპაში პირველ ადგილზეა. მარაგის დიდი ნაწილი განლაგებულია ცენტრალურ მასივში და ვანდეეში.

საფრანგეთი განლაგებულია ზომიერ და სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყელში, სადაც კლიმატური რესურსები მრვალფეროვანია. საშუალო წლიური ტემპერატურა +12°C - +17°C -ია. ზაფხულში მაქსიმუმები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე აღწევს +30°C - +37°C-ს და აქაური ჰავა ემსგავსება ჩრდილო აფრიკას. ზამთარში საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთში +2°C, ხოლო სამხრეთში +8°C. აბსოლუტური მინიმუმები ალპებში -17°C ქვემოთ ეცემა. ნალექების საშუალო რაოდენობა 600-1000 მმ-ია, მინიმუმები მოდის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. კლიმატური რესურსები სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

ჰიდროგრაფიული ქსელით საკმაოდ მდიდარია. მნიშვნელოვანი მდინარეებია სენა (776 კმ), ლუარა (1020 კმ), რონა (548 კმ), გორონა (650 კმ) და სხვ. მდინარეები კომპლექსურად გამოიყენება, განსაკუთრებით სანაოსნოდ და ენერგეტიკული თვალსაზრისით. მდინარეთა ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით (100 მლრდ კვტ/ სთ) ევროპაში ჩამორჩება რუსეთს, ნორვეგიას, შვეიცარიასა და საქართველოს. ფართოდ გამოიყენება სანაპირო ტალღების ენერგია სენ-გალის უბეში (ტალღების სიმაღლე აღწევს 12-16 მ).

ტყის რესურსებით შედარებით ღარიბი ქვეყანაა (29,2%). სამრეწველო დანიშნულების ტყე თითქმის არ არის და ძირითადად, წარმოდგენილია მეორეული ტყე. ტყის ბოტანიკურ შემადგენლობაში ჭარბობს ფართოფოთლოვანები. ტყე, გარდა სხვა დანიშნულებისა, გამოიყენება რეკრეაციული მიზნებითაც.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ძვ.წ.აღ-ით I ათასწლეულში საფრანგეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ კელტები (რომაელები გალებს უწოდებდნენ). II საუკუნეში კი გალები რომაე-

ლებმა დაიპყრეს და დაიწყო მძლავრი რომანიზაციის პროცესი. ჩვ.წ.აღ-ით V-IX საუკუნეებში საფრანგეთის მთელი ტერიტორია ფრანკთა სახელმწიფოში შედიოდა. დამოუკიდებლობა მიიღო 486 წელს. X საუკუნეში ქვეყანას ეწოდა საფრანგეთი. XVII ს-ის მეორე ნახევარში ევროპის უძლიერეს ქვეყანად გადაიქცა და დეკოლონიზაცია დაიწყო.

საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში, რომელმაც დაამხო მონარქიული მმართველობა (ბასტილიის აღება - 1789 წ.) და ბურჟუაზიული ბატონობა (პარიზის კომუნა, როცა ხელისუფლება გადავიდა მუშათა ხელში, 1871 წლის 17 მარტი).

XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთის შემდეგ, მეორე კოლონიური ქვეყანა იყო. მასზე მოდიოდა მთელი კოლონიების ფართობის 10% და მოსახლეობის 15%. 1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში ანტანტის ქვეყნების მხარეს. 1940 წლის მაისში გერმანელებმა პარიზი ურბძოლველად დაიკავეს, რომელიც 1944 წლის ბოლოს განთავისუფლდა გერმანელი ოკუპანტებისაგან. 1948 წელს ხელი მოაწერა მარშალის გეგმას. 1949 წელს შევიდა ,,ნატოში", ხოლო 1955 წელს - გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საფრანგეთი მმართველობის ფორმით კლასიკური ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც მოსახლეობა ირჩევს 5 წლის ვადით. კონსტიტუციით ერთ და იგივე პირის პრეზიდენტად არჩევის ოდენობა შეზღუდული არ არის. იგი არის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება და აქვს ქვედა პალატის დათხოვნის უფლება. აღმასრულებელი ხელისუფლება დუალისტურია: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებს ჰყავთ პრეზიდენტი, ხოლო ცალკეულ მინისტრთა კაბინეტს ჰყავს თავისი მეთაური პრემიერმინისტრის სახით, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი პარლამენტის ქვედა პალატის წარდგინებით. პრეზიდენტს აქვს უფლება დანიშნოს მინისტრად ნებისმიერი პროფესიონალი. მთავრობა შეიძლება გადაყენებული იქნას ზედა პალატის მიერ.

საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს ორპალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატა - სენატი შედგება საარჩევნო კოლეგიის მიერ 9 წლის ვადით არჩეული 331 წევრისაგან (შემადგენლობის მესამედის განახლება ხდება ყოველ სამ წელიწადში), ხოლო ქვედა პალატა - ნაციონალური კრება შედგება მოსახლეობის მიერ მაჟორიტარული სისტემით ორ ტურად 5 წლის ვადით არჩეული 577 წევრისაგან (მათ შორის 555 მეტროპოლის საარჩევნო ოლქებიდან,

22 ზღვისპირა ტერიტორიებიდან და დეპარტამენტებიდან). საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მინიჭებული აქვთ არა მარტო პარლამენტარებს, არამედ პრემიერმინისტრსაც.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, დეცენტრალიზებული უნიტარული ქვეყანაა. იყოფა 22 ისტორიულ-გეოგრაფიულ ოლქად, მათ შორის კორსიკას განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსი აქვს მინიჭებული. ოლქები თავის მხრივ, იყოფა 95 დეპარტამენტად, დეპარტამენტები კი - კომუნებად. ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქებია: აკვიტანია, ბრეტანი, ბურგუნდია, ელზასი, ზემო ნორმანდია, კორსიკა, ლანგედოკი-რუსილონი, ლიმუზენი, ლორენი, ლუარის რეგიონი, ნორდ-პა-დე-კალე, ოვერნი, ილ დე ფრანსი, პიკარდია, პროვანსი-ალპები-ლაჟვარდოვანი ნაპირი, პუატუ-შარანტი, რონა-ალპები, სამხრეთი პირენეი, ფრანშ-კონტე, ქვემო ნორმანდია, შამპან-არდენი, ცენტრი (იხ. ნახ. 16).

ნახ. 16. საფრანგეთის ოლქები

წყარო: Departaments+regions (France).svg Imige www. ka.wikipedia.org

საფრანგეთის სამფლობელოებია: ახალი კალედონია, ბასას და ინდია, კუნძული გვადელუპა, გლორიოზო, კუნძული ევროპა, კუნძული ვალისი და ფუტუნა, კლიპერტონი, კუნძული მაიოტი, მარტინიკა, ჟუან დე და ნოვა, კუნძული რეიუნიონი, საფრანგეთის სამხრეთ პოლარული ტერიტორია, საფრანგეთის გვიანა, საფრანგეთის პოლინეზია, სენ-პიერი და მიკელონი და ტრომელონი.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

საფრანგეთი ევროპაში მოსახლოების რიცხოვნობით რუსეთის, გერმანიის და დიდი ბრიტანეთის შემდეგ მეოთხე ადგილზეა, სადაც 65,7 მლნ კაცი ცხოვრობს (2020 წ.). ქვეყნის მოსახლეობა ნელი ტემპით იზრდება. ბოლო 25 წლის განმავლობაში მოსახლეობა გაიზარდა მხოლოდ 8,1 მლნ კაცით, ანუ საშუალოდ ყოველწლიურად 324 ათასი კაცით. ქვეყანაში ბუნებრივი მატების გაზრდის მიზნით XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გატარებული იქნა დემოგრაფიული პოლიტიკა, მაგრამ ეს ღონისძიება მიუხედავად სახელმწიფოს ძალისხმევისა, 80-იანი წლებიდან თითქმის აღარ მოქმედებდა. ბოლო წლებში ბუნებრივი მატების მაჩვენებელი გარკვეულწილად გაიზარდა, რითაც მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით გამოირჩევა შედარებით მაღალი ტემპით. შობადობის კოეფიციენტი 12,1 პრომილეა, სიკვდილიანობა - 9,4 ხოლო ბუნებრივი მატება - 2,7 პრომილე (2018 წ.). ქვეყნის მოსახლეობა იზრდება იმიგრანტების ხარჯზეც.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით მეტ-ნაკლებად დარღვეულია. მამაკაცები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 48,9%, ხოლო ქალები - 51,1%. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 18,5%, 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 61,7%, ხოლო 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფზე - 19,8%. თანდათანობით შეინიშნება მოსახლეობის ,,დაბერების" ტენდენციები. საშუალო ასაკი 41,5 წელია, ხოლო სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 82 წელი (მამაკაცები - 78,9, ქალები - 85,3, 2018 წ.).

საფრანგეთი ერთეროვანი ქვეყანაა. მოსახლოების 90,4% ფრანგია. სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან ჭარბობენ ელზასები - 2,5%, იტალიელები - 2%, ბრეტონელები - 1,9% და სხვ. (2007 წ.). იტალიელები ცხოვრობენ კუნძულ კორსიკაზე, ელზასელები და გერმანელები ელსზასში, ბასკები და კატალონები - პირენეიში, ბრეტონელები და ფლამინდოელები - მოსაზღვრე რაიონებში. არიან ემიგრანტები, მათ შორის, მრავალრიცხოვანია ალჟირელები და ნეგროიდული რასის წარმომადგენლები.

რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით, მოსახლეობის 66% ქრისტიანია (უპირატესად კათოლიკეები), 7,9% - მუსლიმანი, 0,7% იუდაისტი, დანარჩენი არ მიუთითებს და არ აღიარებენ არც ერთ რელიგიას (2018 წ.)

ფრანგები ევროპაში შედარებით იმმობილური ხალხია. მიუხედავად მათი ისტორიულ-კოლონიური წარსულისა, მეზობელ ხალხთან შედარებით, ნაკლებად ტოვებენ სამშობლოს. მაგალითად, 1820-1990 წლებში აშშ-ში ევროპიდან გადასახლდა 37 მლნ ემიგრანტი, როცა საფრანგეთიდან მხოლოდ 783 ათასი. ფრანგების ყველაზე დიდი ემიგრაცია კანადაშია, სადაც ფრანგულეროვანი მოსახლეობის რაოდენობა 8 მლნ-მდეა. ამჟამად ქვეყანას გააჩნია მიგრაციის დადებითი სალდო. იმიგრანტების რაოდენობა 1990 წელს იყო 5,9 მლნ, ხოლო 2015 წელს გაიზარდა 7,6 მლნ-მდე.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 30,7 მლნ კაცია, ანუ მთელი მოსახლოების 46,9% (2017 წ.) დასაქმებული მოსახლეობის 2,8% ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, 20% - მრეწველობაში და 77,2% - მომსახურების სფეროში. უმუშევრობის დონე 9,4%-ია (2017 წ.).

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 119 კაცია 1 კმ²-ზე. მაღალი სიმჭიდროვეა პარიზისა და ლიონის რაიონებში. პარიზში ეს მაჩვენებელი 30 ათას კაცს აღემატება. სუსტადაა დასახლებული დასავლეთი რეგიონები. ურბანიზაციის დონე 80,4%-ია. საქალაქო დასახლებათა ქსელი ქვეყნის ტერიტორიაზე თანაბრადაა განლაგებული. მსხვილი და ,,მილიონერი" ქალაქების რაოდენობა ცოტაა. დიდი ქალაქებია პარიზი (2,3 მლნ, აგლომერაციაში-12,3 მლნ), მარსელი (850,7 ათასი, აგლომერაციაში-1,7 მლნ), ლიონი (484,3 ათასი, აგლომერაციაში-2,2 მლნ), ტულუზა (441,8 ათასი), ნიცა (343,3 ათასი), ნანტი (285 ათასი) სტრასბურგი (271,8 ათასი) მონტპელიე (257,4 ათასი), ბორდო (239,6 ათასი) და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი კოლონიური ქვეყანა იყო, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჭარბი კაპიტალის დაგროვებას და კაპიტალიზმის ჩასახვას. კაპიტალიზმმა კიდევ უფრო დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და XIX საუკუნის შუა პერიოდში იგი ეკონომიკური განვითარების დონით მსოფლიოში, დიდი ბრიტანეთის შემდეგ, მეორე ქვეყანა იყო. საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომის შემდეგ (1918 წლამდე) კარგავს ინდუსტრული რაიონების ელზასისა და ლოტარინგიის ნაწილს, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ხდება ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს მისი სამრეწველო განვითარება, ომამდელ დონესთან შედარებით, მხოლოდ 40%-ს შეადგენდა. ქვეყანა

დამოკიდებული გახდა უცხოურ, განსაკუთრებით, აშშ-ის კაპიტალზე. ომის შემდეგ სწრაფი ტემპით დაიწყო ეროვნული მეურნეობის აღმავლობა. დაჩქარდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარება, გაფართოვდა საგარეო ეკონომიკური კავშირები და ამაღლდა საბანკო საქმიანობა. ძირეული ძვრები განხორციელდა მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. წარმატებები მიღწეული იქნა მანქანათმშენებლობის, კოსმოსის, ატომური ენერგიის, სატელე-კომუნიკაციო დარგების, ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში. განვითარდა ტრანსპორტი, ტურიზმი და ამაღლდა სოფლის მეურნეობის მწარმოებლობის დონე. მეურნეობაში გაფართოვდა სახელმწიფო სექტორის როლი. შეიქმნა მსხვილი კომპანიები. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა შეადგენს 2,86 ტრილიონ დოლარს (2017 წ.). წარმოებული პროდუქციის 1,7% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 19,5% - მრეწველობაზე, 78,8% - მომსახურების სფეროზე.

მრეწველობის გეოგრაფია

პირველ მსოფლიო ომამდე საფრანგეთის მრეწველობის სტრუქტურაში დომინირებდა მსუბუქი მრეწველობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქვეყანაში განსაკუთრებით დაწინაურდა მძიმე ინდუსტრიის დარგები; სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა. ამასთან, მრეწველობის ცალკეულმა დარგმა შეიძინა საერთაშორისო მნიშვნელობა. მრეწველობაში ამაღლდა როგორც დასაქმებულთა რაოდენობა, ისე კვალიფიკაცია. წამყვანი დარგებია მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, რომელზეც მოდის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საშუალოდ - 38,7%, ქიმიურ მრეწველობაზე - 11,6%, კვების მრეწველობაზე - 11,8%, საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობაზე - 9,1%, დანარჩენი სხვა დარგებზე.

ენერგეტიკული რესურსებით ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ენერგეტიკა თანდათანობით ვითარდება. 1982 წელს წარმოებული იქნა 285 მლნ ტ პირობითი სათბობი, ხოლო 2015 წლისათვის - 402 მლნ ტ-ას აღემატე-ბოდა. ქვეყნის ენერგობალანსში ნავთობზე მოდის 47,2%, ბუნებრივ გაზზე - 18,7%, ნახშირზე - 12,0%, ატომურზე - 14,2%, ჰიდროენერგიაზე - 6,8%, დანაჩენი 1,1% სხვა წყაროებზე. მოხმარებული სათბობის თითქმის 90% შედის იმპორტის გზით.

ქვანახშირის მრეწველობა ნავთობისა და გაზის კონკურენციის ზეგავლე-ნით თანდათანობით მცირდება. 1961 წელს მოიპოვებოდა 55 მლნ ტ, 2013 წელს - 9,4 მლნ ტ. ქვანახშირის 1/2 ნაწილი მოიპოვება ლოტარინგიაში, დანარჩენი ცენტრალურ მასივსა და ჩრდილოეთში. ქვანახშირის საშუალო წლიური

მოხმარება დაახლოებით 40-45 მლნ ტონაა და დეფიციტი, ძირითადად, ივსება გერმანიიდან. ნავთობის მრეწველობას აკონტროლებს სახელმწიფო კომპანია ,,კომპანი ფრანსეზ დე პეტროლი". საკუთარი ნავთობის მოპოვება არ აღემატება 0,9 მლნ ტონას, ხოლო საშუალოდ ყოველწლიურად იმპორტირდება 68 -70 მლნ ტ ნავთობი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რუსეთიდან და ნორვეგიიდან (2017 წ.). ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები, ძირითადად, განლაგებულია სანაპირო ქალაქებში - მარსელის ახლოს, მდ. სენას შესართავთან - ჰავრის და რუანის მახლობლად, ბორდოსა და ნანტში. გაზის მოპოვება თანდათანობით მცირდება (16,7 მლნ $მ^3$, 2017 წ.). მოპოვების დიდი ნაწილი მოდის ლაკის საბადოზე. საშუალოდ იმპორტირდება 48 - 50 მლრდ $მ^3$, ძირითადად, ალჟირიდან, რუსეთიდან და ნიდერლანდებიდან. ენერგეტიკაში უმნიშვნელოა მურა ნახშირის როლი, რომელიც უფრო და უფრო მცირდება.

მაღალ დონეზეა განვითარებული ელექტროენერგეტიკა (სიმძლავრე 130,8 მლნ კვტ.), რომლის გამომუშავება 529,1 მლრდ კვტ/სთ შეადგენს (2017 წ.). წარმოებული ელექტროენერგიის დიდი ნაწილი 50% მოდის ატომურ ენერგეტიკაზე (ბოლო წლებამდე ეს მაჩვენებელი 72,3% იყო). ატომურ სადგურებში წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობით ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს. საშუალოდ, მოიპოვება 3,2 ათასი ტონა ურანის მადანი. მოქმედებს 19 ატომური ელექტროსადგური (58 ბლოკი). მათ შორის უმსხვილესია გრავლინი (5,7 მლნ კვტ.), პალიუელი (5,4 მლნ კვტ.) და შინენი (4,2 მლნ კვტ.). ატომური ელექტროსადგურები, ძირითადად, განლაგებულია ცენტრსა და დასავლეთში. ჰიდროენერგეტიკის ხვედრითი წილი 15%-ია. ჰესების დიდი ნაწილი განლაგებულია მდინარე რონასა და მის შენაკადებზე. თბოელექტროსადგურების ხვედრითი წილი (17%) უმნიშვნელოა. მსხვილი თბოსადგურებია პარიზის, ჰავრისა და ბორდოსთან ახლოს. დანარჩენი ენერგია სხვა წყაროებზე მოდის. ქვეყანაში მოქმედებს მსოფლიოში პირველი უმსხვილესი მიქცევა-უკუქცევის ელექტროსადგური ბრეტანში სენ-მალოს უბის სანაპიროზე.

შავი მეტალურგია ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელიც ბოლო წლებში კრიზისს განიცდის. შემცირდა როგორც რკინის მადნის მოპოვება, ისე ფოლადის წარმოება. XX საუკუნის 70-იან წლებში მოიპოვებოდა 50-55 მლნ ტ რკინის მადანი და იწარმოებოდა 24-27 მლნ ტ ფოლადი. რკინის მადნის მოპოვება დაეცა 0,5 მლნ ტონამდე. მოპოვებული რკინის მადნის 90% მოდის ლოტარინგიაზე. რკინის მადნის იმპორტი ძირითადად ხდება ნორვეგიიდან და შვედეთიდან. აწარმოებს 15,5 მლნ ტ ფოლადს და 12,9 მლნ ტ თუჯს (2016 წ.). შავი მეტალურგიის ძირითადი რაიონია ლოტარინგია. ახალი საწარმოები, რომლებიც მუშაო-

ბენ იმპორტულ ნედლეულზე, განლაგებულია ნავსადგურებში დიუნკერკში, ფოსსა და მარსელში. მთავარი კომპანიებია - ,,სოლოკი“ და ,,იუნემეთალი“.

ფერადი მეტალურგია საკმაოდ კარგადაა განვითარებული. წამყვანია ალუმინის მრეწველობა, რომელიც საკუთარ ნედლეულზე მუშაობს. მთავარი კომპანიაა ,,ჰეშინე-იუჟინ-კიულმანი”. საშუალოდ მოიპოვებს 1,4 მლნ ტ ბოქსიტებს და ამ მაჩვენებლით დასავლეთ ევროპაში ჩამორჩება საბერძნეთს. საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებს 330 ათას ტ პირველად და 150 ათას ტ მეორად ალუმინს. ფერადი მეტალურგიის სხვა დარგები განვითარებულია იმპორტულ ნედლეულზე. საშუალოდ აწარმოებს 330 ათას ტ სპილენძს, 270 ათას ტ ტყვიას, 260 ათას ტ თუთიას. ფერადი მეტალურგია, ძირითადად, სამხრეთ რაიონებში იაფ ჰიდროენერგიაზეა განვითარებული.

მანქანათმშენებლობა მეურნეობის მთავარი სპეციალიზაციის დარგია, რომელზეც მოდის სამრეწველო მუშების 40%, სამრეწველო პროდუქციის - 40% და ექსპორტის - 35%. წამყვანია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა. მსხვილი კომპანიებია ,,რენო” (სახელმწიფო) და ,,პეჟო-სიტროენი”. ბოლო პერიოდამდე ავტომანქანების წარმოებით მსოფლიოში IV ადგილი ეჭირდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში წარმოება თითქმის განახევრდა (1,62 მლნ, მე-11 ადგილი, 2016 წ.). მთავარი ცენტრებია პარიზი, ლიონის გარეუბნები და სოშო-მონბელიარი.

მსოფლიო მნიშვნელობისაა ავიარაკეტული მრეწველობა. საფრანგეთი ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად მონაწილეობს უმსხვილესი სამგზავრო თვითმფრინავის ,,აერობუსის” მშენებლობაში. აწარმოებს კოსმოსურ აპარატურებსა და მოწყობილობებს, სამხედრო თვითმფრინავებსა (ავიაგამანადგურებელი ,,მირაჟი”) და ვერტმფრენებს. მთავარი ცენტრებია ტულუზა, პარიზი, ბორდო, ბურჟე და მარსელი.

გემთმშენებლობა ორიენტირებულია უცხოურ დაკვეთაზე (0,4 მლნ ბრუტ. რეგისტ. ტ). მთავარი ვერფებია სან-ნაზარო, ნანტი და დიუნკერკი. სამხედრო გემები იწარმოება ბრესტში, შერბურნსა და ტულენში. გამოირჩევა ელმავლების, ვაგონებისა და სარკინიგზო მოწყობილობების წარმოებითა და ექსპორტით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროტექნიკურ და ელექტრონულ მანქანათმშენებლობას, მაგრამ საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობები უფრო იმპორტირდება. ამ დარგში პროდუქციის გარკვეულ ნაწილს აწარმოებს უცხოური კაპიტალი. პროდუქციის 2/5 ნაწილი იწარმოება პარიზში.

საფრანგეთი სხვადასხვა სახის ჩარხების წარმოებითა და ექსპორტით მსოფლიოს ათეულში შედის. მთავარი ცენტრებია პარიზი, ანჟევე და ნანსი. ევროპაში ცნობილია სასოფლო-სამეურნეო მანქანების პროდუქციის, განსაკუთრებით, ტრაქტორებისა და კომბაინების წარმოებით.

ქიმიური მრეწველობა საკმაოდ ძველი დარგია, მაგრამ მისი იტენსიური განვითარება იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1950-2015 წლებში პროდუქციის მოცულობა გაიზარდა თითქმის 9-ჯერ, რაც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან და მეურნეობაში ქიმიური პროდუქციის ფართოდ მოხმარებასთან. ქიმიური მრეწველობა გამოირჩევა წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონით. წამყვანი კომპანიაა ,,რონ-პულენკი". ადგილობრივ სანედლეულო ბაზაზე ჩრდილოეთში და ლოტარინგიაში განვითარებულია ნახშირქიმიისა და სოდის წარმოება. ელზასში იწარმოება კალიუმის მარილები, ხოლო ალპებში ხე-ტყის ბაზაზე სხვადასხვა ქიმიური პროდუქცია. იმპორტულ ნედლეულზე ძირითადად ფუნქციონირებს ნავთობქიმია, რომელიც განვითარებულია სანაპირო რაიონებსა (მარსელი, ქვემო სენა) და მაგისტრალურ მილსადენ ხაზებთან (ლიონი, სტრასბურგი) ახლოს. ორგანული სინთეზის პროდუქციიდან დაწინაურებულია სინთეზური კაუჩუკის, საბურავების (კლერმონ-ფერანი უდიდესია ევროპაში) და პლასტმასების წარმოება. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს საყოფაცხოვრებო ქიმიას, განსაკუთრებით, საპარფიუმერიო პროდუქციის წარმოებას (პარიზი). ქვეყანა სპეციალიზირდება ფარმაკოქიმიის პროდუქციის წარმოებითა და ექსპორტით. გამოირჩევა მინერალური სასუქების წარმოებითაც. საფრანგეთი ყოველწლიურად აწარმოებს საშუალოდ 2,8 მლნ ტ მინერალურ სასუქს, 4,7 მლნ ტ პლასტმასებსა და სინთეზურ ფისებს, 0,4 მლნ ტ ქიმიურ ბოჭკოს, 0,6 მლნ ტ კაუსტიკურ სოდას, 2,7 მლნ ტ ეთილენსა და სხვა პროდუქციას.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც ორიენტირებულია იმპორტულ ნედლეულზე. მერქანი, ძირითადად, იმპორტირდება რუსეთიდან, შვეიცარიიდან, ფინეთიდან, კანადიდან და ნორვეგიიდან. განვითარებულია ხე-ტყის მრეწველობის ყველა დარგი, განსაკუთრებით მერქნის მექანიკური დამუშავება, ხე-ტყის ქიმია და ქაღალდის (5,8 მლნ ტ) წარმოება. ხე-ტყის მრეწველობის უმსხვილესი საწარმოები განლაგებულია სანაპირო რაიონებში, განსაკუთრებით, სამხრეთ-დასავლეთში.

მსუბუქი მრეწველობა ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის დარგია, რომელიც ნაწილობრივ უზრუნველყოფილია საკუთარი ნედლეულით. საფრანგეთი მსოფლიოში განთქმულია მსუბუქი მრეწველობის ნაწარმით. იგი სამართლიანად ითვლება მოდების სამშობლოდ - ,,მოდების კანონმდებლად". პირველი სამოდელო საწარმოები შეიქმნა მეფის განკარგულებით ჯერ კიდევ XIII საუკუნეში. სამკერვალო და საგალანტერიო პროდუქციის ნახევარს იძლევა პარიზი. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საფეიქრო მრეწველობას. ყველა სახის ქსოვილის წარმოება საშუალოდ შეადგენს 1,8 მლრდ მ² (ბამბეულის - 980 მლნ მ², აბრეშუმის - 680 მლნ მ², შელეულის - 170 მლნ მ²). საფეიქრო მოწყობილობების

წარმოება თავმოყრილია სამ რაიონში - ჩრდილოეთი (რებე, ტურკენი, ლილლი, არგანტიჩი, კამბრე), სადაც სპეციალიზდება შალეულის, ბამბეულის და სელის ქსოვილების წარმოებაზე. მეორე რაიონია ვოგეზების ფერდობები და ელზასი (მიულუზი, ეპინალი), რომელიც გამოირჩევა ბამბეულის წარმოებით. მესამე რაიონია ცენტრალური ლიონის წამყვანი როლით, რომელიც ევროპაში დასპეციალიზებული იყო ნატურალური აბრეშუმის წარმოებით. ბოლო დროს იგი გადაიქცა ქიმიური ბოჭკოებისაგან სხვადასხვა ქსოვილების წარმოების ცენტრად. ტრიკოტაჟის წარმოების უმსხვილესი ცენტრებია ტრუა, პარიზი და რუბე. ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა არ გამოირჩევა საერთაშორისო სპეციალიზაციით და ორიენტირებულია შიდა ბაზარზე.

კვების მრეწველობა მანქანათმშენებლობის შემდეგ წარმოების მოცულობით მეორე ადგილზეა, რომელიც უზრუნველყოფილია მდიდარი სანედლეულო ბაზით და გამოირჩევა მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოებით. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ღვინის მრეწველობას და წარმოებით პირველ ადგილზეა (52,2 მლნ ჰექტოლიტრი). აწარმოებს 250-მდე სამარკო ღვინოს, რომელთა შორის აღიარებული ბრენდებია ,,შამპანური", ,,ბორდო" და სხვ. ღვინის წარმოების დიდი ნაწილი მოდის ლანგედოკის, ბურგუნდიის, ბორდოსა და შამპანიის პროვინციებზე. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს კონიაკის წარმოებასაც. საფრანგეთი გამოირჩევა სხვადასხვა სახის ყველის წარმოებით. თითქმის ყველა პროვინციას გააჩნია ყველის დამზადების განსხვავებული ტექნოლოგიები. ევროპაში შაქრის წარმოებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა (4,4 მლნ ტ 2014 წ.). შაქრის ქარხნების დიდი ნაწილი განლაგებულია ჩრდილოეთში და ცენტრში. ცხოველური კარაქის წარმოებით (565 ათასი ტ) ევროპაში რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზეა. გამოირჩევა პურბურღულეულის, საკონდიტრო, ლუდის, საკონსერვო, ზეთის, მარგარინის და სხვა დარგების განვითარებით.

სოფლის მეურნეობა

საფრანგეთი უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყანაა, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციით თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა, სადაც დასაქმებულია 860 ათასი კაცი და იძლევა ქვეყნის ექსპორტის დიდ ნაწილს. ევროპაში მიწის რესურსებით ერთ-ერთი უზრუნველყოფილი ქვეყანაა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 29,1 მლნ ჰექტარი, ანუ ტერიტორიის 52,7% (სახნავ მიწები-33,4%, მრავალწლიან ნარგავები - 1,8%, საძოვრები - 17,5%). სოფლის მეურნეობა გამოირჩევა ინტენსიფიკაციის მაღალი დონით. ჭარბობს წვრილი და საშუალო ფერმერული

მეურნეობები. თანდათანობით მცირდება წვრილ ფერმერთა რაოდენობა და იზრდება მსხვილი ფერმერული მეურნეობები. საშუალოდ ერთი ფერმერი ფლობს 20-100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს. სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მეცხოველეობაზე მოდის 53%, ხოლო მემცენარეობაზე - 47%.

მეცხოველეობის მთავარი დარგი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებაა (19,3 მლნ სული, 2016 წ.). მეცხოველეობის წამყვანი მიმართულებაა სარძევე-სახორცე (8,9 მლნ ფური) მესაქონლეობა. მესაქონლეობის მთავარი რაიონებია დასავლეთი (1/3 ნაწილი), ცენტრალური მასივი, პარიზის რაიონი და ჩრდილოეთი. მეცხოველეობის მეორე დარგი მეღორეობაა (3,7 მლნ). მისი ძირითადი რაიონებია დასავლეთი და ცენტრი. საფრანგეთი შინაური ფრინველის მოშენებით (205 მლნ ფრთა) და მისი ხორცის ექსპორტით ევროპაში პირველ ადგილზეა. ფრინველის მოშენებით გამოირჩევა პარიზის რაიონი და ჩრდილოეთი. მეცხვარეობა გარკვეულწილად კრიზისს განიცდის (7,7 მლნ სული). მეცხვარეობის მთავარი რაიონია ცენტრალური მასივი. აშენებენ ცხენს, ფუტკარს, თუთის აბრეშუმხვევიას და სხვა შინაურ ცხოველებს. საფრანგეთი საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებს 6,3 მლნ ტ ხორცს (მეხუთე ადგილი), 23,7 მლნ ტ - რძეს (მეშვიდე ადგილი) და 1,6 მლრდ - ქათმის კვერცხს. მეცხოველეობის პროდუქციის დიდი ნაწილი გადის ექპორტზე.

ნიადაგურ-კლიმატური პირობები ფართო შესაძლებლობებს იძლევა მემცენარეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. მემცენარეობის სტრუქტურაში წამყვანია მარცვლეულის მეურნეობა, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის დარგია. მარცვლეულს უჭირავს სახნავი მიწების 1/2 ნაწილი. საერთო წარმოება შეადგენს 64,5 მლნ ტ (2016 წ.). მთავარი კულტურაა ხორბალი, რომელსაც უჭირავს სახნავი მიწების 1/4 ნაწილი, ხოლო წარმოება შეადგენს 42,8 მლნ ტ (2015 წელი, ბოლო ათი წლის განმავლობაში მაქსიმუმი,) და ამ მაჩვენებლებით მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა. ხორბლის გავრცელების ძირითადი რაიონებია ჩრდილოეთი და აქვითანიის დაბლობი. მეორე მარცვლეული კულტურაა სიმინდი (14,5 მლნ ტ). სიმინდის ნათესების დიდი ნაწილი მოდის სამხრეთ-დასავლეთზე. ქერი (9,2 მლნ ტ) ძირითადად მოჰყავთ ჩრდილოეთში, ცენტრალური მასივის ღარიბ ნიადაგებზე - ჭვავი, ხოლო მდინარე რონას დელტაში - ბრინჯი.

მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მევენახეობას, რომელსაც უჭირავს 825 ათასი ჰა (ესპანეთის შემდეგ მეორე ადგილი, 2010 წ.). აქაურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მოჰყავთ საუკეთესო ჯიშის ყურძენი (10,5 მლნ ტ), მათ შორის ბევრი

აბორიგენულია. მევენახეობის ძირითადი რაიონია ლანგედოკი (იწარმოება ღვინის 40%), აგრეთვე, ბორდო, შამპანი, ელზასი და ლუარას ხეობა.

ტექნიკური კულტურებიდან მთავარია შაქრის ჭარხლის მოყვანა (33,8 მლნ ტ, 2016 წ.) და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა. ნათესების დიდი ნაწილი გავრცელებულია ჩრდილო საფრანგეთის დაბლობზე. სხვა ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ სელი, თამბაქო და ეთერზეთოვანი კულტურები (სუნამოების დასამზადებლად).

მეხილეობა და მებოსტნეობა ყველგანაა განვითარებული. კონტინენტური ხილი ძირითადად იწარმოება ჩრდილო-დასავლეთში, ხოლო სუბტროპიკული - ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და კუნძულ კორსიკაზე. სასაქონლო მებოსტნეობის მთავარი რაიონებია პარიზის შემოგარენი, ბრეტანის სანაპირო, აგრეთვე ლუარას, გორონასა და რონას ხეობები.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

საფრანგეთი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობით, კომუნიკაციების ქსელის კონფიგურაციის თავისებურებებით და მაგისტრალიზაციის მაღალი დონით მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანაა. მაღალ დონეზეა განვითარებული თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე. ტვირთბრუნვა შეადგენს საშუალოდ 580 მლრდ ტ/კმ-ს, ხოლო მგზავრთბრუნვა 360 მლრდ მგზ/კმ-ს. საერთო ტვირთბრუნვის 42% მოდის საზღვაო ტრანსპორტზე, 26% - სარკინიგზოზე, 23% - საავტომობილოზე, 6% - მილსადენზე, 2,5% - სამდინაროზე და 0,5% - საჰაეროზე. მგზავრთბრუნვის 76% მოდის საავტომობილოზე, 10% - სარკინიგზოზე, 12% - საჰაეროზე და 2% - წყლის ტრანსპორტზე.

საფრანგეთი საავტომობილო გზების სიგრძით (951, 5 ათასი კმ, 2017 წ.) ევროპაში რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზეა. გზების 90% მყარი საფარითაა დაფარული. ჩქაროსნული გზების საერთო სიგრძე 12 ათას კმ-მდეა. მნიშვნელოვანი მაგისტრალია ლილი-პარიზი-ლიონი-მარსელი-ნიცა. ქვეყნის ავტოპარკი აერთიანებს 31,2 მლნ ავტომობილს, ხოლო ყოველ 1000 კაცზე 479 ავტომობილი მოდის (32-ე ადგილი, 2016 წ.).

სარკინიგზო ხაზის სიგრძე 29,6 ათასი კმ-ია (2016 წ.), რომელსაც ძირითადად რადიალური კონფიგურაცია გააჩნია. მთავარი მაგისტრალები პარიზისაკენ მიემაერთება. მნიშვნელოვანი მაგისტრალია პარიზი-ლიონი, რომელზეც დღეღამის განმავლობაში მოძრაობს 170 მატარებელი. სარკინიგზო გზები გამოირჩევა სტანდარტების მაღალი დონით, სადაც მატარებლები 300 კმ/სთ სიჩქარეს ანვითარებს. 1994 წელს საფრანგეთი ,,ევროგვირაბით" - ლა-მანშის სრუტით (სიღრმე - 40 მ, სიგრძე - 50 კმ) დიდ ბრიტანეთს დაუკავშირდა.

თანდათანობით იზრდება მილსადენი ტრანსპორტის მნიშვნელობა. ნავთობსადენების სიგრძე 7,9 ათასი კმ-ია, ხოლო გაზსადენების 15,3 ათასი კმ (2017 წ.). მნიშვნელოვანი ნავთობსადენია მარსელი-ლიონი-სტრასბურგი და ჰავრი-პარიზი. გაზსადენები იწყება ლაკის საბადოდან, საზღვაო პორტებიდან, აგრეთვე შემოდის ნიდერლანდებიდან და რუსეთიდან.

შიდა წყლის გზების საერთო სიგრძე 8,5 ათას კმ-ს აღემატება. მთავარი სანაოსნო მდინარეა სენა, რომელიც შენაკად უაზისა და სენ-კატანის არხით უკავშირდება ჩრდილოეთის რაიონს (ნორ-პა-დე-კალე), ხოლო მდ. მარნასა და მარნა-რაინის არხით ლოტარინგიასა და გერმანიის რაიონებს. სამდინარო ტრანსპორტით გადაიყვანება ტურისტები და გადაიტანება სამრეწველო ნედლეული. მნიშვნელოვანი სამდინარო ნავსადგურებია პარიზი, სტრასბურგი და რუანი.

საფრანგეთში საზღვაო ტრანსპორტი ოდითგანვე უდიდეს როლს თამაშობდა როგორც კოლონიზაციის, ისე ეკონომიკური კავშირების დამყარებაში. საზღვაო ფლოტი სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, სუსტადაა განვითარებული. ფლობს 555 სავაჭრო გემს, რომლის საერთო ტონაჟი დაახლოებით 3,4 მლნ ბრეტ. რეგისტ. ტ (2017 წ.). ზღვით შემოტანილი ტვირთები 3-ჯერ აღემატება გატანილს. მთავარი პორტებია: მარსელი (74,8 მლნ ტ), ჰავრი (67,2 მლნ ტ), დიუნკერკი (43,6 მლნ ტ), რუანი (26 მლნ ტ), ნანტი (18 მლნ ტ) და ბორდო (16 მლნ ტ).

საჰაერო ტრანსპორტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგარეო კავშირების დამყარებაში და ტურისტების გადაყვანაში. საჰაერო მგზავრთბრუნვაში დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო ავიაკომპანია ,,ეარ-ფრანსი". უმსხვილესია პარიზის ,,შარლ-დე გოლის" სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, რომელსაც წლის განმავლობაში საშუალოდ გადაჰყავს 65,8 მლნ მგზავრი (მე-9 ადგილი, 2016 წ.). მგზავრთა გადაყვანაში დიდ როლს თამაშობს ელექტრო ტრანსპორტი. უძველესია პარიზის მეტროპოლიტენი, რომელიც ამოქმედდა 1900 წელს. მისი სიგრძე 301 კმ-ია, საშუალოდ გადაჰყავს 1,9 მლრდ მგზავრი.

ტურიზმი

საფრანგეთი ტურისტების საერთო რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ბოლო წლებში ტურისტების საშუალო წლიური რაოდენობა 80 მლნ-ს აღემატება, 2017 წელს ქვეყანაში შევიდა 88,9 მილიონი ტურისტი. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 60 მლრდ დოლარს აჭარბებს (მსოფლიო შემოსავლების 6%). მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ბაზაზე განვითარებულია თანამედროვე ტურიზმის ყველა სახე. ტურისტულ-

რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია ლამაზი ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტები, ისტორიული და თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობანი, ზღვის სანაპირო, მინერალური წყლები, მუზეუმები (ლუვრი), კულტურული და ადგილობრივი სამზარეულო და სხვა რეკრეაციული რესურსები. ტურიზმის სახეებიდან დომინირებს შემეცნებითი ტურიზმი და მასზე მოდის ტურისტების საერთო რაოდენობის არანაკლებ 70%. შედარებით კარგადაა განვითარებული საზღვაო, სპორტული და სხვა სახეები. შემეცნებითი ტურიზმის ძირითადი ცენტრი პარიზია. საზღვაო ტურიზმი განვითარებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, ლაჟვარდოვან სანაპიროზე, რომელიც 180 კმ-ზეა გადაჭიმული და ,,საფრანგეთის რივიერას" სახელწოდებითაა ცნობილი. აქ მნიშვნელოვანი კურორტებია: ნიცა, კანი და ანტიბა. სამთო კურორტები არის საფრანგეთის ალპებში, სადაც ძირითადად ფუნქციონირებს ზამთრის კურორტები (შარმონი - აქ 1924 წელს ჩატარდა პირველი ზამთრის ოლიმპიადა, კურშევილი, ვალდიზერი, ვალ-ტორანსია, ლე-დეზ-ალპი, ლა-პლანი, მეჟევი, მერაბელი და სხვ.). ტურიზმის უმსხვილესი ცენტრებია: პარიზი, მარსელი, ბორდო, ნიცა, კანი, ანტიბა, შარმონი და სხვ.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

საფრანგეთის საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია და მასშტაბები საკმაოდ ფართოა. საგარეო კავშირების ჩამოყალიბება-განვითარება განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წარსულით, პოლიტიკური სტაბილურობით და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. საგარეო ეკონომიკური კავშირები, ძირითადად, ხორციელდება საერთაშორისო ვაჭრობით, რომლის მოცულობა შეადგენს 1,15 ტრილიონ დოლარს (2017 წ.), აქედან ექსპორტზე მოდის 549,9 მლრდ, ხოლო იმპორტზე - 601,7 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის უარყოფითი სალდო - 51,8 მლრდ დოლარი. გააქვს - ავტომობილები, საავიაციო-სარაკეტო მოწყობილობები, სამხედრო ტექნიკა, ელექტროენერგია, ხორბალი, ბოსტნეული, ხორცი, რძის პროდუქტები, ღვინო, პარფიუმერია და სხვ. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: გერმანია - 14,8%, ესპანეთი - 7,7%. იტალია - 7,5%, აშშ - 7,2%, ბელგია - 7%, დიდი ბრიტანეთი - 6,7% და სხვ. შეაქვს: ნავთობი, გაზი, საკოქსე ქვანახშირი, რკინის მადანი, ზოგიერთი ქიმიური ნაწარმი, მერქანი, ბამბა, ყავა, კაკაო და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია - 18,5%, ბელგია - 10,2%, ნიდერლანდები - 8,3%, იტალია - 7,9%, ესპანეთი - 7,1%, დიდი ბრიტანეთი - 5,3%, ჩინეთი -5,1% და სხვ.

საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი. ფართოდაა ჩაბმული სამეცნიერო-ტექ-

ნიკური კავშირების - ,,ნოუ-ჰაუს" გაცვლაში, საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობასა და საწარმოო თანამშრომლობაში.

შიდა განსხვავებული რაიონები

საფრანგეთის მრავალფეროვანმა ბუნებრივმა პირობებმა, ისტორიული განვითარების თავისებურებებმა, მოსახლეობისა და საწარმოო ძალების ტერიტორიულმა ორგანიზაციამ განაპირობა შიდარეგიონალური სხვაობები. არსებობს ქვეყნის დარაიონების სხვადასხვა ბადე. სამეურნეო თვალსაზრისით იყოფა 7 ეკონომიკურ რაიონად: პარიზის, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, ლიონის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და ხმელეთშუაზღვისპირეთის.

1. პარიზის რაიონი მთავარი ეკონომიკური რაიონია, რომელშიც შედის ილ-დე-ფრანსის, შამპან-არდენის, პიკარდიას, ცენტრის, ბურგუნდიას, ზემო და ქვემო ნორმანდიის ოლქები. რაიონის ბირთვს წარმოადგენს პარიზი, რომელიც ფრანკების სამეფოს დედაქალაქია VI საუკუნიდან, ხოლო საფრანგეთის - XII ს-დან. დიდი პარიზის ფართობი 1700 კმ²-ია, სადაც 12,3 მლნ კაცი ცხოვრობს. აქ თავმოყრილია სამრეწველო მუშების (1/3), სამრეწველო საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების და მუზეუმების (სულ 60 - ლუვრი, ვერსალი და სხვ.) დიდი ნაწილი. სიმბოლურად ,,პარიზი - ეს საფრანგეთია". რაიონის მეურნეობის მთავარი სპეციალიზაციის დარგებია მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, კვების მრეწველობა, მევენახეობა და სხვ. სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია ჰავრი და რუანი.

2. ჩრდილოეთის რაიონი ტერიტორიის მიხედვით დიდი არ არის, მაგრამ მჭიდროდაა დასახლებული. ქვეყანაში პირველ ადგილზეა საფეიქრო მრეწველობით, მეორეზე ფოლადის და თუჯის წარმოებით. კარგადაა განვითარებული ქიმიური მრეწველობა - ნავთობქიმია და ნახშირქიმია. სოფლის მეურნეობიდან სპეციალიზდება მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, სელის მოყვანაზე. გააჩნია კარგი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა. მთავარი ცენტრებია: ლილი, რუბე, დიუნკერკი და კალე.

3. აღმოსავლეთის რაიონი აერთიანებს ლოტარინგიის, ელზასისა და ფრანშ-კონტესის ოლქებს. ელზასში ცხოვრობენ ელზასელები, რომლებიც ლაპარაკობენ ადგილობრივი დიალექტიკის გერმანულ ენაზე. ლოტარინგია წარმოადგენს ქვეყნის მთავარ მეტალურგიულ რაიონს. მთავარი სამრეწველო ცენტრებია ნანსი და მეცი. ელზასი სპეციალიზდება საფეიქრო, ნავთობგადასამუშავებელ და ხეტყის მრეწველობაზე. მთავარი ქალაქია სტრასბურგი, სადაც არის ევროპის საბჭო და ევროპარლამენტი. ფრანშ-კონტე მთიანი ოლქია, რომლის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს ავტომშენებლობა (ქარხანა ,,პეჟო" სოშო-მონბელიარეში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზუსტი მანქანათმშენებლობა. მთიან მხარეში წამყვანია სარძევე-მესაქონლეობა, სადაც ამზადებენ სხვადასხვა სახის ყველს.

4. ლიონის რაიონი განლაგებულია აღმოსავლეთის და ხმელთაშუა ზღვისპირეთის რაიონებს შორის. იგი აერთიანებს რონა-ალპებისა და ოვერნას ოლქებს. ტერიტორიის შემადგენლობაში შედის რონა-სანის ხეობა და ალპების მთები. რაიონის მთავარი ბირთვია ლიონი, რომელიც XVI საუკუნიდან გადაიქცა აბრეშუმის ქსოვილების წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად. ახლა ქვეყნის მასშტაბით აწარმოებს ქიმიური ბოჭკოს ქსოვილების 3/4 ნაწილს. ქალაქი სენტ-ეტიენი გამოირჩევა ქვანახშირის მოპოვებით და თუჯის გამოდნობით. ქ. კლერმან-ფერსანეში არის ქვეყანაში უმსხვილესი საავტომობილო საბურავების ქარხანა ,,მიშლენი". საფრანგეთის ალპი-გრენობლის ,,დედაქალაქი" ბოლო დროს გადაიქცა საუნივერსიტეტო და სამეცნიერო (,,ტექნოპოლისი") კერად.

5. დასავლეთის რაიონი აერთიანებს ბრეტანს, პუატუ-შარანტის ოლქებსა და მდ. ლუარას გაყოლებით მიწებს. ტერიტორიის დიდი ნაწილი განლაგებულია არმორიკანის მასივზე. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რაიონია მეცხოველეობის წამყვანი როლით. აქ იწარმოება რძისა და ხორცის დიდი ნაწილი. მოჰყავთ ხორბალი, ქერი და კარტოფილი. მდ. ლუარას ხეობა გამოირჩევა მევენახეობით და მებაღეობით. აქ მდება-რეობს ქალაქი კონიაკი, რომელიც აწარმოებს მსოფლიოში ცნობილ ბრენდებს. ინდუსტრიიდან აღსანიშნავია კვების მრეწველობა და გემთმშენებლობა. მთვარი ცენტრებია ნანტი და სენ-ნაზარო.

6. სამხრეთ-დასავლეთის რაიონი აერთიანებს აქვითანიის, სამხრეთი პირენეის და ლიმუზენის ოლქებს. რაიონი გამოირჩევა ბუნებრივი რესურსებით (გაზი, ნავთობი, მურა ნახშირი, გოგირდი, ჰიდროენერგია, ტყე). პირველ ადგილზეა ნავთობისა და გაზის მოპოვებით, ხე-ტყის მრეწველობით; მეორეზე - ავიარაკეტული მრეწველობით. არის მსხვილი ქიმიური და ალუმინის ქარხნები. რაიონი ყურძნის მოყვანით მეორე ადგილზეა. გამოირჩევა სიმინდისა და თამბაქოს წარმოებითაც. ძირითადი ცენტრებია ბორდო და ტულუზა.

7. ხმელეთშუაზღვისპირეთის რაიონში შედის კორსიკის, პროვანსი-ალპები - ლაჟვარდოვანი ნაპირის და ლანგედოკი-რუსილონის ოლქები. აქ კარგადაა განვითარებული ინტენსიური სოფლის მეურნეობა, რომელიც სპეციალიზირდება მევენახეობაზე, სუბტროპიკულ მეხილეობაზე და მეცხვარეობაზე. მრეწველობიდან აღსანიშნავია კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ნავთობქიმია. მარსელი წარმოადგენს უმსხვილეს საპორტო-სამრეწველო ცენტრს. გამოირჩევა საკურორტო-ტურისტული მეურნეობითაც (საფრანგეთის ,,რივიერა" - ცენტრი ნიცა). ფოსეში არის საავიაციო და მეტალურგიული საწარმოები. კუნძული კორსიკა ყველაზე ღარიბი და ნაკლებდასახლებული რეგიონია.

მოსახლეობა ძირითადად დაკავებულია მეცხვარეობით, სუბტროპიკული მეხილეობითა და ტურისტების მომსახურებით. რაიონის უმნიშვნელოვანესი ცენტრი მარსელია.

საფრანგეთი ზოგადად იყოფა სამ - ჩრდილოეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებად.

ჩრდილოეთში შედის პარიზის, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონები. რეგიონში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 1/2 და იწარმოება სამრეწველო პროდუქციის 2/3 ნაწილი. რეგიონის ცენტრია პარიზი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში შედის ლიონის და ხმელთაშუაზღვისპირეთის ეკონომიკური რაიონები, რომლის ცენტრს წარმოადგენს ლიონი.

დასავლეთი რეგიონი მოიცავს ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ეკონომიკურ რაიონებს. მთვარი ცენტრებია ბორდო, ნანტი და ტულუზა.

2.1.4. დიდი ბრიტანეთი

ფართობი - 244 ათასი კმ²
მოსახლეობა - 67,3 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - ლონდონი

ზოგადი ცნობები

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი კოლონიური და კაპიტალისტური ქვეყანა იყო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის განვითარების საქმეში. ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებაა - დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებული სამეფო. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე - 44380 დოლარს (2018 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი 0,922-ს (მე-14 ადგილი, 2017 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 47 საგრაფოდ, 26 ოკრუგად, 7 დედაქალაქის საგრაფოდ, 9 რეგიონად და 3 კუნძულად. ქვეყნის დევიზია: ,,ღმერთი და ჩემი უფლება“ -,,Dieu et mon droit”. სახელმწიფო ენაა ინგლისური, ფულის ერთეული - ფუნტი სტერლინგი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

დიდი ბრიტანეთი მდებარეობს ჩრდილო ევროპის დასავლეთ ნაწილში; ტერიტორიის დიდი ნაწილი განლაგებულია იმავე სახელწოდების და ჩრდილოეთ ირლანდიის კუნძულებზე. ქვეყნის შემადგენლობაში, აგრეთვე, შედის

ატლანტის ოკეანეში განლაგებული მიმდებარე კუნძულები (ჰებრიდის, შეტლანდიის, იორკის და სხვ.). კონტინენტური ევროპისაგან გამოყოფილია ლა-მანშის და პა-დე-კალეს სრუტეებით. გააჩნია საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა: ფართო გასასვლელი ატლანტის ოკეანის წყლებში, ქვეყანაზე გადის საერთაშორისო საზღვაო და საავიაციო გზები, რაც განაპირობებს მის კარგ სამხედრო-სტრატეგიულ მდებარეობას.

საზღვრების საერთო სიგრძე 12919 კმ-ია, აქედან მხოლოდ 490 კმ სახმელეთოა, რომელიც გადის ირლანდიასთან (იხ. ნახ. 17).

ნახ. 17. დიდი ბრიტანეთის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

დიდი ბრიტანეთის რელიეფი, ძირითადად, ერთგვაროვანია, წარმოდგენილია დაბლობებითა და საშუალო სიმაღლის მთებით. დაბლობები გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და სანაპირო რაიონებში. ჩრდილოეთში ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს შოტლანდიის მთიანეთს, სადაც მდებარეობს ქვეყნის უმაღლესი წერტილი - მთა ბენ-ნევისი (1343 მ). რელიეფი ქვეყანას განსახლების და საწარმოო ძალების განლაგებაში განსაკუთრებულ პრობლემებს არ უქმნის.

მინერალური რესურსებით ევროპაში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ რესურსებს. ქვანახშირის საერთო მარაგი შეფასებულია 190 მლრდ ტონით, რომლის დიდი ნაწილი თავმოყრილია იორკშირის (60%), ნორტუმბერლანდ-დარემსკის (13%) და სამხრეთ უელსის აუზებში. ნავთობისა და გაზის მარაგი (407 მლნ ტ და 412 მლრდ $მ^3$, 2018 წ.) გვხვდება ჩრდილოეთის ზღვის შელფურ ნაწილზე. ნავთობის უმსხვილესი საბადოა დოგერ ბანკი. მადნეული წიაღისეულიდან აღსანიშნავია რკინის მადანი (მარაგი 2,1 მლრდ ტ), რომლის ხარისხი დაბალია (22-23%), ხოლო მთავარი საბადოა ნორტგემპტოშირი. მცირე რაოდენობითაა კალა (კორნუოლლეში), ტყვია-თუთია და სპილენძი (უელსში). არამადნეულო წიაღისეულიდან საკმაო რაოდენობითაა კაოლინი (კორნუოლლეში), კალიუმის მარილები (იორკშირში) და ქვამარილი (ჩეშირეში და დარმეში). მდიდარია სხვადასხვა სახის სამშენებლო-მინერალური ნედლეულით.

დიდი ბრიტანეთი განლაგებულია ზომიერ კლიმატურ სარტყელში, სადაც ჩრდილო-ატლანტური დინების და სამხრეთ-დასავლეთის ქარების ზემოქმედებით ყალიბდება ზომიერად კონტინენტური ჰავა. დამახასიათებელია რბილი ზამთარი (საშუალო ტემპერატურა +3°C - +5,5°C), მცირემზიანი ზაფხული (საშუალო ტემპერატურა +16°C - +17°C), მაღალი ტენიანობა (ნალექების საშუალო რაოდენობა 600-1800 მმ, მაქსიმუმები 2000-3000 მმ მოდის დასავლეთ ნაწილში), ძლიერი ქარები და ნისლი. ამ უკანასკნელის გამო, ქვეყანას სიმბოლურად ,,ნისლიან ალბიონს" უწოდებენ. კლიმატური რესურსები საუკეთესო პირობებს ქმნიან ხორბლის, ქერის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების მოყვანისათვის.

წყლის რესურსების უპირატესად დიდი ნაწილი მდინარეებზე მოდის. დამახასიათებელია მოკლე და წყალუხვი მდინარეების საკმაოდ ხშირი ქსელი. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი მაღალია შოტლანდიასა და უელსში. სანაოსნოდ გამოსადეგია მდინარეები: ტემზა, მერსია, თაინა, ერნი და სხვ. გან-

საკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ტემზას, რომლის საშუალებითაც საზღვაო გემები კონტინენტურ ნაწილში ღრმად შედიან.

ტყის რესურსებით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი. ტყეს უჭირავს ტერიტორიის მხოლოდ 11,9%, ძირითადად არის მეორეული ტყე. ტყიანობის შედარებით მაღალი კოეფიციენტია მთიან რაიონებში. ქვეყანაში ბევრი პარკი და მწვანე ნარგავია, რომელიც ტყიანობის შთაბეჭდილებას ქმნის. შოტლანდია და ჩრდილო ირლანდია მდიდარია ბუნებრივი საძოვრებით.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე კონტინენტური ევროპიდან მოსახლეობის ჩასახლება იწყება ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში (49 წ.) ბრიტანეთი დაიპყრო რომის იმპერიამ. IX საუკუნეში გაერთიანდა ,,ინგლისის" სახელწოდებით ერთ სახელმწიფოდ. XI საუკუნეში ემორჩილებოდა დანიის სამეფოს. 1066 წელს ინგლისი დაიპყრო ნორმანმა ჰერცოგმა ვილჰელმმა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალი ნორმანების დინასტიას. XV საუკუნეში ქვეყანა მოიცვა შინაფეოდალურმა ომებმა, ხოლო საუკუნის ბოლოს ხდება ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო.

XVI-XVII საუკუნეებში ინგლისში აღინიშნა კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფი განვითარება. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო კოლონიური პოლიტიკის გაჩაღება. XVII საუკუნეში განხორციელდა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია (1642-1646 წწ. და 1648 წ.), დაემხო მეფის ხელისუფლება და შეიქმნა ბურჟუაზიულ-აზნაურული რესპუბლიკა. 1707 წელს მიღებული იქნა აქტი ინგლისისა და შოტლანდიის კავშირების შესახებ. 1801 წლის 1 იანვარს ბრიტანეთის და ირლანდიის შეერთების შემდეგ დაარსდა გაერთიანებული სამეფო.

XVIII საუკუნეში დაიწყო სამრეწველო რევოლუცია, რამაც ქვეყანა დააწინაურა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და ფართოდ ჩაება მსოფლიოს კოლონიზაციის პროცესში. XX საუკუნის დასაწყისში იგი იყო პირველი კოლონიური ქვეყანა, რომლის წილად მოდიოდა მთელი კოლონიების ფართობის 45% და მოსახლეობის 70% (იხ. ნახ. 18). 1918 წელს ჩრდილოეთი ირლანდია ინკორპორირებული იქნა გაერთიანებულ სამეფოში. 1931 წელს შეიქმნა ბრიტანეთის თანამეგობრობა, რომელიც 54 ქვეყანას (ყოფილ დომინიონებს და კოლონიებს) აერთიანებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ბრიტანეთის იმპერიის დაშლა. დიდი ბრიტანეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1945 წ.) ქვეყანაა. 1949 წლიდან ნატოს წევრია. 1973 წლიდან ,,ევროპის ეკონომიკური გაერთიანების" (საერთო ბაზარი) ორგანიზა-

ციის შემადგენლობაშია. 2018 წლიდან დაიწყო აღნიშნული ორგანიზაციიდან გასვლის პროცესი.



ნახ. 18. დიდი ბრიტანეთის იმპერია XX საუკუნის 20-იან წლებში
წყარო:https://www.google.com/search?q=დიდი+ბრიტანეთის+კოლონია+1920+წელს&tbm=isch&source=iu&ictx=1&fir=p0OlIkiPjzLE3M%253A%252C8KrjBeUhkuxlY

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

დიდი ბრიტანეთი მმართველობის ფორმის მიხედვით პარლამენტური მონარქიაა დემოკრატიულ-პოლიტიკური რეჟიმით. სახელმწიფოს მეთაურია მეფე (დედოფალი), რომელიც წარმოადგენს ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურს (ამ თანამეგობრობაში შედის 54 ქვეყანა), აღიარებულია თანამეგობრობაში შემავალი 16 სახელმწიფოს მეთაურად: ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ახალი ზელანდია, ბაჰამები, ბარბადოსი, ბელიზი, გრენადა, იამაიკა, კანადა, პაპუა-ახალი გვინეა, სენტ-ვინსეტი და გრენადინები, სენტ-კისეტი და ნევისი, სენტ-ლუსია, სოლომონის კუნძულები და ტუვალუ. ტრადიციულად იგი არის ანგლიკანური და პრესვიტერიანული ეკლესიების მეთაური. მას აქვს პარლამენტის დათხოვნისა და პარლამენტის აქტებზე ვეტოს უფლება. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრემიერმინისტრი, რომელსაც ნიშნავს მონარქი, ხოლო მისი რეკომენდაციით, პარლამენტისაგან ნდობის ვოტუმის მი-

ღების შემდეგ, ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტის (აღმასრულებელი ხელისუფ-ლების) წევრებს.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი - ლორდთა და თემთა პალატა. ლორდთა პალატის წევრებს არ ირჩევენ, წევრობა 2/3-სათვის მოიპოვება მემკვიდრეობით ლორდების, ბარონების და პერებისაგან, 1/3-ს ნიშნავს მონარქი პრემიერმინისტრის წარდგინებით, სულ 1100-ზე მეტი წევრი. თემთა პალატა შედგება მოსახლეობის ფარდობითი უმრავლესობის მიერ 5 წლის ვადით მაჟორიტარული სისტემით არჩეული 646 წევრისაგან. ტრადიციის თანახმად და კონსტიტუციური შათანხმებით, მთავრობას აყალიბებს პარლამენტი. მთავრობა ანგარიშვალდებული და პოლიტიკურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, რთული დე-ცენტრალიზებული, უნიტარული ქვეყანაა. იყოფა 47 საგრაფოდ (39 - ინგლისში, 8 - უელსში), 26 ოლქად (ჩრდილოეთ ირლანდიაში), 7 დედაქალაქის საგრაფოდ (ინგლისში), 9 რეგიონად და 3 კუნძულად (ჰებრიდის, შეტლანდიის, ორკნეის - სამივე შოტლანდიაში). ქვეყანა იყოფა ისტორიულ ადმინისტრაციულ ერთეუ-ლებად: ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილო ირლანდია, ანუ ოლსტერი (იხ. ნახ. 19). განსაკუთრებული სტატუსი აქვს კუნძულ მენს ირლანდიის ზღვაში და ნორმანდიის კუნძულებს, საფრანგეთის სანაპიროსთან, ლა-მანშის სრუტეში.



ნახ. 19. დიდი ბრიტანეთის
ადმინისტრაციული ერთეულები
წყარო: United Kingdom Georgian
labelled.pn.www. ka.wikipedia.org

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბრიტანეთის სამეფოს ქვეშ მყოფი ტერიტორიებია: გერნსი, ჯერსი და მენი. სამფლობელოებია: ანგილია, ბერმუდა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ფოლკლენის კუნძულები, გიბრალტარი, მონსერატი, პიტკერნი, სანკტ-პელენა, სამხრეთი ჯორჯია და სამხრეთ სენდვიჩის კუნძულები, ბრიტანეთის ინდოეთის ოკეანის ტერიტორია, ტერკსისა და კაიკოსის კუნძულები.

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაზე დიდი როლი ისტორიულმა წარსულმა ითამაშა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოსახლეობა ნელი ტემპით იზრდებოდა. 1983-2020 წლებში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 56,1 მილიონიდან 67,3 მილიონამდე, ანუ საშუალოდ წელიწადში 302,7 ათასი კაცით. გამოირჩევა მოსახლეობის აღწარმოების დაბალი ტემპით. 2018 წელს ყოველ ათას კაცზე შობადობის კოეფიციენტი იყო 12 პრომილე, სიკვდილიანობის - 9,6, ხოლო ბუნებრივი მატება - 2,6 პრომილე. ბოლო პერიოდის ცალკეულ წლებში აღინიშნებოდა დეპოპულაცია.

ქვეყნის დემოგრაფიული სტრუქტურა, მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან მიმართებით, განსხვავებულია. მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 49,8%, ხოლო ქალებზე - 50,2%. მთელი მოსახლეობის 16,9% მოდის 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე, 61,9% - 15-65 წლის ასაკობრივ ჯგუფზე, 18,2% - 65 წლის და ზემოთ ასაკობრივ ჯგუფზე (2018 წ.). სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78,9 წელია (მამაკაცები - 76,4, ქალები - 81,5). თანდათანობით შეინიშნება მოსახლეობის ,,დაბერების" ტენდენციები. საშუალო ასაკი 40,5 წელია. რასობრივი სტრუქტურის მიხედვით, 95%-ზე მეტი ევროპეიდული რასის, 3,1% ნეგროიდული და სხვა რასების წარმომადგენლები არიან.

დიდი ბრიტანეთი მრავალეროვანი ქვეყანაა. მოსახლეობის ძირითად ნაწილს - 81,6%-ს ინგლისელები შეადგენენ. სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან ჭარბობენ შოტლანდიელები - 9,6% (ლაპარაკობენ ინგლისური ენის დიალექტზე), ირლანდიელები - 2,4% (ნაწილი ლაპარაკობს კელტურ ენაზე), უელსელები - 1,9% (სალაპარაკო ენა განსხვავდება ინგლისელებისაგან) და სხვები - 3,5%. ინგლისელები ძირითადად ცხოვრობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შოტლანდიელები - ჩრდილო შოტლანდიაში, უელსელები - უელსში და ჩრდილო ირლანდიელები - ირლანდიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

რელიგიური კუთვნილების მიხედვით, მოსახლეობის 59,5% ქრისტიანები (კათოლიკეები, ბაპტისტები, ლუთერანები, მეთოდისტები) არიან, 4,4% - მუსლიმები, 1,3% - ინდუსები, 2% - სხვა, ხოლო დანარჩენი არ აღიარებს არც ერთ რელიგიას (2017 წ.).

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის მიგრაციული პროცესების მიმართულებები და მასშტაბები მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიულ წარსულთან. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში მოხდა გერმანული ტომების გადასვლა ბრიტანეთის კუნძულებზე და მათი შერევა ადგილობრივ მოსახლეობასთან (ინგლისური ენა შედის ინდოევროპული ოჯახების გერმანულ ჯგუფში). რომაელებმა ჩრდილო საფრანგეთიდან ბრიტანეთში გადაასახლეს ათასობით გალი. მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის საფუძველზე შეიქმნა უელსელი ერი. ,,ახალი სამყაროს" აღმოჩენის შემდეგ მსოფლიოს კოლონიზაციის გამო, თანდათანობით დაიწყო ბრიტანეთის ტერიტორიიდან მოსახლეობის გადასვლა ჩრდილო ამერიკაში და სხვა რეგიონებში. 1820-1990 წლებში აშშ-ში ჩასახლებული იქნა 5,1 მლნ კაცი. დიდია ინგლისელთა ემიგრაცია კანადაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეინიშნება იაფი მუშახელის იმიგრაციული პროცესები, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 2015 წლისათვის ქვეყანაში იყო 5,8 მლნ იმიგრანტი. დიდ ბრიტანეთს გააჩნია მიგრაციის დადებითი სალდო (ყოველ ათას კაცზე - 2,5), რაზეც მოდის მოსახლეობის მატების დიდი ნაწილი.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 33,5 მილიონს, ანუ მთელი მოსახლეობის 50,3%-ს (2017 წ.). სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 1,3%, მრეწველობაში - 15,2%, მომსახურეობის სფეროში - 83,5% (მსოფლიოში ყველაზე მაღალი).

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 270 კაცია 1 კმ²-ზე. სიმჭიდროვე მაღალია ინგლისში - 350 კაცზე მეტი, ხოლო დაბალია ჩრდილო ირლანდიაში - 100 კაცამდე.

დიდი ბრიტანეთი მაღალურბანიზებული ქვეყანაა, სადაც ურბანიზაციის დონეა 83,4%-ია. საქალაქო განსახლების კარკასს ქმნის ქალაქების ხშირი ქსელი, რომლის ცალკეული რეგიონი გიგანტურ ქალაქებს გვაგონებს. დიდი ქალაქები თითქმის თანაბრადაა განაწილებული ქვეყნის ფარგლებში, განსაკუთრებით, ინგლისში. დიდი ხანია დაიწყო აგლომერაციების (ინგლისში უწოდებენ კონურბანიზაციას) ჩამოყალიბება. შექმნილია რამდენიმე მეგაპოლისი, მათ შორის მნიშვნელოვანია ლონდონის და მანჩესტერის. ბოლო წლებში მეტროპოლიტენურ არეალებში ძალზე გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა, ამიტომაც სახელმწიფო რეგიონალური პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია ქალაქის

მოსახლეობის შემცირება. ამასთან დაკავშირებით, „ქალაქებიდან გაიტანეს საწარმოო დაწესებულებები". ბოლო დროს ბევრი ახალი ქალაქი შეიქმნა, სადაც ცხოვრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საუკეთესო ინფრასტრუქტურაა შექმნილი. უდიდესი ქალაქებია: ლონდონი (8,2 მლნ, აგლომერაციაში - 9,1 მლნ), ბირმინჰემი (1,0 მლნ, აგლომერაციაში - 2,6 მლნ), ლიდსი (751,4 ათასი), გლაზგო (596,5 ათასი), შეფილდი (551,8 ათასი), მანჩესტერი (502,8 ათასი, აგლომერაციაში -2,7 მლნ), ლივერპული (441,4 ათასი), ბრისტოლი (416, 4 ათასი) და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

დიდი ბრიტანეთის მეურნეობის განვითარების თავისებურება უკავშირდება ისტორიულ ეპოქებს, კერძოდ, ქვეყნის კოლონიალურმა წარსულმა დადებითი როლი ითამაშა მეურნეობის ჩამოყალიბებაზე. თავდაპირველად ქვეყნების ძარცვით დაგროვილმა ჭარბმა კაპიტალმა ხელი შეუწყო მსოფლიოში პირველი კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვას; სწორედ აქედან დაიწყო სამრეწველო რევოლუცია, რომელმაც ბრიტანეთი ინდუსტრიულ ქვეყნად და ,,მსოფლიოს სახელოსნოდ" აქცია. XVIII საუკუნის ბოლოს იგი გახდა პირველი კოლონიური ქვეყანა. კოლონიები გადაიქცა იაფი ნედლეულის ბაზად და მზა პროდუქციის გასაღებ ბაზრებად. მსოფლიოს ყველა რეგიონში საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოებამ ბრიტანეთი აქცია ,,მსოფლიოს გადამზიდველად", რამაც ბევრად აამაღლა ქვეყნის ეკონომიკა და XIX საუკუნის ბოლო პერიოდამდე მეურნეობრივი განვითარების დონით მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სამრეწველო განვითარების ხვედრითი წილი მსოფლიოს მასშტაბით თანდათანობით დაეცა (გაუსწრო ჯერ აშშ-მ, შემდეგ გერმანიამ). პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ფინანსური მდგომარეობა შერყეულ იქნა და აშშ-ის მევალედ გადაიქცა. ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო დაზარალდა XX საუკუნის 30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებამ და კოლონიური სისტემის რღვევამ დაშალა დიდი ბრიტანეთის იმპერია.

ბრიტანეთის მიერ კოლონიური ბაზრების დაკარგვამ ეკონომიკას განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა, რამაც სერიოზული ძვრები გამოიწვია მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურების გადახალისებაში. მეურნეობის დარგების განვითარებაში პრიორიტეტი მიენიჭა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, დაწინაურდა მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა და ქიმიური მრეწველობა. მოხდა წარმოების მონოპოლიზაცია, შეიქმნა უმსხვილესი

კომპანიები და ფინანსური სისტემები. ხელი შეეწყო ვერძო კაპიტალის და პარტნიორ ქვეყნებთან ინტეგრაციული კავშირების გაფართოებას.

დიდი ბრიტანეთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. წარმოების მოცულობით, იგი შედის მსოფლიოს ათეულში. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 2,93 ტრილიონ დოლარს შეადგენს (2017 წ.). მთლიანი პროდუქციიდან სოფლის მეურნეობაზე მოდის 0,7%, მრეწველობაზე - 20,2% და მომსახურების დარგებზე - 79,1%. ქვეყნის ეკონომიკა შესულია პოსტინდუსტრიულ ფაზაში და პრიორიტეტი მომსახურე დარგების განვითარებას ენიჭება.

მრეწველობა

დიდ ბრიტანეთს გააჩნია კარგად განვითარებული სამრეწველო კომპლექსი, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს და მასზე მოდის მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის დაახლოებით 3-4%. მრეწველობაში დასაქმებული 5,5 მლნ პერსონალი, იძლევა ქვეყნის მთლიანი პროდუქციის 1/4 და ექსპორტის 2/3 ნაწილს. მრეწველობის სტრუქტურაში დამუშავებით მრეწველობაზე მოდის 86,8%, ხოლო მოპოვებითზე - 13,2%. მრეწველობის წამყვანი დარგი მანქნათმშენებლობა და ლითონდამუშავებაა, რომელზეც მოდის მთლიანი პროდუქციის 41,7%. სხვა დარგებიდან აღსანიშნავია კვების მრეწველობა (10,6%), მსუბუქი მრეწველობა (9,4%), ქიმიური (6,8%) და სხვ. მრეწველობის ცალკეულ დარგს გააჩნია საერთაშორისო სპეციალიზაცია, რომლის პროდუქციაც აქტიურადაა ჩართული მსოფლიოს შრომის გეოგრაფიული დანაწილებაში.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით ევროპაში ერთ-ერთი უზრუნველყოფილი ქვეყანაა. მთლიანი პირობითი სათბობის (ქვანახშირის ექვივალენტური) წარმოება შეადგენს 343,4 მლნ ტ, ხოლო მოხმარება 367,4 მლნ ტ (2015 წ.). ენერგომატარებლების გარკვეული ნაწილი (7-8%) გადის ექსპორტში. ქვეყნის ენერგობალანსი ბოლო წლებში გადახალისდა და უპირატესობა მიენიჭა ნავთობგაზს; ენერგობალანსში ნავთობზე მოდის 39%, ნახშირზე - 24%, ბუნებრივ გაზზე - 26%, ატომურ ენერგიაზე - 6,5%, ჰიდროზე -2,5% და 3% - სხვა წყაროებზე.

ენერგეტიკაში ქვანახშირის ხვედრითი წილი თანდათანობით მცირდება (1913 წელს - 292 მლნ ტ) და ბოლო წლებში მოპოვება არ აღემატება 13-14 მლნ ტონას. მოპოვების 60% მოდის იორკშირის აუზზე, 13% - ნორტუმბერლანდ-დარემსკის (ყველაზე მაღალხარისხოვანი საკოქსე ქვანახშირი), 8% - სამხრეთ უელსის, დანარჩენი - შოტლანდიის, ლანკაშირის და მიდლენდის აუზებზე.

საკოქსე ქვანახშირის გარკვეული ნაწილი გააქვს ექსპორტში და ამავე დროს, იმპორტირდება შედარებით იაფი სათბობით.

ნავთობის მრეწველობა შედარებით ახალი და ამავე დროს სწრაფად მზარდი დარგია. ნავთობის დაზვერილი მარაგი შეფასებულია 407 მლნ ტონით. მარაგის დიდი ნაწილი განალაგებულია ჩრდილოეთის ზღვის შელფურ ნაწილ-ზე, შოტლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე. მოპოვებისა და დაზ-ვერვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის კომპანია ,,ბრიტიშ პეტროლიუმზე" – "British Petroleum". ბოლო წლებში ნავთობის მოპოვება თითქმის განახევრდა და 47,6 მლნ ტონას შეადგენს (2016 წ.). ახლო აღმოსავლეთიდან იმპორტირდება ნავთობი, ხოლო გაცილებით მეტი ნავთობპროდუქტი ექსპორტირდება ევროპის ქვეყნებში. ქვეყანაში არის 30-მდე ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, რომელთა საერთო სიმძლავრე აღემატება 130 მლნ ტონას. ნგქ-ები განლაგებულია მდ. ტემზისა და მდ. თისის შესართავში, სამხრეთ უელსში, ლანკაშირში და სხვაგან.

ბუნებრივი გაზის მოპოვება თანდათანობით იზრდება (42 მლრდ $მ^3$, 2017 წ.), რომელიც აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებების 55%. გაზის მოპოვება ხდება ჩრდილოეთის ზღვის შელფიდან, რომელიც მეტ-ნაკლებად თანხვედრი-ლია ნავთობის მოპოვების რაიონებთან.

ელექტროენერგიის წარმოებით (338 მლრდ კვტ/სთ, 2016 წ.) მსოფლიოს ათეულში შედის. წარმოებული ელექტროენერგიის 50% იწარმოება თბოსად-გურებში, 20,7% - ატომურში, 2% - ჰესებში, ხოლო დანარჩენი სხვა წყაროებზე მოდის. თბოსადგურები ძირითადად განალაგებულია ინგლისში, ჰესები - შოტ-ლანდიაში, ატომური სადგურები - უელსში და ინგლისის სამხრეთ ნაწილში. დიდ ბრიტანეთში პირველად კაპიტალისტურ სამყაროში (საბჭოთა კავშირში 1954 წ.) 1970 წელს აშენდა კოლდერჰილდის ატომური ელექტროსადგური. ამჟა-მად ფუნქციონირებს 7 ატომური სადგური.

შავი მეტალურგია ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომლის მსოფლიო პოზიციები თანადათანობით ეცემა. პროდუქციის უპირატესად დიდ ნაწილს აკონტროლებს სახელმწიფო კომპანია ,,ბრითიშ სთილი" - "British Steel". საკუ-თარი რკინის მადნის მოპოვება (15,7 მლნ ტ, 1965 წ.) უმნიშვნელოა და არ აღემატება 70 ათას ტონას. საშუალოდ შეაქვს 13-14 მლნ ტონა რკინის მადანი, ძირითადად კანადიდან, ბრაზილიიდან, შვედეთიდან და ვენესუელადან. ბოლო წლებში ფოლადის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა (7,6 მლნ ტ, 2016 წ.), ამასთან, დაეცა თუჯის წარმოების მაჩვენებლებიც (9,9 მლნ ტ). მთავარი მეტალურგიული საწარმოები განლაგებულია სანაპირო რაიონებში - სკანთ-როპში (ხამბერთან ახლოს), სამხრეთ უელსში (პოსტ-ტოლბოსტი და ლანუერნი), ტისაიდსა (ლაკენბი-რედკარი) და შოტლანდიაში (რავენსკრეიგი). ცენტრალურ

ნაწილში ძველ პოზიციებს ინარჩუნებს შეფილდის კომბინატი, რომელიც აწარმოებს მაღალი ხარისხის ფოლადს.

ფერადი მეტალურგია ძირითადად მუშაობს იმპორტულ ნედლეულზე. დამახასიათებელია მეორადი მეტალურგიის მაღალი ხვედრითი წილი. პირველადი მეტალურგია ჭარბობს ალუმინისა და კალის მრეწველობაში. პირველადი ალუმინის წარმოება საშუალოდ შეადგენს - 325 ათას ტ, ხოლო მეორადის - 110 ათას ტ ალუმინის საწარმოები ძირითადად განლაგებულია შოტლანდიაში - იაფი ელექტროენერგიის წარმოების რაიონებში. სპილენძის მრეწველობაში დომინირებს რაფინირებული სპილენძის წარმოება (საშუალოდ 115-120 ათასი ტ). შედარებით სუსტადაა განვითარებული თუთიის და კალის მრეწველობა. მეორადი მეტალურგია განვითარებულია მანქანათმშენებლობის რაიონებში დასავლეთ მიდლენდში, დიდ ლონდონსა და ლანკაშირში.

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება მეურნეობის ძირითადი სპეციალიზაციის დარგია, სადაც დასაქმებულია სამრეწველო მუშების 2/3 ნაწილი, იძლევა სამრეწველო პროდუქციის 2/3 და ექსპორტის 1/3 ნაწილს. პროდუქციის ღირებულებით და დასაქმებულთა რაოდენობით გამოირჩევა საერთო მანაქნათმშენებლობა, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა დარგებისათვის საჭირო ფართო დანიშნულების კომპლექტურ მოწყობილობებს, აგრეთვე, საგზაო, დასატვირთ-გადმოსატვირთ, ასაწევ-სატრანსპორტო საშუალებებს, ტრაქტორებს, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და ხელსაწყოებს. მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია თანამედროვე მართვად და პროგრამული ჩარხების წარმოებას (მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა). დარგის ძირითადი საწარმოებია - ლიდსში, შეფილდში, მანჩესტერში, გლაზგოსა და ქოვენთრში.

სწრაფად იზრდება ელექტრონიკური და ელექტრონული მანქანათმშენებლობა, რომელიც პროდუქციის ღირებულებით გამორჩეული დარგია. განსაკუთრებით აღსანიშანავია ელექტრომალოვანი მოწყობილობების, ელექტრონული გამოთვლითი მანქანებისა და მიკროელექტრონული ელემენტების წარმოება. დარგში გამორჩეულია კომპანია ,,ინტერნეიშენალ კომპიუტერს ლიმიტედი" - ,,International Computers Limited". ელექტროტექნიკური და ელექტრონული მანქანათმშენებლობის უმსხვილესი ცენტრია დიდი ლონდონი.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა ბოლო პერიოდში გარკვეულ კონკურენციას განიცდის, წამყვანია ავტომშენებლობა. მთავარი საავტომობილო კომპანიებია: ,,ბრიტიშ ლეილენდი" - ,,British Leyland" და ,,ფორდი" - ,,Ford" (,,როლს-როისი" გაყიდული იქნა). ავტომშენებლობაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი სატვირთო მანქანებს უჭირავს. მადანსაზიდი ასტონიანი სატვირთო ავტომანქანები ლონდონის გარეუბნებში მზადდება.

საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ავიარაკეტულ მრეწველობას, რომელიც სპეციალიზირდება ავიაძრავების წარმოებაზე და აქტიურად მონაწილეობს ევროპროექტის ,,აერობუსის" შექმნაში. ავიარაკეტული პროდუქციის წარმოების მოცულობით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა. პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებს კომპანია ,,ბრიტიშ ეირსპეისი" - ,,British Aerospace". მთავარი საწარმოებია დიდი ლონდონის გარშემო (აღმოსავლეთ დერბი) და დასავლეთ მიდლენდში.

კრიზისს განიცდის გემთმშენებლობა. შექმნილი პრობლემების გამო, 1977 წელს დარგი ნაციონალიზებული იქნა და მისი მოდერნიზება სახელმწიფოს ხარჯზე ხდება. გემთმშენებელი ვერფები ტექნიკურად მაღალ დონეზეა. მსხვილი გემთმშენებელი ქარხნებია - კლაიდსაიდი, ბელფასტი, გლაზგო, ბარროუ-ინ-ფერნესი.

ქიმიური მრეწველობის განვითარება დაჩქარდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რის შედეგადაც სერიოზული ძვრები მოხდა ქიმიური მრეწველობის სანედლეულო და დარგობრივ სტრუქტურაში, კერძოდ, ნახშირქიმიამ პოზიციები დათმო ნავთობ-გაზქიმიის სასარგებლოდ და პრიორიტეტი მიენიჭა ორგანული სინთეზის ქიმიას. ქიმიური პროდუქციის წარმოებაში ბრიტანულ კომპანიებთან ერთად მნიშვნელოვანი პოზიციები აშშ-ის კაპიტალს გააჩნია.

ქიმიური მრეწველობის სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია. აწარმოებს თანამედროვე ქიმიის თითქმის ყველა სახის პროდუქციას, ხოლო პროდუქციის მოცულობით მსოფლიოში პირველ ათეულშია. ქიმიური მრეწველობის ძირითადი რაიონია სამხრეთ-აღმოსავლეთი, კერძოდ, დიდ ლონდონში თავმოყრილია ვიწრო ქიმიის დარგები, განსაკუთრებით, ფარმაკოქიმია, ხოლო ფოლი არის მსხვილი ნავთობქიმიის ცენტრი; ლანკაშირი-ჩეშირით წარმოადგენს ძირითადი ქიმიის და ნავთობქიმიის კვანძს; ჩრდილო-აღმოსავლეთი ინგლისი არის ორგანული და არაორგანული ქიმიის (ბილ-ლინგემი-უილტონი-ტიაბორტა) ცენტრი; შუა შოტლანდიაში ჭარბობს ნავთობქიმია; სამხრეთ უელსი გადაიქცა ნავთობ-ქიმიის მნიშვნელოვან ცენტრად; მინერალური სასუქები იწარმოება სამხრეთ-აღმოსავლეთსა და იორკშირში. საშუალოდ აწარმოებს 1,9 მლნ ტ მინერალურ სასუქს, 0,4 მლნ ტ - სინთეზურ კაუჩუკს, 2,1 მლნ ტ - პლასტმასებსა და სინთეზურ ფისებს, 0,3 მლნ ტ - ქიმიურ ბოჭკოს, 0,8 მლნ ტ - კაუსტიკურ სოდას და სხვა პროდუქციას.

ხე-ტყის მრეწველობა მეურნეობის არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია იმპორტულ ნედლეულზე. მერქანი შეაქვს სკანდინავიის ქვეყნებიდან, კანადიდან და რუსეთიდან. განვითარებულია მერქნის მექანიკური დამუშავებისა და ხე-ტყის ქიმიის ყველა დარგი. ქაღალდის წარმოება თანდათანობით მცირდება და საშუალოდ 3,4 მლნ ტონას შეადგენს. ხე-

ტყის მრეწველობა ძირითადად განვითარებულია შოტლანდიასა (გლაზგო, ედინბურგი) და ინგლისში (ლონდონი, კემბრიჯი).

მსუბუქი მრეწველობა ერთ-ერთი უძველესი დარგია. განსაკუთრებული როლი ენიჭება საფეიქრო მრეწველობას, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარების პირველ ეტაპზე. პირველ მსოფლიო ომამდე საფეიქრო მრეწველობა ფაქტობრივად კონკურენციის გარეშე რჩებოდა. იაფი ნედლეულის შემოტანის პრობლემებმა და გასაღები ბაზრების დაკარგვამ დარგის საერთაშორისო მასშტაბები ბევრად შეამცირა. ბამბეულის მრეწველობა მთლიანად იმპორტულ ნედლეულზე მუშაობს. ბამბეულის ქსოვილების საშუალო წლიური წარმოება არ აღემატება 170 მლნ მ² (1938 წ. - 3,3 მლრდ მ²). დიდი ბრიტანეთი შალის ქსოვილების უმსხვილესი მწარმოებელია, რომელიც განვითარებულია საკუთარ სანედლეულო ბაზაზე, თუმცა წარმოების მასშტაბები, წინა წლებთან შედარებით (1950 წ. 376 მლნ მ²), რამდენჯერმე შემცირდა და საშუალოდ 98-100 მლნ მ² შეადგენს. გამოირჩევა სინთეზური აბრეშუმის ქსოვილების წარმოებითაც. საფეიქრო მრეწველობის გეოგრაფია სამრეწველო რევოლუციის ეპოქიდან შენარჩუნებულია. ბამბეულის უმსხვილესი მწარმოებელია ლანკაშირი (მანჩესტერი წარმოადგენს მსოფლიოში ბამბეულის მრეწველობის უმსხვილეს ცენტრს), შალეულის - იორკშირი, აბრეშუმის - ძირითადად, ლანკაშირი და სელის - ჩრდილო ირლანდია.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიო ბაზარზე გამოირჩევა ძვირადღირებული საფეიქრო პროდუქციის, სამკერვალო ნაწარმის, ფეხსაცმლის, ხალიჩების გატანით, რომლის მასშტაბები თითქმის სტაბილურია.

კვების მრეწველობა პროდუქციის მოცულობით, მანქანათმშენებლობის შემდეგ, მეორე ადგილზეა, რომელიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია საჭირო სანედლეულო ბაზით. საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია ხორცისა (3,8 მლნ ტ) და რძის (16,7 მლნ ტ) მრეწველობას. საკმაოდ კარგადაა განვითარებული შაქრის, საკონსერვო, ზეთის, თევზისა და ზღვის პროდუქტების, მარგარინის პროდუქციის და სხვა დარგები.

სოფლის მეურნეობა

დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც სოფლის მეურნეობა გადავიდა ინტენსიურ განვითარებაზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოება გამოირჩევა თანამედროვე აგრარული ურთიერთობის, აგროტექნიკური, ვეტერინარული და პროდუქტიულობის მაღალი დონით, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში (0,7%) მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ დაბალ დონეზეა. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს

ქვეყნის სასურსათო მოთხოვნილების თითქმის 80%-ს. მიწების გარკვეულ ნაწილს ფლობენ მსხვილი მიწათმფლობელები - ლენდლორდები, რომლებსაც თვითონ არ მიჰყავთ მეურნეობა და იჯარით აქვთ მიწები გადაცემული. ბოლო დროს მათი რიცხვი შემცირდა, რადგან მიწები ფერმერთა მიერ იქნა შესყიდული. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა თითქმის 2/6 ნაწილი არის სასოფლო-სამეურნეო მუშები და არა გლეხები. მიწების ნახევარზე მეტი მუშავდება მსხვილი ფერმერების მიერ, რომლებიც საშუალოდ 100 ჰა-ზე მეტ მიწას ფლობენ (ევროპაში ყველაზე მაღალი). სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 17,3 მლნ ჰა, ანუ მთელი ტერიტორიის 71%, აქედან სახნავია 25,1%, მრავალწლიანი ნარგავები -0,2% და საძოვრები - 25,7%.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის 70%-ზე მეტი. მეცხოველეობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი საძოვრებით, რომელთა გარკვეული ნაწილი მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება. არის მაღალპროდუქტიული კულტურული საძოვრებიც. მეცხოველეობის მთავარი დარგი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებაა (10,1 მლნ სული, 2016 წ.) სარძევე-სახორცე მიმართულებით, რომელიც ძირითადად განვითარებულია სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში. დიდი ბრიტანეთი ევროპის ბაზარზე საქონლის ხორცის ერთ-ერთი მსხვილი მომწოდებელია. მეცხვარეობა (22,9 მლნ სული, თანდათანობით მცირდება) ერთ-ერთი ტრადიციული დარგია და აქტიურად იყო ჩართული პირველი კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. მეცხვარეობის ძირითადი რაიონებია: უელსი, შოტლანდია, ჩრდილო ირლანდია და ჩრდილო ინგლისი. საუკეთესო მერინოსის ჯიშის ცხვარი იორკშირშია მოშენებული. მნიშვნელოვანი დარგია მეღორეობა (4,6 მლნ სული, 2017 წ), რომელიც უფრო მეტად განვითარებულია ცენტრალური ინგლისის კონურბაციის მიმდებარე რაიონებში. აშენებენ ფრინველს (135 მლნ. ფრთა), ცხენს (116 ათასი სული) და სხვა შინაურ ცხოველებს. ევროპაში გამოირჩევა თევზის რეწვითა და მოშენებით. დიდი ბრიტანეთი საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებს 3,8 მლნ ტ ხორცს, 16,7 მლნ ტ - რძეს, 47 ათას ტ - მატყლს, 14,0 მლრდ ცალ - ქათმის კვერცხს და იჭერს 0,8 მლნ ტ თევზს. მეცხოველეობის პროდუქციის გარკვეული ნაწილი გადის ექსპორტში.

მემცენერეობას დამხმარე მნიშვნელობა გააჩნია. მისი მთავარი დარგი მერცვლეულის მეურნეობაა, რომელსაც უჭირავს მთელი ნათესი ფართობის 3/5 ნაწილი. ძირითადი კულტურაა ხორბალი, რომლის საშუალო წლიური წარმოება 14-15 მლნ ტონაა. ბრიტანეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა ხორბლის საჰექტარო მოსავლით (62 ცენტნერი). სხვა მარცვლეული კულტურებიდან აღსანიშნავია ქერისა (6,2 მლნ ტ) და შვრიის (0,5 მლნ ტ)

მოყვანა. ტექნიკური კულტურებიდან მთავარია შაქრის ჭარხლის მოყვანა (9,4 მლნ ტ, 2014 წ.). დასავლეთ ევროპაში გამოირჩევა კარტოფილის (5,7 მლნ ტ) წარმოებით. შედარებით კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მებაღეობა. აღსანიშნავია კენკროვანი კულტურებისა და ყვავილების მოყვანა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 2/5 ნაწილი უჭირავს საკვებ კულტურებს, ძირითადად მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეებს. მემცენარეობის გეოგრაფია მეტ-ნაკლებად ორიენტირებულია ნიადაგურ-კლიმატურ პირობებსა და მომხმარებელზე. მარცვლეული კულტურები ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ ინგლისში. შაქრის ჭარხალი მოჰყავთ საგარეუბნო ზონებში, ყველგანაა გავრცელებული მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა და მებაღეობა. სანაპირო რაიონებში მოჰყავთ კენკროვანი კულტურები.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

ტრანსპორტი ისტორიულად უდიდეს როლს ასრულებდა დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო იმიჯის შექმნაში. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ტრანსპორტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო ძალების განვითარებასა და საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარებაში. განვითარებულია თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე. ამასთან, იგი არის ტრანსპორტის რამდენიმე სახის ,,სამშობლო". სატრანსპორტო კომუნიკაციების სიხშირით და მაგისტრალიზაციის დონით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა.

დიდი ბრიტანეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზღვაო ტრანსპორტს. მასზე მოდის ტვირთბრუნვის თითქმის 81%. ინგლისში პირველად 1651 წელს შეიქმნა ,,სანავიგაციო ატლასი" (ზღვაზე ნაოსნობის პირველი კანონთა კრებული და პირველი ტანკერი ,,გლიუკააფი", 1886 წ.). დიდი ბრიტანეთი XX საუკუნის დასაწყისამდე იყო პირველი საზღვაო ქვეყანა და მასზე მოდიოდა მსოფლიოს საზღვაო ფლოტის ტონაჟის 1/2 ნაწილი. ბოლო წლებში საზღვაო ტრანსპორტის საერთაშორისო მნიშვნელობა გარკვეულწილად შესუსტდა. გააჩნია 1551 საზღვაო სავაჭრო გემი (2017 წ.), რომელთა საერთო ტონაჟი 3,2 მლნ ბრუტ. რეგ. ტ (2012 წ.). გემების დიდი ნაწილი დაცურავს ,,გამოსადეგი დროშის" ქვეშ. დიდი ბრიტანეთის საზღვაო კომპანიების მენეჯმენტით ხორციელდება არა ერთი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემების სამარშრუტო და ტრამპული გადაზიდვები. უმსხვილესი საზღვაო პორტებია: გრიმსბი (62,6 მლნ ტ), ლონდონი (43,2 მლნ ტ), მილფორდ-ჰეივენი (41,1 მლნ ტ), ლივერპული (26 მლნ ტ) და სხვ.

დიდ ბრიტანეთში იწყება სარკინიგზო ტრანსპორტის ისტორია. აქ 1825 წელს ამოქმედდა პირველი სარკინიგზო ხაზი სტოკტონი-დარლინგი (21 კმ).

სარკინიგზო ტრანსპორტის მნიშვნელობა გარკვეულწილად დაეცა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც გამოიხატება ტვირთბრუნვის და საერთო სიგრძის შემცირებით (1960 წ. 29,5 ათასი კმ, 2015 წ. 16,8 ათასი კმ). სარკინიგზო ქსელის სიხშირის კოეფიციენტი მაღალია ინგლისში.

იზრდება საავტომობილო ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა. მასზე მოდის ტვირთბრუნვის 18,5% და მგზავრთბრუნვის - 84%. საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 394,4 ათასი კმ-ია, მათ შორის მყარი საფარითაა დაფარული 92%, ჩქაროსნული გზების საერთო სიგრძე 3519 კმ-ია (2015 წ.). მთავარი მაგისტრალია - ლონდონი-ბირმინგემი-მანჩესტერი-გლაზგო. ავტოპარკის საერთო რაოდენობა 30,5 მლნ-ია, ხოლო ყოველ 1000 კაცზე მოდის 469 ავტომობილი (35-ე ადგილი, 2016 წ.).

დიდი მნიშვნელობა გააჩნია საჰაერო ტრანსპორტს, რომელზეც მოდის მგზავრთბრუნვის დაახლოებით 10-11%. მგზავრთბრუნვაში დიდი ადგილი უჭირავს კომპანია ,,ბრიტიშ ეარვეისს". ევროპაში ყველაზე დიდი საერთაშორისო აეროპორტია - ლონდონის ,,ჰითროუ" (75,0 მლნ, 2015 წ.).

თანდათანობით იზრდება მილსადენი ტრანსპორტის მნიშვნელობა, რაც დაკავშირებულია ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებასთან. ნავთობსადენების საერთო სიგრძე აჭარბებს 5413 კილომეტრს. ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონი გაზიფიცირებულია (3430 კმ). ნავთობსადენები და გაზსადენები ჩრდილოეთის ზღვიდან მიემართება ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ.

შიდა წყლის ტრანსპორტის განვითარებას ხელს უწყობს მდინარეთა ხშირი ქსელი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სანაოსნო არხებით. ბოლო დროს ტრანსპორტის ამ სახემ გარკვეული მნიშვნელობა დაკარგა, რაც განპირობებულია დაბალი გამტარუნარიანობით. სანაოსნო გზების საერთო სიგრძე 3200 კმ-ია. მთავარი სანაოსნო მდინარეებია ტემზა და ჰამბერა.

მგზავრთა გადაყვანაში დიდ როლს ასრულებს ელექტროტრანსპორტი, განსაკუთრებით, მეტროპოლიტენები. 1863 წელს, მსოფლიოში პირველად, ექსპლოატაციაში გადაეცა ლონდონის მეტროპოლიტენი, რომლის სიგრძე 388 კმ-ია.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

დიდი ბრიტანეთის საგარეო კავშირების გეოგრაფია მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოლონიურ წარსულთან, რომელიც ქვეყანას აძლევდა უდიდეს მოგებას. კოლონიური სისტემის დაშლის შემდეგ საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია მეტ-ნაკლებად გადახალისდა, რომელიც ორიენტირდა ევროპის საერთო ბაზრის და მაღალგანვითარებული ქვეყნების მიმართულებით. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსი, კოლონიური სისტემის დაშლისა და საერთაშორისო კონკურენ-

ციის შედეგად, უარყოფითია. საგარეო ვაჭრობის ბალანსი 1,06 ტრილიონ დოლარს შეადგენს (2017 წ.), აქედან ექსპორტზე 441,2 მლრდ დოლარი, ხოლო იმპორტზე 615,9 მლრდ დოლარი მოდის (უარყოფითი სალდო 174,7 მლრდ დოლარი). ქვეყნიდან ექსპორტირდება მანქანა - მოწყობილობები, ნახევარფაბრიკატები, ნავთობი, შალის ქსოვილები, ხორცი, რძის პროდუქტები, ალკოჰოლური სასმელები, სიგარეტი და სხვ. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: აშშ (13,2%), გერმანია (10,5%), საფრანგეთი (7,4%), ნიდერლანდები (6,2%), ირლანდია (5,6%), ჩინეთი (4,8%), შვეიცარია (4,5%) და სხვ. იმპორტირდება მანქანა-მოწყობილობები, ნახევარფაბრიკატები, ბამბა, თამბაქო, ჩაი და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია (13,7%), აშშ (9,5%), ჩინეთი (9,3%), ნიდერლანდები (8,1%), საფრანგეთი (5,4%), ბელგია (5%) და სხვ. უარყოფითი ბალანსის გადაფარვა-დაბალანსება ხდება უხილავი ექსპორტიდან, ტურიზმიდან, საფინანსო ოპერაციებიდან, საბირჟო ვაჭრობიდან და სხვა შემოსავლებიდან.

საგარეო ეკონომიკური კავშირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს კაპიტალის გატანა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა შეადგენს 2,1 ტრილიონ დოლარს (2017 წ). კაპიტალი დაბანდებულია, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ამასთან, ქვეყანაში ფუნქციონირებს სხვა ქვეყნების კაპიტალიც. მათ შორის ბევრია აშშ-ის ინვესტიციები. აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების - ,,ნოუ ჰაუს" გაცვლაში. მაღალია ქვეყნის როლი საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობაში, განსაკუთრებით - საერთაშორისო ტრანსპორტით, საბანკო, სადაზღვევო, კონსულტაციებითა და მართვით.

შიდა განსხვავებული რაიონები

დიდ ბრიტანეთში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საწარმოო ძალების რეგიონალური განვითარების დონეთა შორის სხვაობა გამოკვეთილი არ არის, ამიტომაც ქვეყნის დარაიონებას საფუძვლად უდევს მეურნეობის ფორმების ისტორიული თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, გამოიყოფა შემდეგი ეკონომიკური რაიონები: სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთ-დასავლეთი, დასავლეთ-მიდლენდი, აღმოსავლეთ-მიდლენდი, ლანკაშირი, იორკშირი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილო ირლანდია. ქვეყნის ეკონომიკური რაიონები შემდეგ ძირითად რეგიონებად ერთიანდება: 1. სამხრეთ ინგლისის; 2. აღმოსავლეთ ინგლისის; 3. ჩრდილოეთ ინგლისის; 4. ეროვნული განაპირა მხარეები.

1. სამხრეთ ინგლისში შედის სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ეკონომიკური რაიონები. რეგიონი ეკონომიკურად და კულტურულად ყველაზე კარგადაა განვითარებული. აქ ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი და იწარმოება სამრეწველო პროდუქციის არანაკლებ 2/5 ნაწილი. მრეწველობიდან წამყვანია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, ელექტროტექნიკური და ელექტრონული მანქანათმშენებლობა. სოფლის მეურნეობიდან მთავარია სარძევე-სახორცე მესაქონლეობა. უმსხვილესი ქალაქია ლონდონი (8,2 მლნ დიდი ლონდონი 9,1 მლნ.), რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილეს საფინანსო-სავაჭრო ცენტრს. ლონდონის სავაჭრო ბირჟით ხორციელდება საერთაშორისო ვაჭრობა მანქანათმშენებლობის პროდუქციის, ბეწვეულის, შალის, ოქროს, ძვირფასი ქვებისა და სხვ. სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია პლიმუთი (246,1 ათასი), საუტგეპტონი (222 ათასი) და პორტსმუტი (200 ათასი).

2. ცენტრალურ ინგლისში შედის დასავლეთ მიდლენდისა და აღმოსავლეთ მიდლენდის ეკონომიკური რაიონები. რეგიონი ტრადიციულად წარმოადგენს ინდუსტრიულ მხარეს. დასავლეთი მიდლენდი - ბირმინგემისა და მიდლენდის კონურბაცია (2,9 მლნ) იწოდება ,,შავი ინგლისის" სახელწოდებით. ბირმინგემი (1,0 მლნ) სპეციალიზირდება საავტომობილო, ჩარხმშენებლობის და ლითონდასამუშავებელი პროდუქციის წარმოებაზე. აღმოსავლეთი მიდლენდი - დერბი (236,3 ათასი) გამოირჩევა ავიასარაკეტო და კოსმოსური მოწყობილობების წარმოებაზე, ხოლო ნოტინგემი (195 ათასი) არის ფინანსური ცენტრი და ,,მოდების ქალაქი". სოფლის მეურნეობიდან წამყვანია სარძევე მესაქონლეობა, სადაც დიდი ადგილი უჭირავს კულტურულ საძოვრებს.

3. ჩრდილოეთი ინგლისი აერთიანებს ლანკაშირის, იორკშირის და ჩრდილო-აღმოსავლეთის ეკონომიკურ რაიონებს. ლანკაშირი მჭიდროდ დასახლებული რაიონია, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა საფეიქრო მრეწველობა მანჩესტერის (502,9 ათასი) წამყვანი როლით - ბამბეულის ქსოვილების, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ატომური მრეწველობის სპეციალიზაციით. მეორე მნიშვნელოვანი ცენტრი ლივერპულია (441,4 ათასი), რომელიც წარმოადგენს მსხვილ პორტს, სადაც თავმოყრილია ,,საპორტო ინდუსტრიის" ობიექტები. სამრეწველო რაიონი - იორკშირი სპეციალიზდება შალეულის ქსოვილების, ლოკომოტივების, ქვანახშირის და ფოლადის წარმოებაზე. მთავარი ცენტრებია შეფილდი (551,8 ათასი) და ლიდსი (751,4 ათასი). სოფლის მეურნეობიდან აღსანიშნავია სარძევე მესაქონლეობა, მარცვლეული კულტურებისა და შაქრის ჭარხლის მოყვანა.

4. ეროვნული განაპირა მხარეები მეტ-ნაკლენად ინარჩუნებენ თავიანთ კულტურასა და თვითმყოფადობას. ეკონომიკური განვითარების დონით საკმაოდ ჩამორჩებიან ინგლისს და გააჩნიათ რიგი სპეციფიკური პრობლემები.

უელსი (ფართობი - 20,8 ათასი კმ² , მოსახლეობა - 3,06 მლნ კაცი) იყოფა ორ - ჩრდილო და სამხრეთ - რაიონად. ჩრდილოეთი მთიანი ნაწილია, რომელიც ღარიბია მინერალური რესურსებით და სუსტადაა დასახლებული. მეურნეობიდან მთავარია მესაქონლეობა და მეცხვარეობა. სამხრეთი სამრეწველო მხარეა, სადაც ქვანახშირის ბაზაზე განვითარებულია შავი მეტალურგია (პირველ ადგილზე თუჯის და მეორეზე - ფოლადის წარმოებით). უელსის ადმინისტრაციული ცენტრია კარდიფი (316,8 ათასი). გამოირჩევა მეტალურგიითა და მანქანათმშენებლობით.

შოტლანდია (ფართობი - 78,7 ათასი კმ², მოსახლეობა - 5,3 მლნ) მთიანი მხარეა, ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში განლაგებულია შოტლანდიის მთები, მათ შორის მოქცეულია შოტლანდიის დაბლობი, სადაც ცხოვრობს რეგიონის მოსახლეობის 3/4 ნაწილი. შოტლანდიის სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს კლაისაიდის კონურბაცია, რომელიც სპეციალიზდება მეტალურგიაზე, ლოკომოტივების, საშახტო მოწყობილობების, ელექტროტექნიკის და საფეიქრო ნაწარმის წარმოებაზე. მთავარი სამრეწველო ბირთვია გლაზგო (621,2 ათასი). შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი (488,1 ათასი) წარმოადგენს საუნივერსიტეტო და კულტურულ ცენტრს. მრეწველობიდან აღსანიშნავია პოლიგრაფიული, ელექტროტექნიკური, ფარმაცევტული და კვების ნაწარმთა წარმოება. მთიანი შოტლანდია ეკონომიკურად სუსტადაა განვითარებული. აქ მეტ-ნაკლებად გამოირჩევა ჰიდროენერგეტიკა და ალუმინის წარმოება. სოფლის მეურნეობიდან ჭარბობს სარძევე მესაქონლეობა და მეცხვარეობა. მთავარი ცენტრებია - აბერდინი (222,7 ათასი) და დანდი (148,3 ათასი).

ჩრდილოეთი ირლანდია-ოლსტერი (ფართობი - 14, 1 ათასი კმ² , მოსახლეობა - 1,88 მლნ) დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიის ნაწილი - მდებარეობს ირლანდიის კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილი მხარეა, რომელსაც გააჩნია რიგი სპეციფიკური (სეპარატისტული, ეთნიკური, რელიგიური) პრობლემებიც. მეურნეობრივად აგრარულ-ინდუსტრიული მხარეა. სოფლის მეურნეობიდან მთავარია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და მეცხვარეობა. მრეწველობიდან აღსანიშნავია გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა და ძვირადღირებული სელის ქსოვილების წარმოება. მთავარი სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრია ბელფასტი (339,6 ათასი).

2.1.5. იტალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართობი 301,2 ათასი კმ²
მოსახლეობა -60,2 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - რომი

ზოგადი ცნობები

იტალია მსოფლიოს დიდი რვიანის ერთ-ერთი წევრი ქვეყანაა და აქტიურადაა ჩართული თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილება ერთ სულ მოსახლეზე 36210 დოლარს (2018 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი 0,872-ს (მე-26 ადგილი 2015 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 20 ოლქად (მათ შორის, 5 ავტონომიური ოლქია), 110 პროვინციად და 8101 კომუნად. სახელმწიფო ენაა იტალიური, ფულის ერთეული - ევრო.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

იტალია მდებარეობს სამხრეთ ევროპაში. ტერიტორიის უპირატესად დიდი ნაწილი განლაგებულია აპენინის ნახევარკუნძულზე, რომელიც ღრმადაა შეჭრილი ხმელთაშუა ზღვაში. ქვეყნის შემადგენლობაში, აგრეთვე, შედის ხმელთაშუა ზღვაში განლაგებული კუნძულები, მათ შორის მნიშვნელოვანია სიცილია (25426 კმ²) და სარდინია (23813 კმ²). იტალიას გააჩნია საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; აქვს ფართო გასასვლელი ხმელთაშუა, ადრიატიკის, ტირენის და ლიგურიის ზღვებზე. მდებარეობს ევროპის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციების ცენტრში, მსოფლიოს სავაჭრო გზების გადაკვეთაზე, განლაგებულია მსოფლიოს ტურისტულ რეგიონში, მნიშვნელოვანია მისი სიახლოვე ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებთან, გააჩნია კარგი გეოპოლიტიკური და ,,მეზობლური" მდებარეობა. გეოგრაფიული მდებარეობა დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

იტალიის საზღვრების საერთო სიგრძე 9436,4 კმ-ია, აქედან 7600 კმ, ანუ 80% - საზღვაოა. ჩრდილოეთით ესაზღვრება შვეიცარია (698 კმ) და ავსტრია (404 კმ), სამხრეთით - ხმელთაშუა ზღვა, ჩრდილო-აღმოსავლეთით - სლოვენია (218 კმ), აღმოსავლეთით - ადრიატიკის ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით - საფრანგეთი (476 კმ), დასავლეთით - ლიგურიის და ტირენის ზღვები. ქვეყნის საზღვრებში მდებარეობს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ვატიკანი (3,4 კმ) და სან-მარინო (37 კმ). იტალიის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 20.

ნახ. 20. იტალიის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook.2018.www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

იტალია ტიპური საზღვაო და მთიანი ქვეყანაა. ტერიტორიის 3/4 ნაწილი მთებსა და მაღლობებს უჭირავს. ქვეყნის ჩრდილოეთით 1200 კმ-ის ფარგლებში გადაჭიმულია იტალიის ალპები. აპენინის ნახევარკუნძულის ოროგრაფიაში დომინირებს აპენინის დაბალი და საშუალო სიმაღლის მთები. დაბლობები წარმოდგენილია სანაპირო ზოლში, მათ შორის მნიშვნელოვანია ჩრდილო-აღ-მოსავლეთ ნაწილში პადანის დაბლობი, რომელსაც ქვეყნისთვის ძალზე დიდი სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნია. რელიეფი, გარდა მცირე გამონაკლისისა, განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნის საწარმოო ძალების განვითარებაში. იტა-ლია მდებარეობს აქტიურ სეისმურ ზონაში, სადაც ხშირად დამახასიათებელია მიწისძვრები. ქვეყანაში არის ბევრი მოქმედი და ჩამქრალი ვულკანი.

მინერალური რესუსრებით ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანაა, განსაკუთრებით - ენერგეტიკული რესურსებით. ქვანახშირი (მარაგი 1 მლრდ ტ) ამჟამად არ მოიპოვება. საკმაოდ მდიდარია ლიგნიტებით კუნძულ სარდინიის სამხრეთით, ტოსკანიაში და უმბრანში. უმნიშვნელოა ნავთობის მარაგი (148 მლნ ტ). ნავთობის რესურსები არის კუნძულ სიცილიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ადრიატიკის ზღვის შელფზე. გაზის საბადოები განლაგებულია პადანის დაბლობზე, ადრიატიკის ზღვის შელფზე და სიცილიაში (მარაგი 94,2 მლრდ $მ^3$). მადნეული წიაღისეულიდან აღსანიშნავია ვერცხლისწყალი, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია, მარაგის დიდი ნაწილი გვხვდება ტოსკანაში. პოლიმეტალები (ტყვია-თუთია) მოიპოვება სარდინიაზე და აღმოსავლეთ ალპებში. არამადნეული წიაღისეულიდან აღსანიშნავია გოგირდი (კუნძულ სარდინიაზე) და კალიუმის მარილები (კუნძულ სიცილიაზე). მსოფლიო მნიშვნელობა აქვს სამშენებლო მინერალურ ნედლეულს, განსაკუთრებით თეთრ მარმარილოს. საკმაო რაოდენობითაა გრანიტი, ტუფი, მინდვრის შპატი, ცემენტის ნედლეული და სხვა სამშენებლო ნედლეული.

იტალია ძირითადად განლაგებულია სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყელში, სადაც მშრალი სუბტროპიკული ჰავაა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით თანდათანობით იცვლება. სამხრეთში დამახასიათებელია ცხელი ზაფხული, სადაც ივნისის საშუალო ტემპერატურა +20°C - +24°C-ია. მაქსიმუმი აღემატება +32°C. ზამთარში იანვრის საშუალო ტემპერატურა დაბლობის ზონაში საშუალოდ +4°C - +10°C -ია. ნალექების საშუალო რაოდენობა 600-1000 მმ-ია. ნალექების ნახევარი მოდის შემოდგომაზე და გაზაფხულზე. სამხრეთში ხშირად დამახასიათებელია მშრალი ქარი სიროკო, რომელსაც აფრიკიდან მოაქვს მოწითალო მტვერი. იტალიის კლიმატური რესურსები საუკეთესო პირობებს ქმნის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით, მებოსტნეობის, მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებისათვის. კლიმატური რესურსები ხელს უწყობს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებას.

წყლის რესურსებით არცთუ ისე მდიდარია. აქაური მდინარეები მოკლე და ზაფხულში მცირეწყლიანია. ერთადერთი მნიშვნელოვანი მდინარეა პო (652 კმ), რომელიც განედობრივად გაედინება ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, პადანის დაბლობზე. მდინარის დელტა დაქსაქსულია არხებით, რომელსაც სამეურნეო თვალსაზრისით ძალზე დიდი მნიშვნელობა გააჩნია. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია ადიჯე (410 კმ) და ტევერი (405 კმ). ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ტბაა. მათ შორის, ცნობილია: გარდა, გაჯიორე, კომო, ტრაზიმენო, ბოლსენა და სხვ.

ტყის რესურსებით შედარებით ღარიბია. ტყითა და ბუჩქნარებითაა დაფარული ტერიტორიის 31,4%. ტყიანობის მაღალი კოეფიციენტია მთიან რეგიონებში, ხოლო ტყის ბოტანიკურ შემადგენლობაში დომინირებს ფართოფოთლოვნები, განსაკუთრებით, მუხა და წაბლი. ცნობილია ეგზოტიკური მცენარეებით, რომელთა შორის 10% ენდემურია. ორგანული სამყაროს დასაცავად შექმნილია დაცული ტერიტორიები. თითქმის ყველგან არის კულტურული ლანდშაფტები.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ძვ.წ. II-I ათასწლეულში აპენინის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ იტალიკები. სხვადასხვა ვერსიით ბერძნებმა უწოდეს ,,იტალია" ანუ ,,ხბორების ქვეყანა" - ლამაზი ბუნებისა და პირუტყვის სიმრავლის გამო. მოგვიანებით ლათინელებმა და საბინელებმა დააარსეს რომი (რომაული მითოლოგიით, დაარსდა ძვ. წ. 753 წელს). ძველ პერიოდში იტალიამ პოლიტიკურ წარმატებებს მიაღწია, იმ დროისათვის მსოფლიოში უდიდესი რომის იმპერიის დაარსებით, რომელმაც იმპერიათა შორის ყველაზე დიდხანს ძვ. წ. 353 წლიდან ახ. წ. 476 წლამდე იარსება. რომის დაცემის შემდეგ იტალია გახდა ოსტგუთების, ფრანკების, გერმანელებისა და სხვათა დაპყრობის ობიექტი. XI - XII საუკუნეებში ჩნდება ქალაქი-სახელმწიფოები. ერთიანი სახელმწიფოს ფორმირება დასრულდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში და 1861 წელს გაერთიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1922 წელს ქვეყნის სათავეში მოვიდა ფაშისტური ხელისუფლება ბენიტო მუსოლინის მეთაურობით. იტალია მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გამოდიოდა გერმანიის მოკავშირედ. 1947 წელს გახდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა. 1949 წელს შევიდა ,,ნატოს" შემადგენლობაში. 1957 წლიდან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (,,საერთო ბაზრის") წევრია. 1955 წელს შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

იტალია რესპუბლიკური მმართველობის ფორმით საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია საარჩევნო კოლეგიის (ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომებზე ოლქების წარმომადგენლების მონაწილეობით) მიერ 7 წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი, რომელიც პარლამენტის თანხმობით ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს - პრემიერმინისტრს. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მინისტრთა საბჭოს, რომლის წევრებს, პრემიერმინისტრის წარდგინებით, პარლამენტის თანხმობის შემდეგ, ნიშნავს პრეზიდენტი.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატა - სენატი შედგება მოსახლეობის მიერ არჩეული 315 წევრისაგან, ხოლო ქვედა - წარმომადგენელთა პალატა შედგება მოსახლეობის მიერ 5 წლის ვადით არჩეული 630 წევრისაგან.

იტალია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით უნიტარული ქვეყანაა ფედერალიზმის ნიშნებით. იყოფა 20 ოლქად (აპულია, აბრუცი, ბაზილიკატა, ემილია-რომანია, ვენეტო, კალაბრია, კამპანია, ლაციო, ლიგურია, ლომბარდია, მარკე, მოლიზე, პიემონტი, ტოსკანა, უმბრია, ვალე-დ-აოსტა, სარდინია, სიცილია, ტრენტინო-ალტო-ადიჯე, ფრიული-ვენეცია-ჯულია(ბოლო 5 ოლქს განსაკუთრებული ავტონომიური უფლებები გააჩნია).

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

იტალია მოსახლეობის რიცხოვნობით ევროპაში მე-5 ადგილზეა, სადაც 2020 წლისათვის 60,2 მლნ კაცი ცხოვრობდა. ბოლო წლებში მოსახლეობა ძალზე ნელი ტემპით იზრდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში შემცირების ტენდენციები იკვეთება (2009 წელს ცხოვრობდა 60,2 მლნ). 1977-2020 წლებში მოსახლეობა გაიზარდა მხოლოდ 3,9 მლნ კაცით, ანუ საშუალოწლიურად 89,6 ათასი კაცით.

ევროპაში გამოირჩევა მოსახლეობის აღწარმოების დაბალი მაჩვენებლებით, სადაც ბოლო წლებში დეპოპულაცია აღინიშნება. 2018 წელს შობადობა ყოველ ათას კაცზე იყო 8,5 პრომილე, სიკვდილიანობა - 10,5 პრომილე, ხოლო ბუნებრივი მატება უარყოფითია - 2 პრომილე. მოსახლეობის ნელი ტემპით ზრდა მთლიანად უკავშირდებოდა მიგრაციის დადებით სალდოს.

დარღვეულია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 48,2%, ხოლო ქალებზე - 51,8%. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 13,5%, 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 66,7%, ხოლო 65 წელის და მეტი ასაკზე - 22,8% (2018 წ.). ქვეყანაში ნათლადაა გამოხატული მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. საშუალო ასაკი 45,8 წელია (ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი). სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 82,4 წელია (მამაკაცებში - 79,7, ქალებში - 85,2, 2018 წ.).

იტალია ერთეროვანი ქვეყანაა. მოსახლეობის 94,1% იტალიელები არიან, რომლებიც სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ. სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან, მრავალრიცხოვანი არიან სარდინიელები - 2,6%, ფრუილები - 1,2%, ტირორელები - 0,7% (ლაპარაკობენ გერმანულ დიალექტზე), სლოვენები - 0,3% და სხვ.

რელიგიური კუთვნილების მიხედვით, მოსახლეობის 80% ქრისტიანია (უპირატესად კათოლიკე, მცირე რაოდენობით პროტესტანტი და იეღოვას მოწ-

მე), 1,6% - მუსულმანი, ხოლო დანარჩენი არ აღიარებს არც ერთ რელიგიას (2018 წ.).

იტალიისათვის ტრადიციულად დამახასიათებელია მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები. ჩამორჩენილი სამხრეთის რეგიონებიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის გადასვლა ცენტრალურ და ჩრდილოეთის ინდუსტრიულ რაიონებში. ეს პროცესი ბოლო წლებში გარკვეულწილად შემცირდა. იტალიას ასევე ჰყავს ემიგრანტების დიდი რაოდენობა. XIX საუკუნის ბოლოს უმუშევრობის შედეგად მოსახლეობა ინტენსიურად გადასახლდა აშშ-ში, კანადაში, არგენტინაში, ბრაზილიაში და სხვა ქვეყნებში. XIX - XX საუკუნეებში იტალიიდან გადასახლებული იქნა 20 მლნ-ზე მეტი ემიგრანტი. ბოლო წლებში შეინიშნება იმიგრაციული პროცესები აფრიკიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. 1990 წელს ქვეყანაში იყო 1,3 მლნ ემიგრანტი, ხოლო 2015 წელს - 2,8 მლნ. ქვეყანას გააჩნია მიგრაციის დადებითი სალდო, საშუალოდ ათას კაცზე - 3,7.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 25,9 მილიონია, ანუ მთელი მოსახლეობის 43,4% (განვითარებულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი). დასაქმებული მოსახლეობის 3,9% ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, 28,3% - მრეწველობაში და 67,8% - მომსახურების დარგებში. უმუშევრობის დონე 11,9%-ია (2018 წ.).

საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, სადაც საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 198 კაცია. მოსახლეობა არათანაბრადაა განლაგებული, დიდი ნაწილი ცხოვრობს ჩრდილოეთის ინდუსტრიულ ოლქებში. ლომბარდიასა და ლიგურიაში სიმჭიდროვე მერყეობს 450-1100 კაცის ფარგლებში. სუსტადაა დასახლებული ჩრდილო-აღმოსავლეთი პადანის დაბლობი, მთიანი რეგიონები და კუნძული სარდინია, სადაც საშუალო სიმჭიდროვე 45-75 კაცია.

იტალია ურბანიზაციის დონის მიხედვით ჩამორჩება მაღალგანვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, სადაც ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 70,4%. საქალაქო განსახლების ქსელის 1/3 ნაწილი განლაგებულია სანაპირო რაიონებში. ქალაქები ასევე არის სატრანსპორტო მაგისტრალების გვერდით და გადაკვეთაზე. საქალაქო აგლომერაციების ფორმირება, ძირითადად, დასრულდა XX საუკუნის მეორე ნახევარში. დიდი ქალაქები თანაბრადაა განლაგებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. უდიდესი ქალაქებია რომი (2,7 მლნ), მილანი (1,3 მლნ), ნეაპოლი (961 ათასი), ტურინი (872 ათასი), პალერმო (655 ათასი), გენუა (583 ათასი) და სხვ. უდიდესი აგლომერაციებია: რომი (4,2 მლნ), მილანი (3,2 მლნ.), ნეაპოლი (2,2 მლნ) და ტურინი (1,8 მლნ).

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

იტალია მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის ბოლოს, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევარში დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდა. 70-იან წლებში ეკონომიკის განვითარების ტემპით ჩამორჩებოდა მხოლოდ იაპონიას და ცალკეულ დარგებში გერმანიას. ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკა საშუალო დონით ვითარდებოდა. იტალია ,,ევროკავშირის" წევრი ქვეყანაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთან, აქტიურადაა ჩართული მსოფლიოს შრომის გეოგრაფიულ დანაწილებაში და კაპიტალის გარკვეული ნაწილი ჩადებული აქვს სხვა ქვეყნებში.

ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს ქმნის სახელმწიფო საკუთრება, რომელიც მსხვილი ჰოლდინგებით კონტროლდება და ექვემდებარება სახელმწიფო ორგანიზაციებს. მათ შორის ცნობილია სამრეწველო რეკონსტრუქციის ინსტიტუტი (სრი), რომელიც წარმოადგენს იტალიაში მსხვილ მონოპოლისტურ გაერთიანებას. სრი აკონტროლებს შავ მეტალურგიას, მანქანათმშენებლობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას და საფინანსო-საკრედიტო სფეროს. არანაკლებ მნიშვნელობა აქვს კერძო კაპიტალს, რომელიც წარმოდგენილია ორი უმსხვილესი მონოპოლიის - ,,ფიატის" და ,,მონტედისონის" სახით. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 2,32 ტრილიონი დოლარია (2017 წ.). წარმოებული პროდუქციის 2,1% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 23,9% - მრეწველობაზე და 74,0% - მომსახურების დარგებზე

მრეწველობა

იტალიის მრეწველობის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურება: 1. მძიმე ინდუსტრიის სიჭარბე, მაგრამ მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მისი ხვედრითი წილი დაბალია; 2. მანქანათმშენებლობის წამყვანი როლი; 3. ევროპის ,,საერთო ბაზრის" ქვეყნებთან შედარებით ქიმიური მრეწველობის დიდი როლი; 4. სამთომადნო მრეწველობის უმნიშვნელო მასშტაბები.

მრეწველობის განვითარებისათვის დამახასიათებელია ტერიტორიული კონცენტრაციის კონტრასტულობა, კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთში მრეწველობაში დასაქმებულია შრომითი რესურსების 40%-ზე მეტი, მაშინ როცა სამხრეთში ეს მაჩვენებელი 15%-ია. XX საუკუნის 60-70-იან წლებში განხორციელდა მრეწველობის ტერიტორიულ-სტრუქტურაში შემდეგი ძვრები: 1. მრეწველობის, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის დაჩქარებული ზრდა ,,სამრეწველო სამკუთხედის" (მილანი-ტურინი-გენუა) გასწვრივ და პირველ რიგში, სატრანსპორტო

მაგისტრალების გაყოლებით; 2. მსუბუქი მრეწველობის საწარმოების შექმნა ცენტრალური იტალიის მცირე და საშუალო ქალაქებში; 3. სანაპირო რაიონებში მრეწველობის ცენტრების დაჩქარებული განვითარება (ვენეცია, რავენა, ტარანტო, კალიარი და სხვ.) შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე, ნავთობქიმიური მრეწველობის უპირატესობით.

მრეწველობის სტრუქტურაში დომინირებს მანქანათმშენებლობა და მასზე მოდის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 23,5%. შედარებით კარგადაა განვითარებული ენერგეტიკა - 13,7%, კვების მრეწველობა - 13,6%, მსუბუქი - 12,7%, ქიმიური - 9,4% და სხვ.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით ერთ-ერთი შეზღუდული ქვეყანაა. საკუთარი რესურსები უზრუნველყოფს მოთხოვნილების მხოლოდ - 15%-ს. ბოლო წლებში ქვეყნის ენერგობალანსში ნავთობზე მოდის 59%, ბუნებრივ გაზზე - 23%, ნახშირზე - 6%, ჰიდროზე - 7% დანარჩენ სხვა წყაროებზე. ნავთობისა და გაზის რესურსები არის კუნძულ სიცილიასა და პადანის დაბლობზე. ნავთობის მოპოვება 4,5 მლნ ტონას შეადგენს (2017 წ), საშუალოდ იმპორტირდება 120 -125 მლნ ტონა (ძირითადად, საუდის არაბეთიდან, რუსეთიდან და ლიბიიდან). გააჩნია ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების ფართო ქსელი, რომელთა საერთო სიმძლავრე 210 მლნ ტონას აღემატება. გადამუშავებელი ნავთობის გარკვეული ნაწილი (35 -40 მლნ ტ) გადის ექსპორტში. საკუთარი გაზის მოპოვება შეადგენს 5,5 მლრდ $მ^3$, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილების მხოლოდ 8%-ს (2017 წ.). შეაქვს 69,7 მლრდ $მ^3$, დეფიციტი ძირითადად ივსება რუსეთიდან, ალჟირიდან და ნიდერლანდებიდან. ნახშირის მრეწველობა თითქმის არ არის განვითარებული, ხოლო საკოქსე ქვანახშირი მთლიანად იმპორტირდება. გამოირჩევა ლიგნიტების მოპოვებით (1,8 მლნ ტ).

ელექტროენერგიის წარმოება 275,5 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენს (2016 წ.), რომელიც შემცირების ტენდენციით ხასიათდება და აკმაყოფილებს მოთხოვნილების 92%-ს. გამომუშავებელი ელექტროენერგიის 54% მოდის თბოსადგურებზე, 14% - ჰიდროზე და დანარჩენი სხვა წყაროებზე (ატომური სადგურების ფუნქციონირება შეწყდა). მსხვილი თბოსადგურები განლაგებულია ჩრდილოდასავლეთში და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების ახლოს, ჰესები ძირითადად - ალპებში, ხოლო ცენტრალურ ნაწილში 1905 წელს ამოქმედდა მსოფლიოში პირველი გეოთერმული ელექტროსადგურები.

შავი მეტალურგიის სანედლეულო ბაზით ძალზე ღარიბია. დარგის განვითარება მთლიანად დამოკიდებულია იმპორტულ ნედლეულზე. შავი მეტალურგიის პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებს სახელმწიფო კომპანია ,,ფინსიდერი", რომელიც წარმოდგენილია ოთხი მსხვილი კომბინატით - გენუა, პომბინო,

ნეაპოლი და ტარანტო. მათ შორის უმსხვილესია ტარანტო, რომლის სიმძლავრე აღემატება 10 მლნ ტონას. იტალია ფოლადის წარმოებით ევროპაში რუსეთის, გერმანიის და დიდი ბრიტანეთის შემდეგ მეოთხე ადგილზეა (24,0 მლნ ტ, 2017 წ.). თუჯის წარმოება საშუალოდ 9,5 - 10 მლნ ტ-ის ფარგლებში მერყეობს. ექსპორტირდება ცივად ნაწრთობი ფურცლოვანი ფოლადი და ფოლადის მილები.

ფერადი მეტალურგიიდან მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ვერცხლისწყლის მრეწველობას. იტალია მსოფლიოში ვერცხლისწყლის წარმოებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა (საშუალოდ 830 ტ). მთავარი საწარმოა ტოსკანაში. მნიშვნელობით მეორე დარგი ალუმინის მრეწველობაა, რომელიც, ძირითადად, შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს. აწარმოებს საშუალოდ 240 ათას ტონა პირველად ალუმინს. საწარმოები კონცენტრირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთში, სადაც ჰიდროელექტროსადგურებია (პორტო-გერმე), აგრეთვე, ალუმინის წარმოებით გამოირჩევა კუნძული სარდინია. თუთიისა (210 ათასი ტ) და ტყვიის (120 ათასი ტ) მრეწველობა განვითარებულია კუნძულ სარდინიაზე პოლიტითონური საბადოების ახლოს. პოლიმეტალები (ტყვია-თუთია) აკმაყოფილებს მოთხოვნილების 1/3-2/3 ნაწილს.

მანქანათმშენებლობა მრეწველობის ძირითადი სპეციალიზაციის დარგია, სადაც დასაქმებულია 2,2 მლნ-ზე მეტი პერსონალი და იძლევა ქვეყნის ექპორტის 35%-ს. განვითარებულია თანამედროვე მანქანათმშენებლობის ყველა დარგი. დიდი ადგილი უჭირავს სატრანსპორტო მანქანათმშენებლობას, განსაკუთრებით, ავტომშენებლობას. 2016 წელს აწარმოა 1,1 მლნ ავტომობილი, მათ შორის 90%-მდე მსუბუქი. წამყვანია კერძო კონცერნი „ფიატი" - „FIAT" („ფაბრიკა იტალიური ავტომობილებისა ტურინში"- „Fabbrica Italiana Automobili Torino"), რომელიც, გარდა ავტომობილებისა, აწარმოებს ლოკომოტივებს, ვაგონებს, ტრაქტორებს, გემებს, თვითმფრინავის ძრავებს და სხვადასხვა მოწყობილობებს. კონცერნში დასაქმებულია ქვეყნის მასშტაბით ავტომშენებლობაში მომუშავეთა თითქმის 80%. შტაბბინა და მისი უმსხვილესი ქარხანა „მირაფორი" მდებარეობს ტურინში. სხვა საწარმოები განლაგებულია პიემონტსა და ლომბარდიაში, აგრეთვე, სამხრეთის სხვა ქალაქებში. ავტომშენებლობაში ცნობილია სახელმწიფო კომპანია „ალფა რომეო" - „Alfa Romeo" , რომლის მთავარი საწარმოა ნეაპოლთან ახლოს. სხვა ქარხნები არის მილანში, ბალცანოსა და მოდენაში. მსოფლიოში ცნობილი სპორტული მაქანების მწარმოებელია კომპანია „ფერარი" – „Ferrari", რომლის აწყობაც ხდება სოფელ მარალეროში.

გემთმშენებლობის მთავარი ცენტრებია მონფოლკონე, გენუა, ტრეისტი, სპეცია და სხვ. საშუალოდ აწარმოებს 230 - 235 ათას ბრუტ. რეგ. ტ გემებს. გემთმშენებლობა თანდათანობით კარგავს მსოფლიო მნიშვნელობას და ძირითადად

აწარმოებს კონტეინერმზიდებს. საავიაციო მანქანათმშენებლობის მთავარი ცენტრებია ტერნანა და ნეაპოლი. საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება მოტოციკლეტების, მოპედების, მოტოროლლებისა და ველოსიპედების წარმოებას.

მსოფლიო მნიშვნელობა აქვს საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობას, რომელიც აწარმოებს ფართო დანიშნულების საყოფაცხოვრებო მანქანებს. იტალიას ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს სარეცხი მანქანებისა (5,8 მლნ) და მაცივრების (4,1 მლნ) წარმოებით. მთავარი ცენტერებია მილანი, ვერაზე, კომო და სხვ.

იტალია გამოირჩევა სხვადასხვა ჩარხების (მსოფლიოში მე-5 ადგილი) წარმოებით და ექსპორტით. ელექტრონული მანქანათმშენებლობა ძირითადად კონცენტრირებულია ,,სამრეწველო სამკუთხედში", აგრეთვე, ცენტრალურ იტალიაში (ფლორენცია, როგო). საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგია საკონტროლო მანქანების წარმოება, ცნობილი კომპანია ,,ოლივეტი"-,,Olivetti", რომელიც განლაგებულია პიემონტიში (ივრეა და სხვ.). სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის პროდუქციის - ტრაქტორების ძირითადი მწარმოებელია კონცერნი ,,ფიატი". ქარხნები ძირითადად განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო რაიონებში - პადანის დაბლობზე, განსაკუთრებით, ემილია-რომანიაში და მილანთან ახლოს.

ქიმიური მრეწველობა ერთ-ერთი წამყვანი და ამავე დროს სწრაფად მზარდი დარგია. იგი გამოირჩევა კონცენტრაციის მაღალი დონით, რომელსაც აკონტროლებს კერძო კომპანია ,,მონტედისონი" და სახელმწიფო გაერთიანება ,,ენი". ქიმიური მრეწველობის სტრუქტურაში დომინირებს ,,ზემო სართულის" - სინთეზური ბოჭკოები (0,85 მლნ ტ), სინთეზური კაუჩუკი (0,45 მლნ ტ), პლასტმასები (3,7 მლნ ტ), მედიკამენტები და სხვ. არანაკლებ მნიშვნელობა აქვს ნავთობქიმიას და მინერალური სასუქების (1,9 მლნ ტ) წარმოებას.

ქიმიური პროდუქციის წარმოება მეტ-ნაკლებად უკავშირდება ტერიტორიულ ორგანიზაციას. ჩრდილო-დასავლეთი დასპეციალიზებულია ვიწრო ქიმიაზე (მსხვილი ცენტრებია - მილანი, ტურინი, გენუა, ნოვარა და სხვ.). ჩრდილო-აღმოსავლეთი გამოირჩევა ნავთობქიმიის, სინთეზური კაუჩუკის, მინერალური სასუქების (ძირითადი ცენტრებია - ვენეცია, პორტო-ვერმე, როვენა) წარმოებით. ცენტრი სპეციალიზირდება არაორგანულ ქიმიაზე (როზნინიანო, ფოლონიკა, პომბინო, ტერნი და სხვ.). სამხრეთ იტალიაში ძირითადად იწარმოება ორგანული სინთეზის პროდუქცია და მინერალური სასუქები (ძირითადი ცენტრებია - ბრინდიზი, პრიოლო, აუგუსტე და სხვ.).

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც ძირითადად იმპორტულ ნედლეულზეა დამოკიდებული. განვითარებულია თანამედროვე ხე-ტყის მრეწველობის ყველა დარგი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს

მერქნის მექანიკურ დამუშავებას, მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია ავეჯის წარმოებას, ქაღალდის და მუყაოს წარმოებას - 9,5 მლნ ტ (2008 წ.). ხე-ტყის მრეწველობის ძირითადი რეგიონებია ჩრდილოეთი და კუნძული სიცილია.

იტალია უზრუნველყოფილია სამშნებლო მინერალური რესურსებით, რაც ფართო შესაძლებლობას იძლევა მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოებისათვის. ცემენტის წარმოებით ევროპაში, რუსეთისა და გერმანიის შემდეგ, მესამე ადგილზეა (32 მლნ ტ 2012 წ.). საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს მინისა და ფაიფურის მრეწველობას, რომლის უძველესი ცენტრია ვენეცია. მინის მხატვრული დამუშავებით გამოირჩევა კუნძული მურანო. აწარმოებს მაღალი ხარისხის ბროლს, ოპტიკურ, ლაბორატორიულ და სხვადასხვა დანიშნულების მქონე მინის პროდუქტს. იტალია აღიარებულია თეთრი მარმარილოს მოპოვებით, დამუშავებითა და ექსპორტით. აწარმოებს მაღალი ხარისხის თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციებს და სხვა ფართო დანიშნულების სამშენებლო პროდუქციას.

მსუბუქი მრეწველობის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საფეიქრო მრეწველობას, რომელსაც გააჩნია საექსპორტო მნიშვნელობა. დარგი ნაწილობრივ უზრუნველყოფილია საკუთარი სანედლეულო ბაზით. მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია შალეულის მრეწველობას, რომლის წარმოებითაც მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა (490 მლნ $მ^2$). მსოფლიოს პირველ ათულში შედის ბამბეულისა (0,7 მლრდ $მ^2$) და აბრეშუმის (540 მლნ $მ^2$) ქსოვილების წარმოებით. საფეიქრო მრეწველობის ძირითადი რეგიონია ჩრდილო-დასავლეთი ლომბარდია (მილანი, კოგო, ვერაზე, ბერგამი) და პიემონტი (ტურინი, ნოვარა). ცენტრალურ იტალიაში შალის ქსოვილების წარმოების მსხვილი ცენტრია ტოსკანაში - ქ. პრატო.

მსოფლიო მნიშვნელობის დარგია ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. ფეხსაცმლის წარმოებით მსოფლიოში მე-7 ადგილზეა (225,2 მლნ წყვილი, 2016 წ., როცა 2000 წ. იყო 450 მლნ), მსოფლიოში უმსხვილესი ცენტრია ჩრდილო-დასავლეთში ქ. ვიდჟევანო. საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი სამკერვალო მრეწველობაა, ხოლო პროდუქციის ექსპორტით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. შესაბამისადაა განვითარებული მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებიც.

კვების მრეწველობა მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი სპეციალიზაციის დარგია, რომელიც პროდუქციის მოცულობით ჩამორჩება მანქანათმშენებლობასა და ენერგეტიკას. იგი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი სანედლეულო ბაზით. ცალკეულ დარგს გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობა. იტალია ღვინის წარმოებით საფრანგეთის შემდეგ მეორე ადგილზეა (52 მლნ ჰექტოლიტრი 2006 წ.).

საეთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია პურბურღულეულის (მაკარონის წარმოებითა და ესქპორტით), ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, უალკოჰოლო სასმელების, ნაყინისა (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით პირველ ადგილზეა) და ზეთის (ზეითუნის) წარმოებას. მეტ-ნაკლებადაა განვითარებული კვების მრეწველობის სხვა დარგები.

სოფლის მეურნეობის გეოგრაფია

იტალიის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას ბევრად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე გერმანიაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში, მაგრამ მისი ხვედრითი წილი მთლიან პროდუქციაში 2,1%-ს არ აღემატება. იტალია მიწის რესურსებით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 14,2 მლნ ჰა, ანუ მთელი ტერიტორიის - 47,1%; მათ შორის სახნავია 6,9 მლნ ჰა, ანუ 22,8%. სოფლის მეურნეობა გამოირჩევა ინტენსიური განვითარების მაღალი დონით. თანდათანობით შეინიშნება წვრილი ფერმერების შემცირების ტენდენციები. ფერმერთა 70%-მდე ფლობს 5 ჰა-მდე მიწას, ხოლო მიწათმფლობელთა 20% - 50 ჰა-ზე მეტს. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის 63%.

მემცენარეობის მთავარი და ამავე დროს, საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი მებოსტნეობაა, რომელსაც უჭირავს 420 ათასი ჰა. საშუალოდ მოჰყავთ 13,6 მლნ ტ ბოსტნეული, მათ შორის 4,9 მლნ ტ პამიდორია (ევროპაში პირველი ადგილი). ბოსტნეულის დიდი ნაწილი კონსერვირდება და ექსპორტირდება. მებოსტნეობის ძირითადი რაიონია ემილია-რომანია, კამპანია და აპულია. მნიშვნელობით მეორე დარგი მარცვლეულის მეურნეობაა. საშუალო წარმოება აღემატება 20,5 მლნ ტონას, მათ შორის ხორბალზე მოდის 8,0 მლნ ტ (2016 წ.), სიმინდზე - 7,9 მლნ ტ (2013 წ.), ქერზე - 1,7 მლნ ტ, ბრინჯზე - 1,5 მლნ ტ (ევროპაში პირველი ადგილი, 2009 წ.) და სხვ. ხორბლის წარმოების 2/3 ნაწილი მოდის სამხრეთზე. აქ მოჰყავთ მაგარი ჯიშის ხორბალი - განსაკუთრებული მაკარონის (სპაგეტის) დასამზადებლად. სიმინდი ძირითადად იწარმოება ლომბარდიასა და ვენეციაში, ხოლო ბრინჯი სარწყავ მიწებზე - პიემონტესა და ლომბარდიაში.

მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მევენახეობას, რომელიც უძველესი და მაღალგანვითარებადი დარგია. ვენახების საერთო ფართობი 798 ათასი ჰექტარია (ესპანეთისა და საფრანგეთის შემდეგ მესამე ადგილი), ხოლო ყურძნის საერთო წარმოება 10,5 მლნ ტონას აღემატება. ყურძენი თითქმის ყველა ოლქში მოჰყავთ, განსაკუთრებით აპულიაში (20%), ვენეტოში, ემილია-რომანიაში, ლაციოსა და კუნძულ სიცილიაზე.

იტალიას უწოდებენ ,,ევროპის პირველ ბაღს". აქ წამყვანი დარგი მეხილეობაა, რომლის წარმოების საშუალებასაც იძლევა მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური რესურსები. საშუალოდ მოჰყავთ 18,5 მლნ ტ ხეხილი, მათ შორის 3,4 მლნ ტ ციტრუსია (მოჰყავთ ნარინჯისფერი ბერგამოტი, რომლისგანაც ამზადებენ ძვირფას ესენციას). ზეთისხილის წარმოებით ჩამორჩება მხოლოდ ესპანეთს. მებაღეობის მთავარი რაიონია ემილია-რომანია, კამპანია და ვენეტო. სუბტროპიკული ხილი მოჰყავთ სამხრეთში, განსაკუთრებით კუნძულ სიცილიაზე.

ტექნიკური კულტურებიდან მთავარია შაქრის ჭარხალი (5,3 მლნ ტ). წარმოების დიდი ნაწილი მოდის პადანის დაბლობზე. დასავლეთ ევროპაში პირველ ადგილზეა თამბაქოს წარმოებით (აპულია და კომპანია). სხვა ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ მზესუმზირა, ეთერზეთოვნები და სხვ.

მეცხოველეობის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება (1960 წ. - 35%, 2000 წ. - 36%, 2017 წ. - 37%). წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (5,9 მლნ. სული, მათ შორის 3,2 მლნ ფურია). ჭარბობს სარძევე-სახორცე მიმართულების მესაქონლეობა, რომელიც ძირითადად მოშენებული ჰყავთ ჩრდილოეთში, სადაც ალპური მდელოებია. მეცხვარეობის როლი თანდათანობით მცირდება (7,5 მლნ, სული). მთავარი რაიონებია კუნძული სარდინია და ალპები. მეღორეობა (8,6 მლნ სული, 2017 წ.) განვითარებულია შაქრის ჭარხლის წარმოების რაიონებში, სადაც ბევრი ნარჩენებია. მარცვლეულის წარმოების რაიონებში და დიდი ქალაქების ახლოს განვითარებულია მეფრინველეობა (118 მლნ ფრთა). მისდევენ ცხენის, ფუტკრის, თუთის აბრეშუმხვევიას და სხვა ცხოველების მოშენებას. სუსტადაა განვითარებული თევზჭერა, რადგან ტერიტორიული წყლები ღარიბია თევზით. საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებს 2,7 მლნ ტ ხორცს, 9,3 მლნ ტ რძეს და 0,8 მლრდ ცალ კვერცხს.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

იტალიაში ტრანსპორტის განვითარებას განაპირობებს ერთ-ერთი საუკეთესო სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, საწარმოო ძალების განვითარების დონე და ტერიტორიული ორგანიზაცია, ქვეყნის არაკომპაქტური განლაგება, მდებარეობა ხმელეთშუა ზღვის აუზის ცენტრალურ ნაწილში და სხვ. ტრანსპორტის ძირითადი სახე საავტომობილოა, რომელზეც მოდის მგზავრთბრუნვის თითქმის 90% და ტვირთბრუნვის 24%. საავტომობილო გზების სიგრძე 487 ათასი კმ-ია (2007 წ.), მათ შორის მყარსაფარიანია 95%-ზე მეტი. საავტომობილო გზების საკმაოდ დიდი ნაწილი წარმოდგენილია ჩქაროსნული გზებით (იტალიაზე მოდის ევროპის ჩქაროსნული გზების 1/4 ნაწილი). პირველი ჩქაროსნული გზა მილანი-ვარაზე აშენდა 1925 წელს. მნიშვნელოვანი მაგისტრალია ე.წ.

,,მზის გზატკეცილი" - ტურინი-მილანი-რომი-ნეაპოლი-რეჯო დი კალაბრია. ქვეყნის ავტოპარკი აერთიანებს 37,4 მლნ ავტომობილს, ხოლო ყოველ ათას კაცზე მოდის 662 ავტომობილი მოდის (მე-10 ადგილი, 2016 წ.).

სარკინიგზო ტრანსპორტის როლი თანდათანობით მცირდება. საერთო სიგრძე 20233 კმ-ია, ხოლო ელექტრიფიცირებული გზების ხვედრითი წილით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა (63,4%). სარკინიგზო ტრანსპორტზე დაბალია, როგორც ტვირთბრუნვა, ისე მგზავრთბრუნვა, რომელიც კიდევ უფრო მცირდება.

ნავთობისა და გაზის რესურსების სიმცირის გამო, მილსადენი ტრანსპორ-ტი შედარებით სუსტადაა განვითარებული. ნავთობსადენების საერთო სიგრძე 2967 კმ-ია, ხოლო გაზსადენებისა - 20233 კმ (2007 წ.). ნავთობსადენები მიემარ-თება პორტებიდან მთავარ სამრეწველო რაიონებში. გაზსადენებიდან საერთა-შორისო მნიშვნელობა აქვს რუსეთიდან შემოსულ მაგისტრალს, რომელიც გენუიდან, ვენეციიდან და ტრეისტიდან მიემართება გერმანიაში, შვეიცარიასა და ავსტრიაში. ალჟირიდან ტუნისის გავლით ხმელთაშუა ზღვის ფსკერით (საერთო სიგრძე 2500 კმ. მნიშვნელოვანი ნაწილი გადის ხმელთაშუა ზღვაში 500-600 მ-ის სიღრმეზე) შემოდის ბუნებრივი გაზი ბალკანომდე.

იტალია საზღვაო ქვეყანაა. საერთო ტვირთბრუნვის 71% და საგარეო გა-დაზიდვების 90% მოდის საზღვაოზე. საზღვაო ფლოტი აერთიანებს 1423 გემს, რომელთა საერთო ტვირთტევადობა 5,4 მლნ ბრუტ. რეგ. ტ (2013 წ.). ქვეყანაში 144 ნავსადგურია, რომლებიც საშუალოდ ყოველწლიურად გადაამუშავებენ 430 მლნ ტ ტვირთს. მსხვილი პორტებია: ტრეისტი (56,6 მლნ ტ), გენუა (49,5 მლნ ტ), დჟოია-ტაური (34,5 მლნ ტ), ტარანტო (31 მლნ ტ), ვენეცია (26 მლნ ტ), ნეაპოლი (22 მლნ ტ) და სხვ.

საჰაერო ტრანსპორტზე მგზავრთბრუნვა თანდათანობით იზრდება. ქვეყა-ნაში 98 აეროპორტია, მათ შორის უმსხვილესია რომის ლეონარდო და ვინჩის სახელობის ,,ფიუმიჩინოს" (28 მლნ), მილანის, ნეაპოლის, ტურინის, ვენეციის და სხვ.

სუსტადაა განვითარებული სამდინარო ტრანსპორტი. სამდინარო გზების საერთო სიგრძე 2400 კმ-ია. მთავარი სანაოსნო მდინარეა პო. საკმაოდ კარგადაა განვითარებული ელექტროტრანსპორტი. რეკრეაციულ რაიონებში მრავლადაა საბაგირო ხაზები.

ტურიზმი

იტალია ევროპაში, ტურიზმის განვითარების მიხედვით, მესამე ქვეყანაა, სადაც ყოველწლიურად შედის 57-58 მილიონამდე ტურისტი. ტურიზმი ქვეყნის

ეკონომიკაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს, ხოლო შემოსავლები 48 მლრდ აშშ დოლარს აღემატება. ქვეყანა მრავალფეროვანია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით. აღსანიშნავია ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები, ზღვის სანაპირო, უძველესი არქიტექტურული (კოლიზეუმი) და თანამედროვე (პიზის კოშკი) ძეგლები, კულტურა (მილანის ლასკალას თეატრი), ადგილობრივი ტრადიციები და სხვ. პრიორიტეტი ენიჭება შემეცნებით ტურიზმს, აგრეთვე, განვითარებულია საზღვაო, სამთო, კულტურული და სხვ. ტურიზმის უმსხვილესი ცენტრებია: რომი, მილანი, ვენეცია, ნეაპოლი და სხვ.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

იტალიის საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია და მოცულობა საკმაოდ ფართოა. ვაჭრობს მსოფლიოს ყველა რეგიონის მნიშვნელოვან ქვეყნებთან. ვაჭრობის საერთო მოცულობა შეადგენს 826,1 მლრდ დოლარს (2017 წ.). ექსპორტზე მოდის 496,3 მლრდ დოლარი, ხოლო იმპორტზე 389,8 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის დადებითი სალდო 106,5 მლრდ დოლარი (ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი). ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის ავტომობილებზე, საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელზე, ქიმიურ პროდუქციაზე, სამკერვალო პროდუქციაზე, ფეხსაცმელზე, ღვინოზე, ხეხილზე, კონსერვებზე, ბოსტნეულზე და სხვ. ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებია: გერმანია - 12,5%, საფრანგეთი - 10,3%, აშშ - 9 %, ესპანეთი - 5,2%, დიდი ბრიტანეთი - 5,2%, შვეიცარია - 4,6% და სხვ. ძირითადად იმპორტირდება ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, ქიმიკატები, ელექტრონული მოწყობილობები და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: გერმანია - 16,3%, საფრანგეთი - 8,8%, ჩინეთი - 7,1%, ნიდერლანდები - 5,6%, ესპანეთი - 5,3%, ბელგია - 4,5% და სხვ. საგარეო ეკონომიკური კავშირების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი. ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობასა და საწარმოო თანამშრომლობაში.

შიდარეგიონალური სხვაობები

იტალიაში ისტორიულად ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ეკონომიკური რაიონი: ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთი.

1. ჩრდილოეთი ძირითადი ეკონომიკური რაიონია, რომელსაც უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 39,8% და ცხოვრობს მოსახლეობის 48,8%. რაიონი ინდუსტრიულ-აგრარულია მძიმე მრეწველობის წამყვანი როლით. მრეწველობის დარგებიდან მთავარია მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, შავი მეტალურგია და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა. აქ ,,სამრეწველო სამკუთხედს" ქმნის მილანი-

ტურინი-გენუა. სოფლის მეურნეობის დარგებიდან სპეციალიზირდება მებოსტნეობაზე, შაქრის ჭარხალზე, ბრინჯზე, სარძევე-სახორცე მესაქონლეობაზე და სხვ. კარგადაა განვითარებული საზღვაო ტრანსპორტი და საკურორტო-ტურისტული მეურნეობა. მთავარი ცენტრებია მილანი, ტურინი და გენუა.

2. ცენტრალური რაიონი მეორე ეკონომიკური რაიონია. უკავია ტერიტორიის 19,4% და ცხოვრობს მოსახლეობის 20,1%. მრეწველობიდან წამყვანია მანქანათმშენებლობა, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან სპეციალიზირდება მარცვლეულის წარმოებაზე. განვითარებულია საკურორტო-ტურისტული მეურნეობა. მთავარი ცენტრი რომია, რომელსაც მრავალმხრივი ფუქციები გააჩნია.

3. სამხრეთის რაიონი ისტორიულად აგრარული რეგიონია. უჭირავს ტერიტორიის 40,8%, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის 31,1%. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია მეხილეობა, მარცვლეულის მეურნეობა და მეცხვარეობა. მრეწველობიდან აღსანიშნავია სამთომოპოვებითი, ფერადი მეტალურგია და კვების მრეწველობა. მთავარი ცენტრებია ნეაპოლი, პალერმო და ბარი.

2.1.6. უკრაინა

ფართობი - 603 700 კმ²
მოსახლეობა - 41,5 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - კიევი

ზოგადი ცნობები

ეტიმოლოგიურად „უკრაინა“ სლავურად სასაზღვრო რეგიონს ნიშნავს, ამავე დროს, სიტყვა „კრაინა“ უკრაინულში აღნიშნავს „ქვეყანას“. უკრაინა ევროპაში, ტერიტორიის მიხედვით, რუსეთის შემდეგ მეორე ქვეყანაა, რომელსაც მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით დიდი პოტენციალი გააჩნია. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილება ერთ სულ მოსახლეზე 8237 დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,751-ს (88-ე ადგილი, 2017 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 24 ოლქად და ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად. ქვეყნის დევიზია: ,,უკრაინის დიდება არ განადგურებულა“. სახელმწიფო ენა - უკრაინული, ფულის ერთეული - გრივნა.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

უკრაინა მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპაში, გააჩნია საკმაოდ კარგი გეოგრაფიული მდებარეობა. კერძოდ, აქვს გასასვლელი შავ და აზოვის ზღვებ-ზე. ქვეყანაზე გადის ტრანსევროპული სახმელეთო და საჰაერო სატრანსპორტო კომუნიკაციები, აგრეთვე, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაედინება მდინარე დუნაის ქვემო წელის დელტის ერთ-ერთი ტოტი (კილიის გირლო), რითაც ევროპის ქვეყნებთან საწყლო გზებით ამყარებს ეკონომიკურ კავშირებს. გააჩნია კარგი მეზობლური და გეოპოლიტიკური მდებარეობა. საზღვრების საერთო სიგრძე 7445 კმ-ია, მათ შორის სახმელეთო - 4663 კმ-ია, ხოლო საზღვაო - 2782 კმ. ჩრდილოეთით ესაზღვრება ბელარუსი (891 კმ), სამხრეთ-დასავლეთით მოლდოვა (939 კმ), აღმოსავლეთით რუსეთი (1576 კმ), დასავლეთით პოლონეთი (526 კმ), რუმინეთი (531 კმ), სლოვაკეთი (97 კმ), უნგრეთი (103 კმ). უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 21.

ნახ. 21. უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018.www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

უკრაინის რელიეფი, ძირითადად, ერთგვაროვანია. ტერიტორიის 95% დაბ-ლობებს, გორაკ-ბორცვებსა და მაღლობებს უჭირავს. მთიან რელიეფს მხოლოდ 5% უკავია, რომელიც წარმოდგენილია აღმოსავლეთ კარპატების (ტყიანი კარ-პატები, სადაც მდებარეობს ქვეყნის უმაღლესი წერტილი მთა გოვერლო -2061 მ.)

და სამხრეთით ყირიმის მთებით (რომან - კოში, 1545 მ). დაბლობებიდან აღსანიშნავია დნეპრისპირა, შავიზღვისპირა და პოლესიე. უკრაინის რელიეფი მოსახლეობის განსახლებისა და საწარმოო ძალების განლაგებაში მცირე გამონაკლისისა (პოლესიეს დაბლობის რელიეფი ჭაობების წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს) თითქმის არავითარ პრობლემებს არ ქმნის.

მინერალური რესურსებით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა. სათბობი რესურსებიდან მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ქვანახშირს, რომლის ძირითადი აუზია დონბასი (ფართობი 50 ათასი კმ², მარაგი 56 მლრ ტ), სადაც მარაგის 50% მაღალი ხარისხის საკოსე და ანტრაციტია. მეორე აუზი ლვოვ-ვოლონია (ფართობი 8 ათასი კმ², მარაგი 970 მლნ ტონა). მურა ნახშირის უმსხვილესი საბადოები დნეპრისპირა აუზშია, რომლის მარაგი 2,4 მლრდ ტონაა. ნავთობგაზშემცველი ტერიტორიები დნეპრ-დონეცკის განლაგებულია მდინარე დნეპრის მარცხენა სანაპიროზე, სამხრეთ-დასავლეთში - კარპატისპირეთში, ხოლო სამხრეთში - შავიზღვისპირეთსა და ყირიმში. ნავთობის საბადოებიდან აღსანიშნავია მირგოროდი, დოლინა და ბორისლავი. ბუნებრივი გაზის საბადოებიდან ცნობილია შებელინკა, დაშავა და პირიატინი. ნავთობისა და გაზის სამრეწველო მარაგი უმნიშვნელოა.

უკრაინა მსოფლიოში გამოირჩევა შავი მეტალურგიის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულის უნიკალური ბაზით, სადაც ლოკალურ ტერიტორიაზე არის ყველა მნიშვნელოვანი რესურსი. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს რკინის მადანს. უმსხვილესი აუზია კრივოი-როგი (ფართობი 300 კმ², მარაგი 18 მლრდ ტონა, ჭარბობს მდიდარი ქანები, სადაც რკინის შემცველობა 51 - 66%-ია), რომელშიც შედის კრემენჩუკის (მარაგი 4,5 მლრდ ტ) და ბელოზერსკის (მდიდარი 60-65%-იანი ქანების მარაგი 210 მლნ ტ) საბადოები. რკინის მადნის მესამე მნიშვნელოვანი საბადოა ყირიმში (მარაგი 1,5 მლრდ ტ, რკინის შემცველობა 40%). მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი მარგანეცის საბადო მდებარეობს ნიკოპოლში (მადანში მარგანეცის შემცველობა მერყეობს 8-33%-ის ფარგლებში).

დომბასში მოიპოვება ვერცხლისწყალი. არის მცირე რაოდენობით ბოქსიტები და ნეფელინები. დნეპრისპირეთში არის ნიკელის, ხოლო კარპატებში პოლიმეტალების შემცველი ქანები, მაგრამ სამრეწველო მარაგი უმნიშვნელოა. ევროპაში გამოირჩევა ქვამარილის მარაგით, რომელის დიდი ნაწილი დომბასში (არტემოვსკი და სლავიანსკი, მარაგი 9 მლრდ ტ.), აგრეთვე, კარპატებშია (სოლოტვინი). არამადნეული წიაღისეულიდან რეგიონალური მნიშვნელობა კალიუმის მარილების მარაგს გააჩნია, მნიშვნელოვანი საბადოა კალუშა. ქვეყანა საკმაოდ მდიდარია მინერალური სამშენებლო ნედლეულით (ცარცის დიდი

მარაგი - დონბასშია) და მინერალური წყლებით (კარპატებში, კიევის, ვინიცის, დონეცკის ოლქებში).

უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი განლაგებულია ზომიერ სარტყელში, სადაც ზომიერად კონტინენტალური, ხოლო უკიდურეს სამხრეთში სუბტროპიკული ჰავაა. საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ჩრდილოეთით +5,5 °C, ხოლო სამხრეთში + 10 -11°C, იანვარში აბსოლუტური მინიმუმები ჩრდილოეთში - 17-20°C - მდე ეცემა, ხოლო ივლისში აბსოლუტური მაქსიმუმები ყირიმში + 30°C აჭარბებს. ნალექების რაოდენობა საშუალოდ 400 - 1200 მმ-ია. მინიმუმები მოდის ყირიმში, ხოლო მაქსიმუმები კარპატებში. უკრაინის კლიმატური რესურსები განსახლების, სოფლის მეურნეობის და ტურისტული მეურნეობის განვითარების საშუალებას იძლევა.

ტყის რესურსებით შეზღუდული ქვეყანაა, სადაც ტყეს უჭირავს ტერიტორიის 14%. ტყიანობის მაღალი კოეფიციენტი კარპატებშია (რეგიონი ტყიანი კარპატების სახელწოდებითაა ცნობილი), ხოლო დაბალი - პოლესიეში. ტყის ბოტანიკური შემადგენლობიდან ჩრდილოეთში ჭარბობს წიწვოვნები, ხოლო სხვა რეგიონებში - ფართოფოთლოვნები.

წყლის რესურსებით საკმაოდ მდიდარია. მდინარეთა უპირატესად დიდი ნაწილი შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება. ძირითად ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარეები დნეპრი (2200 კმ) და დნესტრი (1350 კმ). მდინარეთა დიდი ნაწილი სანაოსნოდ არის გამოსადეგი, განსაკუთრებით დნეპრი. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი არც ისე დიდია, ამ კუთხით უფრო მეტად მოიყენება დნეპრი, რომელზეც აგებულია რამდენიმე წყალსაცავი (კიევის, კანევის, კრემენჩუკის, კახოვსკის) და ჰესი.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

უკრაინის ტერიტორიაზე IX საუკუნეში შეიქმნა ძლევამოსილი სლავური სახელმწიფო ,,კიევის რუსეთი", რომლის დედაქალაქი იყო კიევი. IX საუკუნეში დღევანდელი უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი დასახლებული იყო რუსი ხალხით. მათ შექმნეს კიევის რუსეთის სახელმწიფო, რომელიც უკრაინის ტერიტორიის გარდა აერთიანებდა დღევანდელ ბელარუსსა და რუსეთის ევროპულ ნაწილს. X-XI საუკუნეებში კიევის რუსეთი გადაიქცა ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ, ხოლო მისი დედაქალაქი კიევი რუსების უმნიშვნელოვანეს ქალაქად. შემდგომ საუკუნეებში კი დაიწყო რუსული და უკრაინული თვითშეგნების ჩამოყალიბება. კიევის რუსეთის დიდგვაროვნებმა სკანდინავიიდან მოიწვიეს ვარიაგები, რომლებმაც სათავე დაუდეს კიევის რუსეთის პირველ სამეფო საგვარეულოს - რიურიკების დინასტიას. ვლადიმირ დიდის (980–1015)

ზეობის დროს დაიწყო კიევის სამთავროს ოქროს ხანა. ვლადიმირმა გააქრისტიანა რუსეთი, მისმა შვილმა იაროსლავ ბრძენმა (1019–1054) კი ხელი შეუწყო კიევის რუსეთის კულტურულ და ეკონომიკურ აღმასვლას. კიევის რუსეთი უკანასკნელ ძალებს იკრებს ვლადიმირ მონომახისა (1113–1125) და მისი შვილის მსტისლავის (1125–1132) დროს. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ კი კიევის რუსეთი საბოლოოდ დაიშალა სხვადასხვა სლავურ სამთავროებად. 1240 წელს კიევი ააოხრეს მონღოლებმა. საბოლოოდ კიევის რუსეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა გალიჩისა და ვლადიმირ-ვოლინის სამთავროები, რომლებიც შემდეგ გაერთიანდნენ გალიჩ-ვოლინის სამთავროდ.

XIII საუკუნეში ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მიტაცებულ იქნა მეზობელი ქვეყნების მიერ. 1654 წელს იგი შეუერთდა რუსეთს და იყო რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვანი რეგიონი. რევოლუციის შემდეგ ღებულობს ფორმალურ დამოუკიდებლობას, 1922 წელს შედის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. უკრაინა 1991 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2014 წლის მარტში რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით ყირიმის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და ქალაქმა სევასტოპოლმა, უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, გამართა რეფერენდუმი ყირიმის სტატუსის შესახებ. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით ყირიმმა უკრაინისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შემდეგ ეტაპზე ყირიმმა მიიღო გადაწყვეტილება რუსეთთან მიერთების შესახებ ფედერაციის სუბიექტის სტატუსით. 2014 წლის აპრილში აღმოსავლეთ უკრაინაში შეიქმნა დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები. აღნიშნული ტერიტორიები საერთაშორისო სამართლის მიხედვით დეიურედ არაღიარებულია და უკრაინის შემადგენლობაში ითვლება.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

უკრაინა რესპუბლიკაა, შერეული - ნახევრად საპრეზიდენტო და ნახევრად საპარლამენტო მმართველობით, სადაც ძალაუფლება გადანაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ ხუთი წლის ვადით. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოა 459-ადგილიანი უკრაინის პარლამენტი - ,,ვერხოვნა რადა“ (Верховна Рада України). პარლამენტი პასუხისმგებელია მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც მართავს პრემიერმინისტრი. საპარლამენტო დადგენილებებსა და კანონებს ამტკიცებს პრეზიდენტი, ხოლო ყირიმის პარლამენტის დადგენილებები შეუძლია გააუქმოს უზენაესმა სასამართლომ, თუკი რომელიმე დადგენილება შეეწინააღმდეგება უკრაინის კონსტიტუციას. უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგა-

ნო უკრაინაში. ადგილობრივი საკრებულოები და ქალაქის თავები აირჩევიან პირდაპირი არჩევნებით, ხოლო რწმუნებულებს რეგიონებში ნიშნავს უკრაინის პრეზიდენტი.

უკრაინა გაერთიანებულია მსოფლიოს თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 1945 წ., ევროპის საბჭოს წევრი -1995 წ., დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი იყო 1991 -2014 წლებში და სხვ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, ფედერაციული (არა კლასიკური) რესპუბლიკაა. იყოფა: 1 ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკად, 24 ოლქად (კიევი, ჟიტომირი, ვინიცა, როვნო, ვოლინი, ლვოვი, ლუცკი, ივანო-ფრანკოვსკი, ჩერნოვიცი, ხმელნიცკი, ტერნოპოლი, ჩერნიგოვი, სუმი, ჩერკასი, კრემენჩუკი, ხარკოვი, პოლტავა, დნეპროპეტროვსკი, კიროვოგრადი, ლუგანსკი, დონეცკი, ოდესა, ხერსონი, ზაპოროჟიე) და 2 სპეციალური სტატუსის ქალაქად (კიევი, სევასტოპოლი). კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უკრაინას ოთხ რეგიონად ყოფენ: დნეპრისპირეთი (ცენტრი), დონბასი (აღმოსავლეთი), ნოვოროსია (შავიზღვისპირეთი და ყირიმი) და გალიცია (დასავლეთი).

მოსახლეობა

უკრაინაში 1989 წელს მოსახლეობის რიცხოვნობამ ისტორიულ მაქსიმუმს 51,7 მლნ კაცს მიაღწია. დამოუკიდებლობის პერიოდში მისი მოსახლეობა თან-დათანობით მცირდება და 2020 წლისათვის 41,5 მლნ კაცი ცხოვრობდა. მოსახ-ლეობის შემცირება განაპირობა გარემიგრაციულმა პროცესებმა და დაბალმა ბუნებრივმა მატებამ. წარსულში ქვეყნის მოსახლეობის დინამიკაზე უარყოფითი გავლენა მეორე მსოფლიო ომმა იქონია და ამ პერიოდში 5 მლნ-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მოსახლეობის რაოდენობა ომამდელ დონეს 60-იანი წლების დასაწყისში მიაღწია და 90-იან წლებამდე თანდათანობით იზრდებოდა. ბოლო წლებში შეინიშნება მოსახლეობის აღწარმოების დონის დაცემა (შობადობა 10,1, სიკვდილიანობა 14,3 - ყოველ 1000 კაცზე, 2017 წ.) და ადგილი აქვს დეპოპულა-ციას.

დარღვეულია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. მამაკაცე-ბი შეადგენენ მთელი მოსახლეობის 46,5%, ხოლო ქალები - 53,5%. 0-14 ასაკობ-რივი ჯგუფის მოსახლეობა 16,0%-ია, 15-64 ასაკის - 67,5%, 65 წლის და მეტი 16,5% (2018 წ.). ქვეყანაში შეინიშნება მოსახლეობის დაბერების ტენდენციები.

უკრაინა მრავალეროვანი ქვეყანაა, აქ 80-ზე მეტი ერისა და ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ მოსახლეობის 77,8% უკრაინელებია, სხვა ეთნოსიდან აღსანიშნავია რუსები - 17,3%, ბელარუსები - 0,6%, მოლდოველები - 0,6%, ყი-

რიმელი თათრები - 0,5% და სხვ. უკრაინელები უფრო მეტად ქვეყნის დასავლეთით, ხოლო რუსები აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში (დონეცკის ოლქში - 93%, ლუგანსკის ოლქში - 89%, ოდესის ოლქში - 85%, ზაპოროჟიეს ოლქში - 81%) ცხოვრობენ. უკრაინულ ენას მშობლიურ ენად აღიარებს მოსახლეობის 69%, რუსულს - 27% და სხვა ენებს - 4%.

მოსახლეობის დიდი ნაწილი - 74%-ზე მეტი მართმადიდებელია, 8% კათოლიკეა (ძირითადად, დასავლეთის რეგიონებში), ცხოვრობენ მუსლიმები, ათეისტები და სხვა რელიგიის აღმსარებლები.

უკრაინაში საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის მიგრაციული პროცესები ძირითადად რესპუბლიკის და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში ხდებოდა. შიდამიგრაციული პროცესების ძირითად მიმართულებას სოფლიდან - ქალაქებში და პატარა ქალაქებიდან - დიდ ქალაქებში წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის პერიოდში ადგილი აქვს როგორც ემიგრაციას, ისე იმიგრაციას, მაგრამ ქვეყანას გააჩნია მიგრაციის უარყოფითი სალდო.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 17,9 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის 40,0% (2018 წ.). დასაქმებული მოსახლეობა მეურნეობის დარგების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: სოფლის მეურნეობაში - 5,8%, მრეწველობაში - 26,5% და მომსახურების დარგებში - 67,7%. უმუშევრობის დონე 9%-ია (2018 წ.).

მოსახლეობა საკმაოდ თანაბრადაა განლაგებული. საშუალო სიმჭიდროვე 74 კაცია 1 კმ²-ზე. სიმჭიდროვე მაღალია დონეცკ-დნეპრისპირეთში - 108 კაცამდე, ხოლო დაბალია სამხრეთის ოლქებში - 55 კაცი.

ქვეყნის განსახლების კარკასს ქმნის 459 ქალაქი, 885 ქალაქის ტიპის დასახლება (დაბა) და 28450 სასოფლო დასახლება. ურბანიზაციის დონე 69,4% - ია. ურბანიზაციის დონე მაღალია დონეცკ-დნეპრისპირეთში (დონეცკის ოლქში 90%-ზე მეტი), ხოლო დაბალია დასავლეთის ოლქებში. აგლომერაციების ჩამოყალიბების პროცესი გასული საუკუნის 80-იან წლებში ფაქტობრივად დასრულდა. ერთადერთი მეგაპოლისი ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო დონბასი, დონეცკ-მაკეევკის მეგაპოლისის სახით. ქვეყანაში ბოლო პერიოდამდე იყო 5 ქალაქი ,,მილიონერი", ამჟამად მხოლოდ 3 ქალაქში აღემატება მოსახლეობა მილიონს, კერძოდ კიევი - 2,99 მლნ, ხარკოვი -1,44 მლნ და ოდესა - 1,01 მლნ. დიდი ქალაქებია: დნეპროპეტროვსკი - 969 ათასი, დონეცკი - 818 ათასი, ზაპოროჟიე - 790,1 ათასი, ლვოვი - 729,5 ათასი, ნიკოლაევი - 505 ათასი და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

უკრაინის თანამედროვე მეურნეობა საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა, რომელიც დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის თავისებურებებით ხასიათდება. მძიმე ინდუსტრია განვითარებულია დონეცკ-დნეპრისპირეთის ეკონომიკურ რაიონში, ხოლო სოფლის მეურნეობა დასავლეთის ოლქებში. დამოუკიდებელ უკრაინაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან და ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლასთან დაკავშირებით, მეურნეობაში სერიოზული პრობლემები გაჩნდა. მეურნეობის თითქმის ყველა დარგში გამოიკვეთა პროდუქციის წარმოების მაჩვენებლების შემცირების ტენდენციები. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობამ 2017 წელს 368,2 მლრდ დოლარი შეადგინა. წარმოებული პროდუქციდან სოფლის მეურნეობაზე მოდის 12,2%, მრეწველობაზე - 28,6% და მომსახურე დარგებზე - 59,2%.

მრეწველობა

უკრაინის მრეწველობის სტრუქტურაში წამყვანი როლი მძიმე ინდუსტრიას უჭირავს და მასზე მოდის სამრეწველო პროდუქციის 3/4 ნაწილი. წამყვანია ენერგეტიკა, რომელიც ნაწილობრივ საკუთარ სანედლეულო ბაზას იყენებს, შესაბამისად, გააჩნია უარყოფითი სათბობ-ენერგერგეტიკული ბალანსი, რომლის შევსებაც, ძირითადად, რუსეთიდან ხდება. ნახშირის მრეწველობა გარკვეულწილად კრიზისს განიცდის, რადგან შახტური წესით ქვანახშირის მოპოვების თვითღირებულება მაღალია. 1990 წელს მოიპოვებდა 164,8 მლნ ტ, ხოლო 2014 წ. - 81,9 მლნ ტ (56,9 მლნ ტ ენერგეტიკული, 25,0 საკოქსე). მოპოვების 90% - დონბასის, ხოლო 10% ლვოვ-ვოლინის აუზებზე მოდის. კიდევ უფრო მცირდება მურა ნახშირის მოპოვების მაჩვენებლები. საკუთარი ნავთობის მოპოვება 2017 წელს შეადგენდა 2,3 მლნ ტ (იმპორტირდება 17-18 მლნ ტ), ხოლო გაზი -20,1 მლრდ $მ^3$ (იმპორტირდება 13,1 მლრდ $მ^3$) ნავთობის მოპოვება ხდება მირგოროდის, დოლინას და ბორისლავის, ხოლო გაზის - ძირითადად, დაშავის საბადოებში.

საკმაოდ კარგადაა განვითარებული ელექტროენერგეტიკა, თუმცა წარმოების მაჩვენებლები წინა წლებთან შედარებით (1988 წ. 282 მლრდ კვტ/სთ) თანდათანობით მცირდება (153,2 მლრდ კვტ/სთ, 2017 წ.). წარმოებული ელექტროენერგიის 53,3% ატომურ სადგურებზე მოდის. ფუნქციონირებს 4 ატომური სადგური (ზაპოროჟიეს, როვნოს, ხმელნიცკის, სამხრეთ უკრაინული. 1986 წელს ჩერნობილის ატომურ სადგურში მოხდა ავარია და დღესაც ქალაქი ეკოლოგიურ კატასტროფულ ზონად არის გამოცხადებული) 15 ბლოკით, რომელთა საერთო სიმძლავრე 13,1 მლნ კვტ-ია (მათ შორის ევროპაში უდიდესი ზაპოროჟიეს - 6,0 მლნ კვტ). თბოელექტროსადგურებიდან უმსხვილესია უგლოგორსკი - 3,6 მლნ

კვტ., კრივოი-როგი - 3 მლნ კვტ., სტარობეშევსკის - 2,0 მლნ კვტ., ლუგანსკის - 1,5 მლნ კვტ. და სხვ. მსხვილი ჰესებია მდინარე დნეპრზე, სადაც რამოდენიმე კასკადია, მათ შორის უმსხვილესია დნეპრჰესი - 2,5 მლნ კვტ. ბოლო წლებში აშენდა მზის 7 (საერთო სიმძლავრე 257,6 ათასი კვტ.) და ქარის 4 (საერთო სიმძლავრე 346,3 ათასი კვტ.) ელექტროსადგური. ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება 133,4 მლრდ კვტ/სთ-ია, ხოლო ექსპორტში გადის 3,5 მლრდ კვტ/სთ (2017 წ.).

მრეწველობის ერთ-ერთი სპეციალიზაციის დარგია შავი მეტალურგია, რომელიც საკუთარ სანედლეულო ბაზას ეფუძნება. საბჭოთა პერიოდში იყო 120-მდე შავი მეტალურგიის საწარმო, რომლებიც სამ რაიონშია განლაგებული: დონბასში, დნეპრისპირეთში და აზოვისპირეთში. საწარმოთა 70% სრულციკლიანი კომბინატებია. უმსხვილესი კომბინატებია: კრივოი-როგის, დონეცკის, მაკეევკის, დნეპროპეტროვსკის, მარიუპოლის და სხვ. შავი მეტალურგიის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები თითქმის ორჯერ შემცირდა, აწარმოებს 24 მილიონ ტ ფოლადს, 14 მლნ ტ თუჯს და 10,5 მილიონ ტ ნაგლინს (2016 წ.)

ფერადი მეტალურგია, რესურსების მცირე რაოდენობის გამო, შედარებით სუსტადაა განვითარებული. ადგილობრივი რესურსების ბაზაზე კონსტანტინოვკაში ფუნქციონირებს ვერცხლისწყლის წარმოება. შემოტანილ ნედლეულზე თუთიის წარმოება ხდება კონსტანტინოვკაში, ხოლო ალუმინის - ზაპოროჟიეში.

მანქანათმშენებლობა ბოლო პერიოდამდე საკმაოდ კარგად იყო განვითარებული, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პერიოდში სერიოზული პრობლებები შეიქმნა. მანქანათმშენებლობის განვითარებისათვის არსებობს მდიდარი სანედლეულო ბაზა და საკმაოდ კვალიფიციური მუშახელი. მანქანათმშენებლობის დარგებიდან რაოდენობრივი მაჩვენებლებით სჭარბობს ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობა, სადაც 60-ზე მეტი ქარხანაა, მაგრამ დარგის განვითარებაში დიდი პრობლემებია. მთავარი ცენტრებია: კიევი, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, დონეცკი და სხვ. მძიმე მანქანათმშენებლობა თავმოყრილია შავი მეტალურგიის წარმოების რაონებში. მეტალურგიული მოწყობილობების წარმოება განვითარებულია კრამატორგში, დნეპროპეტროვსკსა და მარიუპოლში. მოპოვებითი მრეწველობის მანქანა-მოწყობილობები იწარმოება დონეცკში, კრივოი-როგში, გორლოვკაში და სხვ. საავტომობილო მანქანათმშენებლობა განვითარებულია ზაპოროჟიეში, კრემენჩუკში, ლვოვში და ლუცკში. გემთმშენებლობა - ნიკოლაევში, ხერსონში და ოდესაში. სამდინარო გემებს უშვებს კიევი. საავიაციო მანქანათმშენებლობის ძირითადი ცენტრები ხარკოვი და კიევია. სასოფლო - სამეურნეო მანქანებიდან, ტრაქტორები იწარმოება ხარკოვში და კიროვოგრადში, ხორბლის ასაღები კომბაინები - კიროვოგრადში, შაქრის ასაღები კომბაინები

ვინიცაში, სიმინდის ასაღები კომბაინები ხერსონში და სხვ. მანქანათმშენებლობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია ჩარხმშენებლობა, საყოფაცხოვრებო და ხელსაწყოთმშენებლობა. ბოლო პერიოდში შიდა ბაზრისთვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების წარმოების მიზნით ათვისებული იქნა ახალი ტექნოლოგიები.

ქიმიური მრეწველობა მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელიც უფრო მეტად საკუთარ სანედლეულო ბაზაზეა განვითარებული. წარმოდგენილია თანამედროვე ქიმიის თითქმის ყველა დარგი. სამთო ქიმია განვითარებულია ქვანახშირის, ქვამარილის, კალიუმის მარილების და გოგირდის ბაზაზე. ძირითადი ქიმიის მთავარი დარგი მინერალური სასუქების წარმოებაა. საშუალოდ აწარმოებს 7,6 მლნ ტ ყველა სახის სასუქს. კოქსის ბაზაზე აზოტოვანი სასუქები იწარმოება გორლოვკასა და დნეპროძერჟინსკში, ხოლო ბუნებრივ გაზზე - სევეროდონეცკში. კალიუმის სასუქების წარმოება განვითარებულია კარპატისპირეთში კალუშის ნედლეულზე, კალუშასა და სტებნიკში. ფოსფოროვანი სასუქების საწარმოები, როგორც შემოტანილ, ისე ადგილობრივ რესურსებზე, ფუნქციონირებს ოდესაში, კონსტანტინოვკაში, ვინიცასა და სუმში. გოგირდმჟავას ქარხნებია: კონსტანტინოვკაში, ოდესაში, ვინიცასა და სუმში. დონბასის ქვამარილზე ლისიჩინკსა და სლავიანში განვითარებულია სოდის მრეწველობა.

ნავთობგაზქიმიის და ნახშირქიმიის ბაზაზე სინთეზური ფისების და პლასმასების წარმოება ხდება ოდესაში, გორლოვკაში, სევეროდონეცკში, ჩერკასკსა და სხვ. ქიმიური ბოჭკო იწარმოება კიევში, ჩერკასკში, ჩერნიგოვში, ჟიტომირსა და სოკოლში. ნავთობქიმია სხვადასხვა რეზინოტექნიკური პროდუქციის წარმოებით განვითარებულია დნეპროპეტროვსკსა და ბელაია ცერკოვში. ნავთობქიმია ნავთობგადამუშავების საწარმოების სახით წარმოდგენილია: კრემენჩუკში, ხერსონში, დოლინასა და ნადვორნაიაში. საკმაოდ კარგადაა განვითარებული საყოფაცხოვრებო ქიმია ლაქ-საღებავების სპეციალიზაციით. ბოლო დროს ინტენსიურად ვითარდება ფარმაკოქიმია (კომპანიები „დარნიცა“ და „ლეკუიმი“), რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია.

ხე-ტყის მრწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც საკუთარ ბაზარს ემსახურება. მერქნის გარკვეული ნაწილი იმპორტის გზით შედის. მერქნის მექანიკური დამუშავების საწარმოები ავეჯის სპეციალიზაციით ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონშია განვითარებული. ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა განვითარებულია პოლესიესა და კარპატებში (ხე-ტყისქიმიის კომბინატებია - სბალიავსკში, პერეჩინსკსი, ველიკობიჩოვსკში).

საშენ მასალათა მრეწველობა საკმაოდ კარგად არის განვითარებული. მოიპოვებს თითქმის ყველა სახის მინერალურ საშენ მასალებს. პრიორიტეტი ენიჭე-

ბა ცემენტის მრეწველობას, რომლის საწარმოები ძირითადად ემთხვევა შავი მეტალურგიის რაიონებს.

საფეიქრო მრეწველობა უძველესი დარგია, რომელიც თანამედროვე მეურნეობაში კვლავაც ინარჩუნებს წამყვან მიმართულებას, მაგრამ ბოლო პერიოდში მისი წარმოების მაჩვენებლები თითქმის 15-20%-ით შემცირდა. მსუბუქი მრეწველობა ეფუძნება როგორც ადგილობრივ, ისე შემოტანილ ნედლეულს. წამყვანი დარგი საფეიქრო მრეწველობაა, რომელთა შორის აღსანიშნავია ბამბეულის (ხერსონი, კიევი, ტერნოპოლი, დონეცკი), შალეულის (ლუგანსკი, ოდესა, დუნაევცი, ჩერნიგოვი), აბრეშუმის (კიევი, ჩერკასკი) და სელის (ჟიტომირი, როვნო). მნიშვნელობით მეორე დარგი სამკერვალო მრეწველობაა, რომლის საწარმოები თითქმის ყველა მსხვილ ქალაქშია წარმოდგენილი. ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის ცენტრებია: კიევი, ლუგანსკი, ხარკოვი, ოდესა, ლვოვი და ბერდიჩევი. ტყავი და ბეწვეული იწარმოება ხერსონში, ოდესაში, ჟიტომირსა და ჟმერინკში. საფეიქრო პროდუქციის წარმოება სინთეზურ და ქიმიურ ბოჭკოების ბაზაზე უფრო მეტად დონეცკ-დნეპრისპირეთის რაიონშია განვითარებული. ტრიკოტაჟის მრეწველობა ძირითადად სპეციალიზირდება თეთრეულის და წინდების წარმოებაზე (ხარკოვი, ჟიტომირი, ლვოვი, ოდესა, დონეცკი, ჩერნოვცი და სხვ.).

კვების მრეწველობა უზრუნველყოფილია საკუთარი სანედლეულო ბაზით. საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს შაქრის მრეწველობას. საბჭოთა პერიოდში 180-მდე შაქრის ქარხანა იყო და წარმოებით მსოფლიოს ათეულში შედიოდა (6,1 მლნ ტ). ბოლო წლებში შაქრის წარმოება 1,6 მლნ ტ-მდე შემცირდა. შაქრის მრეწველობა დასავლეთის ოლქებშია განვითარებული, განსაკუთრებით ვინიცის ოლქში, ხოლო ვინიცა ,,შაქრის დედაქალაქად" იწოდება. საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება პურ-ბურღულეულის, ზეთის (მზესუმზირის ზეთის ექსპორტით მსოფლიოში მესამე ადგილზეა), ხორცის, რძის და საკონდიტრო მრეწველობას. საკმაოდ კარგადაა განვითარებული საკონსერვო, ღვინის, ლუდის და სხვა დარგები. კვების მრეწველობა მეტნაკლებად ყველა რეგიონშია განვითარებული, განსაკუთრებით, ვინიცის, ხმელნიცკის, ჩერნიგორის ოლქებსა და ყირიმში.

სოფლის მეურნეობა

უკრაინა ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყანაა, რომელიც უზრუნველყოფილია მიწის და მრავალფეროვანი აგროკლიმატური რესურსებით. სასოფლო სამეურნეო მიწებს უჭირავს ტერიტორიის 71,2% (სახნავი - 56,1%, მრავალწლოვანი ნარგავები - 1,5%, საძოვრები -13,6%), ანუ 42,9 მლნ ჰა. სოფლის მეურნეობის ორგანიზაციულ ფორმებს წარმოადგენს

სახელმწიფო, კოლექტიური, ფერმერული და ინდივიდუალური მეურნეობები. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 5,8% და იძლევა მშპ-ის 12,2%-ს. წამყვანი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 65%. მემცენარეობიდან მთავარია მარცვლეულის მეურნეობა და მას უჭირავს 17 მლნ ჰა-ზე მეტი, ანუ სახნავი მიწების თითქმის 70,8%. მარცვლეულის საერთო წარმოება შეადგენს 62,3 მლნ ტ (2017 წ.). მთავარი კულტურა ხორბალია (26,1 მლნ ტ), რომელიც ძირითადად იწარმოება სტეპის და ტყესტეპის შავმიწა ნიადაგიან რაიონში. სხვა კულტურებიდან მოჰყავთ ქერი, შვრია, ფეტვი, სიმინდი, ჭვავი, წიწიბურა და სამხრეთში სარწყავ მიწებზე ბრინჯი.

ტექნიკური კულტურებიდან წამყვანია შაქრის ჭარხლის მოყვანა, რომლის ნათესებს უჭირავს 1,6 მლნ ჰა (მოჰყავთ 14,5 მლნ ტ, 2017 წ.) ფაბრიკული შაქრის ჭარხალი (1990 წ. 44,2 მლნ ტ მსოფლიოში პირველი ადგილი), წარმოების დიდი ნაწილი მოდის დასავლეთის ოლქებზე, განსაკუთრებით ვინიცის ოლქზე. მეორე ტექნიკური კულტურაა მზესუმზირა (11,2 მლნ ტ 2017 წ., 2,5 მლნ ტ 1990 წ.), რომელიც სამხრეთ ოლქებში იწარმოება. ჩრდილო დასავლეთში - პოლესიეში მოჰყავთ სელი და კანაფი, სამხრეთის ოლქებში - ეთერზეთები და სამკურნალო მცენარეები. მემინდვრეობის სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცხოველეობისათვის საჭირო საკვებ კულტურებს.

საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი მებოსტნეობაა, რომელიც ყველგანაა განვითარებული. მოჰყავთ სამოცზე მეტი სახეობის ბოსტნეული (9,3 მლნ ტ, 2017 წ.), ძირითადად კომბოსტო, სტაფილო, კიტრი, პამიდორი, ხახვი და სხვ. კარტოფილის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია (22 მლნ ტ 2017 წ.). მეხილეობის წამყვანი დარგი კონტინენტური მეხილეობაა, რომელიც ქვეყნის ყველა რეგიონშია განვითარებული. ბაღჩეული კულტურები მოჰყავთ ყირიმში. მევენახეობა განვითარებულია კარპატებსა და ყირიმში.

უკრაინაში მეცხოველეობის განვითარებას გარკვეულწილად აფერხებს ბუნებრივი საძოვრების სიღარიბე, მაგრამ საკვები კულტურების ბაზაზე მისი დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა საკმაოდ ფართოა. წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (5,7 მლნ, მათ შორის ფური 3,2 მლნ სული 2008 წ.; 1988 წ. 26,7 მლნ სული). უპირატესობა ენიჭება სარძევე-სახორცე მიმართულებას, რომელიც თითქმის ყველგანაა განვითარებული. მეორე დარგი მეღორეობაა (7,3 მლნ სული, 2008 წ.), რომელიც მეტ-ნაკლებად ყველგანაა განვითარებული, განსაკუთრებით, ტყესტეპებსა და სტეპებში). ცხვრისა და თხის სულადობა (1,7 მლნ სული, 2008 წ.) წინა წლებთან შედარებით 5-ჯერ შემცირდა (კარპატები, პოლესიე, ყირიმი). აშენებენ ფრინველს (168,3 მლნ ფრთა) ცხენს,

ფუტკარს, თევზს და სხვ. 2017 წელს წარმოებული იყო ხორცი - 3,2 მლნ ტ, რძე - 10,3 მლნ ტ, კვერცხი - 17,6 მლრდ ცალი, მატყლი - 4,5 ათასი ტ და მეცხოველეობის სხვა პროდუქცია.

უკრაინაში აგროსამრეწველო კომპლექსის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის შემცირების მიუხედავად, სასურსათო საქონლით უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნებს, ხოლო პროდუქციის გარკვეული ნაწილი ექსპორტში გადის.

ტრანსპორტი

უკრაინა სატრანსპორტო კომუნიკაციებით ერთ-ერთი უზრუნველყოფილი ქვეყანაა. ტრანსპორტის განვითარებაზე გავლენას ახდენს მოხერხებული სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფის ვაკე ხასიათი, ქვეყნის ფარგლებში მოსახლეობის თანაბარი განლაგება, საწარმოო ძალების განვითარების დონე და სხვა ფაქტორები. გააჩნია პირდაპირი გასასვლელი შავ და აზოვის ზღვებზე, ქვეყანაზე გადის ტრანსევროპული სახმელეთო და საჰაერო კომუნიკაციები. ფუნქციონირებს თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე.

ტრანსპორტის ერთ-ერთი ძველი და მნიშვნელოვანი სახე სარკინიგზოა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე საკმაოდ კარგად იყო განვითარებული. სარკინიგზო გზების საერთო სიგრძე 21,7 ათასი კმ-ია, მათ შორის ელექტრიფიცირებულია 10,6 ათასი კმ (2017 წ.). სარკინიგზო ტრანსპორტზე ტვირთბრუნვის (44%) და მგზავრთბრუნვის (31%) მაჩვენებლები თანდათანობით მცირდება. მნიშვნელოვანი კვანძებია კიევი, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, ტერნოპოლი და სხვ. განედობრივი ხაზებიდან აღსანიშნავია: ხარკოვი -კიევი - ტერნოპოლი - ლვოვი; დონეცკი - დნეპროპეტროვსკი -კიროვოგრადი -ვინიცა და სხვ. მერიდიანული ხაზებიდან მნიშვნელოვანია: ხარკოვი - დონეცკი - მარიუპოლი; კიევი - ვინიცა - ოდესა; კრემენჩუკი - კიროვოი როგი - ხერსონი და სხვ. სარკინიგზო ტრანსპორტზე ძირითადი ტვირთებია რკინის მადანი, ქვანახშირი, ხორბალი, ბოსტნეული და სხვ.

საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 169,7 ათასი კმ-ია, აქედან მყარსაფარიანი 166,7 ათასი კმ. საავტომობილო ტრანსპორტზე როგორც ტვირთბრუნვა (14%), ისე მგზავრთბრუნვა (52%) თანდათანობით იზრდება. მნიშვნელოვანი მაგისტრალებია: ხარკოვი - კიევი - ლვოვი; ხარკოვი - დონეცკი - მარიუპოლი; კიევი - ჩერკასი - კრემენჩუკი - კრივოი როგი - ხერსონი; კიევი - ჩერკასი - ოდესა და სხვ. ქვეყნის ავტოპარკი აერთიანებს 9,1 მლნ ავტომანქანას, ხოლო ყოველ ათას კაცზე 202 ავტომობილი მოდის (69-ე ადგილი, 2016 წ.).

მილსადენი გზების საერთო სიგრძე 40,1 ათასი კმ-ია, მათ შორის გაზსადენები 36,7 ათასი კმ, ხოლო ნავთობსადენები 4,4 ათასი კმ. მილსადენზე მოდის ტვირთბრუნვის 5,5%. საერთაშორისო მნიშვნელობის გაზსადენი შედის რუსეთიდან (ურენგოი-უჟგოროდი - დასავლეთი ევროპა) და კარპატებიდან (უჟგოროდი) გადის დასავლეთ ევროპის მიმართულებით. შიდა გაზსადენიდან აღსანიშნავია დაშავა - კიევი. ადგილობრივი მნიშვნელობის ნავთობსადენია მირგოროდი - სუმი და დროგობიჩი - როვნო.

სამდინარო ნაოსნობა ხორციელდება დნეპრზე, დნესტრზე, დუნაიზე და სამხრეთ ბუგზე. სამდინარო გზების საერთო სიგრძე 1672 კმ-ია. სამდინარო გადაზიდვებზე მოდის საერთო მგზავრთბრუნვის 0,3%, ხოლო ტვირთბრუნვის 1,2%, მათ შორის უპირატესად დიდი ნაწილი დნეპრზე ხორციელდება. მთავარი ნავსადგურებია: კიევი, კრემენჩუკი, დნეპროპეტროვსკი და ზაპოროჟიე.

უკრაინა საზღვაო ქვეყანაა, რომლის საზღვაო ფლოტი აერთიანებს 134 გემს (3 ბალკერი, 5 ნავთობტანკერი, 98 მშრალი ტვირთმზიდი და სხვ.), რომელთა საერთო ტონაჟი 1,1 მლნ ბრუტ. რეგ. ტ (2010 წ). 172 გემი რეგისტრირებულია განვითარებადი ქვეყნების „გამოსადეგი დროშის“ ქვეშ. საზღვაო ტარნსპორტზე ტვირთბრუნვა 35%-ია, ხოლო მგზავრთბრუნვა - 0,7%. მნიშვნელოვანი პორტებია: სამხრეთის - 39,2 მლნ ტ, ოდესის - 25,3 მლნ ტ, ნიკოლაევი - 22,5 მლნ ტ, ჩერნომორსკი -15,9 მლნ ტ, მარიუპოლი - 7,0 მლნ ტ (2016 წ.) და სხვ.

საჰაერო ტრანსპორტის როლი საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ზრდასთან ერთად თანდათანობით მაღლდება. საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილი იქნა 4,6 მლნ მგზავრი, ხოლო მგზავრთბრუნვამ 9% შეადგინა (2015 წ.). მნიშვნელოვანი აეროპორტებია: კიევის („ბორისპოლი“, „ჟულნი“), ხარკოვის, სიმფეროპოლის, ლვოვის და სხვ.

ელექტროტრანსპორტის როლი, განსაკუთრებით, მაღალია სამრეწველო და რეკრეაციულ რაიონებში. მგზავრთბრუნვის მიხედვით, გამორჩეულია კიევის (365,6 მლნ) და ხარკოვის (269 მლნ) მეტროპოლიტენები.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

გარდამავალ პერიოდში უკრაინის მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნების და პროდუქციის შემცირების პირობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფიაში. ბოლო წლებში ქვეყანაში უცხოური კაპიტალის დაბანდების საფუძველზე ფუნქციონირებს 1500-ზე მეტი ერთობლივი კომპანია, რომლის საშუალებითაც იქმნება კონკურენტუნარიანი პროდუქცია. შეაბამისად, ფართოვდება ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია, რომელიც 100-ზე მეტ ქვეყანასთან არის დაკავშირებული. ვაჭ-

რობა წარმოადგენს ეკონომიკური კავშირების ძირითად ფორმას, რომლის მოცულობა 88,7 მლრდ დოლარს შეადგენს (ექსპორტი 39,6 მლრდ, იმპორტი 49,1 მლრდ) და გააჩნია ვაჭრობის უარყოფითი სალდო - 9,4 მლრდ დოლარი (2017 წ.). ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი - 9,2%, პოლონეთი -6,2%, თურქეთი - 5,5%, იტალია - 5,2%, ჩინეთი - 4,6%, გერმანია - 4,1% და სხვ. ძირითადი იმპორტიორებია: რუსეთი -14,5%, ჩინეთი - 11,3%, გერმანია - 11,2%, პოლონეთი - 7,0%, ბელარუსი - 6,7%, აშშ - 5,1% და სხვ. ექსპორტში გადის - შავი მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის ნაწარმი, სოდა, კალიუმის სასუქები, შაქარი, ზეთი, მარცვლეული, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქცია და სხვა. იმპორტირდება - ნავთობი, გაზი, მანქანა-მოწყობილობები, ფერადი ლითონი, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია, ხეხილი, ბამბა და სხვ. უკრაინა მეტ-ნაკლებად ჩართულია საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო, საერთაშორისო საწარმოო თანამშრომლობაში, საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობაში, საერთაშორისო ტურიზმში და სხვა ეკონომიკურ კავშირების ფორმებში.

შიდარეგიონალური სხვაობები

უკრაინა მეურნეობის განვითარების დონის და დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით სამ ეკონომიკურ რაიონად იყოფა (იხ. ნახ. 22).

ნახ. 22. უკრაინის ეკონომიკური რაიონები

წყარო: https://tr.pinterest.com/pin/496944140124191935/

1. დონეცკ-დნეპრისპირეთი. ფართობი - 220 900 კმ², მოსახლეობა - 20,5 მლნ. კაცი (2018 წ.). შედის ლუგანსკის, დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ზაპოროჟიეს, კოროვოგრადის, პოლტავის და ხარკოვის ოლქები. რაიონის ძირითად რესურსს შავი მეტალურგიის სანედლეულო ბაზა, ვერცხლისწყალი და ქვამარილი წარმოადგენს. ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 46,5%, სადაც უფრო მეტად რუსულენოვანი მოსახლეობაა. მაღალია სიმჭიდროვე და ურბანიზაციის დონე. მრეწველობიდან სპეციალიზირდება მძიმე ინდუსტრიაზე (ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა), ხოლო სოფლის მეურნეობიდან მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და ბოსტნეულის მოყვანაზე. მთავარი ქალაქებია: ხარკოვი (1,44 მლნ), დნეპროპეტროვსკი (969 ათასი), დონეცკი (818 ათასი), ზაპოროჟიე (790,1 ათასი), მარიოპოლი (471,1 ათასი) და სხვ.

2. სამხრეთ-დასავლეთი. ფართობი - 269 500 კმ², მოსახლეობა 19,1 მლნ კაცი (2018 წ.). შედის კიევის, ვინიცის, ჟიტომირის, კარპატისპირეთის, ლვოვის ივა-ნო-ფრანკოს, როვნოს, ტერნოპოლის, ხმელნიცკის, ჩერკასის, ჩერნოგორიის და ჩერნოვიცის ოლქები. მინერალური რესურსებიდან მოიპოვება კალიუმის მარი-ლები, ქვანახშირი, ნავთობი, გაზი და სხვ. შედარებით მდიდარია ტყის და წყლის რესურსებით. მრეწველობის მთავარი სპეციალიზაციის დარგებია - მანქანათმშენებლობა (ჩარხმშენებლობა, ელექტროტექნიკური, სატრანსპორტო, ხელსაწყოთმშენებლობა), ელექტროენერგეტიკა, მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობიდან აქ იწარმოება მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების (შაქრის ჭარხალი), ყურძნის და ხეხილის დიდი ნაწილი. განვითარებულია მეცხოვე-ლეობის ყველა დარგი. მთავარი ქალაქებია: კიევი (2,99 მლნ), ლვოვი (729,5 ათასი), ვინიცა (342,4 ათასი), ხმელნიცკი (268,9 ათასი), როვნო (246,4 ათასი) და სხვ.

3. სამხრეთ რაიონი. ფართობი - 113 000 კმ², მოსახლეობა 4,6 მლნ კაცი (2018 წ.). აერთიანებს ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკას, ოდესის, ნიკოლაევის და ხერსონოს ოლქებს. გააჩნია გამოსადეგი გეოგრაფიული მდებარეობა. გამოირჩევა ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით. მრეწველობიდან წამყვანია მანქანათმშენებლობა და კვების. სოფლის მეურნეობიდან კარგადაა განვითარებული მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. მეცხოველეობიდან წამყვანია მეცხვარეობა. მთავარი ქალაქებია ოდესა (1,01 მლნ), ნიკოლაევი (505,9 ათასი), ხერსონი (296,2 ათასი) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.1.7. აზერბაიჯანი

ფართობი - 88 , 6 ათასი კმ²
მოსახლეობა - 10,1 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - ბაქო

ზოგადი ცნობები

აზერბაიჯანი კავკასიაში, როგორც ტერიტორიის, ისე მოსახლეობის რიცხოვნობით, ყველაზე დიდი ქვეყანააა. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილება ერთ სულ მოსახლეზე 17050 დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი 0,751-ს (78-ე ადგილი, 2014 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა ერთ ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკად, ერთ ყარაბაღის ავტონომიურ ოლქად, 13 ოლქად და 38 ადმინისტრაციულ რაიონად. ქვეყნის დევიზია: ,,ცეცხლის ქვეყანა“ - ,,Odlar Yurdu”. სახელმწიფო ენაა აზერბაიჯანული, ფულის ერთეული - მანათი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

აზერბაიჯანი მდებარეობს კავკასიაში, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. გააჩნია კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; აქვს გასასვლელი ჩაკეტილ კასპიის ზღვა-ტბის აუზზე, ქვეყანაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციები, საბორნე გადასასვლელით უკავშირდება თურქმენეთს და ჩართულია ევრაზიის საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში. სახმელეთო საზღვრების საერთო სიგრძე 2657 კმ-ია. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთი (390 კმ.), სამხრეთით - ირანი (765 კმ.), აღმოსავლეთით -კასპიის ზღვა, ჩრდილო - დასავლეთით - საქართველო (480 კმ), დასავლეთით - სომხეთი (1007 კმ) და თურქეთი (15 კმ). აზერბაიჯანის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 23.

ნახ. 23. აზერბაიჯანის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018.www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

აზერბაიჯანის რელიეფი მრავალფეროვანია, სადაც ტერიტორიის ნახევარზე მეტი ვაკე-დაბლობებს უჭირავს, რომელთა შორის მთავარია მტკვარ - არაქსის დაბლობი (მის შემადგენლობაშია შირვანის, მილის, ყარაბახის, მუღანისა და სალიანის ვაკეები). სამხრეთით კასპიის ზღვის სანაპიროზე მთების გაყოლებით ლერქორანის დაბლობია გადაჭიმული. მთიანი რეგიონები ჩრდილოეთით წარმოდგენილია კავკასიის (უმაღლესი წერტილი ბაზარდუზუ 4466 მ), ხოლო სამხრეთით თალიშის მთები. ნახიჩევანი და მთიანი ყარაბახი უფრო მეტად ვაკეებითა და მთიანი რელიეფით ხასიათდება. აზერბაიჯანის რელიეფი კავკასიის ქვეყნებს შორის განსახლებისა და სამეურნეო საქმიანობის კუთხით უფრო გამოსადეგია.

მინერალური რესურსებით საკმაოდ მდიდარია. ნავთობ-გაზშემცველ ტერიტორიებს უჭირავს ქვეყნის საერთო ფართობის 1/3 ნაწილი. მსოფლიო მნიშნელობა აქვს ნავთობის რესურსს, რომლის საერთო მარაგი შეფასებულია 500-600 მლნ ტ-ით. ნავთობის მარაგის დიდი ნაწილი აფშერონის ნახევარკუნძულზე და კასპიის ზღვის შელფზე (ნეფტიანი კამენი), აგრეთვე, მტკვარ-არაქსის დაბლობზეა განლაგებული. გამოირჩევა გაზის რესურსებით, რომელიც ნავთობის რაიონებშია განლაგებული, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საბადოა ყარადაგი. მოიპოვება ქვანახშირი, მაგრამ მარაგი უმნიშვნელოა. მადნეული წიაღისეულიდან კავკასიაში გამოირჩევა რკინის მადნით (დაშქესანი) და ალუმინის ნედლეულით ალუნიტებით (ზაგლიკი). მოლიბდენი და ქრომიტები მოიპოვება ნახიჩევანის რესპუბლიკაში. ქვამარილის დიდი მარაგი არის ნახიჩევანში. ნეფტეჩალისა და აფშერონის ნაბურღი წყალი შეიცავს იოდისა და ბრომის სამრეწველო მარაგს. მდიდარია სხვადასხვა სახის სამშენებლო მინერალური ნედლეულით. ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია ლამაზი ლანდშაფტები, მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები და სამკურნალო ნავთობი (მის ბაზაზე ფუნქციონირებს კურორტი ნაფტალინი).

აზერბაიჯანი განლაგებულია სუბტროპიკულ სარტყელში, სადაც ძირითადად წარმოდგენილია მშრალი სუბტროპიკული ჰავა, ხოლო სამხრეთ ნაწილში, ლენქორანის დაბლობზე - ტენიანი სუბტროპიკებია. იანვრის საშუალო ტემპერატურაა 0 + 4°C, ივლისში +24 -28 °C, მაქსიმალური ტემპერატურები +35 °C-ს აღემატება. ნალექების რაოდენობა მერყეობს 200-2000 მმ-ის ფარგლებში. ყველაზე მეტი ნალექი მოდის ლენქორანში, ხოლო ყველაზე ნაკლები - აფშერონზე. კლიმატური რესურსების მრავალფეროვნება ბამბის, ბოსტნეულის, ხეხილის, ყურძნის, მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოყვანისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის. ჰავა ხელშემწყობ როლს ასრულებს რეკრეაციული მეურნეობის და ტრანსპორტის ფუნქციონირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გაედინება კავკასიის უდიდესი მდინარეები მტკვარი და არაქსი, განიცდის წყლის რესურსების დეფიციტს. წყლის რესურსების დეფიციტია აფშერონის ნახკუნძულზე და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში. წყლის რესურსების მაქსიმალური და რაციონალური გამოიყენების მიზნით შექმნილია ბევრი წყალსაცავი, მათ შორის აღსანიშნავია ამიერკავკასიაში უდიდესი მინგეჩაურის წყალსაცავი (ფართობი 605 კმ²). გაყვანილია ბევრი სარწყავი არხი, მათ შორის ცნობილია ზემო ყარაბაღის (დაკავშირებულია მინგეჩაურის წყალსაცავთან) და სამურ-აფშერონის არხები. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი შეფასებულია 100 მილიარდი კვტ/სთ-ით. სანაოსნოდ გამოსადეგარია მდინარე მტკვარი.

ტყის რესურსებით შეზღუდული ქვეყანაა, რომელსაც უჭირავს ტერიტორიის 20%. ტყიანობის დიდი კოეფიციენტი არის ჩრდილოეთის მთიან რეგიონებში, ხოლო ნაკლები - აფშერონის ნახევარკუნძილზე. რელიეფისა და ჰავის თავისებურებების შედეგად მცენარეთა ბოტანიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია, მთიან რეგიონებში ჭარბობს ფართოფოთლოვნები (მუხა, წიფელი, წაბლი), ხოლო ნახევარუდაბნოებში მშრალი სტეპის მცენარეულობა. სამრეწველო დანიშნულების ტყე ფაქტობრივად არ არის. მდიდარია ბუნებრივი საძოვრებით, მათ შორის, ზამთრის საძოვრებითაც.

ისტორიულ - გეოგრაფიული მიმოხილვა

შორეულ წარსულში თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებობდა სახელმწიფო, რომელიც კავკასიის ალბანეთის სახელწოდებით იყო ცნობილი. ძვ. წ. 550 წელს აქემენიანთა იმპერიის (სპარსეთის, კიროს დიდის იმპერია) შემადგენლობაში აღმოჩნდა. მოგვიანებით იქმნება სახელმწიფო ატრეპატენა, რომელიც VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს. შუა საუკუნეებში ტერიტორიის დიდი ნაწილი სპარსეთისა და თურქეთის მიერ იქნა მიტაცებული. 1828 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, თურქმანჩალის ხელშეკრულებით შევიდა რუსეთის იმპერიაში. 1918 წელს მიიღო პოლიტიკური დამოუკიდებლობა. 1921 წელს აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოების ხელისუფლება, ხოლო 1922 წელს ამერიკავკასიის ფედერაციის სახით შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1991 წელს შეიქმნა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. 1992 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. აზერბაიჯანს 158 ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული და 38 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

აზერბაიჯანი რესპუბლიკური საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტია, რომელიც პირდაპირი არჩევნების გზით 5 წლის ვადით აირჩევა (პირველი პრეზიდენტი იყო აბულფაზ ელჩიბეი, რომელიც 1993 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად გადააყენეს და პრეზიდენტად მოვიდა ჰეიდარ ალიევი. 2003 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტი გახდა მისი შვილი ილჰამ ალიევი, რომელიც პრეზიდენტად სამჯერ იქნა არჩეული). პრეზიდენტი უფლებამოსილია შექმნას მინისტრთა კაბინეტი, რომელიც კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოა და ანგარიშვალდებულია როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის წინაშე. მინისტრთა კაბინეტი შედგება პრემიერმინისტრის, მისი მოადგილეებისა და მინისტრებისგან.

პრეზიდენტს არ აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი, მაგრამ აქვს უფლება დაადოს ვეტო მის გადაწყვეტილებებს. იმისათვის, რომ პარლამენტმა დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო, მას უნდა ჰქონდეს საპარლამენტო უმრავლესობა. პრეზიდენტი ნიშნავს რეგიონების გუბერნატორებს. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი მილი მეჯლისი, რომელიც შედგება მოსახლეობის მიერ 5 წლის ვადით არჩეული 125 დეპუტატისაგან. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო და ეკონომიკური სასამართლო. ამ სასამართლოების მოსამართლეებს პრეზიდენტი ნიშნავს.

აზერბაიჯანი ადმინისტრაციულად იყოფა ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკად, ყარაბაღის ავტონომიურ ოლქად (რომელიც ამ პერიოდისათვის კონტროლდება სომხეთის მიერ), 10 ეკონომიკურ რაიონად და 66 ადმინისტრაციულ რაიონად.

მოსახლეობა

აზერბაიჯანი ამიერკავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობით ყველაზე დიდი ქვეყანაა, სადაც 10,1 მლნ კაცი ცხოვრობს (2020 წ.). მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდის მაჩვენებელი 1,7%-ია და ამ მაჩვენებლით ევროპაში პირველ ადგილზეა. ქვეყნის მოსახლეობის ზრდა მთლიანად ბუნებრივ მატებაზეა დამოკიდებული. ყოველ ათას კაცზე შობადობა 15,3 პრომილეა, სიკვდილიანობა - 7,0 პრომილე, ხოლო ბუნებრივი მატება 8,3 პრომილე (2018 წ.). საშუალოდ ქვეყანას ყოველწლიურად ბუნებრივი მატების გზით 83830 კაცი ემატება.

გააჩნია საკმაოდ ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობა. მამაკაცები შეადგენს 49.3%, ხოლო ქალები 50,7%. 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა შეადგენს მთელი მოსახლეობის 23,1%, 15-65 წლის - 70,1 %, ხოლო 65 წლის და ზემოთ - 6,8%. ბოლო წლებში შეინიშნება 0 -14 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის შემცირების ტენდენციები.

აზერბაიჯანი ერთეროვანი ქვეყანაა, სადაც აზერბარჯანელები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 91,6%, სხვა ეთნოსიდან ცხოვრობენ: ლეზგინები - 2%, რუსები - 1,3%, თალიშები - 1,3%, და სხვა - 3,8%. მოსახლეობის დიდი ნაწილი 95%-ზე მეტი მუსულმანური (სუნიტური) რელიგიის აღმსარებელია.

აზერბაიჯანელები კავკასიაში ყველაზე იმმობილური ერია, რომლებიც ნაკლებად ტოვებენ სამშობლოს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო განმტკიცდა დამოუკიდებლობის პერიოდში. მიუხედავად აღნიშნულისა, აზერბაიჯანული დიასპორა მსოფლიოს 42 ქვეყანაში არსებობს. ქვეყნის შიგნით მიგრაციის ძირითად მიმარ-

თულებას წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის ჩასახლება ქალაქებში, რაც ურბანიზაციულ პროცესებთან არის დაკავშირებული.

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა. დასაქმებული მოსახლეობა 5,2 მილიონს შეადგენს (51,4%), რომლებიც მეურნეობის დარგების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია - 37%, მრეწველობაში - 14,3% და მომსახურე დარგებში - 48,7%. უმუშევრობის დონე 5%-ია (2017 წ.).

მოსახლეობა საკმაოდ უთანაბროდაა განლაგებული. საშუალო სიმჭიდროვე ერთ კმ²-ზე 114 კაცია. მჭიდროდაა დასახლებული აფშერონის ნახევარკუნძული (469 კაცი), ხოლო მეჩხრად შექი - ზაქათალის (68 კაცი) და ნახიჩევანის (80 კაცი) რეგიონები.

ქვეყნის განსახლების სისტემაში 78 ქალაქია, 261 ქალაქის ტიპის დასახლება (დაბა) და 4248 სასოფლო დასახლებაა. ურბანიზაციის დონე 55,7%-ია, ხოლო ურბანიზაციის ტემპი - 1,5%. უდიდესი ქალაქებია: ბაქო - 2,3 მლნ (კავკასიაში ყველაზე დიდი ქალაქი), განჯა - 330 ათასი, სუმგაითი - 300,3 ათასი, მინგეჩაური - 102, 3 ათასი და სხვ. ბაქო არის ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი აგლომერაცია, სადაც 2,8 მლნ კაცი ცხოვრობს.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

აზერბაიჯანის მეურნეობის განვითარება ინტენსიურად დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს, როცა აქ პირველად რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბდა ნავთობის მრეწველობა. 1901 წელს აზერბაიჯანი იძლეოდა მსოფლიოს ნავთობის მოპოვების 50%. საბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში, მრეწველობიდან პრიორიტეტი მიენიჭა ენერგეტიკას, ხოლო სოფლის მეურნეობიდან ბამბის მოყვანას. საბჭოთა ეკონომიკის სისტემის მოშლას მოყვა სერიოზული პრობლემები, მაგრამ არსებული რესურსების გამოყენების საფუძველზე კვლავაც ინარჩუნებს მეურნეობის დარგობრივ სპეციალიზაციას. მთლიანი შიდა პროდუქციის წარმოება ბოლო წლებში თანდათანობით იზრდება და 172,2 მლრდ დოლარი შეადგინა (2017 წ). მშპ-დან სოფლის მეურნეობაზე მოდის 6,1%, მრეწველობაზე - 53,5% და მომსახურე დარგებზე - 40,4 %.

მრეწველობის გეოგრაფია

აზერბაიჯანის მეურნეობის წამყვანი დარგი კვლავაც ენერგეტიკაა, რომელიც ადგილობრივ რესურსებს ეფუძნება. ნავთობის მოპოვება რესურსების გამოლევასთან დაკავშირებით თანდათანობით მცირდება, მაგრამ მოპოვების

სიღრმისეული ტექნოლოგიების დანერგვით და შელფურ ზონაში ახალი საბადოების ექსპლოატაციის ხარჯზე წარმოების პრიორიტეტულ როლს ინარჩუნებს. ნავთობის მოპოვება 41,7 მლნ ტ შეადგენს (2017 წ.), მოპოვების უპირატესად დიდი ნაწილი აფშერონის ნახევარკუნძულზე მოდის, ხოლო საბადოებიდან აღსანიშნავია ნეფტიანი კამენი. მოპოვებული ნავთობის 85% -ზე მეტი გადის ექსპორტში. ნავთობის მთავარი სახელმწიფო კომპანია „სოკარი“ - ,,SOCAR“, უდიდესია კავკასიაში, როგორც ფინანსური შესაძლებლობებით, ისე დასაქმებულთა რაოდენობით. გაზის მოპოვება (17,1 მლრდ $მ^3$, 2017 წ.), ძირითადად, ემთხვევა ნავთობის გავრცელების რაიონებს, მაგრამ მოპოვების დიდი ნაწილი ყარადაგის საბადოზე მოდის. იმპორტის გზით (ირანიდან) შედის 2,1 მლრდ $მ^3$, ხოლო ექსპორტში 8,0 მლრდ $მ^3$ გადის.

ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებლები საბჭოთა პერიოდთან შედარებით გარკვეულწილად შემცირდა. ყველა სადგურის სიმძლავრე 7,9 მლნ კვტ-ია, ხოლო გამომუშავება 23,6 მლრდ კვტ/სთ (2016 წ.). წარმოებული ელექტროენერგიის 90% თესებზე მოდის. უმსხვილესი თბოსადგურებია: ალი-ბაირამალის (ღია), ბაქოს, სუმგაითის და სხვ. ჰიდროელექტრო სადგურები, ძირითადად, აგებულია მტკვარსა და ტერტესკზე (მინგეჩაურის, შამქორის, ნახიჩევანის). ელექტროენერგიის გარკვეული ნაწილი ექსპორტირდება.

მეტალურგია კრიზისს განიცდის, რაც პროდუქციის მაღალი თვითღირებულების და დაბალ საქონლურობასთან არის დაკავშირებული. შავი მეტალურგიის ერთადერთი ცენტრი სუმგაითის არასრულციკლიანი ქარხანაა, რომელიც დაშქესანის რკინის მადანზე, შეტანილ საკოქსე ქვანახშირზე და სხვა დამხმარე მასალების საფუძველზე დასპეციალიზებულია ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო ფოლადის მილების წარმოებაზე. ალუმინის საწარმოები (ადგილობრივი ზაგლიკის ალუნიტების ნედლეულის ბაზაზე) არის სუმგაითსა და განჯაში.

მანქანათმშენებლობა, ძირთადად, ორიენტირებულია ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების წარმოებაზე. ამასთან, განვითარებულია კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების, საყოფაცხოვრებო (კონდიციონირები, მაცივრები), ელექტროტექნიკური და სხვ დარგები. მანქანათმშენებლობის უმსხვილესი ცენტრებია: ბაქო, განჯა, მინგეჩაური და სხვ.

ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის ქვეყანას გააჩნია საკუთარი სანედლეულო ბაზა, რის საფუძველზეც სპეციალიზირდება ნავთობგაზქიმიაზე. წამყვანი დარგია ორგანული სინთეზის ქიმია - სინთეზური კაუჩუკის, ბოჭკოების, საბურავების და პლასტმასების სპეციალიზაციით (ბაქო, სუმგაითი, მინგეჩაური). განვითარებულია საყოფაცხოვრებო ქიმია (სარეცხი საშუალებები, ლაქ-

საღებავები). აზოტოვანი მინერალური სასუქი იწარმოება სუმგაითში. ბაქო ნავთობგადამუშავების უმსხვილესი ცენტრია.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც, ძირითადად, შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს. უფრო მეტად განვითარებულია ხის მექანიკური დამუშავება (ხირდალარი, ისმილი, ლენქორანი).

საშენ-მასალათა მრეწველობა ეფუძნება ადგილობრივ სანედლეულო ბაზას, სადაც იწარმოება თითქმის ყველა სახის სამშენებლო პროდუქცია. ბოლო წლებ-ში ათვისებული იქნა თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციების ტექნოლო-გიები.

აზერბაიჯანი უზრუნველყოფილია მსუბუქი მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულით. ბამბის საწმენდი ქარხნებია განჯაში, ლიაკში, ავლახარში და უდჟარში. ბამბეულის მსხვილი კომბინატია განჯაში, ხოლო სხვა საწარმოებიდან აღსანიშნავია მინგეჩაური და ნახჩევანი. შალეულის მრეწველობა კარგად იყო განვითარებული ხანკანში (არაკონტროლირებადი ტერიტორია). აბრეშუმის მრეწველობა ადგილობრივ ნედლეულზე განვითარებულია ჩრდილო-დასავლეთში, სადაც მთავარი ცენტრია შეკი.

მსუბუქი მრეწველობიდან, აგრეთვე აღსანიშნავია ტყავ-ფეხსაცმლის და სამკერვალო მრეწველობა (ალიბარდალი, ბარდა).

კვების მრეწველობა საკმაოდ კარგადაა განვითარებული, რომელიც უზ-რუნველყოფილია მრავალფეროვანი სანედლეულო ბაზით. საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება ზეთის, თევზის, თამბაქოს, ჩაის, საკონსერვო, ხმელი ხილის და სხვა დარგებს. ადგილობრივი ბაზრისთვის მეტ-ნაკლებადაა განვითა-რებული კვების მრეწველობის სხვა დარგები.

სოფლის მეურნეობა

აზერბაიჯანი ევროპაში, განსაკუთრებით, კავკასიაში მიწის რესურსებით ერთ-ერთი ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი ქვეყანაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 4,9 მლნ ჰა, ანუ მთელი ტერიტორიის 54,9%, აქედან დამუშავებული მიწები 4,8 მლნ ჰა-ია. მიწის რესურსების გაზრდის მიზნით აქტიურად მიმდინარეობს მტკვარ-არაქსის დაბლობების დამლაშებული ნიადა-გების გამოყენება. ამასთან, სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულე-ბით ინტენსიურად მიმდინარეობს სარწყავი სისტემების გაყვანა და საირიგაციო სამუშაოები.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის 70%. მთავარი ტექნიკური კულტურაა ბამბა, რომელიც

მოჰყავთ მტკვარ-არაქსის დაბლობზე. სხვა ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია ჩაი, რომელიც მოჰყავთ ლენქორანის დაბლობზე. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თამბაქოს მოყვანას, რომელიც ქვეყანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში და ლენქორანის დაბლობზე იწარმოება. ტექნიკური კულტურებიდან ასევე მოჰყავთ მზესუმზირა, ეთერზეთები და სხვ. ბოლო პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა მარცვლეულის მეურნეობამ. მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, ქერი, შვრია და სხვ. მარცვალი ძირითადად იწარმოება დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთში. კარგადაა განვითარებული მეხილეობა, სადაც უფრო მეტად ჭარბობს კონტინენტური ხილის წარმოება. მოჰყავთ სუბტროპიკული ხილიც (ციტრუსები, ბროწეული, ხურმა, ლეღვი, ზეთისხილი). მთისწინეთებში განვითარებულია მევენახეობა, განსაკუთრებით, ჩრდილო-დასავლეთში. ამასთან, კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მებახჩეობა (ევროპაში ცნობილია ნესვის წარმოებით).

მეცხოველეობის წამყვანი დარგი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებაა (1.9 მლნ სული, მათ შორის, 25% მოდის კუზიან ძროხა - ზებუსა და კამეჩებზე). უფრო მეტად განვითარებულია სახორცე-სარძევე მიმართულების მესაქონლეობა, რომელიც მთისწინეთების ბუნებრივ საძოვრებზეა მოშენებული. მეცხვარეობა ძირითადად განვითარებულია ქვეყნის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთის მთიან რეგიონებში. აშენებენ ფრინველს, ცხენს, ფუტკარს, თუთის აბრეშუმხვევიას და სხვ. კასპიის ზღვასა და მდინარე მტკვარზე განვითარებულია მეთევზეობა, რომლის პროდუქცია ზუთხი, ორაგული და ხიზილალა ექსპორტშიც გადის. ქვეყანა უზრუნველყოფს საკუთარ თავს მეცხოველეობის პროდუქციაზე.

ტრანსპორტი

აზერბაიჯანის სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო და ეკონომიკური განვითარების დონე უზრუნველყოფს ტრანსპორტის ყველა სახის განვითარებას. შესაბამისად, აქტიურადაა ჩართულია ტრანსევრაზიის სატრანსპორტო კომუნიკაციების სისტემაში და მნიშვნელოვან დერეფანს წარმოადგენს. მგზავრთბრუნვის დიდი ნაწილი საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის. გზების საერთო სიგრძე 52945 კმ-ია, აქედან მყარსაფარიანი - 26790 კმ (2017 წ.). სარკინიგზო ხაზის სიგრძე 2944 კმ-ია, აქედან ელექტრიფიცირებულია 1767 კმ. სარკინიგზო ხაზებით უკავშირდება მეზობელ ქვეყნებს (ბაქო-ბათუმის ხაზი ამოქმედდა 1883 წ.), მათ შორის საბორანო-სარკინიგზო გადასასვლელით უკავშირდება თურქმენეთს (თურქმენბაშს). შიდა განედობრივი ხაზებიდან აღსანიშნავია ბაქო-ნახიჩევანი, ხოლო მერიდიანული ხაზიდან ბაქო-ლენქორანი.

სარკინიგზო ტრანსპორტზე მოდის ტვირთბრუნვის დიდი ნაწილი. ძირითად ტვირთებს წარმოადგენს ნავთობი, ნავთობპროდუქტები, ხორბალი, ბამბა, მადანი და სხვ.

კარგადაა განვითარებული მილსადენი ტრანსპორტი. მსოფლიოში პირველი მაგისტრალური ნავთობსადენი ბაქო - ბათუმი (863 კმ, გამტარუნარიანობა წელწადში 1 მლნ ტ) გაყვანილი იქნა 1897 – 1907 წლებში. 2003-2006 წლებში გაყვანილი იქნა მსოფლიოში ერთ-ერთ უგრძესი ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (სიგრძე 1768 კმ, დღეში შეუძლია გაატაროს 127200 ტ, წელწადში 46,4 მლნ ტ). 2008 წლიდან ნავთობსადენით დაიწყო ყაზახეთის ნავთობის, ხოლო 2010 წლიდან თურქმენეთის ნავთობის ტრანსპორტირება. ბოლო წლებში საშუალოდ გადაიტანება 32-35 მლნ ტ ნავთობი. საერთასორისო მნიშვნელობის ნავთობსადენია ბაქო-სუფსა, რომელიც ექსპლოატაციაში გადაეცა 1999 წელს (სიგრძე 837 კმ). ადგილობრივი მნიშვნელობის ნავთობსადენები კასპიის ნავთობსარეწებს აფშერონის ნახევარკუნძულთან აერთებს. ქვეყნის ფარგლებში ნავთობსადენების საერთო სიგრძე 2446 კმ-ია. არანაკლები ეკონომიკური მნიშვნელობა გაზსადენებს გააჩნია, რომლის საერთო სიგრძე 3980 კმ-ია. 1963 წელს ამოქმედდა მაგისტრალური გაზსადენი ყარადაგი-თბილისი. გაზსადენი შემოდის ირანიდანაც. იგეგმება საერთაშორისო მნიშვნელობის გაზსადენის შახდენიზი-თბილისი-ერზრუმის მშენებლობა. ქვეყნის მთლიანი გაზიფიცირება ახლო მომავალში დასრულდება.

ტვირთბრუნვის მიხედვით, მეორე ადგილზე საზღვაო ტრანსპორტი მოდის, რომელიც საერთაშორისო გადაზიდვებს ემსახურება. ტვირთბრუნვის დიდი ნაწილი ბაქო-თურქმენბაშის საბორანო მიმოსვლით ხორციელდება, რომელიც ევრაზიის ეკონომიკური კავშირების დამყარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მთავარი საზღვაო პორტი ბაქოა, სადაც ფუნქციონირებს საკონტეინერო ტერმინალი. სამდინარო ნაოსნობა ხორციელდება მტკვარზე.

საერთაშორისო კავშირების დამყარებაში დიდ როლს საჰაერო ტრანსპორტი ასრულებს. ფუნქციონირებს 30 აეროპორტი, რომელთა შორის უდიდესია ბაქოს აეროპორტი. საჰაერო ტრანსპორტზე იზრდება, როგორც მგზავრთბრუნვა, ისე ტვირთბრუნვა. ქვეყნის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის ელექტრო ტრანსპორტი.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები

დამოუკიდებელი აზერბაიჯანის საგარეო ეკონომიკურმა კავშირებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ეკონომიკური ურთიერთობის ძირითად ფორმას ვაჭრობა წარმოადგენს, რომლის გეოგრაფია თანდათანობით ფართოვ-

დება. ვაჭრობს 90-ზე მეტ ქვეყანასთან, შესაბამისად, იზრდება ვაჭრობის მოცულობა და 24,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. ექსპორტზე მოდის 15,2 მილიარდი დოლარი (ექსპორტის დიდი ნაწილი ნავთობსა და გაზზე მოდის), ხოლო იმპორტზე 9,0 მილიარდი დოლარი. შესაბამისად, გააჩნია ვაჭრობის დადებითი სალდო (6,2 მლრდ დოლარი, 2017 წ.). ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის: იტალიაზე - 23, 2%, თურქეთზე -13,6%, ისრაელზე -6,1%, რუსეთზე - 5,4%, გერმანიაზე - 5,0%, საქართველოზე - 4,3% და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი - 17,7%, თურქეთი - 14,8%, ჩინეთი - 9,9%, აშშ - 8,8%, უკრაინა - 5,3%, გერმანია -5,1% და სხვ. ექსპორტში გადის ნავთობი, ნავთობპროდუქტები, გაზი, ბოსტნეული, ხეხილი, ჩაი, ბამბა და სხვ. იმპორიტირდება: მანქანა - მოწყობილობები, ხორბალი, საშენი მასალა, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, მედიკამენტები და სხვ. ჩართულია საკრედიტო-საფინანსო, საერთაშორისო საწარმოო, საერთაშორისო ტურიზმის და სხვა ეკონომიკურ კავშირებში.

შიდარეგიონალური სხვაობები

აზერბაიჯანში, ბუნებრივი და სამეურნეო თავისებურებების მიხედვით, გამოიყოფა 10 რეგიონი (იხ. ნახ. 24).

ნახ. 24. აზერბაიჯანის ეკონომიკური რაიონები
წყარო: Azerbaijan_regions.kalang.png www. ka.wikipedia.org

1. აფშერონი. ფართობი - 5870 კმ², მოსახლეობა - 2,76 მლნ კაცი. შედის აფშერონის და ხიზის რაიონები, ასევე, ქალაქები - ბაქო და სუმგაითი. რეგიონი ქვეყნის მთავარი განსახლების და სამრეწველო რაიონია, სადაც მრეწველობის ძირითადი სპეციალიზაციის დარგი ენერგეტიკაა. აწარმოებს ნავთობის, ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს. განვითარებულია ნავთობპროდუქტების და ქიმიური პროდუქტების წარმოება, შავი და ფერადი მეტალურგია, მსუბუქი და კვების მრეწველობა, სამშენებლო მრეწველობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურების სექტორი. სოფლის მეურნეობიდან აღსანიშნავია მებოსტნეობა, მებაღეობა, სარძევე მესაქონლეობა და სხვ. მთავარი ცენტრებია: ბაქო (2,3 მლნ კაცი) და სუმგაითი (300,3 ათასი კაცი).

2. არანი. ფართობი - 21 150 კმ² (მთლიანი ტერიტორიის 24,7 %), მოსახლეობა - 1,94 მლნ კაცი. შედის აღჯაბადის, აღდაშის, ბარდის, ბეილაგანის, ბალიასუვარის, გოქჩაის, ჰაჯიყაბულის, იმიშლის, ქურდამირის, ნეფტეჩალის, ევლახის და ზარდაბის რაიონები, აგრეთვე, ქალაქები მინგეჩაური, შირვანი და ევლახი. რეგიონის ტერიტორია ძირითადად ხასიათდება მშრალი სუბტროპიკული კლიმატით. სპეცილიზირდება ბამბის და ბაღჩეული კულტურების მოყვანაზე. მთავარი ქალაქია ნეფტეჩალა (9,9 ათასი კაცი).

3. გუბა-ხაჩმაზი. ფართობი - 6960 კმ², მოსახლეობა - 525,7 ათასი კაცი (2015 წ). შედის შაბრანის, ხაჩმაზის, ყუბის, გუსარის და სიაზანის რაიონები. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს კასპიის ზღვის სანაპიროზე. რეგიონი მდიდარია მდინარეებით და გააჩნია წყლის დიდი რესურსები. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა (მებოსტნეობა, მეხილეობა, მეცხვარეობა). მრეწველობიდან განვითარებულია სამთომადნო მრეწველობა, ხე-ტყის, კვების და ხალიჩების ქსოვა. მთავარი ცენტრია - ხაჩმაზი (41,3 ათასი კაცი).

4. მთიანი შირვანი. ფართობი - 6130 კმ², მოსახლეობა - 304,0 ათასი კაცი (2015 წ.). შედის აღსუს, ისმაილის, გობუსტანის და შემახის რაიონები. რეგიონში მოიპოვება ნავთობი, გაზი და სამშენებლო ნედლეული. მრეწველობიდან წამყვანია მსუბუქი (ხალიჩების ქსოვა, სამკერვალო) და კვების (ღვინის, საკონსერვო, რძის). სოფლის მეურნეობიდან მთავარია მეხილეობა და მევენახეობა. მთავარი ცენტრია - შემახი (38,9 ათასი კაცი).

5. განჯა-ყაზახი. ფართობი - 12300 კმ², მოსახლეობა - 1,24 მლნ კაცი (2015 წ.). შედის ქალაქები განჯა და ნაფთალინი, აგრეთვე აღსთაფის, ყაზახის, დაშქესანის, გადაბეის, თოუზის, გორანბოის, გოიგოლის, სამუხის და შამქორის რაიონები. რეგიონის მთავარი რესურსებია ნავთობი, გაზი რკინის მადანი და სამშენებლო მინერალური ნედლეული. მრეწველობიდან აღსანიშნავია ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეო-

ბა სპეციალიზირდება მარცვლეულზე, მევენახეობაზე, მეკარტოფილეობასა და მესაქონლეობაზე. მთავარი ცენტრია განჯა (330,1 ათასი კაცი).

6. შეკი-ზაქათალი. ფართობი - 8840კმ², მოსახლეობა - 559,9 ათასი კაცი (2015 წელი). შედის ქალაქები შაქი და ზაქათალა, აგრეთვე ბელოქანის, კახის, ქაბალის, ოღუზის, ზაქათალის და შაქის რაიონები. ძირითადად სოფლის მეურნეობის რეგიონია მევენახეობის, მეხილეობის მეთამბაქოეობის და მეცხვარეობის სპეციალიზაციით. მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული კვების მრეწველობა. მთავარი ცენტრია - შეკი (64,8 ათასი კაცი).

7. ლენქორან-ასტარინსკი. ფართობი - 6070კმ², მოსახლეობა - 893,3 ათასი კაცი (2015 წ.). შედის ასტარის, ჯალილაბადის, ლერიქის, მასალის, ლენქორანის და იარდიმილის რაიონები. რეგიონის მეურნეობის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა, სადაც დომინირებს მებოსტნეობა (27%), მეჩაიეობა (99%), მევენახეობა, მარცვლეულის და ციტრუსის მოყვანა. რეგიონში ასევე განვითარებულია მეთევზეობა. მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული კვების და ხე-ტყის. მთავარი ცენტრია ლენქორანი (52,0 ათასი კაცი).

8. ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა. ფართობი - 5500კმ², მოსახლეობა - 439,8 ათასი კაცი (2015 წ.). წარმოდგენილია ანკლავის სახით. დასავლეთით ესაზღვრება - თურქეთი, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით - სომხეთი, სამხრეთით - ირანი. შედის ქალაქი ნახიჩევანი, აგრეთვე ბაბექის, ჯულფას, კანგარლის, ორდუბადის, სადარაქის, შაჰბუზის და შარურის რაიონები. განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა (მოლიბდენის, მარმარილოს, ქვამარილის მოპოვება). დამუშავებითი მრეწველობიდან გამოირჩევა მანქანათმშენებლობა, მსუბუქი (ხალიჩების ქსოვა) და კვების. სოფლის მეურნეობიდან გამოირჩევა ხეხილის, ბოსტნეულის, თამბაქოსა და ხორბლის მოყვანა. განვითარებულია მეცხოველეობა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის სპეციალიზაციით. მთავარი ცენტრი ნახიჩევანია (78,1 ათასი კაცი).

9. ზემო ყარაბახი. ფართობი - 7330 კმ², მოსახლეობა (მათ შორის დევნილების, იძულებით გადაადგილებული პირებით) - 653,5 ათასი კაცი (2015 წ.). შედის ქალაქები - ხანქენდი, არდამი და შუშა. აგრეთვე, აღდამის, ტერტერის, ხოჯავენდის, ხოჯალის, შუშის, ჯაბრაილის და ფუზულის რაიონები. 1994 წლიდან რეგიონის დიდი ნაწილი იმყოფება არაღიარებული მთიანი ყარაბახის რესპუბლიკის კონტროლის ქვეშ. აზერბაიჯანი აკონტროლებს აღდამის, ტერტერის, ხოჯავანდის და ფუზულის რაიონებს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფაქტობრივად სომხები ცხოვრობენ. რესურსებიდან აღსანიშნავია მადნეული წიაღისეული და სამშენებლო მინერალური ნედლეული. მრეწველობიდან ძირითადად განვითარებულია კვების და საფეიქრო მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან აღსანიშ-

ნავია ხეხილის, ბოსტნეულის, ბამბის, თამბაქოს და მარცვლეულის მოყვანა. მეცხოველეობიდან მესაქონლეობა და მეცხვარეობა. მეხილეობისა და მეცხვარეობის მთავარი ცენტრია აგდამი.

10. ქალბადარ ლაჩინი. ფართობი - 6420 კმ², მოსახლეობა - 244,0 ათასი კაცი (2015 წ.). შედის ქალბაჯარის, ლაჩინის, გუბადლის და ზანგილანის რაიონები. 1993 წლიდან რეგიონი ოკუპირებულია და მთლიანად შედის მთიანი ყარაბახის არ აღიარებული რესპუბლიკის კონტროლის ქვეშ. ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია ოქრო, ვერცხლისწყალი და სამშენებლო მინერალური ნედლეული. მრეწველობიდან განვითარებული იყო სამთო მოპოვებითი, მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობის დარგებიდან დომინირებდა მეცხოველეობა. ცენტრი - ხანკენდი.

2.1.8. სომხეთი

ფართობი - 29800 კმ²
მოსახლეობა - 3,04 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - ერევანი

ზოგადი ცნობები

სომხეთი კავკასიაში ტერიტორიის სიდიდითა და მოსახლეობის რიცხოვნობით ყველაზე პატარა ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილება ერთ სულ მოსახლეზე 3810 დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,743-ს (83-ე ადგილი, 2016 წ) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 37 რაიონად. სახელმწიფო ენა - სომხური, ფულის ერთეული - დრაჰმა.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

სომხეთი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (კავკასიაში), კერძოდ კავკასიის სამხრეთ ნაწილში. გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ცუდი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მოსაზღვრე თურქეთი და აზერბაიჯანი მტრულად განწყობილი ქვეყნებია (ბოლო პერიოდში სომხეთმა დაიჭირა ყოფილი მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი, რომელიც შედიოდა აზერბაიჯანის შემადგენლობაში). გააჩნია მოუხერხებელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; არ აქვს გასასვლელი ზღვაზე, ჩაკეტილია მთიანი სისტემებით, არ გადის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციები და სხვ. საზღვრების საერთო სიგრძე

1254 კმ-ია, რომელიც მთლიანად სახმელეთოა. სომხეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება საქართველო (164 კმ), სამხრეთით ირანი (35 კმ), აღმოსავლეთით აზერბაიჯანი (787 კმ), დასავლეთით თურქეთი (268 კმ) და აზერბაიჯანის ავტონომიური რესპუბლიკა ნახიჭევანი. სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 25.

ნახ. 25. სომხეთის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

სომხეთი მთიანი ქვეყანაა, ტერიტორიის 90% ზღვის დონიდან 1000 მ-ზე ზემოთ მდებარეობს, რელიეფის საშუალო სიმაღლე 1800 მ-ია. უმაღლესი წერტილი არარატი მდებარეობს ზღვის დონიდან 4090 მ სიმაღლეზე. რელიეფი გამოირჩევა რთული ხასიათით, სადაც ჭარბობს მაღალი მთები, ღრმა ხეობები და ქვაბულები; არის პლატოები და ვაკეები, ხოლო დაბლობი საერთოდ არ არის. ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არარატის ქვაბულს გააჩნია, სადაც განლაგებულია მოსახლეობისა და საწარმოო ძალების დიდი ნაწილი.

მინერალური რესურსებით შეზღუდული ქვეყანაა. არ მოიპოვება არც ერთი სახის სათბობი რესურსი (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი). გამოირჩევა მადნეული წიაღისეულით, რეგიონალური მნიშვნელობა გააჩნია სპილენძის მარაგს, სადაც ორი - კაფანის და ალავერდის საბადოა. არის მოლიბდენის (ქაჯარანი, დასტა-კერტი) და ოქროს (ზოდი, მეღრაძორი) გარკვეული მარაგი. მცირე რაოდენობით არის პოლილითონები, რკინის მადანი, ნეფელინები, სიენიტები, ბენტონიტური თიხები და სხვ. კავკასიაში გამოირჩევა გოგირდის და ქვამარილის მარაგით. ცნობილია მინერალური სამშენებლო მასალებით, განსაკუთრებით, ვულკანური ტუფით (არტიკი), პემზით (ანიპემზა), ბაზალტით, მარმარილოთი და ცემენტის ნედლეულით. ქვეყნის ტერიტორიაზე მრავლადაა მინერალური წყლები, რომელთა შორის სამკურნალო მნიშვნელობისაა არზნი, ჯერმუკი, დილიჟანი და სხვ.

სომხეთის ჰავა კონტინენტური და მშრალი სუბტროპიკულია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ივლისის საშუალო ტემპერატურა +12 - +24°C (მაქსიმუმები აღემატება +40°C), იანვრის საშუალო ტემპერატურა -3 - -4°C (მინიმუმი ეცემა –30°C). ნალექების რაოდენობა 200–800 მმ-ია. აქაური კლიმატური რესურსები ხელს უწყობენ მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მარცვლეულის მოყვანას, აგრეთვე, რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას.

წყლის რესურსებით შეზღუდული ქვეყანაა. უკიდურეს სამხრეთ ნაწილში გაედინება მდინარე არაქსი (შენაკადები - ახურიანი, ვოროტანი), რომელსაც ქვეყნისთვის არცთუ ისე დიდი სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნია. ჩრდილო აღმოსავლეთში სასაზღვრო მდინარეა მტკვრის მარჯვენა შენაკადი - დებედა. უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია კავკასიაში ყველაზე დიდ ტბას სევანს (ფართობი 1200 კმ², ზ.დ.1900 მ), რომელსაც ბევრი პატარა მდინარე ერთვის და გამოედინება მდინარე რაზდანი (აგებულია ჰესების კასკადი). ტბის წყლით უზრუნველყოფის მიზნით, 48 კმ-ის სიგრძის გვირაბით უკავშირდება მდინარე არფა. სევანს განსაკუთრებული სამეურნეო და რეკრეაციული მნიშვნელობა გააჩნია. ტბა მდიდარია თევზით და განთქმულია ენდემური კალმახით (იშხანი).

ტყის რესურსებით შეზღუდული ქვეყანაა, სადაც ტყიანობის კოეფიციენტი 13%-ია. ტყის რესურსების გარკვეული ნაწილი არის ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მთის სუბალპური და ალპური ფერდობები გამოირჩევა ბუნებრივი საძოვრებით.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა, სადაც არის როგორც ბუნებრივი, ისე ისტორიულ-კულტურული ძეგლები.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ეტიმოლოგიურად ქვეყნის სახელის სხვადასხვა ფორმები მომდინარეობს ძველსომხური ტომებისაგან - ჰაიასა, სუხმე, არმე. პირველი მათგანისგან მიღებულია სახელწოდება სომხურ ენაზე (ჰაიასტან), მეორისაგან - ქართულ ენაზე (სომხეთი), მესამისაგან - ევროპულ ენებზე (Armenia). სომხეთი უძველესი და მძიმე ისტორიის მქონე ქვეყანაა. ერევანი არსებობდა ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნეში. სომხეთის ტერიტორია ადრე შედიოდა უძველესი სახელმწიფოს ურარტუს შემადგენლობაში. სომეხი ხალხის ჩამოყალიბების ბოლო ეტაპი დაემთხვა ძვ.წ. VI საუკუნეში სომხეთის სახელმწიფოს შექმნას, რომელმაც ურარტუს ადგილი დაიკავა. ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომებიც, თავის მხრივ, მონაწილეობდნენ სომეხი ხალხის ჩამოყალიბებაში. ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულს სომხეთის სახელმწიფო აქემენიანების სპარსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ძვ.წ. 331 წელს, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აქემენიანების იმპერიის განადგურების შემდეგ, სომხეთის სამეფო აღდგა და სომხეთის მთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილი გააერთიანა, მაგრამ ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს სომხეთის სახელმწიფო, დიდი სომხეთის სახელით, სელევკიდების სამფლობელოში მოექცა. სელევკიდების რომაელებთან ბრძოლაში დამარცხებით, ძვ. წ. 189 წელს დიდი სომხეთი სამეფოდ გამოცხადდა და სათავე დაუდო არტაშესიანთა დინასტიას, რომლებსაც სამეფო ტახტი ძვ.წ. I საუკუნემდე ეპყრათ. დიდი სომხეთი განსაკუთრებით გაძლიერდა არტაშესის შვილიშვილის - ტიგრან II დიდის დროს. ტიგრანმა დაასრულა ძირითადი სომხური მიწების გაერთიანება. ძვ.წ. 69 წელს დაიწყო ომი რომის იმპერიასა და სომხეთს შორის. ამ ომში სომხეთი დამარცხდა და დაკარგა მიერთებული მიწები, მაგრამ შეინარჩუნა მხოლოდ ეთნიკური საზღვრები. ძვ. წ. 66 წელს სომხეთმა ხელშეკრულებით სცნო რომის ბატონობა, თუმცა ტიგრანმა შეინარჩუნა ხელისუფლება. ძვ. წ. I საუკუნიდან სომხეთი რომისა და სპარსეთის ბრძოლის ასპარეზად იქცა. ახ. წ. 62 წლიდან სომხეთში აშკანიანების დინასტია დამკვიდრდა. III საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხეთი სასანიანთა ირანის გავლენის სფეროში მოექცა და საუკუნეების განმავლობაში დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა. XIX ს-ის დასაწყისში, რუსეთ - თურქეთის ომის შედეგად, 1829 წელს, თურქ - მანჩაის ზავით, სომხეთი შევიდა რუსეთის იმპერიიის შემადგენლობაში. 1918 წელს ქვეყანა ღებულობს დამოუკიდებლობას, 1920 წლის დეკემბერში მყარდება საბჭოეთის ხელისუფლება, ხოლო 1922 წელს ამიერკავკასიის ფედერაციასთან ერთად შედის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1991 წლიდან დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. 1988 წლიდან ჩართულია სერიოზულ კონფლიქტში აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის გამო. 1993 წლიდან რეგიონის დიდი ნაწილი სომ-

ხეთის მიერ კონტროლირდება და მთიანი ყარაბახის არაღიარებულ რესპუბ-ლიკად არის გამოცხადებული. 1992 წლიდან დსთ-ს წევრია. დიპლომატიური ურთიერთობა გააჩნია 151 ქვეყანასთან. გაერთიანებულია მსოფლიოს 40-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

სომხეთი მმართველობის ფორმით ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა მოსახლეობის მიერ 5 წლის ვადით. პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა კაბინეტის წევრებს. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი ნაციონა-ლური კრება, რომელიც შედგება მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით არჩეული 131 წევრისაგან.

სომხეთი დაყოფილია თერთმეტ ადმინისტრაციულ ერთეულად. მათგან ათი პროვინციაა, რომელთაც სომხურად მარზი ჰქვია (წარმოებულია სპარსული სიტყვისგან Mærz, რომელიც „საზღვარს“ აღნიშნავს: არაგაწოტნი, არარატი, არმა-ვირი, გეღარქუნიქი, ვაიოცძორი, კოტაიაქი, ლორე, სივნიეთი, ტავუში, შირა-კი). ერევანი ცალკეა გამოყოფილი და როგორც ქვეყნის დედაქალაქს, მინიჭე-ბული აქვს განსაკუთრებული სტატუსი. ათი მარზის აღმასრულებლებს მარზ-პეტები ეწოდებათ, მათ სომხეთის მთავრობა ნიშნავს. ერევნის მთავარი აღმას-რულებელი მერია, რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს.

მოსახლეობა

სომხეთში 2020 წლისათვის ცხოვრობდა 3,04 მლნ კაცი. მისი მოსახლეობა დამოუკიდებლობის პერიოდში შემცირდა, დაახლოებით 411 ათასი კაცით. ამჟამად ქვეყნის მოსახლეობა ნელი ტემპით მცირდება. მოსახლეობის ბუნებრი-ვი მოძრაობის კოეფიციენტები საკმაოდ დაბალია (შობადობა - 12,6, სიკვ-დილიანობა - 9,5), ხოლო ბუნებრივი მატება 3,1 პრომილეს შეადგენს (2018 წ.).

გააჩნია არცთუ ისე კარგი დემოგრაფიული მდგომარეობა. მსოფლიოს საშუა-ლო მაჩვენებლებთან შედარებით, დარღვეულია მოსახლეობის სქესობრივ-ასა-კობრივი სტრუქტურა. მოსახლეობის 48,5% მამაკაცები, ხოლო ქალები 51,5% შეადგენენ. 0 - 14 წლამდე ასაკის მოსახლეობაზე მოდის მთელი მოსახლეობის 19,0%, 15 - 64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 69,4%, 65 წელი და მეტი - 11,6% (2018 წ.).

სომხეთი ერთეროვანი ქვეყანაა, სადაც სომხები 98,1%, იეზიდები (ქურთე-ბი) - 1,2%, რუსები - 0,4% და სხვ. ეთნოსის ხალხი. რელიგიური კუთვნილების

მიხედვით, მოსახლეობის 93% სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის, 5% სომხურ-კათოლიკური ეკლესიის და სხვ. რელიგიების აღმსარებელია.

სომხები მსოფლიოში ერთ-ერთი მობილური, კოსმოპოლიტური ერია. ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, ინტენსიურად დაიწყო მოსახლეობის გადინება მსოფლიოს ყველა რეგიონის მიმართულებით. ქვეყნის გარეთ დაახლოებით 11 მლნ სომეხი ცხოვრობს (რუსეთი - 1130 ათასი, საფრანგეთი - 500 ათასი, ირანი 400 ათასი, აშშ - 386 ათასი, საქართველო - 250 ათასი, სირია - 190 ათასი, ლიბანი - 140 ათასი და ა. შ.). სომხური დიასპორა 75 ქვეყანაში არსებობს. ბოლო პერიოდში შეინიშნება გარემიგრაციული პროცესების შემცირების ტენდენციები. მიგრაციის უარყოფითი სალდოს ინტენსიობა 5 კაცია.

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა 1,51 მილიონია, ანუ მთელი მოსახლეობის 49,3%. დასაქმებული მოსახლეობა მეურნეობის დარგების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: სოფლის მეურნეობაში - 36,3%, მრეწველობაში - 17,1% და მომსახურე დარგებში - 46,6%. უმუშევრობის დონე 17%-ია (2017 წ.).

სომხეთი მსოფლიოში ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 102 კაცს ერთ კმ²-ზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი განლაგებულია არარატის ქვაბულში, სადაც ცალკეულ რაიონში სიმჭირდოვე 350 - 400 კაცს აღემატება.

ურბანიზაციის დონე ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია - 63,1%. დიდი ქალაქებია: ერევანი - 1,08 მლნ, ვანადზორი (ყოფილი კიროვაკანი) - 147 ათასი, გიუმრი (ყოფილი ლენინაკანი) - 114,5 ათასი, ვაღარშაპატი (ყოფილი ეჩმიაზინი, სომხურ-გრიგონიალური ეკლესიის ცენტრი და კათალიკოსის რეზიდენცია) - 67 ათასი, რაზდანი - 61 ათასი და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

სომხეთი ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული ქვეყანაა. მისი ეკონომიკა, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა და განვითარდა საბჭოთა პერიოდში. სწორედ ამ პერიოდში მოხდა მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში სერიოზული ძვრები, გაჩნდა მეურნეობის ახალი დარგები, სადაც ნაკლებმასალატევად და შრომატევად მრეწველობის დარგებს მიენიჭა პრიორიტეტი. განსაკუთრებით განვითარდა მანქანათმშენებლობა, ელექტროენერგეტიკა, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. ამასთან, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაშიც განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. დამოუკიდებლობის პერიოდში ქვეყნის მეურნეობის განვითარებას სერიოზული პრობლემები შეექმნა, რის შედეგად მოხდა მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებები, შე-

დეგად, კვების მრეწველობა და სოფლის მეურნეობა გახდა მეურნეობის წამყვანი დარგები. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 11,5 მლრდ დოლარს შეადგენს (2017 წ.). პროდუქციის 16,7% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 28,6 % - მრეწველობაზე და 54,7% - მომსახურე დარგებზე.

მრეწველობა

სომხეთი ენერგორესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი შეზღუდული ქვეყანაა, სადაც არ მოიპოვება არც ერთი სახის სათბობი, ხოლო მოხმარებული ენერგომატარებლები მთლიანად შეაქვს იმპორტის გზით. შეაქვს 465 ათასი ტ ნავთობპროდუქტები და 2,35 მლრდ m^3 გაზი (2017 წ.). საკმაოდ კარგადაა განვითარებული ელექტროენერგეტიკა. ყველა სადგურის საერთო სიმძლავრე 4,1 მლნ კვტ-ია, ხოლო გამომუშავება 7,0 მლრდ კვტ/სთ (2016 წ.). წარმოებული ელექტროენერგიის 58% მოდის თბოსადგურებზე, 32% -ჰესებზე, 9% აეს-ზე, დანარჩენი - სხვა წყაროებზე. ექსპორტში გადის 1,24 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია. უმსხვილესი თბოსადგურებია: რაზდანის გრესი, ერევნის თეცი და სხვ. ჰესები ფუნქციონირებს რაზდანზე (ჰესების კასკადებია) და ვარტანზე. ერევნიდან 30 კმ-ის დაშორებით მეწამორში 1970-იანი წლებიდან ფუნქციონირებს კავკასიაში ერთადერთი ატომური ელსადგური. იგეგმება მეორე ატომური სადგურის მშენებლობაც.

შავი მეტალურგია საერთოდ არ არის განვითარებული. ფერადი მეტალურგიიდან აღსანიშნავია სპილენძის მრეწველობა, რომელიც იყენებს ადგილობრივი ალავერდისა და კაფანის რესურსს. სპილენძის ქარხანა არის ალავერდში. ერევანში ფუნქციონირებს მეორადი ალუმინის ქარხანა. განვითარებულია მოლიბდენის (კონცენტრატების წარმოება) და ოქროს მოიპოვება.

მანქანათმშენებლობა საბჭოთა პერიოდში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული და ორიენტირებული იყო ნაკლებად მასალატევად, აგრეთვე, შრომატევად დარგებზე. ამჟამად განვითარებულია ელექტროტექნიკური, ხელსაწყომშენებლობა, ელექტრონული, რადიოტექნიკური და საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის დარგები (ადრე ერევანში ხდებოდა "ერაზის" ტიპის ნახევრადმსუბუქი ავტომობილების წარმოება). ბოლო წლებში მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოება მინიმუმამდე შემცირდა. მთავარი ცენტრებია ერევანი, გიუმრი და ვანადზორი.

ქიმიური მრეწველობა ეფუძნება როგორც საკუთარ, ისე შემოტანილ სანედლეულო ბაზას. ბოლო პერიოდამდე კარგად იყო განვითარებული ნავთობქიმია, რის ბაზაზეც ერევანში ფუნქციონირებდა ამიერკავკასიაში უმსხვილესი სინთეზური კაუჩუკის ქარხანა, რომელიც დასპეციალიზებული იყო საბურავების

წარმოებაზე. ამჟამად წარმოების მასშტაბები მინიმუმამდეა შემცირებული. განვითარებულია აზოტოვანი სასუქების, ლაქ-საღებავების, გოგირდმჟავას, მედიკამენტების, სინთეზური ბოჭკოების და სხვათა წარმოება. ქიმიური მრეწველობის მთავარი ცენტრი ერევანია.

ხე-ტყის მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, რომელიც, ძირითადად, ფუნქციონირებს იმპორტულ ნედლეულზე. მერქნის მექანიკური დამუშავების უმსხვილესი ცენტრებია იდჟევანი და დილიჟანი. უფრო მეტად განვითარებულია ავეჯის მრეწველობა.

საშენ მასალათა მრეწველობა კარგადაა განვითარებული, რომელიც ეფუძნება საკუთარ სანედლეულო ბაზას. ხდება ვულკანური ქვების - ბაზალტისა და ტუფის მოპოვება - დამუშავება. განვითარებულია მარმარილოს მრეწველობა, მსხვილი ცემენტის ქარხანები არის არარატსა და რაზდანში. საკმაოდ კარგადაა განვითარებული მინის მრეწველობა მთავარი ცენტრია ბიურგავანი.

განვითარებულია საფეიქრო მრეწველობა, რომელიც ნაწილობრივ შემოტანილ ნედლეულზე ფუნქციონირებს. ამიერკავკასიაში უმსხვილესი ბამბეულის კომბინატია გიუმრში, ხოლო შალეულის მრეწველობის ცენტრი ვანადზორია. ისტორიულად სომხეთი ცნობილი იყო ტყავ-ფეხსაცმლის წარმოებით და ძველ პერიოდში მთელ სამხრეთ-დასავლეთ აზიაში გამოირჩეოდა ფეხსაცმლის წარმოებით. ეს დარგი დღესაც საკმაოდ კარგადაა განვითარებული და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია.

კვების მრეწველობის თითქმის ყველა დარგია განვითარებული. საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია კონიაკის, შებოლილილი ხორცის, შებოლილი თევზის და საკონსერვო მრეწველობას. კვების მრეწველობის სხვა დარგები ძირითადად ემსახურება საკუთარ ბაზარს.

სოფლის მეურნეობა

სომხეთი მიწის რესურსებით ერთ-ერთი შეზღუდული ქვეყანაა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს უჭირავს ტერიტორიის 46%, მაგრამ დამუშავებული მიწები 18,7%-ია. დამუშავებული მიწების უმეტესობა სარწყავია. წამყვანი დარგია მემცენარეობაა და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის 61%.

მემცენარეობიდან მნიშვნელოვანია მარცვლეულის მეურნეობა. მოჰყავთ სიმინდი, ქერი, ხორბალი, შვრია და სხვ. მარცვლეული ძირითადად იწარმოება ჩრდილოეთში და ჩრდილო-დასავლეთში. მარცვლეული მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს.

ტექნიკური კულტურებიდან წამყვანია შაქრის ჭარხალი და თამბაქო. მოყავთ ეთერზეთები და სამკურნალო მცენარეები. კარგადაა განვითარებული

მეხილეობა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია კურკოვანი ხეხილის (გარგარი, ატამი, ქლიავი) წარმოებაზე. მევენახეობა, ძირითადად, ქვეყნის სამხრეთ ნაწილშია წარმოდგენილი. საკმაოდ კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა და მებაღჩეობა.

მეცხოველეობიდან წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (0,87 მლნ სული), ძირითადად, სარძევე-სახორცე მიმართულებით. აშენებენ ფრინველს, თევზს, ღორს, ცხენს, ცხვარს და სხვ.

სომხეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საკუთარ მოთხოვნლებებს უზრუნველყოფს მხოლოდ 60%-ით (ხორბალზე - 47%, შაქარზე -.93%, კარტოფილზე -103%, ბოსტნეულზე - 99%, ხეხილზე - 99%, საქონლის ხორცზე - 97%, ღორის ხორცზე - 47%, ცხვრისა და თხის ხორცზე -100%, რძეზე - 86%, კვერცხზე - 97% და სხვ).

ტრანსპორტი

სომხეთს აქვს საკმაოდ ცუდი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა. არ აქვს გასასვლელი ზღვაზე და არ გადის საერთაშორისო მნიშვნელობის კომუნიკაციები. ტრანსპორტის ძირითადი სახეა საავტომობილო (სიგრძე 7792 კმ) და მასზე მოდის როგორც ტვირთბრუნვის, ისე მგზავრთბრუნვის დიდი ნაწილი. სარკინიგზო გზების სიგრძე 780 კმ-ია (ყველა ელექტრიფიცირებულია). საავტომობილო და სარკინიგზო გზებით უკავშირდება მეზობელ ქვეყნებს. მილსადენი ტრანსპორტიდან განვითარებულია გაზსადენი (3838 კმ), რომელიც საქართველოს გავლით შედის რუსეთიდან (ვლადიკავკაზი-თბილისი-ერევანი). იგეგმება დამატებითი ხაზის შეყვანა ირანიდან. არ არის განვითარებული წყლის ტრანსპორტი, თუ არ ჩავთვლით რეკრეაციულ ნაოსნობას სევანის ტბაზე. საკმაოდ კარგადაა განვითარებული საჰაერო ტრანსპორტი, სადაც 11 აეროპორტია, მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობა ერევნის აეროპორტს გააჩნია. საჰაერო ტრანსპორტს, გარდა მგზავრთბრუნვისა, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ტვირთბრუნვის კუთხითაც აქვს. ქვეყნის ყველა რაიონში ფუნქციონირებს ელექტრო-ტრანსპორტის სხვადასხვა სახე.

საგარეო კონომიკური კავშირები

სომხეთის საგარეო ეკონომიკური კავშირები თანდათანობით ფართოვდება. ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის ფორმებიდან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობა. ვაჭრობს 80-ზე მეტ ქვეყანასთან, ხოლო ვაჭრობის ბალანსი 6,2 მლრდ დოლარია. ექსპორტზე მოდის 2,4 მლრდ დოლარი, ხოლო იმპორტზე 3,8 მლრდ დოლარი (2018 წ.). შესაბამისად, გააჩნია ვაჭრობის უარყოფითი სალდო

(3,4 მლრდ დოლარი). მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი –24,2%, ბულგარეთი - 12,8%, შვეიცარია -12%, საქართველო - 6,9%, გერმანია - 5,9%, ჩინეთი - 5,5%, ერაყი - 5,4% და სხვ. იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი -28%, ჩინეთი - 11,5%, თურქეთი - 5,5%, გერმანია 4,9%, ირანი - 4,3% და სხვ. სომხეთს შეაქვს ნავთობი, გაზი, ზოგიერთი ფერადი ლითონი, მანქანა-მოწყობილობები, მარცვლეული, ზოგიერთი ქიმიური ნედლეული, მერქანი, ბამბა და სხვ. გააქვს სპილენძი, ხეხილი, შებოლილი ხორცი, თევზი, კონიაკი, ცემენტი, ბოსტნეული და სხვ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სხვა ფორმებიდან ჩართულია საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო, საერთაშორისო საწარმოო, საერთაშორისო მომსახურებით, საერთაშორისო ტურიზმის და სხვ. საგარეო ვალი 10,4 მლრდ დოლარია (2018 წ.).

შიდა განსხვავებული რაიონები

სომხეთში გამოიყოფა 11 განსხვავებული რაიონი - მარზი (იხ. ნახ. 26).



ნახ. 26. სომხეთის შიდა განსხვავებული რაიონები

1.არაგაწოტნი; 2არარატი; 3.არმავირი; 4.გეღარქუნაქი; 5. კოტაიქი; 6. ლორე; 7. შირაქი; 8.სიუნუქი; 9.ტაური; 10.ვაიოცძორი; 11.ერევანი

წყარო: https://commons.wikimedia.org/wiki/File:Armenia_map_numbered.svg

1. არაგაწოტნი. ფართობი - 2756 კმ², მოსახლეობა - 132,9 ათასი კაცი (2011 წ.). მდებარეობს დასავლეთ ნაწილში. მრეწველობიდან განვითარებულია სამშენებლო ნედლეულის მოპოვება და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია მევენახეობა, მებოსტნეობა და სარძევე მესაქონლეობა. ცენტრი - აშტარაკი (17,2 ათასი კაცი).

2. არარატი. ფართობი - 2090 კმ², მოსახლეობა - 260,4 ათასი კაცი. მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მრეწველობიდან განვითარებულია მარმარილოს მოპოვება, ცემენტის, მსუბუქი და კვების მრეწველობა. მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონია მევენახეობისა და მებოსტნეობის სპეციალიზაციით. ცენტრი - არტაშატი (19,8 ათასი კაცი).

3. არმავირი. ფართობი - 1242 კმ², მოსახლეობა - 265,8 ათასი კაცი. მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მრეწველობიდან განვითარებულია ბირთვული ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და კვების (ღვინის) მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. ცენტრი -არმავირი (28,2 ათასი კაცი).

4. გეღარქუნიქი. ფართობი - 5349 კმ², მოსახლეობა - 235,1 ათასი კაცი. მდებარეობს ცენტრალურ აღმოსავლეთ ნაწილში. მრეწველობიდან მთავარია ელექტროენერგეტიკა, სამშენებლო მასალათა და კვების. სოფლის მეურნეობიდან კარგადაა განვითარებული მეხილეობა, მარცვლეულის, თამბაქოს და სხვ. მოყვანა, აგრეთვე, სამთო-სასაძოვრო მეცხოველეობა. რაიონი ქვეყნის ერთ-ერთი რეკრეაციული რეგიონია. ცენტრი - გავარი (18,7 ათასი კაცი).

5. კოტაიქი. ფართობი - 2086 კმ², მოსახლეობა - 254,4 ათასი კაცი. გააჩნია ცენტრალური მდებარეობა. მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული ელექტროენერგეტიკა, საშენ მასალათა და კვების. სოფლის მეურნეობიდან აღსანიშნავია სახორცე-სარძევე მესაქონლეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა. ცენტრი - რაზდანი (5,7 ათასი კაცი).

6. ლორე. ფართობი - 3799 კმ², მოსახლეობა - 235,6 ათასი კაცი. მდებარეობს ჩრდილო ცენტრალურ ნაწილში. მრეწველობის წამყვანი დარგებია სამთო მოპოვებითი, ფერადი მეტალურგია, სამშენებლო მასალათა, ჰიდროენერგეტიკა და სხვ. სოფლის მეურნეობიდან აღსანიშნავია მარცვლეულის მოყვანა და სახორცე-სარძევე მესაქონლეობა. ცენტრი - რაზდანი (40,4 ათასი კაცი).

7. შირაკი. ფართობი - 2680 კმ², მოსახლეობა - 252,1 ათასი კაცი. მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მრეწველობიდან მთავარია მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის და ხეხილის მოყვანა, აგრეთვე, სამთო-სასაძოვრო მეცხოველეობა. ცენტრი - გიუმრი (114,5 ათასი).

8. სიუნიქი. ფართობი - 4506 კმ², მოსახლეობა - 141,8 ათასი კაცი. მდებარეობს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მრეწველობის წამყვანი დარგებია სამთო მოპოვებითი, ფერადი მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა და კვების. სოფლის მეურნეობის დარგებიდან აღსანიშნავია მეხილეობა, თამბაქოს მოყვანა და სამთო-სასაძოვრო მეცხოველეობა. ცენტრი - კაფანი (42,5 ათასი კაცი).

9. ტუვარი. ფართობი - 2704 კმ², მოსახლეობა - 128,7 ათასი კაცი. მდებარეობს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში. მრეწველობიდან ძირითადად განვითარებულია მსუბუქი (შალეულის) და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან დომინირებს სამთო-სასაძოვრო მეცხოველეობა. ცენტრი - იჯევანი (20,5 ათასი კაცი).

10. ვაიოცძორი. ფართობი - 2308 კმ², მოსახლეობა - 52,3 ათასი კაცი. მდებარეობს სამხრეთ ცენტრალურ ნაწილში. მრეწველობიდან წამყვანია კვების და სამშენებლო მასალათა მოპოვება. სოფლის მეურნეობიდან მეხილეობა, მებოსტნეობა, თამბაქოს მოყვანა და სამთო-სასაძოვრო მეცხოველეობა. არსებული მინერალური წყლების ბაზაზე განვითარებულია რეკრეაციული მეურნეობა. ცენტრი - ეღეგნაძორი (7,5 ათასი კაცი).

11. ერევანი. ადმინისტრაციულ დაყოფაში მინიჭებული აქვს განსაკუთრებული სტატუსი. კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი ქალაქია (ცნობილი იყო ძვ. წ. აღ-მდე VII საუკუნეში). იგი წარმოადგენს ქვეყნის გულს, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტულ და სხვა ცენტრს. თავმოყრილია მოსახლეობის 1/3 ნაწილი, ძირითადი ფონდების თითქმის 65% და იწარმოება სამრეწველო პროდუქციის 70%-მდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 3. აზია

3.1. ზოგადი დახასიათება

აზია მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, რომლის კონტინენტური ნაწილი მთლიანად ჩრდილო განედებშია მოქცეული და ევრაზიის აღმოსავლეთ ნაწილშია განლაგებული. ფართობი - 44 მლნ კმ² (დედამიწის ხმელეთოვანი ნაწილის 29,5%). აზიის ტერიტორია, ძირითადად, კომპაქტურია და მოქცეულია ბუნებრივ საზღვრებში (ჩრდილოეთით - ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე, სამხრეთით - ინდოეთის და წყნარი ოკეანეები, აღმოსავლეთით - წყნარი ოკეანე, ხოლო დასავლეთით - ურალის ქედი).

აზიაში კაცობრიობის ცივილიზაცია სათავეს შორეული წარსულიდან იღებს და პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბება ძვ.წ. III ათასწლეულიდან იწყება. პოლიტიკური რუკის ფორმირება, ძირითადად, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან დაიწყო, როცა თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე კიროს დიდის, ძვ. წ. II-I საუკუნეებში ჩინეთის ტერიტორიაზე - ჰანის, ჩვ. წ. VII-VIII საუკუნეებში არაბთა ხალიფატი, XII-XIII საუკუნეებში - მონღოლთა (ჩინგის ხანის) იმპერიები შეიქმნა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, აზიის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა შიდა პოლიტიკური პროცესებს, რის შედეგადაც დაიწყო აზიის ქვეყნების დანაწევრება, აგრეთვე, ევროპელების მიერ კოლონიზაცია. XX საუკუნის დასაწყისში აზიაში ქვეყნების 54% კოლონიურ მფლობელობაში იყო. ამჟამად აზიაში 43 სახელმწიფოა, რომლებიც ერთმანეთისაგან გეოგრაფიული მდებარეობით, პოლიტიკური მოწყობით, მმართველობის ფორმით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობითა და სოციალურ-ეკონომიკური დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაღალგანვითარებული ქვეყნებია: იაპონია, ისრაელი და კორეის რესპუბლიკა. სოციალისტური ქვეყნებია: ჩინეთი, ჩრდილო კორეის სახალხო რესპუბლიკა, ვიეტნამი და ლაოსი. აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებია: საუდის არაბეთი, კატარი, ომანი და ბრუნეი. დანარჩენი - განვითარებადი ქვეყნებია. აზიიის პოლიტიკურ რუკაზე „ცხელი წერტილებია“ სამხრეთ-დასავლეთ აზიაში (სირია, ერაყი, ისრაელში არაბული სექტორები - პალესტინა, ღაზა და მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპირო), ცენტრალურ აზიაში - ავღანეთი, სამხრეთ აზიაში - ინდოეთსა და პაკისტანს შორის სადაო პენჯაბის შტატი, აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთსა და ტაივანს შორის არის პოლიტიკური დაძაბულობა (ტაივანის დამოუკიდებლობა აღიარა 70-ზე მეტმა ქვეყანამ).

ბუნებრივი პირობები და რესურსები

აზია ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით მეტად გამორჩეული რეგიონია. ტერიტორიის თითქმის 80% მთებსა და ზეგნებს უჭირავს. საშუალო სიმაღლე ზ.დ. 950 მ-ია. მთათა სისტემებიდან აღსანიშნავია - ჰიმალაი (მსოფლიოში უმაღლესი, ჯომოლუნგმა - ევერესტი 8848 მ), პამირი, კუნლუნი, ტიან-შანი, ალტაი, საიანები და სხვ. უდიდესი ზეგნებია - ტიბეტის (საშუალო სიმაღლე 5000 მ), არაბეთის, დეკანის, შუა ციმბირის და სხვ. ვაკე-დაბლობებიდან აღსანიშნავია: დასავლეთ ციმბირის, თურანის, მესოპოტამიის, ინდის, განგის, დიდი ჩინეთის და სხვ. მთიანი ქვეყნებია: ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ავღანეთი, ნეპალი და ბუტანი. აზიის რელიეფის რთული ხასიათი, დანაწევრების და მაღალჰიფსომეტრიულობის გამო, ცალკეულ რეგიონში განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარების საქმეში სერიოზულ პრობლემებს ქმნის.

აზიის ჰავა მეტად მრავალფეროვანი და კონტრასტულია. რეგიონი განლაგებულია ყველა კლიმატურ სარტყელში, მაგრამ ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია არქტიკულ, ზომიერ და ტროპიკულ სარტყლებში. შესაბამისად, ჩრდილოეთში არქტიკული და ზომიერი ჰავაა, ცენტრალურ ნაწილში - ტროპიკული, სამხრეთ აღმოსავლეთში - მუსონური, ხოლო უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთში - სუბეკვატორული და ეკვატორული ჰავა. ჰავის ძირითადი ელემენტების ტემპერატურებისა და ნალექების განაწილება ძლიერ კონტრასტულია. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს +28°C და -16°C ფარგლებში. მინიმუმები ფიქსირდება ოიმიაკონის ქვაბულში -71,2°C (ჩრდილო ნახევარსფეროში სიცივის პოლუსი, დაფიქსირდა 1926 წელს), ხოლო მაქსიმუმები უზბეკეთში (თერმეზში) +47,0°C. მსოფლიოში ყველაზე მეტი ნალექი მოდის ჰიმალაის მთების სამხრეთ ფერდობებზე - ჩერაპუნჯაში - 12000 მმ, ხოლო ყველაზე ნაკლები - თურანისა და ინდის დაბლობებზე 100 მმ. აზიის კლიმატური რესურსები 60°-იანი განედების ჩრდილოეთით სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის შეზღუდულია, ხოლო საუკეთესო პირობები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია, სადაც შესაძლებელია ყველა სახის კულტურის მოყვანა (ცალკეულ ადგილებში ორი-სამი მოსავალი მოდის). კლიმატური რესურსები, ასევე ხელს უწყობს განსახლების, სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და ტურისტული მეურნეობის ფუნქციონირებას.

მინერალური რესურსებით აზია ძალზე მდიდარი რეგიონია. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ნავთობისა და გაზის რესურსებს. ნავთობის დაზვერილი მარაგით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (3/4 ნაწილი). ძირითადი რაიონებია - სპარსეთის ყურე (აზიის მარაგის 88-90%, მათ შორის 1/2 ნაწილი საუდის არა-

ბეთშია), კასპიის ზღვის აუზი, დასავლეთ ციმბირი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. უმსხვილესი საბადოებია საუდის არაბეთში (ჰავრი - 11,9 მლრდ ტ), ირანში (აღა-ჯარი - 10,0 მლრდ ტ), ქუვეიტში (დიდი ბურგერი - 9,3 მლრდ ტ) და სხვ. გაზის რესურსების უპირატესად დიდი ნაწილი ემთხვევა ნავთობის გავრცელების რაიონებს (ირანი, საუდის არაბეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ჩინეთი, ინდონეზია). ქვანახშირის რესურსებით მდიდარი ქვეყნებია: ჩინეთი (შენსინის, კაილუანის, ფუსუნი, ფუშუნი), ინდოეთი, ყაზახეთი (ყარაგანდა), ჩრ. კორეა, სამ. კორეა, ვიეტნამი და სხვ. რკინის მადნით უმდიდრესი ქვეყნებია: ჩინეთი (ანშანი, დუნბეი) ინდოეთი (სინგჰუმი), ყაზახეთი, ირანი, ჩრ. კორეა და სხვ. მარგანეცის რესურსები მოიპოვება ინდოეთში, ყაზახეთში, ირანში და სხვ. ქრომის მარაგით გამოირჩევა ყაზახეთი, თურქეთი, ფილიპინები, ირანი და სხვ. სპილენძის რესურსების დიდი მარაგია ყაზახეთში, ჩინეთში, ინდოეთში, ირანში, თურქეთში; ალუმინის ნედლეული არის ყაზახეთში, ჩინეთში, ინდოეთში ირანში; მსოფლიოში ცნობილი „კალის სარტყელი“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია; ძვირფასი ლითონებით და ქვებით მდიდარია ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, ყაზახეთი და სხვ.

აზიაში წყლის რესურსები არათანაბრადაა განაწილებული. წყლის რესურსებით მდიდარი რეგიონებია: ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი, ხოლო ღარიბი - ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი აზია. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (17,7 მლნ კმ²) გაუდინარ აუზებს მიეკუთვნება (კასპიის ზღვა, არალიის ზღვა, მკვდარი ზღვა, ბალხაშის ტბა). უგრძესი მდინარეა იანძი - 6300 კმ. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია ხუანხე, ინდი, განგი, ტიგროსი, ევფრატი, სირდარია, ამუდარია, მეკონგი, ირავადა და სხვ. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი მაღალია ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ძირითადი სანაოსნო მდინარეებია იანძი და ხუანხე. უმთავრესი სარწყავი მდინარეებია: იანძი, ხუანხე, სირდარია, ამუდარია, ტიგროსი, ევფრატი, ინდი, განგი და სხვ. უმნიშვნელოვანესი სარწყავი არხებია: ჩინეთის დიდი არხი - 1782 კმ (იანძი-ხვანხე, იუნესკოს მემკვიდრეობის ძეგლი), ყარაყუმის არხი (თურქმენეთში მდ. ამუდარიაზე 1375 კმ, მსოფლიოში მეორე), სირდარიის არხი და სხვ. აზიაში ბევრი ტბაა: ბაიკალი (რუსეთის ციმბირულ ნაწილში, მსოფლიოში ყველაზე ღრმა 1642 მ. მტკნარი წყლის უდიდესი მარაგით), კასპიისა და არალიის ზღვა-ტბები, ბალხაში, ისიქ-ყული, ლობნორი და სხვ.

ტყის რესურსები აზიაში არათანაბრადაა განაწილებული. მერქნის მარაგის დიდი ნაწილი ტაიგის სახით არის ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში. ძვირფასი მერქნით მდიდარია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. ტყის რესურსებით შეზღუდული რეგიონებია სამხრეთ-დასავლეთი და ცენტრალური აზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობა

აზია მოსახლეობის რიცხოვნობით (4,46 მლრდ, 2018 წ.) მსოფლიოში ყველაზე დიდი რეგიონია, სადაც უძველესი პერიოდიდან ადგილი ჰქონდა ადამიანთა დასახლებას. მსოფლიოს ცივილიზაციის კერები დიდი მდინარეების - ტიგროსისა და ევფრატის, ინდისა და განგის, იანძისა და ხუანხეს აუზებში ჩამოყალიბდა. აზიის მოსახლეობის დინამიკა უძველესი პერიოდიდან დღემდე საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა. ჩვ. წ. დასაწყისში - 155 მილიონი (მსოფლიოს 67%), 1000 წელს -195 მლნ, 1500 წელს - 260 მლნ, 1800 წელს - 620 მლნ, 1900 წელს - 950 მლნ, 1950 წელს - 1,39 მლრდ, 2000 წელს - 3,68 მლრდ და 2018 წელს - 4,46 მლრდ კაცი (მსოფლიოს 58,3%) ცხოვრობდა. თუ მსოფლიოს მოსახლეობა 1950-2018 წლებში 1,39 მლრდ-დან, 2018 წელს - 7,65 მლრდ-მდე, ანუ 6,26 მლრდ-ით გაიზარდა, აქედან 3,07 მლრდ-მდე, 49% აზიაზე მოდიოდა. XXI საუკუნეში მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 1,4%-ია, როცა აზიის ბევრ ქვეყანაში (ინდოეთი, ბანგლადეში, ავღანეთი, ტაჯიკეთი, პაკისტანი) 2%-ს აღემატება. აზიაში მოსახლეობის რიცხოვნობით უდიდესი ქვეყნებია (2018 წ.): ჩინეთი - 1,38 მლრდ, ინდოეთი - 1,35 მლრდ, ინდონეზია - 266,4 მლნ, პაკისტანი - 200,7 მლნ, ბანგლადეში - 166,7 მლნ, იაპონია - 127,7 მლნ და სხვ.

აზიაში მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა მაღალი ბუნებრივი მატების შედეგია. მსოფლიოში მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყოველ ათას კაცზე 2017 წელს 12,1 პრომილე იყო, როცა აზიაში - 13-14 პრომილეა. ქვეყნების მიხედვით ყველაზე მაღალი ბუნებრივი მატება არის ავღანეთში - 24,5 პრომილე, ტაჯიკეთში - 17,4 პრომილე, პაკისტანში - 15,5 პრომილე, ბანგლადეშში - 13,4 პრომილე და სხვ.

აზიას ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობა გააჩნია, სადაც მამაკაცების ხვედრითი წილი 51,3%, ხოლო ქალების 48,7%-ია (2015 წ.) მამაკაცების წილი განსაკუთრებით მაღალია არაბულ სამყაროში (საშუალოდ 56-57%) და ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში. აზიის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან ახლოსაა. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 28,4%, 15-65 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 64,0%, ხოლო 65 და მეტი ასაკის ჯგუფზე - 8,5% (2015 წ.). ახალგაზრდების ხვედრითი წილი კიდევ უფრო უკეთესია იმ ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი მატება მაღალია. მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლიობა 70 წელია. ამ კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (არა მარტო აზიაში, არამედ მსოფლიოში) იაპონიაშია - 85,5 წელი (ქალები - 89, მამაკაცები - 82,2).

აზია ეთნიკურად ჭრელი რეგიონია, სადაც ათასზე მეტი ეროვნული ხალხი ცხოვრობს და თითქმის ყველა ენობრივ ოჯახს წარმოადგენს. მრავალრიცხოვანი ოჯახებია: ჩინურ-ტიბეტური, ინდოევროპული, ალტაური და სემიტურ-ქამიტური. მრავალეროვანი ქვეყნებია: ჩინეთი, ინდოეთი, მალაიზია, ფილიპინები, პაკისტანი, ავღანეთი, ირანი, ყაზახეთი და სხვ. ერთეროვანი ქვეყნებია იაპონია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეის რესპუბლიკა, იორდანია, ბანგლადეში, მონღოლეთი, საუდის არაბეთი, იემენი, კატარი და სხვ. უდიდესი ერებია ჩინელები (მანდარინი, ხანელები) - 1,25 მლრდ, ჰინდუსტანელები - 588 მლნ, ბენგალიელები - 153 მლნ, იაპონელები - 125 მლნ, არაბები - 115 მლნ და სხვ.

აზიაში ორი ძირითადი ინდოევროპული და მონღოლური რასის ხალხი ცხოვრობს. ინდოევროპული რასის ხალხი ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ, ცენტრალური აზიის დასავლეთით და სამხრეთ აზიაში, ხოლო მონღოლოიდური რასის ხალხი მონღოლეთსა და ტიბეტში ცხოვრობს. აზიაში, სხვა რეგიონებთან შედარებით, გარდამავალი რასის ხალხი ცოტაა.

აზია მსოფლიო რელიგიების სამშობლოა, რომელმაც ძალზე დიდი გავლენა იქონია ხალხთა ტრადიციებზე, კულტურაზე, ზნე-ჩვეულებებსა და პოლიტიკაზე. პირველი მსოფლიო რელიგია ბუდიზმი ინდოეთში წარმოიშვა ძვ. წ. VI საუკუნეში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ძირითად რელიგიას წარმოადგენს. მონოთეისტური რელიგია იუდაიზმი ებრაულ ტომებში ძვ. წ. II საუკუნეში შეიქმნა და იგი მხოლოდ ისრაელშია გავრცელებული. ქრისტიანობა რომის იმპერიაში პირველ საუკუნეში პალესტინაში (იერუსალიმში) ქრისტეს მოვლინების შემდეგ ჩამოყალიბდა. ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო რელიგიაა ისლამი - მუსულმანობა. იგი არაბეთის ნახევარკუნძულზე (მექა და მედინა) ისლამის ფუძემდებელმა მუჰამედმა ჩვ. წ. VII საუკუნეში დააფუძნა. ამ პერიოდისათვის აზიის თორმეტ ქვეყანაში მუსულმანური რელიგია სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული (ირანის ისლამური რესპუბლიკა, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა). აღმოსავლეთ აზიაში ძირითადად სინტოიზმი და ჩინელ ხალხთა რელიგიებია გავრცელებული.

აზიაში ისტორიულად მიგრაციული პროცესები ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა. დაახლოებით 40 ათასი წლის წინ აზიელი ტომების ჩასახლება განხორციელდა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის კუნძულებსა და ავსტრალიაში. ძვ.წ. II-I საუკუნეში მოხდა აზიის მოსახლეობის გადასვლა ბერინგის სრუტის გავლით ამერიკაში. ჩვ.წ. II საუკუნეში დიდ მიგრაციულ პროცესებში ჩართული იყვნენ ჰუნები, რომელთა განსახლება ინდოეთის ჩრდილო ნაწილებიდან დაიწ-

ყო და ექვსი საუკუნის განმავლობაში შავი ზღვის ჩრდილო სანაპირომდე (ყირიმი) დასრულდა. ჩვ.წ. დასაწყისში ციმბირის სამხრეთი და ცენტრალური ნაწილებიდან დაიწყო თურქული ტომების გადასვლა სამხრეთ-დასავლეთი აზიისკენ, რომლებიც ჯერ სპარსეთში, შემდგომ ანატოლიაში და საბოლოოდ, 1453 წელს, კონსტანტინოპოლის აღებით აღმოსავლეთ ევროპაში დასახლდნენ. VII საუკუნეში მოხდა არაბი ტომების გადაადგილება ჩრდილო აფრიკასა და კავკასიაში. X საუკუნეში სამხრეთ ურალიდან ცენტრალურ (უნგრეთი) და ჩრდილო ევროპაში (ფინეთი) გადასახლდნენ ფინო-უგორები, რომლებმაც სათავე დაუდეს უნგრულ და ფინურ ტომებს. XII-XIII საუკუნეში ფართო პოლიტიკური ხასიათის მიგრაციებში ჩაებნენ თათარ-მონღოლები, რომლებიც ცენტრალური აზიიდან აღმოსავლეთ ევროპამდე მივიდნენ და მათი დიდი ნაწილი რუსეთში - ვოლგისპირეთში ცხოვრობენ.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით, XIX საუკუნის 30-იან წლებში, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან, უფრო მეტად - ჩინეთიდან, დაიწყო შრომითი ხასიათის მიგრაციები ამერიკაში („ხუაციაო“), მაგრამ აშშ-ს ხელისუფლებამ მათი მიგრაცია შეზღუდა. რელიგიური ხასიათის მიგრაციებს ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 30-იან წლებში ინდოეთში, როცა ინდოეთს გამოეყო პაკისტანი და აღმოსავლეთი პაკისტანი (შემდგომში ბანგლადეში), რის შედეგად მუსულმანური რელიგიის აღმსარებელი მოსახლეობა ჩასახლდა პაკისტანსა და ბანგლადეშში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდან (1947 წ.) მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან დაიწყო ებრაელთა ვრცელი იმიგრაცია, რომელსაც „ტალღისებური“ ხასიათი ჰქონდა. პირველ ეტაპზე იმიგრანტების რაოდენობა 3,5 მლნ-ს აღემატებოდა. „ბოლო ტალღა“ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განხორციელდა, სადაც 550 ათას კაცამდე ჩასახლდა. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მასობრივ შრომით იმიგრაციას ადგილი ჰქონდა არაბულ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან 9 მლნ-ზე მეტი მუშა-იმიგრანტი ჩასახლდა.

თანამედროვე პერიოდში აზიის მოსახლეობა ცდილობს მუდმივ საცხოვრებლად გადასვლას ევროპაში, ამერიკასა და ავსტრალიაში. უკანასკნელ წლებში, აზიაში პოლიტიკური პროცესების გაუარესებასთან დაკავშირებით, ადგილი აქვს არალეგალურ მიგრაციას. აზიაში ლტოლვილთა ძირითადი წარმომშობი ქვეყნებია სირია, ავღანეთი და ერაყი, ხოლო რეგიონში ლტოლვილთა მთავარი მიმღები ქვეყანები პაკისტანი და თურქეთია.

აზია შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი რეგიონია, უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში შრომითი რესურსების სიჭარბეა. შრომითი რესურსების ხვედ-

რითი წილი მთელ მოსახლეობასთან მიმართებით საშუალოდ 52%-ია, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 46%. დასაქმებული მოსახლეობის სტრუქტურა მეურნეობის დარგების მიხედვით მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან ახლოსაა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 41,4% (სინგაპური - 0,1%, კატარი - 0,2%, ბაჰრეინი - 0,3%, ქუვეიტი - 0,4%, იაპონია - 1%), მრეწველობაში - 23,6% (ქუვეითი - 58,2%, არაბთა გაერთიანებული საემირო - 49,8%, თურქმენეთში - 44,9% საუდის არაბეთი - 44,2%, ჩინეთში - 39,5%, კორეის რესპუბლიკაში - 39,3) და მომსახურე დარგებში - 35%.

მსოფლიოში მოსახლეობის სიმჭიდროვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არეალი აზიაშია, მაგრამ მოსახლეობა საკმაოდ არათანაბრადაა განლაგებული. საშუალო სიმჭიდროვე 102 კაცია ერთ კმ² -ზე (რუსეთის აზიური ნაწილის გარეშე - 136 კაცი). ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაშია, საშუალოდ 600-700 კაცი (ზოგან 2500 – 3000 კაცი). სუსტად დასახლებული რეგიონებია ცენტრალური (ტიბეტი) და სამხრეთ-დასავლეთი აზია. ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი საშუალო სიმჭიდროვეა სინგაპურში - 7615 კაცი, ბაჰრეინში - 1728 კაცი, მალდივის რესპუბლიკაში - 1320 კაცი, ბანგლადეშში - 1159 კაცი, ისრაელში - 409 კაცი, იაპონიაში - 338 კაცი, ხოლო დაბალი - მონღოლეთში - 2 კაცი, ყაზახეთში - 7 კაცი და სხვ. რეგიონში მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე სიღარიბის და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ძირითადი პირობაა.

აზია მსოფლიოში დაბალურბანიზებული რეგიონია, სადაც ქალაქად ცხოვრობს 40,2% (2015), ხოლო ურბანიზაციის ტემპი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან მიმართებით მაღალია და 2,2%-ია. აზიის ტერიტორიაზე, უძველეს პერიოდში, მესოპოტამიაში ადგილი ჰქონდა პირველი ქალაქების ჩამოყალიბების პროცესს (ურუკი, ური, ლაგაში). ქვეყნებს შორის ურბანიზაციის დონე მაღალია სინგაპურში - 100%, კატარში - 99,5%, კუვეიტში - 99,3%, ისრაელში - 91,8%, იაპონიაში - 91,3%, ხოლო დაბალია შრი-ლანკაში - 15,1%, კამბოჯაში - 20%, ავღანეთში - 23,5%, ტაჯიკეთში - 26,5% და სხვ. აგლომერაციების ჩამოყალიბების პროცესი XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში მეგაპოლისების ჩამოყალიბების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. უდიდესი მეგაპოლისები, ანუ მეტროპოლიტენ არეალებია: ტოკიო - 37 მლნ, ახალი დელი - 28,5, შანხაი - 25,5 მლნ და მუმბაი (დიდი ბომბეი) - 22,0 მლნ. დიდი ქალაქებია: შანხაი -19,7 მლნ, სტამბოლი - 13,9 მლნ, ყარაჩი - 12,9 მლნ, მუმბაი - 12,5 მლნ, ბეიჯინგი (პეკინი) - 11,7 მლნ, ტიანძიანი - 11,1 მლნ, გუანცჯოუ - 11,1, დელი - 11,1 მლნ, სეული - 10,6 მლნ, ჯაკარტა - 9,6 მლნ, ტოკიო - 8,9 მლნ და სხვ.

აზიას „მსოფლიო სოფელს“ უწოდებენ, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობს. ამავდროულად, აზიის სასოფლო განსახლება გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით (ტიბეტში 5000 მ-ს ზემოთ), ხალხმრავლობით, ფუნქციური დანიშნულებით და დასახლებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით საკმაოდ განსხვავდება. კომპაქტური სოფლები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (შუა აზია - საკარმიდამო მეურნეობით), ამჟამინდელ სოციალისტურ ქვეყნებში (საკარმიდამო მეურნეობით) და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებშია. დისპერსიული სოფლები ძირითადად ტიბეტში და მთიან რეგიონებშია. ცალკეულ ქვეყანაში (ავღანეთი, მონღოლეთი, პაკისტანი, ირანი, არაბულ ქვეყნებში - ბედუინები) კვლავაც მომთაბარე ტომები ცხოვრობენ, რომელთა საცხოვრებელი ადგილი მუდმივი არ არის, ხოლო საცხოვრებელს იურტა ან კარავი წარმოადგენს.

მეურნეობის ზოგადი დახასითება

აზიაში, პოლიტიკური მოწყობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, საკმაოდ მრავალფეროვანი მეურნეობის ტიპები გვხვდება. აქ არის საბაზრო ეკონომიკა თავისი საერთაშორისო ეკონომიკური კავშირებით, სოციალისტური სახალხო მეურნეობა და ფეოდალურიდან კაპიტალისტურ ურთიერთობაზე გადასვლის მეურნეობის ტიპები. ამავდროულად, ქვეყნები წარმოებული პროდუქციის მოცულობაც საკმაოდ განსხვავდებიან. ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება ჩინეთსა და იაპონიაში. აგრეთვე, „ახალ ინდუსტრიულ“ ქვეყნებში - კორეის რესპუბლიკაში, სინგაპურში, ისრაელში, ინდოეთში, თურქეთში, ტაილანდში, ინდონეზიაში, ფილიპინებსა და არაბულ ქვეყნებში. ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკა თანდათანობით ვითარდება.

აზია მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) წარმოების მოცულობით მსოფლიოში ყველაზე მსხვილი რეგიონია, სადაც 2017 წლისათვის წარმოებული იყო 57,7 ტრილიონი დოლარის (მსოფლიოს 45,4%) პროდუქცია. რეგიონში მშპ-ია მეურნეობის დარგების მიხედვით დაახლოებით შემდეგნაირად ნაწილდება: სოფლის მეურნეობა - 34,4%, მრეწველობა - 24,5% და მომსახურე დარგები - 41,1%.

მრეწველობა

აზიის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი ენერგეტიკაა, რომელიც ეფუძნება მდიდარ სანედლეულო ბაზას. ნავთობის დაზვერილი მარაგით მსოფლიოში პირველ ადგილზეა 85,2 მლრდ ტონა (მსოფლიო მარაგის 2/3

ნაწილი). მარაგის უპირატესად დიდი ნაწილი თავმოყრილია სპარსეთის ყურეში (საუდის არაბეთში - 40,5 მლრდ, ირანი - 12,5 მლრდ, ერაყი - 12,0 მლრდ, კუ-ვეიტი - 12,0 მლრდ, ემირატები - 12,0 მლრდ), კასპიის ზღვის აუზში და სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიაში (ჩინეთი-3,2 მლრდ, ინდონეზია). არის უმსხვილესი საბადოები - ჰავრი (საუდიის არაბეთი) და ბურგასი (კუვეიტი) სადაც მარაგი 10-11 მლრდ ტ-ზე მეტია. რეგიონში საშუალოდ ყოველწლიურად მოიპოვება მიახლოებით 1,25 -1,3 მლრდ ტ (საუდის არაბეთი - 300-350 მლნ, ჩინეთი - 230 მლნ, ირანი - 220 მლნ, ერაყი - 135-218, ქუვეიტი - 125-150 მლნ, კატარი -79, ყაზახეთი - 75, ინდონეზია - 45, ომანი - 43 და სხვ.). მოპოვებული ნავთობის დი-დი ნაწილი გადის ექსპორტში. გაზის მრეწველობის გეოგრაფია ფაქტობრივად ემთხვევა ნავთობის მრწველობას. გაზის დაზვერილი მარაგი საშუალოდ 55 ტრილ $მ^3$ (ირანი - 16, თურქმენეთი - 8, უზბეკეთი - 7, საუდის არაბეთი - 6, აგს - 5,7, ინდონეზია - 2,5, ჩინეთი - 2, მალაიზია - 2), ანუ მსოფლიო მარაგის - 41%. გა-ზის უმსხვილესი მომპოვებლებია: ირანი - 200 მლრდ $მ^3$, ინდონეზია - 85 მლრდ $მ^3$, ჩინეთი - 83 მლრდ $მ^3$, საუდის არაბეთი - 77 მლრდ $მ^3$, თურქმენეთი - 60 მლრდ $მ^3$, უზბეკეთი - 45 მლრდ $მ^3$ (2010 წ.). ნახშირის მრეწველობა კარგადაა განვითარებული ჩინეთში (ქვანახშირის მოპოვებით პირველ ადგილზეა 3,4 მლრდ ტ), ინდოეთში, ყაზახეთში, თურქეთში და სხვ.

სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანაში პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. ელექტროენერგიის წარ-მოებით გამორჩეული ქვეყნებია: ჩინეთი - 4,7 ტრილ/კვტ. სთ (მსოფლიოში პირ-ველ ადგილი. ბოლო წლებში აშენდა მსოფლიოში უდიდესი „სამი ხეობის“ ჰიდ-როელქტროსადგური, სიმძლავრე-24,2 მლნ. კვტ), ინდოეთი - 1,38 მლრდ კვტ/სთ, იაპონია - 843,7 მლრდ კვტ/სთ., კორეის რესპუბლიკა - 526 მლრდ კვტ/სთ., თურქეთი -291,9 მლრდ კვტ/სთ, ირანი -272, 3 მლრდ კვტ/სთ და სხვ. თბოსად-გურებში წარმოებული ელექროენერგიის მაღალი ხვედრითი წილი არის ჩინეთში, ინდოეთში, კორეის რესპუბლიკაში, ინდონეზიაში, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ-დასავლეთი აზიის ქვეყნებში. ჰესების წილი მაღალია ტაჯი-კეთში, ნეპალში, ყირგიზეთში და სხვ. ატომური ენერგეტიკა კარგადაა განვითა-რებული იაპონიაში (მსოფლიოში უდიდესია „ფუკუსუმა 1“, „ფუკუსუმა 2“ - 8,8 მლნ კვტ, „ტახაკამა“-3,4 მლნ კვტ.), კორეის რესპუბლიკაში, ინდოეთში და პაკის-ტანში.

შავი მეტალურგია ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომლის წარმოების მაჩვენებლები ქვეყნებს შორის დიდად განსხვავდება. რკინის მადნით მდიდარი ქვეყნებია ჩინეთი (ანშანი, ბაუტოუ), ინდოეთი (სინგხუმი), ყაზახეთი, ირანი, კორეის რესპუბლიკა, კსდრ, და სხვ. მარგანეცის რესურსების დიდი მარაგი არის

ინდოეთში, ყაზახეთში, ჩინეთში და ირანში. მსოფლიოში შავი მეტალურგიის განვითარებისთვის ყველა საჭირო ნედლეულის ბაზით გამოირჩევა ინდოეთი, სადაც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ლოკალურ ტერიტორიაზე თავმოყრილია ყველა რესურსი. აზიაში საშუალოდ 1,15 მლრდ ტ ფოლადი და 195 მლნ ტ თუჯი იწარმოება. შავი ლითონის პროდუქციის წარმოებით გამოირჩევა: ჩინეთი (ფოლადის წარმოებით პირველი ადგილი- 832 მლნ ტ), იაპონია, ინდოეთი, კორეის რესპუბლიკა, თურქეთი ირანი, ყაზახეთი და სხვ. უმსხვილესი კომპანიებია იაპონიაში („ნიუპენ სტილი“, „ნიუპენ კოკანე“, „სუმიტიმო“), ინდოეთში, ჩინეში და კორეის რესპუბლიკაში.

ფერადი მეტალურგია რეგიონის ბევრ ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი დარგია, რომელიც ეფუძნება როგორც საკუთარ, ისე იმპორტულ ნედლეულს. სხვადასხვა ფერადი ლითონის მადნეულით მდიდარი ქვეყნებია: ჩინეთი, ყაზახეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ხოლო კალის რესურსები გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ყველა ქვეყანაში, ე.წ. „კალის სარტყელში“. სპილენძის წარმოებით გამოირჩევა იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, ყაზახეთი, ირანი, კორეის რესპუბლიკა და სხვ. ალუმინის მრეწველობა კარგადაა განვითარებული იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, კორეის რესპუბლიკაში, თურქეთში, ირანსა და სხვ. სხვა ფერადი ლითონების წარმოება შედარებით კარგადაა განვითარებული დიდ ქვეყნებში, ხოლო კალის მრეწველობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. ძვირფასი ქვების მოპოვება-დამუშავებით გამორჩევა ინდოეთი (ალმასი, ბრილიანტი), ჩინეთი - ჰონკონგი (ბრილიანტი), ისრაელი (ბრილიანტი), ირანი (ზურმუხტი, ფირუზი, ლალი) და სხვ.

მანქანათმშენებლობა აზიის მეურნეობის შედარებით ახალი დარგია, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ზეგავლენით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში - იაპონიაში, ჩინეთსა და კორეის რესპუბლიკაში მსოფლიო ცენტრად ჩამოყალიბდა. მანქანათმშენებლობის ცალკეული კერები ჩამოყალიბებულია ინდოეთში, ისრაელში, სინგაპურში, ფილიპინებში, თურქეთში, ირანში და სხვ. საავტომობილო მანქანათმშენებლობის მსოფლიოს ახალ ცენტრად ჩინეთი ჩამოყალიბდა, სადაც ბოლო წლებში საშუალოდ იწარმოება 27 - 28 მლნ ავტომობილი, როცა იაპონიაში წარმოების მასშტაბები მცირდება (9,2 მლნ). ავტომშენებლობა ასევე კარგადაა განვითარებული ინდოეთში (4,5 მლნ) და კორეის რესპუბლიკაში (4,4 მლნ). იაპონიაში ავტომშენებლობის უმსხვილესი კომპანიებია ,,ტოიოტა“, „ნისანი“, „ჰონდა“, „მაზდა“, „მიცუბიში“ და „სუბარუ“; კორეის რესპუბლიკაში - „ჰუნდაი“ და „კია“; ჩინეთში - „ლიფანი“, „ჩჰერუ“, „გეელუ“, „ჰავალლი“ და სხვ. გემთმშენებლობის საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ იაპონიას, კორეის რესპუბლიკას, ჩინეთს და ფილიპინებს. სხვა სახის სატრანს-

პორტო საშუალებების წარმოებით ზემოთ დასახელებული ქვეყნები ლიდერობენ. მართვად-პროგრამული ჩარხებისა და მანიპულატორების (რობოტების) წარმოებით მსოფლიოში იაპონია და ჩინეთია გამორჩეული. ენერგეტიკული მანქანათმშენებლობა ბევრ ქვეყანაშია განვითარებული, განსაკუთრებით დიდ და ენერგეტიკული რესურსების მომპოვებელ ქვეყნებში. საყოფაცხოვრებო მანქანები, განსაკუთრებით ასაწყობი საწარმოები იაფი შრომითი რესურსების ხარჯზე ბევრ ქვეყანაშია განვითარებული (ფილიპინები, ვიეტნამი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ინდონეზია), მაგრამ საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ იაპონიას („ჰიტაჩი“, ,,ტოშიბა“, „პანასონიკი“), ჩინეთს („ლენოვო“) და კორეის რესპუბლიკას („სამსუნგი“). სასოფლო სამეურნეო მანქანათმშენებლობის ლიდერი ქვეყნებია ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, კორეის რესპუბლიკა, ირანი, თურქეთი და ინდონეზია. მანქანათმშენებლობის პროდუქციის ექსპორტით ცნობილი ქვეყნებია იაპონია, ჩინეთი, კორეის რესპუბლიკა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ფილიპინები, სინგაპური და სხვა.

ქიმიური მრეწველობა აზიის მეურნეობის ახალი დარგია, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სწრაფი ტემპით ვითარდება. შესაბამისად, არსებითი ცვლილებები განხორციელდა სანედლეულო ბაზაში, დარგობრივ სტრუქტურასა და ტერიტორიულ ორგანიზაციაში. ფოსფორიტების მოპოვებით გამოირჩევა ყაზახეთი, იორდანია, ისრაელი და სირია; კალიუმის მარილების - ტაილანდი, ისრაელი და იორდანია; გოგირდის - ერაყი, იორდანია და ფილიპინები; ბარიტის ნედლეული არის - ინდოეთში, ტაილანდში, პაკისტანში, იაპონიაში, ყაზახეთსა და სხვ. რეგიონში განვითარებულია თანამედროვე ქიმიის ყველა დარგი. ძირითადი ქიმია მინერალური რესურსების სპეციალიზაციით კარგადაა განვითარებული ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, პაკისტანში, ირანში, ყაზახეთში, კორეის რესპუბლიკაში, თურქეთში, ინდონეზიასა და სხვ. ორგანული ქიმია (ნახშირწყლები, პლასტმასები, კაუჩუკი, სინთეზური ბოჭკოები, საბურავები) მაღალ დონეზეა წარმოდგენილი ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, კორეის რესპუბლიკაში, ისრაელში, საუდის არაბეთში და სხვ. საყოფაცხოვრებო ქიმია, განსაკუთრებით მინერალური საღებავების წარმოების სპეციალიზაციით ბევრ ქვეყანაშია განვითარებული, განსაკუთრებით ტრადიციული საფეიქრო წარმოების ცენტრებში. ფარმაკოქიმიის საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ - ინდოეთს (უპირატესად ბუნებრივი ნედლეულით), იაპონიას, ჩინეთს, ისრაელს, კორეის რესპუბლიკას, სინგაპურს, ვიეტნამს და სხვ. ქიმიური მრეწველობის პროდუქციის ექსპორტით ცნობილი ქვეყნებია: იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, კორეის რესპუბლიკა, ისრაელი და სხვ. ძირითადი იმპორტიორებია ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები.

აზიაში ქიმიური მრეწველობის უმსხვილესი კომპანია იაპონიაშია -„მიცუბიში ქემიკლ ინდუსტრი“, რომლის ძირითადი საწარმოები განლაგებულია ტოკიოს, ოსაკასა და ნაგოიას რაიონებში.

ხე-ტყის მრეწველობა შედარებით სუსტადაა განვითარებული, რადგან ბევრი ქვეყანა სამრეწველო დანიშნულების მერქნის დეფიციტს განიცდის. მერქნის რესურსებით მდიდარი ქვეყნებია: ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები, იაპონია (მაღალია ტყიანობის კოეფიციენტი - 68%, მაგრამ სამრეწველო დანიშნულების მერქნის დეფიციტია), ჩინეთი, ვიეტნამი და სხვ. ტყის რესურსებით ღარიბია სამხრეთ-დასავლეთი აზიის არაბული და ცენტრალური აზიის ქვეყნები. მერქნის დამზადებით ლიდერი ქვეყნებია: ჩინეთი - 390 მლნ $მ^3$, ინდოეთი - 290 მლნ $მ^3$, ინდონეზია - 195 მლნ $მ^3$ (2010). მერქნის მექანიკური დამუშავების საწარმოები მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია განვითარებული. ავეჯის წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ ჩინეთს, ინდოეთსა და არაბულ ქვეყნებს. ქაღალდის მრეწველობა მაღალ დონეზეა განვითარებული იაპონიაში - 14 მლნ ტ და ჩინეთში - 11 მლნ ტ. რეგიონში ხე-ტყის მრეწველობის უმსხვილესი იაპონური კომპანიაა - „ოძი ფეიფერი“.

საშენ მასალათა მრეწველობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც კერამიკული და ფაიფურის ნაწარმით ძველი პერიოდიდან გამოირჩეოდა, მაგრამ თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენით, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარდება. დარგი მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ: ჩინეთს, იაპონიას, სინგაპურს, კორეის რესპუბლიკას, თურქეთს, მალაიზიას და სხვ. სამშენებლო ინდუსტრიის მიღწევებს მოწმობს იაპონიაში სეისმომედეგი შენობები, ჩინეთში „ჩინეთის ბანკის“ და შანხაის მაღლივი კორპუსები, სინგაპურში საერთაშორისო აეროპორტი, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში „ბურჯ ხალიფა“ (სიმაღლე 828 მ. 126 სართული, მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა) და სხვ.

მსუბუქი მრეწველობა აზიის მეურნეობის უძველესი დარგია, რომელსაც თანამედროვე პერიოდში პრიორიტეტი ჯერაც არ დაუკარგავს. გააჩნია მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის საკუთარი სანედლეულო ბაზა (ბამბა, მატყლი, აბრეშუმი, ჯუთი, ტყავი, ბეწვეული), რომელიც არა მარტო რეგიონს უზრუნველყოფს, არამედ მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპორტში გადის. ამასთან, გამოირჩევა მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო იაფი შრომითი რესურსებით.

განვითარებულია მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგი, რომლებსაც საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნიათ. რეგიონი ბამბეულის ქსოვილების წარმოებით პირველ ადგილზეა და მასზე მოდის მსოფლიო წარმოების არანაკლებ 2/3

ნაწილი. უმსხვილესი მწარმოებლებია: ჩინეთი - 22,4 მლნ მ² (მსოფლიო წარმოების 1/3 ნაწილი), ინდოეთი - 12,3 მლრდ მ², პაკისტანი - 3,4 მლრდ მ², იაპონია - 1,8 მლრდ მ² და სხვ. შალეულის ქსოვილების დიდი ნაწილი ჩინეთზე - 450 მლნ მ² (მსოფლიო წარმოების 11,6%), იაპონია - 360 მლნ მ², ინდოეთი - 105 მლნ მ² და სხვ. აზია აბრეშუმის წარმოების სამშობლოა, საიდანაც დაიწყო აბრეშუმის ქსოვილების ექსპორტი მთელს მსოფლიოში. აბრეშუმის ქსოვილების ვაჭრობით ძველ პერიოდში აზიასა და ევროპას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდა. დარგის განვითარებასთან არის დაკავშირებული უძველესი „აბრეშუმის სავაჭრო გზის“ სახელწოდება. უმსხვილესი მწარმოებლებია იაპონია (2,8 მლრდ მ²) და ჩინეთი (2,6 მლრდ მ²).

აზია ჯუთის ქსოვილების წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (მსოფლიო წარმოების 95%-მდე) უმსხვილესი მწარმოებლებია: ინდოეთი (3,5 მლრდ მ². ძირითადი ცენტრი კალკუტაა, რომელიც ჯუთის დედაქალაქად იწოდება), ჩინეთი, პაკისტანი, ირანი, ავღანეთი და სხვ. ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება სინთეზური ბოჭკოებისგან დამზადებული ქსოვილები, განსაკუთრებით ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში. ამასთან, იწარმოება სხვა სახის ქსოვილებიც. მსუბუქი მრეწველობის უმსხვილესი ცენტრებია - მუმბაი (ბომბეი) კალკუტა, შანხაი, ყარაჩი, თეირანი, სტამბოლი და სხვ.

სამკერვალო მზა პროდუქციის წარმოება მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ ჩინეთს, ინდოეთს, პაკისტანს, თურქეთს, იაპონიას, ირანს, ბანგლადეშს, ვიეტნამს, ფილიპინებს, ინდონეზიასა და სხვ. ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება მაღალ დონეზეა განვითარებული ჩინეთში, ინდოეთში, პაკისტანში, ირანში, ინდონეზიაში, იაპონიაში, კორეის რესპუბლიკასა და სხვ. საიუველირო მრეწველობით გამოირჩევა ინდოეთი (ვერცხლი, ბრილიანტი), ჩინეთი - ჰონკონგში (ოქრო, ბრილიანტი), ისრაელი (ბრილიანტი), ირანი (ფირუზი, ზურმუხტი, ლალი) და სხვ. ინდოეთში, პაკისტანში, ირანსა და სხვა ქვეყნებში საკმაოდ კარგადაა განვითარებული შინამრეწველობა, კერძოდ, ვერცხლისგან, ცვილისგან, ძვირფასი ქვებისგან ამზადებენ სხვადასხვა ნაკეთობებს.

კვების მრეწველობა ინდუსტრიის ერთ-ერთი მაპროფირებელი დარგია, რომელიც სასურსათო პროდუქტებით არა მარტო რეგიონს უზრუნველყოფს, არამედ გარკვეული ნაწილი ექსპორტში გადის. იგი საყოველთაო დარგია და აბსოლუტურად ყველა ქვეყანაშია განვითარებული. აზია კვების მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულით უზრუნველყოფილია, რის შედეგადაც ყველა დარგია განვითარებული და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. საფქვავ-საბურღულე მრეწველობის საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ ჩინეთს, ინდოეთს, პაკისტანს, თურქეთს, ინდონეზიას, ირანს, ყაზახეთს და სხვ. ხორცის

მრეწველობის განვითარებით - ჩინეთი (62,5 მლნ ტ მსოფლიო წარმოების 35%); რძისა და რძის პროდუქტების წარმოებით - ინდოეთი; ზეთის მრეწველობით - ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია (პალმის ზეთი), პაკისტანი, თურქეთი, ირანი, ყაზახეთი; ჩაის წარმოებით - ინდოეთი და შრი-ლანკა; თევზის კონსერვების მრეწველობით - იაპონია, ფილიპინები, ინდონეზია; თამბაქოს მრეწველობით - ინდოეთი, ჩინეთი, თურქეთი და სხვ. აზიაში, განსაკუთრებით, მუსულმანურ ქვეყნებში, სუსტადაა განვითარებული ღვინის და ლუდის მრეწველობა.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა აზიის მეურნეობის უძველესი დარგია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით დღესაც ინარჩუნებს პრიორიტეტს და ცალკეულ ქვეყანაში მეურნეობის წამყვან დარგად რჩება. რეგიონს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მრავალფეროვანი აგრო-კლიმატური რესურსები გააჩნია, რაც მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საშუალებებს იძლევა. აზია მიწის რესურსებითაც უზრუნველყოფილია, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი 53 მლრდ ჰ-ია (მსოფლიოს 39,5%), მაგრამ საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე სახნავი მიწების რაოდენობით (0,12 ჰა) მსოფლიოში დაბალი პოზიციები გააჩნია. აზიაში არის მსოფლიოს სარწყავი მიწების 85% (230 მლნ ჰა, ჩინეთში - 145, ინდოეთში - 43, პაკისტანში - 16, უზბეკეთში - 4). ქვეყნების დიდ ნაწილში ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა, რომელიც ნაკლებად არის უზრუნველყოფილი ტექნიკით და არასასაქონლო პროდუქციას აწარმოებს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 40%-მდე და იძლევა მშპ-ის 35%-ს. ნაკლებაგრარული ქვეყნებია სინგაპური, ქუვეითი, იაპონია (0,2- 1,2%).

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 2/3 ნაწილი. განსაკუთრებული პრიორიტეტი მარცვლეულ კულტურებს უჭირავს. ძირითადი კულტურა ბრინჯია (მსოფლიო წარმოების 88-90%), რომლის წარმოებით გამოირჩევიან ჩინეთი - 196,7 მლნ ტ, ინდოეთი - 133,7 მლნ ტ, ინდონეზია - 64,4 მლნ ტ, ბანგლადეში - 47,7 მლნ ტ, ვიეტნამი - 39,0 მლნ ტ და სხვ. ხორბლის მოყვანის დიდი ნაწილი ჩინეთზე - 131,7 მლნ ტ, ინდოეთზე - 93,5 მლნ ტ, პაკისტანზე -26,0 მლნ ტ, თურქეთზე -20,6 მლნ ტ, ყაზახეთზე - 15,0 მლნ ტ და სხვ. სხვა მარცვლეული კულტურები სიმინდი, ქერი, შვრია, ფეტვი და სხვა ბევრ ქვეყანაში იწარმოება. მთავარი ტექნიკური კულტურაა ბამბა, რომლის წარმოებით გამოირჩევა ჩინეთი - 13,6 მლნ ტ, ინდოეთი - 13,5 მლნ ტ, პაკისტანი - 4,8 მლნ ტ, უზბეკეთი -1,8 მლნ ტ, თურქეთი -1,4 მლნ ტ და სხვ. სხვ. მზესუმზირის მთავარი მწარმოებლებია: ინდოეთი, ჩინეთი, პაკისტანი, ირანი, თურქეთი, ყაზახეთი და სხვ. ჩაის უმსხ-

ვილესი მწარმოებლებია: ჩინეთი 1,01 მლნ ტ, ინდოეთი - 900,1 ათასი ტ, შრილანკა -295,5 ათასი ტ, თურქეთი -174,9 ათასი ტ, ინდონეზია -157,4 ათასი ტ, ვიეტნამი - 116,8 ათასი ტ, იაპონია -88,3 ათასი ტ, ირანი -84, 0 ათასი ტ და სხვ. შაქრის ლერწმის მოყვანის დიდი ნაწილი ინდოეთზე, ინდონეზიაზე, ფილიპინებზე მოდის, ხოლო შაქრის ჭარხლის მთავარი მწარმოებლებია ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, ყაზახეთი, თურქეთი და სხვ. თამბაქოს უმსხვილესი მწარმოებლებია ინდოეთი და თურქეთი. ყავის და კაკაოს წარმოების დიდი ნაწილი ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე მოდის. სანელებლების (პილპილი, ვანილი, მიხაკი) წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნიათ ინდოეთს, ჩინეთს, ინდონეზიას, ფილიპინებს, პაკისტანს და სხვ. მეხილეობა მეტ-ნაკლებად განვითარებულია ყველა ქვეყანაში. კონტინენტური მეხილეობის ძირითადი რაიონია ცენტრალური აზია, ტროპიკული მეხილეობა - სამხრეთ და სამხრეთა-აღმოსავლეთ აზიაში, სუბტროპიკული მეხილეობა - აღმოსავლეთ აზიაში. ოპიუმიანი ყაყაჩოს პლანტაციები არის მიანმარის, ლაოსისა და ტაილანდის საზღვარზე ე.წ. „ოქროს სამკუთხედის რაიონი“, აგრეთვე, ავღანეთსა და ირანში.

მეცხოველეობა ექსტენსიური დარგია, განსაკუთრებით სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთი აზიის რეგიონში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებით ინდოეთი (275 მლნ) და მეღორეობით ჩინეთი (460 მლნ) მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან. მეღორეობა საერთოდ არ არის განვითარებული მუსულმანურ ქვეყნებში. მეცხვარეობა (მეკრაველეობა ცენტრალურ აზიაში) და მეფრინველეობა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი. მეცხენეობის განვითარებით გამორჩეულია მონღოლეთი, ყაზახეთი და საუდის არაბეთი (მსოფლიოში აღიარებული არაბული ჯიშებით). აქლემების მოშენებით ძირითადად გამოირჩევა სამხრეთ-დასავლეთ აზია.

აზიას მსოფლიო ბაზარზე გააქვს ბრინჯი, ხეხილი, სანელებლები, მატყლი, კრაველი, ხორცი, ტყავი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

ტრანსპორტი

აზიაში ტრანსპორტის მასშტაბები განუხრელად იზრდება, რაც სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით, მოსახლეობის რაოდენობით, საწარმოო ძალებისა და ტვირთნაკადების ზრდითაა განპირობებული.

ტრანსპორტის ძირითადი სახე, განსაკუთრებით მთიან ქვეყნებში, საავტომობილოა. საავტომობილო გზების სიგრძით გამოირჩევა ინდოეთი - 4,7 მლნ კმ (მყარსაფარიანი 48%), ჩინეთი - 4,6 მლნ კმ, იაპონია - 1,2 მლნ კმ (მყარსაფარიანი 98-99%). საავტომობილო ტრანსპორტზე თანდათანობით იზრდება ტვირთბრუნვა, ხოლო მგზავრთბრუნვა კვლავაც (გარდა იაპონიისა და კორეის რესპუბლიკისა) დაბალია.

სარკინიგზო კარკასის შექმნა ძირითადად XX საუკუნიდან იწყება, რომელიც მსოფლიოს სხვა რეგიონებთან მიმართებით თანდათანობით ვითარდება. გზების სიგრძით აღსანიშნავია ჩინეთი - 124 ათასი კმ (ელექტრიფიცირებული 80 ათასი კმ, ანუ მსოფლიოს 1/4 ნაწილი), ინდოეთი - 68,5 ათასი კმ (ელექტრიფიცირებული - 23,6 ათასი კმ), იაპონია - 27,3 ათასი კმ (ელექტრიფიცირებული - 4,8 ათასი კმ), ყაზახეთი - 16,1 ათასი კმ. სარკინიგზო ტრანსპორტზე მაღალი ტვირთბრუნვა არის მონღოლეთში (60%), ჩინეთსა და ყაზახეთში, ხოლო დაბალია იაპონიაში (2,3%). მგზავრთბრუნვა განსაკუთრებით მაღალია ინდოეთში (65%), პაკისტანსა და ბანგლადეშში. სარკინიგზო კომუნიკაციები ძალზე მაღალ დონეზეა წარმოდგენილი იაპონიაში, სადაც ჩქაროსნული მატარებლები 250 კმ/სთ-ზე მეტ სიჩქარეს ავითარებენ (იგეგმება ახალი ხაზის მშენებლობა სადაც სიჩქარე 450 კმ/სთ გადააჭარბებს). ბოლო წლებში აგებული იქნა მაგისტრალი „რინკანსენი“, სადაც ცალკეულ მონაკვეთზე დღე-ღამეში 120 წყვილი მატარებელი მოძრაობს. მსოფლიოში ყველაზე მაღალი სარკინიგზო ხაზი ცინხაილჰასასი ჩინეთში (ზ. დ. 5072 მ. ვაგონები აღჭურვილია ჟანგბადის ბალონებით) ტიბეტის რეგიონშია.

მილსადენი ტრანსპორტი ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ნავთობისა და გაზის მომპოვებელ ქვეყნებს გააჩნია. მილსადენი გზების სიგრძით გამორჩეული ქვეყნებია: ჩინეთი (გაზსადენი - 70 ათასი კმ, ნავთობსადენი - 25,5 ათასი კმ), ირანი (გაზსადენი - 22,3 ათასი კმ, ნავთობსადენი - 16,5 ათასი კმ), ინდონეზია (გაზსადენი - 13,1 ათასი კმ, ნავთობსადენი - 7,8 ათასი კმ) და სხვ.

შიდა წყლის ტრანსპორტი ძირითადად დიდ მდინარეებზე - იანძზე, ხუანხეზე, ინდსა და განგზე ფუნქციონირებს. შიდა წყლის ტრანსპორტს განსაკუთრებული დატვირთვა ჩინეთში აქვს, სადაც გზების საერთო სიგრძე 110 ათასი კმ-ია (უმსხვილესი სამდინარო ნავსადგური გუანჩჟოუ).

აზიაში საზღვაო ტრანსპორტის როლი საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაფართოებასთან ერთად იზრდება. საზღვაო ფლოტის ტონაჟით პირველ ადგილზეა იაპონია - 27,1 ბრუტ.რეგ. ტ, ხოლო მეორეზე ჩინეთი - 15,1. უმსხვილესი საზღვაო პორტებია: შანხაი (776 მლნ ტ.), სინგაპური (560 მლნ ტ.), ცინდაო (450 მლნ ტ.), ჰუსანი (320 მლნ ტ.) და სხვ.

საჰაერო ტრანსპორტის როლის ზრდა საკმაოდ შესამჩნევია. უმსხვილესი აეროპორტებია: პეკინის-„შოუდუ“ (89,9 მლნ, მეორე ადგილი), დუბაი - 83,6 მლნ, ტოკიო - 79,7 მლნ, ჰონკონგის (68,3 მლნ), შანხაის „პუდუნი“ (60,5 მლნ), სტამბოლის -„ათათურქის“ (56 მლნ მგზავრი) და სხვ. უმსხვილესი კომპანიაა თურქული ავიახაზები (Turkish Airlines), რომელიც უფრო მეტად ევროპის ბაზარზე ფუნქციონირებს. ელექტროტრანსპორტი დაჩქარებული ტემპით ვითარდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული პრიორიტეტი ელექტროავტომანქანების წარმოებასა და ფუნქციონირებას ენიჭება.

ტურიზმი

ტურიზმი აზიის მეურნეობის შედარებით ახალი, მაგრამ ძალზე სწრაფად განვითარებადი დარგია. შესაბამისად, იზრდება საერთაშორისო ტურისტებისა (420 მლნ ტურისტი) და შემოსავლების (310 მლრდ დოლარი) რაოდენობა. აზიაში გამოირჩევა მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით, რაც საშუალებას იძლევა განვითარდეს თანამედროვე ტურიზმის ყველა სახე. შემეცნებითი ტურიზმი კარგადაა განვითარებული - ჩინეთში, ინდოეთში, თურქეთში, იაპონიაში, სინგაპურში, მალაიზიაში; საზღვაო ტურიზმი - მალაიზიაში, ტაილანდში და თურქეთში (ანტალია, ბოდრუმი, ბელექი). რელიგიური ტურიზმი - საუდის არაბეთსა (მექა და მედინა) და ისრაელში (იერუსალიმი); რეკრეაციული (სპა) ტურიზმი - ჩინეთში, მალაიზიაში, ინდოეთში, თურქეთში, იაპონიაში, ირანსა და სხვ. ტურისტების რაოდენობით გამორჩეული ქვეყნებია: ჩინეთი - 59,4 მლნ, თურქეთი - 37,6 მლნ, მალაიზია - 28 მლნ, ინდოეთი - 25 მლნ, ტაილანდი -14 მლნ, იაპონია - 13 მლნ და სხვ.

აზიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XXI საუკუნეში განვითარების აღმავალ ფაზაშია შესული, რომელიც დემოგრაფიულ პროცესებთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ახალ ტექნოლოგიების დანერგვასთან, თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობასთან, ტექნოპოლისების შექმნასთან და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაფართოებასთან არის დაკავშირებული.

3.1.1. ჩინეთი

ფართობი - 9,6 მლნ კმ²
მოსახლეობა - 1,41 მლრდ კაცი (2021 წ.)
დედაქალაქი - ბეიძინი (პეკინი)

ზოგადი ცნობები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოში უძველესი ქვეყანაა, რომელიც სოციალიზმის გზას კაპიტალიზმის გაუვლელად, 1949 წლის 1 ოქტომბრიდან დაადგა. დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების მასშტაბებით მსოფლიოში პირველი ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე 16700 აშშ დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექ-

სი - 0,738-ს (90-ე ადგილი, 2016 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 23 პროვინციად, 5 ავტონომიური რეგიონად და ცენტრალური დაქვემდებარების 4 ქალაქად. სახელმწიფო ენაა ჩინური (მანდარინი), ფულის ერთეული - იუანი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

ჩინეთი მდებარეობს ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში. ტერიტორია ძირითადად კომპაქტურადაა წარმოდგენილი, რომელიც აღმოსავლეთიდან და-სავლეთით 5700 კმ-ზე, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთით - 3700 კმ-ზე არის გადაჭიმული. გააჩნია საკმაოდ კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, რომლის ძირითადი მახასიათებლებია შემდეგი: გააჩნია პირდაპირი გასასვლე-ლი წყნარი ოკეანის წყლებში, მდებარეობს რეგიონში (ინდოეთის ჩათვლით), სადაც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 1/3 ნაწილი, ქვეყანაზე გადის ტრანსაზიური სატრანსპორტო კომუნიკაციები, აქვს საკმაოდ კარგი მეზობლური და გეოპოლიტიკური მდებარეობა და სხვ. საზღვრების საერთო სიგრძე 36921 კმ-ია, მათ შორის სახმელეთო 22421 კმ-ია, ხოლო საზღვაო 14500 კმ. ესაზღვრება 14 სახელმწიფოს: ჩრდილო-დასავლეთით, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით - ყაზახეთი (1765 კმ), მონღოლეთი (4600 კმ), რუსეთი (4179 კმ) და ჩრდილო კორეა (1252 კმ), სამხრეთით - მიანმარი (2129 კმ), ლაოსი (475 კმ) და ვიეტნამი (1297 კმ), დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით - ყირგიზეთი (1063 კმ), ტაჯიკეთი (477 კმ), ავღანეთი (91 კმ), პაკისტანი (438 კმ), ინდოეთი (2659 კმ), ნეპალი (1389 კმ) და ბუტანი (477 კმ). აღმოსავლეთით და სამხრეთ- აღმოსავლეთით ვრცელი ტერიტორიები ესაზღვრება წყნარი ოკეანის წყლებს. ჩინეთის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 27.

ნახ. 27. ჩინეთის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ჩინეთის ბუნებრივი პირობები მეტად მრავალფეროვანია. ტერიტორიის 4/5 ნაწილი მთებს (1/3 ნაწილი ზ.დ. 3000 მ-ზე მაღალია), ზეგნებსა და მთათაშორისო ქვაბულებს უჭირავს. დასავლეთით ვრცელი ტერიტორიები მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ზეგანს - ტიბეტს უკავია (დიდი ნაწილი 4000 მ-ს აღემატება), რომლის ჩრდილო ნაწილში განედობრივად გაუყვება კუნლუნის, ხოლო სამხრეთით ჰიმალაისა და ყარაყორუმის მთები. ჩრდილო-დასავლეთით ჯუნგარიის და კაშკაგარის ვაკეები და თაკლა-მაკანის უდაბნოა, ჩრდილოეთით - გობის უდაბნო, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით - დიდი და მცირე ხინგანის მთები და დაბლობები. აღმოსავლეთით მდინარეების ხუანხესა და იანძის ქვემო წელის შუამდინარეთში ვრცელ დიდი ჩინეთის ვაკე-დაბლობია გადაჭიმული, რომელსაც ქვეყნისათვის უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნია. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი ძირითადად მთათაშორისო ქვაბულებითა და მდინარეთა ფართო ვაკე-ხეობებით არის წარმოდგენილი.

ჩინეთი მინერალური რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა, სადაც მოიპოვება თითქმის ყველა სახის წიაღისეული. მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია ენერგეტიკულ რესურსებს, განსაკუთრებით ცნობილია ქვანახშირით (მარაგი 1,5 ტრილიონი ტ, აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი), რომლის საბადოები (300-ზე მეტი) ყველა პროვინციაშია (ტიბეტის გარდა) გაფანტული. მათ შორის უმდიდრესია ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის სამრეწ-

ველო რაიონებში მდებარე შანხაის, შენსინის, კაილუანის, ფუშუნისა და ფუსი-ნის აუზები. ნავთობის მარაგი შეფასებულია 3 მლრდ ტონით. ძირითადი საბა-დოების ქვეყნის ჩრდილოეთ (ბოხაის უბე), ჩრდილო-აღმოსავლეთ, აგრეთვე, შიდა რაიონებში (ჯუნგარისა და ცაიდამის ქვაბულები). უმსხვილესი საბადოა დანცინი, რომელზედაც მოდის მთელი ნავთობმოპოვების 1/3 ნაწილი. გაზის მარაგი შეფასებულია 200 მლრდ m^3 - ით, რომლის საბადოები ძირითადად თანხ-ვედრილია ნავთობის გავრცელების რაიონებში, ხოლო მოპოვების დიდი ნაწი-ლი სიჩუანის ქვაბულში მოდის. მსოფლიო მნიშვნელობა საწვავ ფიქლების მა-რაგს გააჩნია, რომლის დიდი ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთშია განლაგებული. ქვეყანაში 200-ზე მეტი ურანის საბადოა.

მადნეული წიაღისეულიდან მსოფლიო მნიშვნელობა რკინის მადნის სამ-რეწველო მარაგს გააჩნია (საერთო მარაგი 50 მლრდ ტ), უმსხვილესი საბადოებია ჩრდილო-აღმოსავლეთით (ანშანი) და შიდა მონგოლეთში (ბაუტოუ). უმდიდ-რესია მანგანიუმის (მსოფლიო მარაგის 10%) და ვოლფრამის (მსოფლიო მარაგის 45%) მარაგითაც, რომლის საბადოები ძირითადად სამხრეთ პროვინციებშია (ძიანსი). მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს კალის (გეძიუ) და სურმის (ხუნანის პროვინციაში) მარაგით. მოლიბდენის მარაგით მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება (ჩრდილო-აღმოსავლეთში). საკმაოდ მდიდარია სპილენძის, ბოქსი-ტების, ტყვია-თუთიის, კაოლინის და ძვირფასი ლითონების რესურსებით. ქვე-ყანა შედარებით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი ქრომიტებით, ნიკელით, კო-ბალტით, ტიტანით, ცირკონიუმით, ტანტალით, ბისმუტით და სხვა სტრატე-გიული ნედლეულით. არამადნეული წიაღისეულიდან უმდიდრესია ქვამარი-ლით (100 მლრდ ტ) და გრაფიტით. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოიპოვება თითქმის ყველა სახის სამთო ქიმიური და სამშენებლო მინერალური ნედ-ლეული.

ჩინეთის ჰავის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს მისი მდებარეობა ზო-მიერ, სუბტროპიკურ და ტროპიკულ სარტყლებში. ჩრდილოეთ, ჩრდილო-და-სავლეთ და დასავლეთ რეგიონებში მკვეთრად კონტინენტური ჰავაა, სადაც ტემპერატურის წლიური და დღეღამური ამპლიტუდები მაღალია. აღმოსავ-ლეთში ჰავა მუსონურია, სადაც დამახასიათებელია ცხელი ზაფხული ნალექე-ბის დიდი რაოდენობით. ზაფხული აქ ყველგან ცხელია, ხოლო ზამთარი - ჩრდილოეთ ნაწილში ცივია (იანვრის საშ. ტემპერატურა -30°C), ცენტრალურში - გრილი, ხოლო სამხრეთში თბილი (+18°C). ნალექების საშუალო რაოდენობა საკ-მაოდ მერყეობს, ყველაზე ნაკლები 100 მმ მოდის ჩრდილო-დასავლეთის უდაბ-ნოების ზონაში, ხოლო მაქსიმალური 1400-2000 მმ სამხრეთ-აღმოსავლეთში. ნიადაგურ-კლიმატური რესურსების მრავალფეროვნება სოფლის მეურნეობის

განვითარებისათვის, განსაკუთრებით, ჩინეთის დიდ ვაკეზე საუკეთესო პირობებს ქმნის. სამხრეთ რეგიონებში შესაძლებელია 2-3 მოსავლის მოყვანა. კლიმატური რესურსები ასევე ხელს უწყობს მოსახლეობის განსახლებას (ამ კუთხით შეზღუდვები ტიბეტში და ჩრდილო-აღმოსავლეთშია), ტრანსპორტისა და ტურიზმის ფუნქციონირებას. ჰავის უაროყოფით გამოვლინებას წარმოადგენს ტაიფუნები, მშრალი ქარები, გვალვები, წყალდიდობები, წაყინვები და სხვ.

წყლის რესურსების საერთო მოცულობით მსოფლიოში რუსეთის, ბრაზილიის და აშშ-ს შემდეგ მეოთხე ადგილზეა (50 ათასზე მეტი მდინარე, საერთო სიგრძე 227 ათასი კმ), მაგრამ ერთ სულზე წყლის უზრუნველყოფით (2500 $მ^3$ წელწადში), ერთ-ერთ დაბალ დონეზეა. წყლის რესურსები არათანაბრადაა განაწილებული, მდიდარია აღმოსავლეთი, ხოლო ღარიბი - ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი პროვინციები. ტერიტორიის 64%-დან მდინარეები წყნარ ოკეანეში ჩაედინება, რომელთა შორის აღსანიშნავია: იანძი (ყველაზე გრძელი 6300 კმ და წყალუხვი), ხუანხე, სიძიანი, მეკონგი და სხვ. ტერიტორიის 34%-ზე არსებული მდინარეები ჩაედინება ტბებში და უდაბნოებში იკარგება. ქვეყანაში ბევრი ტბაა (დუნტინხუ, პოიანხუ, ტაიხუ, კუკუნორი), რომელთა საერთო ფართობი 80 ათას $კმ^2$-ს აღემატება. წყლის რესურსების სამეურნეო გამოყენება საკმაოდ მაღალია. მდინარეთა საერთო ჰიდროპოტენციური მარაგი 300 მლნ კვტ-ს შეადგენს. სარწყავად ძირითადად აღმოსავლეთის მდინარეები, განსაკუთრებით იანძი და ხუანხე გამოიყენება, რომლებიც ერთმანეთთან დიდი ჩინეთის სარწყავი არხით არიან დაკავშირებულნი. ნაოსნობა ძირითადად იანძზე და ხუანხეზე მიმდინარეობს.

ტყის რესურსებით შეზღუდული ქვეყანაა (10%), რაც ნაწილობრივ ტყის გაჩეხვის შედეგად არის განპირობებული. ტყიანობის შედარებით მაღალი კოეფიციენტი ჩრდილო- აღმოსავლეთში (წიწვოვანი ტყე) დიდი და მცირე ხინგანის მთებშია (60%), ხოლო დაბალი - ტიბეტში და უდაბნოების ზონებში. სამხრეთ-აღმოსავლეთში ტროპიკული და სუბტროპიკული ფოთლოვანი ტყეებია. ქვეყანაში ტყის მასობრივ გაშენებას დიდი ყურადღება ექცევა.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ჩინეთი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერაა, ხოლო ჩინური სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ისტორია 40 საუკუნეს ითვლის. მსოფლიო ცივილიზაცია ბევრითაა დავალებული ჩინელებისაგან: მათ გამოიგონეს ქაღალდი და დენთი, საბანკო კრედიტი, ქაღალდის ფული და კომპასი, ბეჭდვის ტექნოლოგია, ლაქ-საღებავი, ფაიფური, აბრეშუმი, ფოიერვერკი და სხვ. სუნ ძუს „ომის

ხელოვნება“, დაწერილი ძვ.წ. VI საუკუნეში, დღემდე ადამიანთა ეფექტური მართვის უმნიშვნელოვანეს დოქტრინად ითვლება.

ქვეყნის ისტორია, უძველესი ხელნაწერების მიხედვით, დაახლოებით 5000 წლის წინ ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბებით დაიწყო. ჩინეთი ერთი დიდი სამეფოს იმპერიის ქვეშ დაახლოებით 2000 წლის წინ გაერთიანდა იმპერატორ ცინ შიუანდის მიერ, დამწერლობის სისტემის იძულებითი დადგენის (ძვ. წ. 200 წელს) და კონფუციანიზმზე დამყარებული სახელმწიფო იდეოლოგიის (ძვ. წ. 100 წელს) ჩამოყალიბების შემდეგ. საუკუნეების განმავლობაში ჩინეთის ტერიტორიაზე რამდენიმე დინასტია მმართველობდა (სიას დინასტია ძვ. წ. 2200-1750 წწ., შინის დინასტია ძვ. წ. 1750-1040 წწ., ჯოუს დინასტია ძვ.წ. 1100-771 წწ., აღმოსავლური ჯუის დინასტია ძვ.წ. 771-256 წწ. (შესუსტების შემდეგ ყალიბდება დაოსიზმი, კონფუციანიზმი და ლეგალიზმი), ცინის დინასტია ძვ.წ. 221-207 (ცინ შიხუანდმა დაამთავრა ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა), ჰანის დინასტია ძვ. წ. 206 -ახ.წ. 220 წწ.

ახ.წ. III -IV საუკუნეებში ფეოდალური ჩინეთი რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა. ხანგრძლივ დაქუცმაცებას და შინაომებს ბოლო მოეღო VI საუკუნეში, როდესაც მხედართმთავარმა იან ძიანმა სუის დინასტიის (581-618) გამგებლობას დაუქვემდებარა მთელი ჩინეთი (589). სუის დინასტია შეცვალა ტანის დინასტიამ (618-907), ხოლო ტანის იმპერია შეცვალა სუნის იმპერიამ (960-1279). სუნის პერიოდში ჩინეთმა დაკარგა ბატონობა ვასალურ ტერიტორიებზე, გახშირდა ჯურჯენებისა და სხვა ტომების (ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან) თავდასხმები, ხოლო კიდანებმა იმპერიას ჩამოაჭრეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები. XIII საუკუნის დამდეგისათვის დაიწყო მონღოლთა შემოსევები. მონღოლებმა დაიპყრეს ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთი, 1279 წელს კი ბოლო მოუღეს სუნის დინასტიას. გაბატონდა მონღოლთა დინასტია იუანი (1280-1368). მონღოლმა ფეოდალებმა ჩინეთში დაამყარეს სასტიკი ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის რეჟიმი, რამაც დროებით შეაფერხა მისი განვითარება. ჩინელი ხალხი ხანგრძლივ ბრძოლას ეწეოდა მონღოლთა წინააღმდეგ. აჯანყების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯუ იუნჯანმა 1368 წელს დამპყრობთა განდევნის შემდეგ დააარსა მინის დინასტია (1368-1644). XVI საუკუნიდან ჩინეთში აღწევენ ევროპელები. 1516 წელს ჩინეთში ჩავიდნენ პორტუგალიელი კოლონიზატორები, 1557 წელს მათ იჯარით აიღეს ჩინეთის ნავსადგური აომინი (მაკაო-ჩინეთის შემადგენლობაში 1999 წლიდანაა). პორტუგალიელებს მიჰყვნენ ესპანელები, ჰოლანდიელები, ფრანგები და ინგლისელები. 1839 წელს მკვეთრად გამწვავდა ინგლის - ჩინეთის ურთიერთობა. ამის საბაბი გახდა ჩინეთის ხელისუფალთა მიერ ოპიუმით ვაჭრობის აღკვეთა. პა-

სუხად ინგლისელებმა 1840 წელს ომი გააჩაღეს ჩინეთის ჩინაღმდეგ (ე. წ. 1840-1842 წწ. „ოპიუმის“ ომი), ჩინეთი ამ ომში დამარცხდა. 1842 წლის 29 აგვისტოს, ნანკინის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებით, ჩინეთი ვალდებული იყო გაეხსნა ინგლისთან ვაჭრობისათვის 5 ნავსადგური, გადაეცა მისთვის კუნძული სიანგანი (ჰონგ-კონგი, ჩინეთის შემადგენლობაშია 1997 წლიდან). 1844 წელს ჩინეთმა ხელშეკრულებები დადო აშშ-სა და საფრანგეთთან, რომლითაც ამ ქვეყნებმა მიიღეს ინგლისის ანალოგიური პრივილეგიები. ინგლისთან ომში დამარცხებამ და თავზე მოხვეულმა არათანასწორუფლებიანმა ხელშეკრულებებმა სათავე დაუდეს ჩინეთის ნახევრად კოლონიურ ქვეყნად გადაქცევას.

ჩინეთში მაო ძე დუნის ხელმძღვანელობით, 1949 წლის 1 ოქტომბერს (ეროვნული დღესასწაულის დღე) კაპიტალიზმის გაუვლელად სოციალიზმი დამყარდა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა. 1949 წელსვე, მიღებულ იქნა საბჭოური ტიპის კონსტიტუცია. 1945 წლიდან გაეროს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა. 80-იან წლებში კომუნისტმა-რეფორმატორებმა გაატარეს ეკონომიკური რეფორმები და ჩინეთმა გიგანტური ნაბიჯებით იწყო წინსვლა. რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემას და თავისუფლებებს. ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს ტაივანთან და ტიბეტთან ურთიერთობებში.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ - ტერიტორიული დაოფა

ჩინეთი სოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი რესპუბლიკური მმართველობის ფორმის ქვეყანაა. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობათა კრება (სჩწკ-2987 წევრი, მსოფლიოში უდიდესი პარლამენტი), რომელიც ირჩევს სახელმწიფოს მეთაურს - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) თავმჯდომარეს, კრების მუდმივ კომიტეტსა და მის თავმჯდომარეს, ამტკიცებს აღმასრულებელ ხელისუფლებას - სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობას და პრემიერს.

ადმინისტრაციულად იყოფა 23 პროვინციად (ანხოი, განსუ, გუანდუნი, გუანჩჟოუ, ფუცზიანი, ჰაინანი, ჰებეი, ჰეილუნცზიანი, ჰენანი, ჰუბეი, ჰუნანი, ცზიანსუ, ცზიანსი, გირინი, ლიაონინი, ცინხაი, შანსი, შანდუნი, შენსინი, სიჩუანი, იუნინანი, ჩჯეციანი, ტაივანი (ტაივანთან არის პოლიტიკური შეუთანხმლობლობა და მისი იურიდიქცია არ ვრცელდება. ტაივანი დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარებული აქვს 70 ქვეყანას); 5 ავტონომიურ რეგიონად (შიდა მონღოლეთი, სიცზიან-უიგური, გუანსი-ჩჟუანი, ნინსია ხუზისკის, ტიბეტი); 4 მუნიციპალიტეტად (ბეიძინი-პეკინი, ჩუნცინი, შანხაი, ტიანცზიანი); 2 სპეციალურ ავტონომიურ რეგიონად (ბრიტანეთის ყოფილი კოლონია ჰონგ-კონგი - სიან-

განი, 1997 წლიდან და პორტუგალიის ყოფილი კოლონია მაკაო – აომინი, 1997 წლიდან ჩინეთის შემადგენლობაშია). ჩინეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფა იხ. ნახ. 28.

ნახ. 28. ჩინეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულები
წყარო: ru.wikipedia.org)

მოსახლეობა

ჩინეთს მოსახლეობის რიცხოვნობით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს, სადაც 1,41 მლრდ კაცი ცხოვრობდა (2021 წ.). XX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის ზრდის ტემპით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა იყო (1949 წელს, 540 მლნ კაცი). მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა უწინარესად მაღალი ბუნებრივი მატების ხარჯზე განხორციელდა, კერძოდ, 1950 – 1970 წლებში ბუნებრივი მატება ყოველ ათას კაცზე 19 პრომილიდან, 26 პრომილამდე გაიზარდა. ქვეყანაში გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად 80-იანი

წლებიდან შეინიშნება ბუნებრივი მატების ტემპის დაცემა (1987 წ. 14,4 პრომილე), რომელიც თანდათანობით მცირდება (2018 წ. 4,1 პრომილე). თანამედროვე პერიოდში მოსახლეობის დინამიკაზე გარკვეულწილად გარემიგრაციული პროცესებიც ახდენს გავლენას.

ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებას მოსახლეობის ჯანსაღი დემოგრაფიული სტრუქტურა განსაზღვრავს, კერძოდ, მამაკაცებზე მოდის მოსახლეობის 51,4%, ხოლო ქალებზე - 48,6%. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 17,2% (70-იან წლებში 34%), 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 71,5%, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკობრივ ჯგუფზე 11,3%. ბოლო წლებში შეინიშნება ახალგაზრდა კონტიგენტების შემცირების ტენდენციები. სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 73 წელია.

ჩინეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია, მაგრამ ერთეროვან ქვეყნად ითვლება, რადგან მოსახლეობის 91,6% ჩინელები, ანუ ხანელები (მანდარინი) შეადგენენ. გარდა ჩინელებისა, 60-ზე მეტი სხვადასხვა ერის ხალხი (ჩჟუანები-1,2%, ჰენები, მონღოლები, უიგურები, მაიოები, ტუცზები, ტიბეტელები, დინგები, იაოები, კორეელები, ჰანელები, ლიები, დაები და სხვ.) ცხოვრობს, რომლებიც 12 ენობრივ ჯგუფს და 5 ენობრივ ოჯახს მიეკუთვნებიან. ეთნიკური გეოგრაფია საკმაოდ ერთგვაროვანია. ჩინელების უპირატესად დიდი ნაწილი აღმოსავლეთით, კარგი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყნის 2/5 ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობს, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები - დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთში.

რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით - ბუდისტები - 18,2% , ქრისტიანები - 5,1%, მუსლიმები - 1,8%, სხვადასხვა ხალხთა რელიგიები - 21,1%, ხოლო დანარჩენი - 53,8% არ აღიარებს არც ერთ რელიგიას (ათეისტებია).

ჩინეთის მოსახლეობისთვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციული პროცესები. დიდია ჩინური ემიგრაცია ქვეყნის გარეთ „ხუაციაო“ (ჩინეთიდან წასული ემიგრანტები), რომელთა საერთო რაოდენობა 65 მილიონამდეა. ჩინური დიასპორა ყველაზე მეტი აშშ-ში 14 მლნ, რომლებიც XIX საუკუნეში სარკინიგზო მაგისტრალების აშენების მიზნით ჩაიყვანეს. ჩინელები ცხოვრობენ ინდონეზიაში, მალაიზიაში, ტაილანდში, სინგაპურში, რუსეთში და სხვ. თანამედროვე პერიოდში კვლავაც ადგილი აქვს ემიგრაციულ პროცესებს, რომლის ინტენსიობა ყოველ ათასზე 7 კაცია.

ჩინეთი შრომითი რესურსებით მსოფლიოში ყველაზე უზრუნველყოფილი ქვეყანაა, რომელთა საერთო რაოდენობა 806,7 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის 58,4% შეადგენს (2017 წ.). ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შრომითი რესურსების განაწილებაში მეურნეობის დარგების მიხედ-

ვით, კერძოდ, მცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა. 2016 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 27,7%, მრეწველობაში - 28,8% და მომსახურე დარგებში -43,5 %. უმუშევრობის დონე 3,9%, რომელთა უპირატესად დიდი ნაწილი საქალაქო დასახლებებზე მოდის.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება საკმაოდ უთანაბროა. მოსახ-ლეობის 90%-ზე მეტი 105°-იანი მერიდიანის აღმოსავლეთით, ანუ ტერიტორიის 1/3 ნაწილზე ცხოვრობს. საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 144 კაცია. მაღალი სიმჭიდროვე სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებშია, სადაც ცალკეულ რაიონში 1 კმ²-ზე 1600-2000 კაცია. დასავლეთის პროვინციებში საშუალო სიმჭირდოვე 11-12 კაცია, ხოლო ტიბეტში 2 კაცამდე. ჩინეთში მსოფლიოს მასშტაბით მაღალია ვერტიკალური განსახლებაც, კერძოდ ტიბეტში ცალკეული მუდმივი სასოფლო დასახლებები ზ.დ. 4500 მ-ის ზემოთ მდებარეობს.

ჩინეთი მაღალურბანიზებული ქვეყანა არ არის, მაგრამ ურბანიზაციის ტემპი საკმაოდ მაღალია (2,4%). 1949 წელს ქალაქად მოსახლეობის მხოლოდ 11% ცხოვრობდა, როცა ეს მაჩვენებელი 2018 წლისათვის 59,2% იყო. სწრაფი ტემპით ვითარდება აგლომერაციები, რომლებიც აღმოსავლეთ სანაპირო რაიონებში მეგაპოლისებს აყალიბებს. ქვეყანაში 50-მდე ქალაქი „მილიონერია“, რომელთა შორის გამოირჩევა შანხაი - 25,6 მლნ, ბეიძინი (პეკინი) - 19,6 მლნ, ჩუნცინი - 14,8 მლნ, ტიანძიანი -13,2 მლნ, გუანდუნი -12,6 მლნ, შენჩჟინი -11,9 მლნ და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ჩინეთი მეურნეობრივი განვითარების მიხედვით ინდუსტრიულ-აგრარუ-ლი ქვეყანაა, სადაც ეკონომიკაში სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წილი მა-ღალია. მეურნეობა, ფაქტობრივად, სოციალიზმის პერიოდში ჩატარებული რე-ფორმების შედეგად განვითარდა, რის შედეგადაც ეკონომიკაში განხორციელდა დარგობრივი და ტერიტორიული ცვლილებები. პრიორიტეტი მძიმე ინდუსტ-რიას და სოფლის მეურნეობას მიენიჭა, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის მოდერნიზაციის პირობებში ვითარდებოდა. ბოლო წლებში მეურნეობრივ გან-ვითარებაზე დადებითი როლი ზღვისპირა პროვინციებში სპეციალური ეკონო-მიკური და სავაჭრო ზონების შექმნამ ითამაშა, სადაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები შეიქმნა. ქვეყნის მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული მასშტაბები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად დანერგილი ტექნოლოგიური ცენტრების შექმ-ნამ უზრუნველყო. პეკინის ჩრდილოეთით ჰაიდიანის რაიონში ფუნქციონირებს „სილიკონის ხეობა“, აგრეთვე, ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური პარკები ქვეყნის სხვადასხვა რიაონში მდებარეობს. ჩინეთმა მსოფლიოს „აბრეშუმის ახალი

გზების ეკონომიკური სარტყლისა და XXI საუკუნის აბრეშუმის საზღვაო გზ-ბის“ გლობალური ეკონომიკური ინიციატივა - „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ წარუდგინა. ჩინეთი „აბრეშუმის ახალი გზების პროექტით“ 2049 წლამდე (ჩსრ-ს შექმნის 100 წლისთავზე) მეურნეობის რადიკალურ გარდაქმნა დაგეგმილია არა მარტო, ქვეყნის არამედ, მსოფლიოს მასშტაბით. ამ დროისათვის ჩინეთის კაპიტალი ჩადებულია მსოფლიოს ყველა რეგიონში, მათ შორის ევროპაშიც, სადაც აკონტროლებს ევროპის საზღვაო პორტების 10% - ს.

ჩინეთი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ყველა ფორმით აქტიურადაა ჩართული მსოფლიო მეურნეობაში. უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 280 მლრდ დოლარს გადააჭარბა, რომელთა 70%-მდე ზღვისპირა რაიონებზე მოდის. ამასთან, ჩინური 105 მლრდ დოლარის კაპიტალის ბაზაზე მსოფლიოს 156 ქვეყანაში ფუნქციონირებს 4 ათასზე მეტი საწარმო. გამომდინარე აქედან, ეკონომიკის ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია და საშუალოდ 7-8%-ია. ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ძვრების შედეგად, მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობით, მსოფლიოში პირველ ადგილზეა - 23,2 ტრილიონი დოლარი (2018 წ.). წარმოებული პროდუქციის 7,9% - სოფლის მეურნეობაზე, 40,5% - მრეწველობაზე და 51,6% - მომსახურების სფეროზე მოდის.

მრეწველობა

ჩინეთის მრეწველობის ერთ-ერთი ძირითადი სპეციალიზაციის დარგი ენერგეტიკაა, რომელიც მდიდარ სანედლეულო ბაზას ეფუძნება. სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში კვლავაც წამყვანია ნახშირი (60%), რომლის როლი თანდათანობით მცირდება. ქვანახშირის მოპოვებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (3,9 მლრდ ტ 2013 წ.). იზრდება ნავთობის როლი ენერგეტიკაში (220 მლნ ტ, 2017 წ.), მოპოვების დიდი ნაწილი დაცინის საბადოზე მოდის. გაზის მოპოვება 145,9 მლრდ $მ^3$ შეადგენს, ხოლო მოხმარება 238,6 მლრდ $მ^3$, 2017 წ.). საკმაოდ კარგადაა განვითარებული მურა ნახშირის, ბიტუმის ფიქლების და ურანის მრეწველობაც.

სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა და წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (სიმძლავრე 1,7 მლრდ კვტ., გამომუშავება 5,6 ტრილ კვტ/სთ, 2017 წ.). წარმოებული ელექტროენერგიის 72% თბოსადგურებზე, 18% - ჰიდროზე (ბოლო წლებში აგებული იქნა მსოფლიოში უდიდესი „სამი ხეობის“ ჰესი - სიმძლავრე 22,5 მლნ კვტ.), 3,6% - ატომურზე, ხოლო დანარჩენი სხვა წყაროებზე მოდის. პირველი აესი შანხაის მახლობლად 1991 წელს ამოქმედდა, ამ დროისთვის არის 13 სადგური 36 ბლოკით. აგებულია 10-ზე მეტი ზღვის მიმოქცევის, ხოლო ლჰასაში (ტიბეტში) - გეოთერმული ელექტროსადგური. სა-

სოფლო დასახლებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიოგაზის მიღებას, სადაც 6,5 მლნ ბიოგაზის მოწყობილობა არსებობს.

შავი მეტალურგია ინდუსტრიულ დონეზე სოციალიზმის პერიოდში ჩამოყალიბდა, რომელიც ადგილობრივ სანედლეულო ბაზაზეა განვითარებული. რკინის მადნის მოპოვება თანდათანობით იზრდება 1987 წ. მოიპოვებდა 150 მლნ ტ, ხოლო 2010 წ. 900 მლნ ტ. მოპოვების დიდი ნაწილი ანშანისა და ბაუტოუს საბადოებზე მოდის. შავი ლითონის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. აწარმოებს 831,7 მლნ ტ ფოლადს, 543, 7 მლნ ტ თუჯს (მსოფლიო წარმოების 60%) და 350 მლნ ტ-ზე მეტ ნაგლინს (2017 წ.). უმსხვილესი კომბინატებია: უხანი, ბაუტოუ, ანშანი (დასაქმებულია 150 ათასი კაცი), ბაოშანი (ყველაზე თანამედროვე) და სხვ. შავი მეტალურგიის პროდუქციის დიდი ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთში და ჩრდილოეთში იწარმოება.

ფერადი მეტალურგიის დაჩქარებული განვითარება განპირობებულია პროდუქციის დიდი მოთხოვნილებით. მეტ-ნაკლებად განვითარებულია თითქმის ყველა დარგი. პირველ ადგილზეა ალუმინის წარმოებით (31 მლნ ტ, მსოფლიო წარმოების 53,8%, 2016 წ.). ალუმინის მრეწველობა უფრო კარგად ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო რაიონებში, ნაწილობრივ იმპორტულ ნედლეულზეა განვითარებული. სპილენძის მრეწველობა უფრო მეტად იმპორტულ ნედლეულზე მუშაობს, ძირითადი საწარმოები სამხრეთ-დასავლეთ (კუნმინი) და აღმოსავლეთ სანაპირო რაიონებშია. საკმაოდ კარგადაა განვითარებული კალის (გენძიუ), სურმის (ჩანშა), ტყვიის (შეიკოუშანი) და თუთიის მრეწველობა. მოიპოვებს ძვირფას ლითონებს (ოქროს მოპოვებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა, 440 ტ, 2017 წ.), იშვიათ და გაფანტულ ლითონებს.

მანქანათმშენებლობა, ფაქტობრივად, სოციალიზმის პერიოდში ჩამოყალიბდა, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება და ყველა სახის მანქანა-მოწყობილობებს აწარმოებს. საერთაშორისო მნიშვნელობა ელექტრონულ, ელექტროტექნიკურ, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას გააჩნია. ჩინური ელექტროტექნიკური კომპანიების „ლენოვო“ -,, Lenovo“ (ბრუნვა 43 მლრდ დოლარი, დასაქმებულია 60 ათასი კაცი) და „ჰუაევის“ მიერ წარმოებული პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე აღიარებული ადგილი უჭირავს. მსოფლიო მნიშვნელობის დარგი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაა - ტრაქტორების, კომბაინების, მცირეგაბარიტიანი მექანიზებული გუთნების და სხვათა წარმოებით ლიდერობას ინარჩუნებს. არანაკლები მნიშვნელობა მძიმე მანქანათმშენებლობას გააჩნია, რომელიც ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდუსტრიულ რეგიონშია განვითარებული. ბოლო წლებში ჩინეთმა დაიწყო მართვადი

და პროგრამული ჩარხების წარმოებაც. აღნიშნული დარგების უმსხვილესი ცენტრებია: შანხაი, შენიანი, დალიანი, ნანკინი, უხანი, პეკინი და სხვ.

სწრაფი ტემპით ვითარდება სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, რომელიც უშვებს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებს. ჩინური ავტომანქანები („ლიფანი“, „ჩჰერუ“, „გეელუ“, „ჰავალლი“) თანდათანობით შედის მსოფლიო ბაზარზე, ხოლო ყველა სახის ავტომობილების წარმოებით პირველ ადგილზეა (29,1 მლნ 2017 წ.). მთავარი ცენტრებია: ჩანჩუნი, შიანი, შანხაი და სხვ. უშვებს საზღვაო და სამდინარო გემებს (შანხაი, დალიანი, ჩუანძოუ, უხანი), სარკინიგზო ტრანსპორტის პროდუქციას (შენიანი, დალიანი, პეკინი, ცინდაო, უხანი) და სხვ. ველოსიპედების წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ბოლო წლებში დაწინაურდა ავიარაკეტული მრეწველობის განვითარებით. უშვებს კოსმოსურ ხომალდებსა და კოსმოსურ ტექნიკას.

პრიორიტეტებს არ კარგავს ტრადიციული საფეიქრო და სამკერვალო მანქანათმშენებლობა. გამოირჩევა კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოებითა და ექსპორტით.

ქიმიური მრეწველობა ეფუძნება საკუთარ სანედლეულო ბაზას. ბოლო წლებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პერიოდში ათვისებული იქნა თანამედროვე ქიმიის ყველა დარგის ტექნოლოგიები, თუმცა, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს. ტრადიციული დარგი მინერალური სასუქების წარმოებაა, სადაც საშუალოდ იწარმოება 19,7 მლნ ტ ყველა სახის სასუქი (70% აზოტოვანი სასუქებია). საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული ნავთობქიმია, გაზქიმია და ნახშირქიმია. ნავთობგადასამუშავებელი საწარმოების სიმძლავრე თანდათანობით იზრდება, როგორც სანაპირო, ისე ნავთობის მოპოვების რაიონებში.

სწრაფი ტემპით ვითარდება ორგანული სინთეზის და პოლიმერების ქიმიის მრეწველობა. პლასტმასების წარმოებით (12,5 მლნ ტ) ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა. ქიმიური ბოჭკოების წარმოება (3,7 მლნ ტ) ნედლეულით ამარაგებს უდიდესი მასშტაბების მქონე საფეიქრო მრეწველობას. აწარმოებენ სინთეზურ და ნატურალურ კაუჩუკს. მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინა საყოფაცხოვრებო და ფარმაცევტულმა მრეწველობამ. ქიმიური მრეწველობის ძირითადი რაიონებია ჩრდილო-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი სანაპირო. ამასთან, უმსხვილესი ცენტრები ნავთობისა და ნახშირის მოპოვების ადგილებშია წარმოდგენილი.

ხე-ტყის მრეწველობა განვითარებულია როგორც ადგილობრივ, ისე იმპორტულ ნედლეულზე. წარმოდგენილია ხე-ტყის მრეწველობის ყველა დარგი, რომლის პროდუქცია ჩართულია, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მსოფლიო მნიშვნელობა ავეჯის და ქაღალდის მრეწველობას (13,5 მლნ ტ) გააჩ-

ნია. ხე-ტყის მრეწველობა ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთი რაიონებშია განვითარებული.

საშენ მასალათა მრეწველობა მაღალ-ინდუსტრიული დარგია, რომელიც ეფუძნება როგორც ბუნებრივ მინერალურ რესურსებს, ისე ტექნოლოგიებს. აწარმოებს ყველა სახის სამშენებლო პროდუქციას (ცემენტის წარმოება 2,2 მლრდ ტ, მსოფლიო წარმოების 57%), რომლის ნაწილი ექსპორტში გადის. ჩინეთის საქალაქო განსახლების არქიტექტურა, ძირითადი საწარმოო ფონდები და კომუნიკაციიის სისტემები ადასტურებს დარგის განვითარების მაღალ დონეს. საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები ქვეყნის ყველა პროვინციაშია წარმოდგენილი.

მსუბუქი მრეწველობა ტრადიციული დარგია, რომელიც მრეწველობის სტრუქტურაში მოწინავე პოზიციებს კვლავაც ინარჩუნებს. დარგის განვითარება ეფუძნება მრავალფეროვან სანედლეულო ბაზას და იაფ მუშახელს. განვითარებულია მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგი, რომელთა შორის საფეიქრო მრეწველობაა წამყვანი, სადაც 23,5 ათასი საწარმოთია წარმოდგენილი. იგი ძირითადად უზრუნველყოფილია ნედლეულით, რომელთა შორის 2/3 ნატურალურია. საფეიქრო მრეწველობიდან მსოფლიო მნიშვნელობა ბამბეულის ქსოვილების წარმოებაზე მოდის (22,4 მლრდ $მ^2$, მსოფლიოს 1/3 ნაწილი). ჩინეთი აბრეშუმის ქსოვილების წარმოების სამშობლოა (2,8 მლრდ $მ^2$) და უმსხვილესი ექსპორტიორია. შალეულის ქსოვილების წარმოებით (450 მლნ $მ^2$) ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. შედარებით კარგადაა განვითარებული ჯუთის, სელის, კანაფის და სხვა ქსოვილების წარმოება. საფეიქრო მრეწველობის უმსხვილესი ცენტრებია: შანხაი, ხანდანი, ხანჯოუ, უსი და სხვ.

მსოფლიო მნიშვნელობის დარგია სამკერვალო მრეწველობა, რომელიც აწარმოებს ყველა სახის სამკერვალო პროდუქციას. მსოფლიო მასშტაბით სპეციალიზირდება ბავშვის ტანსაცმლის წარმოებასა და ექსპორტზე. ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება საკუთარ სანედლეულო ბაზაზეა განვითარებული. ფეხსაცმლის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (10 მლრდ წყვილი, მსოფლიოს 63%), რომელიც სპორტული და ბავშვის ფეხსაცმლის წარმოებით სპეციალიზირდება. კარგადაა განვითარებული ტრიკოტაჟის და საგალანტერიო მრეწველობა.

კვების მრეწველობა ერთ-ერთი ძირითადი სპეციალობის დარგია, რომელზეც მოდის მრეწველობის პროდუქციის 8-9%. ქვეყნის სასურსათო პრობლემის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა პურ-ბურღულეულის და ზეთის მრეწველობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელი მრეწველობა, მათ შორის, ბრინჯსაწმენდი წარმოება - ყველაზე მსხვილია მსოფლიოში (შანხაი, უხანი, ჩანშა).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შაქრის (13,5 მლნ ტ) და ჩაის მრეწველობას. ჩაის სამშობლო - ჩინეთი - შავი ჩაის წარმოებით ინდოეთს ჩამორჩება, მაგრამ პირველობას ინარჩუნებს მწვანე ჩაით ვაჭრობაში. ხორცის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (62,5 მლნ ტ, მსოფლიოს 35%). საერთაშორისო მნიშვნელობის დარგებია საკონსერვო, თამბაქოს, თევზის და სხვ.

სოფლის მეურნეობა

ჩინეთი უძველესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყანაა, სადაც მრავალფეროვანი აგროკლიმატური რესურსი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების საშუალებას იძლევა. ამავდროულად, გამოირჩევა მიწის რესურსების სიუხვით, სადაც არის მსოფლიოს დამუშავებული და სარწყავი (145,5 მლნ ჰა, მსოფლიოს 58,2%) მიწების დიდი ნაწილი. სოფლის მეურნეობაში ჩაბმულია 250 მლნ კაცი (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 27,7%) და იძლევა მშპ-ის 7,9%. წამყვანია მემცენარეობა და მასზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 70%-მდე. მემცენარეობის მთავარი თავისებურებაა სასურსათო კულტურების, პირველ რიგში, მარცვლეულის მაღალი ხვედრითი წილი, მასზე მოდის ნათესების 75%-ზე მეტი და პროდუქციის - 75%. მარცვლეულის წარმოება ბოლო წლებში საშუალოდ 485-510 მლნ ტ-ის ფარგლებში მერყეობს. მთავარი მარცვლეული კულტურა ბრინჯია (196 მლნ ტ, პირველი ადგილი), რომელიც უპირატესად სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მოჰყავთ. მეორე მარცვლეული კულტურაა ხორბალი (132 მლნ ტ, პირველი ადგილი). ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში გავრცელებულია საგაზაფხულო, ხოლო ხუანხესა და იანძის ხეობებში - საშემოდგომო ჯიშის ხორბალი. სხვა სასურსათო კულტურებიდან აღსანიშნავია სიმინდი (85 მლნ ტ), ბარდა, ლობიო, ხოლო ბოლქვიანებიდან - ტკბილი კარტოფილი, თეთრი კარტოფილი, იამსი და მანიოკი.

ტექნიკური კულტურებიდან მთავარია ბამბა (4,5 მლნ ტ, პირველი ადგილი), რომლის ნარგავები უფრო მეტად ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებშია. სხვა ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია ჩაი (1,01 მლნ ტ), მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი, თამბაქო (2,7 მლნ ტ), ჯუთი (1,4 მლნ ტ), სოიო, არაქისი და სხვ.

ჩინეთი ერთ-ერთი უმსხვილესი მეხილეობის ქვეყანაა, სადაც მოჰყავთ თითქმის ყველა სახის ხილი, რომელთა შორის დიდი ნაწილი კონტინენტურ და სუბტროპიკულ ხეხილზე (ციტრუსი 2,9 მლნ ტ) მოდის. მეხილეობა ძირითად აღმოსავლეთ პროვინციებშია განვითარებული. ბოლო წლებში ყურძნის წარ-

მოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (12,6 მლნ ტ, 2015 წ.). სხვადასხვა სახის ბოსტნეულის წარმოება ყველა პროვინციაშია განვითარებული.

მეცხოველეობა პროდუქციის ღირებულებით მემცენარეობას ჩამორჩება. პირუტყვის ოდენობით ჩინეთს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. მთავარი დარგია მეღორეობა (460 მლნ სული, პირველი ადგილი). მეღორეობა ყველგანაა განვითარებული, განსაკუთრებით სიჩუანის პროვინციაში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 105 მლნ სულს აღემატება, მესაქონლეობა უფრო მეტად ჩრდილო-დასავლეთში და საგარეთუბნო მეურნეობებშია განვითარებული. მეფრინველეობა ყველგანაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით ხორბლის წარმოების რაიონებში. ქვეყნის ჩრდილოეთში, შიდა მონღოლეთში, სამხრეთისა და დასავლეთის მთისპირა რაიონებში ძირითადად მისდევენ მეცხვარეობასა (150-157 მლნ სული) და მეთხეობას. ტრადიციული დარგი - მეაბრეშუმეობაა, რომლის ისტორია ოთხ ათასწლეულს მოიცავს. მოსახლეობის კვებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თევზეულს. შესაბამისად, იზრდება წყალსაცავების პროდუქციის წარმოება, აგრეთვე, თევზის მოშენებისთვის ფართოდ გამოიყენება ბრინჯის მინდვრები. აშენებენ ფუტკარს, ცხენს და ბეწვის მომცემ ცხოველებს.

ტრანსპორტი

ჩინეთის ეკონომიკის აღმავლობა ბევრადაა დამოკიდებული სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების დონეზე, თუმცა მისი ქსელი ტერიტორიულად უთანაბროდ არის განვითარებული. ტრადიციულად, სატრანსპორტო მიმოსვლაში წამყვან როლს თამაშობდა მდინარეები, არხები და საჭაპანო გზები, რომლებიც პროვინციებს ერთმანეთთან და საზღვაო ნავსადგურებთან აკავშირებდა. თანამედროვე პერიოდში ჩინეთი აქტიურადაა ჩართული მსოფლიოს შრომის გეოგრაფიულ დანაწილებაში და მსოფლიოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ჩინეთიდან იწყება დიდი აბრეშუმის სავაჭრო გზები, რომელიც ევროპასთან ჩრდილოეთისა და სამხრეთი ტრასებით არის დაკავშირებული. შესაბამისად, ეკონომიკურ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა.

განვითარებულია თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე, რომელთა შორის წამყვანია სარკინიგზო. ბოლო წლებში მსოფლიოს მასშტაბით შეინიშნება სარკინიგზო ტრანსპორტის როლის შემცირების ტენდენციები, მაგრამ ჩინეთში გზების სიგრძე თანდათანობით იზრდება (1990 წ. 57,6 ათასი კმ; 2018 წ. 124 ათასი კმ, მათ შორის ელექტრიფიცირებული - 80 ათასი კმ). 2006 წელს ტიბეტში

გაყვანილი იქნა მსოფლიოში ყველაზე მაღალ ზონაში ახალი სარკინიგზო ხაზი (ზ. დ. 5072 მ., ღირებულება - 4,2 მლრდ დოლარი). სარკინიგზო ტრანსპორტზე მოდის შიდა ტვირთბრუნვის 42% (1983 წ. 50%) და მგზავრთბრუნვის 35%-მდე. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია აღმოსავლეთ სანაპირო პროვინციებში მერიდიანულ ხარბინი-ტიანცზიანი-შანხაის მაგისტრალს, ხოლო განედობრივი მაგისტრალებიდან აღსანიშნავია შანხაი - ლანჩჟოუ - ურუმჩი. სარკინიგზო გზებით ძირითადად გადაიტანება მადანი, მძიმე მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ბოლო წლებში სარკინიგზო ტრანსპორტის როლი ტრანსპორტის სხვა სახეებთან მიმართებით თანდათანობით მცირდება.

საავტომობილო გზების სიგრძე თანდათანობით იზრდება (4,58 მლნ კმ, მათ შორის მყარსაფარიანი 2/3 ნაწილი, 2018 წ.). გზების დაბალი ხარისხი (ავტოსტრადების სიგრძე 150 ათას კმ-ს არ აღემატება) გადაზიდვებს ართულებს. სამაგიეროდ, ზღვისპირა პროვინციებში გაყვანილია საერთაშორისო კლასის მაგისტრალები, რომლებიც სპეციალური ეკონომიკური ზონების და "ღია ნავსადგურების" ფუნქციონირებას უწყობს ხელს. საავტომობილო ტრანსპორტზე თანდათანობით იზრდება, როგორც ტვირთბრუნვა, ისე მგზავრთბრუნვა. ქვეყანაში 148 მლნ ავტომანქანაა, ხოლო ყოველ 1000 კაცზე ავტომანქანების რაოდენობით დაბალ ადგილზეა (115 ავტომობილი, 2014 წ. 114-ე ადგილი).

თანდათანობით ვითარდება მილსადენი ტრანსპორტი. გაზსადენების საერთო სიგრძე 70 ათასი კმ-ია, ხოლო ნავთობსადენები - 25,5 ათასი კმ (2018 წ.). ქვეყნის გაზიფიკაციის დონე დაჩქარებული ტემპით იზრდება.

ჩინეთში შიდა ნაოსნობა ტრადიციულად დიდ როლს ასრულებდა, როგორც ტვირთბრუნვაში, ისე მგზავრთბრუნვაში. შიდაწყლის გზების სიგრძე 110 ათასი კმ-ია. ძირითადი სანაოსნო მდინარეა იანძი, რომელზეც მოდის შიდა გზების 65% და ტვირთბრუნვის 80%. მთავარი ნავსადგურებია: შანხაი, ნანკინი, უხანი, ჩუნცინი და სხვ. ნაოსნობა, აგრეთვე, ხდება ხუანხეზე, ამურზე და არხებზე. ჩინეთი საზღვაო ქვეყანაა, რომლის მასშტაბები ბოლო წლებში დაჩქარებული ტემპით იზრდება. საზღვაო ფლოტი (15,8 მლნ ბრუტ. რეგ. ტ) აერთიანებს 4285 გემს (მშრალი ტვირთმზიდები - 1069, გენერალური ტვირთმზიდები - 1069, ნავთობ ტანკერი - 480, კონტეინერმზიდი - 198 და სხვ.). უმსხვილესი საზღვაო პორტებია: შანხაი (776 მლნ ტ, პირველი ადგილი), გუანჩჟოუ (477 მლნ ტ), ცინდაო (450 მლნ ტ), ნინბო (399 მლნ ტ), ჰონგ-კონგი (276 მლნ ტ), ცინხუანდი (253 მლნ ტ), შენჩჯინი (201 მლნ ტ) და სხვ.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების დამყარებაში დიდ როლს საჰაერო ტრანსპორტი ასრულებს. ქვეყანაში 507 აეროპორტია. უმსხვილესი აეროპორტებია: პეკინის „შოუდუ" (89,9 მლნ, მეორე ადგილი), ჰონგ-კონგის (68,3 მლნ),

შანხაის „პუდუნი“ (60,5 მლნ) და სხვ. ტვირთბრუნვის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰონგ-კონგის აეროპორტია (41,2 მლნ ტ).

კარგადაა განვითარებული ელექტროტრანსპორტი, რომლის პრიორიტეტები გამოკვეთილია დიდ ქალაქებში. ქვეყანაში კვლავაც გამოიყენება ტრანსპორტის ისეთი ტრადიციული საშუალებები, როგორიცაა: ველოსიპედი, საჭაპანო, სასაპალნე და სატრანსპორტო ურიკა.

ტურიზმი

ჩინეთი ტურიზმის განვითარებით ერთ-ერთი მზარდი ქვეყანაა, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებით, ისტორიული წარსულითა და თანამედროვე საოცრებებით. ქვეყანა უმდიდრესია მრავალფეროვანი ტურისტულ რეკრეაციული რესურსებით, რომელიც საშუალებას იძლევა განვითარდეს თანამედროვე ტურიზმის ყველა სახე. ტურიზმს ქვეყანაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გაანგარიშებულია, რომ ჩინელები თავისი ბიუჯეტიდან 19%-ს მოგზაურობაში ხარჯავენ. ჩინეთი მსოფლიოში უდიდესი ქვეყანაა, როგორც გამყვანი, ისე შემომყვანი ტურისტების რაოდენობით. 2017 წელს გამყვანი ტურისტების რაოდენობამ 104 მილიონს გადააჭარბა, ხოლო ქვეყანაში შევიდა 59,4 მილიონი ტურისტი. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია: ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები (ცისარტყელას მთები), ჩინეთის დიდი კედელი, გუგუნის მუზეუმი, მინისა და ცინის (24 იმპერატორის) დინასტიების სასახლე, ჰივეინის ეკლესია, ტიბეტში კონფუციზმის არაერთი ცენტრი და ძეგლი, მრავალი ბუდისტური მონასტერი, შანხაის უდიდესი საფინანსო-ეკონომიკური ცენტრი (თავისი ცნობილი ნანიკინლუს 14 კმ სიგრძის ტურისტული ქუჩით, სადაც არის ცნობილი მაღაზიები და რესტორნები) გუანჩჟოუს საერთაშორისო საგამოფენო გალერეა, ეთნოგრაფიული მუზეუმები, ადგილობრივი სამზარეულო და სხვ. განვითარებულია ტურიზმის ყველა სახე, მათ შორის პრიორიტეტი ენიჭება შემეცნებით ტურიზმს. ამასთან, განვითარებულია საქმიანი, რეკრეაციული, სპორტული და სხვა სახეები. უმსხვილესი ტურისტული ცენტრებია: შანხაი, ბეიძინი-პეკინი, ჰონგ-კონგი, გუანჩჟოუ და სხვ. ჩინეთში ტურისტები ძირითადად შედიან: რუსეთიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან და სხვ.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

ჩინეთის საერთაშორისო კავშირების გეოგრაფია საკმაოდ ფართოა. ფაქტობრივად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობების რომელიმე ფორმით არის ჩართული. ჩინეთის ფართო საგარეო კავშირების

აქტიური განვითარება განპირობებულია ქვეყნის “ღია ეკონომიკით”, რომელიც მოიცავს ზღვისპირა ზონის ღია რაიონებს, თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, საგარეო ბაზარზე გასვლის უფლება აქვთ არა მარტო სახელმწიფო კომპანიებს, ასევე ცაკლეულ პროვინციებს, მსხვილ საწარმოებს და სხვ. განვითარებულია იმპორტული ნედლეულის უბაჟო გადამუშავება, უცხოური კაპიტალის შემოსატანად ერთობლივი საწარმოების შექმნა, აგრეთვე, ეკონომიკური კავშირების დამყარებას არსებითად უწყობს ხელს ,,ხუაციო“ (უცხოეთში ჩინური დიასპორა).

ჩინეთის საგარეო ეკონომიკური კავშირებების ძირითადი ფორმა ვაჭრობაა. 2017 წელს ვაჭრობის ბალანსმა 3,97 ტრილ დოლარი შეადგინა. ექსპორტზე მოდიოდა 2,22 ტრილ, ხოლო იმპორტზე - 1,74 ტრილ. გააჩნია მსოფლიოში ყველაზე დიდი ვაჭრობის დადებითი სალდო (480 მლრდ დოლარი). მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: აშშ-19%, იაპონია-6,1%, კორეის რესპუბლიკა-4,5% და სხვ. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: კორეის რესპუბლიკა - 9,7%, იაპონია - 9,1%, აშშ - 8,5%, გერმანია - 5,3%, ავსტრალია - 5,1% და სხვ. ჩინეთს ძირითადად გააქვს: ნავთობი, მანქანა-მოწყობილობები, ელექტროტექნიკური პროდუქცია, შავი ლითონის პროდუქცია, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, ბრინჯი, ბამბა, ჩაი, ხორცი, ბოსტნეული და სხვ. შეაქვს: ზოგიერთი ფერადი ლითონის მადანი, ავტომანქანები, მერქანი, ღვინო და სხვ.

ჩინეთის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი კაპიტალის გატანას უჭირავს. 105 მლრდ დოლარის კაპიტალის ბაზაზე მსოფლიოს 156 ქვეყანაში ფუნქციონირებს 4 ათასზე მეტი საწარმო, რომელთა 75%-ზე მეტი სახელმწიფო ბალანსის საწარმოებშია დაბანდებული. ამასთან, შეინიშნება უცხოური კაპიტალის შემოტანაც, რომლის მოცულობა 250 მლრდ დოლარს აჭარბებს. უცხოური ინვესტიციების 70%-მდე ზღვისპირა რაიონებზე მოდის, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო ეკონომიკის ინტეგრაციის გაფართოებასთან.

ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კავშირების ,,ნიუ-ჰაუს” გაცვლასა და ყიდვა-გაყიდვაში. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობას საერთაშორისო და სატრანზიტო ტრანსპორტით, საბანკო და სადაზღვევო კომპანიებით, ინფორმაციით, ტელეკომუნიკაციებით, გამოთვლითი ტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფით, მართვის მომსახურებით და სხვ. ფართოდაა ჩართული საერთაშორისო შრომითი რესურსების გაცვლასა და ტურიზმში.

შიდარეგიონული სხვაობები

ჩინეთის ტერიტორია ბუნებრივი პირობებისა და რესურსების, ისტორიული განვითარების, მოსახლეობის განსახლების და მეურნეობის განვითარების თავისებურებების გამო, ტრადიციულად იყოფა 6 ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონად:

1. ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონი განლაგებულია ტყის, ტყესტეპების და სტეპურ ზონაში. მდიდარია მინერალური (ქვანახშირი, რკინის მადანი, მოლიბდენი, სპილენძი), წყლის, ტყის და მიწის რესურსებით. რაიონი ქვეყნის მასშტაბით მძიმე ინდუსტრიის წამყვანი რეგიონია, სადაც მოიპოვება ქვანახშირისა და ნავთობის 1/3 ნაწილი, იწარმოება ელექტროენერგიის, შავი და ფერადი ლითონების, მანქანებისა და მოწყობილობების, ხე-ტყის მრეწველობის პროდუქციის 40%-მდე, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის 25%. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია ხორბლის და სხვა მარცვლეული კულტურების მოყვანა. მთავარი ცენტრებია: დალიანი, ანშანი, შენიანი, ხარბინი და სხვ.

2. ჩრდილოეთი რაიონი მდებარეობს ქვეყნის ჩრდილოეთით, სადაც არის უდაბნოები, ნახევარუდაბნოები, მთიანი და პლატოებიანი რელიეფი. მინერალური რესურსებიდან მოიპოვება ქვანახშირი და რკინის მადანი (ბაუტოუ). მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული ენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან სპეციალიზირდება ხორბლის მოყვანასა და მეცხოველეობაზე. მთავარი ცენტრებია: ბეიძინი-პეკინი, ტიანცზიანი, ტანშანი და სხვ.

3. აღმოსავლეთი რაიონი გადაჭიმულია ყვითელი და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვების სანაპიროს გაყოლებით. წარმოდგენილია ნახევრად მთიანი და ნახევრად დაბლობი რელიეფით. გამოირჩევა აგრო-კლიმატური რესურსებით და საკმაოდ მჭირდოდაა დასახლებული (ცხოვრობს 450 მლნ-ზე მეტი). მრეწველობიდან განვითარებულია მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია ბრინჯის, ბამბის, სუბტროპიკული ხეხილის და თამბაქოს მოყვანა. რეგიონში შექმნილია თავისუფალი ეკონომიკური და საჭრო ზონები. მთავარი ცენტრებია: შანხაი, ნანკანი, ხანჯჟონი, ციანდაო და სხვ.

4. სამხრეთ-ცენტრალური რაიონი მდებარეობს ქვეყნის მნიშვნელოვანი გზებისა და იანძის გადაკვეთაზე. ტერიტორიის დიდ ნაწილი მთიანია, რომელიც მდინარეთა ხეობებითა და დელტებითაა დანაწევრებული. გამოირჩევა ნაყოფიერი ნიადაგებით და მოსახლეობაც საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული (ცხოვრობს 370 მლნ კაცი). მოიპოვება სხვადასხვა სახის მინერალური რესურსურსი, განსაკუთრებით კაოლინი. რაიონი ქვეყნის ბეღელია, სადაც მოჰყავთ ბრინჯი (ორი-სამი მოსავალი), ხორბალი, ზეთოვნები, ჩაი, ბამბა, შაქრის ლერწამი, ხეხილი და სხვ. მრეწველობიდან შედარებით კარგადაა განვითარებული მანქანათმშენებლობა, ელექტროენერგეტიკა, ფერადი მეტალურგია, ქიმიური,

მსუბუქი და კვების მრეწველობა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თევზჭერას. მთავარი ცენტრებია: ჰონგ-კონგი (უმსხვილესი ინდუსტრიული და ფინანსური ცენტრი), გუანჩჟოუ, უხანი, ნანჩანი, ჩაიშა და სხვ.

5. სამხრეთ - დასავლეთი რაიონი ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებსა და ტყეს უჭირავს. რაიონის დიდი ნაწილი ყველაზე განვითარებულ სიჩუანის პროვინციას უკავია, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მსხვილ სასოფლო-სამეურნეო რეგიონს, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარების მაღალი დონით. რაიონის ფართობის 1/2 ნაწილი ტიბეტზე მოდის, სადაც ცხოვრობს 3 მლნ კაცი და მეურნეობრივად ნაკლებად არის ათვისებული. მთავარი ცენტრია - ჩუნცინი.

6. ჩრდილო-დასავლეთი რაიონი უჭირავს ვრცელი ტერიტორიები, სადაც საკმაოდ მკაცრი ჰავის შედეგად ჩამოყალიბებულია უდაბნოები. მინერალური რესურსებიდან მთავარია ნავთობი და ქვანახშირი. ეთნიკურად მრავალეროვანი, მაგრამ ნაკლებდასახლებული რეგიონია. მრეწველობიდან წაყვანია სამთო მოპოვებითი, ენერგეტიკა, ქიმიური და მსუბუქი. სოფლის მეურნეობიდან აღსანიშნავია ბამბის მოყვანა და მეცხვარეობა. მთავარი ცენტრია - ლანჩჟოუ.

ჩინეთში მეურნეობის დაჩქარებული განვითარების, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის მიზნით შექმნილია სამი ეკონომიკური ზონა. **აღმოსავლეთი -** ყველაზე განვითარებული და დასახლებული ზონაა, სადაც განლაგებულია უმსხვილესი სამრეწველო კომპლექსები და სასოფლო-სამეურნეო რაიონები. **ცენტრი** - ჭარბობს ნედლეულის მოპოვება, ენერგეტიკა, ქიმიური მრეწველობა და სამრეწველო ნახევარფაბრიკატების წარმოება. **დასავლეთის ზონა -** სუსტად დასახლებული და ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულია, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგები მეცხოველეობა და სამთო მოპოვებითი მრეწველობაა.

3.1.2. იაპონია

ფართობი - 372,2 ათასი კმ²
მოსახლეობა - 126,0 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - ტოკიო

ზოგადი ცნობები

იაპონია თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების საოცრებათა ქვეყანაა, რომელიც სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ გვიან ჩაერთო მსოფლიოს ეკონომიკურ კონკურენციაში და კაცობრიობის ცივილიზაციაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. მთლიანი შიდა პროდუქცია ერთ სულზე 43300 დოლარს (2018 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითა-

რების ინდექსი - 0,903-ს (მე-17 ადგილი, 2015 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 47 პრეფექტურად და 14 ოლქად. სახელმწიფო ენა - იაპონური, ფულის ერთეული - იენი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

იაპონია კუნძულოვანი ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. მისი უკიდურესად აღმოსავლეთით მდებარეობის გამო, სიმბოლურად ,,ამომავალი მზის ქვეყანას" უწოდებენ. გააჩნია საკმაოდ კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; ფართო შესაძლებლობები აქვს, საზღვაო გზებით დაუკავშირდეს მსოფლიოს ყველა რეგიონს, ამასთან, კუნძულოვანმა მდებარეობამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიულ განვითარებაზე. გარესამყაროსაგან იზოლირებულად დგომა ხელს უწყობდა მისი მოსახლეობის კარჩაკეტილ და თვითმყოფად ტრადიციებზე აგებულ ცხოვრებას.

საზღვრების საერთო სიგრძე 29751 კმ-ია და მას არც ერთ ქვეყანასთან არ აქვს სახმელეთო საზღვარი (ჩრდილოეთით უმოკლესი საზღვაო საზღვრი გააჩნია რუსეთთან, ხოლო დასავლეთით - კორეის რესპუბლიკასთან. აშშ-დან დაშორებულია 8-9 ათასი კმ-ით, ხოლო ევროპიდან - 20 ათასი კმ-ით. იაპონიის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 29.

ნახ. 29. იაპონიის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

იაპონია ტიპური საზღვაო ქვეყანაა, რომელიც განლაგებულია ოთხ უმსხვილეს (ჰონსიუ - 23,5 ათასი კმ², ჰოკაიდო - 79 ათასი კმ², კიუსიუ - 49 ათასი კმ², სიკოკუ - 19 ათასი კმ², საერთო ფართობის 99,5%) და 4 ათასამდე მცირე (მათ შორის, რიუკიუს, ნამპოს არქიპელაგები) კუნძულებზე. კუნძულები ჩრდილოეთიდან სამხრეთით მერიდიანული მიმართულებით 3,5 ათას კილომეტრზეა გადაჭიმული. იაპონიის ტერიტორიის თითქმის 80% ძლიერ დანაწევრებულ მთებსა და მაღლობებს უჭირავს. რელიეფის საშუალო სიმაღლე 1600-1700 მ-ია (უმაღლესი წერტილია ვულკანი ფუძიამა 3776 მ.). სანაპირო დაბლობებსა და მდინარეთა ვიწრო ხეობებს ტერიტორიის მცირე ნაწილი უჭირავს. ყველაზე მნიშვნელოვანი დაბლობია კანტო, სადაც განლაგებულია დედაქალაქის აგლომერაცია. იაპონია მოქცეულია აქტიურ სეისმურ ზონაში, სადაც 200-ზე მეტი ვულკანია, მათ შორის 80-მდე მოქმედი. არქიპელაგებისა და ოკეანის ფსკერის სანაპირო რაიონებისათვის მუდმივად დამახასიათებელია მიწისძვრები, რომელსაც ხშირად კატასტროფული ხასიათი აქვს. ქვეყანას ხშირად ატყდება დამანგრეველი ძალის ცუნამები. რელიეფის რთული ხასიათი და ბუნებრივი სტიქიური მოვლენები ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს უქმნის. დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისა და მიწის სიძვირის გამო, შექმნილია ხელოვნური კუნძულები. ,,ხელოვნური" ტერიტორიები ძირითადად უჭირავს სამრეწველო და სატრანსპორტო ნაგებობებს.

იაპონია მინერალური რესურსებით ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა. ქანები შეიცავს სხვადასხვა წიაღისეულს, მაგრამ სამრეწველო მარაგი ძალზე უმნიშვნელოა. მცირე რაოდენობით მოიპოვება კირქვა, გოგირდი, ტყვია-თუთია, სპილენძი, ქვანახშირი, ნავთობი, მანგანიუმი (ზღვის ფსკერიდან) და სხვ. მინერალური რესურსების სიღარიბე ქვეყანას გარკვეულ პრობლემებს უქმნის. საშუალოდ შეაქვს სამრეწველო ნედლეულის 92-98%.

განლაგებულია ზომიერ (კუნძული ჰოკაიდო), სუბტროპიკულ (კუნძულები ჰონსიუ, კიუსიუ და სიკოკუ) და ტროპიკულ (არქიპელაგი რიუკიუ) კლიმატურ სარტყელში. ჰავის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუსონები. ჰავა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით თანადათანობით იცვლება. ჩრდილოეთში ზამთარში ჰოკაიდოზე საშუალოდ ტემპერატურა -9°C - -10°C, ხოლო სამხრეთში კიუსიუზე +7°C - +8°C. ზაფხულში ჰოკაიდოზე +15°C - +20°C, ხოლო ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში +26°C - +28°C. მუსონების გავლენით ნალექების რაოდენობა მაღალია და საშუალოდ 2000-2500 მმ-ს შეადგენს, ზოგან 4000 მმ. იაპონიის კლიმატური რესურსები ხელსაყრელია განსახლების და სამეურნეო საქმიანობისათვის. სამხრეთ რაიონებში განსაკუთრებული პირობები

იქმნება ბრინჯის, ხეხილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების მოყვანისათვის, სადაც წელიწადში ორი მოსავლის აღებაა შესაძლებელი.

წყლის რესურსებით საკმაოდ მდიდარია; დამახასიათებელია მოკლე, ჩქარ და წყალუხვ მდინარეთა ხშირი ქსელი. მდინარეები ფლობენ მაღალ ჰიდროპოტენციურ ენერგიას, მაგრამ სანაოსნოდ ნაკლებგამოსადეგია. მთიან რეგიონებში ბევრი ტბაა, რომლებსაც რეკრეაციული დანიშნულება გააჩნიათ. მდინარეები ჰიდროენერგეტიკული თვალსაზრისით სუსტადაა გამოყენებული.

ტყის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, სადაც ტყესა და ბუჩქნარებს უჭირავს ტერიტორიის 68%. ტყიანობის მაღალი კოეფიციენტი მთიან რეგიონებშია. ჩრდილოეთში ჰოკაიდოზე წიწვოვანი ტყეა (სოჭი, ნაძვი, ფიჭვი), ცენტრალურ რაიონებში დომინირებს შერეული ტყე (წიფელი, მუხა, წაბლი, არყი, კრიპტომერია), სამხრეთში ჭარბობს მუსონური ტყე (დაფნა, მაგნოლია, პალმა). სამრეწველო დანიშნულების ტყე შედარებით ნაკლებია. ტყის თითქმის ნახევარი უჭირავს ხელოვნურ ნარგავებს. ტყის გარკვეული ნაწილი კერძო მესაკუთრეთა ხელშია.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

იაპონია მსოფლიოს ცივილიზაციაში საკმაოდ გვიან ჩაება. იგი საუკუნეების განმავლობაში იზოლირებული იყო გარე სამყაროსგან და აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იაპონიის სახელმწიფო სათავეს იღებს VI საუკუნიდან. 645 წელს, ტაიკის გადატრიალების შემდეგ, შეიქმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო. შუა საუკუნეების დასაწყისში გლეხთა აჯანყების და გარეშე მტრების ექსპანსიის შედეგად დაქუცმაცებული იყო. XVII ს-ის დასაწყისში ხდება ცენტრალიზებული სახელმწიფო. XVII ს-ის 30-იანი წლებიდან ქვეყანაში აიკრძალა უცხოელების შესვლა, ხოლო იაპონელებისათვის - ქვეყნის დატოვება. XVIII საუკუნეში ქვეყანა მოიცვა გლეხთა აჯანყებამ (სულ 1640 აჯანყება). 1867-1868 წლებში მოხდა დაუმთავრებელი ბურჟუაზიული რევოლუცია.

XIX საუკუნის დასაწყისში ქვეყანა შევიდა იმპერიალიზმის ფაზაში. 1905 წელს პროტექტორატი დაამყარა კორეაზე, ხოლო 1910 წელს კოლონიად გამოაცხადა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იაპონიამ ანტანტის ქვეყნების მხარე დაიჭირა, მიიტაცა მთელი რიგი ტერიტორიები და განამტკიცა პოზიციები ჩინეთში.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონია გერმანიის მოკავშირე იყო. 1941 წელს მიიტაცა წყნარ ოკეანეში აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სამფლოებელოები. შეიჭრა ჩინეთში (მანჯურიაში) და საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე. იაპონიისა და

მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ 1945 წლის 2 სექტემბერს ხელი მოაწერა კაპიტულაციას. 1956 წელს შევიდა გაეროს შემადგენლობაში.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

იაპონია მმართველობის ფორმის მიხედვით კონსტიტუციურ-მონარქიული ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია იმპერატორი, რომელიც ქვეყნისა და ერის ერთიანობის სიმბოლოდაა გამოცხადებული. იმპერატორი სახელმწიფოს საქმეებს მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის რჩევითა და თანხმობით განაგებს. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრემიერმინისტრი, რომელსაც ირჩევს ორივე პალატა და ნიშნავს იმპერატორი. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას (მინისტრთა კაბინეტს), რომელსაც აყალიბებეს პარლამენტი.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი (კოკვაი). ზედა პალატა - მრჩეველთა პალატა (ვანშინი) შედგება მოსახლეობის მიერ 6 წლის ვადით არჩეული 252 წევრისაგან (მათ შორის 152 არჩეულია მაჟორიტარული წესით, ხოლო 100 - პროპორციული სისტემით. ამასთან, შემადგენლობის ნახევარი განახლდება ყოველ 3 წელიწადში). ქვედა - წარმომადგენლთა პალატა (სიუშინი) შედგება მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით არჩეული 500 წევრისაგან (მათ შორის 300-ს ირჩევენ მაჟორიტარული და 200-ს პროპორციული სისტემით). კონსტიტუციით, ზედა პალატის დათხოვნა შეუძლებელია.

მოქმედებს 1946 წლის 3 ნოემბერს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევიდა 1947 წლის 3 მაისს. ეროვნული დღესასწაულია 23 დეკემბერი - იმპერატორის დაბადების დღე.

იაპონია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით უნიტარული ქვეყანაა, რომელიც იყოფა 47 პრეფექტურად და 14 ოკრუგად. პრეფექტურები რვა რეგიონშია გაერთიანებული 1. ჰოკაიდო (ჰოკაიდო); 2. ტოხოკუ (აკიტა, აომორი, ივატე, იამაგატა, მიაგი, ფუკუსუმა); 3. კანტო (გუმა, იბარაკი, კანაგავა, საიტამა, ტიბა, ტოკიო, ტოტიგი); 4. ტიუბუ (აიტი, გიუფუ, იამანასი, ისი ნაგოია, ნიიგატა, სიძურავა, ტოიამა, ფუკუი); 5. კანსაი (ვაკაიამა, კიოტო, მიუ, ნარა, ოსაკა, სიგა, ჰიოგო); 6. ტიუგოკუ (იამაგუტი, ოკიამა, სიმანე, ტოტორი, ჰიროსიმა); 7. სიკოკუ (ეჰიმე, კაგავა, კოტი, ტოკუსიმა); 8. კიუსიუ (კაგოსიმა, კუმამოტო, მიამაკი, ნაგასაკი, ოიტა, ოკინავა, საგა, ფუკიოკა). თითოეული პრეფექტურა, თავის მხრივ, იყოფა დიდ ქალაქებად, ქალაქებად და სოფლებად. ქვეყანა, ამჟამად, ადმინისტრაციული რეორგანიზაციის პროცესშია, რაც მრავალი ქალაქისა და სოფლის ერთმანეთთან შერწყმაში გამოიხატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობა

იაპონია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც 126,0 მლნ კაცი ცხოვრობს (2020 წ.). წარსულში მისი მოსახლეობა საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდებოდა (განსაკუთრებით, XX საუკუნის პირველ ნახევარში, წელიწადში საშუალოდ 1,5 მლნ კაცით). 1900-2020 წლებში მოსახლეობა 44 მლნ-დან 126,0 მლნ კაცამდე, ანუ 2,9-ჯერ გაიზარდა. ბოლო წლებში შეინიშნება მოსახლეობის შემცირების ტენდენციები (საშუალოდ წელწადში - 0,23%). იაპონიის მოსახლეობის ზრდის უპირატესად დიდი ნაწილი ბუნებრივ მატებაზე მოდიოდა და ამ მხრივ ბევრად განსხვავდება მაღალგანვითარებული ქვეყნებისაგან. 1950 წელს შობადობის კოეფიციენტი ყოველ ათას კაცზე 28 პრომილე, სიკვდილიანობა - 15, ხოლო ბუნებრივი მატება - 13 პრომილე იყო. 2018 წელს დეპოპულაცია აღინიშნებოდა -2,4 პრომილე (შობადობა-7,5, სიკვდილიანობა-9,9) და ამ მხრივ აზიაში ერთადერთი ქვეყანაა. ერთ წლამდე ასაკის ყოველ 1000 ბავშვზე სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლით (1-2 ბავშვი) მსოფლიოში პირველ ადგილზეა, რაც ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მაღალი დონის შედეგია.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით უკეთესია. მამაკაცები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 48,4%-ს, ხოლო ქალები - 51,6%-ს. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 12,7%, 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 58,9%, 65 წელზე მეტი ასაკის ჯგუფზე - 28,4% (2018 წ.). ქვეყანაში შეინიშნება ,,მოსახლეობის დაბერების“ ტენდენციები (მსოფლიოში 65 წელზე უხნესი მოსახლეობის ხვედრითი წილი 8,7%-ია). მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის მიხედვით - 85,5 წელი (მამაკაცები - 82,2, ქალები - 89). მოსახლეობის საშუალო ასაკი - 47,7 წელია.

იაპონია ერთეროვანი ქვეყანაა. მოსახლეობის 98,1%-ს იაპონელები შეადგენენ. სხვა ეთნოსიდან უძველეს ერს წარმოადგენენ კუნძულ ჰოკაიდოს აბორიგენები აინები - 0,4%, ჩინელები - 0,5%, კორეელები - 0,4% და სხვები -0,6% (ფილიპინელები, პაკისტანლები, ვიეტნამელები, ბრაზილიელები). იაპონური ენა არ შედის არც ერთ ლინგვისტიკურ ოჯახსა და ჯგუფში.

რელიგიური კუთვნილების მიხედვით მოსახლეობის 84% სინტოისტები და ბუდისტები არიან, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ქრისტიანები - 1,5% და სხვები -13,5% (2018 წ.).

იაპონელები მსოფლიოში ყველაზე იმმობილური ხალხია. დიდ ერებთან შედარებით, იაპონელთა ემიგრაცია სხვა ქვეყნებში უმნიშვნელოა. შიდა მიგრა-

ციული პროცესების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს პერიფერიული რაიონებიდან მსხვილ საქალაქო აგლომერაციებში ჩასახლება. გაჩნია მიგრაციის დადებითი სალდო და ყოველ 1000 კაცზე 3 იმიგრანტია.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 65,1 მლნ-ს (2018 წ.), ანუ მთელი მოსახლეობის 52,8%-ს (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია -2,9%, მრეწველობაში - 26,2%, მომსახურეობის სფეროში - 70,9%). უმუშევრობის დაბალი დონით მსოფლიოში (2,9%, 2018 წ.) ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

იაპონიის მოსახლეობა ძალზე არათანაბრადაა განლაგებული, მაგრამ საშუალო სიმჭიდროვე მაღალია და 1 კმ²-ზე 340 კაცია. თითქმის მთელი მოსახლეობა განლაგებულია ტერიტორიაზე, რომელიც ქვეყნის ფართობის 15%-ს შეადგენს. განსაკუთრებით მაღალი სიმჭიდროვეა დაბლობებზე, რომლებსაც უჭირავს ტერიტორიის მხოლოდ 2,5%, სადაც ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 2/3 ნაწილი. ამ რეგიონებში სიმჭიდროვის საშუალო მაჩვენებლები (1კმ²-ზე 8600 კაცი) ბოლო წლებში კიდევ უფრო იზრდება. სუსტადაა დასახლებული კუნძული ჰოკაიდო და მთიანი რეგიონები.

პირველ მსოფლიო ომამდე იაპონია იყო ტიპური სასოფლო ქვეყანა, სადაც ურბანიზაციის დონე მხოლოდ 18%-ს შეადგენდა. ქალაქის მოსახლეობის ნელი ზრდა შეინიშნებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაგრამ „საქალაქო აფეთქება" განხორციელდა 1960-1980 წლებში და 78%-ს მიაღწია. ამჟამად ურბანიზაციის დონე 91,6%-ია (2018 წ). პარალელურად იზრდებოდა საქალაქო განსახლების არეალი და ქალაქების ქსელი (650 ქალაქია, მათ შორის დიდი ქალაქი 100 ათას მცხოვრებზე მეტი დაახლოებით 200, ,,მილიონერი" ქალაქია 12). უდიდესი ქალაქებია: ტოკიო - 8,9 მლნ, იოკოჰამა - 3,7 მლნ, ოსაკა -2,7 მლნ, ნაგოია -2,3 მლნ, საპორო -1,9 მლნ, კობე -1,6 მლნ, კიოტო -1,5 მლნ, ფუკუოკა - 1,5 მლნ, კავასაკი - 1,2 მლნ, ხიროსიმა -1,2 მლნ და სენდაი - 1,1 მლნ. საქალაქო აგლომერაციებიდან უმსხვილესია კეიჰინი (ტოკიო - იოკოჰამა), სადაც 34,5 მლნ-ზე მეტი კაცი ცხოვრობს. კეიჰინის აგლომერაცია ერთიანდება (ოსაკა - კობე - კიოტო, ნაგოია და სხვ.) ოცამდე აგლომერაციასთან და ქმნიან მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ტოკაიდოს მეგალოპოლისს, სადაც 60 მლნ-მდე კაცი ცხოვრობს. აგლომერაციების გაფართოება პერიფერიულ რეგიონებშიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

პირველ მსოფლიო ომამდე იაპონია ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, რომელიც ეკონომიკური განვითარების დონით მსხვილ განვითარებულ ქვეყნებს ბევრად ჩამორჩებოდა. მეორე მსოფლიო ომამდე იგი ხდება მსხვილი იმპერიალისტური

ქვეყანა, რომლის საერთაშორისო პრეტენზიები კიდევ უფრო ამაღლდა. ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული ზრდა აღინიშნება ომის შემდგომი წლებიდან, რომლის ტემპები ყველაზე თვალსაჩინო იყო მსოფლიოში. იაპონიის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების საფუძველი გახდა შემდეგი ფაქტორები: წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ეკონომიკის დემონოპოლიზაცია, ფინანსური სტაბილიზაცია, სამხედრო მრეწველობის კონსერვაცია, მიწის რეფორმა, საერთაშორისო კავშირების გაფართოება და სხვ.

იაპონიას სიმბოლურად ,,ეკონომიკური საოცრების" ქვეყანას უწოდებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 80-იან წლებში ,,ტექნოპოლისების" შექმნა, რომლითაც ქვეყანაში საფუძველი დაედო ახალ ეკონომიკურ სტრატეგიას, კერძოდ, საყოველთაო ტექნოპოლიზაციის, მეცნიერებისა და წარმოების რაციონალურ თავმოყრას ერთი ქალაქის ,,სახურავის ქვეშ". მსოფლიოს 500 მსხვილ მონოპოლიათა შორის 70-მდე იაპონურია. უმსხვილესი კომპანიებია: 1. ,,მიცუბიში" - ,,Mitsubishi" - საავტომობილო; 2. ,,ტოიოტა მოტორ ქორპორეიშენ" - ,,Toyota Motor Corporation" - საავტომობილო ინდუსტრია; 3. ,,მიცუბიში უეფჯი ფინანსიალ" - ,,Mitsubishi UFJ Financial" - საბანკო -საფინანსო; 4. ,,ენთითი დოქომო" - ,,NTT Docomo" - სატელეკომუნიკაციო ინდუსტრია; 5. ,,ქენონ" - ,,Canon" - ელექტრონიკა; 6. ,,სუმითომო მიცუი ფინანსიალ გრუპ" - ,,Sumitomo Mitsui Financial Group" - საბანკო საფინანსო ბიზნესი; 7. ,,ჰონდა" - ,,Honda" - საავტომობილო; 8. „თექადა ფარმაციუთიქლ" - ,,Takeda Pharmaceutical" - ფარმაცევტული ბიზნესი; 9. ,,სონი" - ,,Sony" - კონგლომერატი; 10. ,,მეცუშითა ელექთრიქ ინდუსტრიალ ქო" - ,,Matsushita Electric Industrial Co" - ვაჭრობის ბიზნესი. კომპანიების გამსხვილებამ და წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაფართოებამ, იაპონური პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე ყველაზე კონკურენტუნარიანად აქცია.

იაპონიის მშპ-ის მოცულობა 5,4 ტრილიონ დოლარს (2017 წ.) შეადგენდა, ამ მაჩვენებლით მსოფლიოში ჩინეთის და აშშ-ის შემდეგ მესამე ადგილზეა. მშპ-ის 1,1% სოფლის მეურნეობაზე, 30,1% - მრეწველობაზე და 68,8% - მომსახურეობის დარგებზე მოდის.

მრეწველობის გეოგრაფია

მრეწველობა იაპონიის მეურნეობის მთავარი დარგია, სადაც დასაქმებულია 22 მლნ-ზე მეტი სამრეწველო პერსონალი, იძლევა ქვეყნის მშპ-ის თითქმის 30%-ს და ექსპორტის 75%-ზე მეტს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სერიოზული ძვრები მოხდა მრეწველობის, როგორც დარგობრივ სტრუქტურაში, ისე სივრცობრივ ორგანიზაციაში. პრიორიტეტი მიენიჭა მძიმე ინდუსტრიის დარგებს (მანქანათმშენელობას, ენერგეტიკას, მეტალურგიას, ქიმიურ მრეწველობას),

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლებიც გამოირჩევიან წარმოების კონცენ-ტრაციის მაღალი დონით და თანამედროვე ტექნოლოგიებით.

იაპონიის მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვანი ნიშანი ისაა, რომ იგი, ერთი მხრივ, დიდადაა დამოკიდებული იმპორტულ ნედლეულზე და მეორე მხრივ, მზა პროდუქციის ექსპორტზე (წარმოებული პროდუქციის თითქმის 40% ექსპორტირდება). მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი თავისებურება - ტერიტორიული კონცენტრაციის ძალზე მაღალი დონეა. კერძოდ, მრეწველობა ძირითადად კონცენტრირებულია წყნაროკეანურ სამრეწველო სარტყელის ფარგლებში, სადაც ქვეყნის 13% ტერიტორიაზე იწარმოება მთელი სამრეწველო პროდუქციის 3/4 ნაწილი. ამასთან, სახელმწიფო ხელს უწყობს პერიფერიულ რაიონებში მრეწველობის განვითარებას.

ენერგეტიკული რესურსებით ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანაა. პირობითი სათ-ბობების საერთო მოხმარება 718,6 მლნ ტ კკალ (2015 წ.), ხოლო წარმოება 157,8 მლნ ტ კკალ შეადგენდა. დეფიციტის დაახლოებით 79%-ის შევსება ხდება იმ-პორტული ენერგომატარებლების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ენერ-გობალანსიც საკმაოდ განსხვავებულია; ნავთობზე მოდის 49%, ქვანახშირზე - 16%, ბუნებრივ გაზზე 13%, ატომურზე - 4%, ჰიდროენერგიაზე - 5,5% და სხვა წყაროებზე - 12,5%.

საკუთარი ნავთობის მოპოვება ბოლო წლებში კიდევ უფრო შემცირდა და არ აღემატება 0,3 მლნ ტონას (2018 წ). ნავთობის მოხმარება განსაკუთრებით გაიზარდა XX ს-ის 70-იან წლებში და მისი ხვედრითი წილი ენერგობალანსში 75%-ს აღემატებოდა (შეჰქონდა 280 მლნ ტ). ბოლო წლებში ენერგიის სხვა წყა-როების ფართო გამოყენების პირობებში ნავთობის ხვედრითი წილი ენერ-გობალანსში შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 2018 წელს იმპორტირებულ იქნა 186 მლნ ტ ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ნავთობის შეტანა ხდება ახლო აღმოსავლეთიდან, ინდონეზიიდან, ნიგერიიდან და სხვა რეგიონებიდან. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების სიმძლავრეების უპირატესად დიდი ნაწი-ლი განლაგებულია აღმოსავლეთ სანაპირო ზონაში. ქვანახშირის მნიშვნელობა თანდათანობით მცირდება, 1983 წელს მოიპოვებოდა 18 მლნ ტ ბოლო წლებში მისი მოპოვება არ აღემატება 12-13 მლნ ტ-ას. ყოველწლიურად საშუალოდ შეაქვს 70-75 მლნ ტ საკოქსე ქვანახშირი, ძირითადად ავსტრალიიდან. გაზის მნიშვნელობა ქვეყნის ენერგობალანსში თანდათანობით იზრდება. საკუთარი გაზის მოპოვებამ შეადგინა 3,1 მლრდ $მ^3$ (2018 წ.), რომელიც მოთხოვნილების 6-7%-ს აკმაყოფილებს. შეაქვს 93,8 მლრდ კუბ $მ^3$ გაზი (2017 წ.), ძირითადად, ინ-დონეზიიდან.

ომის შემდგომი წლებიდან სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა. 1950 წელს აწარმოა 45 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია, ხოლო 2017 – 843,7 მლრდ კვტ/ სთ (მეოთხე ადგილი მსოფლიოში). წარმოებული ელექტროენერგიის 71% მოდის თბოელექტროსადგურებზე (ფუკიამა - 8,8 მლრდ კვტ. სიმძლავრე, მსოფლიოში უმსხვილესი), 3,6% - ატომურზე (32% იყო 2007 წ, 2013 წ კატასტროფის შედეგად ბევრი რეაქტორი დაიხურა), 8% - ჰესებზე, დანარჩენი - 17,4% მზის, გეოთერმულ და ოკეანური მოქცევის სადგურებზე. მსხვილი თბოსადგურები განლაგებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო რეგიონებში. ჰესები მთიან რაიონებში, განსაკუთრებით, კუნძულ ჰონსიუზე, ატომური (უმსხვილესი ფუკუსემა 1 - 4,7 მლნ კვტ., ფუკუსემა 2 - 4,4 მლნ კვტ.) ელექტროსადგურები ძირითადად აღმოსავლეთ სანაპირო ზონაშია განლაგებული. ქვეყანაში მოქმედებს 40-მდე ატომური რეაქტორი.

შავი მეტალურგია მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელსაც გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობა. პროდუქციის წარმოების დიდი ნაწილი მსხვილ კომპანიებზე („ნიფონ სთილი” - “Nippon Steel”, „ნიფონ ქოქენ” - “Nippon Kokan“, „სუმიტომო” - “Sumitomo”) მოდის. შავი მეტალურგიის განვითარება მთლიანად უკავშირდება იმპორტულ ნედლეულს. საშუალოდ შეაქვს 130-135 მლნ ტ რკინის მადანი (ავსტრალიიდან, ბრაზილიიდან, ინდოეთიდან). იაპონიის ფოლადსადნობი საწარმოების ტექნიკური დონე მაღალია, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ფოლადის გამოდნობა წარმოებს ჟანგბადოვან-კონვენტორული (70%) და ელექტრო-ფოლადსადნობი (30%) ტექნოლოგიებით, უწყვეტი ჩამოსხმის მანქანების საშუალებით. ფოლადის (104, 7 მლნ ტ) და თუჯის (72,8 მლნ ტ) წარმოებით მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა (2017 წ.). შავი მეტალურგიისათვის დამახასიათებელია ძალიან მაღალი საწარმოო კონცენტრაცია. მსოფლიოში უმსხვილესი 15 საწარმოდან (სიმძლავრე 7-10 მლნ ტ) 8 იაპონიაზე მოდის. შავი მეტალურგიის საწარმოთა დიდი ნაწილი კომბინატებზე მოდის, მათ შორის უდიდესია - ფუკუიამის (16 მლნ ტ ფოლადი წელიწადში), მიძუსიმის, კასიმეს, კიმიცეს, კანგაუეს კომბინატები, სადაც თითოეული აწარმოებს 10 მლნ ტონაზე მეტ ფოლადს.

ფერადი მეტალურგია ბოლო წლებში, ენერგეტიკულ და ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით, უფრო მეტად გადავიდა მეორად მეტალურგიაზე. იაპონია სპილენძის წარმოებით (2,1 მლნ ტ 1995 წ.) ბოლო წლებამდე ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო, მაგრამ უკანსაკნელ წლებში წარმოება არ აღემატება 0,55 მლნ ტ-ას. შესამჩნევად შემცირებულია სხვა ფერადი მეტალურგიის წარმოების მასშტაბებიც. ფერადი მეტალურგიის საწარმოები პრაქტიკულად ყველა სამრეწველო ცენტრებშია განლაგებული.

მანქანათმშენებლობა იაპონიის მრეწველობის გული და საერთაშორისო მნიშვნელობის დარგია. მანქანათმშენებლობა იძლევა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 2/5 და ექსპორტის თითქმის 2/3 ნაწილს. მსოფლიო ბაზარზე იაპონურ მანქანა-მოწყობილობაზე მოდის დაახლოებით 15%, მათ შორის საზღვაო გემებზე და მანიპულატორებზე - 40%, ავტომანქანებზე, საყოფაცხოვრებო-ელექტრონულ აპარა-ტურაზე - 25%. მანქანათმშენებლობა გამოირჩევა მონოპოლიზაციის მაღალი დონით. წამყვანი კომპანიებია: ,,ისიკავადზამა - ჰარმა" - გემთშენებლობაში, ,,მიცუბიში" - ,,Mitsubishi", ,,ტოიოტა" - ,,Toyota", ,,ნისანი" - ,,Nissan", ,,ჰონდა" - ,,Honda", ,,მაზდა" - ,,Mazda" - ავტომშენებლობაში, ,,ჰიტაჩი" - ,,Hitachi", ,,მიცუსიტა" - ,,Matsushita", ,,სონი" - ,,Sony" - რადიოელექტროტექ-ნიკაში და ელექტროტექნიკაში.

მე-20 საუკუნის ბოლოს მანქანათმშენებლობის სტრუქტურაში უპირატე-სობა მიენიჭა მეცნიერებატევად და ნაკლებმასალატევად დარგებს, რომლებიც ორიენტირებულია კვალიფიციურ კადრებზე და ახალ ტექნოლოგიებზე. იაპონია მსოფლიოში პირველ ადგილზეა ჩარხმშენებლობით (მსოფლიოს ჩარხების 23-25%). განსაკუთრებით გამოირჩევა ციფრული პროგრამული მართვით უზ-რუნველყოფილი ჩარხების წარმოებით.

საავტომობილო მანქანათმშენებლობა იაპონიაში ჩაისახა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როცა აშშ-ის კომპანიებმა - ,,ფორდმა" და ,,ჯენერალ მოტორსმა" ააგეს პირველი საწარმოები. მეორე მსოფლიო ომის წლებში ყველა ეს საწარმო დანგრეულ იქნა. 50-იან წლებში დაიწყეს, ჯერ ავტობუსებისა და სატვირთო მანქანების, ხოლო შემდეგ მსუბუქი ავტომანქანების გამოშვება. 1950 წელს წარ-მოებული იქნა 30 ათასი ავტომანქანა. 70-იან წლებში იაპონიამ ავტომანქანების წარმოებით გაუსწრო აშშ-ს. უფრო მეტიც, იაპონური საავტომობილო კომპანიები მუშაობენ თვით აშშ-ში. ბოლო წლებში იაპონია ყოველწლიურად საშუალოდ უშვებს 10,5-11 მლნ (,,ტოიოტა" - 3,7 მლნ, ,,ნისანი" - 2,3 მლნ.) ავტომობილს, მათ შორის 90%-მდე მსუბუქია. საავტომობილო მანქანათმშენებლობის უმსხვილესი ცენტრებია - ნაგოია, იოკოჰამა და ხიროსიმა.

მსოფლიო მნიშვნელობა აქვს გემთშენებლობას, რომელიც ორიენტირებუ-ლია უცხოურ დაკვეთებზე. იაპონია მსოფლიოში პირველ ადგილზეა გემთშე-ნებლობით. ბოლო წლებში საშუალოდ აწარმოებს 9,2 - 9,8 მლნ ბრუტ. რეგ. ტო-ნაჟის საზღვაო გემებს. წამყვანი ადგილი უჭირავს მსხვილტონაჟიანი ტანკერე-ბის და მშრალი ტვირთმზიდების წარმოებას. მთავარი ცენტრებია განლაგებული უმსხვილეს ნავსადგურებში (იოკოჰამა, ნაგასაკი, კობე).

საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება რადიოელექტრონულ და ელექტრო-ტექნიკურ მანქანათმშენებლობას. იაპონია ლიდერობს სამრეწველო რობოტების

(60%), საყოფაცხოვრებო ელეტროტექნიკის (ბოლო წლებში ფერადი ტელევიზორების 7,8 მლნ, რადიომიმღებების - 3,9 მლნ, მაგნიტოფონების წარმოება შესამჩნევად შემცირდა) და ელექტრონული აპარატების წარმოებით. დარგი ორიენტირებულია კვალიფიკაციურ მუშახელზე და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის ცენტრებზე ტოკიოს, ოტავას და ნაგოიას აგლომერაციებში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობიდან პირველ ადგილზეა სხვადასხვა სახის ტრაქტორებისა (150 ათასი) და მარცვლის ასაღები კომბაინების წარმოებით. მეტ-ნაკლებადაა განვითარებული მანქანათმშენებლობის სხვა დარგები, რომელთა პროდუქცია ძირითადად საკუთარ ბაზარზეა ორიენტირებული.

ქიმიური მრეწველობა ომის შემდგომი წლებიდან მნიშვნელოვანწილად სტრუქტურულად გადახალისდა, კერძოდ, ნახშირქიმიამ ადგილი დაუთმო ნავთობქიმიას. იაპონიას ქიმიური პროდუქციის წარმოების მოცულობით აშშ-ს შემდეგ მეორე, ხოლო ექსპორტით (აშშ, გერმანია) მესამე ადგილი უჭირავს. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ორგანული სინთეზის ქიმიის პროდუქციის (პლასტმასები და სინთეზური ფისები - 12,4 მლნ ტ, ქიმიური ბოჭკო - 2,8 მლნ ტ, სინთეზური კაუჩუკი - 1,8 მლნ ტ, ავტოსაბურავები - 175 მლნ ცალი) წარმოებას. იაპონია გამოირჩევა გოგირდმჟავას (6,9 მლნ ტ), კაუსტიკური სოდის (6,3 მლნ ტ), ეთილენის (6,3 მლნ), საღებავების წარმოებით. შედარებით სუსტადაა განვითარებული მინერალური სასუქების წარმოება და, კიდევ უფრო სუსტად - სამთო ქიმია. ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით მსხვილი ნავთობქიმიური კომპლექსები, განვითარებულია წყნაროკეანურ სამრეწველო სარტყელში. უმსხვილესი ცენტრებია: კავასაკი, ტიბა, იოკოჰამა, ნაგოია და სხვ.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც ძირითადად შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს. განვითარებულია ხე-ტყის მრეწველობის ყველა დარგი. ნახერხი მასალის (30 მლნ $მ^3$), ქაღალდის და მუყაოს (26,3 მლნ ტ) წარმოებით მსოფლიოში მოწინავე პოზიციები უჭირავს. ხე-ტყის მრეწველობა ძირითადად განვითარებულია კუნძულ ჰოკაიდოზე.

საშენ მასალათა მრეწველობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც ძალიან მაღალ დონეზეა განვითარებული. სამშენებლო თვალსაზრისით იაპონიაში სასწაულებია მოხდენილი, რომელიც ნათლად აისახება თანამედროვე არქიტექტორულ ნაგებობათა ანსამბლებსა და საქალაქო დასახლებათა იერსახეში. იაპონიას კერამიკული მრეწველობის უდიდესი ტრადიციები გააჩნია. ათვისებულია ზემაგარი თბოიზოლატორების (კერამიკის და მეტალის ნაერთი) წარმოების ტექნოლოგია. შექმნილია მსოფლიოში პირველი კერამიკული ავტომრავები. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ფაიფურის და ცემენტის (56 მლნ ტ) მრეწველობას.

იაპონიის ინდუსტრიის განვითარება მსუბუქი მრეწველობით დაიწყო, მაგრამ თანამედროვე პერიოდში მისი როლი ეკონომიკაში უმნიშვნელოა. მსუბუქი მრეწველობა ძირითადად ორიენტირებულია საკუთარ ბაზარზე. წამყვანი დარგია საფეიქრო მრეწველობა. იაპონია საფეიქრო მრეწველობაში პროდუქციის ნაწარმის მოცულობით მსოფლიოს პირველ ათეულში შედის. ბოლო წლებში გადახალისდა საფეიქრო მრეწველობის სანედლეულო ბაზა და პრიორიტეტი მიენიჭა სინთეზურ (მათ შორის ქიმიურ ბოჭკოებზე მოდის 3,6 მლრდ m^2 , ხოლო ყველა სახის ქსოვილების წარმოება შეადგენს 9,3 მლრდ m^2) ბოჭკოებს. იაპონია აბრეშუმის ქსოვილების წარმოების (2,7 მლრდ m^2) მიხედვით მსოფლიოში, აშშ-ს შემდეგ, მეორე ადგილზეა. პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი მოდის ნატურალური აბრეშუმის ნედლეულზე. საფეიქრო მრეწველობის საწარმოები ძირითადად განლაგებულია წყნაროკეანურ სამრეწველო სარტყელში, აგრეთვე, მეტ-ნაკლებად ქვეყნის ყველა რეგიონში. საკმაოდ კარგადაა განვითარებული სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის და ტრიკოტაჟის მრეწველობა.

ტრადიციულად იაპონიის მოსახლეობის კვების რაციონში დიდი ადგილი მცენარეულ საკვებს უჭირავს. აქედან გამომდინარე, კვების მრეწველობაში გამოკვეთილი ადგილი პურ-ბურღულეულის, მცენარეული ზეთის, შაქრისა და ბოსტნეულის კონსერვების მრეწველობას უჭირავს. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს თევზისა და ზღვის პროდუქტების კონსერვების მრეწველობას. ბოლო წლებში თანადათანობით შეინიშნება კვების რაციონში მეცხოველეობის პროდუქციის და შესაბამისი დარგების ზრდის ტენდენციები.

სოფლის მეურნეობის გეოგრაფია

იაპონიის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მოკრძალებული ადგილი უჭირავს. დარგში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 2,9% და იძლევა მშპ-ის 1,1%-ს. სოფლის მეურნეობა გამოირჩევა ინტენსიური განვითარების და მწარმოებლობის მაღალი დონით.

მიწის რესურსებით ღარიბი ქვეყანაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 4,7 მლნ ჰა, ანუ მთელი ტერიტორიის 12,5%, მათ შორის სახნავია 11,7%, ხოლო მრავალწლიან ნარგავებზე 0,8% მოდის. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არის საძოვრები. ომის შემდეგ მიწის რეფორმის განხორციელებით გაუქმდა მემამულეთა მიწათმფლობელობა, მაგრამ შენარჩუნებული იქნა წვრილგლეხური მიწათსარგებლობა, რომლებიც ფლობენ 1 ჰა-ზე ნაკლებ მიწებს. წვრილგლეხური მეურნეობის გარდა, ფუნქციონირებს ფერმები და საწარმოო კოოპერატივები.

სოფლის მეურნეობა საშუალოდ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილების 3/4 ნაწილს. იაპონიის მოსახლეობის ტრადიციული საკვები რაციონის შეცვლას

მოჰყვა მეცხოველეობის პროდუქციის მოთხოვნილების ზრდა. შესაბამისად, დაჩქარდა მეცხოველეობის განვითარება და იმპორტის გზით დეფიციტის შევსება. ქვეყანაში იმპორტირდება, როგორც სასურსათო პროდუქტი, ისე მეცხოველეობისათვის საჭირო საკვები ბაზა. სოფლის მეურნეობას გააჩნია მკვეთრად გამოხატული სასურსათო მიმართულება. პროდუქციის 70%-ს იძლევა მემცენარეობა.

მემცენარეობის სტრუქტურაში წამყვანია მარცვლეული მეურნეობა, ხოლო მარცვლეულიდან მთავარია ბრინჯის მოყვანა, რომელსაც უჭირავს მთელი ნათესების ნახევარი. საშუალოდ აწარმოებს 11,5-12 მლნ ტ ბრინჯს, ხოლო საჰექტარო მოსავლით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა (62,1 ცენტნერი). ბრინჯი მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს და მცირე ნაწილი გადის ექსპორტშიც. ბრინჯი ძირითადად მოჰყავთ კუნძულ ჰონსიუს სამხრეთში. სხვა მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი და სხვა. მემცენარეობაში მნიშვნელობით მეორე ადგილზე მეხილეობაა, ხოლო მეხილეობის დარგებიდან წამყვანია ციტრუსების (3,3 მლნ ტ) მოყვანა. ტექნიკური კულტურებიდან იწარმოება შაქრის ჭარხალი, თამბაქო, ჩაი და ეთერზეთოვნები. საკმაოდ კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა.

იაპონიაში ახლო წარსულში მეცხოველეობას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. უძველესი დარგი იყო თუთის აბრეშუმხვევიას მოშენება, რომლის წარმოების მასშტაბები ბოლო წლებში საკმაოდ დაეცა. თანდათანობით იზრდება სარძევე-სახორცე მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (5,6 მლნ სული). ხორცის წარმოებაში დიდი ადგილი უჭირავს მეღორეობასა (11,7 მლნ სული) და ფრინველის (375 მლნ ფრთა) მოშენებას. აშენებენ ცხენს, ცხვარს, ფუტკარს და სხვა შინაურ ცხოველებს.

ტრადიციულად იაპონიის კვების რაციონში დიდი ადგილი უჭირავს თევზს და ზღვის სხვა პროდუქტებს. თევზჭერით იაპონია გამორჩეული ქვეყანაა, თუმცა მასშტაბები თანდათანობით ეცემა (4,8 მლნ ტ, 2012 წ.). თევზჭერით განსაკუთრებით გამოირჩევა ჰოკაიდოს სანაპიროები, ჰონსიუს ჩრდდილო-აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროები. აქ მდებარეობს მსხვილ მეთევზეთა ნავსადგური სიმონოსეკი. სანაპიროს ზონა მარიკულტურის განვითარების ძირითადი რაიონია. მისდევენ ლოკოკინების, ხამანწკების, კიბორჩხალების მოშენებასა და რეწვას. ჰონსიუს სამხრეთი სანაპირო განთქმულია მარგალიტის რეწვით.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

იაპონიის ეკონომიკაში ტრანსპორტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მეურნეობის სწრაფი განვითარება, შრომის საერთაშორისო და სარაიონთაშორისო დანაწილების გაღრმავება, ექსპორტისა და იმპორტის ზრდა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს იაპონიის ტრანსპორტს. ბოლო პერიოდში საშუალო წლიური ტვირთბრუნვა დაახლოებით შეადგენს 3,9 ტრილიონ ტ/კმ-ს, ხოლო მგზავრთბრუნვა 1,25 ტრილნ მგზ/კმ-ს. ტვირთბრუნვა ტრანსპორტის სახეების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: საზღვაო - 90,6%, საავტომობილო - 8,2%, სარკინიგზო - 0,8%, საჰაერო - 0,4%; მგზავრთბრუნვა: საავტომობილო - 60%, სარკინიგზო - 30,3%, საავიაციო - 9,3%, საზღვაო - 0,4%.

სარკინიგზო ხაზის სიგრძე 27,3 ათასი კმ-ია (ელექტრიფიცირებული 4800 კმ). სარკინიგზო კომუნიკაციები გამოირჩევა მაღალი ტექნიკური დონით. ფართო გავრცელება ჰპოვა მონორელსიანმა გზებმა მაგნიტურ საზიდებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩქაროსნული მატარებლების მოძრაობას 200-250 კმ/სთ სიჩქარით. იაპონიის რკინიგზებზე 3500 გვირაბია - 1500 კმ საერთო სიგრძით. ცნობილია ცუგაროს სრუტეზე ჰონსიუსა და კიუსიუს შორის სეიკანსკის გვირაბი (სიგრძე 53,8 კმ-ია, აქედან 23 კმ გადის 100 მ-ის სიღრმეზე წყალქვეშ). მთიან რეგიონში აღსანიშნავია როკკოს გვირაბი (სიგრძე 16,2 კმ). მნიშვნელოვანი ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალია ,,სინკანსენი"(ახალი ხაზი), რომელიც გადის ჰონსიუს სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ 1100 კმ-ის სიგრძეზე და დღეღამეში ყოველდღე ამ მონაკვეთზე 120 წყვილი მატარებელი მოძრაობს.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების დონით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. ავტოგზების საერთო სიგრძე 1,22 მლნ კმ-ია (მათ შორის მყარი საფარითაა დაფარული თითქმის 98,5%) და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა, ხოლო ავტოგზების სიხშირით - პირველზე. საავტომობილო გზები ჩვეულებრივ გადიან რკინიგზების პარალელურად, ქმნიან ე.წ. პოლიმაგისტრალებს. ჩქაროსნული გზები (ჰაიევი) უზრუნველყოფენ ორმხრივ და მრავალრიგიან მოძრაობას ორივე მიმართულებით. მაგისტრალური გზების საერთო სიგრძე 8,4 ათასი კმ-ია. გზები უზრუნველყოფილია მომსახურების ყველა სერვისით. საავტომობილო პარკის სიდიდით (74,5 მლნ ავტომობილი) აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზეა. ყოველ 1000 კაცზე მოდის 591 ავტომანქანა (მე-15 ადგილი, 2014 წ.).

საზღვაო ტრანსპორტს იაპონიის საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იაპონიას უმსხვილესი და ტექნიკურად აღჭურვილი საზღვაო ფლოტი გააჩნია. გემების რაოდენობა ბოლო წლებში გარკვეულწილად შემცირდა (5290 გემი, 2018 წ.). ფლოტის საერთო ტონაჟით (27,1 მლნ ბრუტ. რეგ. ტ) იგი ფორმალურად ჩამორჩება მხოლოდ

პანამისა და ლიბერიის ფლოტს, რადგან გემების დიდი ნაწილი (3100 ზე მეტი გემი) დაცურავს ,,გამოსადეგი დროშის" ქვეშ, ფაქტობრივად მისი ტონაჟი ორ-ჯერ მეტია. ქვეყანაში 1000-ზე მეტი ნავსადგურია, 19 საერთაშორისო მნიშვნელობისაა, მათ შორის, 7 მსოფლიო ნავსადგურის კატეგორიას მიეკუთვნება. იაპონიის პორტებში საშუალო წლიური ტვირთბრუნვა 1,1 მლრდ ტონას (2015 წ.) აღემატება. იაპონიის ნავსადგურები ქმნიან სამ სანავსადგურო კომპლექსს. მათ შორის მნიშვნელოვანია კეიხინია, რომელიც მდებარეობს ტოკიოს უბის სანაპიროზე და აერთიანებს ოთხ მსხვილ ნავსადგურს: ტიბა (154 მლნ ტ), იოკოჰამა (119,2 მლნ ტ), კავასაკი (90,7 მლნ ტ), ტოკიო (86,8 მლნ ტ). მეორე კომპლექსია ხანშინის, რომელიც მდებარეობს აკასის სრუტის სანაპიროზე და აერთებს იაპონიის შიდა ზღვას ოსაკას უბესთან. ამ კომპლექსის მნიშვნელოვანი ნავსადგურებია: კობე (88,3 მლნ ტ), ოსაკა(86,8 მლნ ტ). მესამე სანავსადგურო კომპლექსი - ტოკაი მდებარეობს ისეს უბის სანაპიროზე მთავარი ნავსადგურებით: ნაგოია (208,2 მლნ ტ, ყველაზე დიდი), იოკაიტი (55 მლნ ტ).

საჰაერო ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება, ხოლო განვითარების ტემპით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადილზეა. უმსხვილესი აეროპორტები განლაგებულია ტოკიოსა და ოსაკაში. უდიდესია ტოკიოს ,,ჰანედას" აეროპორტი, რომელსაც წლის განმავლობაში საშუალოდ 44-45 მლნ მგზავრი გადაჰყავს. 1994 წელს მწყობრში ჩადგა ახალი ულტრათანამედროვე აეროპორტი ოსაკას მახლობლად, რომელსაც შეუძლია მიიღოს ყველა ტიპის თვითმფრინავი - მგზავრთბრუნვა 27 მლნ კაცამდე.

სუსტადაა განვითარებული მილსადენი ტრანსპორტი (ნავთობსადენები 278 კმ, გაზსადენები - 4456 კმ, 2018 წ.). მთიან რეგიონებში ფართოდ გამოიყენება საბაგირო გზები.

მგზავრთა გადაყვანაში დიდ როლს ასრულებს მეტროპოლიტენები. ტოკიოს მეტროპოლიტენი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესია, რომელიც აგებული იქნა 1927 წელს და საშუალოდ ყოველწლიურად გადაჰყავს 2,4 მლრდ მგზავრი (II ადგილი მოსკოვის მეტროპოლიტენის შემდეგ).

ტურიზმი

იაპონია თანამედროვე ტექნოლოგიების საოცრებათა ქვეყანაა, რომელიც თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, სტუმართმოყვარეობითა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობით ტურიზმის მზარდი ქვეყანაა. საშუალოდ ყოველწლიურად 12-13 მილიონი საერთაშორისო ტურისტი შედის, შემოსავლები 21 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო დანახარჯები 28 მლრდ

დოლარია. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია: ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები (ტბები, მდინარეთა ხეობები, ვულკანური რელიეფი), ბუდისტური ძეგლები (კანნონი, მეიჯი, რაკანძი), იმპერატორის სასახლე, ეროვნული მუზეუმი, სომუცეს ხელოვნების ცენტრი, თანამედროვე არქიტექტურული ძეგლები, ადგილობრივი ეთნოგრაფიული და კულტურის ძეგლები და ა.შ. ქალაქ ოსაკაში არის მსოფლიოში განათლების ერთიანი უმსხვილესი ცენტრი (განვითარებულია საგანმანათლებლო ტურიზმი). იაპონიაში ბევრი ტრადიციული დღესასწაულია (ახალი წლის დადგომა, საკურას ყვავილობა), რომელიც ტურისტებს იზიდავს. ტურიზმის სახეებიდან კარგადაა განვითარებული შემეცნებითი, საქმიანი, სპორტული, საგანმანათლებლო და სხვა სახეები. უმსხვილესი ტურისტული ცენტრებია: ტოკიო (რამდენიმე რაიონს აერთიანებს, ესენია: ოტემაჩი, კაზუმიჩაგი, შიბუია, უენო, იკებუკორო, სადაც უამრავი გასართობი თუ საინტერესო ადგილია თავმოყრილი. ტოკიოს ღირსშესანიშნაობებს მიეკუთვნება ძველებური პარკები: ,,ჰიბია'', ,,შიბა'', ,,ასაკუსა'', ,,მეიძი''. დღესასწაულების დროს პარკი ,,ასაკუსა'' ტურისტებს იზიდავს თეატრალური წარმოდგენებით, ეროვნული თამაშებითა და ესტრადის მსახიობების ხელოვნებით. ტოკიო მნახველს აოცებს თავისი ცათამბჯენებით, რომლებშიც განთავსებულია სასტუმროები, ბანკები, კომპანიების ოფისები და დიდი მაღაზიები. ტოკიოში 333 მ სიმაღლის ტელეანძაა, რომელიც ეიფელის კოშკს გვაგონებს. ქალაქის მთავარი სავაჭრო ქუჩაა გინზა, რომელიც ფუფუნებითა და საოცარი ფანტაზიით გაფორმებულ უზარმაზარ ულტრათანამედროვე ვიტრინას წააგავს (გინზაზე გასეირნება თავისებურ იაპონურ ტრადიციად ითვლება). სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია ოსაკა, იოკოჰამა და სხვ. ტურისტები ძირითადად ჩადიან ჩინეთიდან, კორეის რესპუბლიკიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, რუსეთიდან, ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

იაპონიის საგარეო ეკონომიკური კავშირების დიდი ნაწილი სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ძირითადად საგარეო ვაჭრობაზე მოდის. იაპონიის ხვედრითი წილი მსოფლიოს სავაჭრო ბრუნვაში თითქმის 3,8%-ია. ვაჭრობის მოცულობა შეადგენს 1,34 ტრილ დოლარს (2017 წ.), მათ შორის ექსპორტზე მოდის 688,9 მლრდ დოლარი, ხოლო იმპორტზე - 644,7 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის დადებითი სალდო - 44,2 მლრდ დოლარი (2017 წ.). ექსპორტის სტრუქტურაში 80%-ზე მეტი სამრეწველო საქონელზე მოდის. გააქვს: მსუბუქი ავტომანქანები, საზღვაო გემები, შავი ლითონის პროდუქცია, ლითონსაჭრელი ჩარხები, კომპიუტერები, ვიდეომაგნიტოფონები,

ტელევიზორები, ფოტო და კინოაპარატები, რობოტები, საფეიქრო დაზგები, საკერავი მანქანები, სამეცნიერო და ოპტიკური ხელსაწყოები, ქიმიკატები, საოფისე მოწყობილობები და სხვ. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 24,1%, აშშ - 19,4%, კორეის რესპუბლიკა - 7,6%, ტაილანდი - 4,2% და სხვ. იმპორტის ღირებულების თითქმის 80% სამრეწველო ნედლეულზე მოდის, შეაქვს: ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, შავი და ფერადი ლითონის მადანი, ფოსფორიტები, მერქანი, ბამბა, ხორბალი და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 24,5%, აშშ - 11%, ავსტრალია - 5,8%, კორეის რესპუბლიკა - 4,2%, საუდის არაბეთი - 4,1% და სხვ.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან მიმართულებას კაპიტალის გატანა წარმოადგენს. საგარეო ინვესტიციების მოცულობა 1,57 ტრილ დოლარს და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა (2017 წ.). იაპონური კაპიტალი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სავაჭრო და საბანკო საქმეში, კრედიტებში, მოპოვებით და გადამამუშავებელ მრეწველობაში აქვს დაბანდებული. ამასთან, იაპონიაში ფუნქციონირებს სხვა ქვეყნების კაპიტალიც, რომელთა მოცულობა 252 მლრდ დოლარია.

იაპონია აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის (,,ნოუ ჰაუს") გაცვლასა და ყიდვა-გაყიდვაში. ჭარბობს ლიცენზიების და პატენტების გაყიდვა ელექტროტექნიკურ და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში, მშენებლობაში და სხვა მიმართულებით. ტექნოლოგიების ექსპორტი ხორციელდება, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

შიდარეგიონალური სხვაობები

იაპონიაში გამოიყოფა ორი ეკონომიკურ-გეოგრაფიული სარტყელი: წყნაროკეანური სამრეწველო (,,წინა" ანუ მზის) და პერიფერიული (,,ზურგის" ანუ ჩრდილოეთის).

წყნაროკეანური სამრეწველო სარტყელი მოქცეულია ჰონსიუს სამხრეთ ნაწილში, აგრეთვე სიკოკუსა და კიუსიუს ჩრდილოეთ სანაპიროებზე. სარტყელს უჭირავს ტერიტორიის 1/3, თავმოყრილია მოსახლეობის 2/3, იწარმოება სამრეწველო პროდუქციის 4/5, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1/2 და ხორციელდება სავაჭრო-საფინანსო ოპერაციების 3/4 ნაწილი. მის შემადგენლობაში შედის კანტოს, კინკის და ტოკაის ეკონომიკური რაიონები, რომლის ფარგლებშიც მდებარეობს მეგაპოლისი ტოკაიდო.

კანტო (დედაქალაქური) მთავარი ეკონომიკური რაიონია, რომელსაც უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1/10, ცხოვრობს მოსახლეობის 1/3 და იწარმოება

სამრეწველო პროდუქციის 1/3 ნაწილი. კანტოს სამხრეთი წარმოადგენს რაიონის მთავარ ეკონომიკურ ბირთვს, სადაც განლაგებულია კეიჰინის აგლომერაცია. კანტო სპეციალიზირდება მეცნიერებატევად მანქანათმშენებლობაზე, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაზე, შავ და ფერად მეტალურგიაზე, პოლიგრაფიულ, მსუბუქ და კვების მრეწველობაზე. უმსხვილესი ცენტრებია - ტოკიო და იოკოჰამა.

კინკი ცენტრალური სარტყელის მეორე ეკონომიკური რაიონია. განსაკუთრებით განვითარებულია რაიონის დასავლეთი სანაპირო ნაწილი, სადაც განლაგებულია ხანსინის აგლომერაცია (12,6 მლნ კაცი). იგი არის დედაქალაქის შემდეგ უმსხვილესი სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო ცენტრი. კინკი სპეციალიზირდება შავ და ფერად მეტალურგიაზე, მანქანათმშენებლობაზე, ქიმიურ მრეწველობაზე. რაიონი წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს ბეღელს, სადაც მოჰყავთ მაღალი ხარისხის ბრინჯი, ბოსტნეული და ხეხილი. უმსხვილესი ცენტრებია - ოსაკა და კობე.

ტოკაი ცენტრალური სარტყლის მესამე ეკონომიკური რაიონია, რომელიც მდებარეობს კანტოსა და კინკს შორის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალის გაყოლებით. რაიონი ძირითადად სპეციალიზირდება სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაზე, ნავთობქიმიაზე, შავ მეტალურგიაზე, ელექტროტექნიკაზე, ცელულოზა ქაღალდის მრეწველობაზე. რაიონის ბირთვია ტიუკის აგლომერაცია (5,8 მლნ კაცი), რომლის მთავარი ცენტრია - ნაგოია.

პერიფერიულ სარტყელში შედის ცენტრალური წყნაროკეანური სარტყლის გარეშე დანარჩენი (2/3) ტერიტორიები. იგი აერთებს ჰიკორიკუს სამხრეთ დასავლეთის და ჩრდილოეთის ეკონომიკურ რაიონებს.

ჰიკორიკუს რაიონი მდებარეობს ჰონსიუს ცენტრალური ნაწილის იაპონიის ზღვის სანაპიროზე. აქ მოიპოვება ნავთობი და გაზი, არის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადები, იწარმოება სპეციალური ფოლადი, ალუმინი, ფოსფორიტები და სხვ. სანაპირო ზოლი არის ბრინჯის მთავარი ბეღელი. ძირითადი ცენტრია - ნიგატა.

სამხრეთ-დასავლეთ რაიონში მთავარია ტიუგოსკე, რომელიც მდებარეობს შიდა იაპონიის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. რაიონში წამყვანია ნავთობქიმია, მეტალურგია და მანქანათშენებლობა. სამხრეთ-დასავლეთის რაიონებში, აგრეთვე, შედის კიუსიუს და სიკოკუს სამხრეთი ნაწილები და რიუკიუს არქიპელაგი. მთავარი ცენტრია - ხიროსიმა.

ჩრდილო იაპონიის რაიონებში შედის ტიხოკუ და კუნძული ჰოკაიდო. ტიხოკუ მდებარეობს ჰონსიუს ჩრდილო ნაწილში. რაიონი შედარებით მდიდარია მინერალური (ნავთობი, გაზი, რკინის მადანი, ქვანახშირი) და ტყის რესურ-

სებით. მრეწველობის წამყვანი დარგებია ელექტროტექნიკური და ელექტრონული მანქანათმშენებლობა, ცელულოზა-ქაღალდის და ქიმიური მრეწველობა. მთავარი ცენტრია - სენდაი.

ჰოკაიდოს რაიონი ეკონომიკურად შედარებით სუსტადაა განვითარებული. მეურნეობის დარგებიდან კარგადაა განვითარებული სამთო-მოპოვებითი, მეტალურგიული, ხე-ტყის, კვების მრეწველობა, აგრეთვე, სპეციალიზირდება თევზჭერაზე. სოფლის მეურნეობიდან ძირითადად მოჰყავთ სელი, შაქრის ჭარხალი და კარტოფილი. აშენებენ სარძევე-სახორცე მიმართულების პირუტყვს. მთავარი ცენტრია - საპორო.

3.1.3. ინდოეთი

ფართობი - 3287 ათასი კმ²

მოსახლეობა - 1,38 მლრდ კაცი (2021 წ.)

დედაქალაქი - დელი

ზოგადი ცნობები

ინდოეთი დიდი პოტენციის მქონე განვითარებადი, მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული და დიდი ოცეულის წევრი ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქცია ერთ სულზე - 6990 დოლარს (2018 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,624-ს (131-ე ადგილი, 2016 წ) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 28 შტატად და 7 კავშირის ტერიტორიად. ქვეყნის დევიზია: ,, ჭეშმარიტება იმარჯვებს“ - ,,Satyamēva jayatē”. სახელმწიფო ენა - ჰინდი და ინგლისური. ფულის ერთეული - რუპია.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

ინდოეთი მდებარეობს სამხრეთ აზიაში, რომელსაც საკმაოდ კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. აქვს ფართო გასასვლელი ინდოეთის ოკეანის წყლებში და ქვეყანაზე გადის ტრანსევრაზიის სატრანსპორტო კომუნიკაციები. ამასთან, ფართოდა ჩართულია ტრანსაზიულ სატრანსპორტო სისტემაში. საზღვრების საერთო სიგრძე 20888 კმ-ია (სახმელეთო -13888 კმ, საზღვაო - 7000 ათასი კმ). ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩინეთი (2659 კმ), სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით ინდოეთის ოკეანის წყლები. აღმოსავლეთით ბანგლადეში (4142 კმ.), მიანმარი (1468 კმ), ნეპალი (1770 კმ) და ბუტანი

(659 კმ.), ხოლო დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით პაკისტანი (3190 კმ.). ინდოეთის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 30.

ნახ. 30. ინდოეთის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ინდოეთის ბუნებრივი პირობები მეტად მრავალფეროვანია. ქვეყნის ტერიტორიის 1/4 ნაწილი განლაგებულია ინდისა და განგის დაბლობზე, ცენტრალური ნაწილი უჭირავს დეკანის ზეგანს, რომლსაც მერიდიანული სახით აკრავს საშუალო სიმაღლის დასავლეთი და აღმოსავლეთი გატების მთები. ჩრდილო დასავლეთით შემოსაზღვრულია ჰიმალაის მთებით (უმაღლესი წერტილი მთა კანჩენჯანღა-8598 მ). რელიეფი, მცირე გამონაკლისისა, განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარებაში განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნის.

მინერალური რესურსებით ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა. ინდოეთს გააჩნია მსოფლიოში შავი მეტალურგიის განვითარებისათვის უნიკალური სანედლეულო ბაზა, სადაც ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ლოკალურ ტერიტორიაზე თავმოყრილია ყველა სახის რესურსი. რკინის მადნის მარაგი შეფასებულია 21 მლრდ ტ-ით, უმსხვილესი საბადოა სინგხუმი. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მარგანეცის მარაგს, რომლის ძირითადი საბადოები ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია. სხვა ლითონური წიაღისეულიდან მოიპოვება ბოქსიტები, სპილენძი, ქრომიტები, ტიტანი, ოქრო, ალმასი და სხვ. სათბობი რესურსებიდან შედარებით დიდი რაოდენობით წარმოდგენილია ქვანახშირი, რომლის მარაგი შეფასებულია 112 მილიარდი ტონით. მოიპოვება მურა ნახშირიც. არის ნავთობის, გაზის და ურანის გარკვეული მარაგი. მდიდარია არამადნეული და სამშენებლო მინერალური ნედლეულით.

ინდოეთის ტერიტორიაზე ძირითადად ჩამოყალიბებულია მშრალი და ტენიანი ტროპიკული, სუბტროპიკული და მუსონური ჰავა. საშუალო წლიური ტემპერატურა +12°C - +23°C, იანვარში ჩრდილოეთში +15°C (მთიან რეგიონებში 1500 მ-ის სიმაღლეზე -1°C), ხოლო სამხრეთში +23°C. ზაფხულში საშუალო ტემპერატურაა +25 - +35°C, მაქსიმუმი +48°C ჩრდილო-დასავლეთში. ნალექების განაწილება ძალზე არათანაბარია, ცენტრალურ ნაწილში საშუალოდ 350-500 მმ-ია, მაქსიმუმები მოდის ასამის შტატში ჩერაპუნჯის რაიონში - 12000 მმ, ხოლო მინიმუმები ტარის უდაბნოში - 100 მმ. კლიმატური რესურსები, სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, მეტად მრავალფეროვანია, ფაქტობრივად, აქაური ნიადაგურ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა მოყვანილ იქნას ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურა.

წყლის რესურსებით ღარიბი ქვეყანაა, განსაკუთრებით, ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი რაიონები. ინდოეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მდინარე განგს (2510 კმ) გააჩნია, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განედობრივი მიმართულებით გაედინება და მიჩნეულია წმინდა მდინარედ. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაედინება მდინარე ინდის შენაკადები. ცენტრალურ რაიონებში მნიშვნელოვანი მდინარეებია: ნარმანდა, გოდოვარა, კრიშნა და სხვ. მდინარეები ფართოდ გამოიყენება სარწყავად, სანაოსნოდ და ჰიდროენერგეტიკული თვალსაზრისით (ჰიდროპოტენციული მარაგი არ აღემატება 40 მლრდ კვტ/სთ).

ტყის რესურსებით შეზღუდული ქვეყანაა (20%), სადაც სამრეწველო დანიშნულების ტყე ძალზე ცოტაა. ტყის რესურსებით შედარებით მდიდარია ჩრდილო-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი რეგიონები. ბუნებრივი საძოვრებით მსოფლიოში ერთ-ერთი შეზღუდული ქვეყანაა.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ინდოეთი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერაა, სადაც ნაპოვნია უძველეს ადამიანთა სამოსახლო ტერიტორიები. თანამედროვე ადამიანები დასახლდნენ უკანასკნელი გამყინვარების პერიოდის ბოლოს, ანუ, დაახლოებით 12 000 წლის წინ. ვედური კულტურის დასასრულს, ძვ. წ. X საუკუნეში ქალაქ-სახელმწიფოთა უმრავლესობა მოიხსენებოდა ჯანაპადებად. ძვ. წ V საუკუნისათვის 16 სამეფოდან („რესპუბლიკა ჯანაპადი“) წარმოიქმნა ოთხი შედარებით მსხვილი გაერთიანება - ვატსა, ავანტი, ქოშალა და მაგადჰა. იმ პერიოდში წარმოიშვა რელიგიური მიმდინარეობები ბუდიზმი და ჯაინიზმი, რამაც დიდი გავლენა იქონია რეგიონის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ძვ. წ. 520 წელს ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაპყრობილი იქნა სპარსეთის აქემენიდური იმპერიის მიერ. სპარსელთა ბატონობა აქ მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. ძვ. წ. 334 წელს ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო ინდოეთის პენჯაბის დიდი ნაწილი. სპარსულმა და ბერძნულმა დაპყრობებმა დიდი ისტორიული გავლენა მოახდინა ინდური ცივილიზაციის განვითარებაზე.

ჩვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში შეიქმნა ქუშანის სამეფო, რომელიც საბოლოოდ გადაიჭიმა ბენგალიის ყურემდე. ინდოეთის ისტორიის კლასიკური პერიოდი დაიწყო VII საუკუნეში და დასრულდა XIV საუკუნეში, მუსულმანთა შემოჭრების შედეგად, ვიჯაიანაგართა იმპერიის დაცემით სამხრეთში. ამ პერიოდში მოხდა ინდური ხელოვნების აყვავება და ძირითადი რელიგიური და ფილოსოფიური სისტემების განვითარება, რომელიც გახდა თანამედროვე ინდუიზმის, ბუდიზმის და ჯაინიზმის გამოვლინების საფუძველი.

XII-XIII საუკუნეებში არაბები, თურქები და ავღანელები შეიჭრნენ ჩრდილოეთ ინდოეთში და XIII ს-ის დასაწყისში დააარსეს დელის სასულთნო. 1398 წელს თემურ ლენგმა დაიპყრო დელის სასულთნო და გაბატონდა მონღოლთა იმპერია. XVIII ს-ის დასაწყისიდან იმპერიამ თანდათან დაიწყო დაცემა და 1857 წელს სიპაების აჯანყების (ცნობილია, აგრეთვე, როგორც 1857 წლის ინდოეთის სახალხო აჯანყება) შემდეგ შეწყვიტა არსებობა.

პორტუგალიელი ზღვაოსნის ვასკო და გამას მიერ ახალი საზღვაო გზის აღმოჩენამ ევროპიდან ინდოეთში სათავე დაუდო ამ რეგიონებს შორის პირდაპირ ვაჭრობას. პორტუგალიელებმა დააარსეს სავაჭრო კოლონიები გოაში, დამანში, დიუში, ბომბეიში. მათ მოჰყვნენ ნიდერლანდელები, დანიელები და ინგლისელები, რომლებმაც 1619 წელს შექმნეს სავაჭრო პორტი ინდოეთის

დასავლეთ სანაპიროზე საპორტო ქალაქ სურატში. ამის შემდეგ მოვიდნენ ფრანგები. XVIII საუკუნის მანძილზე ევროპულმა იმპერიებმა მოახერხეს თავიანთი კონტროლის ქვეშ შეენარჩუნებინათ ინდური ტერიტორიები, მოგვიანებით იძულებული გახდნენ დაეთმოთ ყველა ეს ტერიტორია ინგლისელებისათვის. 1850-ანი წლების დასაწყისისთვის ოსტ-ინდოეთის კომპანია აკონტროლებდა ინდოეთის სუბკონტინენტის დიდ ნაწილს. მათ შორის, თანამედროვე პაკისტანსა და ბანგლადეშს. 1857 წელს ოსტ-ინდოეთის მმართველობით უკმაყოფილება გახდა დამოუკიდებლობისათვის პირველი ომის (ცნობილი, როგორც სიფაების აჯანყება) მიზეზი. ერთწლიანი სამარი მოქმედებების შემდეგ აჯანყება იქნა ჩახშობილი. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 1885 წელს მაათმა განდისა და ჯავაჰარლალ ნერუს მიერ, ინდოეთის ეროვნული კონგრესის შექმნის პერიოდიდან დაიწყო. 1920 წლიდან ისეთმა ლიდერებმა, როგორიც იყო მაჰათმა განდი, დაიწყეს ინდოეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები. ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გახლეჩვის მიზნით, ინგლისის პარლამენტმა 1929 წელს ინდოეთს მიანიჭა ინგლისის იმპერიის დომინიონის სტატუსი. მთელი ინდოეთის სუბკონტინენტზე დაიწყო ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ რევოლუციური გამოსვლები, რამაც 1947 წელს ინდოეთი დამოუკიდებელი ქვეყანა გახადა, მაგრამ შიდაპოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირების შედეგად ორი ქვეყანა - ინდოეთი და პაკისტანი შეიქმნა. ამავდროულად, რელიგიურ მიგრაციულ პროცესებში 12 მლნ ინდუსი, სიქი და მუსლიმანი გადასახლდა ახლადშექმნილი ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფოების ტერიტორიაზე. XX საუკუნის მეორე ნახევარში ინდოეთს ჰქონდა საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემები მეზობელ სახელმწიფოებთან. დავა ჩინეთთან ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული, რომელიც 1962 წელს ჩინეთ-ინდოეთის ხანმოკლე სასაზღვრო ომში გადაიზარდა. ინდოეთმა პაკისტანთან გადაიხადა სამი ომი - 1947, 1965 და 1971 წლებში. უკანასკნელი კონფლიქტი ინდოეთსა და პაკისტანს შორის მიმდინარეობდა 1999 წელს, ქაშმირის შტატში.

სახელმწიფო წყობა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

ინდოეთი ფედერაციული საპარლამენტო რესპუბლიკაა. ქვეყნის მეთაურია საარჩევნო კოლეგიის მიერ 5 წლით არჩეული პრეზიდენტი. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრემიერმინისტრი, რომელსაც ნიშნავს პარლამენტი. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი - სანსადი, რომლის ზედა პალატა - შტატების საბჭო (რაჯაი საბახმა) შედგება 6 წლის ვადით არჩეული და დანიშნული 250 წევრისაგან (მათ შორის 238 ირჩევა,

ხოლო 12 ინიშნება პრეზიდენტის მიერ), ქვედა - სახალხო პალატა (ლოკ საბხა) 5 წლის ვადით არჩეული და დანიშნული 545 წევრისაგან (2-ს ნიშნავს პრეზიდენტი).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით იყოფა 28 შტატად (ანდჰარა-პრადეში, არუნაჩალ-პრადეში, ასამი, მენგალი, ბიჰარი, გოა, გუჯარათი, კარნატაკა, კერელა, მადჰია-პრადეში, მაჰარაშტრა, მანიპური, მეგჰალია, მიზორამი, ნაგალენდი, ორისა, პენჯაბი, პონდოშერი, რაჯასტანი, სიკმი, ტამილანდუ, უტარ-პრადეში, უტარანჩალი, ჩხატისგარჰი, ჯამუ და ქაშმირი, ჯარხანდი, ჰარიანა, ჰამაჩალ-პრადეში) და 7 კავშირის ტერიტორიად (ანდამანის და ნიკობარის კუნძულები, დადრა და ნაგარ-ჰაველი, დამანი და დიუ, დელის ეროვნული სადედაქალაქო ოკრუგი, ლაქშადვიპი, პუდუჩერრი, ჩანდიგარჰი).

მოსახლეობა

ინდოეთში ცხოვრობს 1,38 მლრდ კაცი და ამ მაჩვენებლით ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა (2021 წ.). მისი მოსახლეობა სწრაფი ტემპით იზრდება (საშუალოდ წელწადში 1,2%), რომელიც მთლიანად ბუნებრივ მატებაზეა დამოკიდებული და ყოველ ათას კაცზე 11,4 პრომილეა (შობადობა - 18,7, სიკვდილიანობა - 7,3). ქვეყანას საშუალოდ ყოველწლიურად ბუნებრივი გზით 16-17 მილიონი კაცი ემატება.

გააჩნია ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობა. მამაკაცები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 51,9%, ხოლო ქალები - 48,1%. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 27%, 15 - 64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 66,6%, 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაზე მხოლოდ - 6,4%. ინდოეთი მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად დაბერებული ქვეყანაა. სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლიობა 65 წლამდეა.

ინდოეთი მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც ძირითადად ორი ენობრივი ოჯახის - ინდოევროპული (ინდოარიული 72%) და დრავიდული (25%) წარმომადგენლები ცხოვრობენ, მათ შორის 14 მსხვილი ერია (ჰინდუსტანელები - 588 მლნ, ბენგალიელები - 108 მლნ, მარატხები - 93 მლნ, ტელუგები - 90 მლნ, თამილები - 77 მლნ, გუდჟარატები - 62 მლნ და სხვ.). აღმსარებლობის მიხედვით, მოსახლეობის 79,8% ინდუიზმის, 14,2% ისლამის, 2,3% ქრისტიანობის, 1,7% სიქიზმის და სხვ. რელიგიის მიმდევარია.

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა (764 მლნ კაცი, მთელი მოსახლეობის 56,6%, 2018 წ.). შრომითი რესურსების 47% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, 22% - მრეწველობაში და 31% - მომსახურე დარგებში.

ინდოეთის მოსახლეობა ნაკლებადაა ჩართული მიგრაციულ-პროცესებში, განსაკუთრებით საერთაშორისო მიგრაციებში. ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ადგილი ჰქონდა რელიგიური ხასიათის მიგრაციებს, კერძოდ, მილიონობით მუსულმანმა დატოვა ინდოეთი და პაკისტანში გადასახლდა.

ინდოეთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, სადაც საშუალო სიმჭიდროვე ერთ კმ²-ზე 411 კაცი მოდის. მჭიდროდ დასახლებულია განგის დაბლობი, სადაც სიმჭიდროვე ცალკეულ რაიონში 1500-2000 კაცს აღემატება, ხოლო სუსტადაა დასახლებული ჩრდილო-დასავლეთი რეგიონები.

დაბალია ურბანიზაციის დონე - 34% (2018 წ.), ხოლო ტემპი საკმაოდ მაღალია (2,4%). ქვეყანაში ადგილი აქვს „ცრუ ურბანიზაციას“, კერძოდ, 5161 ქალაქიდან, 4861-ში საკანალიზაციო სისტემები არ ფუნქციონირებს, ქალაქების 50%-ში არ არსებობს წყლის თავისუფალი მიწოდება, მხოლოდ 30-მდე ქალაქში ფუნქციონირებს მუნიციპალური ავტობუსი და სხვ. 40-ზე მეტი ქალაქი „მილიონერია“, რომელთა შორის უდიდესია (ადმინისტრაციულ საზღვრებში): მუმბაი (ბომბეი) – 13,7 მლნ, დელი - 11,9 მლნ, ბენგალური - 5,2 მლნ, კალკუტა - 5,1 მლნ, მადრასი - 4,7 მლნ, ხაიდარაბადი - 4,0 მლნ, ახმადაბადი - 3,9 მლნ და სხვ. უდიდესი აგლომერაციებია: ნიუ-დელი - 28,5 მლნ, მუმბაი - 20,1 მლნ, კალკუტა -14,7 მლნ, ბენგალური - 11,4 მლნ, მადრასი - 10,5 მლნ და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ინდოეთის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა კოლონიურმა წარსულმა იქონია, რომელიც დიდი ბრიტანეთის სანედლეულო წყაროს და გასაღებ ბაზარს წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ დაიწყო ქვეყნის მეურნეობის ნაციონალიზაცია, რის შედეგადაც არსებითი ცვლილებები განხორციელდა დარგობრივ სტრუქტურაში და აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში. მეურნეობის განვითარების მიხედვით დიდი პოტენციის მქონე ინდუსტრიული ქვეყანაა, სადაც მრეწველობის საშუალო ზრდის ტემპი 5,5%-ია. შესაბამისად, იზრდება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონე და მომსახურე დარგები. მეურნეობის განვითარებაში საკმაოდ აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი.

ინდოეთი მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობით მსოფლიოში მესამე ადგილზეა, 9,47 ტრილიონი დოლარი (2018 წ.). პროდუქციის 15,4%-ს იძლევა სოფლის მეურნეობა, 23,1%-ს - მრეწველობა და 61,5%-ს - მომსახურე დარგები. მეურნეობის 20% სახელმწიფო სექტორზე მოდის.

ინდოეთის მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წილი თანდათანობით იზრდება, ხოლო მრეწველობის სტრუქტურაში პრიორიტეტული მიმართულება მძიმე ინდუსტრიას უჭირავს. ბოლო პერიოდში საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება ენერგეტიკა, რომელიც უფრო მეტად საკუთარ სანედლეულო ბაზას ეფუძნება. ქვანახშირის მოპოვება საშუალოდ შეადგენს 145 მლნ ტ, ნავთობის - 42,5 მლნ ტ, ბუნებრივი გაზის - 31,5 მლრდ $м^3$. ენერგორესურსები საშუალოდ აკმაყოფილებს მოთხოვნილების 35-40%. დაჩქარებული ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა, 1990 წელს აწარმოებდა 310 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგიას, ხოლო 2016 წ. 1,38 ტრილიონ კვტ/სთ. წარმოებული ენერგიის 71% მოდის თბოსადგურებზე, 12% ჰესებზე, 3,4% ატომურზე (პირველი აეს-ი აშენდა 1970 წელს „ტარაპური“, ამჟამად 7 სადგურია), სხვა წყაროებზე - 13,6%. ქვეყნის ელექტრიფიკაციის დონე სასოფლო დასახლებებში 70%-მდეა.

შავი მეტალურგიის განვითარებისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ქვეყანას გააჩნია მსოფლიოში უნიკალური სანედლეულო ბაზა, სადაც მცირე ტერიტორიაზე მოიპოვება ყველა სახის რესურსი. მოიპოვებს 260 მლნ ტ რკინის მადანს (2010 წ.). აწარმოებს 95,6 მლნ ტ ფოლადს (2016 წ., 2000 წ. 26,9 მლნ ტ) და 51,2 მლნ ტ თუჯს. უმსხვილესი კომბინატებია: ფხილაი, ჯანშაპური, ბიკარო, დურგაპური და სხვ. ფერადი მეტალურგიიდან შედარებით კარგადაა განვითარებული ალუმინის მრეწველობა (2,8 მლნ ტ, 2016 წ.), რომელიც საკუთარ ნედლეულზე არის განვითარებული (ხირაკუდი, რიხანდი). ბოლო პერიოდში ინტენსიურად ვითარდება სპილენძის და ტყვია-თუთიის მრეწველობა. მოიპოვება ოქრო, ალმასი და სხვა ძვირფასი ქვები. მოხმარებული ფერადი ლითონების 20-60% იმპორტის გზით შედის.

მანქანათმშენებლობა სწრაფი ტემპით ვითარდება, რომელიც ძირითადად საკუთარ ბაზარზეა ორიენტირებული. ფუნქციონირებს უცხოური კომპანიები, სადაც იაფი მუშახელი გამოიყენება. აწარმოებს თითქმის ყველა სახის მანქანა-მოწყობილებებს, მათ შორის გამოთვლით ტექნიკას, კოსმოსურ აპარატურას და სხვ. შედარებით კარგადაა განვითარებული სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა; ლოკომოტივებს უშვებს ვარანასი, ვაგონებს - მუმბაი და კოლკატპი, თვითმფრინავებს - მადრასი და ბენგალური, საზღვაო და სამდინარო გემებს მუმბაი და ვაშაკხაპატნამი. სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და ელექტროტექნიკური პროდუქციის წარმოების უმსხვილესი ცენტრებია: მუმბაი, კალკუტა, მადრასი, ხაიდარაბადი, დელი, ბენგალური და სხვ.

ქიმიური მრეწველობის განვითარების მიხედვით, საშუალო დონის ქვეყანაა, თუმცა ცალკეული დარგი სწარფი ტემპით იზრდება. პრიორიტეტი ენიჭება

მინერალური სასუქებისა (6,5 მლნ ტ) და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის წარმოებას. საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი ფარმაკოქიმიაა, რომელიც სპეციალირიზდება ნატურალური ნედლეულის ბაზაზე მედიკამენტების წარმოებით. ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება ორგანული სინთეზის ქიმია პლასტმასების და სინთეზური ბოჭკოების წარმოების უპირატესობით. ნავთობგადამუშავების უმსხვილესი ცენტრი არის მუმბაი.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია. მერქნის რესურსებით არ გამოირჩევა, მაგრამ დამზადებით (250 მლნ $მ^3$) მსოფლიოს ხუთეულში შედის. განვითარებულია ხე-ტყის მრეწველობის ყველა დარგი, რომელიც ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებშია განვითარებული.

დაჩქარებული ტემპით ვითარდება საშენ მასალათა მრეწველობა, რომელიც ადგილობრივ რესურსებს ეფუძნება და აწარმოებს ყველა სახის პროდუქციას. ცემენტის წარმოება აღემატება 45 მლნ ტ. საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი ავეჯის მრეწველობაა.

მსუბუქი მრეწველობა უძველესი სპეციალიზაციის დარგია, რომელიც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი სანედლეულო ბაზით. წამყვანია საფეიქრო მრეწველობა, განსაკუთრებით ბამბეულის ქსოვილების წარმოება (18,8 მლრდ $მ^3$, მეორე ადგილი, ჩინეთის შემდეგ), სადაც 750-ზე მეტი საწარმოა, მათ შორის უმსხვილესი ცენტრებია: მუმბაი, დელი, ახმადაბადი და სხვ. საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ჯუთის მრეწველობას, აწარმოებს 3,5 მლრდ $მ^3$ ჯუთის ქსოვილებს და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა. ჯუთის მრეწველობის უმსხვილესი ცენტრი კალკუტაა, რომელიც "ჯუთის დედაქალაქად" იწოდება. შედარებით სუსტადაა განვითარებული შალეულის და აბრეშუმის მრეწველობა. მსოფლიო მნიშვნელობა სამკერვალო მრეწველობას გააჩნია, რომელიც სპეციალიზირდება ბავშვის ტანსაცმლის წარმოებით. კარგადაა განვითარებული ტყავფეხსაცმლის მრეწველობა და გამოირჩევა ნატურალური ტყავის ექსპორტით. საკმაოდ კარგადაა განვითარებული მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებიც.

ინდოეთს კვების მრეწველობის განვითარებისათვის მრავალფეროვანი სანედლოულო ბაზა გააჩნია, რის საფუძველზეც ყველა დარგია განვითარებული. საერთაშორისო მნიშვნელობა ჩაის მრეწველობას გააჩნია, სადაც იწარმოება შავი, ბაიხის და მწვანე ჩაი. ჩაის წარმოების დიდი ნაწილი ასამის შტატზე მოდის. მსოფლიო მნიშვნელობის დარგი შაქრის მრეწველობაა (27,5 მლნ ტ, მეორე ადგილი). ტრადიციულად სპეციალიზირდება სხვადასხვა სახის სანელებლების წარმოებით. კარგადაა განვითარებული პურ-ბურღულეულის, რძის, ზეთის, საკონდიტრო, საკონსერვო და სხვა დარგები. შედარებით სუსტადაა განვითარებული ხორცის და ალკოგოლური სასმელების მრეწველობა. კვების მრეწველო-

ბის საწარმოები განლაგებულია ქვეყნის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაიონებში. ამასთან, კვების პროდუქტების გარკვეული ნაწილი კუსტარულად იწარმოება.

ინდოეთი ტრადიციულად საიუველირო პროდუქციით ცნობილია, სადაც კარგადაა განვითარებული ოქროს სამკაულების და ბრილიანტის წარმოება. ამასთან, მსოფლიოში გამოირჩვა კუსტარული წარმოებით, კერძოდ, კუსტარულად ამზადებენ მხატვრულ ნაქარგებს, ნაკეთობებს, სოფლის მეურნეობის იარაღებს, სუვენირებს და სხვ. სახელმწიფო ხელს უწყობს კუსტარული მეურნეობის განვითარებას. მსოფლიოში გამოირჩევა კინემატოგრაფიის განვითარების მაღალი დონით, სადაც საშუალოდ ყოველწლიურად 700-ზე მეტი ფილმის გადაღება ხდება.

სოფლის მეურნეობა

ინდოეთი უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში ჩამოყალიბდა სარწყავი მიწათმოქმედება. ამჟამად სოფლის მეურნეობა იძლევა მშპ-ს 15,4% და დასაქმებულია შრომითი რესურსის 47%. სოფლის მეურნეობა გამოირჩევა განვითარების მრავალფეროვნებით, სადაც ჯერ კიდევ წარმოდგენილია ნატურალური და ნახევრად ნატურალური მეურნეობა. ფერმერთა 20%-ს მიწა საერთოდ არ აქვთ, 60% საშუალოდ ფლობს 1 ჰა-მდე, მსხვილი მიწათმფლობელების ხელთაა მთელი მიწების 10%, ხოლო ღარიბი ფერმერების წილზე მოდის მხოლოდ 1%. სასოფლო სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ტერიტორიის 54%, მათ შორის სახნავი მიწები 47%-ია, ანუ 141 მლნ ჰა. საკმაოდ დიდი ტერიტორიები უკავია მრავალწლიან ნარგავებს, მათ შორის ჩაის. შეზღუდულია ბუნებრივი საძოვრებით.

სოფლის მეურნეობაში მთავარი დარგია მემცენარეობა და მასზე მოდის პროდუქციის 80%. მიწათმოქმედებაში გამოირჩევა 2 სეზონი: ხარიფი (ზაფხულის) და რაბი (ზამთრის). მოსავლის დიდი ნაწილი მოდის ზაფხულის სეზონზე. ინდოეთში მიწების დიდი ნაწილი ირწყვება (54,2 მლნ ჰა) და მემცენარეობის პროდუქციის 45%-ს იძლევა. ნათესების 96% უჭირავს საკვებ კულტურებს. მთავარი კულტურაა ბრინჯი, რომელიც ძირითადად ითესება მდინარეთა დელტებზე და ალუვიურ ნიადაგებზე (2-3 მოსავალი მოყავთ). ბრინჯის წარმოებით ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა (საშუალოდ 133-148 მლნ ტ). მეორე მარცვლეული კულტურაა ხორბალი (93,5 მლნ ტ, 2017 წ.), რომელიც ძირითადად დეკანის ზეგნის ცენტრალურ ნაწილსა და ჩრდილოეთში მოჰყავთ. ხორბალის წარმოების დიდი ნაწილი ზამთრის პერიოდზე მოდის. სხვა

მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი, ქერი, შვრია, ფეტვი, მუხუდო, და სხვ. ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა სახის პარკოსნების მოყვანა.

ტექნიკური კულტურებიდან მთავარია ბამბა, რომლის ნათესებს უჭირავს 9,6 მლნ ჰა (პირველი ადგილი), ხოლო წარმოებით მესამე ადგილზეა (2,5 მლნ ტ, 2016 წ.). ბამბა ძირითადად დეკანის ზეგანზე და სამხრეთ რეგიონებში სარწყავ მიწებზე მოჰყავთ. პირველ ადგილზეა ჯუთის წარმოებით (1,6 მლნ ტ), რომელიც ძირითადად მოიყვანება აღმოსავლეთ რეგიონში. ერთ-ერთი მთავარი კულტურაა ჩაი (0,95 მლნ ტ), რომლის დიდი ნაწილი ასამის შტატზე მოდის. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა შაქრის ლერწმის წარმოებით, ხოლო შაქრის ჭარხლის მოყვანით მეორე ადგილზეა (43 მლნ ტ). ფართო მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის ზეთოვანი კულტურების მოყვანას, ხოლო არაქისის წარმოებით პირველ ადგილზეა. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მეთამბაქეობას, რომლიც განვითარებულია დეკანის ზეგნის სამხრეთ და ჩრდილო დასავლეთ რეგიონში. მოჰყავთ საკმაო რაოდენობით ყავა. ბოლო პერიოდში დაიწყო კაუჩუკოსნების პლანტაციების შექმნა სამხრეთ რეგიონებში. მეხილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, სადაც მოჰყავთ ყველა სახის ხეხილი. ხეხილის წარმოებით მსოფლიოში, ჩინეთის შემდეგ, მეორე ადგლზეა. დომინირებს კონტინენტური მეხილეობა. ტროპიკული ხეხილიდან გამოირჩევა მანგო, ბანანი, ანანასი და სხვ.

ფართოდაა განვითარებული მებოსტნეობა. ისტორიულად ინდოთი გამოირჩევა სხვადასხვა სანელებლების წარმოებით. ამჟამად ეს დარგი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. მოჰყავთ ყველა სახის ბოსტნეული. შედარებით სუსტადაა განვითარებული მევენახეობა და მებაღჩეობა.

ინდოეთში მეცხოველეობას დამხმარე მნიშვნელობა გააჩნია და იძლევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მხოლოდ 20%-ს. საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მოდის 40 ლიტრი რძე, 1,5 კგ ხორცი და 3 ცალი კვერცხი. მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას (230 მლნ სული, პირველი ადგილი), მათ შორის 20%-მდე კამეჩებზე მოდის. მეცხოველეობის მეორე დარგი მეფრინველეობაა, მოშენებული ჰყავთ 180 მლნ ფრთამდე სხვადხასხვა შინაური ფრინველი. აშენებენ ცხვარს (58,8 მლნ), თხას, ღორს (18 მლნ), ცხენს, ფუტკარს, თუთის აბრეშუმხვევიას, აქლემს (9 მლნ) და სხვ. მოსახლეობის კვების რაციონში მეცხოველეობის პროდუქციის ხვედრითი წილი თანდათანობით იზრდება.

ტრანსპორტი

ინდოეთს გააჩნია საკმაოდ კარგი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, მაგრამ სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების დონე, როგორც

მგზავრთბრუნვის, ისე ტვირთბრუნვის სრულყოფილ ფუნქციონირებას ვერ უზრუნველყოფს. განვითარებულია თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე, რომელთა შორის ტრადიციულად დიდი მნიშვნელობა სარკინიგზო ტრანსპორტს ენიჭება. სარკინიგზო გზების საერთო სიგრძე 68,5 ათასი კმ-ია (58,4 ფართო, 10,1 ვიწრო ლიანდაგიანია). სარკინიგზო ხაზები კოლონიური წარსულიდან გამომდინარე საზღვაო პორტებისაკენ არის მიმართული. მსოფლიოს მასშტაბით სარკინიგზო ტრანსპორტზე მგზავრთბრუნვის მაჩვენებელი მაღალია და 60% - ს აღემატება.

საავტომობილო გზების სიგრძე 4,6 მლნ კმ-ია (მსოფლიოში მეორე ადგილი), მაგრამ მყარსაფარიანი გზების სიგრძე 48%-მდეა. მცირეა სწრაფმავალი ავტოსტრადები (96,2 ათასი კმ), ხოლო სახელმწიფო დანიშნულების გზების სიგრძე 147 ათასი კმ-ია. ამასთან, ყოველ ათას კაცზე ავტომანქანების რაოდენობით დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა (15 ავტომობილი) და მსოფლიოში 156-ე ადგილზეა.

მილსადენი ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული, რომლის საერთო სიგრძე 17,9 ათასი კმ-ია (გაზსადენი - 8,9 ათასი, ნავთობსადენი - 9,0 ათასი, 2017 წ.). ქვეყნის გაზიფიკაციის დონე საკმაოდ დაბალია.

შიდაწყლის გზების საერთო სიგრძე 14,5 ათასი კმ-ია. ძირითადი სანაოსნო მდინარეებია განგი, გოდოვარი, ნარმადა და სხვ. საზღვაო ტრანსპორტი თანდათანობით ვითარდება. საზღვაო ფლოტი 1674 გემს აერთიანებს (126 - ნავთობტანკერი, 571 - გენერალური ტვირთმზიდები, 883 - სხვადასხვა), რომელთა საერთო ტონაჟი 2,2 მლნ ბრუტ. რეგ. ტ. უმსხვილესი პორტებია: მუმბაი, კალკუტა, პარადიპი, ენნორე, ჩენნაი და სხვ. ძირითადად სპეციალიზებული პორტები.

დინამიურად ვითარდება საჰაერო ტრანსპორტი. საერთაშორისო მგზავრთბრუნვაში მნიშვნელოვანი კომპანიაა „აირ ინდია - Air India", ხოლო შიდა მგზავრთბრუნვაში წამყვანი კომპანია „კინგფიშერ აირლაინს - Kingfisher Airlines". ქვეყანაში 354 აეროპორტია, რომელთა შორის უმსხვილესია დელის „ინდირა განდის" სახელობის აეროპორტი. სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროტრანსპორტი. ამასთან, მოსახლეობა ფართოდ იყენებს ტრადიციული ტრანსპორტის საშუალებებს, როგორიცაა საჭაპანო, სასაპალნე, სატრანსპორტო ურიკა - რიქშა, ველოსიპედი და სხვ.

ტურიზმის გეოგრაფია

ინდოეთი აზიაში ტურიზმის მიმართულებით უდიდესი პოტენციის ქვეყანაა, სადაც ყოველწლიურად იზრდება, როგორც ტურისტების რაოდენობა, ისე შემოსავლები. ამ დროისათვის ინდოეთი ტურიზმის განვითარების მასშტა-

ბებით აზიაში მესამე ქვეყანაა, სადაც საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 24-25 მილიონს, ხოლო შემოსავლები 19-20 მლრდ დოლარს აჭარბებს. ინდოეთი მრავალფეროვანი ქვეყანაა, როგორც ბუნებრივი კომპლექსებით, ისე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით. შესაბამისად, დიდი კონტრასტების ქვეყანაა, სადაც არის უდიდესი სიმდიდრე და უკიდურესი სიღარიბე. გამორჩეულია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით, კერძოდ, ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტებით, ისტორიული, კულტურული და არქიტექტურული მემკვიდრეობით, სეზონური ფესტივალებით და გამოფენებით, მუზეუმებითა და ტაძრებით, ადგილობრივი ეთნოგრაფიული კუთხეებით, მრავალფეროვანი სამზარეულოთი და სხვ. ტურისტული მარშრუტებიდან აღსანიშნავია „ოქროს სამკუთხედის“ ტური, რომელიც აერთიანებს აგრას (თაჯ-მაჰალა), ძველ ქალაქს ფიტიხპურ-სიკრის და ეგზოტიკური ვარდების ქალაქს რაჯასტანს. სხვა ცენტრებიდან ცნობილია: დელი, მუმბაი (ბომბეი), კალკუტა, მადრასი და სხვ. ტურიზმის სახეებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა შემეცნებითი ტურიზმი. ამასთან, ქვეყანაში საერთაშორისო მასშტაბით ტურიზმის თითქმის ყველა სახე ვითარდება. ტურისტები ძირითადად ჩადიან ჩინეთიდან, რუსეთიდან, იაპონიიდან, კორეის რესპუბლიკიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, აშშ-დან და სხვ.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

ინდოეთის საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია საკმაოდ ფართოა. ვაჭრობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან, ხოლო ვაჭრობის ბალანსი 756,3 მლრდ დოლარს შეადგენს (2018 წ.), აქედან ექსპორტზე მოდის 304,1 მლრდ დოლარი, ხოლო იმპორტზე - 452,2 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის უარყოფითი სალდო - 148,1 მლრდ დოლარი. ქვეყანაში დაბალია საექსპორტო პროდუქციის ხვედრითი წილი და არ აღემატება 10-12%-ს. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: აშშ - 15,6%, არაბთა გაერთიანებული საამიროები - 12,2%, ჩინეთი - 10,3% და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი -16,3%, აშშ - 5,5%, არაბთა გაერთიანებული საემიროები - 5,2%, საუდის არაბეთი - 4,7%, შვეიცარია - 4,7% და სხვ. ექსპორტირდება: რკინის მადანი, მარგანეცი, ფოლადი, ბრინჯი, შაქარი, ჩაი, სანელებლები, ბამბის ქსოვილები, სამკერვალო პროდუქცია, მედიკამენტები და სხვ. ძირითადად იმპორტირდება: მანქანა-მოწყობილებები, ზოგიერთი ქიმიური პროდუქცია, ნავთობი და სხვ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას კაპიტალის გატანა წარმოადგენს. ქვეყანაში ფუნქციონირებს უცხოური ინვესტიციები, რომელთა

კაპიტალდაბანდება 125 მლრდ დოლარს არემატება. ამასთან, ინდური კაპიტალი პირდაპირი ინვესტიციების სახით ჩადებულია სხვა ქვეყნებშიც (2,4 მლრდ დოლარი). ინდოეთი ასევე ჩართულია საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობაში, საერთაშორისო ტურიზმსა და შრომითი რესურსების გაცვლაში.

შიდარეგიონალური სხვაობები

ინდოეთში ბუნებრივი-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურების გამო გამოიყოფა 5 რაიონი.

1. აღმოსავლეთი რაიონი ერთ-ერთი უძველესი და მეურნეობრივად ყველაზე განვითარებულია, კალკუტის წამყვანი როლით (ქვეყნის დედაქალაქი 1834-1911 წწ.) რაიონის მრეწველობის მთავარი დარგებია მეტალურგია, ენერგეტიკა და კვების მრეწველობა. რეგიონს უწოდებენ ინდოეთის ,,რურს". სოფლის მეურნეობიდან კარგადაა განვითარებული მეჩაიეობა და ჯუთის მოყვანა. უმსხვილესი ცენტრია კალკუტა.

2. ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული, მაგრამ მეურნეობრივად სუსტადაა განვითარებული. ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა მეჩაიობის სპეციალიზაციით. შედარებით კარგადაა განვითარებული კვების და მსუბუქი მრეწველობა. მთავარი ცენტრია გუვახატი.

3. დასავლეთი რაიონი განვითარების დონით მეორე ეკონომიკური რაიონია. მრეწველობიდან განვითარებულია მანქანათმშენებლობა, ენერგეტიკა, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია ბამბის მოყვანა. უმსხვილესი ცენტრია მუმბაი.

4. სამხრეთი რაიონი ძირითადად აგრარული რეგიონია, სადაც მთავარია ბრინჯის, ხორბლის, ბამბის, ტროპიკული ხილის, კაუჩუკის და სხვა კულტურების მოყვანა. მრეწველობიდან შედარებით კარგადაა განვითარებული მსუბუქი და კვების მრეწველობა. მთავარი ცენტრია მადრასი.

5. ცენტრალური და ჩრდილოეთი რაიონი შედარებით სუსტადაა განვითარებული, მაგრამ გააჩნია განვითარების სწრაფი ტემპი. რაიონის განვითარებას ხელს უწყობს ქვეყნის დედაქალაქის დელის არსებობა. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია ბრინჯის, ხორბლის, შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების მოყვანა. მრეწველობიდან დომინირებს მსუბუქი, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის და კვების მრეწველობა. განვითარებულია ტურიზმი (ქ. აგრაში არის უნიკალური ნაგებობა თაჯ-მაჰალი - რაიონის ცენტრია დელი.

3.1.4. თურქეთი

ფართობი - 779 400 კმ²
მოსახლეობა - 83,1 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - ანკარა

ზოგადი ცნობები

თურქეთი მსოფლიოში პოლიტიკურად, დემოგრაფიულად და ეკონომიკურად ერთ-ერთი მზარდი ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილებით ერთ სულ მოსახლეზე 28900 დოლარს (45-ე ადგილი, 2018 წ.), ხოლო ადამიანთა განვითარების ინდექსი - 0,761-ს (72-ე ადგილი, 2014 წ.) შეადგენს. ქვეყნის დევიზია ,,მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში"-,,Yutta sulh, Cihanda sulh". ადმინისტრაციულად იყოფა 81 პროვინციად (ილი). სახელმწიფო ენა - თურქული, ფულის ერთეული - თურქული ლირა.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

თურქეთი მდებარეობს ორი ქვეყნის ნაწილის - აზიისა და ევროპის ტერიტორიაზე. აზიურ ნაწილს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 97% (ანატოლის ზეგნიდან მცირე აზიის ნახევარკუნძულამდე), ხოლო ევროპულ ნაწილზე 3% მოდის, რომელიც აღმოსავლეთ თრაკიად, ანუ რუმეილიად იწოდება. თურქეთს მსოფლიოში გააჩნია ერთ-ერთი საუკეთესო ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა; აქვს შავი, მარმარილოს, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებზე პირდაპირი გასასვლელი. იგი აკონტროლებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს. ქვეყანაზე გადის ტრანსევრაზიის ყველაზე ოპტიმალური სატრანსპორტო კომუნიკაციები და სხვ. კუნძული კვიპროსი ბერძნებსა და თურქებს შორის ჯერჯერობით სადაოა.

საზღვრების საერთო სიგრძე 9848 კმ-ია, მათ შორის სახმელეთო - 2648 კმ-ია, ხოლო საზღვაო - 7200 კმ. ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით აკრავს შავი, მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვების წყლები. სამხრეთ აღმოსავლეთით ესაზღვრება - სირია (822 კმ), ირანი (499 კმ) და ერაყი (352 კმ). აღმოსავლეთით - საქართველო (252 კმ), აზერბაიჯანი (9 კმ) სომხეთი (268 კმ). დასავლეთით - ბულგარეთი (240 კმ), საბერძნეთი (206 კმ). თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 31.

ნახ. 31. თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

თურქეთი მთაგორიანი ქვეყანაა. რელიეფის დიდი ნაწილი მთებსა და გორაკ-ბორცვებს უჭირავს (უმაღლესი მწვერვალი არარატი, ანუ აგრიდაღი-5165 მ). ჩრდილო-აღმოსავლეთში პონტოს, ხოლო სამხრეთში ტოროსის (ტავრის) ქედებია. ცენტრალური ნაწილი უკავია ანატოლიის ზეგანს. დაბლობები სანაპირო რაიონებშია წარმოდგენილი, სამხრეთ რეგიონში აღსანიშნავია ქილიკიის და ანტალიის დაბლობები. ევროპული ნაწილი წარმოდგენილია საშუალო სიმაღლის გორაკ-ბორცვებითა და მიმდებარე დაბლობებით. რელიეფი განსახლებისა და საწარმოო ძალების განლაგებაში განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნის.

მინერალური რესურსებით საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ქრომიტებს (ტოროსი - ტავრის მთებში). მოიპოვება სპილენძი, ვერცხლი, ტყვია-თუთია, რკინის მადანი, მანგანიუმი, ბოქსიტები, ვოლფრამი და სხვ. შედარებით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით. ნავთობისა (4,5 მლნ ტ) და გაზის გარკვეული მარაგი არის აღმოსავლეთში (ტბა ვანის მიდამოემში) და სანაპირო რაიონებში. ქვანახშირის საბადოებიდან ჩრდილო დასავლეთ ნაწილში ცნობილია ერეგლი, ხოლო მურა ნახშირის მნიშვნელოვანი მარაგი დასავლეთ ანატოლიაშია. მდიდარია სხვადასხვა სახის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშენებლო მინერალური ნედლეულით, მათ შორის აღსანიშნავია თეთრი მარმარილო (მარმარილოს ზღვის სანაპირო).

ჰავა სუბტროპიკული (ჩრდილო დასავლეთში ტენიანი, სამხრეთში მშრალი) და კონტინენტურია (ცენტრალურ რაიონებში). ჰავის ძირითადი ელემენტების ტემპერატურებისა და ნალექების განაწილება არათანაბარია. ზამთარში მინიმალური ტემპერატურა ცენტრალურ ანატოლიაში -30 °C , ხოლო ზაფხულში +40 °C-ს აღემატება. ნალექების რაოდენობა საშუალოდ 700 მმ-ია. მაქსიმუმი მოდის ჩრდილო- აღმოსავლეთში 2500 - 3000 მმ, ხოლო მინიმუმი ცენტრალურ ანატოლიაში მალათიისა და კონიის ვაკეებზე 200 - 300 მმ. თურქეთის კლიმატური რესურსები საკმაოდ მრავალფეროვანია, რომელიც განსახლების, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ტურისტული მეურნეობის განვითარების საქმეში ხელშემწყობ როლს ასრულებს.

წყლის რესურსებით საკმაოდ მდიდარია, მაგრამ არათანაბრადაა განაწილებული. თურქეთის ტერიტორიაზე გაედინება და სათავეს იღებს აზიის დიდი მდინარეები - მტკვარი, ტიგროსი, ევფრატი და არაქსი. ქვეყნის ფარგლებში ყველაზე დიდია მდინარეა ყიზილ-ირმაქი, ანუ წითელი მდინარე (1182 კმ). ბევრი ტბაა, მათ შორის აღსანიშნავია ვანი (3728 კმ²), თუზი (1700 კმ²), ბეიშეჰირი (780 კმ²) და სხვ. წყლის რესურსების დეფიციტი აღინიშნება ცენტრალურ ანატოლიაში და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო რაიონებში. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი 85 მლრდ კვტ/სთ-ს არ აღემატება. ჰიდროპოტენციური ენერგიის ათვისება ინტენსიურად აღმოსავლეთ რაიონებზე, განსაკუთრებით, მდინარეებზე - მტკვარსა და ჭოროხზე (მურათლი, ბორჩხა, დენირელი - ყველაზე დიდი) მიმდინარეობს.

ტყის რესურსებით შეზღუდულია და ტყიანობის კოეფიციენტი 25%-ია. ტყიანობის მაღალი მაჩვენებელი ჩრდილო-აღმოსავლეთში და ტავრის მთებშია. სამრეწველო დანიშნულების ტყის დეფიციტია. მდიდარია ბუნებრივი საძოვრებით.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

თანამედროვე თურქეთის ტერიტორია მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა, სადაც ადრეული ნეოლითური დასახლებები იყო. ტროას დასახლება იწყება ნეოლითიდან და გრძელდება რკინის ხანის პერიოდში. პირველი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ძვ. წ. XVIII-XIII საუკუნეებში ამ რეგიონში იყო ხეთების იმპერია, შემდეგ გაძლიერდნენ ფრიგიელები, რომელიც ქიმერიელებმა გაანადგურეს და მის საცვლად შეიქმნა მემკვიდრე ქვეყნები ლიდია, ქარია და ლიკია. ძვ.წ. 1200 წლიდან დაწყებული, ანატოლიის დასავლეთი

სანაპირო დასახლებული იყო აეოლიელი და იონიელი ბერძნებით. ძვ. წ. VI და V საუკუნეებში მთელი რეგიონი სპარსეთის აქემენიდების იმპერიამ დაიპყრო, რომელიც ძვ. წ. 334 წელს ალექსანდრე დიდმა აიღო. ანატოლია შემდგომში რამდენიმე მცირე ელენისტურ სამეფოდ დაიშალა (მათ შორის ბითინიად, კაბადოკიად, პერგამონად და პონტუსად), რომლებიც რომის იმპერიის ვასლები გახდნენ ძვ. წ. I საუკუნისთვის. 324 წელს, რომის იმპერატორმა კონსტანტინე I - მა რომის იმპერიის ახალ დედაქალაქად ბიზანტიუმი აირჩია და მას ახალი რომი დაარქვა (მოგვიანებით - კონსტანტინეპოლი და სტამბოლი). დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ის ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი გახდა.

X საუკუნეში თურქ-სელჩუკებმა, რომლებიც კასპიისა და არალის ზღვების ჩრდილოეთით სახლობდნენ, მიგრაცია დაიწყეს და ანატოლიის აღმოსავლეთ რეგიონში დასახლდნენ. 1071 წელს, მანციკერტის ბრძოლის მოგების შემდეგ, სელჩუკთა გამარჯვებამ საფუძველი დაუდო კონიის სასულთნოს (ანატოლიის სელჯუკთა სასულთნო). 1243 წელს სელჩუკთა არმიები მონღოლებმა დაამარცხეს და მათი იმპერიის გავლენა ნელ-ნელა დაკნინდა. ამ პერიოდში ერთ-ერთი თურქული სამთავრო, რომელსაც თავდაპირველად ფეოდალი ოსმან I მმართველობდა, თანდათან XIV საუკუნეში თურქეთის სახელმწიფოდ (ანატოლიის გლეხს „თურქმა“ ეწოდებოდა და აქედან მომდინარეობს თურქეთის სახელწოდებაც), ხოლო მოგვიანებით ოსმალეთის იმპერიად (ოსმან I-ის სახელთანაა დაკავშირებული) გადაიქცა. იმპერიის ტერიტორიები დასავლეთის მიმართულებით თანდათანობით ფართოვდებოდა. 1453 წელს მათ აიღეს კონსტანტინოპოლი, დაამარცხეს ბიზანტიის იმპერია და საბოლოოდ, გაბატონდნენ მცირე აზიის ნახევარკუნძულზე. ოსმალეთის იმპერიის ზეობის პერიოდი იყო XVI-XVII საუკუნეები, როცა ის მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა (აკონტროლებდა სამხრეთ-დასავლეთ აზიას, ჩრდილო აფრიკას, აღმოსავლეთი ევროპის ცენტრალურ ქვეყნებს. ფართობი 7,1 მლნ კმ²). XIX საუკუნიდან თურქეთის იმპერია-სასულთნო თანდათანობით სუსტდება. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიასთან ალიანსში შევიდა და დამარცხების შედეგად სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა. „ახალგაზრდა თურქული მოძრაობის“ გაერთიანებამ, რომელსაც მუსტაფა ქემალი ლიდერობდა, დაამხო სულთანატი. 1923 წლის 24 ივლისს დადებულმა ლოზანის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა ახლადდაფუძნებული „თურქეთის რესპუბლიკის“ სუვერენულობის საერთაშორისო აღიარებას, როგორც ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრე ქვეყანას. რესპუბლიკა ოფიციალურად გამოცხადდა 1923 წლის 29 ოქტომბერს, ახალ დედაქალაქ ანკარაში. პირველი პრეზიდენტი გახდა მუსტაფა ქემალი. მისი ხელმძღვანელობით და „ატატიზმის“ პო-

ლიტიკის გატარებით ქვეყანაში განხორციელდა სახელმწიფო ნაციონალიზაცია. 1928 წელს ქვეყანა საერთო რესპუბლიკა გახდა (ისლამმა დაკარგა სახელმწიფო რელიგიის სტატუსი) და განათლების სისტემა რელიგიურიდან საეროზე გადავიდა; შემოიღეს ევროპული წელთააღრიცხვა, უქმ დღედ გამოცხადდა კვირა (მუსლიმური პარასკევის ნაცვლად); აიკრძალა მრავალცოლიანობა, ჩადრისა და ფესკის ტარება; არაბულის ნაცვლად (1929 წლის 1 იანვრიდან) შემოიღეს ლათინურზე დაფუძნებული ახალი ანბანი, ხოლო 1935 წლიდან ანკეტურ მონაცემებში გაჩნდა გვარი (მანამდე თურქეთის მოქალაქეები მხოლოდ სახელს ატარებდნენ). მეჯლისმა მუსტაფა ქემალს მიანიჭა გვარი - ათათურქი („თურქების მამა“). თურქეთი 1945 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და 1952 წლიდან ნატოს წევრი ქვეყანაა.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

თურქეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი (2017 წელს კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა და პრემიერმინისტრის პოსტი გაუქმდა), რომელსაც ირჩევენ 5 წლის ვადით. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი პარლამენტი - თურქეთის დიდი ეროვნული კრება (მეჯლისი), რომელიც შედგება მოსახლეობის მიერ ტერიტორიული ოლქებიდან 4 წლის ვადით არჩეული 600 წევრისაგან. სასამართლო დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისგან, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო თურქეთის რესპუბლიკის ლეგალურ სისტემასთან მორჩილებას განაგებს. თურქეთის სახელმწიფო საბჭო ადმინისტრაციული საქმეების უკიდურესი შემთხვევების განხილვის ტრიბუნალია, ხოლო სააპელაციო უმაღლესი სასამართლო კი ყველაფერი დანარჩენის.

ადმინისტრაციულად თურქეთის ტერიტორია დაყოფილია 81 პროვინციად (ილი). პროვინციები თავის მხრივ გაერთიანებულია 7 რეგიონში, თუმცა მათ ადმინისტრაციული დატვირთვა არ აქვს. ყოველი პროვინცია დაყოფილია რაიონებად, რომელთა რიცხვი 923-ს აღწევს. პროვინციებს, როგორც წესი, იგივე სახელი აქვს, რაც მათ შესაბამის პროვინციულ დედაქალაქს. გამონაკლისებია ჰათაი (დედაქალაქი - ანტაკია), ქოჯაელი (დედაქალაქი - იზმითი) და საქარია (დედაქალაქი ადაფაზარი).

მოსახლეობა

თურქეთში 2020 წლისათვის 83,1 მლნ კაცი ცხოვრობდა. მისი მოსახლეობა საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება, 1927 წელს მოსახლეობის რაოდენობა 13 მი-

ლიონს შეადგენდა. მოსახლეობის მატების უპირატესად დიდი ნაწილი ბუნებრივ მოძრაობაზე მოდის, სადაც ყოველ ათას კაცზე შობადობის კოეფიციენტი 15,4, სიკვდილიანობა - 6,0, ხოლო ბუნებრივი მატება - 9,4 პრომილე (2018 წ.).

გააჩნია ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. მამაკაცები შეადგენენ მოსახლეობის 50,2%, ხოლო ქალები - 49,8%. 0 - 14 წლის ასაკის მოსახლეობაზე მოდის მთელი მოსახლეობის 24,4%, 15 - 64 წლის ასაკის მოსახლეობაზე - 67,9% , ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაზე - 7,7% (2018 წ.).

თურქეთი მრავალეროვანი ქვეყანაა; თურქები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 73%, სხვა ეთნოსიდან ჭარბობენ ქურთები (17%), ყირიმელი თათრები (5%) ქართველები (2%), ჩეჩნები, აფხაზები და სხვ. მოსახლეობის 99,8% მუსულმანური (სუნიტური) რელიგიის აღმსარებელია.

თურქეთისთვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო იმიგრაციული პროცესები. პოლიტიკური ხასიათის მიგრაციას ადგილი ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ასეული ათასობით ბერძენმა დატოვა თურქეთი. ბოლო პერიოდში შეინიშნება გარემიგრაციაც, კერძოდ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამუშაოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიდის, რომელთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად რჩება (გერმანიაში 2 მლნ-მდე თურქი ცხოვრობს). რაც შეეხება შიდამიგრაციულ პროცესებს, მოსახლეობა ქვეყნის აღმოსავლეთი პროვინციებიდან, დასავლეთის პროვინციებში (სტამბოლში, ანკარაში, იზმირში) გადაადგილდება.

თურქეთი შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა. დასაქმებული მოსახლეობა 31,3 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის 38,6%-ია (ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელი). სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია - 18,4%, მრეწველობაში - 26,6% და მომსახურე დარგებში - 54,9%. უმუშევრობის დონე 12%-ია (2018 წ.)

თურქეთი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. საშუალო სიმჭიდროვე ერთ კმ²-ზე 104 კაცია. მჭიდროდაა დასახლებული დასავლეთი პროვინციები, განსაკუთრებით, ევროპული ნაწილი (სტამბოლის პროვინციაში - 2807 კაცი), ხოლო სუსტად აღმოსავლეთი (ერზრუმის პროვინციაში - 39 კაცი).

ურბანიზაციის დონე 75,1%-ია, ხოლო ურბანიზაციის ტემპი -2,1% (2018 წ.). ქვეყანაში 20-მდე ქალაქი „მილიონერია“. უდიდესი ქალაქებია: სტამბოლი - 14,8 მლნ, ანკარა - 4,9 მლნ, იზმირი - 2,9 მლნ, ბურსა -1,9 მლნ, ადანა -1,7 მლნ, გაზიანთეფე - 1,6 ურფა - 1,5 მლნ, დიარბაქირი - 1,4 მლნ, იზმითი - 1,4, ანთაქია - 1,3 მლნ, მანისა - 1,3 მლნ, სამსუნი - 1,2 მლნ და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

1923 წელს რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ თურქეთში მეურნეობა სახელმწიფო კაპიტალიზმის საფუძველზე ვითარდება. ამ პერიოდში ქვეყანაში გატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები და სახელმწიფოს დაექვემ-დებარა ფინანსების და საწარმოო ძალების დიდი ნაწილი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უცხოური კაპიტალის დახმარებით, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარების შედეგად პრიორიტეტი მძიმე ინდუსტრიის დარგებს მიენიჭა და 60-იანი წლების ბოლოს თურქეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა გახდა. კიდევ უფრო გაფართოვდა ტრადიციული დარგები - მსუბუქი და კვების მრეწველობა. ამასთან, სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც ინტენსიურ წარმოებას უპირატესობა მიენიჭა. 80-იანი წლებიდან დაიწყო სამეურნეო სფეროში სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევის თანდათანობითი შეზღუდვა და ხელი შეეწყო ღია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რამაც ქვეყანას გარკვეული წარმატებები მოუტანა. ქვეყნის მეურნეობრივ განვითარებაზე, აგრეთვე, დადებითად იმოქმედა საბჭოთა კავშირის დაშლამაც, რის შედეგადაც ქვეყანას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახით გაუჩნდა ახალი ბაზრები.

თანამედროვე თურქეთი ეკონომიკურად საკმაოდ მზარდი ქვეყანაა, რომ-ელიც მსოფლიოს დიდი ოცეული ქვეყნების რიგში შედის. 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქციის წარმოებამ 2,32 ტრილიონი დოლარი შეადგინა; პროდუქ-ციის 6,9% იძლევა სოფლის მეურნეობა, 32,3% მრეწველობა და 60,7% მომსახურე დარგები.

მრეწველობა

თურქეთში მრეწველობა მატერიალური წარმოების მთავარი დარგია, რომ-ლის მნიშვნელობა ეკონომიკაში თანდათანობით იზრდება. შესაბამისად, მაღლ-დება როგორც სამრეწველო პროდუქციის მოცულობა (მშპ-32,3%), ისე დასაქმე-ბულთა რაოდენობა (8,3 მლნ, 26,6%). მრეწველობა ძირითადად ორიენტირე-ბულია ადგილობრივი რესურსების დამუშავებაზე, რომელიც შედარებით მეტ შრომით რესურსებს მოითხოვს, ხოლო ცალკეულ დარგს (მსუბუქი, კვების) საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება.

ენერგორესურსებით შეზღუდული ქვეყანაა, მოიპოვება თითქმის ყველა სა-ხის სათბობი რესურსი, მაგრამ სამრეწველო მარაგი შეზღუდულია. ქვანახშირის მოპოვების დიდი ნაწილი ერეგლის აუზზე მოდის, რომელიც უფრო მეტად მეტალურგიაში გამოიყენება. სამხრეთ-დასავლეთ აზიაში გამოირჩევა მურა ნახშირის მარაგითა და მოიპოვებით. ნავთობის მოხმარება საშუალოდ 57-58 მლნ ტ, რომლის 90%-ზე მეტი იმპორტირდება. გაზის მოპოვება 368, 1 მლნ $მ^3$ -ია,

ხოლო იმპორტირდება 55,2 მლრდ $მ^3$. სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა (291,9 მლრდ კვტ/სთ, 2018 წ.), რომლის სიმძლავრე 78,5 მლნ კვტ-ია. წარმოებული ელექტროენერგიის 53% მოდის თბოსადგურებზე (ელბისტანი, ერეგლი), 33% ჰესებზე (კებანის მდ.ევფრატზე, კერაკაის მდ.ყიზილ-ირმაქზე, დენირელის მდ.ჭოროხზე) და 14% სხვა ტიპის სადგურებზე. სამხრეთ სანაპიროზე იგეგმება 4,5 მლნ კვტ. სიმძლავრის ატომური სადგურის მშენებლობა. ელექტროენერგიის მოხმარება შეადგენს 231,1 მლრდ კვტ/სთ, ექსპორტში გადის 1,4 მლრდ კვტ/სთ (2018 წ.)

მეტალურგია, ძირითადად, ეფუძნება საკუთარ სანედლეულო ბაზას. აწარმოებს 37,5 მლნ ტ ფოლადს და 9,3 მლნ ტ თუჯს (2017 წ.). უმსხვილესი საწარმოები კომბინატების სახით არის ყარაბიუქში, ერეგლში და ისქენდერუმში. აღნიშნული საწარმოები დაკავშირებულია ზონგულდაგ - ერეგლის (შავი ზღვის სანაპირო) ქვანახშირის და დასავლეთ ანატოლიის მურა ნახშირის საბადოებსა და თესებთან. საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია ქრომიტების მოპოვებას (650-700 ათასი ტ.), რომლის დიდი ნაწილი ექსპორტში გადის.

ფერადი მეტალურგიიდან კარგადაა განვითარებული ალუმინის წარმოება რომლის მთავარი საწარმოა სეიდერშეჰირი. სპილენძის მრეწველობა განვითარებულია მურღულში.

მანქანათმშენებლობა შედარებით ახალი დარგია, რომლის ინტენსიური განვითარება იწყება 50-იანი წლებიდან. საწარმოთა ნაწილი ასაწყობი ტექნოლოგიებით ხასიათდება, რომლებიც უცხოური კომპანიების ლიცენზიებზე მუშაობს. აწარმოებს თითქმის ყველა სახის მანქანა-მოწყობილობას. უშვებს: ვაგონებს, გემებს, ავია მოწყობილობებს, ავტომანქანებს, ელექტროტექნიკურ და საყოფაცხოვრებო ტექნიკას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობებს, სამშენებლო და საგზაო მანქანა მოწყობილობებს და სხვ. უმსხვილესი ცენტრებია: სტამბოლი, ანკარა, ადანა, იზმირი, და სხვ.

ქიმიური მრეწველობის თითქმის ყველა დარგია განვითარებული, რომელიც ძირითადად, ადგილობრივ ნედლეულს ეფუძნება. შედარებით კარგადაა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო (ლაქ-საღებავები, პარფუმერია) და მინერალური სასუქების ქიმია. ბოლო პერიოდში ინტენსიურად ვითარდება ორგანული სინთეზის ქიმია, რომელიც უშვებს პლასტმასებს, ბოჭკოებს, სინთეზურ კაუჩუკს და სხვ. განვითარებულია მედიკამენტების და შხამქიმიკატების წარმოებაც. ნავთობგადასამუშავებელი მსხვილი საწარმოებია იზმირსა და იზმითში. ქიმიური მრეწველობის უმსხვილესი ცენტრებია: სტამბოლი, იზმირი, იზმითი, ყარაბიუქი, სივასი, ანკარა და სხვ.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, — რომელიც, ძირითადად, იმპორტულ ნედლეულზეა დამოკიდებული. განვითარებულია ხე-ტყის მრეწველობის ყველა დარგი, მათ შორის უკეთესადაა წარმოდგენილი მერქნის მექანიკური დამუშავება. საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნია ავეჯის წარმოებას. ბოლო წლებში ინტენსიურად ვითარდება ხე-ტყის ქიმია ქაღალდის წარმოების სპეციალიზაციით.

კარგადაა განვითარებული საშენ მასალათა მრეწველობა, რომელიც საკუთარ სანედლეულო ბაზას ეფუძნება. აწარმოებს ყველა სახის სამმშენებლო პროდუქციას, რომლის გარკვეული ნაწილი ექსპორტში გადის.

მსუბუქი მრეწველობა ერთ-ერთი ტრადიციული დარგია, რომელიც დამუშავებითი მრეწველობის მთავარ სპეციალიზაციის დარგს წარმოადგენს. მსუბუქი მრეწველობა იძლევა მშპ-ის 12%, მოდის ექსპორტის 15-16% და დასაქმებულია სამრეწველო პერსონალის 28%. განვითარებულია მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგი, მათ შორის წამყვანია საფეიქრო მრეწველობა (ბამბეულის-კაისერი და ნაზლი, შალეულის, აბრეშუმის, ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილების წარმოება). მსუბუქი მრეწველობის მეორე დარგი სამკერვალო მრეწველობაა, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია. საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული ტრიკოტაჟის მრეწველობა. მსოფლიოს მასშტაბით გამოირჩევა ტყავის, ტყავის ქურთუკების, ფეხსაცმლის და ხალიჩების წარმოებით.

განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა კვების მრეწველობა, რომელიც ეფუძნება საკუთარ სანედლეულო ბაზას. დარგი იძლევა მშპ-ის 6% და ექსპორტის 7%. განვითარებულია კვების მრეწველობის თითქმის ყველა დარგი. საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს პურ-ბურღულეულის, შაქრის (2,4 მლნ ტ), ზეთის (1,4 მლნ ტ), საკონსერვო , საკონდიტრო, თამბაქოს და სხვ.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა თურქეთის უძველესი ტრადიციის დარგია, რომლის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკაში კვლავაც მაღალია. სოფლის მეურნეობაში ჩართულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 18,4% და იძლევა მშპ-ის 6,8%. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ნიადაგურ-კლიმატური რესურსებით მრავალფეროვანია, რაც მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობებს იძლევა. სასოფლო სამეურნეო მიწებს უჭირავს ტერიტორიის 49,2%, აქედან სახნავი მიწები 20,4 მლნ ჰა, ანუ მთელი მიწების 26,2%-ია. სარწყავი მიწების რაოდენობა 5,2 მლნ ჰა-ია. დამუშავებული მიწების 90% ეკუთვნის კერძო მეწარმეებს, ხოლო გლეხების დიდ ნაწილს მიწა საერთოდ არ გააჩნია. წამყვანია მემცენარეობა და მასზე მოდის პროდუქციის 58%. მემცე-

ნარეობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა მარცვლეულის მეურნეობას ენიჭება და მასზე მოდის ნათესების 80%-ზე მეტი, აქედან 9 მლნ ჰა ხორბალს უჭირავს, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის დარგია (22,6 მლნ ტ, მე-11 ადგილი, 2015 წ.). სხვა მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ ქერი, შვრია, ბრინჯი, სიმინდი, წიწიბურა და სხვ. მარცვლეულის წარმოება, ძირითადად, ცენტრალურ ანატოლიაშია განვითარებული. მოჰყავთ სხვადასხვა სახის პარკოსნები (ლობიო, ცერცვი, მუხუდო).

ტექნიკურ კულტურებს უჭირავს დამუშავებული მიწების 12%. მთავარი ტექნიკური კულტურა ზეთოვნებია (ნათესების 7,6%) რომელთა შორის ძირითადია მზესუმზირა. ბამბის პლანტაციები (2,6%) გავრცელებულია სამხრეთ და დასავლეთ ანატოლიაში (0,8 მლნ ტ, მე-7 ადგილი). შაქრის ჭარხლის ნარგავებს უკავია 1,2 მლნ ჰა (19,6 მლნ ტ, მე-5 ადგილი). სხვა ტექნიკური კულტურებიდან აღსანიშნავია ჩაი (ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი), არაქისი, სოიო, თამბაქო (სამსუნის და ტრაპიზონის ჯიშები), ეთერზეთები და სხვ.

კარგადაა გავითარებული მეხილეობა, გარდა ტროპიკულისა მოჰყავთ ყველა სახის ხეხილი. უპირატესობა ენიჭება და ყველა პროვინციაში იწარმოება კონტინენტური ხილი (ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი, ქლიავი, გარგალი, ნუში და სხვ). მსოფლიო მნიშვნელობა აქვს თხილს (0,6 მლნ ტ, პირველი ადგილი), რომელიც უპირატესად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოჰყავთ. სუბტროპიკული ხილი (ციტრუსები, ზეთისხილი, ლეღვი, ბროწეული, ზღმარტლი) სანაპირო რაიონებში იწარმოება. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მებოსტნეობას, რომლის პროდუქციის დიდი ნაწილი (პამიდორი, კიტრი, ხახვი, კარტოფილი, ნიორი და სხვ.) გადის ექსპორტში. მევენახეობაში დიდი ადგილი საქიშმიშე და სუფრის ჯიშებს უჭირავს. მებახჩეობა (ნესვი, საზამთრო, გოგრა და სხვ.) უფრო მეტად სამხრეთ სანაპირო პროვინციებშია განვითარებული.

მეცხოველეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ექსტენსიური დარგია, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ რაიონებში. წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (12 მლნ), სადაც უპირატესობა სარძევე-სახორცე მიმართულების პირუტყვს ენიჭება. ერთ-ერთი წამყვანი დარგია ცხვრის (36 მლნ) და თხის (10 მლნ) მოშენება. თურქეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ანგორის ჯიშის თხის (თივთიკის მატყლი) მოშენებით. აღსანიშნავია მეფრინველეობა, რომლის სამრეწველო განვითარება (მეფრინველეობის ფაბრიკები) მარცვლეულის რაიონებშია. დიდი მნიშვნელობა გააჩნია ფუტკრის მოშენებას (ძირითადად, აღმოსავლეთში). ცხენის, ვირისა და ჯორის სულადობა 2 მლნ-მდეა. მცირდება აქლემების რაოდენობა. აღსანიშნავია მეაბრეშუმეობა (ბურსას ილი). შედარებით სუსტადაა განვითარებული მეთევზეობა, რომლის პროდუქციას საკვებად უფრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტად ზღვისპირა რაიონების მოსახლეობა მოიხმარს. რელიგიის გამო, მეღორეობა საერთოდ არ არის განვითარებული.

ტრანსპორტი

თურქეთს გააჩნია საუკეთესო სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, სადაც გადის ტრანსევრაზიული სატრანსპორტო კომუნიკაციები, რომელიც ერთგვარ ,,სატრანსპორტო ჰაბს" წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად. ქვეყნის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის საერთაშორისო გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა თურქეთი გადაიქცა ევრაზიაში ტვირთების ძირითად გადამზიდავ ქვეყნად. ტრანსპორტის ძირითადი სახე საავტომობილოა (385 754 კმ, მათ შორის მყარსაფარიანი - 352268 კმ, ჩქაროსნული მაგისტრალები - 2127 კმ), რომელზეც მოდის მგზავრთბრუნვის და ტვირთბრუნვის დიდი ნაწილი. ავტოპარკი აერთიანებს 5,6 მლნ ავტომობილს (მათ შორის მსუბუქი - 4,4 მლნ, სატვირთო - 1,1 მლნ, ავტობუსი - 100 ათასი). საავტომობილო ტრანსპორტის როლი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა ბოსფორის სრუტეზე 1973 წ. და 1988 წ. აგებული იქნა ხიდები, რამაც ევროპა და აზია სახმელეთო ტრანსპორტით დააკავშირა.

სარკინიგზო ტრანსპორტის როლი, როგორც მგზავრთბრუნვაში, ისე ტვირთბრუნვაში უმნიშვნელოა. გზების საერთო სიგრძე 12 ათასი კმ-ია (ელექტრიფიცირებული 3216 კმ). სარკინიგზო გზები სანაპირო რაიონებში განედობრივი მიმართულებით არ გადის, მაგრამ მერიდიანული ხაზებით დაკავშირებულია შავი ზღვის (სამსუნი, სინოპი, ზონგულდაგი), ხმელთაშუა ზღვის (მერსინი, ისქენდერუნი) და მარმარილოს (სტამბოლი) რეგიონები. სარკინიგზო გზებით, ძირითადად, მადანი, ნავთობპროდუქტები, ხორბალი, ბოსტნეული და სხვა ტვირთები გადააქვთ.

მილსადენი ხაზების საერთო სიგრზე 15641 კმ-ია (გაზსადენები - 12603 კმ, ნავთობსადენები - 3038 კმ). საერთაშორისო მნიშვნელობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ენიჭება (საერთო სიგრძე 1768 კმ, მათ შორის თურქეთში-1076 კმ), რომელიც ისქენდერუნის პორტთან არის დაკავშირებული და წელწადში საშუალოდ გადააქვს 29-33 მლნ ტ ნავთობი. ახლო მომავალში იგეგმება რუსეთიდან საერთაშორისო მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა. ქვეყნის გაზიფიკაციის დონე კვლავაც დაბალია.

სუსტადაა განვითარებული შიდაწყლის ტრანსპორტი (1200 კმ). ნაოსნობა ხდება მდ. ქიზილირმაქზე, მდ. საქარიაზე და სხვ. საზღვაო ტრანსპორტის როლი თანდათანობით იზრდება. ემსახურება როგორც საგარეო ვაჭრობას, ისე

მცირე შიდა კაპოტაჟს. საზღვაო ფლოტი აერთიანებს 1285 გემს (გენერალური - 432, ნავთობტანკერი-121, მშრალი ტვირთმზიდები - 78, კონტეინერმზიდი - 50 და სხვ.), რომელთა საერთო ტონაჟი 2,5 მლნ ბრუტ. რეგ. ტ-ას არ აღემატება. ფუნქციონირებს 50-მდე ნავსადგური, მათ შორის მთავარია: სტამბოლი, იზმირი, ზონგულდაგი, სამსუნი, ტრაპიზონი, ისქენდერუნი, ალიაღა, აბრამალი, ერეგლი და სხვ.

სწრაფი ტემპით ვითარდება საჰაერო ტრანსპორტი. უმსხვილესი ავიაკომპანია „თურქეთის ავიახაზები - TURKISH AIRLINES“ სათაო ოფისი და ცენტრალური აეროპორტი მდებარეობს სტამბოლში. ავიაკომპანია დაფრინავს 390-ზე მეტი მიმართულებით მთელს მსოფლიოში, სიდიდით მსოფლიო რეიტინგში პირველ ათეულში შედის. ავიაკომპანიის ძირითადი საბაზო აეროპორტებია: სტამბულის ახალი აეროპორტი (გაიხსნა 2018 წელს, წლის განმავლობაში 150 მლნ მგზავრს უნდა მოემსახუროს. აეროპორტს გააჩნია უმსხვილესი ტერმინალი), საბიჰა გოქჩენის აეროპორტი, ასევე, ანკარის აეროპორტი ესენბოჯა. კომპანიას გააჩნია, ასევე, საბონუსე დაგროვებითი სისტემა Miles and Smiles, რითაც შეგიძლიათ დააგროვოთ მილები და გარკვეული რაოდენობის დაგროვებული მილები გადაცვალოთ უფასო ავიაბილეთებში.

ელექტროტრანსპორტი თანდათანობით ვითარდება. მგზავრთა გადაყვანაში დიდი მნიშვნელობა მეტროპოლიტენებს გააჩნია. პირველი მეტროპოლიტენი 1996 წელს ამოქმედდა ანკარაში, 2000 წელს სტამბოლში, 2000 წელს იზმირში და 2009 წელს ადანაში. სტამბოლის ევროპულ ნაწილში ფუნქციონირებს გვირაბი (573 მ), რომელიც 1875 წელს გაიხსნა, როგორც მიწისქვეშა ფუნიკულიორი. 1910 წლიდან გვირაბი ელექტრიფიცირებულია. ქვეყნის ყველა პროვინციაში, განსაკუთრებით, ტურისტულ რეგიონებში ფუნქციონირებს საბაგირო ხაზები.

ტურიზმი

თურქეთში ტურიზმი მეურნეობის ერთ-ერთი საკმაოდ დინამიური დარგია, სადაც ყოველწლიურად იზრდება როგორც ტურისტების რაოდენობა, ისე შემოსავლები. თურქეთს 2005 წელს სტუმრობდა 12,5 მლნ ტურისტი, ხოლო 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 28,5 მლნ შეადგინა. შესაბამისად, იზრდება ტურიზმიდან შემოსავლები და 23 მლრდ-ს აღემატება. თურქეთის მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები საშუალებას იძლევა განვითარდეს თანამედროვე ტურიზმის ყველა სახე. განსაკუთრებით, აღსანიშნავია უძველესი (თურქეთის ტერიტორიაზე არსებობდა მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ორი - ჰალიკარნეს მავზოლეუმი და არტიმედას ტაძარი (ეფოსში), ანტიკური (კაბადოკია), ბიზანტიური (აია სოფია), ოსმანური ისტორიული და კულტურული (სულთან

აჰმედის მეჩეთი (ლურჯი მეჩეთი), თოფქაფეს სასახლე, გალათას კოშკი) და თანამედროვე არქიტექტურული ძეგლები, ზღვის სანაპიროს რეკრეაციული რესურსები (თურქეთის რივიერა), ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები, კულტურული და ეთნოგრაფიული რესურსები, მუზეუმები (ანითკაბირი - ათათურქის მავზოლეუმი), სავაჭრო ცენტრები (სტამბოლის სავაჭრო ცენტრი - Istanbul Cevahir Mall მსოფლიოში სიდიდის მიხედვით მე-7 ადგილი, სტამბოლის დიდი ბაზარი - Grand Bazaar, ყოფილი მონების ბაზრის შენობაში, რომელიც 1461 წელს აშენდა), სამკურნალო წყლები და სამკურნალო ტალახები და სხვა. ტურიზმის სახეებიდან დომინირებს შემეცნებითი ტურიზმი, ამასთან, საკმაოდ კარგადაა განვითარებული საზღვაო, სამთო, სამკურნალო-რეკრეაციული, შოპტურიზმი და სხვ. უმსხვილესი კურორტებია ანტალია (9,5 მლნ, მე-4 ადგილი), სტამბოლი (7,5 მლნ მე-9 ადგილი), ბოდრუმი, ალანია, ბელექი, კაპადოკია და სხვ. ტურისტული ნაკადები, ძირითადად, შედიან დიდი ბრიტანეთიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, უკრაინიდან, არაბული ქვეყნებიდან და სხვ.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

თურქეთის საგარეო ეკონომიკური კავშირების მოცულობა და გეოგრაფია ბოლო პერიოდში თანდათანობით ფართოვდება. საგარეო ეკონომიკური კავშირების ძირითად ფორმას საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს. ვაჭრობს 120-ზე მეტ ქვეყანასთან. ვაჭრობის მოცულობის ზრდაში დიდი როლი 1985 წელს „თავისუფალი ზონების შესახებ“ მიღებულმა კანონმა შეასრულა. ქვეყანაში მოქმედებს ექვსი თავისუფალი ეკონომიკური ზონა: ანტალიაში, მერსინში, იზმირში, სტამბოლის ათათურქის აეროპორტში, სტამბოლ-თრაკიაში და ტრაპიზონში. საერთაშორისო ვაჭრობის ბალანსი 391,3 მლრდ დოლარს შეადგენს (2018 წ.), ექსპორტზე მოდის 166,2 მლრდ დოლარი, ხოლო იმპორტზე - 225,1 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის უარყოფითი სალდო (-58,9 მლრდ). მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: გერმანია - 9,6%, დიდი ბრიტანეთი - 6,1%, არაბთა გაერთიანებული საამიროები - 5,9%, ერაყი - 5,9, აშშ - 5,5%, იტალია - 5,4%, საფრანგეთი - 4,2%, ესპანეთი - 4,1% და სხვ. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 10,0%, გერმანია - 9,1%, რუსეთი - 8,4%, აშშ - 5,1%, იტალია - 4,1% და სხვ. გააქვს: ქრომიტები, მანქანა მოწყობილობები, სამშენებლო მასალები, ხალიჩები, საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობის პროდუქცია, ტყავის ნაწარმი, ხორბალი, ხეხილი, ბოსტნეული, საკვები პროდუქტები და სხვ. შეაქვს: ნავთობი, გაზი, მანქანა-მოწყობილობები, მერქანი, მედიკამენტები და სხვა. ჩართულია საკრედიტო-საფინანსო (კაპიტალის გატანა), საერთაშორისო საწარმოო (საგნობრივი და დეტალობრივი სპეციალიზაცია, პროდუქციის ერთობლივი წარმოება,

კაპიტალურ მშენებლობაში ერთობლივი თანამშრომლობა, ერთობლივი საწარმოები), საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობაში (განსაკუთრებით საერთაშორისო და სატრანზიტო ტრანსპორტით ევროპაში უმსხვილესი გადამზიდველია), საერთაშორისო ტურიზმის და სხვა ეკონომიკურ კავშირებში.

შიდა განსხვავებული რაიონები

თურქეთში, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო სპეციალიზაციის თავისებურების მიხედვით, გამოიყოფა 7 ეკონომიკური რაიონი.

1. მარმარილოს ზღვის რაიონი. ფართობი - 72000 კმ², მოსახლეობა - 23,21 მლნ კაცი (2014 წ.). შედის - სტამბოლის, ბალიქესირის, ბელეჯიკის, ბურსის, ჩანაქკალეს, ედირნეს, ქორკლარელის, ქოჯაელის, საქარიას, თექირდაღის და იალოვას პროვინციები (ილი). ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და მეურნეობრივად განვითარებული რაიონია. მრეწველობის წამყვანი დარგებია მანქანათმშენებლობა, ქიმიური, მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობიდან სპეციალიზირდება მარცვლეულის, ხეხილის და თამბაქოს მოყვანაზე. ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია. რაიონის ცენტრი - სტამბოლი (14,8 მლნ);

2. ეგეოსის რაიონი. ფართობი - 88000 კმ², მოსახლეობა - 9,9 მლნ კაცი (2014 წ.). შედის - აფონ-ქარაისირის, აიდინის, დენიზლის, იზმირის, ქუთაიას, მანისას, მუღლას და უშაქის პროვინციები (ილი). მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონია, სამთომოპოვების, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის სპეციალიზაციით. აგრეთვე, განვითარებულია მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის წამყვანია მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხეხილის, ტექნიკური კულტურების (ბამბა, თამბაქო) მოყვანა. რაიონის ცენტრი - იზმირი (2,9 მლნ);

3. შავი ზღვის რაიონი. ფართობი - 115000 კმ², მოსახლეობა - 7,57 მლნ კაცი (2014 წ.). შედის - ამისიის, ართვინის, ბართინის, ბაიბურთის, ბოლუს, ჩორუმის, დუდჟეს, გირესუნის, გუმუშჰანის, ყარაბიუქის, კასტამონის, ორდუს, რიზეს, სამსუნის, სინოპის, თოქათის, ტრაპიზონის და ზონგულდაგის პროვინციები (ილი). მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული სამთომოპოვებითი, ენერგეტიკა, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია თხილის, თამბაქოს და ჩაის მოყვანა. რაიონის ცენტრი - ტრაპიზონი (235,7 ათასი);

4. ცენტრალური ანატოლიის რაიონი. ფართობი - 190000 კმ², მოსახლეობა - 12,23 მლნ კაცი (2014 წ.). შედის - აქსარაიას, ანკარის, ჩანქირის, ესქიშეჰირის, ქარამანის, კაისერის, ქირიქკალეს, ქირშაჰირის, კონიის, ნევშეჰირის, ნიღდეს, სივასის და იოზგათის პროვინციები (ილი). მრეწველობიდან შედარებით კარგადაა

განვითარებული სამთომოპოვებითი, ენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და კვების. რაიონი ქვეყნის ძირითადი ბეღელია, სადაც იწარმოება მარცვლეულის დიდი ნაწილი. აგრეთვე, განვითარებულია მეცხოველეობა ანგორული ჯიშის თხების სპეციალიზაციით. რაიონის ცენტრი - ანკარა (4,9 მლნ).

5. ხმელთაშუა ზღვის რაიონი. ფართობი - 93000 კმ², მოსახლეობა - 9,77 მლნ კაცი (2014 წ.). შედის - ადანის, ანტალიის, ბურდურის, ჰათაიას, ისპარტას, ქახრამანნმაშის, მერსინის და ოსმნიეს პროვინციები (ილი). მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია სუბტროპიკული მეხილეობა (თხილი, ციტრუსები, ზეთისხილი). კარგადაა განვითარებული ტურიზმი ცნობილი კურორტებია: ანტალია, ბოდრუმი, ბელექი და სხვ. რაიონის ცენტრი - ადანა (1,7 მლნ).

6. აღმოსავლეთ ანატოლიის რაიონი. ფართობი - 148000 კმ², მოსახლეობა - 5,91 მლნ კაცი (2014 წ.). შედის - აღრის, ადიამანის, ბინგოლის, ბითლისის, ელიაზიღის, ერზინჯანის, ერზრუმის, ჰაქიარის, იღდირის, ყარსის, მალათიას, მუშის, თუნჯელის და ვანის პროვინციები (ილი). ეკონომიკურად ჩარორჩენილი რაიონია, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი ექსტენსიური მეცხოველეობაა. მრეწველობიდან განვითარებულია სამთომოპოვებითი, ჰიდროენერგეტიკა და კვების. რაიონის ცენტრი - ერზრუმი (383,5 ათასი);

7. სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიის რაიონი. ფართობი - 75000 კმ², მოსახლეობა - 8,11 მლნ კაცი (2014 წ.). შედის - ადიამანის, ბათმანის, დიარბაქირის, გაზიანთეფეს, ქილისის, მარდინის, ურფას, სიირთის და შირნაქის პროვინციები (ილი). რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქურთები წარმოადგენენ. მრეწველობიდან შედარებით კარგადაა განვითარებული სამთომოპოვებითი, ფერადი მეტალურგია და კვების. სოფლის მეურნრეობიდან წამყვანია მეცხოველეობა (მეცხვარეობა), მარცვლეულის და თამბაქოს მოყვანა. რაიონის ცენტრი - გაზიანთეფე (1,6 მლნ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.1.5. ირანი

ფართობი - 1,65 მლნ კმ²
მოსახლეობა - 84,9 მლნ კაცი (2021 წ.)
დედაქალაქი - თეირანი

ზოგადი ცნობები

ირანის ისლამური რესპუბლიკა ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა, რომელიც პოლიტიკური განვითარების თავისებურების გამო, მეტ-ნაკლებად იზოლირებულია გარესამყაროსაგან. ამასთან, დიდი პოტენციალის მქონე ქვეყანაა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საკმაოდ დაჩქარებული ტემპით ვითარდება. მთლიანი შიდა პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე 18960 დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,798-ს (53-ე ადგილი) შეადგენს. ქვეყნის დევიზია: „დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ისლამური რესპუბლიკა“. სახელმწიფო ენა - სპარსული (ფარსი), ფულის ერთეული - რიალი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

ირანი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. გააჩნია საკმაოდ კარგი და გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა (იხ. ნახ. 32); აქვს პირდაპირი გასასვლელი ინდოეთის ოკეანის წყლებში, ქვეყანაზე გადის ტრანსევრაზიის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციები და წარმოადგენს აბრეშუმის სავაჭრო გზის ერთ-ერთ დერეფანს. საზღვრების საერთო სიგრძე 8334 კმ-ია (სახმელეთო - 5894 კმ, საწყლო - 2440 კმ). ჩრდილოეთით ესაზღვრება კასპიის ზღვა (740 კმ), სამხრეთით ინდოეთის ოკეანე (სპარსეთისა და ომანის უბეები), ჩრდილო-აღმოსავლეთით - თურქმენეთი (1148 კმ), აღმოსავლეთით - ავღანეთი (921 კმ) და პაკისტანი (959 კმ), ჩრდილო-დასავლეთით - აზერბაიჯანი (689 კმ) და სომხეთი (44 კმ), დასავლეთით - თურქეთი (534 მ) და ერაყი (1599). ირანი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენს ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელ სატრანსპორტო ხიდს. ირანი საქართველოს უშუალოდ არ ესაზღვრება, მაგრამ ერთიანი სატრანსპორტო სისტემებით ჩართული არიან ევრაზიის ტვირთნაკადების გადაადგილებაში.

ნახ. 32. ირანის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ირანი მთიანი ქვეყანაა (საშუალო სიმაღლე ზ.დ.1000 მ-ია), სადაც ტერიტორიის დიდი ნაწილი ირანის მთიანეთს უჭირავს. ჩრდილოეთში განედობრივი მიმართულებით აღმართულია ელბრუსის მთები (უმაღლესი წერტილი დემავენდი 5604 მ), ცენტრალურ ნაწილში მერიდიანულად გაწოლილია ათეულობით ქედი, რომელთა შორის დიდი ადგილი კუხრუდის ქედს უკავია. დაბლობები წარმოდგენილია სანაპირო რაიონებში, ჩრდილოეთში კასპიის ზღვის სანაპირო ზოლში და სპარსეთის ყურის გასწვრივ. ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ხუზისტანის დაბლობს გააჩნია, რომელიც უმდიდრესია ნავთობის რესურსებით და, ძირითად, სასოფლო-სამეურნეო რეგიონს წარმოადგენს. რელიეფი ქვეყნის ცალკეულ ადგილზე განსახლების და საწარმოო ძალების განლაგების საქმეში გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

მინერალური რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მსოფლიო მნიშვნელობა ნავთობისა და გაზის მარაგს გააჩნია. ნავთობის დაზვერილი მარაგით (12-13 მლრდ ტ), ვენესუელას და საუდის არაბეთის შემდეგ, მესამე ადგილზეა. ნავთობის მარაგის დიდი ნაწილი თავმოყრილია სამხრეთ-დასავლეთის

სანაპირო რეგიონში, განსაკუთრებით, ხუზისტანის დაბლობზე (უმსხვილესი საბადოა აღა-ჯარი, მარაგი 8-9 მლრდ ტ, სიღრმე 1-3 კმ, სიგრძე 50 კმ). გაზის დაზვერილი მარაგით (16 ტრილ $მ^3$) რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზეა. გაზის რესურსები, ძირითადად, თანხვედრილია ნავთობის გავრცელების რაიონებში, მათ შორის უმსხვილესი საბადოები ფარსის შელფის რაიონშია. სხვა სათბობი რესურსებიდან მოიპოვება ქვანახშირი, მურა ნახშირი, ურანი და სხვ.

მადნეული წიაღისეულიდან აღსანიშნავია რკინის მადანი (ბაფქი), სპილენძი, ტყვია-თუთია, ქრომი, ნიკელი, მოლიბდენი და ვერცხლისწყალი. უმდიდრესია მინერალური სამშენებლო ნედლეულით (კირქვა, გრანიტი, მარმარილო, ბაზალტი, ტუფი). მოიპოვება სამთოქიმიური ნედლეული, განსაკუთრებით, გოგირდი და სუფრის მარილი. მსოფლიო მნიშვნელობა ძვირფასი ქვების - ზურმუხტის, საფირონის, ფირუზის და ლალის მარაგს გააჩნია.

ირანი განლაგებულია სუბტროპიკულ და ტროპიკულ კლიმატურ სარტყელში, სადაც მრავალფეროვანი და საკმაოდ კონტრასტული ჰავაა ჩამოყალიბებული. ტერიტორიის დიდ ნაწილზე კონტინენტურ-არიდული ჰავაა. ცენტრალურ, სპარსეთის ყურის სანაპიროზე და აღმოსავლეთ რაიონებში მშრალი და ცხელი ჰავაა, სადაც ზაფხულში ტემპერატურა +38°C (მაქსიმუმები +45°C , +50°C) და ქრის ცხელი მტვრიანი ქარი, ნალექების რაოდენობა საშუალოდ 200 მმ-ია. კასპიის ზღვის სანაპიროზე ტენიანი სუბტროპიკებია, სადაც მინიმალური ტემპერატურა +1°C ქვემოთ არ ჩამოდის და +29°C არ აღემატება, ხოლო ნალექების საშუალო რაოდენობა 1700 მმ-ია. ქვეყნის დიდ ნაწილზე აგროკლიმატური რესურსები სოფლის მეურნეობის განვითარებაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ტერიტორიის 16-17% უდაბნოებს უკავია, რომელთა შორის აღსანიშნავია დეშთე-ლუთი (უნაყოფო ველი) და დეშთე-ქევრი (მარილიანი ველი). აქ აუტანელი სიცხე და იშვიათი წვიმების დროს წარმოქმნილი მარილიანი ჭაობები ცხოვრებისათვის აუტანელ პირობებს ქმნის.

ირანი ჰიდროგრაფიული ქსელით ღარიბია. ტიგროსისა და ევფრატის შეერთების შემდეგ, შათ-ოლ-არაბის ქვედა დინების გარდა, არ არის მსხვილი სანაოსნო მდინარე. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია სპარსეთის უბეში ჩამდინარე ქარუნი (სადაც ნაოსნობა აჰვაზამდე ხორციელდება) და კასპიის ზღვაში ჩამდინარე მტკვრის შენაკადი არაქსი. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი უმნიშვნელოა და ამ თვალსაზრისით ნაკლებად არის გამოყენებული. წყლის რესურსების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით უძველესი პერიოდიდან შექმნილია მიწისქვეშა წყალშემკრები არხები ანუ ყანათები. ქვეყანა ასევე ღარიბია ტბებით, რომელთა უმრავლესობა გაუმდინარი და მლაშეა, მათ შორის ყველაზე დიდია ჩრდილო-დასავლეთში მდებარე უსიცოცხლო ტბა ურმი. მის ფსკერზე დალექილი სამკურნალო ტალახი რეკრეაციული მიზნებით გამოიყენება.

ტყის რესურსებით ღარიბია და უჭირავს ტერიტორიის 6,8%. ტყიანობის შედარებით მაღალი კოეფიციენტი ელბრუსის მთებშია, სადაც სამრეწველო დანიშნულების ტყის მარაგი უმნიშვნელოა. ქვეყანა საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი საძოვრებით.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ირანი უძველესი სახელმწიფოა. ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ძველი არიანადან - ,,არიელების ქვეყანა“ - ეს ტერმინი გამოიყენებოდა სასანიანთა სახელმწიფოს ძირითადი ნაწილის აღსანიშნავად. თვითონ ირანელები თავის ქვეყანას ყოველთვის ამ სახელით მოიხსენიებდნენ, ევროპელები კი სპარსეთით (Persia). 1935 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ მიმართა მსოფლიოს სახელმწიფოებს, რომ იგი ოფიციალურად მოეხსენიებინათ, როგორც ირანი.

ირანის ისტორიული განვითარება საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა. ასურეთის იმპერიის განადგურების შემდეგ (ძვ. წ. 614-612) იწყება სპარსული ტომების დომინირება ახლო აღმოსავლეთში. სპარსული ტომების გაერთიანებას მეთაურობდა დინასტიის დამფუძნებელი - აქემენი. ძვ. წ. 558 წელს აქემენიდების სამეფოს სათავეში ჩაუდგა აქემენის შთამომავალი კიროს II დიდი (558-530), რომელმაც სამხრეთ-დასავლეთ აზიაში შექმნა იმ პერიოდისთვის მსოფლიოში პირველი იმპერია, გადაჭიმული ცენტრალური აზიიდან (ეგვიპტის ჩათვლით) მაკედონიამდე (იხ. ნახ. 33).


სკვერთები
ისტრია
ბალტიკა
ანტრკალი
ბალტიკა
ბერლინი
ბალტიკა
ბალტიკა
ბალტიკა

ამ უზარმაზარი იმპერიის ცენტრად და ძლიერების სიმბოლოდ იქცა აქემენიანთა სატახტო ქალაქი პერსეპოლისი. აქემენიანთა იმპერიას უნდოდა საბერძნეთის დამორჩილება, მაგრამ დაპყრობილი ხალხების პერიოდულმა აჯანყებებმა დაასუსტა იმპერია და მას აღარ ეყო ძალა გამკლავებოდა ახალ მეტოქეს - მაკედონიას. ძვ. წ. 334 წელს მაკედონურ-ბერძნული არმია შეიჭრა აქემენიანთა იმპერიაში და რამდენიმე წელიწადში სასტიკად გაანადგურა.

XV საუკუნის მიწურულისთვის ირანი დაშლილი იყო რამდენიმე სამეფოდ, რომელთა შორის გამუდმებული ბრძოლები მიდინარეობდა პირველობისათვის. XVI საუკუნის დასაწყისიდან აქ სულ უფრო ძლიერდება სეფიანელთა საგვარეულო. მათ თავიანთი გავლენის განსამტკიცებლად მიიღეს შიიტობა და დაიწყეს ირანული მიწების დაპყრობა. შვიდი თურქმენული ტომის გამაერთიანებელმა სეფიანელთა საგვარეულომ, საკუთარი მომხრეებისათვის სავალდებულო გახადა წითელზოლიანი ჩალმების ტარება. სწორედ ამიტომ მათ მომხრეებს ყიზილბაშები დაერქვა.

XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ყიზილბაშთა ახალმა მეთაურმა ისმაილმა (1502-1524) დაიპყრო მთელი სამხრეთი აზერბაიჯანი თავრიზითურთ და თავი შაჰად გამოაცხადა. მან თავისი ხელისუფლება გაავრცელა ცენტრალურ და დასავლეთ ირანშიც. ირანის დედაქალაქი გახდა თავრიზი. ოფიციალური რელიგია - შიიზმი. შაჰ ისმაილის მეთაურობით ყიზილბაშებმა რამდენიმეჯერ ილაშქრეს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. ისმაილის დროს დაიწყო ხანგრძლივი ომები ოსმალეთთან. შაჰ ისმაილის გარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰი გახდა შაჰ თამაზ I (მისი მმართველობის დროს ყიზილბაშებმა ოთხჯერ ილაშქრეს საქართველოში).

1555 წელს დასრულდა ოსმალეთთან ომი და დაიდო ამასიის ზავი. ამ ზავის პირობების თანახმად, ერაყი გადავიდა ოსმალეთის ხელში, ხოლო სამხრეთ აზერბაიჯანი თავრიზითურთ რჩებოდა ირანს. დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ერგო, ხოლო ქართლ-კახეთი და სამცხე-საათაბაგო - ირანს. მომდევნო წლებში ირანსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირება კვლავაც გრძელდებოდა და 1590 წელს შაჰი იძულებული გახდა ოსმალეთთან უმძიმესი ზავი დაედო. ზავის პირობების თანახმად, მთელი ამიერკავკასია ოსმალეთს გადაეცა, მაგრამ 1603 წელს უკან დაიბრუნა.

XVII საუკუნის მიწურულიდან ირანის სეფიანელთა დინასტია საგრძნობლად დასუსტდა. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლეს ავღანელმა ტომებმა, თავიდან მათ მოიშორეს სეფიანელთა უღელი, ხოლო 1722-1723 წლებში დაიპყრეს ირანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამავე პერიოდში ირანის წინააღმდეგ ომებს აწარმოებდა რუსეთიც. პეტრე I-ს მიზნად ჰქონდა

დასახული კასპიის ზღვის აღმოსავლეთი და დასავლეთი ტერიტორიების დაპყრობა. ირანთან დადებული პეტერბურგის ზავით აღნიშნული ტერიტორიები რუსეთს გადაეცა. ასეთ მძიმე ვითარებაში სეფიანელთა დინასტიამ, ფაქტობრივად, დაკარგა ძალაუფლება. ირანის ასეთი მძიმე ვითარებით ისარგებლა ოსმალეთმა და კავკასია დაიკავა. 1772 წელს ირანში მასობრივი ანტიავღანული განმანთავისუფლებელი ბრძოლები დაიწყო. ბრძოლას თურქმანული წარმოშობის ნადირ შაჰი ჩაუდგა სათავეში. მან ავღანელი დამპყრობლები ირანიდან განდევნა. მალე მან დაიწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც სრული გამარჯვებით დასრულდა. 1736 წლის ზავით ირანმა დაიბრუნა ყველა ის ტერიტორია, რომელიც დაკარგა 1723 წელს. 1747 წელს ნადირ შაჰი შეთქმულების მსხვერპლი გახდა და მის მიერ სისხლით და მახვილით შექმნილი სახელმწიფო დაინგრა. ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანის ტახტისთვის იბრძოდა რამდენიმე საგვარეულო. 1794 წელს ყაჯარების თავკაცი აღა-მაჰმად-ხანი გახდა ირანის მმართველი, რომელმაც 1795 წელს დალაშქრა და დაარბია თბილისი. ამიერკავკასიიდან დაბრუნებული აღა-მაჰმად-ხანი თეირანში საზეიმოდ ეკურთხა შაჰად, ხოლო თეირანი დედაქალაქად გამოაცხადა. 1804-1813 წლების ომში რუსეთთან მარცხის შემდეგ, ირანი ცნობდა კავკასიაში რუსეთის გაბატონებას, აგრეთვე, კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება მხოლოდ რუსეთს დარჩა.

1814 წელს ირანსა და ინგლისს შორის დაიდო დიდი ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1826 წელს ირანმა ომი გამოუცხადა რუსეთს, მაგრამ დამარცხდა. 1828 წლის ზავით ირანმა საბოლოოდ უარი თქვა აღმოსავლეთ საქართველოზე, დაღესტანზე, ჩეჩნეთზე, აზერბაიჯანზე და ცნობდა ერევნისა და ნახიჭევნის სახანოების შესვლას რუსეთის შემადგენლობაში. ამავდროულად, რუსეთი ირანის საქმეებში ერეოდა. ამით აღშფოთებული ირანელი შიიტები 1829 წელს შეიჭრნენ რუსეთის საელჩოში და დაარბიეს, ამოხოცეს რუსები, მათ შორის ელჩი ალექსანდრე გრიბოედოვიც. რუსეთის იმპერატორი მოერიდა ირანთან ურთიერთობის დაძაბვას. რუსეთის იმპერატორი ირანის შაჰის ოფიციალურ ბოდიშს დასჯერდა და მიიღო მის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები (მათ შორის დიდი ბრილიანტი სახელით შაჰი).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ირანი გადაიქცა ნახევარად კოლონიურ ქვეყნად, რამაც გამოიწვია ფეოდალური ურთიერთობების დაკონსერვება. 1879 წელს ირანის შაჰის თხოვნით მოწვეულმა რუსმა ოფიცრებმა, ადგილობრივ მცხოვრებთაგან შექმნეს რუსული კაზაკური სამხედრო ნაწილების გაერთიანება, თავდაპირველად პოლკი, რომელიც ჯერ ბრიგადად, ხოლო შემდგომ დივიზიად გადაიქცა. XIX საუკუნის მიწურულს ირანში აღმოცენება იწყო

ფარულმა პატრიოტულმა ორგანიზაციებმა, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ბრძოლა უცხოელების წინააღმდეგ. ამავდროულად, მიმდინარეობდა შიდა პოლიტიკური პროცესები, რის შედეგადაც 1905 წელს შაჰი იძულებული გახდა, მოეწვია პირველი მეჯლისი, რომელმაც შაჰის ძალაუფლება შეზღუდა.

1908 წელს ინგლისმა და რუსეთმა ირანი გაიყვეს. 1909 წელს აჯანყებულებმა აიღეს ქალაქი თეირანი, დაამხეს მოჰამედ-ალ შაჰის ხელისუფლება და აღადგინეს კონსტიტუცია. 1911 წლის ბოლოს რუსეთის, ინგლისისა და შინაგანი რეაქციის ძალებმა შეძლეს ირანის რევოლუციის ჩახშობა. 1921 წლის თებერვალში მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ირანულ კაზაკთა ნაწილები ვიცე პოლკოვნიკ რეზა ფეჰლევის სარდლობით. ახალ მთავრობაში ფეჰლევმა სამხედრო მინისტრის პოსტი მიიღო, 1923 წელს კი პრემიერმინისტრი გახდა. მან აიძულა მეჯლისი ყაჯართა დინასტია დაემხოთ და 1923 წელს რეზა ფეჰლევი გახდა შაჰი. ახალ დინასტიას ეწოდა ძველი პართიული დინასტიის ირანული სახელი - ფეჰლევი. სახელწოდება სპარსეთი შეიცვალა ირანით. რეზა შაჰმა ულმობლად ჩაახშო ყველა აჯანყება ირანის ტერიტორიაზე. ამასთან, შაჰი შეეცადა დაეცვა ქვეყნის ეკონომიკა. ჩატარდა რეფორმები განათლების სფეროში, რის შედეგადაც შეიქმნა უფასო დაწყებითი, ფასიანი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები.

1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას რეზა შაჰმა სცადა დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-თვის უარი ეთქვა მათი ჯარების ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებაზე, რის გამოც მოკავშირეთა მიერ იძულებული გახდა ტახტზე უარი ეთქვა. იგი გარდაიცვალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (იოჰანესბურგში). მისმა მემკვიდრემ მუჰამედ რეზა ფეჰლევიმ მამის ნეშთი ირანში გადაასვენა და სპეციალურად აგებულ დიდებულ მავზოლეუმში დაკრძალა, თუმცა რევოლუციის შემდეგ, აიათოლას განკარგულებით, მავზოლეუმი დაანგრიეს.

1953 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით ირანში სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო, რომლის შედეგადაც დამხობილი იქნა ეროვნული ფრონტის მთავრობა. ახალმა მთავრობამ ნავთობი 25 წლის ვადით საერთაშორისო კონსილიუმს გადასცა, რომელშიც მთავარ როლს ამერიკული და ინგლის-ირანული კომპანიები ასრულებდნენ.

ირანი ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მოჰამედ რეზა შაჰმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება სოფლის მეურნეობაში, წარმოებაში, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის სფეროში. 1963 წლის რეფერენდუმზე მოსახლეობამ მხარი დაუჭირა შაჰის ახალ რეფორმებს, რომელსაც თეთრი რევოლუცია ეწოდა. ამ რეფორმებს დაუპირისპირდნენ ულიმები - შიიტი სამღვდელოების პირები, რომლებმაც ეს რეფორმები ისლამური პრინციპების შელახ-

ვად და საერთოდ, ისლამზე პირდაპირ შეტევად აღიქვეს. მოსახლეობაში იზრ-დებოდა ანტიდასავლური განწყობაც. ასეთ პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა საზოგადოების სრული ისლამიზაციის მომხრე სასულიერო პირების გავლენა. მათმა ლიდერმა აიათოლა ჰომეინმა გააკეთა მოწოდება ჭეშმარიტი ისლამური წყობის დამყარების შესახებ. ოპოზიციას შეუერთდა დასავლური ორიენტაციის ინტელიგენცია. 1978 წლიდან ქვეყანა მასობრივმა დემონსტრაციებმა მოიცვა. მთავრობის შეცვლამ შაჰს ვერ უშველა. 1979 წლის იანვარში შაჰს მოუწია ქვეყ-ნიდან წასვლა. სამაგიროდ, ქვეყანაში დაბრუნდა რუჰოლა ჰომეინი, რომლის მხარეს არმიაც გადავიდა. ჰომეინმა ირანის ისლამური რესპუბლიკის შექმნა გა-მოაცხადა. რეფერენდუმში ამ იდეას მოსახლეობამ მხარი დაუჭირა და 1979 წლის 1 აპრილიდან ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ქვეყნის მმართველი გახდა აითოლა ჰომეინი შეუზღუდავი ძალაუფლებით და ქვეყანა დაუბრუნდა შარიათის ნორმებს. ამასთან, ჰომეინი ყველა ისლამურ ქვეყანას გაერთიანებისკენ მოუწოდებდა, რამაც ირანის მეზობელი ქვეყნები შეაშფოთა. განსაკუთრებით, გართულდა ირან-ერაყის ურთიერთობები, რაც 1980 წელს ომ-ში გადაიზარდა. ეს ომი ორივე მხარისათვის საზიანო იყო, მას ნახევარი მი-ლიონი ადამიანი ემსხვერპლა და 1988 წელს დასრულდა.

თანამედროვე ირანი (სრული სახელწოდება - ირანის ისლამური რესპუბ-ლიკა) შიდა პოლიტიკური პროცესების თავისებურებებისა და გარესამყაროსთან არცთუ ისე კარგი ურთიერთობის გამო ერთ-ერთი იზოლირებული ქვეყანაა.

სახელმწიფო წყობა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

ირანი, სახელმწიფო წყობილების მიხედვით, თეოკრატიული ისლამური რესპუბლიკაა. კონსტიტუციით განსაზღვრულია მოსახლეობის ყოფა-ცხოვრე-ბაში ისლამური რელიგიის განსაკუთრებული როლი. სახელმწიფოს მეთაური სულიერი ლიდერი აიათოლა საიდ ალი ჰომეინია. იგი განსაზღვრავს ქვეყნის ზოგად პოლიტიკას, არის ირანის შეიარაღებული ძალების უმაღლესი და სამხედრო დაზვერვის მეთაური, ნიშნავს სასამართლოების თავმჯდომარეებს, პოლიციის მეთაურს და სამხედროების ყველა ფილიალის მეთაურებს, აგრეთვე, კონსტიტუციის მეურვეთა საბჭოს თორმეტი წევრიდან ექვს წევრს. ქვეყნის მეორე ოფიციალური პირი პრეზიდენტია. პრეზიდენტი კონსტიტუციის გარან-ტი და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელია. გადაწყვეტილებების მიღება საკვანძო საკითხებზე მხოლოდ უმაღლესი ლიდერის დამტკიცების შემ-დეგ ხდება. პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს წევრებს და კოორ-დინაციას უწევს მთავრობის მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ნიშნავს თავდაცვისა და დაზვერვის მინისტრებს, კანდიდატებს წინასწარ ამტკი-

ცებენ უზენაეს ლიდერთან. პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი კენჭისყრის წესით, ოთხი წლის ვადით. საპრეზიდენტო კანდიდატები წინასწარ უნდა დაამტკიცონ სამეურვეო საბჭოს მიერ.

საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი - მეჯლისი, რომელიც 270 წევრისგან შედგება.

ირანი, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, უნიტარული სახელმწიფოა და იყოფა 31 ოსტანად (ალბოროზი, არდაბალი, აღმოსავლეთი აზერბაიჯანი, ბუშირი, გილანი, გულისტანი, დასავლეთი აზერბაიჯანი, ზენჯანი, თეირანი, იაზდი, ილამი, ისპაჰანი, ლურისტანი, მაზანდარანი, მარკაზი, სამხრეთ ხორესანი, სემნანი, სისტანი და ბელუჯისტანი, ფარსი, ქერმანი, ქერმანშაჰი, ქოხგილუე და ბოიერჰმედი, ქურთისტანი, ყაზვანი, ყუმი, ჩახარმახალი და ბახთიარია, ჩრდილოეთ ხორესანი, ხოროსან რეზავი, ხუზესტანი, ჰამადანი, ჰორმაზაგანი).

მოსახლეობა

ირანში 2021 წლისათვის 84,9 მლნ კაცი ცხოვრობდა. მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1,2%-ია და ბუნებრივ მოძრაობაზეა დამოკიდებული. მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყოველ 1000 კაცზე 12,1 პრომილეა (შობადობა - 17,4, სიკვდილიანობა - 5,3). გააჩნია საკმაოდ ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობა. მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 51,5%, ხოლო ქალებზე - 48,5%. 0-14 წლის ასაობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 24,2%, 15 - 64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 70,3%, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაზე - 5,5%. მოსახლეობის საშუალო ასაკი 30,8 წელია და ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ახალგაზრდა ქვეყანაა. ქვეყანაში 1995 წლიდან ბუნებრივი მატების შემცირების მიზნით მოქმედებს დემოგრაფიული პოლიტიკა.

ირანი მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის 75% ირანულ, ხოლო 25% თურქულ ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. მოსახლეობის 61% სპარსელები, ანუ ფარსები არიან. სხვა ეთნოსებიდან ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (16%, ირანის აზერბაიჯანი), ქურთები (10%, ირანის ქურთისტანი), ლუარები (6%), ბელუჯები (2%), არაბები (2%), თურქმენები, ქართველები (XVI საუკუნეში იძულების წესით ჩაასახლეს 80 ათასი ქართული ოჯახი, რომლებიც კომპაქტურად ფერეიდანში ცხოვრობენ) და სხვ. რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით, 85% მუსლიმი შიიტები, 9% მუსლიმი სუნიტები, 4% ქრისტიანი და სხვა რელიგიის წარმომადგენლები არიან.

ისტორიულად ირანისთვის დამახასიათებელი იყო როგორც შიდა, ისე საგარეო მიგრაციები. ბოლო წლებში გარემიგრაციული პროცესები გააქტიურდა

ისლამური რევოლუციის დროს და ამ პერიოდში ქვეყანა 1,6 მლნ ადამიანმა დატოვა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ 4 მლნ-ზე მეტი ირანელია, რომელთა დიდი ნაწილი ავსტრალიაში, ჩრდილო ამერიკაში და ევროპაში ცხოვრობენ. ამასთან, ირანში ცხოვრობს 1,2 მლნ ლტოლვილი მეზობელი ქვეყნებიდან.

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა, სადაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 30,5 მლნ-ია (მთელი მოსახლეობის 37,6%). დასაქმებული მოსახლეობა მეურნეობის დარგების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: სოფლის მეურნეობა - 16,3%, მრეწველობა - 35,1% და მომსახურე დარგები - 48,6%. უმუშევრობის დონე 12%-ია, ხოლო სიღარიბის მაჩვენებელი - 18,7%.

მოსახლეობის ტერიტორიული განაწილება საკმაოდ არათანაბარია. საშუალო სიმჭიდროვე 50 კაცია ერთ კმ²-ზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი განლაგებულია ჩრდილოეთ ირანში, სადაც სიმჭიდროვე შედარებით მაღალია - 105, ხოლო დაბალია აღმოსავლეთ რეგიონებში - 12 კაცი.

ურბანიზაციის დონე საკმაოდ მაღალია (74,9%, 2018 წ.). უდიდესი ქალაქებია: თეირანი - 8,9 მლნ (აგლომერაციაში - 14 მლნ), მეშხედი - 3,1 მლნ, ისფაჰანი - 2,1 მლნ, შირაზი - 1,6 მლნ, კარაჯი - 1,6 მლნ, თავრიზი - 1,5 მლნ, კუმუ - 1,1 მლნ და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ირანის მეურნეობრივ განვითარებაზე დიდი გავლენა ნავთობის რესურსებმა შეასრულა, რამაც განსაზღვრა XIX საუკუნის დასაწყისიდან უცხოური კაპიტალის შედინება. XX საუკუნის 50-იან წლებში ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციამ ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული ძვრები გამოიწვია. ენერგეტიკასთან ერთად ინტენსიურად ვითარდებოდა მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა. პარალელურად ვითარდებოდა ტრადიციული დარგები, მსუბუქი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ეკონომიკაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა 1979 წლის რევოლუციამ და შემდეგ ირან-ერაყის ომმა. თანამედროვე პერიოდში მეურნეობრივი განვითარების მიხედვით ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობით (1,6 ტრილ დოლარი, 2018 წ.) აზიაში ერთ-ერთ უდიდესი ქვეყანაა. წარმოებული პროდუქციის - 9,6% სოფლის მეურნეობაზე, 35,3% - მრეწველობაზე და 55,1% მომსახურე დარგებზე მოდის. ბოლო წლებში მეურნეობრივ განვითარებას გარკვეულ პრობლემებს პოლიტიკური პროცესები უქმნის. დასავლეთის მიერ მთელ რიგ პროდუქციაზე ემბარგოა დაწესებული.

მრეწველობა

მრეწველობის წამყვანი დარგი ენერგეტიკაა, მასზე მოდის დარგის მთლიანი პროდუქციის არანაკლებ 3/4 ნაწილი და ექსპორტის 85%. პრიორიტეტი ნავთობის მრეწველობას ენიჭება და მოპოვებით (255 მლნ ტ, 2016 წ.) მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა. მოპოვებული ნავთობის 80%-ზე მეტი გადის ექსპორტში. მსოფლიო მნიშვნელობის დარგი გაზის მრეწველობაა, მოიპოვებს 214 მლრდ $მ^3$ (2017 წ., მესამე ადგილი), რომლის დიდი ნაწილი ექსპორტში გადის. საჭირო რაოდენობით მოიპოვებს ნახშირის რესურსებს. ვითარდება ელექტროენერგეტიკა, ხოლო გამომუშავება (272,3 მლრდ კვტ/სთ, 2018 წ.) და სიმძლავრე (77,6 მლნ კვტ) თანდათანობით იზრდება. წარმოებული ელექტრო ენერგიის 84% თბოსადგურებზე, 15% - ჰესებზე და 1% აეს-ზე მოდის.

მეტალურგია უძველესი დარგია. თანამედროვე ტექნოლოგიებით მისი განვითარება XX საუკუნის 50-იან წლებიდან იწყება (1954 წელს აგებული იქნა პირველი შავი მეტალურგიის საწარმო ისფაჰანში). შავი მეტალურგია ეფუძნება საკუთარ სანედლეულო ბაზას. საშუალოდ მოიპოვებს 20 მლნ ტ რკინის მადანს (მთავარია ჩადორმალუს მდიდარი 58,9%-იანი რკინის საბადო) და აწარმოებს 17,9 მლნ ტონა ფოლადს (2016 წ). უმსხვილესი კომბინატებია ისფაანი, თავრიზი და ხორმოზანი. წამყვანია სახელმწიფო კომპანია - „ნისკო -NISCO", რომელიც ოთხ საწარმოს აერთიანებს, აგრეთვე, ფუნქციონირებს უცხოური კომპანიებიც. ფერადი მეტალურგიიდან განვითარებულია სპილენძის, ალუმინის, ნიკელის და ტყვია-თუთიის მრეწველობა. საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ძვირფასი ლითონებისა და ქვების მოპოვებას.

მანქანათმშენებლობა საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება და აწარმოებს თანამედროვე მანქანათმშენებლობის თითქმის ყველა სახის პროდუქციას. დარგის განვითარებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს უცხოურ კომპანიებს. ადგილობრივი ბაზრისათვის კარგად ფუნქციონირებს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ტრაქტორების მსხვილი საწარმოა თავრიზში. სატრანსპორტო მანქანათმშენებლობიდან წამყვანია ავტომშენებლობა, რომელიც უცხოური კომპანიების თანამონაწილეობით იწარმოება: „ირან ჯიპი" (აშშ „ამერიქან მოტორსი"), „სიტროენ ასემბლი" (ფრანგული „სიტროენი"), „ხავარი" (გერმანული „მერსედეს ბენცი") და სხვ. გემები იწარმოება აბადანში, ხორამშაირში და ენძელში. უშვებს სხვადასხვა ტიპის, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დანიშნულების საფრენ საშუალებებს, აგრეთვე, მოტოციკლეტებსა და ველოსიპედებს.

ბოლო წლებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის (მაცივრების, ტელევიზორების, მაგნიტაფონების, კონდიციონირების) წარმოებამ. საკუთარი ბაზრისთვის აწარმოებს ენერგეტიკული, მსუბუქი და

კვების მრეწველობისთვის საჭირო მანქანა-მოწყობილობებს. მანქანათმშენებლობის უმსხვილესი ცენტრებია: თეირანი, მეშხედი, ისფაჰანი, შირაზი, აბადანი და სხვ.

ქიმიური მრეწველობიდან წამყვანია ნავთობისა და გაზის ქიმია, რომელიც მდიდარ სანედლეულო ბაზას ეფუძნება. ნავთობგადამუშავების უმსხვილესი ცენტრია აბადანი. ძირითადი ქიმიის პროდუქციიდან წამყვანია მინერალური სასუქების წარმოება. საყოფაცხოვრებო ქიმიიდან კარგადაა განვითარებული მსუბუქი მრეწველობისთვის საჭირო საღებავების წარმოება. უცხოურ კომპანიებთან ერთობლივად იწარმოება ორგანული სინთეზის ქიმიის თითქმის ყველა სახის პროდუქცია, პლასტმასებისა და სინთეზური კაუჩუკის სპეციალიზაციით. განვითარებულია ფარმაკოქიმია. ქიმიური მრეწველობის ძირითადი ცენტრებია: აბადანი, თეირანი, ისფაჰანი, კერმანშახი, შირაზი და სხვ.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც, ძირითადად, შემოტანილ ნედლეულზეა განვითარებული. აწარმოებს ხე-ტყის მრეწველობის ყველა სახის პროდუქციას. განსაკუთრებული მნიშვნელობა და საერთაშორისო დანიშნულება ავეჯის მრეწველობას გააჩნია.

მდიდარ სანედლეულო ბაზას ეფუძნება საშენ მასალათა მრეწველობა. აწარმოებს ყველა სახის პროდუქციას. საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი სანიტარული ტექნიკის (კაფელი, იატაკის ფილა) და ცემენტის წარმოებაა. საკმაოდ კარგადაა განვითარებული ფაიფურის და მინის მრეწველობა. ფართოდაა წარმოდგენილი კეთილშობილი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ნაკეთობების, კერამიკული და თიხის ჭურჭლის დამზადება.

უძველესი ტრადიციის დარგი საფეიქრო მრეწველობაა, რომელიც მთლიანად საკუთარ სანედლეულო ბაზაზეა განვითარებული. ქვეყანაში საფეიქრო მრეწველობის 9400 საწარმოა, სადაც დასაქმებულია 0,32 მლნ კაცი და იძლევა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 6%-ს. მსოფლიო მნიშვნელობის დარგი ბამბეულის მრეწველობაა (1,1 მლრდ m^2), ხოლო უმსხვილესი ცენტრი ისფაჰანის „ტაჯის“ კომბინატია. შედარებით კარგადაა განვითარებული შალეულის და აბრეშუმის მრეწველობა. ერთ-ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი ხალიჩების წარმოებაა, რომელიც მთელ მსოფლიოში ხარისხითა და ორიგინალური ორნამენტებით არის განთქმული. გამოირჩევა სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის და საგალანტერიო პროდუქციის წარმოებითაც.

კვების მრეწველობა განვითარებულია, როგორც მსხვილ, ისე წვრილ საწარმოებში. მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია პურ-ბურღულეულის, ხმელი ჩირის, ზეთის, ხიზილალას, საკონსერვო და სხვა დარგებს.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა ირანის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი დარგია. ქვეყანაში არსებული აგრო-კლიმატური რესურსები მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საშუალებას იძლევა, თუმცა არის ტერიტორიები, სადაც დარგის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობებია. სასოფლო-სამეურნეო მიწებს ტერიტორიის 30,1% უჭირავს, მათ შორის სახნავია 10,8%, ბაღები და ვენახები - 1,2%, ხოლო საძოვრები - 18,1%. სარწყავი მიწების რაოდენობა 9,6 მლნ ჰა-ია (კვლავ დიდია მიწისქვეშა სარწყავი არხების - ყანათების სისტემის მნიშვნელობა). სასოფლო სამეურნეო წარმოება, ძირითადად, წვრილ ფერმერული მეურნეობებზე მოდის, სადაც ერთ ფერმერი საშუალოდ 5 ჰა სავარგულს ფლობს. ფერმერთა 72% მიწების მხოლოდ 22%-ის მესაკუთრეა. სოფლის მეურნეობაში წამყვანია მემცენარეობა და მასზე მოდის დარგის პროდუქციის 75%. მემცენარეობის მთავარი დარგი მარცვლეულის მეურნეობაა. ძირითადი კულტურა ხორბალია (საშუალო წარმოება 11-14 მლნ ტ); აგრეთვე, მოჰყავთ ბრინჯი (2,4 მლნ ტ.), სიმინდი, ქერი, შვრია, ფეტვი და სხვ. ფართოდ იწარმოება სხვადასხვა სახის პარკოსნები. ტექნიკური კულტურებიდან აწარმოებენ ბამბას (61,2 ათასი ტ.), შაქრის ჭარხალს, ჩაის (ამ კულტურის ნერგები 1906 წელს შეიტანეს ინდოეთიდან და ჩაქვის საუფლისწულო მამულიდან გილანის პროვინციაში), თამბაქოს, არაქისს, სოიოს, ყავას, ეთერზეთებს, სამკურნალო მცენარეებს, ოპიუმიან ყაყაჩოს და სხვ. კარგადაა განვითარებული მეხილეობა (კონტინენტური, სუბტროპიკული, ტროპიკული). კონტინენტური ხეხილი ყველგან მოჰყავთ. ატმის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა, საიდანაც იგი ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელდა (რომაელები „სპარსულ ვაშლს“ უწოდებდნენ). საკმაოდ კარგადაა განვითარებული სუბტროპიკული მეხილეობა. ფინიკის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია, რომლის პლანტაციები, ძირითადად, სამხრეთ ირანშია. ციტრუსების წარმოების ძირითადი რაიონია კასპიის ზღვის ტენიანი სუბტროპიკული ზონა. მევენახეობიდან გავრცელებულია საქიშმიშე ჯიში “ქეშმიშ”, რომლის პროდუქციის დიდი ნაწილი ექსპორტში გადის. ძალზე შეზღუდულია სამრეწველო დანიშნულების ყურძნის მოყვანა. იტალიასა და სირიასთან ერთად, ირანი ფსტის მსოფლიო მწარმოებელია. საქვეყნოდაა ცნობილი ირანული საღებავი მცენარეები: ინა, ენდრო, ინდიგო, რომლებიც გამოიყენება პარფიუმერიაში, მედიცინაში, საფეიქრო მრეწველობაში. ირანი მსოფლიოში ოპიუმიანი ყაყაჩოს ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია, რომელსაც მხოლოდ სამკურნალო დანიშნულება გააჩნია. არსებული ნიადაგურ-კლიმატური პირობები მებოსტნეობისა და ბაღჩეული კულტურების მოყვანის ფართო საშუალებას იძლევა.

მეცხოველეობა დამხმარე მნიშვნელობის დარგია, რომელიც, ძირითადად, ექსტენსიური მიმართულებისაა და დამოკიდებულია ბუნებრივ საძოვრებზე. ძირითადი დარგი მეცხვარეობაა (42 მლნ სული), სადაც მოშენებულია სხვადასხვა ჯიშის ცხვარი. საკრაველე მეცხვარეობა განვითარებულია ხორასნის პროვინციაში, განთქმულია შირაზული კრაველიც. მაღალხარისხოვან თეთრ მატყლს - "თივთიკს" იძლევა ანგორული ჯიშის თხა. ხორასანში გავრცელებულია უნიკალური ქაშმირული თხა, რომელიც უმაღლესი ხარისხის მატყლს იძლევა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობით (13,5 მლნ სული) რეგიონში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, მაგრამ უფრო მეტად დაბალპროდუქტული პირუტყვი ჰყავთ მოშენებული. მეაბრეშუმეობა უძველესი დარგია, რომელიც უფრო მეტად ჩრდილოეთის რაიონებშია განვითარებული. მეფრინველეობა მეტ-ნაკლებად ყველგანაა განვითარებული, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოების რაიონებსა და საგარეთუბნო ზონებში. აშენებენ ფუტკარს, ცხენს, სახედრებს, აქლემებს და სხვ. რელიგიური ფაქტორის გამო, მეღორეობა საერთოდ არ არის განვითარებული.

ტრანსპორტი

ირანს გააჩნია საკმაოდ კარგი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც აქტიურადაა ჩართული ტრანსევრაზიის სატრანსპორტო სისტემაში და ყველა მეზობელ ქვეყანასთან სატრანსპორტო მაგისტრალებით არის დაკავშირებული. ტრანსპორტის განვითარებას ასევე ხელს უწყობს მოსახლეობის განლაგება და საწარმოო ძალების განვითარების დონე. განსაკუთრებული სატრანსპორტო-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა მაშჰადსარახსის სარკინიგზო ხაზის ექსპლოატაციაში გაშვებამ, რომლითაც ირანი დაუკავშირდა თურქმენეთის რესპუბლიკას და შეიქმნა ევრაზიის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალი. ასევე, ირანი თურქეთზე გამავალი სარკინიგზო ხაზით დაკავშირებულია ევროპასთან, ხოლო ქერმანზაჯედანის მონაკვეთით უერთდება მეზობელ პაკისტანს. რკინიგზების საერთო სიგრძე 8484 კმ-ია, მათ შორის ელექტრიფიცირებულია 260 კმ. სარკინიგზო ტრანსპორტით ძირითადად გადაიტანება მადანი, ნავთობპრდუქტები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

საავტომობილო ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა, როგორც მგზავრთბრუნვაში, ისე ტვირთბრუნვაში თანდათანობით იზრდება. გზების საერთო სიგრძე 198,8 ათასი კმ-ია (ჩქაროსნული მაგისტრალების სიგრძე 1948 კმ, მ.შ. აღსანიშნავია თეირანი-ყაზვინის მონაკვეთი), მათ შორის 81% მყარსაფარიანია. დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობისაა ე.წ აზიის

მთავარი მაგისტრალი - თურქეთი - საიგონი, რომლის მონაკვეთი ირან - ავღანეთს გადაკვეთს. თანდათანობით იზრდება საავტომობილო პარკი, ყოველ 1000 კაცზე 176 ავტომობილი მოდის (76-ე ადგილი).

ქვეყნისთვის დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა მილსადენ ტრანსპორტს გააჩნია. საერთო სიგრძე 38899 კმ-ია (2018 წ.), მათ შორის გაზსადენები - 22337კმ-ია, ხოლო ნავთობსადენები - 16562 კმ.

ირანი საზღვაო ქვეყანაა, რომელსაც 850 სავაჭრო გემი გააჩნია (გენერალური ტვირთმზიდები - 340, მშრალი ტვირთმზიდები - 32, კონტეინერმზიდი - 28 ნავთობტანკერი - 26 და სხვ). ეროვნული სავაჭრო ფლოტის გარდა, ტვირთების გადატანაში მონაწილეობენ უცხოური კომპანიებიც. მსხვილი პორტები სპარსეთის ყურეშია: ხორამშაჰრი, ბანდარმაჰშარი, აბადანი. კუნძული ხარკი (ღრმა ფარვატერის, რომელსაც შეუძლია მიიღოს 300 ათასი ტ წყალწყვის გემი, ხოლო გემში ჩატვირთვა საათში 60 ათასი ტონის სისწრაფით ხდება). კასპიის ზღვის მთავარი ნავსადგურია ენზელი. შიდაწყლის ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული. გზების საერთო სიგრძე 850 კმ-ია. ნაოსნობა ხორციელდემა მდინარე კარენიზე და ურმის ტბაში.

თანდათანობით ვითარდება საჰაერო ტრანსპორტი, მაგრამ მგზავრთბრუნვის მაჩვენებელი კვლავაც დაბალია, განსაკუთრებთ საერთაშორისო საჰაერო ტრასების მიმართულებით. სპეციალური რეისები ემსახურება ნავთობის ბიზნესს და პილიგრიმების მოგზაურობას. უმსხვილესი საერთაშორისო აეროპორტია თეირანი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საჰაერო კვანძს წარმოადგენს. ელექტრო-ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

ირანის საგარეო ეკონომიკური კავშირები პოლიტიკური იზოლაციის შედეგად გარკვეულწილად შეზღუდულია. საგარეო ეკონომიკური კავშირების ძირითად ფორმას ვაჭრობა წარმოადგენს, რომლის ბალანსი 177,8 მლრდ დოლარია (2018 წ.). ექსპორტზე მოდის - 101,4 მლრდ, ხოლო იმპორტზე - 76,4 მლრდ დოლარი (გააჩნია ვაჭრობის დადებითი სალდო 25 მლრდ დოლარი). მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 27,5%, ინდოეთი - 15,1%, კორეის რესპუბლიკა - 11,4%, თურქეთი - 11,1%, იტალია - 5,7%, იაპონია - 5,2% და სხვ. ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საამიროები - 29,8%, ჩინეთი - 12,7%, თურქეთი - 4,4%, კორეის რესპუბლიკა - 4,1%, გერმანია - 4% და სხვ. ექსპორტის 60% ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მოდის. აგრეთვე, გააქვს შავი ლითონის პროდუქცია, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, სამშენებლო მასალები, ხალიჩები, ხმელი ხილი, ხიზილალა და სხვ. შეაქვს მანქანა-

მოწყობილობები, მერქანი, კვების პროდუქტები, მედიკამენტები, ხორბალი და სხვ. პერსპექტიულია ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორობა. ვითარდება საერთაშორისო ტურიზმი და შრომითი რესურსების გაცვლა.

შიდარეგიონული სხვაობები

ირანში ბუნებრივი პირობებისა და რესურსების, მოსახლეობის განლაგებისა და საწარმოო ძალების განვითარების თავისებურებების გამო, 5 განსხვავებული რაიონი გამოიყოფა:

1. ცენტრალური რაიონი ყველაზე მაღალგანვითარებულია, სადაც განლაგებულია მოსახლეობის 55%-მდე, თავმოყრილია ქვეყნის სამრეწველო საწარმოების 1/2 ნაწილი და იწარმოება სამრეწველო პროდუქციის 45%. მრეწველობის წამყვანი დარგებია ენერგეტიკა, მეტალურგია, მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობიდან მთავარია საგარეთუბნო მეურნეობა. უმსხვილესი ცენტრი თეირანია, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის სამრეწველო, კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ ცენტრს. იგი ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფმზარდი ქალაქია. მეორე ცენტრი ქ. ისფაჰანია, სადაც განლაგებულია მსხვილი მეტალურგიული ქარხანა, განთქმულია განუმეორებელი არქიტექტურული ძეგლებით (მათ შორის მოქანავე მინარეთები, ალიყაფის სასახლე, წარმოშობით ქართველის – ალავერდი-ხანის (უნდილაძე) მიერ აშენებული მდინარე ზენდერუდზე 33-თაღიანი ხიდი);

2. სამხრეთ-დასავლეთი რაიონი განლაგებულია სპარსეთის ყურის გასწვრივ, რომელიც უფრო მეტად არაბებით არის დასახლებული. მნიშვნელოვანი პროვინციაა ხუზისტანი, სადაც ხდება ნავთობის მოპოვება, გადამუშავება და ექსპორტი. მთავარი სამრეწველო ცენტრი აბადანია. მეორე ცენტრია შირაზი, რომელიც ცნობილია ვარდების ქალაქად და გამორჩეულია ტურიზმით;

3. ჩრდილო-დასავლეთი რაიონი ირანის აზერბაიჯანი და ირანის ქურთისტანი, ცნობილია როგორც "პურის ბეღელი". მთავარი ქალაქია თავრიზი, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს;

4. ჩრდილოეთი რაიონი ანუ კასპიისზღვისპირეთი, რომელიც სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის რაიონია, სადაც განვითარებულია კვების მრეწველობა (ხიზილალის, ჩაის წარმოება) და მეაბრეშუმეობა. მთავარი ქალაქია რეშთი;

5. აღმოსავლეთი რაიონი ეკონომიკურად ჩამორჩენილია, სადაც განვითარებულია ექსტენსიური სოფლის მეურნეობა მეცხოველეობის წამყვანი როლით. მრეწველობიდან აღსანიშნავია საფეიქრო და კვების. მთავარი ქალაქი მეშხედია - წმინდა ქალაქი და ფირუზის დამუშავების უდიდესი ცენტრი.

თავი 4. აფრიკა

4.1. აფრიკის ზოგადი დახასიათება

აფრიკა მსოფლიოს ერთ-ერთი რეგიონია (ეტიმოლოგიურად aprica ლათინურად "მზიანს", ხოლო aphrike ბერძნულად „სიცივის გარეშე"), რომლის ფართობი 30,3 მლნ კმ²-ია, სადაც 1,2 მლრდ კაცი ცხოვრობს (2018 წ.). აფრიკა კაცობრიობის ცივილიზაციის კერად ითვლება, რადგან აქ მიმდინარეობდა სეპენტაციის პროცესი, სადაც 200 ათასი წლის წინ უძველესი ადამიანები (აფრიკანუსები, ჰომო ერექტუსები) გამოჩნდნენ.

აფრიკის ტერიტორიაზე განხორციელდა პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი, მაგრამ შემდგომ პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ნომინალურ როლს ასრულებდა. უფრო მეტიც, იგი წარმოადგენდა კოლონიზაციისა და მონებით ვაჭრობის ობიექტს. XX საუკუნის დასაწყისში აფრიკის ტერიტორიაზე ქვეყნების 94% კოლონიურ მფლობელობაში იყო (დამოუკიდებელი ქვეყნები იყო - ეგვიპტე, ეთიოპია, ლიბერია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა). დეკოლონიზაციის პროცესი XX საუკუნის 50-60-იან წლებში მიმდინარეობდა. ყველაზე მეტი - 27 ქვეყანა 1960 წელს გათავისუფლდა და ამ წელს „აფრიკის წელს" უწოდებდნენ. აფრიკის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დიდი როლი აფრიკის ერების ორგანიზაციამ შეასრულა, რომელიც 1963 წლის 25 მაისს შეიქმნა, რის გამოც ეს თარიღი „აფრიკის გათავისუფლების დღედ" ითვლება. კონტინენტურ ნაწილში უკანასკნელი კოლონიური ქვეყანა ნამიბია იყო, რომელიც 1990 წელს გათავისუფლდა. პოლიტიკურმა რუკამ ბოლო წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა, 1993 წელს ეთიოპიას ერიტრეა, ხოლო 2011 წელს სუდანს - სამხრეთი სუდანი გამოეყო. ამჟამად აფრიკაში 57 სახელმწიფოა, რომელთა უდიდესი ნაწილი პოლიტიკური მოწყობითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით ერთმანეთისაგან ბევრად არ განსხვავდებიან. ყველაზე განვითარებული ქვეყანა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა, შედარებით კარგი მდგომარეობა ჩრდილო აფრიკაშია, ხოლო დანარჩენ რეგიონებში მოსახლეობის 60%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს არის გადაცილებული.

ბუნებრივი პირობები და რესურსები

აფრიკა ბუნებრივი პირობების მიხედვით მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, რადგან მსხვილ რეგიონებში ერთნაირი ლანდშაფტებია. ტერიტორიის

დიდ ნაწილს ზეგანი წარმოადგენს, სადაც 100-200 მ-დე სიმაღლის ვაკე რელიეფი ჭარბობს. ჩრდილო ნაწილში ატლასის მთეებია, ჩრდილო-აღმოსავლეთით - ახაგარის და ეთიოპიის მთიანეთი, ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს აფრიკის ყველაზე მაღალი ვულკანური მთა კილიმანჯარო (ზ.დ. 5895 მ.), ხოლო უკიდურეს სამხრეთ ნაწილში კაპის და დრაკონის მთები. რელიეფი რეგიონში განსაკუთრებულ პრობლემებს განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარების საქმეში არ ქმნის.

აფრიკა მინერალური რესურსებით საკმაოდ მდიდარი რეგიონია. მსოფლიო მნიშვნელობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსები ნავთობი და გაზი მოიპოვება ჩრდილო აფრიკაში და გვინეის ყურეში. ქვანახშირის რესურსებით მდიდარია სამხრეთი აფრიკა. რკინის მადანი, სპილენძი, მანგანიუმი, ქრომიტები, კალა, ოქრო, ალმასი, პლატინოიდები, ვანადიუმი მსოფლიო მნიშვნელობისაა. მარაგის დიდი ნაწილი სამხრეთ აფრიკის და გვინეის უბის დასავლეთ სანაპირო რეგიონებშია განლაგებული. ფოსფორიტებით მდიდარია მაროკო და ეგვიპტე. აფრიკის მინერალური რესურსების დიდი ნაწილი ექსპორტში გადის.

აფრიკა ყველაზე ცხელი კონტინენტია. ტერიტორიის დიდი ნაწილი განლაგებულია ტროპიკულ და ეკვატორულ კლიმატურ სარტყლებში. ტროპიკულ სარტყლებში ჩამოყალიბებულია უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოების ბუნებრივი ზონები, სადაც ჩრდილო ნაწილში მდებარეობს მსოფლიოში უდიდესი საჰარის უდაბნო (8,6 მლნ კმ²), ხოლო სამხრეთ დასავლეთით ნამიბიის და კალაჰარის უდაბნოებია. ეკვატორულ ზონაში ცხელი და ტენიანი ჰავაა. კლიმატის ძირითადი ელემენტები - ტემპერატურები და ნალექები საკმაოდ არათანაბრადაა განაწილებული. გვინეის უბის სანაპირო რეგიონში საშუალო წლიური ტემპერატურა +25 - +26°C, ჩრდილოეთით და სამხრეთით სუბტროპიკულ ზონაში +16 - +22°C, სუდანში და საჰარაში +30 - +32°C, ხოლო მაქსიმუმები არის ლიბიის უდაბნოში +58°C. ნალექების საშუალო რაოდენობა ჩრდილო და სამხრეთ აფრიკაში მერყეობს 300-1800 მმ-ის ფარგლებში, საჰარის უდაბნოში საშუალოდ-100 მმ (მინიმუმები აღმოსავლეთ საჰარაში 10-20 მმ), ხოლო მაქსიმალური გვინეის უბესთან კამერუნის მთებში (დებუჯა) - 9655 მმ. აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე კლიმატური რესურსები განსახლებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის, თუმცა არის ტერიტორიებიც, სადაც საუკეთესო პირობებია.

წყლის რესურსებით არცთუ ისე უზრუნველყოფილი რეგიონია, რომელიც კიდევ უფრო არათანაბრადაა განლაგებული. არიდული ტერიტორიის 1/3 ნაწილზე ზედაპირული ჩამონადენი საერთოდ არ არის. აფრიკის სასიცოცხლო არტერიას უგრძესი მდინარე ნილოსი (6671 კმ) წარმოადგენს, რომელსაც კომპ-

ლექსური, განსაკუთრებით სარწყავი დანიშნულება გააჩნია. ეკვატორულ ზონაში მდებარეობს მსოფლიოში წყალუხვობით მეორე მდინარე კონგო (ზაირი-4370 კმ), რომლის სამეურნეო დანიშნულება არცთუ ისე დიდია. სამხრეთი აფრიკის მდინარეები ზამბეზი (მდებარეობს ჩანჩქერი ვიქტორია 140 მ.) და ორანჟევაია კომპლექსურად გამოიყენება. აფრიკაში ბევრი ტბაა, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (უდიდესია ვიქტორია - 69000 კმ²), რომლებსაც ძირითადად რეკრეაციული დანიშნულება აქვს.

აფრიკა ტყის რესურსებით ღარიბია. ტყიანობის კოეფიციენტი შედარებით მაღალია ეკვატორულ ზონაში, განსაკუთრებით, ნიგერიაში, სადაც სხვადასხვა ჯიშის ძვირფასი მერქანია გავრცელებული.

მოსახლეობა

აფრიკა მოსახლეობის რიცხოვნობით აზიის შემდეგ მეორე ადგილზეა, სადაც 1,3 მლრდ კაცი (2018 წ.) ცხოვრობს. აფრიკის მოსახლეობის დინამიკა უძველესი პერიოდიდან დღემდე საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა. ჩვ. წ. დასაწყისში 30 მლნ, 1500 წელს - 60 მლნ, 1800 წელს - 90 მლნ, 1900 წელს - 130 მლნ, 1950 წელს - 220 მლნ, 2000 წელს - 812 მლნ და 2018 წელს - 1,3 მლრდ კაცი ცხოვრობდა. თუ მსოფლიოს მოსახლეობა ბოლო 70 წლის განმავლობაში 3,0-ჯერ, ხოლო აფრიკის მოსახლეობა 5,9- ჯერ გაიზარდა. თუ მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა 1,2%-ია, ეს მაჩვენებელი აფრიკაში 2,1%-ია. მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი და საშუალოდ 20-21 პრომილის ფარგლებშია (2017 წ.). ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის რეგიონებშია: ანგოლა - 35, მალი - 34,1, უგანდა - 32,7, ბურუნდი - 32,5, ბურკინა ფასო - 32,4 და სხვ.

აფრიკაში ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობაა. მამაკაცების ხვედრითი წილი 51,0%, ხოლო ქალები 49,0%, ანუ მამაკაცები ქალებთან შედარებით 26 მილიონით მეტი არიან. აფრიკა ყველაზე „ახალგაზრდა“ რეგიონია, სადაც 0-14 წლის ასაკის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 42,7%-ია (მსოფლიოში - 25,6%), 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 50,9%, ხოლო 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფზე - 6,4% (მსოფლიოში-8,5%) მოდის. აღნიშნული დემოგრაფიული მდგომარეობა, ერთი მხრივ, მაღალი ბუნებრივი მატების და მეორე მხრივ, დაბალი სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობითაა განპირობებული, რომელიც 53 წელს შეადგენს (პიგმეების 45 წელი), როცა მსოფლიოში 69 წელია.

აფრიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია (200-ზე მეტი ხალხი), რომელთა შორის ხალხმრავალია არაბები, იორუბები, ჰაუსები, ფულბები, იმბოები, ამხარები და სხვ. ქვეყნების დიდი ნაწილი მრავალეროვანია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა სახელმწიფო ენად ბევრგან მიღებულია მეტროპოლიების ენა (ინგლისური, ფრანგული, პორტუგალიური).

აფრიკაში მოსახლეობის მიგრაციული პროცესები უძველესი პერიოდიდან დღემდე ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა. ძვ. წ. 700 ათასი წელს აფრიკის მოსახლეობა საცხოვრებლად აზიასა და ევროპაში გადავიდა. მონათმფლობელობის პერიოდში მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები არ ფიქსირდება. VIII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულიდან განხორციელდა არაბული ტომების განსახლება ჩრდილო-აფრიკის რეგიონში, ხოლო ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, აფრიკიდან კოლონიზატორებმა 20 მლნ-ზე მეტი მონა ამერიკაში ჩაასახლეს. ამავდროულად, მეტროპოლიებიდან ადგილი ჰქონდა მოსახლეობის გადასვლას, განსაკუთრებით, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკაში. თანამედროვე პერიოდში აფრიკიდან ადგილი აქვს არალეგალურ მიგრაციას მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონის, განსაკუთრებით ევროპის მიმართულებით.

აფრიკის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება საკმაოდ არათანაბარია. საშუალო სიმჭიდროვე 43 კაცია ერთ კმ²-ზე. შედარებით მჭიდროდ დასახლებულია ჩრდილო, აღმოსავლეთი, გვინეის უბის და სამხრეთ-აფრიკის რეგიონები. მსოფლიოში ერთ-ერთი ნაკლებ დასახლებული რეგიონი საჰარაა. ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი საშუალო სიმჭიდროვე ნიგერიაში - 212 კაცი, ხოლო დაბალი - წმინდა ელენეს კუნძულებზე -1 კაცი.

აფრიკა დაბალ ურბანიზებული რეგიონია, სადაც ურბანიზაციის დონე 45%-მდეა, მაგრამ სხვა რეგიონებთან მიმართებით, ურბანიზაციის ტემპი ყველაზე მაღალია (2,4%). ურბანიზაციის დონე საშუალოდ მაღალია ჩრდილო (მაროკო - 62,5%) და სამხრეთ-აფრიკაში (სარ-66,4%), ხოლო დაბალია ცენტრალური აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში (ბურუნდი - 13%). უდიდესი ქალაქებია ლაგოსი - 13 მლნ, კაირო - 7,9 მლნ (აგლომერაციაში - 20,1 მლნ) და სხვ. რეგიონში აგლომერაციების ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

აფრიკა მეურნეობრივი განვითარების თვალსაზრისით მზარდი რეგიონია, თუმცა მის ეკონომიკაში კვლავაც შემორჩენილია კოლონიური სისტემის დარგობრივი და ტერიტორიული სისტემები. ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში შეინიშნება სერიოზული ძვრები, როგორც წარმოების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიმართულებით. რეგიონის მეურნეობის წამყვანი დარგი სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და სოფლის მეურნეობაა. დამუშავებითი მრეწველობა საკმაოდ კარგადაა განვითარებული

ჩრდილო, გვინეის უბისა და სამხრეთ აფრიკის რეგიონებში. ბევრ ქვეყანაში მომსახურე დარგების ხვედრითი წილი ეკონომიკაში კვლავაც დაბალია. 2017 წელს აფრიკაში წარმოებული იყო 10,1 ტრილიონი დოლარის პროდუქცია (მსოფლიოს მშპ-ის 8%). საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 7700 დოლარი მოდის (მსოფლიოში - 16900). წარმოებული პროდუქცია მეურნეობის დარგების მიხედვით საშუალოდ შემდეგნაირად ნაწილდება: სოფლის მეურნეობა - 46%, მრეწველობა -24 % და მომსახურე დარგები - 40 %.

მრეწველობა

აფრიკაში მრეწველობა საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება და უკანასკნელ წლებში მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ სოფლის მეურნეობის პროდუქციას გადააჭარბა. მთავარი დარგი სამთო-მოპოვებითი მრეწველობაა და მასზე მოდის მსოფლიოს სამთო მოპოვებითი მრეწველობის 1/4 ნაწილი. კიდევ უფრო მაღალია ოქროს, ალმასის, კობალტის, მანგანიუმის, ურანის, ფოსფორიტებისა და ქრომიტების მოპოვების ხვედრითი წილი. აფრიკაში გამოიყოფა 7 მთავარი სამთო-სამრეწველო რაიონი: 1. ატლასის მთები (ფოსფორიტები, რკინის მადანი, მარგანეცი, პოლიმეტალები); 2. ეგვიპტე (ნავთობი და გაზი); 3 ალჟირისა და ლიბიის სანაპირო და უდაბნოების ზონა (ნავთობი და გაზი); 4. დასავლეთი გვინეის (ოქრო, ალმასი, რკინის მადანი, ბოქსიტები-მარაგით პირველი ადგილი 20 მლრდ ტ); 5. აღმოსავლეთი გვინეა (ნავთობი, გაზი, შავი და ფერადი ლითონები, სტრატეგიული ნედლეული, ოქრო); 6. ცენტრალური აფრიკა (ზაირისა და ზამბიის სპილენძის სარტყელი, კობალტი, ტყვია-თუთია, ვერცხლი); 7. სამხრეთ აფრიკის (ზიმბამბვე, ბოტსვანა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა - ოქრო, ალმასი, მარგანეცი, ქრომი, ურანი, ვანადიუმი, პოლიმეტალები, ქვანახშირი).

დამუშავებითი მრეწველობიდან წამყვანია მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია განვითარებული. ენერგეტიკა შედარებით კარგადაა განვითარებული ჩრდილო აფრიკის ქვეყნებში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ფერადი მეტალურგია კარგადაა განვითარებული სამხრეთ აფრიკის და გვინეის უბის რეგიონებში. ოქროს და ალმასის მოპოვებით ცნობილია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სპილენძის კონცენტრატებითა და პროდუქციით ზამბია (მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომპანია „ზამბია ინდასტრიალ ენდ მაინინგი“) და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ზაირი), კალის მოპოვებითა და წარმოებით - ნიგერია. სწრაფად ვითარდება საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ქიმიური მრეწველობა ადგილობრივი რესურსების ბაზაზე საკმაოდ დაჩქარებული ტემპით ვითარდება. შედარებით კარგადაა განვითარებული მინერალური სასუქების (მაროკოში),

ორგანული სინთეზის(ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში), გოგირდმჟავასა და ასაფეთქებელი მასალების(სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში) წარმოება. ხე-ტყის მრეწველობა ყველაზე კარგად ნიგერიაშია განვითარებული, სადაც ძვირფასი მერქნის მარაგითა და ექსპორტით მსოფლიოში გამორჩეულია, ხოლო ხე-ტყის მექანიკური დამუშავება შედარებით კარგადაა განვითარებული ეგვიპტესა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. საუკეთესო ხარისხის ქაღალდს ბალახოვანი მცენარე ალფასაგან აწარმოებს ალჟირი.

მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების ტემპი ყველა ქვეყანაში შეინიშნება, რომელიც ადგილობრივ სანედლეულო ბაზას ეფუძნება.

სოფლის მეურნეობა

აფრიკაში სოფლის მეურნეობა უძველესი დარგია, რომელიც თანამედროვე პირობებში უპირატესად ექსტენსიური ხასიათისაა, თუმცა შეინიშნება ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტენდენციები. სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ნიადაგურ-კლიმატური პირობები არცთუ ისე ხელსაყრელია. ამ კუთხით შედარებით კარგი პირობები ხმელთაშუაზღვისპირეთის, გვინეის უბის სანაპირო და აღმოსავლეთ აფრიკის რეგიონებშია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის 2/4 ნაწილი, ხოლო ცალკეულ ქვეყნებში - 60%-ზე მეტი. ჩამორჩენილ ქვეყნებში სოფლის მეურნეობა იძლევა მთლიანი შიდა პროდუქციის არანაკლებ 1/2 ნაწილს. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავაც დაბალია, სადაც ცალკეულ ქვეყნებში დღესაც შემორჩენილია ფეოდალური მიწათმოქმედების იარაღები. სოფლის მეურნეობის განვითარებას ასევე აფერხებს ქიმიზაციისა და ირიგაციის დაბალი დონე.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის დარგის მთლიანი პროდუქციის 80%-ზე მეტი. პრიორიტეტი ტროპიკულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ენიჭება, რომელიც ცალკეულ ქვეყნებში მონოკულტურის სპეციალიზაცია გააჩნია. ძირითადი სასაქონლო კულტურებია კაკაო (კოტ დიუარი მსოფლიოში პირველ ადგილზეა), ყავა (აფრიკის წილზე მოდის 1/4 ნაწილი, მთავარი რეგიონია აღმოსავლეთი აფრიკა, განსაკუთრებით ეთიოპია - ყავის სამშობლო), ფინიკი - ხმელთაშუა ზღვისპირეთში), არაქისი, ბამბა (საუკეთესო ხარისხის ბამბა ეგვიპტეშია), ჩაი, სანელებლები, ნატურალური კაუჩუკი - ეკვატორულ ზონაში და სხვ. ტრადიციული სასურსათო კულტურებია მანიოკი, ბატატი და ოსპი. თანდათანობით იზრდება მარცვლეული კულტურების - ხორბლის, ბრინჯისა და სიმინდის მოყვანა.

მეცხოველეობა ბევრ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგია, რომელიც ექსტენსიური მიმართულებისაა. დარგის განვითარებას ეკვატორულ ზონაში აფერხებს ბუზი ცეცეს არსებობა, ხოლო არიდულ რაიონებში - საკვები ბაზის დეფიციტი. მეცხოველეობა მესაქონლეობის მიმართულებით ყველაზე კარგად ეთიოპიასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაშია განვითარებული. მეცხვარეობა ჩრდილო აფრიკის არიდულ და მთიან რაიონებშია უკეთესად წარმოდგენილი, ხოლო მეაქლემეობა უდაბნოებისა და ნახევარ-უდაბნოების ზონაში. კლიმატური პირობებისა და საკვები ბაზის გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად განვითარებულია მეცხოველეობის სხვა დარგებიც.

ტრანსპორტი

აფრიკა სატრანსპორტო კომუნიკაციების უზრუნველყოფის დონით ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონია. ტრანსპორტის განვითარებას აფერხებს კოლონიური წარსული, საწარმოო ძალების განვითარების დაბალი დონის ტერიტორიული თავისებურებები და შიდა რეგიონალური ეკონომიკური ურთიერთობების სისუსტე.

ტრანსპორტის ძველი სახე სარკინიგზოა, რომელიც ჯერაც ინარჩუნებს კოლონიურ წარსულს. კერძოდ, მთავარი მაგისტრალები სანედლეულო ბაზებიდან საზღვაო პორტებისაკენ მიემართება. სარკინიგზო ტრანსპორტი შედარებით კარგადაა განვითარებული სამხრეთ და ჩრდილო-აფრიკის რეგიონებში. ბევრ ქვეყანაში აღნიშნული ტრანსპორტი საერთოდ არ ფუნქციონირებს. სწრაფი ტემპით ვითარდება საავტომობილო ტრანსპორტი, რომელიც საავტომობილო კომუნიკაციების ქსელის და საავტომობილო პარკის გაზრდის მიმართულებით ვითარდება. მოასფალტებული გზებით შედარებით კარგადაა უზრუნველყოფილი ჩრდილო, გვინეის უბის სანაპირო და სამხრეთ-აფრიკის ქვეყნები. დიდი პოპულარობით სარგებლობს საერთაშორისო რალის მარშრუტი პარიზი-ალჟირი-დაკარი (მოქმედებს 1976 წლიდან), სადაც ყოველწლიურად მსოფლიო დონის შეჯიბრებები იმართება.

ნავთობისა და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებით თანდათანობით ვითარდება მილსადენი ტრანსპორტი; ძირითადი მაგისტრალები ჩრდილო-აფრიკის რეგიონშია. ალჟირში ჰასი-მასუდი - სკიკდა, ჰასი-მასუდი - ბიჯაი; ლიბიაში ეჯალე - ტრიპოლი; ლიბიასა და ტუნისში ეჯალე - სეხირა. მაგისტრალური გაზსადენები ძირითადად ალჟირშია: ხასი რმელი - არზევი, ხასი რმელი - სკიდკა; ხასი რმელი - ბიჯაი და ხასი რმელი - კუნძული სიცილია (ხმელთა შუა ზღვის ფსკერზე). ნავთობსადენები და გაზსადენები არის ეგვიპტესა და ნიგერიაშიც.

სამდინარო ნაოსნობა ძირითადად ხდება ნილოსზე, ნიგერსა და ზამბეზზე. საზღვაო ტრანსპორტი შედარებით სუსტადაა განვითარებული, ხოლო ტვირთების დიდი ნაწილი უცხოური გემებით გადაიტანება (ლიბერია ,, გამოსადეგი დროშის“ მქონე გემებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა საზღვაო ფლოტის მიხედვით - 60,5 მლნ ბრუტ.რეგ.ტ). მსხვილი საზღვაო პორტებია: ალექსანდრია (ეგვიპტე), კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), კასაბლანკა (მაროკო), დაკარი (სენეგალი) და სხვ.

ელექტრო და საჰაერო ტრანსპორტი თანდათანობით ვითარდება. საერთაშორისო აეროპორტები უფრო მეტად ქვეყნების დედაქალაქებშია.

ტურიზმი

აფრიკა ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით საკმაოდ მრავალფეროვანი რეგიონია, რომელიც გამოირჩევა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებით, სადაც საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 5%-ია. რეგიონმა 2017 წელს 65 მილიონზე მეტ ტურისტს უმასპინძლა, ხოლო შემოსავლებმა 40 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. აფრიკაში ტურიზმი შედარებით კარგადაა განვითარებული ჩრდილო აფრიკის რეგიონში (ეგვიპტე - 14,5 მლნ, მაროკო - 5,7 მლნ), ცენტრალური აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში (კენია - 4,5 მლნ, ტანზანია - 2,5 მლნ), სამხრეთ აფრიკის რეგიონში - 6,5 მლნ), სეიშელის კუნძულებზე და სხვ.

4.1.1. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ფართობი - 1221,0 ათასი კმ²
მოსახლეობა - 58,7 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - პრეტორია

ზოგადი ცნობები

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (სარ), აფრიკაში სოციალურ-ეკონომიკურად ყველაზე მაღალგანვითარებული და დიდი პოტენციის მქონე ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე 8362 დოლარს (2017 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,699-ს (113-ე ადგილი, 2017 წ.) შეადგენს . ქვეყნის დევიზია ,,სხვადასხვა ხალხი ერთიანდება“ - ,,Diverse People

Unite“. სახელმწიფო ენა -აფრიკანსული და ინგლისური, ფულის-ერთეული - რანდი.

მდებარეობა და საზღვრები

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (სარ) მდებარეობს აფრიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. გააჩნია საკმაოდ კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, აქვს ფართო გასასვლელი ატლანტის და ინდოეთის ოკეანის წყლებში, მაგრამ გარესამყაროსაგან საკმაოდ დაშორებულია. საზღვრების საერთო სიგრძე 8042 კმ-ია (სახმელეთო - 5244 კმ, საზღვაო - 2798 კმ). სამხრეთიდან და დასავლეთიდან აკრავს ატლანტის ოკეანე, ხოლო აღმოსავლეთიდან ინდოეთის ოკეანე. ჩრდილოეთით ესაზღვრება ბოტსვანა (1969 კმ), ჩრდილო-დასავლეთით ნამიბია (1005 კმ), ჩრდილო-აღმოსავლეთით ზიმბამბვე (230 კმ), მოზამბიკი (496 კმ) და სვაზილენდი (438 კმ). ქვეყნის ცენტრალური ნაწილი მთლიანად საზღვრავს პატარა სახელმწიფოს - ლესოტოს (1106 კმ). სარ-ის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 34.

ნახ. 34. სარ-ის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

სარ-ის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ვაკე პლატოს უჭირავს. აღმოსავლეთში აღმართულია დრაკონის მთები (უმაღლესი წერტილი მაფადი - 3450 მ), ხოლო სამხრეთ ნაწილში კაპსკის მთები. დაბლობები მხოლოდ ვიწრო ზოლის სახით სანაპირო რაიონებშია წარმოდგენილი. რელიეფი, მცირე გამონაკლისის გარდა, მეურნეობის და განსახლების თვალსაზრისით, სერიოზულ პრობლემებს არ ქმნის.

სარ მინერალური რესურსებით, განსაკუთრებით, მადნეული წიაღისეულით მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ოქროს, პლატინის, ვერცხლის, რკინის მადნის, ქრომის, ნიკელის, ვანადიუმისა და მარგანეცის მარაგს. სათბობი რესურსებიდან საერთაშორისო მნიშვნელობისაა ქვანახშირისა და ურანის მარაგი. აღსანიშნავია ალმასის მარაგითაც. ღარიბია ნავთობისა და გაზის რესურსებით.

სარ განლაგებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყლებში, სადაც ძირითადად ჩამოყალიბებულია ტროპიკული ჰავა. საშუალო წლიური ტემპერატურები მერყეობს +12°C - +23°C ფარგლებში. აბსოლუტური მაქსიმუმი დაფიქსირებულია ჩრდილოეთში +48 °C. ნალექების რაოდენობა ცენტრალურ ნაწილში საშუალოდ 400 მმ, აღმოსავლეთის მთიან რეგიონებში 500 -900 მმ (ზოგჯერ 2000 მმ), ხოლო ჩრდილო დასავლეთში - 200 მმ-ზე ნაკლები. კლიმატური რესურსები ხელს უწყობს ტროპოკული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას.

წყლის რესურსებით ღარიბი ქვეყანაა. მნიშვნელოვანი მდინარეებია - ორანჟევაია (1750 კმ) და ლიმპომპო (1660 კმ), რომელებსაც ძალზე დიდი სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნიათ. წყლის რესურსების დეფიციტის აღმოსაფხვრელად ფართოდ იყენებენ მიწისქვეშა წყლებს, რის ბაზაზეც შექმნილია ბევრი წყალსაცავი; ახდენს ზღვის წყლის გამტკნარებას, აგრეთვე, მტკნარი წყლის შესავსებად აქტიურად მიმდინარეობს ანტარქტიკიდან ყინულის ტრანსპორტირება.

ტყის რესურსებით შეზღუდულია. ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს სავანებსა და ნათელი ტყის ბუნებრივ ზონას. ტყიანობის კოეფიციენტი 7,8%-ია.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

სარ-ის ტერიტორიაზე ნაპოვნია უძველეს ადამიანთა საცხოვრებელი ადგილები. ჩვენი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა პერიოდში აქ დასახლებული იყვნენ მომთაბარე-მესაქონლე ჰოტენტოტების ტომები და შემგროვებელი ბუშმენები (სანის ტომი). მიწადმოქმედი ბანტუს ტომები მიემართებოდნენ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, რომლებიც ანადგურებდნენ ან ერწყმოდნენ ადგილობრივ

მოსახლეობას. ევროპელების მოსვლამდე ადგილობრივი ხალხი იცნობდა საბადოებიდან ლითონის მოპოვებას, მის დამუშავებას, რკინისაგან და სპილენძისაგან იარაღის დამზადებას.

ევროპელების მუდმივი დასახლება 1652 წლიდან იწყება, როდესაც იან ვან რიბეეკმა ჰოლანდიის ოსტინდოეთის კომპანიის სახელით დააარსა დასახლება შტორმების კონცხზე, რომელსაც მოგვიანებით სახელად დაერქვა კეთილი იმედის კონცხი. XVII და XVIII საუკუნეებში სამხრეთ აფრიკაში ჩამოდიოდნენ კოლონისტები ნიდერლანდებიდან, აგრეთვე ფრანგები და გერმანელები. 1770-იან წლებში მოხდა კოლონისტების შეტაკება ჩრდოლო-აღმოსავლეთიდან მომავალ კოსას ხალხთან. ამას მოჰყვა შეტაკებების მრავალი სერია, ცნობილი, როგორც კაფრებთან სასაზღვრო ომი, რომელიც ძირითადად გამოწვეული იყო თეთრკანიანი გადმოსახლებულების პრეტენზიებით აფრიკელი მოსახლეობის კუთვნილ მიწებზე. კაპის კოლონიაში ასევე შემოჰყავდათ მონები სხვა ჰოლანდიური სამფლობელოებიდან. ბევრი მონა, ასევე კაპის რეგიონის ავტოქტონური მოსახლეობა შეერივნენ თეთრკანიან კოლონისტებს.

XVIII საუკუნის ბოლოს ბრიტანეთმა დაიწყო სარ-ის კოლონიზაცია და 1795 წელს დაეპატრონა კაპის კოლონიას. ბრიტანელი კოლონიზატორების ზეწოლის და მონათმფლობელობის გაუქმების შემდეგ, ჰოლანდიური წარმოშობის გლეხებმა (ერქვათ ბურები) დაიწყეს გადაადგილება ცენტრალურ რაიონებში და ადგილობრივი ტომების განდევნის შედეგად კონტინენტალურ ნაწილში აარსებენ ორანჟის თავისუფალ სახელმწიფოს და ტრანსვაალის რესპუბლიკას.

ჰოლანდიელი ბურების კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა ალმასის და ოქროს საბადოები, რამაც 1880-1881 წლებში გამოიწვია ინგლის-ბურების პირველი ომი, რომლის დროსაც ბურებმა შეძლეს დაეცვათ საკუთარი დამოუკიდებლობა. 1899-1902 წლებში მოხდა ინგლის-ბურების მეორე ომი, რომელიც ბურების მარცხით დამთავდა.

1910 წლის 31 მაისს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ მიღებული სამხრეთ აფრიკის აქტის საფუძველზე შეიქმნა სამხრეთ აფრიკის კავშირი, რომელიც მოიცავდა დიდი ბრიტანეთის ოთხ კოლონიას: კაპის, ნატალის, ორანჟის მდინარის და ტრანსვაალის კოლონიებს. სამხრეთ აფრიკის კავშირი გახდა ბრიტანეთის იმპერიის დომინიონი.

1948 წელს ეროვნულმა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში და დაიწყო აპარტეიდის (რასიზმის უკიდურესი ფორმა) პოლიტიკის გატარება, რომელიც მკვეთრად ზღუდავდა შავკანიანი მოსახლეობის უფლებებს. საბოლოო მიზნად დასახელებული იყო „სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანებისთვის“ შექმნა, ხოლო შავკანიანებს საერთოდ ერთმეოდათ სამხრეთ აფრიკის კავშირის მოქალაქეობის

უფლება. აპარტეიდის მიმდინარეობისას შავკანიან მოქალაქეებსნებში მონაწილეობის, თავისუფლად გადაადგილების, განათლების, შერეული ქორწინების და კიდევ ბევრი სხვა უფლება. ამავდროულად, შავკანიანი მოსახლეობისთვის 1959 წელს მიღებული იქნა კანონი „ბანტუს დამოუკიდებელი განვითარების შესახებ“, რის საფუძველზეც შავკანიანი მოსახლეობა, ტომობრივი ნიშნის მიხედვით, გაერთიანებული იყო 10 ბანტუსტში. მათ მინიმალური უფლებებიც კი არ გააჩნდათ და არ შეეძლოთ რეზერვაციის დატოვება.

სარ-ის ისტორიაში და პოლიტიკაში უმთავრესი პუნქტი იყო რასობრივი კონფლიქტი შავკანიან უმრავლესობასა და თეთრკანიან უმცირესობას შორის. თავის კულმინაციას მან მიაღწია მას შემდეგ, რაც 1948 წელს დამყარდა აპარტეიდის რეჟიმი, რომელმაც იარსება 1994 წლამდე. ამ პოლიტიკამ მოიტანა ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლა, რომელშიც წამყვანი როლი შეასრულეს შავკანიანმა აქტივისტებმა, რომლებიც იყვნენ სტივ ბიკო, დეზმონდ ტუტუ და ნელსონ მანდელა (სარ-ის პირველი პრეზიდენტი 1995-1999 წლებში).

სახელმწიფო წყობილება და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა

სარ რესპუბლიკური მმართველობის ფორმის ქვეყანაა. მთავრობა ყალიბდება ქვედა პალატაში, ხოლო პარტიის ლიდერი, რომელმაც მასში მიიღო უმრავლესობა, ხდება პრეზიდენტი. არც ერთ პრეზიდენტს არ შეუძლია დაიკავოს თავისი თანამდებობა ორ ვადაზე მეტი პერიოდის განმავლობაში. პრეზიდენტი ნიშნავს პრეზიდენტის მოადგილეს და მინისტრებს, რომლებიც აყალიბებენ დეპარტამენტებისაგან და სამინისტროებისაგან შემდგარ მინისტრთა კაბინეტს. პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი, შესაძლებელია, გადაყენებული იქნეს ეროვნული საბჭოს მიერ უნდობლობის ვოტუმის საფუძველზე.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატა - პროვინციების ნაციონალური საბჭო (90 წევრი) და ქვედა პალატა - ეროვნული ანსამბლეა (400 წევრი). ქვეყანაში მოქმედებს 1996 წელს მიღებული კონსტიტუცია.

ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად: აღმოსავლეთი კაპლანდი, გაუტენგი, დასავლეთი კაპლანდი, კვაზულუ-ნატალი, ლიმპომპო, მპუმალანგა, ფრი-სტეიტი, ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი კაპლანდი.

მოსახლეობა

სარ-ში 2020 წლისათვის ცხოვრობდა 58,7 მლნ კაცი. მისი მოსახლეობა საკმაოდ სწრაფი ტემპით 2,5%-ით იზრდებოდა, მაგრამ ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი 1%-მდე დაეცა. მოსახლეობის დინამიკა, ძირითადად, ბუნებრივ

მატებაზეა დამოკიდებული (შობადობა - 19,9 პრომილე, სიკვდილიანობა - 9,3 პრომილე), რომელიც 10,6 პრომილამდე დაეცა (2018 წ.).

ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, თითქმის ახლოსაა. მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 49,6%, ხოლო ქალებზე 50,4%. 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა შეადგენს მთელი მოსახლეობის 28,2%, 15-64 წლის ასაკის მოსახლეობაზე მოდის - 66%, ხოლო 65 და მეტი ასაკის მოსახლეობაზე - 5,8% (2018 წ.).

სარ მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ადგილობრივი ტომების წარმომადგენლები არიან, რომელთა შორის აღსანიშნავია: ზულუები - 22,7%, კოსოები - 16,0%, ტსვანაები - 8,0%, სესოთოები - 7,6%, ტსონგები - 4,5% და სხვ. ინგლისურენოვან მოსახლეობაზე მხოლოდ 9,6% მოდის. მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობიდან თითქმის 80% აფრიკული (ნეგროიდული) რასის წარმომადგენლები არიან, 12% მოდის ევროპოიდულ რასაზე, ხოლო დანარჩენი 8% გარდამავალი რასის წარმომადგენლებია. 1994 წლამდე, მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანაში, დაკანონებული იყო აპარტეიდი - მოსახლეობის დაყოფა კანის ფერების მიხედვით. რელიგიური კუთვნილების მიხედვით ქრისტიანი - 86%, ადგილობრივი ტრადიციული რელიგიები - 8,8%, მუსლიმები - 1,9% და სხვ.

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 22,2 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის 40%-ია; სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია - 4,6%, მრეწველობაში - 23,5% და მომსახურე დარგებში - 71,9%. განათლების დონის მიხედვით მსოფლიოში 143-ე ადგილზეა. მაღალია უმუშევრობის დონე და 35%-ზე მეტია, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ - 16,6%. კრიმინალური თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, სადაც წელწადში ყოველ 100 ათას კაცზე 31 მკვლელობა მოდის.

მოსახლეობა არათანაბრადაა განლაგებული. საშუალო სიმჭიდროვე 46 კაცია ერთ კმ^2-ზე. მჭიდროდაა დასახლებული სამხრეთი პროვინციები, ხოლო სუსტად ჩრდილო დასავლეთი პროვინციები.

სარ აფრიკაში მაღალ ურბანიზებული ქვეყანაა, სადაც ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 66,4%. უდიდესი ქალაქებია: იოჰანესბურგი - 4,5 მლნ, კეიპტაუნი - 3,8 მლნ, დურბანი - 3,7 მლნ, პრეტორია - 1,8 მლნ, პორტ-ელიზაბეტი - 1,4 მლნ, პიტერმარიცბურგი - 1,2 მლნ და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აფრიკაში ყველაზე განვითარებული ქვეყანაა, უფრო მეტიც, მასზე მოდის რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქციის 13% და დამუშავებითი მრეწველობის თითქმის 1/3 ნაწილი. ქვეყნის მეურნეობრივ განვითარებაზე გავლენას ახდენს არსებული მინერალური რესურსები და უცხოური კაპიტალის მაღალი ხვედრითი წილი (სამთო-მოპოვებით მრეწველობაში 2/3 ნაწილი). ამასთან, მეურნეობაში მაღალია სახელმწიფო-მონოპოლისტური სექტორის ხვედრითი წილიც. მეურნეობრივი სტრუქტურის მიხედვით, ინდუსტრიალურ-აგრარული ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 767,2 მლრდ დოლარია (2018 წ.). მშპ-ის 2,8% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 29,7% - მრეწველობაზე და 67,5% - მომსახურე დარგებზე.

მრეწველობა

მრეწველობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი სამთო-მოპოვებით მრეწველობას უკავია (40%), რის ბაზაზეც ჩამოყალიბდა უმსხვილესი სამრეწველო რაიონი - ვიტვატერსრანდი, რომელსაც ,, აფრიკის რურს“ უწოდებენ. სამთო-მოპოვებით მრეწველობაში გამოკვეთილად დომინირებს ოქროს მოპოვება და მასზე მოდის დარგის ღირებულების დაახლოებით 40%. 90-იან წლებში ოქროს მოპოვებით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო (675 ტ, 45%), მაგრამ ბოლო წლებში მისი მოპოვება შესამჩნევად შემცირდა (145 ტ, 2017 წ.). მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ალმასის, ქვანახშირის, ურანის და რკინის მადნის მოპოვებას. სხვა წიაღისეულიდან აღსანიშნავია ვერცხლისწყლის, ვოლფრამის, ვანადიუმის, სპილენძის, ნიკელის, მარგანეცის და სხვათა მოპოვება.

ქვეყნის ენერგობალანსში წამყვანი ადგილი ქვანახშირს უჭირავს და მასზე მოდის ენერგობალანსის თითქმის 44% (საშუალოდ მოიპოვებს 165 მლნ ტონას). მოიპოვებს ნავთობსა (1,2 მლნ ტ) და ბუნებრივ გაზს (906,1 მლნ $მ^3$, 2018 წ), მაგრამ რესურსების შეზღუდვის გამო, იმპორტულ ნედლეულზე მოდის მოხმარების 85%-ზე მეტი (იმპორტირდება 23,5 მლნ ტ ნავთობი და 4,2 მლრდ $მ^3$ გაზი). თანდათანობით ვითარდება ელექტროენერგეტიკა. მაგალითად, 1980 წელს გამომუშავდა 128 მლრდ კვტ/ სთ, ხოლო 2016 წელს წარმოებამ 234,5 მლრდ კვტ/სთ შეადგინა. წარმოებული ელექტროენერგიის 85% თბოსადგურებზე, 4% - ატომურზე, 1% - ჰიდროსადგურებზე და 10% სხვა სადგურებზე მოდის.

შავი მეტალურგიის განვითარებისათვის ქვეყანას გააჩნია საკუთარი სანედლეულო ბაზა. მოიპოვებს 55 მლნ ტ რკინის მადანს, რომლის ნაწილი გადის ექსპორტში. აწარმოებს 6,3 მლნ ტ ფოლადს და 4,3 მლნ ტ თუჯს (2017 წ.). პროდუქციის 75% იწარმოება ორ კომბინატში - პრეტორიასა და ფანდერბეილპარკში.

ფერადი მეტალურგიიდან მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ოქროსა და პლატინის მრეწველობას. ცნობილია ალმასის მოპოვებით (1,3 მლრდ დოლარის, მეოთხე ადგილი). განვითარებულია ალუმინის (690 ათასი ტ.), სპილენძის (ოკიპი), იშვიათი და გაფანტული ლითონების მრეწველობა.

მანქანათმშენებლობა ახალი დარგია, რომელიც ორიენტირებულია სამთო-მოპოვებითი მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების წარმოებაზე. ბოლო დროს საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარდა სატრანსპორტო, სასოფლო სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის დარგები. მანქანათმშენებლობის მთავარი ცენტრებია: იოჰანესბურგი, კეიპტაუნი, დურბანი, ფანდერბეირპარკი, პრეტორია და სხვ.

ქიმიური მრეწველობა ორიენტირებულია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის, განსაკუთრებით, ოქროს მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო პროდუქციის - ასაფეთქებელი მასალის, გოგირდმჟავას და სხვათა წარმოებაზე. სწრაფი ტემპით ვითარდება მინერალური სასუქების, ნავთობგადამუშავების, ორგანული სინთეზის ქიმიის და ფარმაკოქიმიის პროდუქციის წარმოება. ქიმიური მრეწველობის მთავარი ცენტრებია: კეიპტაუნი და დურბანი.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც განვითარებულია იმპორტულ ნედლეულზე. აწარმოებს ყველა სახის პროდუქციას, მათ შორის შედარებით კარგადაა განვითარებული მერქნის მექანიკური დამუშავება და ქაღალდის წარმოება.

მსუბუქი მრეწველობა, ძირითადად, საკუთარ ბაზარზეა ორიენტირებული. წარმოდგენილია საფეიქრო მრეწველობის ყველა დარგი, რომელიც საკუთარ ნედლეულზეა განვითარებული. საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ტყავის მრეწველობას და ნატურალური ტყავის ექსპორტით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. მეტ-ნაკლებად განვითარებულია მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგები. საფეიქრო მრეწველობის მთავარი ცენტრი იოჰანესბურგია.

კვების მრეწველობა ეფუძნება საკმაოდ მდიდარ სანედლეულო ბაზას, რის საფუძველზეც ბევრი დარგია განვითარებული. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ხილის კონსერვების, ღვინის (9,4 მლნ ჰექტოლიტრი, მე-8 ადგილი), შაქრის (2,2 მლნ ტ) და ხორცის მრეწველობას.

სოფლის მეურნეობა

სარ აფრიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებით გამორჩეული ქვეყანაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ტერიტორიის 79,4%, აქედან ბუნებრივი პირობების გამო, დამუშავებული მიწების ხვედრითი წილი მხოლოდ 10,3%-ია. სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი მორწყვას საჭიროებს.

სოფლის მეურნეობაში გამოიყოფა მკვეთრად განსხვავებული ორი სექტორი: აფრიკული და ევროპული. პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებს ევროპული სექტორი. მაგალითად, მასზე მოდის მარცვლეულის წარმოების 87%, მსხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვის 60%, ცხვრის 88% და სხვ.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის პროდუქციის 65%. მემცენარეობის ძირითადი დარგი მარცვლეულის მეურნეობაა. საშუალოდ აწარმოებს 35-37 მლნ ტონა მარცვლეულს. მათ შორის მთავარია ხორბლისა და სიმინდის მოყვანა. მარცვლეულის ნაწილი გადის ექსპორტში.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ შაქრის ლერწამი, არაქისი, ბამბა, თამბაქო და სხვ. საკმაოდ კარგადაა განვითარებული მეხილეობა, მევენახეობა და მებოსტნეობა. მეხილეობიდან უპირატესობა ენიჭება ციტრუსებისა და ტროპიკული ხილის მოყვანას.

მეცხოველეობის მთავარი დარგი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებაა. საერთო სულადობა აჭარბებს 14 მილიონს. უპირატესობა აქვს სახორცე-სარძევე მიმართულების პირუტყვის მოშენებას. ცხვრის სულადობა აღწევს 29,7 მილიონს, რის მიხედვითაც აფრიკაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მატყლის წარმოებით მე-4 ადგილზე. აგრეთვე, აშენებენ ღორს, თხას, ფრინველს, ცხენს, თევზს და სხვა შინაურ ცხოველებს.

ტრანსპორტი

სარ აფრიკაში სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების დონით გამორჩეული ქვეყანაა. შიდა ტვირთბრუნვის დიდი ნაწილი სარკინიგზო ტრანსპორტზე მოდის. გზების საერთო სიგრძე 20986 კმ-ია (ელექტრიფიცირებული 80 კმ). არის როგორც მერიდიანული, ისე განედობრივი სარკინიგზო მაგისტრალები. სარკინიგზო ხაზები ძირითადად მიმართულია საპორტო ქალაქებისაკენ.

საავტომობილო გზების სიგრძე 220 ათას კმ-ს აჭარბებს. მათ შორის მყარი საფარითაა დაფარული 81%. საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის მგზავრთ-ბრუნვის 68%-მდე. ყოველ ათას კაცზე ავტომანქანების რაოდენობა 159 ერთეულია (86-ე ადგილი, 2016 წ.).

მილსადენი ტრანსპორტი თანდათანობით ვითარდება. საერთო სიგრძე 3839 კმ-ია (გაზსადენები - 1387კმ, ნავთობსადენები - 2452 კმ). ქვეყნის გაზიფიკაციის დონე კვლავაც დაბალია.

სარ საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ საზღვაო ფლოტი არცთუ ისე დიდია (80 გემი). უმსხვილესი პორტებია: რიჩარდს-ბეი (91,7 მლნ), სალდანია (60,2 მლნ), დურბანი (45,2 მლნ), კეიპტაუნი და სხვ. შიდაწყლის ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული.

საგარეო ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად ფართოდ გამოიყენება საჰაერო ტრანსპორტი, რომლის მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება. დაჩქარებული ტემპით ვითარდება ელექტროტრანსპორტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამთომოპოვებით მრეწველობაში.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

ქვეყნის საგარეო კავშირების მასშტაბები და მისი გეოგრაფია თანდათანობით იზრდება. ვაჭრობს მსოფლიოს ყველა რეგიონთან, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან. ვაჭრობის საერთო მოცულობა 184,3 მლრდ დოლარს შეადგენს (2018 წ.). ექსპორტზე მოდის 94,9 მლრდ დოლარი, ხოლო იმპორტზე 89,4 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის უმნიშვნელო დადებითი სალდო 5,5 მლრდ დოლარი. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 9,5%, აშშ - 7,7%, გერმანია - 7,1%, იაპონია - 4,7%, ინდოეთი - 4,1% და სხვ. მთავარი იმპორტიორებია: ჩინეთი - 18,3%, გერმანია - 11,9%, აშშ - 6,6%, საუდიის არაბეთი - 4,7%, ინდოეთი - 4,7% და სხვ. სარ-ს გააქვს რკინის მადანი, ქვანახშირი, სტრატეგიული ნედლეული, სპილენძი, ღვინო, ხორცი, ტყავი და სხვ. შეაქვს ნავთობი, გაზი, მანქანა-მოწყობილობები, მერქანი და სხვ. ქვეყანა ასევე ჩართულია საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო, საერთაშორისო საწარმოო, საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობაში, საერთაშორისო ტურიზმის და სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. 2018 წელს ქვეყნის საგარეო ვალი 156, 3 მლრდ დოლარს შეადგენდა.

შიდარეგიონალური სხვაობები

გამოიყოფა სამი განსხვავებული რაიონი: ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და კაპსკის პროვინცია.

1. ჩრდილო-აღმოსავლეთი მთავარი ეკონომიკური რაიონია, სადაც თავმოყრილია სამთომოპოვებისა და დამუშავებითი მრეწველობის თითქმის 65-70%. აქ იწარმოება ელექტროენერგიის 80%-ზე მეტი. რაიონი მჭიდროდაც არის დასახლებული და სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით კარგად ათვისებული. მთავარი ცენტრია - იოჰანესბურგი.

2. აღმოსავლეთი რაიონი მეორე ეკონომიკური რაიონია. აქ კარგადაა განვითარებული ქვანახშირის მოპოვება, მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან უპირატესობა ენიჭება შაქრის ლერწმის და ციტრუსების მოყვანას. მთავარი ცენტრია - დურბანი.

3. კაპსკის პროვინცია იყოფა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილებად. სამხრეთ-დასავლეთში მთავარი რაიონია კეპლანდი, უძველესი კოლონიზაციის ადგილი, რომელიც საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული.

მრეწველობის და საზღვაო ტრანსპორტის მთავარი ცენტრი კეიპტაუნია. კეპ-ლანდი მარცვლეულის და მებაღეობის ძირითადი რაიონია. სამხრეთ-დასავ-ლეთი ეკონომიკურად შედარებით სუსტადაა განვითარებული, სადაც ჭარბობს ექსტენსიური მეცხვარეობა. პროვინციის მთავარი ცენტრია - კეიპტაუნი.

თავი 5. ჩრდილო ამერიკა

5. 1. ზოგადი დახასიათება

კონტინენტის სახელი ჩრდილო ამერიკა ეწოდა იტალიელი მოგზაურის ამერიგო ვესპუჩის, გერმანელი კარტოგრაფების მარტინ ვალდზეემიულერისა და მათიას რინგმანის პატივსაცემად (მათ შეადგინეს რუკა და დაიტანეს სახელწოდება „ამერიკა“). ამერიგო ვესპუჩიმ ამერიკაში იმოგზაურა 1497-1502 წლებში. იგი იყო პირველი მოგზაური, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს არის არა აღმოსავლეთი ინდოეთი, არამედ უცნობი კონტინენტია.

ქვეყნის ნაწილი ამერიკა, ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, იყოფა ორ კონტინენტად - ჩრდილო ამერიკად (ფართობი 24,3 მლნ კმ²) და სამხრეთ ამერიკად (ფართობი 17,8 მლნ კმ²). საზოგადოებრივი გეოგრაფიის კუთხით, ამერიკა იყოფა ორ რეგიონად - ჩრდილო ამერიკად (აშშ და კანადა) და ლათინურ ამერიკად.

ჩრდილო ამერიკის რეგიონს უჭირავს კონტინენტ ჩრდილო ამერიკის ჩრდილო ნაწილი, რომელიც სამხრეთით მექსიკასთან, ხოლო დანარჩენი ტერიტორიები ჩრდილო ყინულოვანი, ატლანტის და წყნარი ოკეანების წყლებით ისაზღვრება. საერთო ფართობი 19,4 მლნ კმ²-ია, მოსახლეობა - 367,8 მლნ კაცი (2018 წ.).

ჩრდილო ამერიკის რეგიონში შემავალ ქვეყნებს აშშ-ს და კანადას პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრი საერთო მახასიათებლები გააჩნიათ. ორივე სახელმწიფო ევროპული კოლონიების საფუძველზე შეიქმნა, ხოლო სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი 1776 წლიდან დაიწყო, როცა ბრიტანეთის 13 კოლონიის საფუძველზე იქმნება აშშ. ახლად შექმნილმა ქვეყანამ თავისი ტერიტორიები 1860-1870 წწ ეროვნულ - გამათავისუფლებელ და სამოქალაქო ომების პერიოდში თითქმის 10-ჯერ გააფართოვა. აბორიგენი მოსახლეობა განიდევნა მთიან რეგიონებში, სადაც მათი რეზერვაციები შექმნა. XX საუკუნის დასაწყისში აშშ მსოფლიოში ერთ-ერთი დაწინაურებული ქვეყანა იყო, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. კანადის სახელმწიფოს ისტორია იწყება 1841 წლიდან, როცა ზემო და ქვემო კანადა გაერთიანდა და დიდი ბრიტანეთის კოლონიად გამოცხადდა. 1867 წელს შეიქმნა კანადის სახელმწიფო (დომინიონი) დიდი ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამჟამად კანადა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყანაა.

ჩრდილო ამერიკა თავისი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების მრავალ-ფეროვნებით, პოლიტიკური სტაბილურობით, დემოგრაფიული პროცესებითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით მსოფლიოში გამორჩეული რეგიონია. აქ იწარმოება 21,2 ტრილიონი დოლარის პროდუქცია, ანუ მსოფლიო წარმოების - 16,7% 2017 წ.). შესაბამისად, ძალზე მაღალია ერთ სულზე მშპ-ის განაწილების საშუალო მაჩვენებელი - 57640 დოლარი (საშუალოდ მსოფლიოში 16900 დოლარი), ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი საშუალოდ 0,925 - ძალიან მაღალი (აშშ-ში -0,923, კანადაში - 0,926) და დაბალია ჯინის ინდექსი საშუალოდ 0,35 (აშშ-ში 0,45, კანადაში 0,25).

ორივე ქვეყნის მეურნეობის განვითარების ისტორია თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა. ადგილი ჰქონდა შრომითი რესურსების იმიგრაციას, სასოფლო-სამეურნეო მიწების დაჩქარებულ ათვისებას, ინდუსტრიის სწრაფი ტემპით განვითარებას, სატრანსპორტო კომუნიკაციების სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რევოლუციურ დანერგვას, შიდა და საერთაშორისო კომუნიკაციების გაფართოებას და სხვ. თანამედროვე პერიოდში ჩრდილო ამერიკის მეურნეობა პოსტინდუსტრიულ ფაზაშია გადასული. ამასთან, აშშ-სა და კანადას შორის არის გარკვეული განსხვავებაც, რაც ქვემოთ ცალკეული ქვეყნების დეტალურ დახასიათებაში აისახება.

5.1.1. ამერიკის შეერთებული შტატები

ფართობი - 9,4 მლნ კმ²
მოსახლეობა - 329,9 მლნ კაცი (2020 წ.)
დედაქალაქი - ვაშინგტონი

ზოგადი ცნობები

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, საერთაშორისო პოლიტიკური სტატუსით, სამხედრო ძლიერებით, დემოკრატიული განვითარებით და ცხოვრების დონით წამყვანი სახელმწიფოა. აშშ-ს სიმბოლურად `,,ზესახელმწიფოსაც" უწოდებენ. მთლიანი შიდა პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე - 59350 დოლარს (2018 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,929-ს (მე-13 ადგილი 2018 წ.) შეადგენს. ქვეყნის დევიზი ,,ღმერთის ჩვენ გვწამს" - ,, In God We Trust". ადმი-

ნისტრაციულად იყოფა 50 შტატად და კოლუმბიის ფედერალურ ოლქად. სახელმწიფო ენა - ინგლისური, ფულის ერთეული - აშშ დოლარი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

აშშ მდებარეობს ჩრდილო ამერიკაში, რომლის ტერიტორია შედგება სამი ნაწილისაგან: 1. ძირითადი კონტინენტური ნაწილი (48 შტატი), რომელიც განლაგებულია ჩ. გ. 25^0-45^0-ს შორის; 2. ალასკის ნახევარკუნძული (ალასკის შტატი); 3. ჰავაის კუნძულები (ჰავაის შტატი). ქვეყნის შემადგენლობაში ასევე შედის წყნარ და ატლანტიის ოკეანეში განლაგებული კუნძულები. აშშ-ს გააჩნია საკმაოდ კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. კერძოდ, აქვს ფართო გასასვლელი ატლანტის, წყნარ და ჩრდილოყინულოვანი ოკეანის წყლებში; ქვეყანაზე გადის ტრანსამერიკული სატრანსპორტო კომუნიკაციები. ამასთან, გააჩნია საუკეთესო სამხედრო-სტრატეგიული და კარგი „მეზობლური“ მდებარეობა.

საზღვრების საერთო სიგრძე 31972 კმ-ია, აქედან საზღვაოა 19924 კმ, ხოლო სახმელეთო - 12048 კმ. აღმოსავლეთით ისაზღვრება ატლანტის, ხოლო დასავლეთით წყნარი ოკეანის წყლებით. ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით (ალასკა) სახმელეთო საზღვარი გააჩნია კანადასთან (8893 კმ), ხოლო სამხრეთით - მექსიკასთან (3155 კმ). აშშ-ის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 35.

ნახ.35. ამერიკის შეერთებული შტატების გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივი პირობები და რესურსები

აშშ-ის რელიეფი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აღმოსავლეთში, ატლანტის ოკეანის გასწვრივ, განლაგებულია საშუალო სიმაღლის აპალაჩის მთები. ცენტრალურ ნაწილში ვრცელი ტერიტორიები უჭირავს ცენტრალურ (აღმოსავლეთში) და დიდ (დასავლეთში) ვაკეებს. დასავლეთში გადაჭიმულია გრანდიოზული მთიანეთი - კორდილიერები, რომლებიც წარმოდგენილია მთელი რიგი პარალელური ქედებით. სამხრეთ-აღმოსავლეთი ატლანტისპირა, ფლორიდის და მექსიკისპირა სანაპირო დაბლობებს უჭირავს. ალასკის რელიეფი, ძირითადად, მთიანია, ხოლო ჰავაის კუნძულებზე ჭარბობს დაბლობები და ვაკეები. ქვეყნის უმაღლესი წერტილი დენალი (ძველი სახელწოდება მაკ-კინლი, 6193 მ.) მდებარეობს ალასკის კორდილიერებში. ქვეყნის რელიეფი დასავლეთი რეგიონების გამოკლებით, საუკეთესო პირობებს ქმნის განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარებისათვის. შესაბამისად, რელიეფის ზეგავლენით ჩამოყალიბებულია მოსახლეობის განსახლების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სატრანსპორტო ქსელის ტერიტორიული ორგანიზაცია.

მინერალური რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს სათბობ რესურსებს. ამოღებისათვის მისაწვდომი ნახშირის რესურსების მარაგით (1,6 ტრლნ ტ), რუსეთისა და ჩინეთის შემდეგ მესამე ადგილზეა. ნახშირის შემცველ ქანებს უჭირავს ტერიტორიის 1/10 ნაწილი. ქვანახშირის უმსხვილესი აუზებია: ილინოისი (ფართობი 120 ათასი კმ², მარაგი 330 მლრდ ტ), დასავლეთი შიდა აუზი (ფართობი - 200 ათასი კმ², მარაგი 170 მლრდ ტ), აპალაჩის აუზი (ფართობი - 12 ათასი კმ², მარაგი - 225-340 მლრდ ტ). ქვანახშირის მნიშვნელოვანი რესურსებია დიდი ვაკეებისა და კლდოვანი მთეების მიჯნაზე (იუნიტა), ხოლო მურა ნახშირის უდიდესი საბადოა ფორტ-უნიონი (მარაგი 600 მლრდ ტ). ნახშირის რესურსები არის ალასკაზეც.

ნავთობისა და გაზის მრავალრიცხოვანი საბადოები არის მექსიკის ყურის ,,გალფის" აუზში (ტეხასის, ლუიზიანას, მისისიპის, ალაბამის შტატებში), სადაც ხმელეთისა და შელფის ზონაში 4600 ნავთობის და 3900 გაზის საბადოა აღმოჩენილი. ცენტრალურ და დიდ ვაკეებთანაა დაკავშირებული მიჩიგანის, ილინოისის, დასავლეთ - შიდა და პერმის (ტეხასისა და ნიუ - მექსიკის შტატები) ნავთობ-გაზის აუზები. პერმის აუზის ნავთობის საბადოები 5000-ს (საერთო მარაგი - 4,5 მლრდ ტ), ხოლო გაზის - 600-ს (საერთო მარაგი - 2,3 ტრლნ მ³) აღწევს. აქ უმსხვილესი ნავთობის საბადოა პანჰენდლ-ჰიუმიგტინი. დასავლეთ-შიდა აუზში (კანზასის და ოკლაჰომას შტატებში) ნავთობის 4350 საბადოა, ხოლო გაზის - 1250. რეგიონში ნავთობის საერთო მარაგი შეფასებულია 2,5 მლრდ ტ-ით.

მნიშვნელოვანი აუზია მიჩიგანი, სადაც ნავთობის 350 და გაზის 250 საბადოა. მარაგი შესაბამისად - 170 მლნ ტ და 70 მლრდ $მ^3$. ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგი არის ალასკაზეც, სადაც უმსხვილესი საბადოა პრადჰო-ბეი (აშშ-ში უდიდესი საერთო მარაგი 3,2 მლრდ ტ).

მადნეული წიაღისეულიდან აღსანიშნავია რკინის მადანი (მარაგი 10 მლრდ ტ). ძირითადი საბადოები თავმოყრილია ზემო ტბის ზონაში - მიჩიგანისა და მინესოტას შტატებში. კლდოვანი მთების სარტყელში ბევრია მოლიბდენი, განსაკუთრებით კოლორადოს, იუტას და ნიუ-მექსიკოს შტატებში; ცნობილი საბადოა კლაიმაკსი (კოლორადოს შტატში). სპილენძის მნიშვნელოვანი საბადოებია მდინარე მისისიპის დასავლეთით (არიზონას, იუტას, ნიუ-მექსიკოსა და მონტანას შტატებში). თუთიის საბადოებია ტენესისა და ნიუ-ჯერსის შტატებში. ტყვია-თუთიის საბადოები კონცენტრირებულია აიდაჰოს, იუტასა და მონტანას შტატებში. ძვირფასი ლითონები (ოქრო, ვერცხლი, პლატინა) გვხვდება კორდილიერებში (ალასკის, კალიფორნიის, აიდაჰოს, მონტანასა და ვაომინგის შტატებში).

არამადნეული წიაღისეულიდან მსოფლიო მნიშვნელობა აქვს გოგირდის მარაგს, რომლის საბადოები განლაგებულია მექსიკისპირა დაბლობზე. აშშ გამოირჩევა ფოსფორიტების ნედლეულით (ფლორიდის, ჩრ. კაროლინის, აიდაჰოს შტატებში).

მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია ურანის მარაგს, რომლის საბადოები თავმოყრილია დასავლეთში (ნიუ-მექსიკოს, ვაიომინგის, კოლორადოს, იუტას შტატებში). ქვეყანა უმდიდრესია სხვადასხვა სახის სამშენებლო მინერალური ნედლეულით. აშშ სუსტადაა უზრუნველყოფილი ნიკელის, მარგანეცის, ქრომის, კობალტისა და ბოქსიტების რესურსებით. შესაბამისად, შეაქვს აღნიშნული რესურსების 75-100%.

აშშ-ის ჰავა და კლიმატური რესურსები საკმაოდ მრავალფეროვანია. კონტინენტურ ნაწილში ძირითადად ჩამოყალიბებულია ზომიერი და სუბტროპიკული კლიმატი, ხოლო ფლორიდის სამხრეთში - ტროპიკული. ალასკა განლაგებულია სუბარქტიკულ და ზომიერ კლიმატურ სარტყლებში, ხოლო ჰავაის კუნძულებზე არის ზღვიური ტროპიკული კლიმატი. ჰავის ძირითადი ელემენტების - ტემპერატურისა და ნალექების განაწილება ქვეყნის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს. იანვრის საშუალო ტემპერატურა დიდ ვაკეებზე -15°C, ხოლო სამხრეთში +15°C. ივნისის საშუალო ტემპერატურა ყველგან, გარდა დასავლეთის მთიანი რეგიონებისა, +20°C-ს აღემატება. ტემპერატურათა კონტრასტული ცვლილებები დაკავშირებულია ჩრდილოეთით ცივი ჰაერის შეუფერხებელ გავრცელებასთან. ამასთან, სამხრეთიდან უბერავს თბილი ტრო-

პიკული ქარებიც. უყინავ დღეთა რაოდენობა კანადის საზღვრებთან აღწევს ნახევარ წელს, ხოლო სამხრეთში მთელი წლის განმავლობაში. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 500 - 2000 მმ-ის ფარგლებში. მაქსიმუმი - 6000 მმ მოდის დასავლეთით წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ხოლო მინიმუმები - სამხრეთ-დასავლეთში უდაბნოების ზონაში - 100 მმ-მდე. ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქარეები, რომელიც ტორნადოს სახელწოდებით არის ცნობილი.

აშშ-ის კლიმატური რესურსები საუკეთესო პირობებს ქმნის მრავალდაგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. განსაკუთრებული ნიადაგურ-კლიმატური პირობებია სიმინდის, ხორბლის, სოიოს, ბამბის, შაქრის ლერწმის, სუბტროპიკული და ტროპიკული მეხილეობისა და სხვა კულტურების მოყვანისათვის. კლიმატური რესურსები ხელს უწყობს მთელი წლის განმავლობაში ტრანსპორტის და საკურორტო ტურისტული მეურნეობის ფუნქციონირებას.

წყლის რესურსებით ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა, რომელიც მთელ ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. ძირითად სამდინარო სისტემას წარმოადგენს მისისიპი-მისურით (6420 კმ), რომელსაც უდიდესი სატრანსპორტო მნიშვნელობა გააჩნია. მდინარის წყალუხვი შენაკადები (ოჰაიო, ტენესი) ფლობენ დიდ ჰიდროპოტენციურ ენერგიას. მარჯვენა შენაკადები (მისური, არკანზასი) გამოიყენება სარწყავად. სანაოსნოდ ფართოდ გამოიყენება მდინარე წმინდა ლავრენტი. მთის მდინარეები - კოლუმბია და კოლორადო გამოიყენება ჰიდროენერგიის მისაღებად, სარწყავად და სანაოსნოდ (ქვემო წელი). ალასკაზე მნიშვნელოვან სამდინარო სისტემას წარმოადგენს იუკონი, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით ნაკლებადაა გამოყენებული. იუკონი და მისი შენაკადები მდიდარია თევზით. ქვეყნის ფარგლებში მდინარეთა საერთო ჰიდროპოტენციური მარაგი შეფასებულია 705 მლრდ კვტ/სთ-ით. წლიური ჩამონადენის (543 კუბ/კმ) 2/3 ნაწილი მოდის ზედაპირულ წყლებზე, ხოლო 1/5 ნაწილი მიწისქვეშა მტკნარ წყლებზე. აშშ მდიდარია ტბებით. აღსანიშნავია მსოფლიოში უდიდეს ტბათა სისტემა - დიდი ტბები (ზემო, მიჩიგანი, ჰურონი, ეირი, ონტარიო); ტბები კომპლექსურად გამოიყენება, განსაკუთრებით, სატრანსპორტო და ენერგეტიკული თვალსაზრისით. წყლის რესურსებით ღარიბია დასავლეთი შტატები, სადაც მიწისქვეშა წყლებიც შეზღუდულია.

ტყის რესურსებით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა, სადაც ტყითაა დაფარული ტერიტორიის 1/3 ნაწილი. ტყის გარკვეული ნაწილი გაჩეხილი იქნა, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ შტატებში, სადაც ტყის დიდი ნაწილი წარმოდგენილია ,,მეორეული“ და ,,მესამეული” ნარგავების სახით. ჩრდილო-აღმოსავ-

ლეთში ჭარბობს შერეული წიწვოვან-ფოთლოვანი (ყვითელი არყი, წიფელა, ნაძვი, ფიჭვი), აპალაჩების ოლქში ფართოფოთლოვანი ტყეა (წიფელა, მუხა), სამხრეთ-აღმოსავლეთში ხარობს სამხრეთ ატლანტური სუბტროპიკული ფიჭვის ტყე. სამხრეთ ფლორიდაში დამახასიათებელია ტროპიკული ტყე - სანაპირო ბარდნარით. ცენტრალური ნაწილი წარმოდგენილია სტეპებით (პრერიები). კორდილიერებში ნათლად გამოხატულია სიმაღლითი სარტყლურობა. აქ გავრცელებულია მთის წიწვოვანი ტყე. ნაკრძალებში დაცულია სექვოია. სამხრეთ-დასავლეთისათვის დამახასიათებელია ხეშეშფოთლოვანი ტყე და ხმელთაშუა ზღვის ტიპის ბუჩქნარები. ალასკაზე ჭარბობს ტუნდრა და ტყეტუნდრა, სამხრეთ რაიონებში - ტაიგა. ტყე, განსაკუთრებით მთიან შტატებში და ალასკაზე მდიდარია ფაუნით. აშშ-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბუნებრივი კომპლექსების შენარჩუნებას. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არის ბევრი დაცული ტერიტორიები. აქ მსოფლიოში პირველად 1872 წელს შეიქმნა დაცული ტერიტორია - ,,იელეუსტონის" ნაციონალური პარკი.

ნიადაგური რესურსები მეტად მრავალფეროვანია, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავმიწა ნიადაგებს, რომელიც დიდ ვაკეებზე პრერიებში მერიდიანული სახითაა წარმოდგენილი. შავმიწა ნიადაგიანი ზონა წარმოადგენს ქვეყნის ძირითად ბეღელს.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

აშშ-ის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორია საინტერესოდ მიმდინარეობდა. ქვეყნის ტერიტორიის ფორმირების პირველი ეტაპი გრძელდებოდა ევროპელთა კოლონიზაციიდან აშშ-ის შექმნამდე. პირველი ესპანური სამოქალაქო დასახლება - სენტ-ომუსტინი 1565 წელს ფლორიდაში გაჩნდა. ინგლისელთა პირველი დასახლება - ჯეიმსთაუნი წარმოიქმნა მდინარე ჯეიმსის შესართავსა და ამერიკის მატერიკზე, საფუძველი ჩაუყარა ინგლისელთა პირველ კოლონიას (ვირჯინია). 1620 წელს მასაჩუსეთის ყურესთან გაჩნდა მეორე ინგლისური კოლონია, სადაც წარმოიქმნა სამოქალაქო დასახლებები - ახალი პლიმუტი და ბოსტონი. ინგლისელთა კოლონიებს შორის დასახლდნენ ჰოლანდიელები (ახალი ჰოლანდია) და შვედები (ახალი შვედეთი). XVIII ს-ის 60-იან წლებში ინგლისელებმა მიიტაცეს შვედების და ჰოლანდიელების ტერიტორიები. ჰოლანდიელთა დასახლება - ახალ ამსტერდამს უწოდეს ნიუ-იორკი. ასე გაჩნდა ინგლისის მესამე კოლონია.

XVI საუკუნეში, დასავლეთ სანაპიროზე არსებობდა ესპანელებისა და რუსების დასახლებანი, როცა ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი ნაკლებად იყო

ათვისებული. ესპანელებს ეკუთვნოდა აპალაჩების, კლდოვანი მთების, დიდი აუზის და კოლორადოს ვაკის ტერიტორიები. ფრანგებმა დიდი ტბების რაიონიდან მდინარე მისისიპის შესართავამდე ტერიტორია დაიკავეს და უწოდეს ლუიზიანა.

აშშ-ის ტერიტორიის ფორმირების მეორე ეტაპი უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევას და ამერიკის შეერთებული შტატების დაარსებას (იხ ნახ. 36). აშშ-ის შემადგენლობაში შევიდა ატლანტის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ინგლისელთა ყოფილი 13 კოლონია.

ნახ. 36. აშშ-ს ტერიტორიის ფორმირება
წყარო: U.S._Territorial_Acquisitions.png

1776 წლის 4 ივლისს ფილადელფიაში ჩატარდა ,,საკონტინენტო კონგრესი“, სადაც ხელი მოწერილი იქნა ,,დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე”, რომელმაც აშშ-ის დამოუკიდებლობა და ახალი სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა.

აშშ-ის სახელმწიფო ტერიტორიის ფორმირების მესამე ეტაპი იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან. 1803 წელს საფრანგეთისგან (15 მლნ დოლარად) შესყიდულ იქნა ლუიზიანა (2,5 მლნ კმ²). 1819 წელს ესპანეთი იძულებული გახდა ძალიან იაფად მიეყიდა ფლორიდა. შემდეგ შეერთებული იქნა ტეხასი, რომელიც

მანამდე მექსიკას ეკუთვნოდა. მექსიკასთან ომის შემდეგ, აშშ-ის შემადგენლობაში გადავიდა უზარმაზარი ტერიტორია (2,5 მლნ კმ²), მათ შორის, კალიფორნია და მთიანი დასავლეთის მთელი სამხრეთი ნაწილი. იმავდროულად, დიდ ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულებით, აშშ-მა მიიღო ორეგონის ვრცელი ტერიტორია. 1867 წელს რუსეთისგან ,,ჩალის" ფასად შეისყიდა (7,2 მლნ დოლარი) ალასკა.

XX საუკუნეში აშშ-ის ტერიტორიების გაფართოება, ძირითადად, ატლანტისა და წყნარი ოკეანის კუნძულების - სამფლობელოების მიერთებით მოხდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიისაგან წართმეული იქნა მარიანის, მარშალინისა და კაროლინის კუნძულები.

აშშ-ს გააჩნია სამფლობელოები: პუერტო-რიკო (აშშ-სთან ,,თავისუფლად მიერთებული სახელმწიფო"), ვირჯინიის კუნძულები, ჩრდილოეთ მარიანის კუნძულები, ამერიკის სამოა, კუნძული ბეიკერი, გუამი, ჰოულენდი, ჯერვისი, ატოლი ჯონსტონი, რიფი კინგმენი, მიდუეის კუნძულები, კუნძული ნავასა, ატოლი ჰალმირა და უეიკი.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

აშშ მმართველობის ფორმის მიხედვით, კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც აგრეთვე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. პრეზიდენტი ირჩევა ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ ორსაფეხურიანი პროცედურით 4 წლის ვადით, არაუმეტეს ორჯერ. პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება კონგრესის გადაწყვეტილებაზე (კონგრესს ვეტოს შეჩერება შეუძლია ხელმეორედ კენჭისყრით 2/3-ზე მეტი ხმის მიღების შემთხვევაში). პირველი პრეზიდენტი (1789 - 1797 წლებში) იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჯარების სარდალი - ჯორჯ ვაშინგტონი.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი კონგრესი, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისგან. სენატი ირჩევა მოსახლეობის მიერ 6 წლის ვადით. სენატი შედგება 100 წევრისაგან (ყოველი შტატიდან ორი სენატორი). სენატის შემადგენლობის მესამედის განახლება ხდება ყოველ 2 წელიწადში. სენატის თავმჯდომარეა ვიცე პრეზიდენტი. წარმომადგენელთა პალატა შედგება მოსახლეობის მიერ 2 წლის ვადით მაჟორიტარული სისტემით არჩეული 435 წევრისაგან.

აშშ-ში მოქმედებს 1787 წლის 17 სექტემბრის კონსტიტუცია. ყველა შტატს აქვს თავისი კონსტიტუცია, ხოლო კონსტიტუციით შტატებს ეკრძალებათ აშშ-ის შემადგენლობიდან გასვლა. ეროვნული დღესასწაულებია: 4 ივლისი დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლობის დღე (1776 წ.), 22 თებერვალი - ჯორჯ ვაშინგტონის (1732-1799) დაბადების დღე და 11 ნოემბერი - ვეტერანთა დღე.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით აშშ ფედერაციული ქვეყანაა, რომელიც იყოფა 50 შტატად (შტატები იყოფიან საგრაფოებად) და 1 ფედერალურ (დედაქალაქის-კოლუმბიის) ოლქად (იხ. ნახ. 37).



ნახ. 37. აშშ-ის შტატები

წყარო: https://yandex.ru/collections/card/5c5d77894913c700676a9da2/

მოსახლეობა

აშშ-ის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა საინტერესოდ მიმდინარეობდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს - 1776 წელს ცხოვრობდა დაახლოებით 3 მილიონი კაცი. მისი მოსახლეობა 1776-2020 წლებში 3 მლნ-დან 329,9 მლნ-მდე, ანუ 109,6-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ასეთი ზრდის დინამიკა არც ერთი ქვეყნისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი იყო 1776-1860 წლები, როცა მისი მოსახლეობა 3 მლნ-დან 31,4 მლნ-მდე, ანუ 10,5-ჯერ გაიზარდა. ამ ეტაპზე მაღალი იყო ბუნებრივი მატება და საშუალოდ ყოველ ათას კაცზე 25 პრომილეს შეადგენდა. შესაბამისად, ქვეყნისათვის დამახასიათებელი იყო იმიგრაციული პროცესები. მეორე ეტაპი მოიცავს 1860-1920 წლებს. ამ ეტაპ-

ზე მოსახლეობა 31,4 მილიონიდან 106,0 მილიონამდე, ანუ 3,4-ჯერ გაიზარდა. ბუნებრივი მატება იყო 15,4 პრომილე, ხოლო იმიგრაციამ ამ ეტაპზე პიკს მიაღწია. მესამე ეტაპი გრძელდებოდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 40-იანი წლების შუახანებამდე. ამ ეტაპზე მოსახლეობის მატება განსაკუთრებით დაეცა 1930-1940 წლებში, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური კრიზისით და იმიგრანტების შემცირებით. იმიგრაციული პროცესები განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მეოთხე ეტაპი მოიცავს 40-იანი წლების შუა პერიოდიდან 60-იანი წლების შუა პერიოდამდე. ეს იყო მკვეთრად გამოხატული კონპენსაციური ნამატის, ანუ „ბეიბიბუმის" პერიოდი. ამ ეტაპზე მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა აღემატებოდა 3 მლნ კაცს, ხოლო ბუნებრივი მატება იყო 13-14 პრომილე. მეხუთე ეტაპი იწყება 60-იანი წლების შუა პერიოდიდან დღემდე. 1970-2018 წლებში საშუალო წლიური მატება არ აღემატებოდა 2,6 მილიონს. შესაბამისად, დაეცა ბუნებრივი მატება, მაგრამ ბოლო 30 წლის განმავლობაში თითქმის თანაბარია (1975 წელს შეადგენდა 5,9, ხოლო 2018 წელს - 4,2 პრომილეს). ამასთან, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა მექანიკური მატების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლებიც.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, დარღვეულია, მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებით, საკმაოდ ჯანსაღად გამოიყურება. მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 49,3%, ხოლო ქალებზე - 50,7%. 0 - 14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 18,6%, 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 65,4%, ხოლო 65 წელს ზემოთ ასაკზე - 16,0% (2018 წ.). საშუალო ასაკი 38,2 წელია, ხოლო სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა 78,5 წელია (მამაკაცებში - 75,3; ქალებში - 81,6).

აშშ-ის ერის ბირთვის ფორმირება დასრულდა XVIII საუკ. მეორე ნახევარში. თანამედროვე მოსახლეობაში გამოიყოფა სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფი: 1. აშშ-ის ამერიკელები - 80%; 2. აბორიგენები (ინდიელები, ესკიმოსები, ალეუტები, ჰავაიელები და სხვები) - 1%-მდე; 3. იმიგრანტები და გარდამავალი ჯგუფები - 6,1%. მოსახლეობის განსაკუთრებულ რასობრივ-ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ ნეგროიდები (ზანგები), რომელთა საერთო რაოდენობა 41 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის - 12,9%-ია. 1990 წლის მოსახლეობის აღწერით ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო გერმანული (58 მლნ), ინგლისური (46 მლნ), ირლანდიური (39 მლნ), აფრო-ამერიკული (24 მლნ), იტალიური (15 მლნ), ამერიკული (12 მლნ), მექსიკური (12 მლნ) და ფრანგული (10 მლნ) წარმოშობის მოსახლეობა. ამჟამად მოსახლეობის 78,2% ინგლისურენოვანია, 13,4% - ესპანურენოვანი, 1,1% - ჩინურენოვანი და 7,3% სხვ. აშშ-ში ცხოვრობს

მსოფლიოს თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენელი (ნიუ-იორკი „ეთნიკურ მუზეუმად“ იწოდება). სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ტერიტორიულად სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ. ახალ ინგლისში - ინგლისელები, ჩრდილო- აღმოსავლეთ სანაპიროზე - იტალიელები, ჩრდილო-დასავლეთ ცენტრში - გერმანელები, ჩრდილო-აღმოსავლეთ ცენტრში - სლავები, სამხრეთ-დასავლეთ შტატებში - მექსიკელები, ლუიზიანაში - ფრანგები და სხვ.

რელიგიური კუთვნილების მიხედვით, 46,5% - პროტესტანტია, 20,8% - კათოლიკე, 1,6% - მორმონი, 0,9% - მუსლიმი, 0,8% - იეღოველი, 0,7% - იუდაისტი, 0,7% - ბუდისტი და სხვ. (2018 წ.).

აშშ-ში ისტორიულად დამახასიათებელი იყო მიგრაციული პროცესების მასშტაბური ხასიათი. ტერიტორიის კოლონიზაცია მიმდინარეობდა XVI - XVII საუკ-ში, ხოლო იმიგრაციული პროცესები აშშ-ის შექმნის შემდეგ ინტენსიურად დაიწყო. მიგრაციის ინტენსივობა განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკ. ბოლოს, კერძოდ, 1820-1990 წლებში აშშ-ში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსახლებული იქნა 55,5 მლნ კაცი. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ემიგრანტები იყვნენ გერმანიიდან (7,1 მლნ), იტალიიდან (5,4 მლნ), დიდი ბრიტანეთიდან (5,2 მლნ), ირლანდიიდან (4,1 მლნ) და სხვა ქვეყნებიდან. ფერადკანიანი მონების პირველი ნაკადი ჰოლანდიელებმა 1619 წელს ჯეიმს-სთაუნში შეიყვანეს. XVII საუკ. დასაწყისში ქვეყნის სამხრეთში იყო 10 ათასი ზანგი, იმავე საუკუნის შუახანებში - 100 ათასი, 1830 წელს - 2,2 მლნ, 1960 წელს კი - 4,5 მლნ.

ქვეყანაში იმიგრანტების შეზღუდვის მიზნით, 1924 წელს შემოღებული იქნა ქვოტები, რომელიც ზღუდავდა სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის შესვლას. 1965 წელს სახელმწიფომ მიიღო დამატებითი ზომები იმიგრაციის შემცირების მიზნით და განისაზღვრა 290 ათასი კაცით წელიწადში. ბოლო წლებში იმიგრანტების შესვლის მექანიზმები კიდევ უფრო გართულდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმიგრანტების რაოდენობა გაიზარდა და საშუალოდ წელიწადში 900 ათას კაცს აღემატება. აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზე რჩება იმიგრანტთა რაოდენობით. 2015 წლის აღრიცხვით აქ მიახლოებით 46,5 მლნ იმიგრანტი (მსოფლიო იმიგრანტების 21,2%). აშშ მსოფლიოში ლტოლვილთა ერთ-ერთი მსხვილი (550 ათასი) მიმღები ქვეყანაა.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 160,4 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის 48,4%-ია (2018 წ.). დასაქმებული მოსახლეობის 0,7% ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, 20,3% - მრეწველობაში, 79% - მომსახურეობის სფეროში. უმუშევრობის დონე 4,4%-ია (2018 წ.).

აშშ-ში მოსახლეობა საკმაოდ არათანაბრადაა განლაგებული. საშუალო სიმჭიდროვე დაბალია და ერთ კმ²-ზე 35 კაცი მოდის (2018 წ.). მოსახლეობის

სიმჭიდროვე შედარებით მაღალია შუა-ატლანტურ შტატებში (146 კაცი კმ²-ზე). დაბალია მთიან შტატებში (9 კაცი კმ²-ზე) და კიდევ უფრო დაბალი ალასკაზე (2 კაცი კმ²-ზე). მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია ქვეყნის ოთხ მთავარ მიკრორაიონში შემდეგნაირადაა განაწილებული: ჩრდილო-აღმოსავლეთში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 18,8%, შუა დასავლეთში - 22,7%, სამხრეთში - 36,2%, დასავლეთში - 22,3%. მოსახლეობის ზრდის ტენდენციები შეინიშნება სამხრეთის და დასავლეთის შტატებში.

აშშ მაღალურბანიზებული ქვეყანაა, სადაც ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 82,3% (2018 წ.). ურბანიზაციის პროცესის დინამიკა დაკავშირებული იყო ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. 1790 წელს ურბანიზაციის დონე იყო - 5,1%, 1850 წელს - 15,3%, 1900 წელს - 39,6%, 1950 წელს - 64,0%, 2007 წელს - 76%. ურბანიზაციის ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო 1880-1930 წლებში, როცა ქალაქის მოსახლეობა ორჯერ, 28% დან, 56%-მდე გაიზარდა. 1960-2010 წლებში ურბანიზაციის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 1,3% იყო, ხოლო ბოლო წლებში 1%-მდე დაეცა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის ქალაქებში ცხოვრების პირობებზე გადამწყვეტი გავლენა სუბურნიზაციამ იქონია. სუბურბანიზაციის პროცესი აშშ-ში პირველად XX საუკ-ის 20-იან წლებში გამოვლინდა. აშშ-ში ოფიციალურ ქალაქად ითვლება დასახლებული პუნქტი 2,5 ათასი მცხოვრებით. ქვეყანაში 9 ათას ქალაქზე მეტია, მათ შორის დიდი ქალაქების რაოდენობაა (100 ათასზე მეტი მცხოვრები) - 200-ზე მეტია, ხოლო „მილიონერი" ქალაქებია: ნიუ-იორკი - 8,5 მლნ (აგლომერაცია - 18,8 მლნ), ლოს-ანჟელესი - 3,9 მლნ (აგლომერაცია -12,5 მლნ), ჩიკაგო-2,7 (აგლომერაცია - 8,9 მლნ), ჰიუსტონი - 2,4 (აგლომერაცია - 6,1 მლნ), ფილადელფია - 1,6 მლნ, ფენიქსი - 1,5 მლნ, სან - ანტონიო - 1,5 მლნ, სან-დიეგო - 1,4 მლნ, დალასი - 1,3 მლნ და სან-ხოსე - 1,1 მლნ.

აშშ-ში აგლომერაციების ფორმირება XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ბოლო წლებში აგლომერაციათა რაოდენობა 280-ს აჭარბებს. ქვეყნის ურბანიზაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სამი მეგალოპოლისის, ანუ მეტროპოლიტენ არეალის არსებობა - „ბოსვაში", „ჩიპიტესი" და „სან-სანი". უდიდესია „ბოსვაში", რომელიც გადაჭიმულია ბოსტონიდან - ვაშინგტონამდე 750 კმ-ის სიგრძეზე. აერთიანებს 50 აგლომერაციას, რომლის ფართობი 100 ათასი კმ²-ია და ცხოვრობს 50 მლნ-მდე. „ჩიპიტესი" განლაგებულია ჩიკაგოდან - პიტსბურგამდე (35 მლნ კაცი). „სან-სანი" მდებარეობს კალიფორნიაში - სან-ფრანცისკოდან სან-დიეგომდე (18 მლნ კაცი).

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

აშშ ეკონომიკური პოტენციალით მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქციის წარმოებამ 2018 წელს 19,49 ტრილიონი დოლარი შეადგინა (ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა). აშშ-ის წილზე მოდის მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქციის 15,4%, სამრეწველო პროდუქციის - 18%, მსოფლიოს ექსპორტის - 12% და მსოფლიოს ექსპორტის მომსახურების - 16%.

აშშ-ის ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარება შეინიშნებოდა XIX საუკუნის ბოლოს, რომელიც განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: 1. კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის თავისუფალი განვითარება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; 2. იმიგრანტების დიდი ნაკადი, რომლებიც წარმოადგენდნენ მუშა ძალის, კაპიტალისა და ტექნიკური გამოცდილების მქონე პერსონალის შევსების წყაროს; 3. საშინაო ბაზრის დიდი ტევადობა; 4. მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები; 5. გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. 1894 წელს აშშ-მა სამრეწველო წარმოების მოცულობით გაუსწრო დიდ ბრიტანეთს და მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა. პირველი და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის ეკონომიკამ მსოფლიოს მასშტაბით შეიძინა მონოპოლისტური ხასიათი, რითაც კიდევ უფრო განავითარა ქვეყნის მეურნეობა და საერთაშორისო პოზიციები.

აშშ-ის თანამედროვე მეურნეობისათვის დამახასიათებელია სამეურნეო-ტექნიკური პოტენციალის, წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონე. მსოფლიოში 50 უმსხვილესი სამრეწველო კომპანიიდან 21 ამერიკულია. მრავალი ამერიკული სამრეწველო კორპორაცია ტრანსნაციონალურია: ,,ექსონი" - "Exxon" - ნავთობპროდუქტები, ,,ჯენერალ ელექტრიკი" - ,,General Electric" - კონგლომერატი, ,,ჯენერალ მოტორსი" - ,,General motors" - საავტომობილო, ,,ფორდ მოტორსი" - ,,Ford Motor" - საავტომობილო, ,,აი ბი ემი" - "IBM" - გამოთვლითი მანქანები, ,,მაიკროსოფტი" - ,,Microsoft" - კომპიუტერული უზრუნველყოფა, ,,მობილი" - "Mobil" - ნავთობპრო-დუქტები, ,,ფილიპ მორისი" - ,,Philip Morris" - თამბაქოს წარმოება და სხვ.

ბოლო წლებში ქვეყნის მეურნეობის ცალკეულმა დარგებმა (სამთომოპოვება, შავი მეტალურგია, საფეიქრო და სამკერვალო) მეტ-ნაკლებად დაკარგა საერთაშორისო მნიშვნელობა, ხოლო მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და მეცნიერებატევადი დარგების როლი ამაღლდა. განსაკუთრებით, გაფართოვდა საგარეო ეკონომიკური კავშირების და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების დონე. იზრდება წარმოების ინტერნაციონალიზაცია, კერძოდ წამყვანი კომპანიების პროდუქციის 2/5 ნაწილი იწარმოება ეროვნულ საზღვრებს

გარეთ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უზრუნველყოფილია უდიდესი ფინანსური რესურსებით. მსოფლიოს 40 უმსხვილესი ბანკიდან 8 ამერიკულია. მათ შორის უმსხვილესია ,,ჩეიზ-მანჰეტენ-კორპორეიშენი" - "Chase Manhattan Corporation", ,,სითიკორპი" - ,,Citicorp", ,,ბანკ ამერიკა კორპორეიშენი" - ,,Bank America Corporation", ,,ნეიშენ ბანკი" - ,,Nation Bank" და სხვ. ნიუ-იორკში ფუნქციონირებს მსოფლიოში უმსხვილესი საფონდო ბირჟა.

ქვეყანაში მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში თანდათანობით მცირდება მატერიალური წარმოების ხვედრითი წილი და, შესაბამისად, იზრდება მომსახურე დარგები. მთლიანი შიდა პროდუქციაში (19,49 ტრილ დოლარი) სოფლის მეურნეობაზე მოდის - 0,9%, მრეწველობაზე - 19,1% და მომსახურების დარგებზე - 80%.

მრეწველობის გეოგრაფია

მრეწველობა აშშ-ის მეურნეობის წამყვანი დარგია, სადაც დასაქმებულია ეკონომიურად აქტიური მოსახლეობიოს 20,3%, იძლევა მთლიანი შიდა პროდუქციის დაახლოებით 21%-ს და ექსპორტის 49,1%-ს. ბოლო წლებში შესამჩნევად ეცემა მოპოვებითი მრეწველობის ხვედრითი წილი და იზრდება დამუშავებითი მრეწველობა.

მრეწველობისათვის დამახასიათებელია კაპიტალის და წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონე, განსაკუთრებით, მანქანათმშენებლობასა და ქიმიურ მრეწველობაში. ბოლო წლებში პრიორიტეტი მიენიჭა მრეწველობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვას და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. დამუშავებითი მრეწველობის სტრუქტურაში წამყვანია მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (41,6%), ქიმიური მრეწველობა (13,7%), კვების მრეწველობა (11,2%), ხე-ტყის მრეწველობა (6,8%) და სხვ.

ეკონომიკის აღმავლობა დიდადაა დამოკიდებული ენერგეტიკის განვითარებაზე. აშშ მდიდარი ენერგეტიკული რესურსებით არის უზრუნველყოფილი. მთლიანი პირობითი სათბობის წარმოება შეადგენს 3,2 მლრდ ტონა ქვანახშირის ექვივალენტს (2015 წ). ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი ბოლო წლებში გარკვეულად გადახალისდა და შემდეგნაირად არის განაწილებული: ნავთობზე მოდის 40%, ბუნებრივ გაზზე - 33%, ნახშირზე - 20%, ჰიდროზე - 4%, ატომურზე - 2% და სხვა წყაროებზე - 1%. ნავთობის მრეწველობის განვითარება იწყება 1859 წლიდან, როცა აპალაჩებისპირა აუზში პირველი ჭაბურღილი გაბურღეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნავთობი გახდა ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის საფუძველი. ნავთობის მრეწველობა გამოირჩევა მონოპოლიზაციის მაღალი დონით. ნავთობის მოპოვებისა და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის

დიდ ნაწილს აკონტროლებს უმსხვილესი კომპანიები - „ექსონი” - “Exxon”, „ტექ-საკო” - „Texaco”, „გალფ მობილი” - „Gulf mobil”, „შევრონი” - „Chevron” და სხვ. ნავთობის დაზვერილი მარაგი შეფასებულია 5,6 მლრდ ტონით (2018 წ.). საბადოების საერთო რაოდენობა აჭარბებს 15 ათასს, ხოლო ჭაბურღილების - 600-700 ათასს. მოიპოვებს 540 მლნ ტონა ნავთობს (2018 წ.). ნავთობი მოიპოვება ქვეყნის 20 შტატში. მოპოვების 90%-ს უზრუნველყოფს ტეხასის, ალასკის, ლუიზიანას, კალიფორნიის და ოკლაჰომას შტატები. მოპოვებული ნავთობი აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილების 86%, საშუალოდ ყოველწლიურად იმპორტირდება 120 - 140 მლნ ტონა, ძირითადად, კანადიდან, მექსიკიდან, სპარსეთის ყურიდან, ნიგერიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ნავთობგადამუშავების უდიდესი რაიონია სამხრეთ-დასავლეთი ცენტრი, განსაკუთრებით ქ. ჰიუსტონი.

გაზის მრეწველობის როლი და მნიშვნელობა ენერგეტიკაში თანდათანობით იზრდება. გაზის მოპოვებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა - 772,8 მლრდ $მ^3$ (2017 წ). გაზის მოპოვების დიდი ნაწილი მოდის ტეხასის და ლუიზიანას შტატებზე.

ქვანახშირის როლი ენერგეტიკაში თანდათანობით მცირდება, მაგრამ მოპოვების მაჩვენებლები ბევრად არ შემცირებულა. მოპოვებით ჩინეთის და ინდოეთის შემდეგ მესამე ადგილზეა - 660,6 მლნ ტ (2016 წ.). ქვანახშირი მოიპოვება 15 შტატში, მოპოვების თითქმის 4/5 ნაწილს იძლევა აპალაჩების აუზი, მეორე მნიშვნელოვანი აუზია ილინოისი (15%). საკოქსე ქვანახშირის მსხვილი ექსპორტიორია, თუმცა ჩამორჩება ავსტრალიას და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. მურა ნახშირის მოპოვების (75 მლნ ტ) დიდი ნაწილი მოდის ფორტ-უნიონის აუზზე.

მაღალ დონეზეა განვითარებული ელექტროენერგეტიკა. ყველა სადგურის საერთო სიმძლავრე 1,1 მლრდ კვტ-ია (2018 წ), ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებით მსოფლიოში, ჩინეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა - 4,1 ტრლნ კვტ/სთ. გამომუშავებული ელექტროენერგიის 70% მოდის თესებზე, 19,6% - ატომურზე, 7% - ჰესებზე და 3,4% -სხვა ტიპის სადგურებზე. მსხვილი თესები (2,5 – 3,5 მლნ კვტ სიმძლავრის) განლაგებულია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. მაზუთზე და გაზზე მომუშავე მსხვილი თესები განლაგებულია სამხრეთ დასავლეთ შტატებში.

ატომური ენერგეტიკის განვითარება იწყება XX საუკუნის 50-იან წლებში. ბოლო წლებში ატომური სადგურების მშენებლობა გარკვეულწილად შენელდა. მოქმედი 60 ატომური სადგურიდან 1/3 ნაწილი განლაგებულია ჩრდილო-აღმოსავლეთში ახალი ინგლისის (მენის, ნიუ-ჰემპშირის, ვერმონტის, მასაჩუსეტის,

როდ-აილენდის, კორექტიუკის) შტატებში. უდიდესია "ჰალოვერდეს" ატომური რეაქტორი, რომლის სიმძლავრეა 4,0 მლნ კვტ-ია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დაიწყო 1933 წელს - მდინარე კოლუმბიაზე ,,გრანდ-კულის'' ჰესის სახით. ელექტროსადგურის სიმძლავრე თანდათანობით იზრდებოდა და ბოლო წლებში თითქმის 12 მლნ კვტ-ს მიაღწია. მსხვილი ჰესებია - ,,ჯონ-დეი'', ,,ჩიფ-ჯოზეფი'' და სხვ. ჰიდროენერგეტიკული თვალსაზრისით კარგადაა გამოყენებული მდინარეები ტენესი, კოლორადო და სხვ.

მზის ელექტროსადგურები ფუნქციონირებს ,,მზის სარტყელში'' - სამხრეთ ატლანტურ და სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატებში. ქარის სადგურები ძირითადად არის კალიფორნიაში (საერთო სიმძლავრე 2,7 მლნ კვტ). ბოლო წლებში ზღვის მოქცევა-უკუქცევის ენერგიის გამოყენება დაიწყეს ატლანტიის ოკეანის სანაპიროზე, ფანდის ყურეში.

შავი მეტალურგია მძიმე ინდუსტრიის წამყვანი დარგია, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩაისახა და თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში შავი ლითონის პროდუქციის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო. ფოლადის წარმოებამ მაქსიმუმს 122 მლნ ტ 1970 წელს მიაღწია, როცა ბოლო წლებში დარგის საერთაშორისო პოზიციები თანდათანობით ეცემა (1950 წელს მსოფლიოს - 57,2%, 1995 წელს - 13,2%) და 2017 წელს წარმოებამ 81,6 მლნ ტ (მსოფლიოს - 4,8%) შეადგინა. პროდუქციის შემცირება განპირობებულია მასალატევადი წარმოების შემცირებით, საკუთარი ნედლეულის შედარებით მდიდარი საბადოების ამოწურვით და ,,ჭუჭყიანი" წარმოების განვითარებად ქვეყნებში გატანით. დარგს აკონტროლებს უმსხვილესი კომპანიები - ,,იუნაითედ სთეითს სთილ კორპორეიშენ" - ,,United States Steel Corporation" (,,ისსკ'' - ყველაზე მსხვილი - აწარმოებს პროდუქციის 1/4 ნაწილს), ,,ბეტლეჰემ სტილი'' - „Bethlehem Steel" და სხვ. რკინის მადნის მოპოვება შეადგენს 49 მლნ ტ (2010 წ.), რომელიც ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. საშუალოდ ყოველწლიურად შეაქვს 40-45 მლნ ტ, ძირითადად კანადიდან და ბრაზილიიდან. ბოლო წლებში საშუალოდ ყოველდღიურად აწარმოებს 45 -50 მლნ ტ თუჯს. შავი მეტალურგიის ძირითადი რაიონებია: დიდი ტბების სანაპირო (საუტ-ჩიკაგო, ჰიტსბურგი, მორისვილი, დეტროიტი, ჩიკაგო, კლევლინდი), ატლანტისპირა, სადაც შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს თანამედროვე დონის კომბინატები (ბეთლეჰემი, ტრენტინო, სპანოუ-პინტი) და ყველაზე ძველი რაიონი ჩრდილოეთ აპალაჩები (იანგ-სთაუნი და უორენი).

ფერადი მეტალურგიის წარმოების მაღალი დონე დაკავშირებულია მანქანათმშენებლობის, კოსმოსის ათვისებასა და სამხედრო განვითარებასთან. სპი-

ლენძის მრეწველობაში წამყვანი კომპანიებია: ,,ასარკო“ - “Asarco”, ,,ჯენნეკოტი“ - ,,Kennecott, ,,ფილიპს დოჯი“ - ,,Philips Dodge”, ,,ანაკონდა“ - ,,Anaconda” და სხვ. სპილენძის წარმოებით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა - 1,4 მლნ ტ (2015 წ.). წარმოების დიდი ნაწილი მთიან შტატებზე (იუტა, მონტანა, კოლორადო, არიზონა და სხვ) მოდის, ხოლო ძირითადი ცენტრებია: სოტ-ლეიკი-სიტი, მორენსი, დუგლასი, ბიუტტი, ანნაკონდა და სხვ.

ალუმინის მრეწველობა განვითარებულია შემოტანილ (იამაიკიდან, გვინეიდან, გაიანიდან) ნედლეულზე, რომელიც ორიენტირებულია იაფი ელექტროენრეგიის რაიონებში. ბოლო პერიოდამდე ალუმინის პროდუქციის წარმოებით პირველ ადგილზე იყო (5,6 მლნ ტ 1995 წ.), მაგრამ უკანასკნელ წლებში მისი მასშტაბები შესამჩნევად მცირდება (2012 წ - 2,0 მლნ ტ, 2016 წ - 840 ათასი ტ). პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებენ მთავარი კომპანიები - ,,ალკოა“ - ,,Alcoa”, ,,რეინალდო მეტალსი“ - ,,Reynaldo Metals”, ,,კაიზერ ალუმინიუმ ენდ ქემიქალ“ - ,,Kaiser Aluminium and Chemical” და სხვ. ალუმინის მრეწველობა ძირითადად განლაგებულია წყნარი ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ცენტრალურ შტატებში. მთავარი ცენტრებია: ლიტ-როკი, შალმოტი, სპოკანი, უენტჩი, პორტლენდი და სხვ.

ტყვია-თუთიის მრეწველობა ძირითადად განვითებულია მთიან შტატებში (ტყვია - 1,4 მლნ ტ, თუთია - 363 ათასი ტ). ძირითადი ცენტრებია: სოტ-ლეიკ-ისიტი, დუგლასი, სპოკანი და სხვ. განვითარებულია ძვირფასი ლითონების მოპოვებაც (ოქრო - 233 ტ, ვერცხლი - 1230 ტ, 2011 წ.). ოქროს მოპოვების ძირითადი რაიონია ალასკა. შედარებით სუსტადაა განვითარებული ნიკელის და კალის მრეწველობა.

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება აშშ-ის მრეწველობის ძირითადი სპეზიალიზაციის დარგია. მასში დასაქმებულია სამრეწველო პერსონალის 2/5 ნაწილი და იძლევა სამრეწველო პროდუქციის 50%-ზე მეტს. მანქანათმშენებლობა გამოირჩევა მაღალი მეცნიერებატევადობით, წარმოებული პროდუქციის მასშტაბებითა და კონცენტერციის მაღალი დონით.

მანქანათმშენებლობის მთავარი დარგი სატრანსპორტო მანაქანათმშენებლობაა, ხოლო სატრანსპორტო მანქანათმშენებლობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საავტომობილო მანქანათმშენებლობა, სადაც დასაქმებულია 12-13 მლნ კაცი, ანუ სამრეწველო პერსონალის 1/6 ნაწილი. საავტომობილო მანქანათმშენებლობაში წამყვანი პოზიციები უკავია სამ უმსხვილეს კომპანიას: ,,ჯენერალ მოტორსს“ - ,,General Motors”, ,,ფორდ-მოტორსს“ - ,,Ford Motors”, „კრაისლერს“ - ,,Chrysler”, რომლებიც აწარმოებენ დარგის პროდუქციის თითქმის 90%-ს. ავტომანქანების წარმოებით ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა (11,1 მლნ, 2017

წ.). საავტომობილო ქარხნები 26 შტატის თითქმის 150 ქალაქშია განლაგებული. ,,საავტომობილო“ შტატად რჩება მიჩიგანი, სადაც მდებარეობს ,,საავტომობილო“ დედაქალაქი დეტროიტი. სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია: ფლინტი, (,,კადილაკი“, ,,პლიმუტი“), პონტიაკი, ტოლიდო, ჩიკაგო, ქლევლინდი, ბუფალო, (,,შევროლე“, ,,ბიუკოკი“) და სხვ. ამერიკული საავტომობილო კომპანიები მუშაობენ სხვა ქვეყნებში, მათ შორის ევროპაში და იაპონიასთან ერთად.

მსოფლიო მნიშვნელობა აქვს საავიაციო მრეწველობას. აწარმოებს ყველა სახის სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების საფრენ აპარატებს. აშშ ითვლება საავიაციო ტრანსპორტის განვითარების სამშობლოდ. 1903 წელს შექმნეს პირველი შიგაწვის თვითმფრინავი (ძმებმა რაიტებმა მსოფლიოში პირველად ადამიანის მიერ მართული შიგაწვის ძრავიანი თვითმფრინავით განახორციელეს 4 წუთიანი ფრენა) . დარგში წამყვანი კომპანიებია - ,,მაკდონელ დუგლასი“ - ,,McDonnell Douglas”, ,,ბოინგი“ - ,,Boeing”, ,,ლოქჰიდი“ - ,,Lockheed”, ,,ნორთროფი“ - ,,Northrop”, ,,ჯენერალ დინამიკსი“ - ,,General Dynamics” და სხვ. საავიაციო მანქანათმშენებლობის ძირითადი რაიონია წყნაროკეანური და სამხრეთ-დასავლეთ ცენტრის შტატები. უმსხვილესი ცენტრია სიეტლი, სადაც მდებარეობს კომპანია „ბოინგის“ კომპლექსები. კომპანია ,,ბოინგი“ აკონტროლებს მსოფლიოს საავიაციო ავტოპარკის 50%-ზე მეტს. სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია სან-ფრანცისკო, სან-დიეგო, უიჩიტო, დალასი და სხვ.

გემთმშენებლობა კონკურენციის პირობებში სერიოზულ კრიზისს განიცდის და ბევრად ჩამორჩება სხვა განვითებულ ქვეყნებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გემთმშენებლობამ დაკარგა საერთაშორისო მნიშვნელობა. საშუალო წლიური წარმოება არ აღემატება 180 ათასს ბრუტ. რეგ. ტ-ას. გამოირჩევა სამხედრო დანიშნულების (ატომური წყალქვეშა, ნავების, ავიამზიდების) გემების წარმოებით. გემთმშენებლობის ცენტრები განლაგებულია ატლანტიის (ნორფოლკი, ნიუ-პორტ-ჰიესი), მექსიკის უბის (მობილი), წყნარი ოკეანისა (სან-ფრანცისკო) და დიდი ტბების სანაპიროებზე.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სხვა დარგებიდან გამოირჩევა თბომავლების, ელმავლების და მოტოციკლეტების წარმოებით. პროდუქციის დიდი ნაწილი გადის ექსპორტში.

ელექტროტექნიკური და ელექტრონული მრეწველობა აწარმოებს, როგორც სამრწეველო, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქციას. წარმოება გამოირჩევა კონცენტრაციის მაღალი დონით, კერძოდ, პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებენ უმსხვილესი კომპანიები ,,ინთერნეიშენალ ბიზნეს მეშინს“ - ,,International Business Machines”, ,,იბმ“-,, International Business Machines Corporation“ და ,,მაიკროსოფტი“ - ,,Microsoft”. ,,იბმ“-ის ელექტროგამოთვლითი მანქნები

აკონტროლებს მსოფლიო ბაზარს. ბოლო წლებში განსაკუთრებით დაწინაურდა კომპანია ,,მაიკროსოფტი“, რომელიც მსოფლიოში გამოირჩევა კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფით და პროდუქციის წარმოებით. საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის (ტელევიზორების, მაგნიტოფონების, რადიომიმღებების, მაცივრების, მტვერსასრუტების და სხვ.) წარმოება დიდ კონკურეციას განიცდის, როგორც შიდა, ისე მსოფლიო ბაზარზე. ელექტროტექნიკური და ელექტრონული მანქანათმშენებლობების დაახლოებით 1/5 ნაწილი მოდის სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე. დარგის უმსხვილესი ცენტრებია: ჩიკაგო, ლოს-ანჟელესი, ნიუ-ორკი, ბოსტონი, პიტსტბურგი, ფილადელფია, ოლბანი, დალასი, ფორტ-უერტი და სხვ.

საერთო მანქანათმშენებლობის მთავარი ქვედარგი ჩარხმშენებლობაა. აშშ პროგრამული და მართვადი ჩარხების წარმოებით მსოფლიოში (გერმანიის და იაპონიის შემდეგ) მესამე ადგილზეა. ჩარხმშენებლობის მთავარი ცენტრებია - კლევლანდი, დეტროიტი, მიულიკი, ჩიკაგო და სხვ. დიდი მნიშვენელობა ენიჭება სამთომადნო, მეტალურგიის, საგზაო, სამშენებლო, კვების და საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების წარმოებას. აღნიშნული პროდუქცია იწარმოება ძირითადად ,,სამრეწველო სარტყელში“. საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას. დარგის წამყვანი კომპანიებია: ,,ინთერნეიშენალ ჰარვესთერ“ – “International Harvester”, ,,დირ ენდ კ“ და ,,კატერპილარი“ – “Caterpillar”. აშშ საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებს 106 ათას ტრაქტორს, 7 ათას მარცვლის ასაღებ კომბაინს და ფართო დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. დარგის ძირითადი ცენტრებია: პიორინი, დევენპორტი, მილუიკი, ჩიკაგო, მემფოსი და სხვ.

ქიმიური მრეწველობა აშშ-ის მძიმე ინდუსტრიის განსაკუთრებული დარგია, რომელიც მეურნეობაში მანქანათმშენებლობასთან ერთად მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განსაზღვრავს. ქიმიური მრეწველობის პროდუქციის მოცულობით აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა, ხოლო ექსპორტით გერმანიის შემდეგ მეორეზე. ქიმიური მრეწველობის პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებენ მსხვილი კომპანიები: ,,დიუპონ დე ნემური“ - ,,Dupont de Nemour”, ,,დოუ ქემიკლი“ - ,,Dow Chemical”, ,,იუნიონ კარბიდი“ - ,,Union Carbide”, ,,მონსანტო“ - ,,Monsanto” და სხვ.

აწარმოებს თანამედროვე ქიმიის ყველა პროდუქციას, რომლის მასშტაბები საერთაშორისო მნიშვნელობისაა. დიდი რაოდენობით იწარმოება პოლიმერები (პლასტმასები და სინთეზური ფისები - 42,0 მლნ ტ, ქიმიური ბოჭკოები - 3,8 მლნ ტ სინთეზური კაუჩუკი - 2,7 მლნ ტ), ქიმიკატები (მინერალური სასუქები - 27,3 მლნ ტ), საღებავები, კინოფოტომასალები, საყოფაცხოვრებო ქიმიის

პროდუქცია (სარეცხი საშუალებები, კოსმეტიკა), ფარმაცევტული, ორგანული და არაორგანული ქიმიის პროდუქცია.

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის 1/2 ნაწილი იწარმოება ჩრდილოეთის შტატებში, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მეტალურგიასთან, ავტომშენებლობასთან, საფეიქრო მრეწველობასთან, სოფლის მეურნეობასთან და სხვა დარგებთან. ჩრდილოეთში ქიმიური მრეწველობის განვითარებით განსაკუთრებით გამოირჩევა ნიუ-ჯერსის, ოჰაიოს, ნიუ-იორკის, პენსელვანიის და მიჩიგანის შტატები. მთავარი ცენტერებია: ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბოსტონი, ჩიკაგო და სხვ. ქიმიური მრეწველობის მეორე რაიონია მექსიკის უბის სანაპირო (ტეხასისა და ლუიზიანას შტატები); აქ ძირითადად დომინირებს ნავთობქიმია, მთავარი ცენტრებია: ჰიუსტონი, ბოგანტი, პორტ-არტური, ბატეგ-რეუი და სხვ. ენერგოტევადი ქიმია (მინერალური სასუქების, ასაფეთქებელი ნივთიერებების, ხელოვნური ბოჭკოების, კალციუმის კარბიდი და სხვ.) განვითარებულია მდ. ტენისის ხეობაში.

ხე-ტყის მრეწველობა ერთ-ერთი კარგად განვითარებული დარგია, რომელიც უპირატესად საკუთარ მერქნის რესურსებს ეფუძნება. მერქნის დამზადებით (საშუალოდ 470-520 მლნ $მ^3$) და პროდუქციის წარმოებით (ნახერხი მასალა - 110 მლნ $მ^3$ ცელულოზა - 64 მლნ ტ, ქაღალდი და მუყაო 72 მლნ ტ) მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ხე-ტყის მრეწველობა ძირითადად განვითარებულია წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთით (ვაშინგტონის, ორეგონის შტატებში – სიეტლი, ტაკოგა, ლონგვიუ, პორტლენდი) და ჩრდილო-აღმოსავლეთ ცენტრებში (ვისკონსის შტატი – უოსო, გრეი-ბეი).

უმდიდრესია მრავალფეროვანი მინერალური სამშენებლო ნედლეულით, რაც ყველა სახის სამშენებლო პროდუქციის წარმოებისათვის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. განსაკუთრებით გამოირჩევა თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციების და სამშენებლო მასალების წარმოება. მრეწველობის საწარმოები ქვეყნის ყველა რაიონშია განლაგებული. საქალაქო განსახლება და არქიტექტურული სტილი, საკომუნიკაციო და სამეურნეო ნაგებობანი წარმოადგენენ თანამედროვე საოცრებებს. მაღალი შენეობებიდან აღსანიშნავია ,,სირს ტაუერი" (ჩიკაგო), სიმაღლე - 442 მ, ტელეანძა ,,ფარგო" (ჩრდილო დაკოდაში - 631 მ, ლოს-ანჟელესის დაკიდული ხიდი - „ოქროს ჭიშკარი", სიგრძე 1280 მ და სხვ.

კვების მრეწველობა მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი სპეციალიზაციის დარგია. მასში 1,1 მლნ. კაცია დასაქმებული, ხოლო პროდუქციის მოცულობით ახლოს დგას ქიმიურ მრეწველობასთან და გაცილებით აღემატება მსუბუქ მრეწველობას. კვების მრეწველობა უზრუნველყოფილია მდიდარი სანედლეულო

ბაზით და აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კვების მრეწველობის თითქმის ყველა დარგს გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობა. იგი გამოირჩევა წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონით. პროდუქციის დიდ ნაწილს აწარმოებს უმსხვილესი კომპანიები: ხორცის კონსერვების - ,,არმორი" - ,,Armor", ,,ესმარკი" - ,,Esmark", ,,ამერიკა ბიფ ბეკერსი" - ,,America Beef Bakers", რძის - ,,ნეიშნლ დეირი" - ,,National Dairy", ,,ბორდენი" - ,,Borden", უალკოჰოლო სასმელების - ,,კოკა-კოლა" - ,,Coca-Cola" ,,პეპსი-კოლა" - Pepsi-Cola", კვების პროდუქტების ნახევარფაბრიკატების - ,,მაკდონალდსი" - ,, McDonald's", სიგარეტის - ,,ფილლიპ მორისი" - "Philip Morris", „კენტი" და სხვ.

კვების პროდუქციის თითქმის 60%-ს იძლევა ჩრდილოეთი, 25%-ს - სამხრეთი და 15%-ს - დასავლეთი. ადრე ხორცის მრეწველობის უმსხვილესი ცენტრები იყო ჩიკაგო, ბოლო წლებში დარგი მიუახლოვდა მეცხოველეობის რაიონებს, სადაც დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით შეიქმნა ახალი ცენტრები - სენტ-პოლი, ოგახა, კანზას-სიტი, სენტ-ლუისი, ოკლაჰომა-სიტი, დენვერი და სხვ.

დასავლეთი შტატები ვისკონსი და მინესოტა წარმოადგენენ ,,რძის სარტყელს", სადაც იწარმოება დიდი რაოდენობით კარაქი, ყველი და სხვა რძის პროდუქტები. პურ-ბურღულეულის მრეწველობა ძირითადად განვითარებულია ხორბლის წარმოების რაიონებში (კანზასი, ნებრასკა, ოკლაჰომა, მონტანა, ტეხასი, ვაშინგტონი). ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოებით გამოირჩევა კალიფორნიისა და ფლორიდის შტატები. შაქრის მრეწველობა განვითარებულია ფლორიდაში და ჰავაის კუნძულებზე, ხოლო იმპორტულ შაქრის ნედლეულზე - საპორტო ქალაქებში - ნიუ-ორკში, ფილადელფიაში, ახალ ორლეანში, სან-ფრანცისკოში და სხვ. ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები იწარმოება თითქმის ყველა რეგიონში. სიგარეტის მრეწველობა წარმოდგენილია ვირჯინიასა და ჩრდილო კაროლინის შტატებში, მთავარი ცენტრებია: უისტონ-სეილემი, დერემი და რიჩმედი.

მეტ-ნაკლებადაა განვითარებული კვების მრეწველობის სხვა დარგები. საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებს 48 მლნ ტ მცენარეულ ზეთს, 7,7 მლნ ტ შაქარს, 21 მლნ ტ კონსერვს, 602 ათას ტ ცხოველურ კარაქს, 3,4 მლნ ტ მარგარინის პროდუქტს, 19 მლნ ჰექტოლიტრ ღვინოს, 22,5 მლნ ჰექტოლიტრ ლუდს, 780 მლრდ ცალ სიგარეტს, 6,5 მლნ ტ საკონდიტრო და სხვა პროდუქციას.

მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან დასაქმებულთა რაოდენობით და პროდუქციის მოცულობით დომინირებს სამკერვალო მრეწველობა. ადრე სამკერვალო მრეწველობა ძირითადად განვითარებული იყო ჩრდილოეთში (1947 წ. 4/5 ნაწილი), მაგრამ ბოლო წლებში წარმოება იაფი ქალთა მუშახელის და სანედ-

ლეულო ბაზასთან სიახლოვის გამო, გადმოინაცვლა სამხრეთ შტატებში და პროდუქციის წარმოებით გაუსწრო ჩრდილოეთს. შესაბამისად ამაღლდა დარგის განვითარების დონე დასავლეთშიც.

აწარმოებს ყველა სახის სამკერვალო პროდუქციას, რომლის დიდი ნაწილი ძვირადღირებულ ნაწარმზე მოდის. უმსხვილესი ცენტრებია: ნიუ-იორკი, ბოსტონი, შარლოტა, გრინვილდი, მემფისი და სხვ. ამასთან, სამკერვალო პროდუქციის დიდი ნაწილი იწარმოება ეროვნულ საზღვრებს გარეთ, ძირითადად, მექსიკაში, პუერტო-რიკოში, ფილიპინებში და სხვა განვითარებად ქვეყნებში.

საფეიქრო მრეწველობა ბოლო წლებში გარკვეულ კრიზისში აღმოჩნდა, რადგან პროდუქციის წარმოების დიდი ნაწილი მოდიოდა სინთეზურ ქსოვილებზე, რამაც გამოიწვია ბაზარზე მისი მოთხოვნილებების შემცირება. პრობლემის გადაჭრის მიზნით უპირატესობა მიენიჭა ნატურალურ ნედლეულზე დამზადებულ ქსოვილებს. ყველა სახის ქსოვილების წარმოება დაახლოებით შეადგენს 12,3 მლრდ m^2 (პირველ ადგილზეა აბრეშუმის ქსოვილების 9,7 მლრდ m^2 წარმოებით, პროდუქციის დიდი ნაწილი მოდის სინთეზურ ნედლეულზე). საკუთარ ნედლეულზე კარგადაა განვითარებული ბამბეულის (2,4 მლრდ m^2), შედარებით სუსტად შალეულის (136 მლნ m^2) მრეწველობა. ადრე საფეიქრო მრეწველობა ძირითადად განვითარებული იყო ჩრდილო-ატლანტურ შტატებში. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან საფეიქრო მრეწველობამ გადმოინაცვლა სამხრეთ-ატლანტურ შტატებში, რომელიც მიუახლოვდა სანედლეულო ბაზებს, იაფ მუშახელსა და გასაღებ ბაზრებს. შეიქმნა ახალი ცენტრები (გრინსბორო, გრინვილი, კოლუმბისი, შარლოტა და სხვ.). დასავლეთში საფეიქრო მრეწველობა შედარებით კარგადაა განვითარებული კალიფორნიის შტატში.

ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობიდან საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ტყავის მრეწველობას. ფეხსაცმლის მრეწველობის წარმოების მასშტაბები თითქმის 3-ჯერ შემცირდა (1970 წ. 562 მლნ, 1995 წ. 245 მლნ, 2010 წ. 195 მლნ წყვილი), ხოლო იმპორტით პირველ ადგილზეა 2,2 მლრდ წყვილი. ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა ძირითადად განვითარებულია ახალ ინგლისში (პორტლენდი, მანჩესტერი, ლორეს-ჰეირვილდი) და ჩრდილო-აღმოსავლეთ ცენტრში (ჩიკაგო). საკმაოდ კარგადაა განვითარებული ტრიკოტაჟის და საგალანტერიო მრეწველობა.

სოფლის მეურნეობა

აშშ უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი მაჩვენებლები განპირობებულია მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური რესურსებით, ინტენსიფიკაციის განსაკუთრებული

დონით, დარგთაშორისი კავშირებით, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მაღალი დონით, შიდა ბაზრის დიდი ტევადობით, ექსპორტის მაღალი მასშ-ტაბებით და სხვა ფაქტორებით. სოფლის მეურნეობაში 1,2 მლნ კაცია დასაქ-მებული (მთელი დასაქმებული მოსახლეობის 0,7%), იძლევა მშპ-ის მხოლოდ 0,9%, ქვეყნის ექსპორტის დაახლოებით 9-10%-ს და მსოფლიოს სასოფლო-სა-მეურნეო პროდუქციის ბაზრის 15%-ს.

მიწის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარ-გულებს უჭირავს 426,9 მლნ ჰექტარი (მთელი ტერიტორიის 44,5%), მათ შორის 16,8% - სახნავია, 0,3% - მრავალწლიანი ნარგავები, 27,4% - საძოვრები (2018 წ.). სარწყავი მიწების რაოდენობით (22,3 მლნ ჰა) მსოფლიოში მესამე ადგილი უჭირავს. მიწების 2/3 ნაწილი კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი სახელმწიფოსი (ძირითადად მთიან შტატებში). ქვეყანაში დაჩქარებული ტემპით მცირდება წვრილი ფერმერების რაოდენობა. 1930 წელს იყო 6,5 მლნ, 1970 წელს - 3,8 მლნ, 1990 წელს - 2,1 მლნ, 2015 წელს - დაახლოებით 1,6 მლნ ფერმერი. კერძო მიწების 1/2 ნაწილი მსხვილ ფერმერთა ხელშია და მათზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 80%. ერთი ფერმერი საშუალოდ ფლობს 185 ჰა-მდე მიწას. ჭარბობს საოჯახო ფერმები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოე-ბის 90%-ს შეადგენენ და იძლევიან სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 93%-ს. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 2/3 ნაწილი მეცხოველეობაზე მოდის.

მეცხოველეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობაა (93,5 მლნ სული, 2017 წ. მეოთხე ადგილი). მესაქონლეობა იძლევა მეცხოველეობის მთელი პროდუქციის 50%-ზე მეტს. მთავარია სახორცე მესაქონლეობა, რომელიც ძირითადად განვი-თარებულია მთიან და მიმდებარე წყნაროკეანურ შტატებში, აგრეთვე, ტეხასის შტატში. ადრე პირუტყვის დიდი ნაწილი ბუნებრივ საძოვრებზე, მსხვილ მეცხოველეობის რანჩოებში იზრდებოდა, ამჟამად ფართოდაა გავრცელებული პირუტყვის გადარეკვა ერთი შემოფარგლული საძოვრიდან მეორეში. რანჩოს შემდეგ ხბო გადაჰყავთ საშემოდგომო ხორბლის სარტყელში, ბოლოს კი სიმინ-დის სარტყელში, გამოსაკვებად და დასაკლავად. ამასთან, დიდი ქალაქების ახლოს შექმნილია ე.წ. ,,ხორცის ფაბრიკები”, სადაც პირუტყვი იკვებება არა სა-ძოვრებზე, არამედ ღია ცის ქვეშ მოწყობილ თავშესაფარში, სადაც 200-250 პი-რუტყვი ავტომატიკის გამოყენებით იკვებება. სარძევე მესაქონლეობა განვითა-რებულია სპეციალიზებულ ფერმებში, საგარეუბნო და ზომიერი სარტყლის ტყის ზონებში (საშუალო წველადობა წელიწადში - 5600 ლიტრი). სარძევე მესა-ქონლეობა, ანუ ,,რძის სარტყელი” ჩამოყალიბებულია დიდი ტბების რაიონებში

ვისკონსის, მინესოტასა და ილინოისის შტატებში. სარძევე მესაქონლეობით ასევე გამოირჩევა ნიუ-იორკის და კალიფორნიის შტატებიც.

მეცხოველოების მეორე დარგი მეღორეობაა. საერთო სულადობა 68,7 მლნ (2017 წ.) და ამ მაჩვენებლით ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა. მეღორეობა კონცენტრირებულია სიმინდი-სოიოს ზონაში. 1/4 ნაწილი თავმოყრილია აიოვას შტატში. აშშ ძირითადად დასპეციალიზებულია სახორცე ჯიშის ღორების მოშენებაზე.

მეცხოველეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მეფრინველეობა, განსაკუთრებით საბროილერო მეურნეობა, რომელიც ითვალისწინებს ინკუბატორებისა და სხვა დამხმარე მეურნეობის განვითარებას. გამოჩეკილი წიწილები გადაჰყავთ მეფრინველეობის ფერმებში, ხოლო შვიდი კვირის შემდეგ მეფრინველეობის ფაბრიკებში, სადაც ხდება დაკვლა, გაყინვა და შეფუთვა. ყოველწლიურად საშუალოდ 5,5 მილიარდზე მეტ ბროილერს აწარმოებენ. მეფრინველეობა ძირითადად განვითარებულია სამხრეთ-დასავლეთ ცენტრის შტატებში, განსაკუთრებით არკანზასის შტატში.

მეცხვარეობის სულადობა იმპორტული მატყლის კონკურენციის და სინთეზური ბოჭკოების გამოყენების გაზრდის შედეგად, თანდათანობით მცირდება (1950 წ. - 30,7 მლნ, 1995 წ. - 10,8 მლნ 2017 წ. -7,3 მლნ). მეცხვარეობა განვითარებულია მთიან შტატებში. საკუთარი მატყლი აკმაყოფილებს მოთხოვნილების მხოლოდ 2/5 ნაწილს.

სხვა შინაური ცხოველებიდან აშენებნ ცხენს, ფუტკარს, თუთის აბრეშუმხვევიას, წყალსაცავებში თევზს და სხვ. მისდევენ ძვირფასი ბეწვის მომცემი ცხოველების (ალას-კაზე) მოშენებასა და ნადირობას. თანდათანობით იზრდება (1950 წ. 2,6 მლნ ტ, 2012 წ. 5,6 მლნ ტ) თევზჭერა და ზღვის პროდუქტების მოპოვება. თევზჭერის დიდი ნაწილი მოდის წყნაროკეანის სანაპირო რაიონებში.

აშშ ხორცის წარმოებით (41 მლნ ტ, 2017 წ.) მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ მეორე, ხოლო რძის წარმოებით (91 მლნ ტ 2016 წ.) პირველ ადგილზეა. ხორცისა და რძის პროდუქტების დიდი ნაწილი გადის ექსპორტში.

მემცენარეობის მთავარი დარგი მარცვლეულის მეურნეობაა. მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს უჭირავს სახნავი მიწების 2/3 ნაწილი და იძლევა მემცენარეობის სასაქონლო პროდუქციის 70%-ზე მეტს. მარცვლეულის საერთო წარმოება შეადგენს 419,8 მლნ ტ (2016 წ.). მთავარი კულტურაა სიმინდი (353,7 მლნ ტ, პირველი ადგილი). სიმინდის სარტყელი მოიცავს ცენტრალური ვაკეების სამხრეთ ნაწილს (ძირითადად გავრცელებულია აიოვას, ილინოისის და ინდიანას შტატებში). სიმინდთან ერთად მოჰყავთ სოიო და პარკოსნები (73,6 მლნ ტ პირველი ადგილი მსოფლიოში), სადაც ჩამოყალიბებულია ,,სიმინდ-

სოიოს სარტყელი“. სოიო ფართოდ გამოიყენება მეცხოველეობის გამოსაკვებად. სიმინდის სარტყლის დასავლეთით განლაგებულია ხორბლის სარტყელი, რომელიც დიდი ვაკეების თანხვდენილია. დიდი ვაკეების ჩრდილო ნაწილში მოჰყავთ საშემოდგომო, ხოლო სამხრეთში საგაზაფხულო ხორბალი. ხორბლის ნათესები ასევე კონცენტრირებულია კოლუმბიის პლატოზე. ხორბლის საერთო წარმოება აღწევს 62,9 მლნ ტ (მეოთხე ადგილი).

ხორბლის ჩრდილოეთით მოჰყავთ ქერი (9,4 მლნ ტ.) და შვრია (3,2 მლნ ტ.). დიდი ვაკეების მშრალ სარტყელში - საკვები კულტურა სორგო. მექსიკისპირა დაბლობზე და მდ. მისისიპის ხეობაში (ლუიზიანას, არკანზასის, ტეხასის შტატებში), აგრეთვე, კალიფორნიაში მოჰყავთ ბრინჯი (9,9 მლნ ტ).

ტექნიკური კულტურებიდან ტრადიციული დარგია მებამბეობა, ხოლო ,,ბამბის სარტყელთან” დაკავშირებულია მთელი ამერიკის სამხრეთის ისტორია. პირველად ბამბის მოყვანა დაიწყეს სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატებში და იყენებდნენ ზანგი მონების და შემდეგ არენდატორების (კროპერების) შრომას. დროთა განმავლობაში ბამბის სარტყელმა გადაინაცვლა დასავლეთ ალაბამის, მისისიპისა და ტეხასის შტატებში. ომის შემდგომ ოდესღაც ცნობილმა ,,ბამბის სარტყელმა” შეწყვიტა არსებობა და ბამბის წარმოებამ გადაინაცვლა ტეხასის და სამხრეთ მთიანი შტატებისაკენ, სადაც სარწყავ მიწებზე გაჩნდა მაღალმწარმოებლური ,,ბამბის ფაბრიკები”. ბოლო წლებში ბამბის მოყვანა თანდათანობით იზრდება. 1950 წელს მოყვანილი იქნა 3,0 მლნ ტ, ხოლო 2018 წელს 3,6 მლნ ტ (მესამე ადგილი).

მეთამბაქოეობა განვითარებულია აპალაჩების რაიონის (ჩრ.კაროლინის, ვირჯინიის, კენტიუკის შტატებში) წვრილ ფერმერულ მეურნეობებში (საშუალოდ 0,9-1,1 მლნ ტ).

შაქრის ლერწამის პლანტაციები გავრცელებულია ფლორიდაში, ლუიზიანასა და ჰავაის კუნძულებზე. შაქრის ჭარხლის ნათესები კონცენტრირებულია კალიფორნიიდან და აიდაჰოდან ჩრდილო დაკოტამდე და მონესოტამდე (33,5 მლნ ტ, 2016 წ. მესამე ადგილი) დიდი ვაკეების ჩრდილოეთით, ზეთოვანი სელის შემცირების ხარჯზე, იზრდება მზესუმზირის ნათესები. არაქისი მოჰყავთ სამხრეთ შტატებში, განსაკუთრებით - ჯორჯიაში.

მაღალ დონეზეა განვითარებული მეხილეობა. მოჰყავთ ყველა სახის ხილი. კონტინენტური ხილი გავრცელებულია თითქმის ყველგან, მებაღეობის ერთ-ერთი ძირითადი რაიონია დიდი ტბების შტატები. სუბტროპიკული მეხილეობა (საშუალოდ 11,7 მლნ ტ). ძირითადად განვითარებულია კალიფორნიასა და ფლორიდაში, ხოლო ტროპიკული მეხილეობა - ფლორიდაში. აშშ დასავლეთ ნახევარსფეროში გამოირჩევა ყურძნის მოყვანით (საშუალოდ 4,8 მლნ ტ). მევე-

ნახეობის ძირითადი რაიონია კალიფორნიის შტატი. მებოსტნეობა მეტ-ნაკლებად ყველგანაა განვითარებული. ბოსტნეულის ნახევარზე მეტს იძლევა დასავლეთის შტატები, განსაკუთრებით კალიფორნია. აქ სარწყავ მიწებზე მოჰყავთ დიდი რაოდენობით პამიდორი და სხვა ბოსტნეული კულტურები. კარტოფილის (19,8 მლნ ტ, 2017 წ. მეხუთე ადგილი) ნათესები ძირითადად ოთხ შტატებშია განლაგებული: აიდაჰოში (სარწყავ მიწებზე), ვაშინგტონში, მენში და ჩრდილო დაკოტაში.

აშშ-ში სასოფლო სამეურნეო რაიონების ჩამოყალიბება დაიწყო XIX საუკუნის დასასრულს. დროთა განმავლობაში იქმნებოდა ვიწრო სპეციალიზაციის რაიონები, რომელთაც სარტყელებს უწოდებენ. თანამედროვე პერიოდში ჩამოყალიბებულია შემდეგი სარტყლები: რძის (ტბებისპირა და ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატებში), მეცხოველეობის (დიდი ვაკეების სამხრეთ ნაწილსა და მთინაი შტატების რაიონებში), სიმინდი-სოიოს (ცენტრალური ვაკეები), ხორბლის (დიდ ვაკეებზე), ბამბის (მდინარე მისისიპის ქვემო წელში), თამბაქოს (აპალაჩების რაიონები), მზესუმზირის (დიდი ვაკეების ჩრდილოეთით), მევენახეობის (კალიფორნია). სპეციალიზებულ რაიონებში მოჰყავთ შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი, ბრინჯი, ხილი, ბოსტნეული და სხვა კულტურები.

ტრანსპორტი

აშშ-ის ტრანსპორტი ხასიათდება ძალიან დიდი მასშტაბებით. ტრანსპორტის განვითარებაზე გავლენა იქონია ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ტერიტორიების განფენილობის სიდიდემ, საწარმოო ძალების განვითარების დონემ, წარმოების არათანაბარმა განლაგებამ, მგზავრთბრუნვის მაღალმა მაჩვენებელმა, საერთაშორისო და რაიონშორისი კავშირების ზრდამ და სხვა ფაქტორებმა.

აშშ-ის სატრანსპორტო სისტემისათვის დამახასიათებელია ტვირთანაკადების და მგზავრთნაკადების დიდი სიმძლავრე, გადაზიდვების დიდი სიშორე, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მიმოსვლების ინტენსიური განვითარება და ტექნიკური აღჭურვილობის მაღალი დონე. მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს სატრანსპორტო ქსელის საერთო სიგრძით (1/3 ნაწილი, მაგრამ ბევრ ქვეყანას ჩამორჩება გზების სიხშირით), ტვირთბრუნვის და მგზავრთბრუნვის (1/4 ნაწილი) მიხედვით.

აშშ-ში ტვირთბრუნვის მოცულობა საშუალოდ 26,7 ტრილიონ ტ/კმ, ხოლო მგზავრთბრუნვა 9,8 ტრილიონი მგზ/კმ-ს შეადგენს. ტვირთბრუნვის 32% მოდის სარკინიგზოზე, 24,5% - საავტომობილოზე, 18% - საზღვაოზე, 14% - მილსადენ-

ზე, 11% - შიდაწყლებზე და 0,5% - საავიაციოზე. მგზავრთბრუნვის – 82% მოდის საავტომობილოზე, 17,5% - საავიაციოზე, და 0,5% - სარკინიგზოზე.

ტრანსპორტის სახეებიდან განსაკუთრებული ადგილი საავტომობილო ტრანსპორტს უჭირავს. აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა საავტომობილო გზების საერთო სიგრძით (6,6 მლნ კმ, 2018 წ., მათ შორის მყარი საფარითაა დაფარული 4,3 მლნ კმ) და ავტომობილიზაციის დონით. ავტოპარკი აერთიანებს 255 მლნ-ზე მეტ ავტომანქანას (მსოფლიო ავტოპარკის 2/5 ნაწილი). აქ ყოველ 1000 კაცზე 797-მდე ავტომანქანა მოდის (მესამე ადგილი). ქვეყნის ავტოგზების დიდ ნაწილს წარმოადგენს ავტოსტრადები (78 ათასი კმ.), რომლებიც წარმოდგენილია ორმხრივი მოძრაობის ხაზებით. 25 ათასი დასახელებული პუნქტი მთლიანად დამოკიდებულია ავტოტრანსპორტზე, რადგან იქ ტრანსპორტის სხვა სახე არ არის განვითარებული.

აშშ-ის ისტორიულ განვითარებაზე უდიდესი როლი შეასრულა სარკინიგზო ტრანსპორტმა. პირველი სარკინიგზო ხაზი გაყვანილი იქნა 1830 წელს, ხოლო მსოფლიოში პირველი ტრანსკონტინენტური ხაზი ნიუ-ორკი - სან-ფრაცისკო (4246 კმ) საექსპლუატაციოდ გადაეცა 1869 წელს. სარკინიგზო ტრანსპორტი განსაკუთრებით განვითარდა XX საუკუნის დასაწყისში. ბოლო წლებში კონკურენციის გამო, თანდათანობით მცირდება სარკინიგზო ხაზის სიგრძე (1913 წ.- 413 ათასი კმ, 2018 წ. -293,6 ათასი კმ, მათ შორის ელექტრიფიცირებულია მხოლოდ 1%), პირველ რიგში მოხდა პარალელური ხაზების ლიკვიდაცია. თანდათანობით შეინიშნება სარკინიგზო ტრანსპორზე ტვირთბრუნვის და მგზავრთბრუნვის შემცირების ტენდენციები. ბოლო წლებში სარკინიგზო ტრანსპორტი ახორციელებს არა ტრადიციულ ტვირთბრუნვას, არამედ კონტეინერულ გადაზიდვებს.

ტრანსპორტის შედარებით ახალი სახეა მილსადენი ტრანსპორტი, რომლის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. მილსადენი ხაზების სიგრძით (გაზსადენები -1,98 მლნ კმ, ნავთობსადენები - 240,7 ათასი კმ 2018 წ.) პირველ ადილზეა. მილსადენი ხაზების კონფიგურაციისათვის დამახასიათებელია ,,დიაგონალური" მიმართულება, რადგანაც ის აკავშირებს სამხრეთ-დასავლეთ ცენტრის ნავთობმომპოვებელ რაიონებს, ჩრდილო-აღმოსავლეთის ნავთობის მოხმარების რაიონებთან. გაზსადენებიდან მნიშვნელოვანია: ბორგერი - ნიუ-ორკი, ჰიუსტონი-ჩიკაგო, ხოლო ნავთობსადენებიდან პროდჰო-ბეი - ვალდიზი, კატონ-რეჟი - ტოლიდო და სხვ.

აშშ უდიდესი საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ გემების რაოდენობა თანდათანობით მცირდება (1997 წ. - 5260, 2018 წ. - 3611), რადგან გემების 2/3 ნაწილი ცურავს ,,გამოსადეგი დროშის" ქვეშ. საზღვაო ფლოტის ტონაჟი 11, 7 მლნ ბრუტ. რეგ. ტ.

საზღვაო პორტები ძირითადად ემსახურება ქვეყნის საგარეო ვაჭრობას. უდიდესი საზღვაო პორტებია: სენტ-დჟონ-ტე-ბაპტისტი (ფილადელფია -216,5 მლნ ტ, ჰიუსტონი - 208,0 მლნ ტ, ახალი ორლეანი - 175 მლნ ტ, ნიუ-იორკი - 111,9 მლნ ტ, ბომონტი - 85,6 მლნ ტ და სხვ.

შიდა წყლის ტრანსპორტი ყველა დროში უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის სანაპირო რაიონების შიდა კონტინენტურ ნაწილებთან დაკავშირებაში. შიდა წყლის ტრანსპორტის ფუნქციონირებას ხელს უწყობს მდინარეებისა და ტბების სიჭარბე, აგრეთვე, მთელი წლის განმავლობაში ნავიგაციის შესაძლებლობა. შიდა სანაოსნო გზების სიგრძე 41,1 ათასი კმ-ია. მთავარი სანაოსნო მდინარეა მისისიპი და მისი შენაკადები. მდინარე მისისიპის სისტემა მოიცავს 31 შტატს, აპალაჩებიდან კლდოვან მთებამდე. ამ მიმართულებით ყოველწლიურად გადაიტანება 480 მლნ ტ-ზე მეტი ტვირთი. განსაკუთრებით მეტი ტვირთბრუნვა მისისიპის შენაკდებზე - ოჰაიოსა და ტენესზე მოდის. ყოველწლიურად 100 მლნ ტ ტვირთი გადააქვთ მსოფლიოში ყველაზე გრძელი სანაპირო არხის საშუალებით, რომელიც გადის ატლანტის ოკეანესა და მექსიკის ყურის სანაპიროს გასწვრივ. მისისიპზე მნიშვნელოვანი სამდინარო ნავსადგურებია: მემფისი, სანტ-ლუისი, ლესვილი და სხვ. ნაოსნობა ასევე ხდება წმინდა ლავრენტზე კოლორადოს ქვემო წელში, რიო-გრანდიზე და სხვა მდინარეებზე. შიდა ნაოსნობის მაღალი მაჩვენებლებია დიდი ტბების რაიონებში. აქ მნიშვნელოვანი პორტებია: ჩიკაგო, დეტროიტი და კლივლენდი.

აშშ-ში საჰაერო ტრანსპორტის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება, რომელიც დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო და შიდა მგზავრთბრუნვაში. უმსხვილესი აეროპორტებია: ატლანტა - 101,5 მლნ, ჩიკაგოს ,,ო ჰარას" - 76,9 მლნ, ლოს-ანჟელესი - 74,9 მლნ, დალასი - 64,1 მლნ, ნიუ-იორკი - 56,8 მლნ (2015 წ.). უდიდესი ავიაკომპანიებია: ,,იუნაითედ ერლაინსი"(წელიწადში გადაყავს 80 მლნ მგზავრი), ,,დელტა ერლაინსი" (70 მლნ მგზავრი) და ,,ამერიკა ერლაინსი" (65 მლნ მგზავრი).

ფართოდ გამოიყენება ელექტრო ტრანსპორტი. ბევრგან არის საბაგირო გზები, განსაკუთრებით მთიან შტატებში. მგზავრთა გადაყვანაში დიდ როლს ასრულებს მეტროპოლიტენები. ნიუ-ორკის მეტროპოლიტენი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი (1902 წ.) და ყველაზე გრძელია (392,1 კმ.), რომელსაც გააჩნია 471 სადგური.

ტურიზმი

აშშ მსოფლიოში ტურიზმის განვითარებით საფრანგეთის და ესპანეთის შემდეგ მესამე ადგილზეა. 2017 წელს ტურისტების რაოდენობამ 79,2 მლნ,

ხოლო შემოსავლებმა 135 მილიარდი დოლარი შეადგენდა. ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს მრავალფეროვანი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, დემოკრატიის მაღალი ხარისხი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე და სხვა ფაქტორები. ქვეყანა გამორჩეულია ტურისტული ინდუსტრიის განვითარებით და ტურიზმის სფეროში გაწეული ხარჯების მოცულობითაც. აშშ-ში სხვა ქვეყნებთან მიმართებით განვითარებულია ძვირადღირებული ტურიზმი. თუ მსოფლიოში საშუალოდ ერთი ტურისტი ხარჯავს 700-800 დოლარს, აშშ-ში 1250 დოლარია. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები, ზღვის სანაპირო, თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობები, მუზეუმები, კულტურული ცენტრები, საგამოფენო ცენტრები, ფინანსური ბირჟები, თემატური პარკები და სხვ. განვითარებულია თანამედროვე ტურიზმის ყველა სახე, მათ შორის წამყვანია შემეცნებითი, საზღვაო, ეკოტურიზმი, საგანმანათლებლო, სამედიცინო, სათამაშო და სხვ.

ტურიზმის უმსხვილესი ცენტრია ნიუ-იორკი, სადაც ყოველწლიურად 40 მილიონი უცხოელი და შიდა ტურისტი შედის. მთავარ ღირსშესანიშნაობათა შორისაა სავიზიტო ბარათი - თავისუფლების ქანდაკება (1885 წელს აჩუქა საფრანგეთმა, გაიხსნა 1886 წელს), ემპაია სტეიტ ბიდლინგი, ელის აილენდი, ცენტრალური პარკი, მუზეუმები (მეტროპოლიტენის მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების ამსახველი მუზეუმი, ეთნიკური მუზეუმი), როკფელერის ცენტრი, ტაიმს-სქვერი, ბრონქსის ზოოპარკი, ნიუ-იორკის ბოტანიკური ბაღი, გაეროს შტაბ-ბინა, ნიუ-იორკის საფონდე ბირჟა; მრავალი ეთნიკური უბნები (ჩინური კვარტალი „ჩაინატაუნი“, ჯოკსონ-ჰაიტსი, გლაშინგი, ბრაიტონ-ბიჩი) მდიდრების უბანი - მანჰეტენი, ღარიბების უბანი - ჰარლემი; ბრუკლინის ცნობილი ხიდი (2 კმ, მანჰეტენს აერთებს ლონგ აილენდთან).

ტურიზმის მეორე მნიშვნელოვანი რეგიონია ფლორიდის შტატი, მაიამის წამყვანი როლით, სადაც კარგადაა განვითარებული საზღვაო და სათამაშო ტურიზმი. რეგიონში არის ცნობილი სასტუმროები, კაზინოები, საოჯახო დასვენების უნიკალური ცენტრი „დისნეის სამყარო“. ფლორიდის სამხრეთ ნაწილში გაშენებულია ეროვნული პარკი „ევერგლედსი“

დიდი ტბების რაიონი ძირითადად გამოირჩევა შემეცნებითი ტურიზმით. აქ არის ცნობილი ნიაგარის ჩანჩქერი, რომელსაც მილიონობით ტურისტი ნახულობს. მთავარი ტურისტული ცენტრია ჩიკაგო, სადაც არის ცნობილი ბირჟებისა და კორპორაციების შტაბ-ბინები, ცათამბრჯენები „ბურღულის ყუთები“, ასწლეულების პარკი - „გრანდ პარკი“ და სხვ.

მნიშვნელოვანი ტურისტული რეგიონია კალიფორნიის შტატი. მთავარი ღირსშესანიშნაობებია: ჰოლივუდი კინოს, ტელევიზიისა და რადიოს ლეგენდარული ქალაქი, ბევერლი-ჰილზი მდიდრებისა და კინოვარსკვლავების კერძო ვილების რაიონი, დისნეილენდი - 60 ატრაქციონის შემცველი პარკი, „ოქროს კარიბჭის“ ხიდი, სექჰოიას ეროვნული პარკი (გაიხსნა 1890 წელს), სან-ფრანცისკო არის სექსუალური უმცირესობათა მოძრაობის სამშობლო და მსოფლიო დედაქალაქი.

ეკოტურიზმი განვითარებულია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. აღსანიშნავია „იელოუსტონის ნაციონალური პარკი“ (პირველი დაცული ტერიტორია მსოფლიოში, რომელიც 1872 წელს გაიხსნა), კოლორადოს კანიონის ლანდშაფტები „სიკვდილის ხეობა“(დედამიწაზე ერთ-ერთი ცხელი და უსიცოცხლო ადგილი, ტემპერატურა აღწევს 60 °C.), ალასკა გამოირჩევა ბუნებრივი კომპლექსების მრავალფეროვნებით, ჰავაის შტატი - „თეთრი სიჩუმის მხარე“ - აღსანიშნავია ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტებით.

ვაშინგტონი ერთ-ერთი ტურისტული ცენტრია, სადაც არის კაპიტოლიუმი, აშშ-ს ეროვნული მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნაობები.

სათამაშო ტურიზმი კარგადაა განვითარებული ფლორიდის (მაიამი) და ნევადის (ლას-ვეგასი) შტატებში.

საგანმანათლებლო ტურიზმი ძირითადად განვითარებულია ახალი ინგლისის შტატებში. მთავარი ცენტრებია: ბოსტონი - ჰარვარდის უნივერსიტეტი, კონექტუკის შტატის ქალაქ ნიუ-ჰეივენში - იელის უნივერსიტეტი.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

აშშ-ის საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია საკმაოდ ფართოა და მსოფლიოს ყველა რეგიონის ქვეყნასთან სხვადასხვა ფორმით არის დაკავშირებული. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობით (3,91 ტრილიონი დოლარი, 2018 წ.) მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ექსპორტზე მოდის 1,55 ტრილ დოლარი, ხოლო იმპორტზე - 2,36 ტრილ დოლარი. აშშ-ს მსოფლიოში უდიდესი ვაჭრობის უარყოფითი სალდო გააჩნია და იგი 810 მლრდ დოლარს შეადგენს. ექსპორტის ძირითადი პარტნიორი ქვეყნებია: კანადა - 18,3%, მექსიკა - 15,7%, ჩინეთი - 8,4%, იაპონია - 4,4%, გერმანია - 4,3% და სხვ. მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 21,6%, მექსიკა - 13,4, კანადა - 12,8%, იაპონია - 5,8%, გერმანია - 5% და სხვ. ძირითადად გააქვს: ავტომანქანები, თვითმფრინავები, ელექტროგამოთვლითი მანქანები, საყოფაცხოვრებო მანქანები, ზოგიერთი ქიმიური პროდუქცია, უალკოჰოლო სასმელები, სიგარეტი, ხორცი, რძის პროდუქტები, ხორბალი, ბამბა, სოიო და სხვ. შეაქვს - ნავთობი, რკინის მადანი,

ბოქსიტები, მარგანეცი, ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობები, ავტომანქანები, საყოფაცხოვრებო მომსახურების პროდუქცია, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, მატყლი და სხვ.

აშშ-ის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი კაპიტალის გატანას უჭირავს. პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობამ 2018 წელს 5,1 ტრილ დოლარი შეადგინა. კაპიტალის დიდი ნაწილი ჩადებულია განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ძირითადად მოპოვებით მრეწველობაში და ასაწყობ საწარმოებში. ამასთან, ბოლო წლებში აქტიურად შეინიშნება უცხოური კაპიტალის (იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების) შემოტანაც (4,1 ტრილ დოლარი), რაც დაკავშირებულია საერთაშორისო ეკონომიკის ინტეგრაციის გაფართოებასთან.

ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური კავშირების ,,ნიუ-ჰაუს" გაცვლასა და ყიდვა-გაყიდვაში. დიდია ,,უხილავი ექსპორტის" როლი ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირებში. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობას. მათ შორის, აღსანიშნავია საერთაშორისო და სატრანზიტო ტრანსპორტით, საბანკო და სადაზღვევო კომპანიებით, ინფორმაციით, ტელეკომუნიკაციებით, გამოთვლითი ტექნიკის პროგრამული უზრუნველყოფის კონსულტაციებით, მართვის მომსახურებით და სხვ.

აშშ-ში ბოლო წლებში თანადათანობით მატულობს საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა. ამასთან, აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო შრომითი რესურსების გაცვლაში.

შიდარეგიონალური სხვაობები

აშშ-ის შიდარეგიონალური დაყოფა ყველა დროს უკავშირდებოდა ქვეყნის ისტორიული და ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს. ადრე ძირითადად მიღებული იყო ქვეყნის სამ განსხვავებულ რეგიონად: 1. სამრეწველო; 2. ყოფილი მონათმფლობელური სამხრეთი; 3. კოლონიზაციის სტადიაზე მყოფი დასავლეთი, ე.წ. ,,ველური დასავლეთი". ბოლო ასწლეულში ქვეყნის მოსახლეობის და მეურნეობის ტერიტორიულ ორგანიზაციებში განხორციელდა სერიოზული ძვრები. შესაბამისად ქვეყანაში გამოიყოფა 9 ეკონომიკური რაიონი (იხ. რუკა 2, ცხრილი 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 7

აშშ-ის ეკონომიკური რაიონები

ეკონომიკური რაიონები	შტატები	ფართობი კმ²	მოსახლეობა კაცი (2011 წ)	დედაქალაქი
1	2	3	4	5
ახალი ინგლისი	მენი ნიუ-ჰემპშირი ვერმონტი მასაჩუსეტსი როდ-აილენდი კონეკტიკუტი	86156 24033 24900 21456 3139 12997	1 326 188 1 318 194 626 431 6 587 536 1 051 302 3 508 709	ოგასტა კონვორდი მონტპილერი ბოსტონი პროვიდენსი კარტფორდი
შუა - ატლანტური შტატები	ნიუ-იორკი ნიუ-ჯერსი პენსილვანია	127190 20168 117348	19 465 197 8 821 155 12 742 886	ოლბანი ტრენტინო მარისბერგი
ჩრდილო - აღმოსავლეთი ცენტრი	ოჰაიო ინდიანა ილინოისი მიჩიგანი ვისკონსი	107045 93719 145934 151585 145436	11 544 951 6 516 922 12 869 257 9,876 187 5 711 767	კოლუმბისი ინდიანა-პოლისი სპარინგფილდი ლანსინგი მადისონი
ჩრდილო - დასავლეთი ცენტრი	მინესოტა ჩრდ. დაკოტა სამხ. დაკოტა ნებრასკა აიოვა კანზასი მისური	218601 1813118 199730 200349 14752 213097 18015	5 344 861 683 932 824 082 1 842 641 3 062 309 2 871 238 6 010 688	სენტ-პოლი ბისმარკი პირი ლინკოლნი დე-მიონი ტოპაკი ჯეფერსონ-სიტი

1	2	3	4	5
სამხრეთ - ატლანტური შტატები	დელავერი მერილენდი დას.ვირჯინია ვირჯინია ჩრდ.კაროლინა სამხ.კაროლინა ჯორჯია ფლორიდა კოლუმბიის ოლქი	5294 2791 62758 105587 136413 10586 152577 151940 200	907 135 5 828 289 1 855 364 8 096 604 9 656 401 4 679 230 9 815 210 19 057 542 632 323	დოვერი ანაპოლისი ჩარლსტონი რიჩმონტი როლი კოლუმბია ატლანტა ტალაპოსი ვაშინგტონი
სამხრეთ - აღმოსავლეთი ცენტრი	კენტუკტი ტენესი ალაბამა მისისიპი	104659 109153 133916 123515	4 369 356 6 403 353 4 802 740 2 978 512	ფრანკფურტი ნასვილი მონტგოვერი ჯექსონი
სამხრეთ - დასავლეთ ცენტრი	ლუიზიანა ტეხასი არკანზასი ოკლაჰომა	123678 6911030 137764 181186	4 574 836 25 674 681 2 937 979 3 791 508	ბარტონ-რეჟი ოსტანი ლითლ-როკი ოკლაჰოგა-სიტი
მთიანი შტატები	მონტანა აიდაჰო ვაომინგი კოლორადო ნიუ-მექსიკო არიზონა იუტა ნევადა	380849 216431 253325 269596 314926 295260 219888 286353	998 199 1 584 985 565 158 5 116 769 2 082 244 6 482 505 2 817 222 2 723 322	ხელენა ბოისე გაიანე დენვერი სანტა-ფე ფენიქსი სოლტ-ლეიკ-სიტი კარსონ-სიტი
წყნარი ოკეანური შტატები	კალიფორნია ორეგონი ვაშინგტონი	411490 251419 176480	37 691 912 3 871 859 6 830 038	საკრრამენტო სეილემი ოლიმპია
	ალასკა ჰავაი	1530700 16760	722 716 1 374 810	იუნიუ ჰონოლულუ

ამერიკული სტატისტიკა ქვეყანას ყოფს 4 განსხვავებულ მიკრორაიონად, რომლებიც ისტორიულ-კულტურული თავისებურებებითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის მიხედვით განსხვავდებიან.

1. ჩრდილო-აღმოსავლეთის მიკრორაიონი აერთიანებს ახალი ინგლისის (მენი, ნიუ-ჰემპშარი, ვერგენტი, მასაჩუსეტსი, როდ-აილენდი, კონეკტიკუტი) და შუა ატლანტურ (ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი, პენსილვანია) ეკონომიკურ რაიონებს. ამ მიკრორაიონს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 4,9% და ცხოვრობს მოსახლეობის 19,2%. მიკრორაიონი ქვეყნის ბირთვია, რომლის როლი განსაკუთრებით მაღალი იყო XX საუკუნის მეორე ნახევრამდე. იგი ადრე წარმოადგენდა ,,ერის სახელოსნოს". მრეწველობიდან დომინირებს სატრანსპორტო და ელექტროტექნიკური, შავი მეტალურგია, ქიმიური, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების. სოფლის მეურნეობიდან - სარძევე მეცხოველეობა. უმსხვილესი ცენტრია ნიუ-იორკი. იგი არის ამერიკის ეკონომიკური ძლიერების ერთადერთი გამოხატულება, უნიკალური საერთაშორისო კულტურული ცენტრი, გაეროს შტაბ-ბინა, საერთაშორისო ტურიზმის ,,მექა", ,,ეთნიკური მუზეუმი" - ამერიკული კაპიტალიზმის სიმბოლო და აშშ-ის ,,ეკონომიკური დედაქალაქი", 1800 წლამდე ქვეყნის დედაქალაქი და ,,ყვითელი ეშმაკის ქალაქი". მას უკავია ქვეყნის ტერიტორიის 0,2%. მეტროპოლიტენურ არეალში ცხოვრობს 18,8 მლნ კაცი და აწარმოებს მთლიანი შიდა პროდუქტის 11%-ს. სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია ფილადელფია, ბუფალო, ბალტიმორი, ბოსტონი და სხვ.

2. შუა-დასავლეთის (ჩრდილოეთი ცენტრის) მიკრორაიონი შედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ცენტრის (ოჰაიო, ინდიანა, ილინოისი, მიჩიგანი, ვისკონსი) და ჩრდილო-დასავლეთი ცენტრის (მინესოტა, ჩრდ.დაკოტა, სამხ. დაკოტა, ნებრასკა, აიოვა, კანზასი, მისური) ეკონომიკური რაიონები. მიკრორაიონს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 21,3% და ცხოვრობს მოსახლეობის 22,6%. მდიდარია ქვანახშირით, რკინის მადნით და მრავალფეროვანი აგროკლიმატური რესურსებით. მრეწველობიდან აღსანიშნავია შავი მეტალურგია, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა. იგი წარმოადგენს ქვეყნის ძირითად ბეღელს და სარძევე მესაქონლეობის მიკრორაიონს, სადაც იწარმოება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1/2 ნაწილი. უმსხვილესი ცენტრია ქალაქი ჩიკაგო - ამერიკული ინდუსტრიის სამშობლო და ტბებისპირა მეგალოპოლისის ბირთვი. სხვა ცენტრებიდან აღსანიშნავია: დეტროიტი, კლივლენდი, მიუ-ლოკი, ტოლიდო და სხვ.

3. სამხრეთის მიკრორაიონი მოიცავს სამხრეთ-ატლანტურ (დელავერი, მერილენდი. დას. ვირჯინია, ვირჯინია. ჩრდილოეთი კაროლინა, სამხრეთ კაროლინა, ჯორჯია, ფლორიდა), სამხრეთ-აღმოსავლეთ ცენტრის (კენტუკი, ტენე-

სი, ალაბამა, მისისიპი) და სამხრეთ-დასავლეთი ცენტრის (ლუიზიანა, ტეხასი, არკანზასი, ოკლაჰომა) ეკონომიკურ რაიონებს, აგრეთვე კოლუმბიის ოკრუგს. მიკრორაიონს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 21,6% და ცხოვრობს მოსახლეობის 36,0%. მიკრორაინი წარსულში ნელი ტემპით ვითარდებოდა და წარმოადგენდა საპლანტაციო აგრარულ, ე.წ. ,,შავ სარტყელს". რეგიონი მდიდარია ქვანახშირით, ნავთობით, ბუნებრივი აირით და რეკრეაციული რესურსებით. მრეწველობიდან წამყვანია სამთო მოპოვებითი, ენერგეტიკა, ნავთობქიმია, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან ძირითადად მოჰყავთ ბამბა, თამბაქო, ბრინჯი, ტროპიკული ხილი. ფლორიდაში კარგადაა განვითარებული ტურიზმი. უმსხვილესი ცენტრებია: ვაშინგტონი (ქვეყნის დედაქალაქი და პოლიტიკური ცენტრი), დალასი, ჰიუსტონი(კოსმოსური გამოკვლევების ცენტრი - ნასა), ატლანტა (კოკა-კოლას წარმოების ცენტრი და შტაბ-ბინა), ახალი ორლეანი, მაიამი და სხვ.

4. დასავლეთის მიკრორაიონი შედის მთიანი შტატების (მონტანა, აიდაჰო, ვაიომინგი, კოლორადო, ნიუ-მექსიკო, არკანზასი, იუტა, ნევადა) და წყნარი ოკეანის შტატების (კალიფორნია, ორეგონი, ვაშინგტონი), ეკონომიკური რაიონები, აგრეთვე ალიასკისა და ჰავაის შტატები. მიკრორაიონს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 52,2% და ცხოვრობს მოსახლეობის 22,2%. მიკრორაიონი ყველაზე ახალგაზრდა და ეკონომიკურად საკმაოდ მზარდი რეგიონია. ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს მთებსა და უდაბნოებს. ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია ფერადი ლითონები და ნავთობი. მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული სამთო მოპოვებითი, ფერადი მეტალურგია, ჰიდროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან მოჰყავთ ხორბალი, სუბტროპიკული ხილი, ყურძენი და ბოსტნეული, ჰავაის კუნძულებზე ტროპიკული ხილი და შაქრის ლერწამი. კარგადაა განვითარებული ტურიზმი. დასავლეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კალიფორნიის შტატს, რომელსაც ,,ოქროს შტატს" და ,,ხეხილის ბაღს" (აქ იწარმოება ხილის 40%, ბოსტნეულის 36%, ყურძნის და ღვინის 80%, ხილის და ბოსტნეულის კონსერვების 33%) უწოდებენ. კალიფორნია არის მანქანათმშენებლობის, კინომრეწველობისა და უმაღლესი სასწავ-ლებლების შტატი. შტატის მთავარი ცენტრებია: ლოს-ანჟელესი, სან-ფრანცისკო და სან-დიეგო. დასავლეთის სხვა მთავარი ცენტრებია: სიეტლი, დენვერი და ფენიქსი.

5.1.2. კანადა

ფართობი - 9974 ათასი კმ²
მოსახლეობა - 38,5მლნ კაცი (2021 წ.)
დედაქალაქი - ოტავა

ზოგადი ცნობები

კანადა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მაღალგანვითარებული ქვეყანაა, რომელიც შედარებით გვიან ჩაერთო მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთობებში. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილება ერთ სულზე 47995 დოლარს (2018 წ.), ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,926-ს (მე-12 ადგილი, 2018 წ.) შეადგენს. ადმინისტრაციულად იყოფა 10 პროვინციად და 3 ტერიტორიად. ქვეყნის დევიზია ,,ზღვიდან ზღვამდე“ - ,,A MARI USQUE AD MARE” სახელმწიფო ენა - ინგლისური და ფრანგული. ფულის ერთეული - კანადური დოლარი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

კანადა მდებარეობს ჩრდილო ამერიკის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში. გააჩნია არცთუ ისე გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. აქვს პირდაპირი გასასვლელი ატლანტის, წყნარი და ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანეების წყლებში, მაგრამ დანარჩენი სამყაროსაგან საკმაოდ შორს მდებარეობს. გამოირჩევა კარგი სამხედრო-სტრატეგიული და ,,მეზობლური” მდებარეობით. ქვეყნის ტერიტორია საკმაოდ დანაწევრებულია, მარტო კანადის არქტიკული არქიპელაგი აერთიანებს 36563 კუნძულს.

კანადის საზღვრების საერთო სიგრძე 210973 კმ-ია (კუნძულების ჩათვლით), მათ შორის სახმელეთოა 8893 კმ (მათ შორის ალასკაზე 2477 კმ), რომელიც მთლიანად აშშ-ზე მოდის. ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე, სამხრეთით აშშ, აღმოსავლეთით ატლანტიის ოკეანე, დასავლეთით წყნარი ოკეანე, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით აშშ-ის ალასკის შტატი. კანადის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 38.

ნახ. 38. კანადის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

კანადის რელიეფი, ძირითადად, ერთგვაროვანია და წარმოდგენილია ვაკე-დაბლობებითა და მთებით. ვაკე-დაბლობებს უჭირავს ტერიტორიის თითქმის 2/3 ნაწილი. დაბლობები ჭარბობს ჩრდილო-ცენტრალურ, ხოლო ვაკეები - დასავლეთ-ცენტრალურ ნაწილში. მთები წარმოდგენილია დასავლეთში კორდილიერების სახით (აქ მდებარეობს ქვეყნის უმაღლესი წერტილი ლოგანი - 6050 მ), აღმოსავლეთში ლაბრადორის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი ლავრენტის წვრილგორაკებს, ხოლო უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ძველი აპალაჩის მთების განშტოებებს უჭირავს. რელიეფი გარდა მთიანი რეგიონებისა, ქვეყნის ვრცელ ტერიტორიაზე საუკეთესო პირობებს ქმნის განსახლებისა და საწარმოო ძალების განვითარებისათვის.

მინერალური რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. ცალკეულ მინერალურ რესურსს, განსაკუთრებით მადნეული წიაღისეულის მარაგს, გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობა. სათბობი რესურსებიდან აღსანიშნავია ნავთობის (საერთო მარაგი - 28,4 მლრდ ტ), გაზის (საერთო მარაგი - 1,7 ტრილ $მ^3$) და ქვანახშირის მარაგი. ნავთობისა და გაზის რესურსები განლაგებულია ში-და ვაკეებზე (განსაკუთრებით, ალბერტას პროვინციაში), ხოლო ქვანახშირის - აპალაჩების ზონაში. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს თუთიის, ნიკელის, რკინის მადნის, სპილენძის, ტიტანის, ქრომის, ოქროსა და ვერცხლის მარაგს. ფერადი

და ძვირფასი ლითონების მარაგის დიდი ნაწილი არის კორდილიერებსა და აპალაჩების რაიონში. რკინის მნიშვნელოვანი მარაგი არის ლავრენტის წვრილგორაკებზე. კანადაში არის მსოფლიოს კალიუმის მარილების მარაგის დაახლოებით 1/4 ნაწილი. კალიუმის საბადოები ძირითადად წარმოდგენილია შიდა ვაკეების სამხრეთ ნაწილში. ქვეყანა მდიდარია ურანის მარაგით. ღარიბია ბოქსიტებითა და ფოსფორიტებით. ბოლო წლებში კანადის არქტიკულ არქიპელაგზე, მინერალური რესურსების გამოვლენის მიზნით, ინტესნიურად მიმდინარეობს გეოლოგიური საძიებო სამუშაოები.

კანადა განლაგებულია არქტიკულ, სუბარქტიკულ და ზომიერ კლიმატურ სარტყლებში. ჰავა ქვეყნის ფარგლებში საკმაოდ კონტრასტულია. იანვრის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთში -30°C - -35°C, ცენტრალურ ნაწილში -18°C - -20°C, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე -5°C - -7°C, ხოლო წყნარი ოკეანის სანაპიროზე +1°C - +4°C. ივლისის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთში +4°C - +7°C, ხოლო სამხრეთში +16°C - +18°C. ნალექების საშუალო რაოდენობა 700-800 მმ-ია. მაქსიმუმი მოდის დასავლეთ სანაპიროზე - 2000 მმ, ხოლო მინიმუმი ჩრდილოეთში - 150 მმ. ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მკაცრი ჰავის გამო, შეზღუდულია საწარმოო ძალების განვითარება. სამხრეთი რეგიონების კლიმატური რესურსები ხელშემწყობია მარცვლეული მეურნეობისა და მებოსტნეობის განვითარებისათვის.

წყლის რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა. აქ არის მსოფლიოს მტკნარი წყლის მარაგის 20% (11% მოდის ტბებზე, 9% - მდინარეებზე). დამახასიათებელია მდინარეებისა და ტბების ხშირი ქსელი. მნიშვნელოვანი მდინარეებია მაკენზი (4241 კმ), წმინდა ლავრენტი (3058 კმ), ნელსონი (2575 კმ) და ჩერჩილი (1609 კმ). მაღალია მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. სანაოსნოდ გამოიყენება მდინარე წმინდა ლავრენტი. კანადაში ბევრი ტბაა (ვინიპეგი, დიდი მონების, დიდი დათვის, დიდი ტბების), რომლებიც ფართოდ გამოიყენება ენერგეტიკული, რეკრეაციული და სანაოსნო მიზნებით. ჩრდილო რეგიონები - მკაცრი ჰავის, ხოლო შიდა ვაკეები - სიმშრალის გამო, ღარიბია წყლის რესურსებით. მდინარეები და ტბები მდიდარია თევზით.

ტყის რესურსებით რუსეთისა და ბრაზილიის შემდეგ მესამე ადგილზეა. ტყითაა დაფარული ტერიტორიის 34%. დიდია სამრეწველო დანიშნულების ტყის მარაგი. ტყის ბოტანიკური შემადგენლობიდან ჭარბობს ნაძვი, ფიჭვი, კედარი, ღვია, კანადური ურთხელი და სხვ. ტყის რესურსებით შედარებით მდიდარია დასავლეთის საშუალო სიმაღლის მთის ზონა და ლაბრადორის ნახევარკუნძული.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ქვეყნის სახელწოდება კანადა სავარაუდოდ მომდინარეობს სიტყვისაგან ,,კანტა“, რაც ჰურონის ინდიელთა ენაზე ,,სოფელს“ ან ,,დასახლებას“ ნიშნავს. კანადაში ევროპელების კოლონიზაციამდე დიდი ტბების რაიონებში აბორიგენი ინდიელი ტომები - ჰურინები, იროკუზები და ალგონიკები ცხოვრობდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში კანადის ტერიტორია ადგილობრივ ტომებთან ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ფრანგებმა და ინგლისელებმა დაიჭირეს. მდინარე წმინდა ლავრენტის გასწვრივ ტერიტორიას დაეპატრონენ ფრანგები და უწოდეს ახალი საფრანგეთი, რომლის დედაქალაქად გამოაცხადეს კვებეკი. კვებეკის აღმოსავლეთით დაარსდა კიდევ ერთი ფრანგული კოლონია - აკადია. ახალი საფრანგეთის ჩრდილოეთით და დასავლეთით გაბატონდა ინგლისი. XVIII საუკუნის 60-იან წლებში ინგლისმა საფრანგეთთან ევროპულ შვიდწლიან ომში გამარჯვების შემდეგ დაიკავა ახალი საფრანგეთი - ქვემო კანადა და თავის კოლონიად გადააქცია. ზემო კანადაში კი წარმოიქმნა ინგლისის კოლონია - ონტარიო. 1841 წელს ზემო და ქვემო კანადა გაერთიანდა ერთ კოლონიად - კანადად. 1857 წელს ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ კანადის დედაქალაქად გამოაცხადა ონტარიოსა და კვებეკის საზღვარზე მდებარე ქალაქი - ოტავა.

1867 წლის პირველ ივნისს, ონტარიოსა და კვებეკის კოლონიების, აგრეთვე, ნიუბრანსუიკისა და ახალი შოტლანდიის ბაზაზე შეიქმნა კანადის სახელმწიფო (დომინიონი) ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში.

XX საუკუნის დასაწყისში კოლონიის საფუძველზე ფედარაციის შემადგენ-ლობაში შევიდა მანიტობა, ბრიტანეთის კოლუმბია, პრინც ედუარდის კუნძუ-ლი, სასკეჩავანი და ალბერტა, ხოლო 1948 წელს კუნძული ნიუფაუნდლენდი. 1945 წლიდან გაეროს, ხოლო 1949 წლიდან ნატოს წევრია.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

კანადა მმართველობის ფორმის მიხედვით კოსტიტუციურ-მონარქიულია დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმით. სახელმწიფოს მეთაურია გაერთიანე-ბული სახელმწიფოს (დიდი ბრიტანეთის) მონარქი, რომელიც ნიშნავს თავის წარმომადგენელს გენერალ-გუბერნატორის სახით 5 წლის ვადით. გენერალ-გუბერნატორის კანდიდატურას წარადგენს პრემიერმინისტრი. აღმსარულე-ბელი ხელისუფლება ფორმალურად ეკუთვნის გაერთიანებულ სამეფოს მონარქს გენერალ-გუბერნატორის სახით, პრაქტიკულად კი ხორციელდება მთავრობის მიერ. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრემიერმინისტრი, რომელსაც ნიშნავს გენერალ გუბერნატორი საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი პარტიის ლიდერთაგან. გენერალ-გუბერნატორი

ამტკიცებს კანონპროექტებს, იწვევს პარლამენტის ქვედა პალატას, აქვს მისი ვადამდე დათხოვნის უფლება და სხვ. პროვინციის სათავეში ნომინალურად დგას ლეიტენანტ-გუბერნატორი.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატა - სენატი შედგება პრემიერმინისტრის რეკომენდაციით გენერალ-გუბერნატორის მიერ სიცოცხლის ბოლომდე დანიშნული 105 წევრისაგან, რომლებიც წარმოადგენენ პროვინციებსა და ტერიტორიებს მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული ქვოტით. ქვედა - თემთა პალატა შედგება მოსახლეობის მიერ 5 წლის ვადით არჩეული 308 წევრისაგან. ორივე პალატა ფლობს თანაბარ უფლებებს.

კანადა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით ფედერაციული ქვეყანაა. იყოფა 10 პროვინციად (ალბერტა, ახალი შოტლანდია, ბრიტანეთის კოლუმბია, კვებეკი, მანიტობა, ნიუ-ბრასუიკი, ნიუფაუნდლენდი და ლაბრადორი, ონტარიო, პრინც ედუარდის კუნძული, სასკაჩევანი) და 3 ტერიტორიად (იუკონი, ნონავუტი, ჩრდილო დასავლეთი).

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა

კანადაში ევროპელების კოლონიზაციამდე აბორიგენები - ინდიელთა და ესკიმოსთა ტომები ცხოვრობდნენ. კოლონიზაციის შემდეგ სწრაფი ტემპით დაიწყო მოსახლეობის ზრდა, განსაკუთრებით XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში. ბოლო წლებში კანადის მოსახლეობა ნელი ტემპით იზრდება (0,72%). 2021 წლისათვის ცხოვრობდა 38,5 მილიონი კაცი. დაბალია ბუნებრივი მატების ტემპი, შობადობა ყოველ ათას კაცზე 10,2 პრომილეს, სიკვდილიანობა - 8,8-ს, ხოლო ბუნებრივი მატება 1,4 პრომილეს შეადგენს (2017 წ.).

მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურა, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ბევრად უფრო ჯანსაღია. მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 49,7%, ხოლო ქალებზე - 50,3%. 0-14 წლამდე ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის - 15,4%, 15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი - 65,5%, ხოლო 65 წლის და მეტ ასაკობრივ ჯგუფზე - 19,1%(2017 წ.). საშუალო ასაკი 42,4 წელია. ქვეყანაში შედარებით მაღალია 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, რაც განპირობებულია სამუშაო ასაკში მყოფი იმიგრანტების მაღალი ხვედრითი წილით. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 82 წელია (მამაკაცები - 79,4, ქალები - 84,8).

კანადის ეროვნული ბირთვის ჩამოყალიბება იწყება XVII საუკუნიდან. მოსახლლეობის 18,3% ინგლისელია, 13,4% - შოტლანდიელი, 13,6% - ფრანგი, 13,4% ირლანდიელი, 9,6% - გერმანელი, 8,4% - აბორიგენი (ინდიელები და ესკი-

მოსები), 5,1% - ჩინელი, 4,6% იტალიელია, დანარჩენს წარმოადგენს ლათინური ამერიკიდან, აფრიკიდან და აშშ-დან შერეული მოსახლეობა (2017 წ.).

რელიგიური კუთვნილების მიხედვით მოსახლეობის 32,3% კათოლიკეა, 20,3% - პროტესტანტი, 6,1% - სხვა ქრისტიანი (იოღოვას მოწმე, ლუთერალური, ბაპტისტი) 3,2% - მუსულმანი, 1,6% - მართლმადიდებელი, 1,5% - ინდუსი, 1,4% - სიქჰიზმი, 1,1% -ბუდისტი, 1% - იუდაისტი, ხოლო დანარჩენი არც ერთ რელიგიას არ აღიარებს.

კანადა მიგრაციის დადებითი სალდოს მქონე ქვეყანაა. უკანასკნელი 400 წლის განმავლობაში ევროპიდან 13 მლნ-ზე მეტი კაცი გადასახლდა. თანამედროვე პერიოდში იმიგრაციული პროცესები კვლავაც მაღალია. მსოფლიოს ყველა რეგიონიდან, განსაკუთრებით ლათინური ამერიკიდან იმიგრანტების რაოდენობა 1990 წელს შეადგენდა 4,3 მილიონ კაცს, ხოლო 2015 წელს - 6,6 მილიონს. მიგრაციის დადებითი სალდო ყოველ 1000 კაცზე 5,7 პრომილეა (2017 წ.).

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 19,5 მილიონია, ანუ მთელი მოსახლეობის - 52,3%. დასაქმებული მოსახლეობის 2% ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, 28% - მრეწველობაში და 70% მომსახურების სფეროში. უმუშევრობის დონე დაბალია - 6,3% (2017 წ.).

კანადა მსოფლიოში ერთ-ერთი სუსტად დასახლებული ქვეყანაა. საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 3,7 კაცია. მოსახლეობა ძალზე არათანაბრადაა განლაგებული, კერძოდ, 90%-ზე მეტი ცხოვრობს უკიდურეს სამხრეთ, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც საშუალო სიმჭიდროვე 150 კაცს აჭარბებს. სუსტადაა დასახლებული ჩრდილოეთი და მთიანი დასავლეთი.

კანადა მაღალურბანიზებული ქვეყანაა, სადაც ურბანიზაციის დონე 81,4%, ხოლო საშუალოწლიური ზრდის ტემპი - 0,97%-ია. უდიდესი ქალაქებია: ტორონტო - 2,5 მლნ (აგლომერაციაში - 6,1 მლნ), მონრეალი - 1,6 მლნ (აგლომერაციაში - 4,2 მლნ), კალგარი - 988,2 ათასი, ოტავა - 812,2 ათასი, ედმონტი - 730,4 ათასი და სხვ. ქვეყანაში გარდა სასოფლო დასახლებული პუნქტებისა, არის ე.წ. ,,ვახტური" დასახლებები. ამ ტიპის დასახლებებში მინერალური რესურსების ათვისების მიზნით საბაზო ქალაქებიდან გადაჰყავთ მუშა ჯგუფები თვითმფრინავით 1-2 თვით, შემდეგ მათ ცვლის მუშათა ახალი ჯგუფები. ,,ვახტურ" დასახლებებში არის საყოფაცხოვრებო და სოციალური ობიექტები.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

კანადა მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომელიც აქტიურადაა ჩართული მსოფლიოს შრომის გეოგრაფიულ დანაწილებაში. ეკონომიკის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 30-იან წლებში, მას

შემდეგ, როცა ქვეყანამ მიიღო პოლიტიკური დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის პერიოდში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა კაპიტალის კონცენტრაციას, რამაც დააჩქარა ეროვნული მეურნეობის ჩამოყალიბება. გაძლიერდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. სახელმწიფოს წილზე მოდის ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის 1/3 ნაწილი, რომელიც ფლობს მიწის, ტყის, ელექტროსადგურებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების 1/2-ს, აგრეთვე, მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ძირითადი ფონდების დიდ ნაწილს.

ქვეყნის ეკონომიკაში პრიორიტეტი მიენიჭა სამთომოპოვებითი მრეწველობისა და მძიმე ინდუსტრიის დარგებს. გაფართოვდა საერთაშორისო-ეკონომიკური კავშირები, მათ შორის კაპიტალის გატანა. მთლიანი შიდა პროდუქცია თანდათანობით იზრდება, რომლის მოცულობა 2017 წელს 1,77 ტრილიონი დოლარი შეადგენდა. წარმოებული პროდუქციის 1,6% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 28,2% - მრეწველობაზე და 70,2% - მომსახურების სფეროზე.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

კანადაში მრეწველობის ჩასახვა იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან, ხოლო მისი ინტენსიური განვითარება აღინიშნება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. მრეწველობაზე მოდის დასაქმებულთა 1/7, მთლიანი პროდუქციის თითქმის 1/3 და ექსპორტის 3/4 ნაწილი. მრეწველობის სტრუქტურაში, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მაღალია მოპოვებითი მრეწველობის ხვედრითი წილი, სადაც დასაქმებულია 400 ათასზე მეტი კაცი და პროდუქციის მოცულობით ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს. დამუშავებითი მრეწველობიდან წამყვანია მანქანათმშენებლობა (დასაქმებულთა 1/3 და მრეწველობის პროდუქციის თითქმის ამდენივე ნაწილი) და ხე-ტყის მრეწველობა. დიდია ენერგეტიკის, ფერადი მეტალურგიის, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების მნიშვნელობაც.

ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. ენერგიის წარმოების მოცულობით იგი მსოფლიოს პირველ ათეულში შედის, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. მთლიანი ენერგიის წარმოება შეადგენს 515,0 მლნ ტ ქვანახშირის ექვივალენტს, ხოლო მოხმარება - 345,7 მლნ ტ-ს (2017 წ.). ქვეყნის ენერგობალანსში 65% მოდის ნავთობსა და გაზზე, 26% - ჰიდროენერგიაზე, 8% - ნახშირზე და 1% - ატომურზე.

ნავთობის მრეწველობა ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა. 1983 წელს მოიპოვა 65 მლნ ტ, 2007 წელს - 198,8 მლნ ტ და 2017 წელს - 230,8 მლნ ტ (მე-5 ადგილი). მოპოვებული ნავთობის დიდი ნაწილი (160 მლნ ტ) გადის ექსპორტში. გაზის მოპოვება ბოლო 30 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა და მიაღწია 174 მლრდ $მ^3$ -ს (მე-5 ადგილი, 2016 წ.). მოპოვებული გაზის

თითქმის ნახევარი გადის ექსპორტში. ნავთობი და გაზი, ძირითადად, მოიპოვება ალბერტასა და სასკეჩავანის პროვინციებში, აგრეთვე ბრიტანეთის კოლუმბიაში. მდინარე ატაბასკას აუზში არის მსოფლიოში უდიდესი ბითუმიზებული ქვიშების საბადო, საიდანაც შესაძლებელია 150 მლნ ტ ნავთობის ამოღება. ენერგეტიკაში თანდათანობით მცირდება ნახშირის როლი, თუმცა, წინა წლებთან შედარებით (37 მლნ ტ, 1983 წ.), ბევრად გაზრდილია და აღემატება 72 მლნ ტონას (მათ შორის, უპირატესად, დიდი ნაწილი ქვანახშირზე მოდის). ქვანახშირის მოპოვება ძირითადად ხდება აღმოსავლეთ რაიონებში, განსაკუთრებით ახალი შოტლანდიის პროვინციაში. კანადა მსოფლიოში გამოირჩევა ურანის რესურსებით და საშუალოდ ყოველწლიურად მოიპოვებს 9,3 ათას ტონას (მე-2 ადგილი, 2013 წ.), რომლის 3/4 ნაწილი მოდის ელიონ-ლეიკის და ბლაინდ-რივერის საბადოებზე.

ელექტროენერგიის წარმოებით მსოფლიოში მე-6 ადგილზეა, სადაც იწარ-მოება 649,6 მლრდ კვტ/სთ (2017 წ.). წარმოებული ელქტროენერგიის 56%-ს იძ-ლევა ჰესები, 23%-ს - თბოსადგურები, 8%-ს - ატომური სადგურები და დანარ-ჩენი სხვა წყაროებზე მოდის. მსხვილი ჰესები კონცენტრირებულია ონტარიოს, კვებეკისა და ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციებში.

შავი მეტალურგია მძიმე ინდუსტრიის მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც უზრუნველყოფილია საკუთარი სანედლეულო ბაზით. რკინის მადნის მოპოვება შეადგენს 35 მლნ ტ-ს (2010 წ.). მთავარი საბადოა შეფერვილი - კვებეკის პროვინ-ციაში. საშუალოდ აწარმოებს 13,7 მლნ ტ ფოლადს და 9,8 მლნ ტ თუჯს. უმსხვი-ლესი ცენტრია ჰამილტონი (1/2 ნაწილი), სუ-სენტ-მარი, უელლენდი და სიდნი.

ფერადი მეტალურგია მსოფლიო მნიშვნელობის დარგია, ხოლო ფერადი ლითონის რესურსებით მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანაა. განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა ნიკელის (196 ათასი ტ), თუთიის (1,3 მლნ ტ), ვერცხლის (1,4 ათასი ტ), მეოთხეზე - ოქროს (108 ტ.), მესამეზე - ტყვიის და მეშვიდეზე - სპილენძის (585 ათასი ტ.) მოპოვებით.

მეტალური ფერადი მეტალურგიიდან საერთაშორისო მნიშვნელობის დარგია ალუმინის მრეწველობა, რომელიც ეფუძნება იმპორტულ ნედლეულს და საკუთარ იაფ ჰიდროენერგიას. პროდუქციის დიდ ნაწილს აკონტროლებს კომპანია ,,ალკანი". პირველადი ალუმინის წარმოებით მესამე ადგილზეა (3,3 მლნ ტ, 2016 წ.). ძირითადი საწარმოებია არვიდში, კიტიმატეში, ბეიკომოში, ილ-მალინსა და გრინ-ბეიში. მაღალ დონეზეა განვითარებული სპილენძის მრეწვე-ლობა (პირველადი - 680 ათასი ტ, რაფინირებული 780 ათასი ტ). მთავარი ცენტ-რებია: სადბერი, ტომპსონი, მონრეალი და ნორანდა. თუთიის წარმოებით მეორე

ადგილზეა (720 ათასი ტ). გამოირჩევა ნიკელის, ტყვიისა და ძვირფასი ლითონების მრეწველობით (ტომპსონი, მონრეალი, ტრეილი, ფორტი-სასკეჩავანი).

მანქანათმშენებლობა დამუშავებითი მრეწველობის წამყვანი დარგია, მაგრამ სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით სუსტადაა განვითარებული. წამყვანია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, სადაც მაღალია აშშ-ის კაპიტალის წილი. აწარმოებს ავტომობილებს (2,3 მლნ, 2016 წ.), გემებს, ლოკომოტივებს, ვაგონებს და სხვ. კარგადაა განვითარებული სამთო-მოპოვებითი და ხე-ტყის მრეწველობისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების წარმოება. გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობით, განსაკუთრებით, მარცვლეულის ასაღები კომბაინების წარმოებით. შედარებით სუსტადაა განვითარებული ჩარხმშენებლობა, საყოფაცხოვრებო, ელექტროტექნიკური და ელექტრონული მანქანათმშენებლობა. მანქანათმშენებლობის მთავარი ცენტრებია: ტორონტო, მონრეალი, უინსორი, ჰამილტონი, ოტავა, გალაფაქსი და ვანკუვერი.

ქიმიური მრეწველობა ეფუძნება საკუთარ სანედლეულო ბაზას. განვითარებულია ქიმიური მრეწველობის თითქმის ყველა დარგი. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს კალიუმიანი სასუქების წარმოებას (ნედლეულის მოპოვებით - 7 მლნ ტ და პროდუქციის წარმოებით - 8,1 მლნ ტ - პირველ ადგილზეა). გამოირჩევა აზოტოვანი სასუქების წარმოებითაც (3,8 მლნ ტ). კარგადაა განვითარებული ნავთობქიმია. ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების საერთო სიმძლავრე 105 მლნ ტონას აღემატება. მსხვილი ნგქ-ია ვანკუვერში, სარნიაში და ედმონტში. შედარებით კარგადაა განვითარებული სინთეზური კაუჩუკის, პლასტმასების, პოლიმერების (მერქნის ნახერხისაგან), გოგირდმჟავას, კაუსტიკური სოდის, ეთილენისა და ფარმაკოქიმიის პროდუქციის წარმოება. სუსტადაა განვითარებული სინთეზური ბოჭკოების და საყოფაცხოვრებო ქიმია. აღნიშნული დარგების მთავარი ცენტრებია: სარნია, ტორონტო, ნიაგარა-ფოლსი, კოტჩენერი და სხვ.

ხე-ტყის მრეწველობა მეურნეობის ძირითადი სპეციალიზაციისა და საერთაშორისო მნიშვნელობის დარგია. კანადა ტყის რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა. ტყის საერთო ფართობიდან (3,4 მლნ ჰა) სამრეწველო ექსპლუატაციისათვის ვარგის ტყეებს უჭირავს 2,5 მლნ ჰა. სასაქონლო ხე-ტყის მარაგი აღწევს 19-20 მლრდ $მ^3$ -ს. საექსპლუატაციო ტყეების 80% წიწვოვანია. მერქნის დამზადებით (190 მლმ $მ^3$) მეხუთე, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, პირველ ადგილზეა. ნახერხი მასალისა (60 მლნ $მ^3$) და ქაღალდის (თანდათანობით მცირდება, 15,7 მლნ ტ, 2008) წარმოებით მეექვსე, ხოლო საგაზეთო ქაღალდის წარმოებით პირველ ადგილზეა. ხე-ტყის მრეწველობის ძირითადი რაიონია ბრიტანეთის კოლუმბია, სადაც იწარმოება პროდუქციის 2/5 ნაწილი, აგრეთვე,

კვებეკისა და ონტარიოს პროვინციებში. უმსხვილესი ცენტრებია: ჰაუელ-რივერი, მონრეალი, პრინს-რუპერტი, რომესკი, ოშენ-ფოლსი, კორნერ-ბრუი და სხვ.

მსუბუქი მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია შიდა ბაზრისათვის. მეტ-ნაკლებადაა განვითარებული მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგი, რომელიც აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილების დაახლოებით 2/3 ნაწილს. შედარებით უკეთესადაა განვითარებული საფეიქრო მრეწველობა, მათ შორის გამოირჩევა ბამბეულის მრეწველობა. სამკერვალო მრეწველობიდან საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ძვირფასბეწვიანი ქურთუკების წარმოებას. მსუბუქი მრეწველობის მთავარი ცენტრებია: ტორონტო, ოტავა, კვებეკი, შერბრუკი და სხვ.

კვების მრეწველობა საკმაოდ კარგად განვითარებული დარგია, რომელიც უზრუნველყოფილია საკუთარი სანედლეულო ბაზით. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს პურ-ბურღულეულის მრეწველობას. შედარებით უკეთესადაა განვითარებული ხორცის, რძის, მარგარინის, ლუდის, საკონსერვო, შაქრის და სხვა დარგები. კვების მრეწველობის საწარმოები მეტ-ნაკლებად განვითარებულია ქვეყნის თითქმის ყველა (გარდა ჩრდილოეთისა) რეგიონში, განსაკუთრებით სასკაჩევანის პროვინციაში.

სოფლის მეურნეობა

კანადის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა ინტენსიური განვითარების მაღალი დონით. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 2%, იძლევა მთლიანი შიდა პროდუქციის 1,7%-სა და ექსპორტის ღირებულების 13%-ს. სასოფლო სამეურნეო მიწებს უჭირავს 67,3 მლნ ჰა (მთელი ტერიტორიის მხოლოდ 6,8%), აქედან 46,5 მლნ ჰა სახნავი მიწებია. ქვეყნის ტერიტორიის უპირატესად დიდი ნაწილი, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო, სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით გამოუყენებელია. მიწების 3/4 ნაწილი თავმოყრილია მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში. საშუალოდ ერთი ფერმერი ფლობს 230 ჰა-მდე მიწას, ამით ბევრად აღემატება აშშ-ისა და ევროპის შესაბამის მაჩვენებლებს. სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მწარმოებლურობის მაღალი დონით, ხოლო პროდუქციის ნახევარზე მეტი გადის ექსპორტში. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მემცენარეობა და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის 3/4 ნაწილზე მეტი.

მემცენარეობის მთავარი დარგი მარცვლეულის მეურნეობაა. მარცვლეულს უჭირავს სახნავი მიწების 80%-ზე მეტი. საერთო წარმოება საშუალოდ ყოველწლიურად 65 მლნ ტონას აღემატება. მარცვლეულის კულტურებიდან უმთავ-

რესია ხორბალი, რომელსაც ნათესი ფართობის ნახევარი უკავია. ხორბლის წარმოებით (30,5 მლნ ტ, 2016 წ.) კანადა მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (835 კგ) - პირველ ადგილზე. ითესება მხოლოდ საგაზაფხულო ხორბალი, ხოლო წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი გადის ექსპორტში. მეორე მარცვლოვანი კულტურაა ქერი, რომლის წარმოება აღემატება 13,5 მლნ ტონას და ამ მაჩვენებლით, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა. მოჰყავთ სიმინდი, ჭვავი, შვრია და წიწიბურა. მარცვლეულის წარმოების უპირატესად დიდი ნაწილი (განსაკუთრებით ხორბლის) სტეპურ პროვინციებზე (მინე-ტობას, სასკაჩევანის, ალბერტას) მოდის. მარცვლეული ასევე მოჰყავთ ატლანტისპირა რაიონებში.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ შაქრის ჭარხალი. შედარებით კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა (კარტოფილს იყენებენ ტექნიკურ კულტურადაც). სუსტადაა განვითარებული მეხილეობა. სახნავი მიწების გარკვეული ნაწილი მეცხოველეობისათვის საკვებ ბალახებს უჭირავს.

მეცხოველეობას გააჩნია დამხმარე მნიშვნელობა. წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (12,5 მლნ სული), სადაც დომინირებს სახორცე-სარძევე მესაქონლეობა. მეცხოველეობის მეორე დარგი მეღორეობაა (13,5 მლნ სული). დიდია მეფრინველეობის მნიშვნელობაც. ბროილერების მოშენებას აწარმოებენ აშშ-ის მონოპოლიები. სუსტადაა განვითარებული მეცხვარეობა (0,5 მლნ სული). მისდევენ თევზისა და კიბორჩხლების რეწვას. განვითარებულია ძვირფასი ბეწვისმომცემი ცხოველების მოშენება და მათზე ნადირობა. მეცხოველეობის ძირითადი რაიონია სტეპური პროვინციები.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

კანადას გააჩნია კარგად განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები. ტრანსპორტის განვითარების მაღალი დონე განპირობებულია ტერიტორიის დიდი განედობრივი განფენილობით, საწარმოო ძალების განლაგების რაიონობრივი სპეციალიზაციის, საგარეო ეკონომიკური კავშირების მასშტაბებითა და სხვა ფაქტორებით. განვითარებულია თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე.

შიდა ტვირთბრუნვაში დიდი მნიშვნელობა სარკინიგზო ტრანსპორტს ენიჭება. სარკინიგზო გზებით, საშუალოდ, გადაიტანება 310 მლნ ტონაზე მეტი ტვირთი. სარკინიგზო ხაზის სიგრძე თანდათანობით მცირდება და თითქმის განახევრდა (77,9 ათასი კმ, 2017 წ.). ძირითადად განვითარებულია განედობრივი ხაზები. სარკინიგზო ტრანსპორტით ძირითადად გადაიტანება სამრეწველო ნედლეული, მარცვლეული და მერქანი.

საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის მგზავრთბრუნვის თითქმის 70%. საავტომობილო გზების სიგრძე 1,04 მლნ კმ-ია, მათ შორის მყარი საფარითაა დაფარული 60,1% (2011 წ.). მაგისტრალური გზების სიგრძე 17 ათასი კმ-ია. ცნობილია 8 ათასი კმ სიგრძის ტრანსკანადური ავტომაგისტრალი ,,მთავარი ქუჩა", რომელიც სტეპურ რაიონებს დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებთან აკავშირებს.

კარგადაა განვითარებული მილსადენი ტრანსპორტი. ნავთობსადენების სიგრძე 24,6 ათასი კმ-ია, ხოლო გაზსადენების - 84,4 ათასი კმ (2017 წ.). ნავთობ-სადენები მიემართება საბადოებიდან სანაპირო რაიონებში, საიდანაც ნავთობი ექსპორტირდება, ხოლო გაზსადენები გაყვანილია, ძირითადად, მოხმარების რაიონებსა და აშშ-ში.

საზღვაო ტრანსპორტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო კავშირების დამყარებაში. საკუთარი საზღვაო ფლოტი არცთუ ისე დიდია, რომელიც აერთიანებს 639 სავაჭრო გემს, რომელთა საერთო ტონაჟი 5,8 მლნ ბრუტ. რეგ. ტონაა (2017 წ.). გემების გარკვეული ნაწილი დაცურავს ,,გამოსადეგი დროშის" ქვეშ. მთავარი პორტებია: ვანკუვერი (135 მლნ ტ, რეკორდი 2013 წ.), მონრეალი (29,6 მლნ ტ), კვებეკი (24,4 მლნ ტ), სენტ-ჯონი (19,8 მლნ ტ), გალი-ფაქსი (16,8 მლნ ტ) და სხვ.

შიდა წყლის ტრანსპორტი შედარებით სუსტადაა განვითარებული. სამდი-ნარო გზების საერთო სიგრძე 636 კმ-ია. მთავარი სანაოსნო მდინარეა წმინდა ლავრენტი, რომლის საშუალებითაც ატლანტის ოკეანე უკავშირდება დიდ ტბებს. შიდა ნაოსნობა კარგადაა განვითარებული დიდი ტბების რაიონებში.

მაღალ დონეზეა განვითარებული საჰაერო ტრანსპორტი და თანდათანო-ბით იზრდება მგზავრთბრუნვის მაჩვენებლები. დიდია საჰაერო ტრანსპორტის როლი საერთაშორისო მგზავრთბრუნვაში და საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარებაში. ქვეყანაში 523 აეროპორტია, მათ შორის უმსხვილესია ტორონტოს, მონრეალის, ოტავასა და ვანკუვერის.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

კანადის საგარეო ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვან ფორმას საერ-თაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს. ვაჭრობის საერთო მოცულობა 865,6 მლრდ დოლარს შეადგენს, მათ შორის ექსპორტზე მოდის 423,5 მლრდ, ხოლო იმპორტზე - 442,1 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის უარყოფითი სალდო - 18,6 მლრდ დოლარი (2017 წ.). გააქვს ნავთობი, გაზი, რკინის მადანი, ფერადი ლი-თონის მადანი, ავტომანქანები, მერქანი, ქაღალდი, კალიუმიანი სასუქები, ხორბალი და სხვ. ექსპორტის დიდი ნაწილი 76,4% აშშ-ზე მოდის, ხოლო 4,3% -

ჩინეთზე და სხვ. შეაქვს ბოქსიტები, მანქანა-მოწყობილობები, ბამბა, ხეხილი, ზოგიერთი კვების პროდუქტი და სხვ. იმპორტის მთავარი პარტნიორი ქვეყნებია აშშ - 51,5%, ჩინეთი - 12,6%, მექსიკა - 6,3% და სხვ.

კანადა ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო ურთიერთობებში, განსაკუთრებით, პირდაპირი კაპიტალდაბანდებებით. კანადური კაპიტალი ჩადებულია ბევრი ქვეყნის სამეწარმეო საქმიანობაში (1,3 ტრილ დოლარი, 2017 წ.), აგრეთვე, მონაწილეობს სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების გაცვლაშიც.

შიდარეგიონალური სხვაობები

კანადა ბუნებრივი პირობებისა და რესურსების, განსახლების თავისებურებებისა და მეურნეობის სპეციალიზაციის მიხედვით, იყოფა ხუთ განსხვავებულ რეგიონად: ცენ-ტრალურ, სტეპურ, შორეული დასავლეთის, ატლანტიისპირა და ჩრდილოეთის.

1. ცენტრალური რეგიონი - ქვეყნის მთავარი ეკონომიკური რაიონია, რომელიც აერთიანებს ონტარიოსა და კვებეკის პროვინციების სამხრეთ ნაწილებს. აქ ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 2/3, იწარმოება მანქანათმშენებლობის პროდუქციის 8/10, მოიპოვება და გამოიდნობა შავი და ფერადი ლითონების 1/2, ხორციელდება სავაჭრო-საფინანსო ოპერაციების 4/5 და მოდის ტყის რესურსების 1/2 ნაწილი. რაიონს გააჩნია კარგი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა. კარგადაა დასახლებული (კვებეკი არის კანადის ,,ფრანგული" ნაწილი) და მეურნეობრივად ათვისებული. მთავარი ცენტრებია ტორონტო და მონრეალი.

2. სტეპური რეგიონი - წარმოადგენს მეორე ეკონომიკურ რაიონს, რომელშიც შედის მინეტობას, სასკაჩევანისა და ალბერტას პროვინციები. რეგიონს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1/5, ცხოვრობს მოსახლეობის 1/10, თავმოყრილია დამუშავებული მიწების 4/5, მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 1/2, იძლევა ხორბლის 9/10, მოიპოვება ნავთობისა და გაზის 9/10, კალიუმის მარილების მთლიანი ნაწილი. მთავარი ცენტრებია ვინიპეგი, ედმონტი და კალმარი.

3. შორეული დასავლეთის რეგიონი - შედის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინცია. რეგიონი, მეურნეობის განვითარების დონით, მესამე ეკონომიკური რაიონია, რომელსაც გააჩნია კარგი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა. წყნარი ოკეანის სანაპიროდან ხორციელდება ვაჭრობის დიდი ნაწილი აშშ-სა და იაპონიასთან. ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 12-13%. მრეწველობიდან წამყვანია სამთო მოპოვებითი და ხე-ტყის მრეწველობა (იწარმოება ფანერის 4/5,

ქაღალდის 1/2 ნაწილი). სოფლის მეურნეობიდან გამოირჩევა მებაღეობა და სარ-ძევე მესაქონლეობა, აგრეთვე განვითარებულია თევზჭერა. მთავარი ცენტრია წყნარი ოკეანის სანაპიროზე საზღვაო ,,ჭიშკარი"- უმსხვილესი საზღვაო პორტი - ვანკუვერი.

4. ატლანტისპირა რეგიონი - აერთიანებს ნიუფაუნდლენდის, პრინც-ედუარდის კუნძულის, ახალი შოტლანდიისა და ნიუ-ბრასიუკის პროვინციებს. რეგიონი ყველაზე ჩამორჩენილი ეკონომიკური რაიონია, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის 10% და იწარმოება დამუშავებითი მრეწველობის 5%. მრეწველო-ბიდან აღსანიშნავია შავი მეტალურგია, ნავთობქიმია და გემთმშენებლობა. სოფ-ლის მეურნეობიდან ძირითადად მოჰყავთ კარტოფილი და ვაშლი. განვითა-რებულია თევზჭერა. მთავარი ქალაქებია გალაფაქსი და სენტ-ჯონი.

5. კანადის ჩრდილოეთ რეგიონი - შედის იუკონის, ნუნავუტისა და ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიები. რეგიონს უჭირავს ტერიტორიის 40% და ძალზე სუსტადაა დასახლებული. მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენენ ინდიელები და ესკიმოსები. რეგიონში მოიპოვება ნავთობი, გაზი, ბითუმიზე-ბული ქვიშები, სპილენძი და ნიკელი. დამუშავებითი მრეწველობიდან განვი-თარებულია ფერადი მეტალურგია. მკაცრი კლიმატის გამო, სოფლის მეურნეობა თითქმის არ არის განვითარებული. ხდება თევზჭერა და ნადირობა. მთავარი ცენტრია ტომპსონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 6. ლათინური ამერიკა

6.1. ზოგადი დახასიათება

ლათინურ ამერიკას მიეკუთვნება ამერიკის ქვეყნის ნაწილი, მექსიკის, ცენტრალური ამერიკისა და სამხრეთ ამერიკის ჩათვლით, გაერთიანებული ტერიტორია. რეგიონის სახელწოდება მომდინარეობს ლათინურ საფუძველზე რომანულ ენაზე (ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული) მოლაპარაკე ხალხისაგან, რომლებმაც ცხოვრება კოლონიზაციის შემდეგ დაიწყეს. ლათინური ამერიკის ფართობი 21,1 მლნ კმ²-ია.

ლათინური ამერიკის ისტორიული განვითარება რთულად მიმდინარეობდა. უძველეს პერიოდში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მოხდა ინდიელთა ტომების მიგრაცია ბერინგის სრუტის გავლით ამერიკაში და დასაბამი მიეცა ინდიელ ხალხთა (აცტეკების, ინკების, მაიას, კეჩუას) უძველესი ცივილიზაციების შექმნას. კოლონიზაციის პროცესი XVI საუკუნიდან დაიწყო და მთელი სამი საუკუნის განმავლობაში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. ევროპელმა კოლონიზატორ-კონკისტადორებმა გაანადგურეს და რეზერვაციებში გარეკეს ადგილობრივი ცივილიზაციები. დეკოლონიზაციის პროცესი იწყება XIX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ 1900 წელს რეგიონში ქვეყნების 27% კოლონიურ მფლობელობაში იყო. ამჟამად კარიბის ზღვის აუზში რამდენიმე კუნძულოვანი ქვეყანა კვლავაც კოლონიებს წარმოადგენს, ხოლო მსოფლიოში ერთადერთი კონტინენტური კოლონიური ქვეყანა გვიანაა, რომელიც საფრანგეთის ოკეანის გაღმა დეპარტამენტად, "საფრანგეთის საშაქრედ" იწოდება. ამასთან, დღემდე არსებობს აშშ-ის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიები: პუერტორიკო (აშშ-თან ნება-სურვილით მიერთებული სახელმწიფო), პანამის არხის ზონა და ვირჯინიის კუნძულები.

ლათინურ ამერიკაში შედის 47 სახელმწიფო, რომელთა შორის 33 სუვერენული, ხოლო კუბა ერთადერთი სოციალისტური ქვეყანაა (რევოლუციამ გაიმარჯვა 1959 წელს), რომელიც „თავისუფლების კუნძულის" სახელწოდებითაა ცნობილი. მმართველობის ფორმის მიხედვით, ძირითადად, რესპუბლიკური საპრეზიდენტო ქვეყნებია. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით მექსიკა, ვენესუელა და ბრაზილია ფედერაციული ქვეყნებია, ხოლო დანარჩენი უნიტარული. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, ყველა განვითარებადი ქვეყანაა, მაგრამ აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობით გამოირჩევიან.

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ლათინური ამერიკა ბუნებრივი პირობებით მრავალფეროვანი რეგიონია. ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში მერიდიანული სახით გადაჭიმულია, მსოფლიოში უგრძესი მთათა სისტემები, კორდილიერები და ანდები. რეგიონის ჩრდილო კონტინენტური ნაწილი, ძირითადად, მექსიკის მთიანეთს უჭირავს, ხოლო სამხრეთ ამერიკაში მთები და დაბლობები თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი. ანდების მთებში მდებარეობს რეგიონის უმაღლესი წერტილი - აკონკაგუა (6960 მ.). მთებს შორის ვრცელი ტერიტორიები უჭირავს მსოფლიოში უდიდეს ამაზონის დაბლობს (6,9 მლნ კმ²), ლა-პლატისა და ორინოკოს დაბლობებს. რელიეფი მოსახლეობის განსახლების და საწარმოო ძალების განლაგების საქმეში გარკვეულ პრობლემებს ქმნის, განსაკუთრებით, ანდების ქვეყნებში (კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, ჩილე, რომლებიც აქტიურ სეისმურ რეგიონში მდებარეობენ), ხოლო შედარებით კარგი პირობებია კუბაში, პარაგუაიში, ურუგუაიში, გაიანაში, სურინამსა და გვიანაში.

მინერალური რესურსებით საკმაოდ მდიდარი რეგიონია. მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნია ნავთობისა და გაზის რესურსებს, რომლის ძირითადი საბადოები კარიბის ზღვის აუზის რეგიონში (ვენესუელა ნავთობის მარაგით მსოფლიოში პირველ ადგილზეა 48,7 მლრდ ტ) და მექსიკაშია. არის ნახშირისა და ურანის (ბრაზილია) გარკვეული მარაგი. მსოფლიო მნიშვნელობის რკინის მადნის რესურსები არის ბრაზილიაში (მარაგი შეფასებულია 135 მლრდ ტონით, აღსანიშნავია ,,რკინის მადნის სამკუთხედის რაიონი" - 6 მლრდ ტონა, ,,კარაჟასი" – 5 მლრდ ტ). ბრაზილია გამოირჩევა მარგანეცის მარაგით, ანდების ქვეყნები ფერადი ლითონებით, განსაკუთრებით, სპილენძით (ანდები ინკების ენაზე სპილენძს ნიშნავს). სხვადასხვა ფერადი ლითონებით საკმაოდ მდიდარია მექსიკა (ვერცხლისწყლის მარაგით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა), კუბა (ნიკელით), ბოქსიტებით იამაიკა და ბრაზილია. არამადნეული წიაღისეული მეტნაკლებად ბევრ ქვეყანაშია, განსაკუთრებით მექსიკასა (გოგირდი) და ჩილეში (გვარჯილა).

ლათინური ამერიკა განლაგებულია სუბტროპიკულ, ტროპიკულ, სუბეკვატორულ, ეკვატორულ და ზომიერ კლიმატურ სარტყლებში. ტერიტორიის დიდ ნაწილზე ჩამოყალიბებულია თბილი სითბური სარტყელი, სადაც საშუალო ტემპერატურები +20°C-ზე მაღალია. მაქსიმალური ტემპერატურა ატაკამის უდაბნოშია +48,9°C. ნალექების რაოდენობა არათანაბრადაა განაწილებული. მაქსიმალური ნალექი 10 ათასი მმ მოდის ეკვატორული ანდების წყნაროკეანურ კალთებზე, ხოლო ყველაზე ნაკლები ჩილეს უდაბნოებისა და მექსიკის მთია-

ნეთის ზონებში. ლათინური ამერიკის კლიმატური რესურსები მეტად მრავალ-ფეროვანია, სადაც შესაძლებელია მოყვანილი იქნას ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურა. ჰავა ასევე ხელს უწყობს მოსახლეობის განსახლებას, საწარმოო ძალების განვითარებას, ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობასა და ტურიზმის ფუნქციონირებას.

ლათინური ამერიკა, განსაკუთრებით, სამხრეთი ამერიკა წყლის რესურ-სებით საკმაოდ მდიდარი რეგიონია. მნიშვნელოვან ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მსოფლიოში ყველაზე წყალუხვი და ერთ-ერთი უგრძესი მდინარე ამაზო-ნი (სიგრძე 6437 კმ, აუზის ფართობი - 7,2 მლნ კმ², ჩამონადენი 6903 კმ³), რომე-ლიც ძირითადად სანაოსნო (საოკეანო გემები კონტინენტში 1000 კმ-ის სიღრმეში პორტ მანაუსამდე შედიან) და ენერგეტიკული მიზნებით გამოიყენება. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია: პარანა (4380 კმ), ორინოკო (2730 კმ, შენაკად ჩურუნზე მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი ანხელი 969 მ) და სხვ. ტბები შედარებით ცოტაა. აღსანიშნავია მარაკაიბო, ტიტიკაკა (ერთ-ერთი მაღალი ტბა ზ.დ. 3812 მ), პოოპო და სხვ. წყლის რესურსებით შეზღუდულია ცენტრალური ამერიკა (მექსიკის მთიანეთი) და ჩილეს წყნაროკეანური სანაპირო ზონა.

ლათინური ამერიკა ბიომრავალფეროვნებით, განსაკუთრებით, ფლორის-ტული თვალსაზრისით, ყველაზე მდიდარი რეგიონია, საიდანაც მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა სიმინდი, კარტოფილი, სორგო, პამიდორი, კაკაო, მზე-სუმზირა, თამბაქო და სხვა კულტურები. ტყეს უჭირავს რეგიონის ტერიტორიის 50%, რომელთა შორის უდიდესი ნაწილი ტენიან ეკვატორულ ტყეზე (სელვა-შები) მოდის. ტყიანობის კოეფიციენტი მაღალია გვიანაში - 95%, სურინამში - 91%, გაიანაში - 85%, ბრაზილიაში - 60% (ტყის რესურსებით რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზეა). ტყის ბოტანიკურ შემადგენლობაში დიდი ადგილი ძვირფას მერქანს (არაუკარია, წითელი ხე, ქინაქინის ხე, სეიბას ხე, კამპეში, კებრაჩო) უკავია. მექსიკის მთიანეთი ბაქტერიებისა და აგავების სამშობლოა. ბუნებრივი საძოვრებით შეზღუდული რეგიონია, მაგრამ ამ თვალსაზრისით საუკეთესო პირობები არგენტინის სტეპებსა (პამპა) და ბრაზილიის მთიანეთშია.

მოსახლეობა

ლათინურ ამერიკაში 654,4 მილიონი კაცი ცხოვრობს (2018 წ.). რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა, უძველესი პერიოდიდან დღემდე, საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა. ჩვ. წ. აღ-ის დასაწყისში - 2,5 მლნ, 1500 წელს - 17 მლნ, 1800 წელს - 18 მლნ, 1900 წელს - 85 მლნ, 1950 წელს - 195 მლნ, 2000 წელს - 523 მლნ, ხოლო 2018 წელს 654,4 მლნ კაცი ცხოვრობდა. 1800-2018

წლებში მოსახლეობის რაოდენობა 36,4-ჯერ გაიზარდა, ანუ მსოფლიოს არც ერთ რეგიონში მოსახლეობის ასეთი დაჩქარებული ზრდა არ განხორციელებულა. მოსახლეობის დაჩქარებული ზრდა პირველ ეტაპზე, ძირითადად, იმიგრაციულ პროცესებთან, ხოლო ბოლო პერიოდში მაღალ ბუნებრივ მატებასთან იყო დაკავშირებული. ბუნებრივი მატების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით (12-13 პრომილე), აფრიკის შემდეგ, მეორე ადგილზეა. ბუნებრივი მატების შედარებით მაღალი მაჩვენებლები კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებშია (14-15 პრომილე), ხოლო ნაკლები - ბრაზილიასა და ლა-პლატის ქვეყნებში (7-8 პრომილე) დეპოპულაცია აღინიშნება პუერტო-რიკოში (-8,3 პრომილე).

ლათინური ამერიკა ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობით გამოირჩევა. მამაკაცების ხვედრითი წილი - 49,5%, ხოლო ქალების 50,5%-ია. მამაკაცების ხვედრითი წილი შედარებით მაღალია ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში - 29,6%-ია, 15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის - 64,7%, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა - 5,7% (2015 წ.). ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, აფრიკის შემდეგ, ყველაზე ახალგაზრდა რეგიონია.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ჩამოყალიბება კოლონიზაციის ისტორიული პროცესის შედეგია. ცენტრალურ ამერიკასა და ანდების ქვეყნებში, ძირითადად, ესპანური, კარიბის ზღვის აუზში - ფრანგული, ინგლისური და ჰოლანდიური, ხოლო ბრაზილიაში - პორტუგალიური ენები დომინირებს. აბორიგენი მოსახლეობა, ძირითადად, ცენტრალურ ამერიკასა და ანდების ქვეყნებში ცხოვრობენ, რომლებსაც ესპანელებმა „ინდიელები“ უწოდეს. რასობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით, ყველაზე შერეული რეგიონია, სადაც გვხვდება ევროპეოიდური, მონღოლური და ნეგროიდული (აფრიკული) ძირითადი რასის ხალხი. ამასთან, მრავლად არიან გარდამავალი რასის (კრეოლები, მულატები, მეტისები, სამბოები) ხალხი, რომელთა შორის კრეოლები ჭარბობენ. რასობრივი სტრუქტურის მრავალფეროვნების შედეგად, ადგილი აქვს ასიმილაციას და შორეული ქორწინების პროცესს. ქვეყნების დიდ ნაწილში განათლების დონე 90%-ს აღემატება (კუბა - 100%, არგენტინა - 99%, ურუგუაი - 99%, ნიკარაგუა - 78%, ჰაიტი - 49%). მოსახლეობის უპირატესად დიდი ნაწილი კათოლიკური რელიგიის მიმდევარია.

ლათინურ ამერიკაში მოსახლეობის მიგრაციული პროცესები კოლონიზაციის, პირველ და მეორე მსოფლიო ომების ისტორიასთან არის დაკავშირებული. რეგიონში ევროპელების ჩასახლება იწყება XVI საუკუნიდან, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდებოდა. ადგილი ჰქონდა იძულებით მიგრაციასაც, კერძოდ, აფრიკიდან ზანგი მონების პლანტაციებში სამუშაოდ ჩაყვა-

ნას. თანამედროვე პერიოდში ლათინური ამერიკის მოსახლეობა ცდილობს ჩრდილო ამერიკაში, დასავლეთ ევროპასა და ავსტრალიაში მუდმივ საცხოვრებლად გადავიდეს. არალეგალური მიგრაცია ლათინურ ამერიკაში ერთ-ერთი სოციალური და პოლიტიკური პრობლემაა.

შრომითი რესურსებით ერთ-ერთი უზრუნველყოფილი რეგიონია, სადაც აშკარადაა გამოკვეთილი შრომითი რესურსების დასაქმების პრობლემები. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი 58-60%-ია, ხოლო უმუშევრობის დონე 10-12%-ს აჭარბებს. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა მეურნეობის დარგების მიხედვით, საშუალოდ შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სოფლის მეურნეობა - 17,6%, მრეწველობა - 19,4% და მომსახურების დარგები - 63,0% (2017). სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი შედარებით მაღალია ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, სხვა რეგიონებთან მიმართებით, საკმაოდ თანაბრადაა წარმოდგენილი (ამაზონის დაბლობის გარდა), ხოლო განსახლების ძირითადი არეალები სანაპირო რაიონებთან არის დაკავშირებული. საშუალო სიმჭიდროვე 34 კაცია ერთ კმ²-ზე. მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია ცენტრალური ამერიკის კუნძულოვან ქვეყნებში, განსაკუთრებით პუერტორიკოში - 413, ჰაიტში - 357, ტრინიდადსა და ტობაკოში - 274, დომინიკანის რესპუბლიკაში - 224, ხოლო დაბალია სურინამში - 4, ბოლივიაში - 10, არგენტინაში - 15, ჩილეში - 24 და სხვა (2018 წ.). რეგიონში მოსახლეობის ჰიფსომეტრული განლაგება მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მაღალია, სადაც მუდმივი დასახლებები ანდების მთებში ზ.დ. 5600 მეტრამდეა. ბოლივიის დედაქალაქი ლა-პასი, დედაქალაქებს შორის ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა 3630 მ-ზე მდებარეობს.

ლათინურ ამერიკაში ურბანიზაციის დონე საკმაოდ მაღალია და საშუალოდ 77%, ხოლო ურბანიზაციის ტემპი - 1,4%-ია. ურბანიზაციის დონე მაღალია ვენესუელაში - 88,2%, ჩილეში - 87,6%, ბრაზილიაში - 86,6%, მექსიკაში - 80,2% (2018 წ.), ხოლო დაბალია კარიბის ზღვის აუზის კუნძულოვან ქვეყნებში. აგლომერაციების ფორმირების პროცესი თითქმის დამთავრებულია, მაგრამ მეგაპოლისების ფორმირება კვლავაც მიმდინარეობს. უდიდესი მეგაპოლისებია: მეხიკო - 21,6 მლნ, სან-პაულუ - 21,5 მლნ, რიო-დე-ჟანეირო - 13,3 მლნ, ბუენოს აირესი - 13,0 მლნ და სხვ. რეგიონისათვის დამახასიათებელია „ცრუ ურბანიზაცია“, კერძოდ, ქალაქებში თავს იყრის სოფლის უმუშევარი, უბინაო და უღარიბესი მოსახლეობა, რომლებიც მოკლებულნი არიან ქალაქური ცხოვრების წესს და დანაშაულში არიან ჩართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ლათინური ამერიკის მეურნეობრივ განვითარებაზე დიდი გავლენა კოლონიურმა წარსულმა ითამაშა, რომელიც ორიენტირებული იყო სამრეწველო ნედლეულისა და პლანტაციური ტროპიკული კულტურების გატანაზე. XX საუკუნიდან დიდ ადგილს იჭერს აშშ-ისა და ინგლისური კაპიტალი, რომლის გავლენითაც ყალიბდება საერთაშორისო ბაზარზე დამოკიდებული ეკონომიკა. უცხოური უმსხვილესი ნავთობკომპანიები იქმნება მექსიკაში, ვენესუელაში, ბოლივიაში და პერუში. ვესტ-ინდოეთი გადაიქცა „ამერიკულ საშაქრედ“, ბრაზილია და კოლუმბია - „ყავის ქვეყნებად“, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები - „ბანანის რესპუბლიკებად“, არგენტინის, ურუგუაისა და ბრაზილიის სტეპები (პამპა) – „სახორცე-სამატყლე კონცერნად“.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ლათინური ამერიკის ქვეყნებში დაიწყო ეკონომიკის ნაციონალიზაცია, რის შედეგადაც გარკვეული ცვლილებები განხორციელდა მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურასა და ტერიტორიულ ორგანიზაციაში. პრიორიტეტი მიენიჭა ადგილობრივი რესურსების ბაზაზე პროდუქციის წარმოებასა და ექსპორტს. 2017 წელს რეგიონში წარმოებული იყო 11,1 ტრილიონი დოლარის პროდუქცია (მსოფლიო წარმოების 8,7%). მატერიალური წარმოების დარგებიდან წამყვანია მრეწველობა, რომლის ხვედრითი წილი მაღალია პუერტო-რიკოში - 50,1%, ტრინიდადი და ტობაკოში - 48,8, ვენესუელაში - 38,2%, ბოლივიაში - 37,8%, პერუში - 36,3%, დომინიკანის რესპუბლიკაში - 33,8% და სხვ. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მაღალია პარაგუაიში - 17,9%, გაიანაში - 17,5%, ნიკარაგუაში - 15,5% და სხვ. მომსახურე დარგების ხვედრითი წილი საშუალოდ 60-65%-ის ფარგლებში მერყეობს (ბარბადოსი - 93,8%, ბაჰამის კუნძულები - 90%, პანამა - 82,8%). რეგიონის ეკონომიკაში კვლავაც მაღალია უცხოური კაპიტალისა და ინვენსტიციების ხვედრითი წილი. პანამაში, ბაჰამის კუნძულებზე და სხვა ქვეყნებში ოფშერული კომპანიები ფუნქციონირებს.

მრეწველობა

ლათინურ ამერიკაში მრეწველობის ჩასახვა იწყება XVIII საუკუნის ბოლოს, ხოლო მისი ინტენსიური განვითარება XX საუკუნის დასაწყისიდან. როგორც მეურნეობის სხვა დარგები, მრეწველობის დარგობრივი და ტერიტორიული განლაგება ატარებდა კოლონიურ ხასიათს. თანამედროვე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მრეწველობის ნაციონალიზაციის მიმართულებით და დარგობრივ სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, ლათინური ამერი-

კის მრეწველობაში უცხოურ კაპიტალს საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს.

სამთო-მოპოვებით მრეწველობა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომელიც მდიდარ და მრავალფეროვან რესურსებს ეფუძნება. საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი ნავთობის მოპოვებაა, რითაც გამოირჩევა ვენესუელა, მექსიკა და ეკვადორი. რკინის მადნის უმსხვილესი მომპოვებელი ბრაზილიაა (პირველი ადგილი, კარაჟასი - ღია წესით მოპოვება), სპილენძის მოპოვებით გამოირჩევიან ანდების ქვეყნები, განსაკუთრებით ჩილე (3,1 მლნ ტ, პირველი ადგილი), ბოქსიტების მოპოვებით ცნობილია იამაიკა და ბრაზილია, ვერცხლისწყლით - მექსიკა (2500 ტ, პირველი ადგილი), პოლიმეტალებით - მექსიკა, ნიკელით - კუბა, გოგირდით - მექსიკა და სხვ. მოპოვებული წიაღისეულის დიდი ნაწილი ექსპორტში გადის, თუმცა ბოლო წლებში არსებული რესურსების ბაზაზე აქტიურად მიმდინარეობს დამუშავებითი მრეწველობის განვითარება.

სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა დაჩქარებული ტემპით ვითარდება, რომელიც ბევრ ქვეყანაში ადგილობრივ რესურსებს ეფუძნება. ნავთობის მოპოვება მექსიკაში იწყება 1901 წლიდან „ოქროს სარტყელში“, მაგრამ ბოლო წლებში მოპოვების დიდი ნაწილი კამპეჩას ყურის ეკვატორზე მოდის. რეგიონში საშუალოდ მოიპოვება 395 მლნ ტ ნავთობი (მექსიკა 117,8 მლნ ტ, პირველი ადგილი). ნავთობის დაზვერილი მარაგით პირველ ადგილზე ვენესუელაა (48,7 მლრდ ტ), ხოლო მოპოვება 116,4 მლნ ტონას შეადგენს. სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნებიდან აღსანიშნავია კოლუმბია (59,6 მლნ ტ), ეკვადორი (30,8 მლნ ტ.), არგენტინა (26,5 მლნ ტ) და სხვ. გაზის მოპოვების დიდი ნაწილი ძირითადად ზემოთ დასახელებულ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე მოდის (ეკვადორი - 40,9 მლრდ $მ^3$, მექსიკა - 31,6 მლრდ $მ^3$, ვენესუელა - 27,1 მლრდ $მ^3$). რეგიონი ნახშირის რესურსებით შედარებით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი. ქვანახშირის მოპოვების დიდი ნაწილი ძირითადად ვენესუელასა და ბოლივიაზე მოდის.

ელექტროენერგეტიკის დაჩქარებული განვითარება იწყება XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, რომელიც უფრო მეტად ჰიდროენერგეტიკის მიმართულებით ვითარდება, სადაც ფუნქციონირებს მსოფლიოში უმსხვილესი ჰიდროელექტრო სადგურები ვენესუელის ჰესი - გური (სიმძლავრე 10,3 მლნ კვტ.), ბრაზილია-პარაგუაის ერთობლივი ჰესი იტაიპუ (სიმძლავრე 7,0 მლნ კვტ.) და სხვ. თბოსადგურების მაღალი ხვედრითი წილი მაღალია ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. ატომური ენერგეტიკა განვითარებულია ბრაზილიასა და არგენტინაში. რეგიონში საშუალოდ იწარმოება 2,2 ტრილ კვტ/სთ ელექტროენერგია. წარმოებით გამოირჩევა ბრაზილია - 509,1 მლრდ კვტ/სთ,

მექსიკა - 302 მლრდ კვტ/სთ, არგენტინა - 131,9 მლრდ კვტ/სთ, ვენესუელა - 109,0 მლრდ კვტ/სთ და სხვ.

მეტალურგია ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების დონეზე კარგადაა განვითარებული ბრაზილიაში, მექსიკაში, არგენტინაში, ვენესუელასა და სხვა ქვეყნებში. შავ მეტალურგიაში საკმაოდ დიდი ადგილი უცხოურ კაპიტალზე მოდის (მექსიკაში - 40%). რკინის მადნით უმდიდრესი ქვეყანაა ბრაზილია, სადაც მარაგი 135 მლრდ ტონაა და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა (,,რკინის მადნის სამკუთხედის რაიონი" - 6 მლრდ ტონა, ,,კარაჟასი" – 5 მლრდ ტ). რკინის მადნის მარაგით ასევე გამოირჩევა: ვენესუელა, მექსიკა, ჩილე, პერუ და სხვ. რეგიონში 1960-1980 წლებში ფოლადის წარმოება 4,7 მლნ ტ-დან, 27 მლნ ტ-მდე გაიზარდა. ბოლო წლებში წარმოების მაჩვენებლები 65 მლნ ტ-ას აღემატება. მთავარი მწარმოებლებია: ბრაზილია - 34,4 მლნ ტ, მექსიკა - 20,0 მლნ ტ, არგენტინა - 4,6 მლნ ტ და სხვ. ფერადი მეტალურგიიდან განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული სპილენძის მრეწველობა, რომელიც თავდაპირველად უფრო ნედლეულის მოპოვებაზე იყო ორიენტირებული. სპილენძის რესურსებით გამოირჩევა ანდების ქვეყნები, განსაკუთრებით ჩილე. რეგიონში სპილენძის კონცენტრატების მთავარი მომპოვებლებია: ჩილე - 3,1 მლნ ტ (მსოფლიოში პირველი ადგილი), პერუ - 471 ათასი ტ, მექსიკა - 341 ათასი ტ და სხვ (2015 წ.). შავი და რაფინირებული სპილენძის წარმოებით გამოირჩევა ჩილე - 2,4 მლნ ტ (წარმოება ფუნქციონირებს მადნების ბაზაზე - ჩიკიკამატა, პოტრერილოსიო, ელ-ტენეტე) და პერუ - 360 ათასი ტ. სპილენძის მრეწველობაში გარკვეული ადგილი უცხოურ კაპიტალს უჭირავს. ალუმინის რესურსებით (ბოქსიტები) განსაკუთრებით მდიდარი და მთავარი მომპოვებლებია გვიანა (18 მლნ ტ, მეორე ადგილი), ბრაზილია (14 მლნ ტ) და იამაიკა (12 მლნ ტ). მეტალური ალუმინის წარმოებით გამოირჩევა ბრაზილია (790 ათასი ტ), ვენესუელა, მექსიკა, არგენტინა და სხვ. რეგიონში წარმოებული ტყვიის ნახევარი მექსიკაში იწარმოება (მსოფლიოში მე-6 ადგილი). კალის წარმოების დიდი ნაწილი ბოლივიაზე მოდის. ნიკელის მრეწველობა კარგადაა განვითარებული კუბაში, სადაც ოთხი კომბინატი ფუნქციონირებს. ოქროს მოპოვება ბევრ ქვეყანაში ხდება, განსაკუთრებით, ბოლივიაში, ბრაზილიაში, მექსიკაში, არგენტინასა და სხვ. ვერცხლის მრეწველობის საერთაშორისო სპეციალიზაცია გააჩნია მექსიკას (2500 ტ, მსოფლიოში პირველი ადგილი).

მანქანათმშენებლობა ლათინურ ამერიკაში დამუშავებითი მრეწველობის სწრაფად მზარდი დარგია. რეგიონი აწარმოებს თანამედროვე მანქანათმშენებლობის თითქმის ყველა სახის პროდუქციას, რომელიც კონცენტრაციის მაღალი

დონით გამოირჩევა. კერძოდ, მანქანათმშენებლობის საწარმოების დიდი ნაწილი „დიდ სამეულზე“ - ბრაზილიაზე, მექსიკასა და არგენტინაზე მოდის. მანქანათმშენებლობაში დიდი ადგილი უცხოურ კაპიტალს უჭირავს, რომელიც იაფ მუშახელსა და ასაწყობ საწარმოებზეა ორიენტირებული. წამყვანია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა ავტომობილების უპირატესობით, აგრეთვე, პრიორიტეტი ენიჭება საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, რომელიც ბევრ ქვეყანაშია განვითარებული. დარგის განვითარებას დიდი პერსპექტივები გააჩნია, რადგან ამ ეტაპისათვის მანქანათმშენებლობის პროდუქციის მსხვილ იმპორტიორ რეგიონად რჩება.

ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობის შემდეგ, დამუშავებითი მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია. რეგიონი სამთო-ქიმიური ნედლეულით საკმაოდ მდიდარია, რომელიც განსაზღვრავს დარგის სპეციალიზაციას. აღსანიშნავია ნავთობ-ქიმია, რომელიც ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში კარგადაა განვითარებული. ადგილობრივი მცენარეული და ნატურალური ნედლეულის ბაზაზე წარმოდგენილია ფარმაცევტული და საყოფაცხოვრებო ქიმია (პარფუმერიის სპეციალიზაციით). ძირითადი ქიმია მინერალური რესურსების სპეციალიზაციით კარგადაა განვითარებული ბრაზილიაში, მექსიკაში, არგენტინაში, ჩილეში, ვენესუელაში, ბოლივიასა და სხვ. ქიმიურ მრეწველობაში უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია.

ხე-ტყის მრეწველობის განვითარებისათვის ქვეყანას გააჩნია საკმაოდ მდიდარი, მათ შორის, ძვირფასი მერქნის, რესურსები. ბრაზილია მერქნის რესურსებით, რუსეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა და მასზე მოდის რეგიონის ხე-ტყის პროდუქციის 1/4 ნაწილი. ტყიანობის კოეფიციენტი მაღალია გვიანასა და სურინამში, მაგრამ სამრეწველო დანიშნულების მერქანი შედარებით ცოტაა. დარგის განვითარებაში დიდი ადგილი აშშ-ისა და კანადის კაპიტალს უჭირავს. მერქნის დამზადებით გამორჩეული ქვეყნებია: ბრაზილია (75-80 მლნ $მ^3$), კოლუმბია, მექსიკა, ეკვადორი, ვენესუელა, გვიანა, სურინამი და სხვ. მერქნის მექანიკური დამუშავების საწარმოები ავეჯის სპეციალიზაციით თითქმის ყველა ქვეყანაშია განვითარებული. ცელულოზა ქაღალდის მრეწველობა შედარებით კარგადაა განვითარებული ბრაზილიაში, მექსიკაში, ჩილეში, არგენტინაში, ვენესუელასა და კოლუმბიაში.

მსუბუქი მრეწველობა ერთ-ერთი უძველესი დარგია, რომელსაც ყველა ქვეყანაში, მრეწველობის პროდუქციასა და დასაქმებულთა რაოდენობაში, საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს. რეგიონი მსუბუქი მრეწველობისთვის საჭირო სანედლეულო ბაზით უზრუნველყოფილია. დარგის სტრუქტურაში წამყვანი პოზიციები საფეიქრო, განსაკუთრებით, ბამბეულის მრეწველობას უჭი-

რავს. ბამბეულის ქსოვილების მსხვილი მწარმოებლები არიან ბრაზილია და მექსიკა. შალეულის მრეწველობით გამოირჩევა ბრაზილია, არგენტინა და ურუ-გუაი. სამკერვალო მრეწველობა ბევრ ქვეყანაშია განვითარებული, ხოლო ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის საერთაშორისო სპეციალიზაცია ბრაზილიასა და არგენტინას გააჩნიათ. ბრაზილია სხვადასხვა (მათ შორის, ნიანგის, გველის) ტყავის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანაა.

კვების მრეწველობა ერთ-ერთი ტრადიციული დარგია, რომელიც მრავალ-ფეროვანი სანედლეულო ბაზითაა უზრუნველყოფილი. მცენარეული ნედლეუ-ლის გადამუშავების დიდი ნაწილი შაქრის ლერწამზე მოდის, რის ბაზაზეც შაქრის წარმოებით ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია. შაქრის უმსხვილესი მწარმოებლებია: ბრაზილია - 35,8 მლნ ტ (პირველი ადგილი), მექსიკა - 6,7 მლნ, ტ, გვატემალა - 2,9 მლნ ტ, არგენტინა - 2,1 მლნ ტ, კუბა - 1,7 მლნ ტ (1988 წელს აწარმოებდა 6,5 მლნ ტ, პირველ ადგილზე იყო ერთ სულ მოსახლეზე - 750 კგ), პერუ - 1,2 მლნ ტ და სხვ. (2014 წ). საკონსერვო მრეწველობა მაღალ დონეზეა გან-ვითარებული მექსიკაში (ანანასის წვენი, ტომატის პასტა, ტროპიკული ხეხილი), ბრაზილიაში (ხილის წვენები, ხორცის კონსერვები), არგენტინაში (ხილის კონ-სერვანტები, ხორცის კონსერვები, შედედებული რძე), ჩილეში (ხილის კონცენტ-რატები, თევზის კონსერვები), პერუსა (თევზის კონსერვები) და სხვ. ხორცის მრეწველობა კარგადაა განვითარებული ბრაზილიასა და არგენტინაში. ღვინის მრეწველობა ყველაზე კარგადაა წარმოდგენილი არგენტინაში (ექსპორტით მე-6 ადგილზეა). ბრაზილია, მექსიკა, კოლუმბია და სხვა ქვეყნები ცნობილია ყავისა და კაკაოს ნახევარფაბრიკატების წარმოებით. საკონდიტრო მრეწველობა თითქ-მის ყველა ქვეყანაშია განვითარებული, მაგრამ ყველაზე მაღალხარისხოვანი შე-კოლადი ვენესუელაში იწარმოება. ლათინურ ამერიკაზე მოდის თევზჭერისა და მსოფლიოში თევზის ფქვილის წარმოების 40% (მთავარი ქვეყნებია ჩილე და პერუ), მაგრამ იგი პურ-ბურღულეულის ნედლეულისა და პროდუქციის მსხვი-ლი იმპორტიორი რეგიონია.

სოფლის მეურნეობა

ლათინური ამერიკა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი აგრარული რე-გიონია, სადაც მრავალფეროვანი ნიადაგურ-კლიმატური რესურსები საშუალე-ბას იძლევა მრავალდარგოვანი ორ-სამ მოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო წარ-მოების განვითარებისათვის. რეგიონი უზრუნველყოფილია მიწის რესურსებით, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს უჭირავს ტერიტორიის მხოლოდ 1/4 ნაწილი, ხოლო დამუშავებულ მიწებს - 7%. არის როგორც წვრილი, ისე მსხვილი ფერმერული მეურნეობები, მაგრამ მიწების 60%-ს ფერმერთა 2%

(საშუალოდ 500 ჰა) ფლობს, როცა წვრილი ფერმერები საშუალოდ 4,5 ჰა-ს ფლობენ. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 12-13% და იძლევა რეგიონის მშპ-ის 7-8%-ს. ეს მაჩვენებელი მაღალია კომორის კუნძულებზე - 49,5%, ჰაიტში - 38,1%, პარაგუაიში - 17,9%, ნიკარაგუაში - 15,5%, ხოლო დაბალია ტრინიდადი და ტობაკოში - 0,4%, არაბუში - 0,4%, ბერმუნდის კუნძულებზე - 0,8%, ბარბადოსში - 1,4% და სხვ. (2017 წ.).

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მემცენარეობაა (არგენტინისა და ურუგუაის გარდა) და მასზე მოდის პროდუქციის თითქმის 70%. მემცენარეობაში გამოიყოფა სამი ტიპი: სამომხმარებლო მცირე სასაქონლო, ტრადიციული საპლანტაციო და კაპიტალისტური სასაქონლო. სამომხმარებლო მცირე სასაქონლო მემცენარეობის ტიპი თითქმის ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი, რომელიც გამოირჩევა მიწის რესურსების პარცელაციობით, ხოლო წარმოება ორიენტირებულია საკვებ კულტურებზე (სიმინდი, მანიოკი, კარტოფილი, შავი ლობიო). საპლანტაციო მემცენარეობამ მონათმფლობელობიდან დღემდე სერიოზული ცვლილებები განიცადა და მთლიანად გადასულია დაქირავებულ შრომაზე. საჭიროებს მცირე კაპიტალდაბანდებებს და დიდი რაოდენობით შრომით რესურსებს. მთავარი საპლანტაციო კულტურებია შაქრის ლერწამი, ყავა, კაკაო, ბამბა და ბანანი. ბევრი ქვეყანა, განსაკუთრებით კარიბის ზღვის აუზის პატარა ქვეყნები, მონოკულტურებზე ორიენტირდება. შაქრის ლერწმის საპლანტაციო მეურნეობა უძველესი და საკმაოდ გავრცელებული კულტურაა. ძირითადი პლანტაციები არის ბრაზილიაში, მექსიკაში, კუბაში, გვატემალაში, გვიანასა და სხვ. ყავა ტროპიკული ამერიკის ყველა ქვეყანაში მოჰყავთ. უმსხვილესი მწარმოებლებია: ბრაზილია - 3,3 მლნ ტ, კოლუმბია - 870 ათასი ტ, გონდურასი - 356 ათასი ტ, პერუ - 252 ათასი ტ და სხვ. (2011 წ.). კაკაო 16 ქვეყანაში იწარმოება (ბრაზილია - 256,2 ათასი ტ, ეკვადორი - 128 ათასი ტ, მექსიკა - 82 ათასი ტ, პერუ - 71,2 ათასი ტ, დომინიკანის რესპუბლიკა - 68,1 ათასი ტ). მოჰყავთ ათი სახეობის ბანანი, რომლის პლანტაციებიც უფრო მეტად განლაგებულია ზღვის სანაპირო ზონაში, საიდანაც ხდება მისი იოლად ტრანსპორტირება. მთავარი მწარმოებლებია: ეკვადორი - 7,9 მლნ ტ, ბრაზილია - 7,3 მლნ ტ, გვატემალა - 3,2 მლნ ტ და სხვ. (2016 წ.). ბამბა მოჰყავთ 17 ქვეყანაში: ბრაზილია - 1,6 მლნ ტ, მექსიკა - 220 ათასი ტ, არგენტინა - 210 ათასი ტ და სხვ.

კაპიტალისტური მემცენარეობა განიცდის უცხოური ინვესტიციებისა და მსოფლიო ბაზრის გავლენას. გამომდინარე აქედან, დარგის განვითარების სტიმულირებაზე სახელმწიფო სუფსიდიებს გასცემს, რომ „მწვანე რევოლუცია“ განხორციელდეს. კაპიტალისტური მეურნეობის ტიპური კულტურებია ხორბალი და ბრინჯი. ხორბლის უმსხვილესი მწარმოებლებია არგენტინა (18,6 მლნ ტ),

ბრაზილია (6,8 მლნ ტ, მექსიკა (3,9 მლნ ტ) და სხვ. ბრინჯი ძირითადად იწარმოება ბრაზილიაში. ბრაზილიასა და არგენტინაში სწრაფი ტემპით ვითარდება სოიოს კულტურაც.

მევენახეობა ბევრ ქვეყანაშია განვითარებული, განსაკუთრებით არგენტინაში, ჩილეში, მექსიკაში, ბრაზილიასა და სხვ. სუბტროპიკული მეხილეობის უმსხვილესი მწარმოებელია ბრაზილია (პირველი ადგილი - 14, 2 მლნ ტ).

მეცხოველეობას სოფლის მეურნეობაში დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს, თუმცა არგენტინასა და ურუგუაიში საკმაოდ კარგადაა განვითარებული. მეცხოველეობის განვითარება ხდება როგორც წვრილ, ისე მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში, ე.წ. „რანჩოებში“. წამყვანი დარგი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებაა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია განვითარებული, განსაკუთრებით ბრაზილიაში (127 მლნ სული), არგენტინაში და ურუგუაიში (არგენტინასა და ურუგუაიზე მოდის საქონლის ხორცის ექსპორტის 2/3 ნაწილი). აშენებენ ღორს, ფრინველს (ბრაზილია ღორის და ფრინველის ხორცის უმსხვილესი ექსპორტიორია), ცხვარს, ცხენს და სხვ.

ტრანსპორტი

ლათინურ ამერიკას გააჩნია კარგი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, მაგრამ სატრანსპორტო კომუნიკაციების ქსელი შედარებით სუსტადაა განვითარებული (ამაზონის დაბლობის ვრცელი ტერიტორიები სატრანსპორტო გზებს მოკლებულია). ქვეყნებს შორის არსებული სატრანსპორტო კავშირები ჯერაც გაზრდილ მოთხოვნებს ვერ პასუხობს. სარკინიგზო გზების გაყვანა უცხოური კაპიტალით XIX საუკუნეში დაიწყო, რომელიც სამრეწველო და სასოფლო ნედლეულის საზღვაო პორტების მიმართულებით გადატანას ემსახურებოდა. თანამედროვე პერიოდში გზების საერთო სიგრძე 115 ათას კმ-ს აღემატება, მათ შორის დიდი ნაწილი არგენტინაში (36,9 ათასი კმ) ბრაზილიაში (29,8 ათასი კმ), მექსიკაში (15,3 ათასი კმ), ჩილეშია (3,1 ათასი კმ), როცა ვენესუელაში მხოლოდ 447 კმ-ია. რეგიონში სარკინიგზო ტრანსპორტით, ძირითადად, მადანი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადაიტანება. რაც შეეხება მგზავრთბრუნვას, დაბალი მაჩვენებლებია.

საავტომობილო ტრანსპორტი შიდა სახმელეთო კომუნიკაციების დამყარებაში, განსაკუთრებით, მთიან ქვეყნებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გზების საერთო სიგრძე 3,8 მლნ კმ-ია, მათ შორის, 2/4 ნაწილი მყარსაფარიანია. გზების სიგრძით გამოირჩევა ბრაზილია (1,8 მლნ კმ, მე-4 ადგილი), მექსიკა (377,6 ათასი კმ), არგენტინა (331,4 ათასი კმ), პერუ (206,5 ათასი), ვენესუელა

(96,7 ათასი კმ) და სხვ. საავტომობილო ტრანსპორტზე რეგიონის შიდა მგზავრთბრუნვის არანაკლებ 85% მოდის.

მილსადენ ტრანსპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთობისა და გაზის მომპოვებელ ქვეყნებში. მილსადენი ხაზების სიგრძით გამოირჩევა არგენტინა (30,3 ათასი კმ, მ.შ. 4,1 ათასი კმ ნავთობსადენია), მექსიკა (26,1 ათასი, მ.შ 14,7 ათასი კმ გაზსადენია), ბრაზილია (17,8 ათასი კმ მ.შ. 5,9 ათასი კმ გაზსადენია) კოლუმბია (11,7 ათასი კმ, მ.შ. 6,8 ათასი კმ ნავთობსადენია), ვენესუელა (7,8 ათასი კმ, მ.შ. 5,9 ათასი გაზსადენია) და სხვ. მილსადენი ხაზები ძირითადად გაყვანილია საბადოებიდან პორტების მიმართულებით.

შიდა წყლის ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული. მნიშვნელოვანი სანაოსნო მდინარეებია ამაზონი (საოკეანო გემები 1000 კმ-ის სიღრმეში მანაუ-სამდე შედის), ორინოკო და პარანა. შიდა წყლის გზების სიგრძით გამოირჩევა ბრაზილია (50 ათასი კ), კოლუმბია (27,7 ათასი კმ) ვენესუელა (7,1 ათასი კმ) და სხვ. შიდა წყლის ტრანსპორტის როლი განსაკუთრებით მაღალია ლა-პლატის აუზში.

ლათინურ ამერიკაში საზღვაო ტრანსპორტი შედარებით კარგადაა განვი-თარებული, რაც გეოგრაფიული მდებარეობით საგარეო ეკონომიკური კავშირე-ბის ფართო ქსელთან არის დაკავშირებული. საზღვაო ფლოტის ტონაჟით განსაკუთრებით გამოირჩევა პანამა (8052 გემი, 90,4 მლნ ბრუტ.რეგ. ტ, პირველი ადგილი) და ბაჰამის კუნძულები (1440 გემი 25,6 მლნ ბრუტ. რეგ. ტ, მე-6 ადგილი). აღნიშნული ქვეყნების გემების დიდი ნაწილი „გამოსადეგი დროშის“ ქვეშ ცურავს. რეგიონში უფრო მეტად სპეციალიზებული პორტებია, რომლებიც მადნისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს ემსახურებიან. უმსხვილესი საზღვაო პორტებია: სან ლუისი (135,4 მლნ ტ, ბრაზილია), ტუბარანი (131,2 მლნ ტ, ბრაზილია, სანტოსი (109,3 მლნ ტ, ბრაზილია, რიო დე ჟანეირო (104,7 მლნ ტ, ბრაზილია), პანამა (25,6 მლნ ტ, პანამა) კასაბლანკა (21,6 მლნ ტ, ვენესუელა) და სხვ.

საავიაციო და ელექტრო ტრანსპორტი დაჩქარებული ტემპით ვითარდება. საავიაციო ტრანსპორტის როლი შედარებით მაღალია ჩილეში, ბრაზილიაში, მექსიკასა და სხვ.

ტურიზმი

ლათინური ამერიკა მსოფლიოში ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, სადაც საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 75 მლნ-ს, ხოლო შემოსავლები 90 მლრდ დოლარს აჭარბებს. გამოირჩევა მრავალფეროვანი ტუ-რისტულ-რეკრეაციული რესურსებით, რომელთა შორის აღსანიშნავია: საზღვაო

პლაჟები (ბრაზილიაში - კოპა კაბანა, იპანემა; მექსიკაში - ტამპიკო, ბაჰამის კუნძულები), ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტები, უძველეს ინდიელთა ტომების ცივილაზიციები (მექსიკაში - ჩი-ჩენ-იცა, პალენკასა; პერუში მაჩუ-პიკჩუ), თანამედროვე არქიტექტურული ძეგლები (ბრაზილიაში - ქრისტეს ქანდაკება), ადგილობრივ ხალხთა ტრადიციები (ბრაზილიაში - კარნავალი) და სხვ. განვითარებულია ტურიზმის ყველა სახე, რომელთა შორის წამყვანია შემეცნებითი და საზღვაო ტურიზმი. ტურიზმის განვითარებით გამორჩეული ქვეყნებია: მექსიკა (26-27 მლნ), ბრაზილია (17-18 მლნ), ეკვადორი (5-6 მლნ), არგენტინა (4-5 მლნ), ბაჰამის კუნძულები (4-4,5 მლნ), პერუ (4 მლნ) და სხვ.

6.1.1. ბრაზილია

ფართობი - 8,512 ათასი კმ²
მოსახლეობა - 212,9 მლნ კაცი (2021 წ.)
დედაქალაქი - ბრაზილია

ზოგადი ცნობები

ბრაზილია ლათინურ ამერიკაში, ბუნებრივ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული თვალსაზრისით, უდიდესი პოტენციის მქონე ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს დიდი ოცეულის წევრია და სოციალურ-ეკონომიკური კუთხით საკმაოდ სწრაფად ვითარდება. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილება ერთ სულ მოსახლეზე 15260 დოლარს, ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი - 0,744-ს (79-ე ადგილი, 2017 წ.) შეადგენს. ქვეყნის დევიზია: ,,წესრიგი და პროგრესი“ - ,,Ordem e Progresso“ . სახელმწიფო ენა - პორტუგალიური, ფულის ერთეული - რეალი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

ბრაზილია ლათინური ამერიკის უდიდესი ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში. გააჩნია საკმაოდ კარგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა; აქვს ფართო გასასვლელი ატლანტის ოკეანეზე, ქვეყანაზე გადის ტრანსამერიკული სატრანსპორტო კომუნიკაციები, აქვს კარგი ,,მეზობლური” და გეოპოლიტიკური მდებარეობა. საზღვრების საერთო სიგრძე 23636 კმ-ია, აქედან 16145 კმ, ანუ - 68,3% სახმელეთოა. აღმოსავლეთით (7491 კმ) აკრავს ატლანტის ოკეანე, დასავლეთით ესაზღვრება ბოლივია (3403 კმ),

კოლუმბია (1790 კმ), პერუ (2659 კმ) და პარაგუაი (1371 კმ), ჩრდილოეთით - ვენესუელა (2137 კმ), გვიანა (649 კმ), სურინამი (515 კმ), გაიანა (1308 კმ), სამხრეთით - ურუგუაი (1050 კმ) და სამხრეთ-დასავლეთით არგენტინა (1263 კმ). ბრაზილიის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ. 39.

ნახ. 39. ბრაზილიის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ბრაზილიის ბუნებრივი პირობები და რესურსები მეტად მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობითა (ეკვატორი გადის ჩრდილო ნაწილში) და ტერიტორიის სიდიდით. რელიეფი ძირითადად ერთგვაროვანია და წარმოდგენილია დაბლობებით, ვაკეებითა და ზეგნებით. რელიეფის საშუალო სიმაღლე 320 მ-ია, ხოლო უმაღლესი წერტილი პიკო დე ნებლინა ზ.დ. 2994 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ამაზონის დაბლობს. ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი ძირითადად წარმოდგენილია ბრაზილიის ზეგნით. რელიეფი, განსახლების და სამეურნეო თვალსაზრისით, გარდა მცირე გამონაკლისისა, განსაკუთრებულ პრობლემებს არ ქმნის.

ბრაზილია მინერალური რესურსებით, განსაკუთრებით, მადნეული წიაღისეულით, მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა. მსოფლიო მნიშვნე-

ლობა აქვს რკინის მადანს, რომლის საერთო მარაგი შეფასებულია 135 მლრდ ტონით, აღსანიშნავია ,,რკინის მადნის სამკუთხედის რაიონი", კარაჟასის აუზი, აგრეთვე, მონტე-გროსეს საბადოც. მსოფლიო მნიშვნელობისაა მარგანეცის მარაგიც, რომლის დიდი ნაწილი თავმოყრილია სარრა დე ნავიუსისა და ურუკუმის საბადოებში. აღსანიშნავია ბოქსიტების მარაგითაც, რომლის მთავარი საბადოები გვხვდება ამაზონის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში. სხვა მადნეული წიაღისეულიდან აღსანიშნავია სპილენძი, ტიტანი, ქრომი, მიობიუმი, ტიტანი და ტყვია-თუთია. არამადნეული წიაღისეულიდან ცნობილია ფოსფორიტებით. ბრაზილია შედარებით ნაკლებადაა უზრუნველყოფილი სათბობი რესურსებით, განსაკუთრებით, ნავთობით. მოიპოვება სტრატეგიული ნედლეული ურანი.

ბრაზილია განლაგებულია ეკვატორულ, სუბეკვატორულ და ტროპიკულ კლიმატურ სარტყლებში, სადაც ტერიტორიის დიდ ნაწილზე წლის ერთი სეზონია. ტემპერატურა საშუალოდ მერყეობს +14,7°C - 28,3°C ფარგლებში. ნალექების საშუალო რაოდენობა 800-1600 მმ-ია. ნალექების შედარებით მეტი რაოდენობა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მოდის. აქაური კლიმატური რესურსები ფართო საშუალებას იძლევიან მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ტურიზმის განვითარებისთვის.

წყლის რესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მდინარე ამაზონის აუზის უპირატესად დიდი ნაწილი ბრაზილიის ტერიტორიაზეა, რომლის შენაკადები მთელი წლის განმავლობაში უხვწყლიანია. ამაზონის დიდი ნაწილი გამოსადეგია სანაოსნოდ, კერძოდ, საოკეანო გემები ოკეანის სანაპიროდან 1000 კმ-ის მანძილზე ქალაქ მანაუსამდე შედიან, ხოლო მისი შენაკადების დიდი ნაწილი გამოსადეგარია სანაოსნოდ. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია პარანა, სან-ფრანცისკუ და სხვ. მდინარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი შეფასებულია 215 მილიარდი კვტ/სთ-ით. ბრაზილიის მთიანეთის მდინარეები სარწყავად გამოიყენება.

ბრაზილია მსოფლიოში, რუსეთის შემდეგ, ტყის რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა. ტყეს უჭირავს ტერიტორიის 61,9%. ტყიანობის მაღალი კოეფიციენტი ამაზონის დაბლობზეა, სადაც წარმოდგენილია გაუვალი ტყეები, ე.წ. ჯუნგლები-სელვაშები. ტყის ბოტანიკურ შემადგენლობაში სჭარბობს ძვირფასი ჯიშის მერქანი (არაუკარია, აბანოზის ხე, ტექის ხე, კებრაჩო და სხვ.).

ისტორიულ - გეოგრაფიული მიმოხილვა

ბრაზილიის ტერიტორიაზე უძველესი დასახლებები არსებობდა ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან, მაგრამ დანარჩენ რეგიონებს განვითარების დონით ბევრად ჩამორჩებოდა. დაახლოებით 800-1400 წლებში მიწათმოქმედების კულტურა შედარებით კარგად იყო განვითარებული კუნძულ მარაჟოარაზე. კოლონიზაციამდე ბრაზილიაში, დაახლოებით, 7 მლნ კაცი ცხოვრობდა. ევროპელებისთვის ბრაზილია ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა 1500 წელს მის სანაპიროს პორტუგალიელი ზღვაოსანი პედრუ ალვარეშ კარბალი მიადგა. 1533 წლიდან იწყება ბრაზილიის კოლონიზაცია პორტუგალიელების მიერ, რომელიც მთელი 300 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. თავდაპირველად პორტუგალიელებმა დაიწყეს სამუშაო ძალების ჩასახლება ინდიელი (აიკრძალა 1574 წელს) და მოგვიანებით, აფრიკელი მონების სახით. 1640 წელს პორტუგალიელების მიერ დაინიშნა პირველი ვიცე-მეფე (მარკის დე მონტალვანი). 1763 წელს ბრაზილიის დედაქალაქად გამოცხადდა რიო-დე-ჟანეირო (1960 წელს დედაქალაქი ბრაზილია ხდება). XIX საუკუნის დასაწყისში რეგიონში დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და 1822 წელს ღებულობს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. 1888 წელს აიკრძალა მონობა, ხოლო 1899 წელს იქმნება რესპუბლიკა (ოფიციალურად „ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკა“). 1930-1934 და 1937-1945 წლებში დამყარდა ვარგასის დიქტატურა. 1964 წელს მოხდა სამხედრო გადატრიალება მარშალ ბრანკუს ხელმძღვანელობით, რომელიც 1985 წლამდე არსებობდა. გაეროს სრულუფლებიანი წევრი 1955 წლიდანაა. ქვეყნის ოფიციალური სახელწოდებაა - ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სახელმწიფო წყობილება და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა

ბრაზილიაში დღეისათვის მოქმედებს 1988 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. მას 5 წლის ვადით ირჩევენ.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული კონგრესი, რომელიც შედგება დეპუტატთა პალატისა (487 ადგილი, არჩევა ხდება 4 წლის ვადით) და ფედერალური სენატისგან (72 ადგილი, არჩევა ხდება 8 წლის ვადით).

ბრაზილია ფედერაციული სახელმწიფოა, რომელიც შედგება 26 შტატისა (აკრი, ალაგოასი, ამაზონასი, ამაპა, ბაია, გოიასი, ესპირინტუ-სანტუ, მარანიანი, მატუ-გროსუ, მატუ-გროსუ-დე-სული, მინას-ჟერაისი, პარა, პარაიბა, პარანა, პერნამბუკუ, პიაუი, რიო-დე-ჟანეირო, რიუ-გრანდი-დუ-ნორტი, რიუ-გრანდი-დუ-სული, რონდონია, რორაიმა, სანტა-კატარინა, სან-პაულუ, სეარა, სერჟილი,

ტოკანტისი) და 1 ფედერალური (სადედაქალაქო) ოლქისაგან. შტატებს აქვთ თავიანთი კონსტიტუცია, საკანონმდებლო ორგანო და ჰყავთ გუბერნატორები.

მოსახლეობა

ბრაზილია მოსახლეობის რიცხოვნობით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა, სადაც 212,9 მლნ კაცი ცხოვრობს (2021 წ.). მისი მოსახლეობა ბოლო პერიოდამდე საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში საშუალოწლიური მატება მხოლოდ 0,7%-ია. ამასთან, გარკვეულწილად დაეცა მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებელი და ყოველ ათას კაცზე 7,2 პრომილეა (შობადობა - 13,9, სიკვდილიანობა - 6,7, 2017 წ.).

ქვეყანას გააჩნია საკმაოდ ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობა. მამაკაცები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 48,3, ხოლო ქალები 51,7%-ს. 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა შეადგენს 21,9%-ს, 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის 69,5%, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაზე - 8,6% (მსოფლიოში ერთ-ერთი დაბალი დონე). საშუალო ასაკი 32,4 წელია.

მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია, 55% ევროპეოიდული (პორტუგალიელები, გერმანელები, იტალიელები, ესპანელები, პოლონელები) 38,6% გარდამავალი (ძირითადად მულატები, კრეოლები), 6% - ნეგროიდული და 0,4% მონღოლოიდური რასების წარმომადგენლები (აბორიგენი ინდიელები) არიან. ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით ერთეროვანი ქვეყანაა, სადაც 92% პორტუგალიურ ენაზე ლაპარაკობს. სხვა ენებიდან აღსანიშნავია ესპანური, ინგლისური და გერმანული. მოსახლეობის 64,4% კათოლიკეა, 22,2% პროტესტანტი დანარჩენი სხვა აღმსარებლობისაა.

ქვეყნის კოლონიალიზაციის პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო იმიგრაციული პროცესები. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში შევიდა 5 მლნ-ზე მეტი კაცი (ძირითადად ევროპელები და იაპონელები). იმიგრაციის მეორე ტალღა განხორციელდა 1941-1961 წლებში და ამ დროს შევიდა 0,75 მილიონი კაცი. ამჟამად გააჩნია მიგრაციის დადებითი სალდო.

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა, სადაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 104,2 მლნ კაცია (მთელი მოსახლეობის - 49%). დასაქმებული მოსახლეობის 9,4% ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში, 32,1% - მრეწველობაში და 58,5% - მომსახურე დარგებში. უმუშევრობის დონე 12,8%-ია, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის მთელი მოსახლეობის 29,5%.

მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრადაა განლაგებული, სადაც საშუალო სიმჭიდროვე ერთ კმ²-ზე 26 კაცამდეა. მჭიდროდაა დასახლებული

აღმოსავლეთი სანაპირო რეგიონები, განსაკუთრებით სან-პაულუსა და რიო-დე-ჟანეიროს შტატები (საშუალოდ 190 კაცამდე), ხოლო სუსტად - ამაზონის დაბლობი.

ბრაზილია მაღალურბანიზებული ქვეყანაა, სადაც ურბანიზაციის დონე 86,6%-ია. უდიდესი ქალაქებია: სან-პაულუ - 11,3 მლნ (აგლომერაციაში - 21,7 მლნ), რიო-დე-ჟანეირო - 6,3 მლნ (აგლომერაციაში - 13,3 მლნ), სალვადორი - 2,7 მლნ, ბრაზილია - 2,6 მლნ, ბელუ-ორიზონტი - 2,4 მლნ, ფორტელაზა - 2,3 მლნ და სხვ.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ბრაზილია, მეურნეობის განვითარების დონის მიხედვით, ჯერჯერობით განვითარებადი ქვეყანაა, მაგრამ გააჩნია უდიდესი პოტენციალი, როგორც ბუნებრივი რესურსების, ისე საწარმოო ძალების განვითარების თვალსაზრისით. მის მეურნეობრივ-დარგობრივ სტრუქტურასა და ტერიტორიულ ორგანიზაციაზე დიდი გავლენა კოლონიურმა წარსულმა იქონია. თანამედროვე პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გარკვეულწილად უარყოფით გავლენას ახდენს უცხოური კაპიტალის მაღალი ხვედრითი წილი და საგარეო ვალი (547,4 მლრდ დოლარი). მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა შეადგენს 3,25 ტრილიონ დოლარს (2018 წ.). პროდუქციის 9,4% მოდის სოფლის მეურნეობაზე, 32,1% - მრეწველობაზე და 58,5% - მომსახურე დარგებზე.

მრეწველობის გეოგრაფია

ბრაზილია ენერგორესურსებით არცთუ ისე მდიდარი ქვეყანაა, განსაკუთრებით, სათბობი რესურსების თვალსაზრისით. ბოლო პერიოდში, გეოლოგიური სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, ბევრად ამაღლდა სათბობის მრეწველობაში ნავთობის დონე, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი რჩება უარყოფით სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის მქონე ქვეყნად. სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის 45% მოდის ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე, 29% - ჰიდროენერგიაზე, 14% - შეშასა და შეშის ნახშირზე, 7% - სპირტსა და ბაგასაზე (შაქრის ლერწმის ნარჩენი) და 5% - ნახშირზე. ნავთობის მოპოვება ბოლო წლებში საგრძნობლად ამაღლდა (მსოფლიოში მე-10 ადგილზეა) და 152 მლნ ტონა შეადგინა (2018 წ.). საკუთარი ნავთობი აკმაყოფილებს მოთხოვნილების 90%-ს, ხოლო იმპორტის გზით საშუალოდ შეაქვს 16-17 მლნ ტ. შედარებით სუსტადაა განვითარებული გაზისა (მოპოვება 23,9 მლნ $მ^3$, იმპორტირდება 10,5 მლრდ $მ^3$) და ქვანახშირის (7,4 მლნ ტ) მრეწველობა. ბოლო პერიოდში სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა და აწარმოებს 509,1 მლრდ კვტ/სთ-

ს. წარმოებული ენერგიის 64% ჰესებზე (უმსხვილესი ჰესია იტაიპუ - 12,6 მლნ კვტ.), 17% - თბოსადგურებზე, 1% - ატომურზე და სხვა ტიპის სადგურებზე მოდის. ბრაზილია ლათინურ ამერიკაში გამოირჩევა ურანის მოპოვებით.

ბრაზილიას შავი მეტალურგიის განვითარებისათვის გააჩნია საკუთარი სანედლეულო ბაზა. მოიპოვებს 370 მლნ ტონა რკინის მადანს, რომლის 2/3 ნაწილი ექსპორტირდება. ფოლადის წარმოების დიდ ნაწილს სახელმწიფო კომპანია აკონტროლებს. აწარმოებს 34,6 მლნ ტონა ფოლადს (2017 წ.), 24,6 მილიონ ტონა თუჯს და 18,6 მილიონ ტონა ნაგლინს. საწარმოთა დიდი ნაწილი თავმოყრილია აღმოსავლეთ ნაწილში. მსხვილი კომბინატებია ვოლტა-რედონდა, კურიტიბა, რიო-დე-ჟანეირო, სან-პაულუ და სხვ.

ფერადი მეტალურგიიდან მაღალ დონეზეა განვითარებული ალუმინის მრეწველობა, რომელიც ეფუძნება საკუთარ ბოქსიტებს. ალუმინის წარმოებით ლათინურ ამერიკაში პირველ ადგილზეა და ბოლო წლებში საშუალოდ აწარმოებს 1,2 მლნ ტონას. საწარმოთა დიდი ნაწილი ორიენტირებულია იაფი ელექტროენერგიის წარმოების რაიონებში. ფერადი მეტალურგიის სხვა დარგებიდან შედარებით კარგადაა განვითარებული სპილენძის, ნიკელის და ტყვია-თუთიის მრეწველობა. ფერად მეტალურგიაში ჭარბობს აშშ-ს და კანადის კაპიტალი.

მანქანათმშენებლობა დამუშავებითი მრეწველობიდან ერთ-ერთი კარგად განვითარებული დარგია, რომელიც ძირითადად აწარმოებს მსოფლიოში ცნობილი ბრენდების სხვადასხვა პატენტის პროდუქციას. კარგადაა განვითარებული სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა. ავტომობილების წარმოებით (2,7 მლნ, 2017 წ.) ლათინურ ამერიკაში მექსიკის შემდეგ მეორე ადგილზეა. გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებით, რომელიც უშვებს თითქმის ყველა სახის პროდუქციას. ბოლო პერიოდში სწრაფი ტემპით ვითარდება საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობა. მანქანათმშენებლობაში დომინირებს აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის და სხვა ქვეყნების კაპიტალი. მანქანათმშენებლობის უმსხვილესი ცენტრებია: სან-პაულუ, რიო-დე-ჟანეირო, ვოლტა-რედონდა, კურიტაბა, სალვადორი, რეისიფი და სხვ.

ქიმიური მრეწველობა სწრაფად მზარდი დარგია, რომელიც ეფუძნება მრავალფეროვან სანედლეულო ბაზას. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს კაუსტიკური სოდის წარმოებას. ბოლო პერიოდში დაჩქარებულად ვითარდება ორგანული სინთეზის ქიმია, განსაკუთრებით პლასტმასების, სინთეზური და ნატურალური კაუჩუკის (ჰევეასაგან) წარმოება. უკანასკნელ წლებში პრიორიტეტი მიენიჭა მინერალური სასუქების წარმოებას. ნავთობქიმიური მრეწვე-

ლობის უმსხვილესი ცენტრია - კურიტიბა. ქიმიური მრეწველობის ცენტრებიდან აღსანიშნავია: სან-პაულუ, რიო-დე-ჟანეირო, პორტუ-ალეგრი, სალვადორი, რეისიფი, კურიტაბა და სხვ.

ტყის რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა, რის ბაზაზეც ხე-ტყის მრეწველობა გადაიქცა მსოფლიო მნიშვნელობის დარგად. საშუალოდ ყოველწლიურად ამზადებს 78-80 მლნ m^3 მერქანს, რომელთა შორის დიდი ნაწილი ძვირფას მერქანზე, განსაკუთრებით, არაუკარიის დამზადებაზე მოდის. ხე-ტყის მრეწველობიდან განვითარებულია ყველა დარგი, რომელთა შორის შედარებით კარგადაა წარმოდგენილი მერქნის მექანიკური დამუშავება. ხე-ტყის მრეწველობა, ძირითადად, მდინარე ამაზონის მთავარი შენაკადების აუზებშია განვითარებული.

მსუბუქი მრეწველობის განვითარება ეფუძნება საკუთარ სანედლეულო ბაზას, რის საფუძველზეც განვითარებულია მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგი. მსოფლიო მნიშვნელობა ენიჭება ტყავ-ფეხსაცმლის წარმოებას. ბრაზილია მსოფლიოში ტყავის წარმოებით და ექსპორტით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა. სხვა დარგებიდან შედარებით კარგადაა განვითარებული საფეიქრო მრეწველობა, ხოლო საფეიქრო მრეწველობიდან ბამბეულის მრეწველობა. საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის 50%-ს იძლევა სან-პაულუს და რიო-დე-ჟანეიროს შტატები. სწრაფი ტემპით ვითარდება სამკერვალო მრეწველობა, რომელიც ეფუძნება იაფ მუშახელს. მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია (გარდა ტყავის) საკუთარ ბაზარზეა ორიენტირებული.

კვების მრეწველობის განვითარებით ერთ-ერთი მსხვილი ქვეყანაა, რომელიც მდიდარ სანედლეულო ბაზას ეფუძნება. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს შაქრის (35, 8 მლნ ტ, პირველი ადგილი), ხორცის (26,1 მლნ ტ, მე-3 ადგილი), ყველ-კარაქის, ყავის, უაკოლჰოლო სასმელებისა და სიგარეტის მრეწველობას. კვების მრეწველობის სხვა დარგები მეტ-ნაკლებადაა განვითარებული, რომელთა საწარმოთა უპირატესად დიდი ნაწილი განლაგებულია სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატებში.

სოფლის მეურნეობა

ბრაზილია მსოფლიოში უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყანაა, სადაც მრავალფეროვანი აგროკლიმატური რესურსები მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საშუალებას იძლევა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ტერიტორიის 32,9%, მათ შორის სახნავია 8,6%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 9,4% და იძლევა ექსპორტის დაახლოებით 55%-ს. ჭარბობს

მსხვილი მემამულური (ლატიფუნდიები) და კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

წამყვანი დარგი მემცენარეობაა და მასზე მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 60%. მიწათმოქმედება ნათლად გამოხატული საექსპორტო მიმართულებისაა. ხუთ ძირითად კულტურაზე - ყავა, კაკაო, ბამბა (0,7 მლნ ტ), შაქრის ლერწამი და სოიო (86,8 მლნ ტ) - მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 40%-მდე. მთავარი საექსპორტო კულტურაა ყავა, რომლის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (2,9 მლნ ტ, 2015 წ.).

საკვებ კულტურებს უჭირავს ნათესების 50%-ზე მეტი. მთავარი კულტურაა ბრინჯი, რომლის წარმოებით ლათინურ ამერიკაში პირველ ადგილზეა (12,7 მლნ ტ). სხვა კულტურებიდან მოჰყავთ: სიმინდი (79,9 მლნ ტ), მანიოკი (23,3 მლნ ტ), ხორბალი (6,8 მლნ ტ), ქერი, შვრია და სხვ. მარცვლეული ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს და პროდუქციის 60% იმპორტირდება.

ციტრუსების წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა (17,5 მლნ ტ, 2014 წ.), ხოლო ბანანის წარმოებით (6,8 მლნ ტ) ერთ-ერთ პირველ ადგილზე. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მებოსტნეობას, განვითარებულია მევენახეობა (0,6 მლნ ტ.), მებახჩეობა, მეცხოველეობისათვის საკვები კულტურების მოყვანა და სხვ.

მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას და ამ მხვრივ, ინდოეთის შემდეგ მეორე ადგილზეა (127 მლნ სული). ძირითადად მოშენებულია სახორცე-სარძევე მიმართულების პირუტყვი. ღორის სულადობით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა (32 მლნ სული). მსოფლიო მნიშვნელობა აქვს მეფრინველეობას (680 მლნ ფრთა. ქათმის ხორცის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია). აშენებენ ცხვარს (19,2 მლნ), თხას (5,1 მლნ), ცხენს (5,5 მლნ) და სხვ. მეცხოველეობა ძირითადად განვითარებულია ბრაზილიის ზეგანსა და ჩრდილო აღმოსავლეთში.

ტრანსპორტი

ბრაზილიაში განვითარებულია თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახე. ტრანსპორტის განვითარებას ხელს უწყობს კარგი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორიის სიდიდე, ბუნებრივი პირობები, მოსახლეობის რაოდენობა, საწარმოო ძალების განვითარების დონე და სხვ.

ტრანსპორტის მთავარი სახე საავტომობილოა, გზების საერთო სიგრძე 1,8 მლნ კმ-ია, მათ შორის მყარი საფარითაა დაფარული 53%. საავტომობი-

ლო მაგისტრალები, ძირითადად, ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპირო ნაწილში, მერიდიანული სახითაა განვითარებული.

სარკინიგზო გზების საერთო სიგრძე 29,8 ათასი კმ-ია, სარკინიგზო გზები, უპირატესად, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებშია წარმოდგენილი. სარკინიგზო გზები, ძირითადად, მიმართულია მთავარ ქალაქებსა და საზღვაო პორტებისაკენ.

მილსადენი ტანსპორტი თანდათანობით ვითარდება. მილსადენი ხაზების საერთო სიგრძე 17655 კმ-ია (ნავთობსადენები - 5960 კმ, გაზსადენი - 11695 კმ). ქვეყნის გაზიფიკაციის დონე დაბალია.

კარგადაა განვითარებული შიდაწყლის ტრანსპორტი, რომელიც ხორციელდება მდინარე ამაზონსა და მის შენაკადებზე. მთავარი სამდინარო პორტია მანაუსი, რომელიც ოკეანის სანაპიროდან 1000 კმ-ის მანძილზეა დაშორებული, სადაც საოკეანო გემები შედიან. ქვეყნის საზღვაო ფლოტი შედგება 775 სავაჭრო გემისაგან, რომელთა საერთო წყალწყვა 6,8 მლნ ბრუტ. რეგ. ტონაჟია. გადაზიდვების დიდ ნაწილს ახორციელებს უცხოური კომპანიები. მთავარი პორტებია: სან-ლუისი - 135,4 მლნ ტ, ტუბარანი - 131,2 მლნ ტ, სანტუსი - 109,5 მლნ ტ, რიო-დე-ჟანეირო - 104,8 მლნ ტ, სან-სებასტიანი - 53,9 მლნ ტ და სხვ.

სწრაფი ტემპით ვითარდება საჰაერო ტრანსპორტი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და ტურიზმში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ქვეყანაში ფუნქციონირებს 698 აეროპორტი, რომელთა შორის აღსანიშნავია სან-პაულუს, რიო-დე-ჟანეიროსა და ბრაზილიის საერთაშორისო აეროპორტები. ელექტროტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება.

ტურიზმი

ბრაზილია სამხრეთ ამერიკაში ტურიზმის განვითარებით პირველი ადგილზეა, სადაც საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა საშუალოდ 7,5 მლნ, ხოლო შემოსავლები 6,4 მლრდ დოლარია. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიდან აღსანიშნავია ბუნების საოცარი მრავალფეროვნება: გადაშლილი ,,ამაზონია'' და უზარმაზარი ჩანჩქერები, შფოთიანი ტროპიკული ხეები და ბარის პეიზაჟები, ოკეანის სანაპიროები (კოპა-კაბანა, იპამენა) და ქოქოსის ჭალები; აღსანიშნავია ქრისტეს გიგანტური ქანდაკება (რიო-დე- ჟანეიროში კორკოვადოს მთაზე) და ცნობილი ბრაზილიური კარნავალი (გრძელდება 4 დღე და ღამე). აქ მეზობლობს გასაოცარი სულიერება და უმეცრება, სიმდიდრე და სიღატაკე, არქიტექტურის ულტრათანამედროვე ფორმები და ცხოვრების ტრადიციული

წყობა. ტურიზმის სახეებიდან აღსანიშნავია შემეცნებითი და საზღვაო ტურიზმი. მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრებია: რიო-დე-ჟანეირო (31%), იგუასი (17%), სან-პაულუ (13%) და სხვ. ტურისტები ძირითადად ჩადიან არგენტინიდან (20%), აშშ-დან (12,5%), იტალიიდან (5,3%) და სხვა ქვეყნებიდან.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები

ბრაზილის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვან ფორმას ვაჭრობა წარმოადგენს, რომლის საერთო მოცულობა 376,4 მლრდ დოლარს შეადგენს (2018 წ.). ექსპორტზე მოდის 217,2 მლრდ, ხოლო იმპორტზე - 159,2 მლრდ დოლარი. გააჩნია ვაჭრობის დადებითი სალდო (64 მლრდ). მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: ჩინეთი - 21,8%, აშშ - 12,5%, არგენტინა - 8,1%%, ნიდერლანდები - 4,3% და სხვ. მთავარი იმპორტიორებია: ჩინეთი - 18,1%, აშშ - 16,7%, არგენტინა - 6,3%, გერმანია - 6,1% და სხვ. ბრაზილიას გააქვს: რკინის მადანი, მარგანეცი, ბოქსიტები, მერქანი, შაქარი, ყავა, ციტრუსები, ბამბა, ტყავი და სხვ. შეაქვს: ბუნებრივი გაზი, მანქანა-მოწყობილობები, მარცვლეული, მედიკამენტი და სხვ.

ბრაზილია აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო ურთიერთობებში. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის საკმაოდ დიდი წილი უცხოურ კაპიტალს ეკუთვნის. ამასთან, ეკონომიკაში მაღალია საერთაშორისო საწარმოო თანამშრომლობის და საერთაშორისო ტურიზმის როლი.

შიდა განსხვავებული რაიონები

ბრაზილიაში გამოიყოფა ხუთი განსხვავებული რაიონი: სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი და ჩრდილოეთი.

1. სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონი - შედის სან-პაულუს, რიო-დე-ჟანეიროს, ესპირიტუ-სანტუს და მინას-ჟერაისის შტატები. ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული რაიონია. მის ბირთვს წარმოადგენს სან-პაულუს შტატი, სადაც იწარმოება მთლიანი შიდა პროდუქციის 1/3 ნაწილი. მრეწველობის წამყვანი დარგებია მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობიდან აღსანიშნავია ყავის და სასურსათო კულტურების მოყვანა. მთავარი ცენტრებია სან-პაულუ და რიო-დე-ჟანეირო.

2. სამხრეთი რაიონი - აერთიანებს პარანას, რიუ-გრანდი-დუ-სულის და სანტა-კატარინას შტატებს. ძირითადად აგრარული რაიონია, სადაც იწარმოება ხორცის და ტყავის დიდი ნაწილი. მრეწველობიდან დომინირებს ხე-ტყის

მრეწველობა, განსაკუთრებით, ქაღალდის წარმოება. მთავარი ცენტრია პორ-ტუ-ალეგრი.

3. ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონი - შედის ალაგოასის, ბაიას, მარანიანის, პარაიბას, პერნამბუკუს, პიაუის, რიუ-გრანდი-დუ-ნორტის, სეარას და სერჟიპის შტატები. აგრარული რაიონია, სადაც მოჰყავთ კაკაო, შაქრის ლერწამი, ბამბა და სხვ. მრეწველობის წამყვანი დარგებია კვების და საფეიქრო. ბოლო პე-რიოდში მძიმე ინდუსტრიიდან საკმაოდ დაწინაურდა ნავთობქიმია და მეტალურგია. მთავარი ცენტრია რეისიფი.

4. ცენტრალური და დასავლეთის რაიონი - შედის ფედერალური ოლქი, აგრეთვე, გოიასის, მატუ-გროსუს და მატუ-გროსუ-დუ-სუს შტატები. შედარე-ბით ახალი რაიონია, რომლის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ხელს უწყობს დედაქალაქის არსებობა. მეურნეობის დარგებიდან აღ-სანიშნავია მანქანათმშენებლობა, კვების მრეწველობა და სახორცე მიმართუ-ლების მესაქონლეობა. ცენტრია ბრაზილია.

5. ჩრდილოეთის რაიონი - აერთიანებს აკრის, ამპის, ამაზონის, პარანას, რონდონიას რორაიმას და ტოკანტინსის შტატებს. იგი ჯერ კიდევ განიხილება, როგორც ტერიტორია და არა ეკონომიკური რაიონი, რადგან აქ არ არის ჩა-მოყალიბებული ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები. მეურნეობის დარგე-ბიდან აღსანიშნავია ხე-ტყის მრეწველობა და კაუჩუკის პლანტაციების გან-ვითარება. ტერიტორიის დიდი ნაწილი საერთოდ არ არის ათვისებული. მთავარი ცენტრია მანაუსი.

თავი 7. ავსტრალია და ოკეანეთი

7.1. ზოგადი დახასიათება

ავსტრალია და ოკეანეთის რეგიონი აერთიანებს კონტინენტ ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, წყნარი ოკეანის ცენტრალურ და სამხრეთ დასავლეთ ნაწილში არსებულ 10 ათას კუნძულს, რომლის უპირატესად დიდი ნაწილი განლაგებულია პოლინეზიაში, მელანეზიასა და მიკრონეზიაში. საერთო ფართობი 1 მლნ კმ²-ია (გაბნეულია 10 მლნ კმ² აკვატორიაზე), სადაც 42,3 მლნ კაცი ცხოვრობს.

ავსტრალია და ოკეანეთი თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე „ახალგაზრდა“ რეგიონია, რომელიც ნიდერლანდელმა ზღვაოსნებმა XVII საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს (1600 წელს პირველმა ევროპელმა ნიდერლანდიელმა ზღაოსანმა ვილლემ იანსზონმა მიაღწია ავსტრალიის სანაპიროს). რეგიონის აღმოჩენა-შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით ნიდერლანდიელ ზღვაოსანს აბელ ტასმანს (XVII საუკ.) და ინგლისელ მოგზაურს ჯეიმს კუკს (XVIII საუკ.). ოკეანეთის კუნძულები XVIII საუკუნის განმავლობაში თანდათანობით იქნა შესწავლილი, რომლის პარალელურად კოლონიზაციის პროცესიც მიმდინარეობდა.

თანამედროვე პერიოდში ავსტრალია და ოკეანეთში 28 ქვეყანაა, მათ შორის, - 18 სუვერენული და - 10 კოლონიური.

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ავსტრალია და ოკეანეთის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახისა და ამავდროულად, ლამაზი ლანდშაფტებით. რელიეფში სჭარბობს დაბლობები და ვაკეები (ავსტრალიაში მთებს 5% უჭირავს). რეგიონის უმაღლესი მწვერვალი მთა ჯაია (5029 მ.) ახალ გვინეაზე მდებარეობს.

კონტინენტი ავსტრალია მსოფლიოში მინერალური რესურსებით ერთ-ერთი მდიდარი რეგიონია. მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ბოქსიტების, სპილენძის, მარგანეცის, რკინის მადნის, ქვანახშირისა და ძვირფასი ლითონების მარაგს. ამასთან, ოკეანეთის ბევრი კუნძული მინერალური რესურსებით შეზღუდულია. მოიპოვება ნიკელის (ახალ კალედონიაში), ნავთობის, გაზის (ახალი გვინეა, ახალი ზელანდია), სპილენძისა (პაპუა ახალი გვინეა) და ფოსფორიტების (ნაურუ) გარკვეული მარაგი, თუმცა ცალკეულ კუნძულზე საძიებო სამუშაოები ჯერაც არ არის ჩატარებული.

ავსტრალია და ოკეანეთი განლაგებულია ზომიერ, სუბტროპიკულ, ტროპიკულ, ეკვატორულ და სუბეკვატორულ კლიმატურ სარტყლებში, სადაც ტერიტორიის დიდ ნაწილზე წლის ერთი სეზონია. კონტინენტ ავსტრალიაზე მკვეთრად გამოხატული ტროპიკული ჰავაა, სადაც ტემპერატურა +7°C - +47°C ფარგლებში მერყეობს. ნალექების საშუალო რაოდენობა 1500–4000 მმ-ია (ცენტრალური ავსტრალიაში ნალექები - 150-250 მმ, სადაც უდაბნოებია ჩამოყალიბებული - დიდი ვიქტორიის, დიდი ქვიშიანი). ყველაზე მაღალი ნალექი კუნძულ კაუაიზე მთა ბაიალეალეს აღმოსავლეთ ფერდობზე - 11430 მმ (1982 წ. 16916 მმ) მოდის. ამასთან, ხშირია ტაიფუნები (1999 წ. ცუნამმა პაპუა ახალ გვინეაზე 2200 კაცი იმსხვერპლა) და კოკისპირული წვიმები. რეგიონის კლიმატური რესურსები მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა.

წყლის რესურსებით შეზღუდული რეგიონია, განსაკუთრებით, კონტინენტი ავსტრალია. ერთადერთი მნიშვნელოვანი მდინარე ავსტრალიაში მურეი-დარლინგია (3750 კმ). ტყის რესურსების განლაგება საკმაოდ განსხვავებულია, კერძოდ, ბევრი კუნძული, განსაკუთრებით, ეკვატორულ და სუბეკვატორულ ზონაში მდიდარია ტყის რესურსებით, სადაც სხვა მცენარეებთან ერთად, დიდი ადგილი ქოქოსის პალმასა და პურის ხეს (მოსახლეობა იყენებს საკვებად, გასათბობად და მერქნად) უჭირავს. ავსტრალია მსოფლიოში ერთ-ერთი უტყეო ქვეყანაა (ტყეს უჭირავს 5%, ხოლო ბოტანიკურ შემადგენლობაში ჭარბობს ევკალიპტი, აკაცია და სხვ.).

მოსახლეობა

ავსტრალია და ოკეანეთში მოსახლეობის დასახლება მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან, დაახლოებით, 40 ათასი წლის წინ. რეგიონში მოსახლეობის მექანიკურ მატებას ადგილი ჰქონდა კოლონიზაციის პერიოდში, რაც დღესაც მიმდინარეობს. 2018 წლისათვის ცხოვრობდა 42,3 მლნ კაცი, ანუ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 0,6% (მოსახლეობის დიდი ნაწილი - 57,4% ცხოვრობს ავსტრალიაში).

რეგიონი, დემოგრაფიული თვალსაზრისით, მსოფლიოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან თითქმის ახლოსაა, მაგრამ ევროპასთან და ჩრდილო ამერიკასთან მიმართებით, უკეთესი მაჩვენებლებით გამოირჩევა. მამაკაცების ხვედრითი წილი 48,9%, ხოლო ქალების - 51,1%-ია. 0 -14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის 24,4%, 15 - 64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 63,6%, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობაზე - 12,0%. რასობრივი თვალსაზრისით, მოსახლეობის დიდ ნა-

წილს ევროპეოიდური რასის ხალხი, ხოლო ნაწილს ავსტრალოიდები წარმოადგენენ. ურბანიზაციის დონე მაღალია ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ავსტრალია და ოკეანეთის მეურნეობის განვითარებაზე დიდი გავლენა კოლონიურმა წარსულმა ითამაშა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრ კუნძულზე განლაგებული იქნა სამხედრო ბაზები, სადაც ბირთვული იარაღის გამოცდა მიმდინარეობდა. თანამედროვე პერიოდში, (ავსტრალიის გამოკლებით) ოკეანეთის მეურნეობას, ძირითადად, უცხოური კაპიტალი აკონტროლებს, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და ტურიზმია. რეგიონში მთლიანი შიდა პროდუქციის წარმოება 1,6 ტრილიონი დოლარია, აქედან ავსტრალიაზე მოდის 75%.

მრეწველობა

ავსტრალია და ოკეანეთში განვითარებულია თანამედროვე მრეწველობის ყველა დარგი. მოპოვებითი მრეწველობა მაღალ დონეზეა განვითარებული ავსტრალიაში (მსოფლიოს ბოქსიტების 40%, სპილენძის, მარგანეცის, რკინის მადნის, ოქროს, ქვანახშირის დიდი ნაწილი). სპილენძისა და ოქროს მოპოვებით გამოირჩევა პაპუა-ახალი გვინეა, ხოლო ნაურუ - ფოსფორიტებით. დამუშავებითი მრეწველობის ყველა დარგი წარმოდგენილია ავსტრალიაში. ენერგეტიკა კარგადაა განვითარებული ავსტრალიაში, სადაც მსოფლიო მნიშვნელობა ქვანახშირის მოპოვებას გააჩნია. ელექტროენერგეტიკა ყველა ქვეყანაშია განვითარებული, ხოლო წარმოების, უპირატესად დიდი ნაწილი თბოსადგურებზე მოდის (ავსტრალიაში ნაწილობრივ ჰელიოსადგურებია). მეტალურგია ძირითადად ავსტრალიასა და პაპუა-ახალ გვინეაშია წარმოდგენილი. მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა უფრო მეტად ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, პაპუა-ახალ გვინეასა და სხვა ქვეყნებშია განვითარებული. ხე-ტყის მრეწველობას ოკეანეთის ცალკეულ ქვეყანაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, სადაც ხდება ძვირფასი მერქნის დამზადება და ექსპორტი. მსუბუქი მრეწველობის, განსაკუთრებით შალეულის ქსოვილების წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას გააჩნია. საფეიქრო მრეწველობის სხვა დარგები მეტ-ნაკლებადაა განვითარებული. ოკეანეთის ბევრ ქვეყანაში, იაფი მუშახელის ბაზაზე უცხოური კომპანიების საშუალებით, ფუნქციონირებს სამკერვალო საწარმოები. კვების მრეწველობა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი. ხორცისა და რძის მრეწველობის საერთაშორისო სპეციალიზაცია ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას გააჩნია.

სოფლის მეურნეობა

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობებისა და რესურსების მრავალფეროვნება, რის ბაზაზეც ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში მეცხვარეობას გააჩნია საერთაშორისო მნიშვნელობა, რომელიც ცნობილია მაღალხარისხიანი მატყლის წარმოებით. ავსტრალიაში მემცენარეობის დარგებიდან საერთაშორისო მნიშვნელობა მარცვლეულის წარმოებას გააჩნია. ოკეანეთის ქვეყნებში წამყვანია მემცენარეობა, სადაც მოჰყავთ ქოქოსის პალმა, ბანანი, ანანასი, ყავა, შაქრის ლერწამი, ჩაი, კაუჩუკოსნები, კოპრა (ქოქოსის პალმის გამხმარი მასა) და სხვ. ტრადიციული დარგი მეთევზეობაა. ოკეანეთის ბევრ ქვეყანაში იმპორტის გზით შედის მარცვლეული, ხორცი, რძე და სხვ.

ტრანსპორტი

ავსტრალია და ოკეანეთის ტრანსპორტის განვითარებას მეტ-ნაკლებად ზღუდავს კუნძულოვანი მდებარეობა და გარე სამყაროდან საკმაოდ დიდ მანძილზე დაშორება. ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და პაპუა-ახალ გვინეაში თანამედროვე ტრანსპორტის ყველა სახეა განვითარებული. ოკეანეთის კუნძულოვან ქვეყნებში ტრანსპორტის ძირითადი სახე საავტომობილო, საზღვაო და საჰაეროა. რეგიონში ტვირთბრუნვის დიდი ნაწილი საზღვაო ტრანსპორტზე, ხოლო მგზავრთბრუნვაში საავტომობილო და საჰაეროზე მოდის.

ტურიზმი

ავსტრალია და ოკეანეთში ტურიზმი საკმაოდ მზარდი დარგია, სადაც რეგიონს საშუალოდ ყოველწლიურად 17 მლნ-ზე მეტი საერთაშორისო ტურისტი სტუმრობს, ხოლო შემოსავლები 37 მლრდ დოლარს აჭარბება. ტურისტების უპირატესად დიდი ნაწილი (12-13 მლნ) ავსტრალიაზე მოდის. რეგიონის მნიშვნელოვან ტურისტულ-რეკრეაციულ რესურს ეგზოტიკური ბუნებრივი ლანდშაფტები, ზღვის სანაპირო, ადგილობრივი ხალხის კულტურა და სხვა რესურსები წარმოადგენს. ავსტრალიაში, ძირითადად, განვითარებულია შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და ტურიზმის სხვა სახეები. ახალ ზელანდიაში უფრო მეტად წარმოდგენილია შემეცნებითი (ეკოტურიმის მიმართულებით), საზღვაო და კულტურული ტურიზმი.

ოკეანეთის რეგიონში ტურიზმი შედარებით კარგადაა განვითარებული კუკის კუნძულებზე, სადაც ძირითადად იმართება ერთდღიანი ტურები - ჯუნგლების მონახულება, თევზაობა, ბამბუკის ტივებით ცურვა, კრუიზები დელფინებთან ერთად და სხვ. ახალი კალედონია გამოირჩევა ეგზოტიკური ბუნებით, წყნარი ოკეანის უნიკალური ფლორითა და ფაუნით, მრავლადა ბარიე-

რული რიფები. ტურიზმის სახეებიდან უფრო კარგად განვითარებულია ეკოტუ-რიზმი, დაივინგი (წყალქვეშ რეკრეაციული საქმიანობა, ფლორაზე და ფაუნაზე დაკვირვება) და სხვ. სოლომონის კუნძულებზე განვითარებულია შემეცნებითი ტურიზმი ადგილობრივი ბუნებაზე დაკვირვება და აბორიგენი ტომების ყოფა-ცხოვრების გაცნობა.

7.1.1. ავსტრალია

ფართობი - 7,7 მლნ კმ²
მოსახლეობა - 26,0 მლნ კაცი (2021წ.)
დედაქალაქი - კანბერა

ზოგადი ცნობები

ავსტრალია (ოფიციალური სახელწოდება ავსტრალიის კავშირი) ერთ-ერთი მაღალგანვითარებული და რესურსული თვალსაზრისით დიდი პოტენციის მქონე ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქციის განაწილებით ერთ სულ მოსახ-ლეზე 49330 დოლარს, ხოლო ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი 0,939-ს (მე-3 ადგილი, 2017 წ.) შეადგენს. სახელმწიფო ენა - ინგლისური. ფულის ერთეული - ავსტრალიური დოლარი.

გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები

ავსტრალიის კავშირი მთლიანად კონტინენტ ავსტრალიაზეა განლაგებული, რომლის ფარგლებშიც მოქცეულია კუნძული ტასმანია და მიმდებარე მცირე კუნძულები. ქვეყანა მთლიანად სამხრეთ განედებშია (ს.გ.10° - 43°) განლაგებული და გარე სამყაროდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან - 3,5 ათასი კმ-ით, აშშ-დან - 11-15 ათასი კმ-ით და დიდი ბრიტანეთიდან 21 ათასი კმ-ით არის დაშორებული. არცთუ ისე ცუდი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, კერძოდ, აქვს პირდაპირი გასასვლელი წყნარი და ინდოეთის ოკეანის წყლებში (იხ. რუკა 1). მისი სამხედრო სტრატეგიულმა და პერიფერიულმა მდებარეობამაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის სახელმწიფოებრივ განვითარებაზე. არც ერთ ქვეყანასთან სახმელეთო საზღვრები არ გააჩნია, ხოლო საწყლო საზღვრების საერთო სიგრძე 25760 კმ-ია. ავსტრალიის გეოგრაფიული მდებარეობა იხ. ნახ.40.

ნახ. 40. ავსტრალიის გეოგრაფიული მდებარეობა
წყარო: CIA World Factbook. 2018. www.cia.gov

ბუნებრივი პირობები და რესურსები

ავსტრალია ყველაზე ვაკე ქვეყანაა, სადაც მთებს მხოლოდ 5% უჭირავს. ტერიტორიის დიდი ნაწილი ზეგანია, დაბლობები წარმოდგენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ და სანაპირო რაიონებში. აღმოსავლეთით მერიდიანული სახით გადაჭიმულია საშუალი სიმაღლის დიდი წყალგამყოფი ქედი (უმაღლესი წერტილი კოსციუშკო - 2230 მ). რელიეფი ფაქტობრივად განსახლებისა და მეურნეობის განვითარების საქმეში პრობლემებს არ ქმნის.

ავსტრალია მინერალური რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. აქ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, 20-ჯერ უფრო მაღალია. სათბობ-ენერგეტიკული რესურსებიდან მსოფლიო მნიშვნელობა ქვანახშირის რესურსებს გააჩნია (მარაგი 230 მლრდ ტ, მე-6 ადგილი). ურანის მარაგით პირველ ადგილზეა (მსოფლიო მარაგის 1/3), რომლის საბადოები კონტინენტური ნაწილის ყველა რაიონშია. კონტინენტურ და სანაპიროს შელფურ ზონებში ბევრ ადგილას არის ნავთობისა და გაზის საბადოები (სამრეწველო მარაგი დიდი არ არის).

მსოფლიო მნიშვნელობა მადნეულ წიაღისეულს გააჩნია. ბოქსიტებისა (მსოფლიო მარაგის 1/3, ძირთადი საბადოები კონცენტრირებულია კეიპ-იორკის ნახევარკუნძულზე - უეიპა) და თუთიის მარაგით მე-2 ადგილზეა, რკინის მადანი (მსოფლიო მარაგის 20%) ძირითადად კონცენტრირებულია ჩრდილო

დასავლეთში (ჰამერსლი), პოლიმეტალების (ტყვია-თუთია, ვერცხლი, სპილენ-ძი) უმსხვილესი საბადო ბროკენ-ჰილი ახალი სამხრეთ უელსის შტატშია. სპილენძის, ნიკელის, მარგანეცის, ოქროს, ვერცხლის და ალმასის (მსოფლიო მარაგის 20%) საბადოები ძირითადად დასავლეთ ავსტრალიის და ქვისილენდის შტატებშია. მოპოვებული წიაღისეულის დიდი ნაწილი ექსპორტში გადის.

ავსტრალიის კონტინენტურ ნაწილში ტროპიკული და სუბტროპიკული, ხოლო კუნძულ ტასმანიაზე ზომიერი ჰავაა. იგი ყველაზე მშრალი კონტინენტია, სადაც წლის თბილ პერიოდში იანვარში საშუალო ტემპერატურა +20°C - 30°C, ხოლო ივლისში + 12°C -20 °C-ია. ნალექების რაოდენობა ცენტრალურ რაიონებში საშუალოდ 250 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთში 1000 მმ. ცენტრალურ რაიონებში ვრცელი ტერიტორიები დიდ ქვიშიან და დიდი ვიქტორიის უდაბნოებს უჭი-რავს. ქვეყნის კლიმატური რესურსები ერთი მხრივ, ხელს უწყობს მარცვლეუ-ლის, მეხილეობისა და მეცხვარეობის განვითარებას და მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარებაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ხშირი გვალვები, მტვრიანი ქარიშხლები, ტყის ხანძარი, კატასტროფული კოკისპირული წვი-მები ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

ჰიდროგრაფიული ქსელით ყველაზე შეზღუდული ქვეყანაა, სადაც გაუ-დინარი არეალების საერთო ფართობი ტერიტორიის 60% შეადგენს. წყლის დეფიციტის შევსების მიზნით აქტიურად გამოიყენება არტეზიული წყლები. ერთადერთ მნიშვნელოვან სამდინარო სისტემას მდინარე მურეი (2375 კმ) შენაკად დარლინგით (1772 კმ) ქმნის, რომელსაც კომპლექსური გამოყენება გააჩნია. ბევრი მდინარე შრობადია (კრიკებია) და ნაკლებად გამოიყენება. მდი-ნარეთა ჰიდროპოტენციური მარაგი დაბალია. ქვეყანაში ბევრი ტბაა, რომელთა შორის უდიდესი ეირია (9500 კმ²). ტბების დიდი ნაწილი მლაშეა და მცირე სამეურნეო დანიშნულება გააჩნიათ.

ავსტრალია ტყის რესურსებით ღარიბი ქვეყანაა, სადაც ტყიანობის კოე-ფიციენტი 5%-ია. ტყის ბოტანიკურ შემადგენლობაში ჭარბობს ევკალიპტი (600 სახეობა, სიმაღლე 150 მ) და აკაცია. ფაუნისტური თვალსაზრისით, ძალზე საინ-ტერესო ქვეყანაა, რადგან სახეობათა 75% ენდემურია. მდიდარია ბუნებრივი საძოვრებით, რომელიც მეცხვარეობის ძირითად საკვებ ბაზას წარმოადგენს. ქვეყანაში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიური მდგრადობის შენარ-ჩუნებას და ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

სახელი ავსტრალია წარმოსდგება ლათინური Australis-დან, რაც „სამხრე-თულს“ ნიშნავს. ადამიანის პირველი დასახლებები ავსტრალიის კონტინენტზე

დაახლოებით 40 ათასი წლის წინ დაიწყო. პირველი ადამიანები აქ აზიის რეგიონიდან ჩავიდნენ, რომლებიც თანამედროვე აბორიგენების წინაპრებს წარმოადგენდნენ. პირველი ევროპელი, რომელმაც იორკის სანაპირო 1606 წელს აღმოაჩინა, იყო ნიდერლანდელი ზღვაოსანი უილემ ჯენსზუნი. XVII საუკუნის განმავლობაში ნიდერლანდელებმა მოიარეს ავსტრალიის დასავლეთისა და ჩრდილოეთის საზღვაო საზღვრები და ამ ტერიტორიას უწოდეს ახალი ჰოლანდია, მაგრამ დასახლება არ უცდიათ. 1770 წელს ინგლისელმა ჯეიმს კუკმა გაცურა ავსტრალიის გასწვრივ და შეადგინა ავსტრალიის აღმოსავლეთი სანაპიროს რუკა, რომელსაც ახალი სამხრეთი უელსი დაარქვა და დიდი ბრიტანეთის საკუთრებად გამოაცხადა. კუკის აღმოჩენის მეშვეობით ბრიტანეთის იმპერიამ დამსჯელი კოლონია დააარსა. 1788 წლის 26 იანვარს 11 გემისაგან შემდგარი ,,პირველი ფლოტი", კაპიტან არტურ ფილიპის ხელმძღვანელობით, 800-მდე ტუსაღით და 200 თანმხლები ჯარისკაცით ნაპირს მიადგა და პორტ-ჯექსონში დასახლდა. მომავალში ეს დღე (26 იანვარი) გამოცხადდა ავსტრალიის ეროვნულ დღედ. 1829 წელს დიდმა ბრიტანეთმა ოფიციალურად მოითხოვა ავსტრალიის დასავლეთი ნაწილი. ბრიტანეთის ადმინისტრაციამ სამხრეთი უელსი რამდენიმე კოლონიად დაყო და 1836 წელს შეიქმნა სამხრეთი ავსტრალია, 1851 წელს - ვიქტორია, ხოლო 1859 წელს - ქუინსლენდი. 1901 წელს მოხდა ექვსი კოლონიის გაერთიანება, რომელმაც დომინიონის სტატუსი მიიღო. 1931 წელს ღებულობს დამოუკიდებლობას, ხოლო 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ხდება.

სახელმწიფო წყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

ავსტრალიის კავშირი - სახელმწიფო მონარქიაა და სიმბოლურად გაერთიანებულია დიდი ბრიტანეთის მეთაურობით შექმნილ თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, რომლის წარმომადგენელია ავსტრალიის მთავრობის რეკომენდაციით დანიშნული გენერალ-გუბერნატორი. მთავრობას მეთაურობს პრემიერმინისტრი, რომელიც პარლამენტის უმრავლესობის, ან კოალიციის მიერ არის არჩეული. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ფედერალური პარლამენტი, რომელიც ორი პალატისაგან (სენატი და წარმომადგენლობათა პალატა) შედგება. თითოეულ შტატს თავისი პარლამენტი და მთავრობა ჰყავს და მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით სარგებლობს.

ავსტრალია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, ფედერალური სახელმწიფოა. ადმინისტრაციულად შედგება 6 შტატისა (ახალი სამხრეთ უელსი, ვიქტორია, ქუინსლენდი, სამხრეთ ავსტრალია, დასავლეთ ავსტრალია, ტასმანია) და 2 ტერიტორიისაგან (ჩრდილოეთის და ავსტრალიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადედაქალაქო ტერიტორიები). ავსტრალიის ადმინისტრაციული დაყოფა იხ. ნახ. 41.



ნახ. 41. ავსტრალიის ადმინისტრაციული დაყოფა
წყარო: Avstralia mep ka.svg www. ka.wikipedia.org

მოსახლეობა

ავსტრალიის თანამედროვე მოსახლეობის ფორმირება XVIII საუკუნის მიწურულიდან დაიწყო და მის დემოგრაფიულ განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა იმიგრაციულმა პროცესებმა ითამაშა. 1800 წელს ცხოვრობდა 2,0 მლნ კაცი, 1900 წელს - 6,0 მლნ, 1950 წელს - 13 მლნ, 2000 წელს - 21 მლნ და 2021 წელს - 26,0 მლნ კაცი. ქვეყნის მოსახლეობა იზრდება, როგორც ბუნებრივი მატების (4,7 პრომილე), ისე მექანიკური გზით. გააჩნია საკმაოდ ჯანსაღი დემოგრაფიული მდგომარეობა, კერძოდ, მამაკაცებზე მოდის მთელი მოსახლეობის 50,1%, ხოლო ქალებზე - 49,9%. 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის მთელი მოსახლეობის 17,8%, 15 -64 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 65,8% , ხოლო 65 წლის და მეტი ასაკობრივ ჯგუფზე - 16,4%. მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,8 წელია. თანდათანობით შეინიშნება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია.

ავსტრალიის ეროვნული ბირთვის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა ისტორიულმა წარსულმა და მიგრაციულმა პროცესებმა ითამაშა. ცხოვრობს სხვადასხვა ეთნოსის ხალხი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ინგლისელები -

25,9%, ავსტრალიელები - 25,4%, ირლანდიელები - 7,4%, შოტლანდიელები - 6,4%, იტალიელები - 3,3%, გერმანელები - 3,2%, ჩინელები - 3,1%, აბორიგენები - 1,4%, ბერძნები - 1,4%, ჰოლანდიელები - 1,2% და სხვ. დიდი ხნის განმავლობაში გატარებული „თეთრი რასობრივი პოლიტიკის" გამო, ნეგროიდული რასის წარმომადგენლები მცირეა. რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით, პროტესტანტი - 23,1%, კათოლიკე - 22,6%, მუსულმანი - 2,6%, ბუდისტი - 2,4%, მართლმადიდებელი - 2,3%, ინდუსები - 1,9% დანარჩენი სხვა აღმსარებლობისაა და არც ერთ რელიგიას არ აღიარებს.

ავსტრალიისათვის ისტორიულად დამახასიათებელია მიგრაციული პროცესები და მისი ჩამოყალიბების პერიოდიდან მიგრაციის დადებითი სალდო გააჩნია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იმიგრანტულ ნაკადში იმატა არაბრიტანული წარმოშობის ევროპელების ხვედრითმა წილმა; შემდეგ კი გაჩნდნენ აშშ, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წარმომადგენლებიც. უკანასკნელ პერიოდში მათ დაემატა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ჩამოსული მოსახლეობაც და მათი რაოდენობა 260 ათას კაცს აღემატება. აბორიგენი მოსახლეობის რაოდენობა ევროპელების შემოსვლამდე 300 ათასამდე იყო, კოლონიზაციის პერიოდში მათი რიცხვი შემცირდა და რეზერვაციებში განდევნეს. 1967 წლის რეფერენდუმის შემდეგ მათ საწინააღმდეგოდ მიმართული დისკრიმინაციული ქმედებები შერბილდა და ფიზიკურ გაქრობას გადაარჩინა. ამჟამად მათი ხვედრითი წილი, ქვეყნის მთელი მოსახლეობასთან მიმართებით, მხოლოდ 1,4%-ია.

შრომითი რესურსებით უზრუნველყოფილი ქვეყანაა, სადაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 12,9 მლნ-ია (მთელი მოსახლეობის 44,9%), რომელთა შორის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 3,6%, მრეწველობაში - 21,1% და მომსახურე დარგებში - 75,3%. უმუშევრობის დონე 5,6%-ია.

ავსტრალია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დასახლებული ქვეყანაა, სადაც საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 3 კაცს შეადგენს. ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობა უაღრესად უთანაბროდ არის განლაგებული და ძირითადად თავმოყრილია კონტინენტის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო რეგიონებში. სუსტადაა დასახლებული ცენტრალური რაიონები.

მაღალია ურბანიზაციის დონე, სადაც ქალაქად 86,1% ცხოვრობს. შესაბამისად, დაბალია ურბანიზაციის ტემპი და საშუალოდ 1,4%-ია. უდიდესი ქალაქებია: სიდნეი - 4,8 მლნ (პრომერიკული), მელბურნი - 4,7 მლნ (პროინგლისური), ბრისბენი - 2,4 მლნ, პერთი - 2,0 მლნ, ადელაიდა - 1,32 მლნ, კანბერა - 0,43 მლნ და სხვ. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ცხოვრობს „მილიონერ ქალაქებში". უმსხვილესი ქალაქებია, აგრეთვე ქუინსლენდის ცენტრი -

ბრისბენი, დასავლეთ ავსტრალიის ადმინისტრაციული ცენტრი - პერთი და სამხრეთ ავსტრალიის ცენტრი - ადელაიდა. დიდი ხნის განმავლობაში გატარებული „თეთრი რასობრივი პოლიტიკის" გამო, ავსტრალიაში ზანგების რიცხვი მცირეა.

მეურნეობის ზოგადი დახასიათება

ავსტრალია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყანაა. მის მეურნეობრივ განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მინერალური და მიწის რესურსების სიუხვემ, უცხოური კაპიტალის მოზიდვამ და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გეოგრაფიის გაფართოვებამ განაპირობა. თუ კოლონიზაციის პერიოდში მხოლოდ სამთო-მოპოვებითი მრეწველობა იყო განვითარებული, დამოუკიდებლობის დროს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში პრიორიტეტი დამუშავებით მრეწველობას მიენიჭა. ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებაშიც. გაფართოვდა და მოწესრიგდა სატრანსპორტო კომუნიკაციები. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა 1,25 ტრილ დოლარს შეადგენს (2018 წ.). მშპ-ის 3,6% - სოფლის მეურნეობაზე, 25,3% - მრეწველობაზე და 71,1% მომსახურე სფეროზე მოდის.

მრეწველობა

ავსტრალიის ინდუსტრიის საერთაშორისო მნიშვნელობის დარგი სამთო-მოპოვებითი მრეწველობაა, რომელზეც მოდის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 1/3 ნაწილი და ექსპორტის თითქმის 40%. მსოფლიოში პირველ ადგილზეა ბოქსიტების მოპოვებით (45-48 მლნ ტ) და ექსპორტით, მეორე ადგილზე - რკინის მადნის (420 მლნ ტ), ხოლო მესამეზე სპილენძის, ტყვიის და თუთიის მოპოვებით. საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია - ქვანახშირის, პოლიმეტალების, მარგანეცის, ნიკელის, ვოლფრამის, ტიტანის, ტანტალის, ოქროს, ვერცხლის, ალმასის, ურანის მოპოვებას და ექსპორტს. სამთომოპოვებითი მრეწველობის ძირითადი ცენტრებია: სამთო-საქარხნო „დედაქალაქი" ბროკენ-ჰილი (ტყვია, თუთია), მაუნთ-აიზა (სპილენძი), მაუნთ-ლაიელი (სპილენძი) და სხვ.

ენერგეტიკა ფაქტობრივად საკუთარ სანედლეულო ბაზაზეა განვითარებული. ძირითადი ენერგეტიკული რესურსები (ქვანახშირი - 112 მლნ ტ, ნავთობი - 15,3 მლნ ტ და გაზი - 56,3 $მ^3$ 2016 წ.), გარდა ნავთობისა (ექსპორტი - 11,1 მლნტ, იმპორტი - 19,8 მლნ ტ) აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას. იზრდება ელექტროენერგიის წარმოება (243 მლრდ კვტ/სთ, 2017 წ.), ხოლო გამომუშავე-

ბული ენერგიის 72% - თბოსადგურებზე, 11% - ჰიდროზე და 17% - სხვა სადგურებზე (საკმაოდ მაღალია ჰელიოსადგურების ხვედრითი წილი) მოდის.

შავი მეტალურგიის განვითარება ეფუძნება მდიდარ სანედლეულო ბაზას. უმსხვილესი კონცერნის ბროკენ-ჰილისა (პორტ-კემბლა, ნიუკასლი) და სამხრეთის (უაიალლა, ადელაიდა, მელბურნი) საწარმოებში იწარმოება შავი მეტალურგიის პროდუქციის (ფოლადი 8,1 მლნ ტ, თუჯი 7 მლნ ტ, 2017 წ.) უპირატესად დიდი ნაწილი.

განვითარებულია ფერადი მეტალურგიის თითქმის ყველა დარგი, განსაკუთრებით, ალუმინის (1,7 მლნ ტ, 2016 წ.), სპილენძის (0,27 მლნ ტ), თუთიის, ნიკელის, ოქროს, ვერცხლის, ალმასისა (არჯაილის უნიკალური ვარდისფერი ელფერის) და სხვ. ფერადი მეტალურგიის უმსხვილესი ცენტრებია: მაუნთ-აიზა, პორტ-პირი, ტუნსვილი, პორტ-ორასტა და სხვ.

მანქანათმშენებლობა ძირითადად საკუთარი ბაზარისთვის საჭირო პროდუქციის წარმოებაზე, განსაკუთრებით, სამთო-მოპოვებითი მრეწველობისთვის საჭირო მანქანებზეა ორიენტირებული. მანქანათმშენებლობაში დიდი ადგილი უცხოურ კომპანიებს უჭირავს, რომელთა შვილობრივი კომპანიები აწარმოებენ ავტომანქანებს, ჩარხებს, საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო, ელექტროტექნიკურ და სხვა პროდუქციას. მანქანათმშენებლობის მთავარი ცენტრებია: სიდნეი, მელბურნი, ადელაიდა, ბრისბენი და სხვ.

ქიმიური მრეწველობის ტერიტორიული და დარგობრივი სტრუქტურა ძირითადად სამთო-ქიმიური ნედლეულის წყაროებთან არის დაკავშირებული. წარმოდგენილია თანამედროვე ქიმიის ყველა დარგი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ნავთობგადამუშავება (ბრისბენი, მელბურნი, სიდნეი პერთი) და ორგანული სინთეზის ქიმია. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია ქვეყნის მოთხოვნილებებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებს.

ხე-ტყის მრეწველობა არასპეციალიზაციის დარგია, რომელიც იმპორტულ ნედლეულზეა დამოკიდებული. განვითარებულია ყველა დარგი (ქაღალდის წარმოება (5,1 მლნ ტ).

კვების მრეწველობა საკმაოდ კარგადაა განვითარებული. ექსპორტზე ორიენტირებული დარგებია საფქვავ-საბურღულე, ხორცის, შაქრის, საკონსერვო და სხვ.

მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის გააჩნია მრავალფეროვანი სანედლეულო ბაზა, რის საფუძველზეც განვითარებულია ყველა დარგი, რომელთა შორის საერთაშორისო მნიშვნელობა შალეულის და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობას გააჩნია.

სოფლის მეურნეობა

ავსტრალიის სოფლის მეურნეობა მაღალინტენსიური და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი დარგია, რომელიც ფართოდ იყენებს დაქირავებულ შრომას (1/2 ნაწილი). ამასთან, გამოირჩევა მაღალსასაქონლო და საექსპორტო მიმართულებითაც (საშუალოდ პროდუქციის 60% გადის ექსპორტში, მატყლის 90%).

სასოფლო სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 10%-მდე, აქედან სახნავია მხოლოდ 11,6%, ხოლო საძოვრებს 88,4% უკავია. მიწების 1/2 ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, აქედან 50% იჯარით არის გაცემული. ავსტრალიური ფერმების ფართობის საშუალო ზომა (2300 ჰა) მსოფლიოში უდიდესია. მსხვილ ფერმერთა (3,5%) ხელთაა დამუშავებითი მიწების 80% (საშუალოდ 4 -40 ათასი ჰა), როცა წვრილი ფერმერები (30%) ფლობენ მიწების მხოლოდ 0,3%-ს. მსხვილ ფერმერთათვის დამახასიათებელია მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის და ბიოტექნოლოგიების დანერგვის მაღალი დონე.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა და მასზე მოდის მთლიანი პროდუქციის 55%. მეცხოველეობის მთავარი დარგი მეცხვარეობაა, რომელიც საშუალოდ 130-180 მლნ სულის ფარგლებში რხევადობს (პირველი ადგილი). მეცხვარეობის განვითარება მსხვილ ფერმერულ მეურნეობებზე მოდის (1 -100 ათასი სული), რომელიც წარმოდგენილია „მეცხვარეობის სადგურების“ სახით ე.წ. სკვატერებით (იჯარით აღებული სახელმწიფო მიწები). ცხვრის შემადგენლობაში 75% ნაზმატყლიან და მაღალპროდუქტულ მერინოსის ჯიშზე მოდის. მატყლის წარმოებით (450 ათასი ტ) პირველ ადგილზეა. მეცხოველეობაში მნიშვნელობით მეორე დარგი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მესაქონლეობის უპირატესობით) მოშენებაა (8,8 მლნ სული). აშენებენ ფრინველს, ღორს, ცხენს, კურდღელს, ფუტკარს, თუთის აბრეშუმხვევიას და სხვ. ავსტრალია ხორცისა და მატყლის მსხვილი ექსპორტიორი (90%) ქვეყანაა.

მემცენარეობის წამყვანი დარგია მარცვლეულის მეურნეობა ხორბლის წარმოების სპეციალიზაციით (საშუალო წარმოება 22-29 მლნ ტ), რომელიც ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში ითესება. სხვა მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი, ქერი, შვრია და სხვ. ტექნიკური კულტურებიდან მთავარია შაქრის ლერწმის, ბამბის, მზესუმზირის და სამკურნალო მცენარეების მოყვანა. საკმაოდ კარგადაა განვითარებული სუბტროპიკული (ციტრუსები, ზეთისხილი) და ტროპიკული (ანანასი, ბანანი) მეხილეობა. სუბტროპიკული მეხილეობა უფრო მეტად განვითარებულია მურეი-მარამბიჯის შუამდინარეთსა და სამხრეთ დასავლეთში, ხოლო ტროპიკული - ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ზეგნებზე გაშენებულია კონტინენ-

ტური ხილის - ვაშლის, მსხლისა და გარგარის ბაღები. აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში წარმოდგენილია მებოსტნეობა. ბოლო წლებში თანდათანობით იზრდება მევენახეობის ფართობი.

ტრანსპორტი

ავსტრალიის ეკონომიკის განვითარებაზე საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული სატრანსპორტო კომუნიკაციები ახდენენ გავლენას. განვითარებულია ტრანსპორტის ყველა სახე, რომელთა შორის, შიდა ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანია სარკინიგზო ტრანსპორტი. სარკინიგზო გზების ძირითადი კარკასი კოლონიზაციის პერიოდში შეიქმნა, რომელიც სამთომადნო რაიონებს საზღვაო პორტებთან აკავშირებდა. დამოუკიდებლობის პერიოდში აქცენტი გადატანილი იქნა შიდარეგიონალური ხაზების მშენებლობაზე. არსებობს კერძო რკინიგზებიც, რომლებიც აგრარულ და სამრეწველო რაიონებს ემსახურება. სარკინიგზო გზების საერთო სიგრძე 33343 კმ-ია (ელექტრიფიცირებული 650 კმ). მნიშვნელოვანია აღმოსავლეთში სანაპირო მერიდიანული (ტაუნსვილი-ბრისბენი-სიდნეი) და სამხრეთში ტრანსკონტინენტური განედობრივი (სიდნეი-ადელაიდა-პერთი) მაგისტრალები. სარკინიგზო ტრანსპორტით ძირითადად მადანი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გადაიტანება.

სწარაფი ტემპით ვითარდება საავტომობილო ტრანსპორტი, როგორც მგზავრთბრუნვის, ისე ტვირთბრუნვის მიმართულებით. გზების საერთო სიგრძე 873,5 ათასი კმ-ია (145 ათასი კმ, ანუ 16,6% მყარსაფარიანია). თანდათანობით იზრდება ავტოპარკის რაოდენობა, ხოლო ყოველ ათას კაცზე 717 ავტომობილი მოდის (მე-6 ადგილი, 2014 წ.).

ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებასთან ერთად იზრდება მილსადენი ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა. მილსადენი ხაზების საერთო სიგრძე 34722 კმ-ია (გაზსადენი 30931 კმ, ნავთობსადენი 3791 კმ). ქვეყნის გაზიფიკაციის დონე საკმაოდ მაღალია.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების დამყარებაში მნიშვნელოვან როლს საზღვაო ტრანსპორტი ასრულებს. საზღვაო ფლოტი არცთუ ისე დიდია და 549 გემს (გენერალური ტვირთები - 83, ნავთობტანკერი - 10, მშრალი ტვირთმზიდები - 4, დანარჩენი - 452) აერთიანებს. საერთაშორისო გადაზიდვების დიდი ნაწილი უცხოურ კომპანიებზე მოდის. მსხვილი პორტებია: მელბურნი (26,5 მლნ ტ, 2 მლნ კონტეინერი, სამხრეთ ნახევარსფეროში ყველაზე დიდი), სიდნეი (21,8 მლნ ტ), ადელაიდა, ბრისბენი, პერთი და სხვ. შიდაწყლის ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული. გზების საერთო სიგრზე 2000 კმ-ია, რომელიც უფრო მეტად რეკრეაციული მიზნებით გამოიყენება.

საერთაშორისო მგზავრთბრუნვასა და ტურიზმის განვითარებაში საჰაერო ტრანსპორტის როლი უდიდესია. ქვეყანაში 448 აეროპორტია, რომელთა შორის უდიდესია: სიდნეი (39,7 მლნ), მელბურნი (32,3 მლნ), ბრისბენი (21,5 მლნ), პერთი (11,5 მლნ) და სხვ.

ელექტრო ტრანსპორტის განვითარების პრიორიტეტები თანდათანობით იზრდება, რომელიც სხადასხვა სახით წარმოდგენილია ქვეყნის ყველა რეგიონში. მეტროპოლიტენები ფუნქციონირებს მხოლოდ სიდნეიში და მელბურნში.

საგარეო ეკონომიკური კავშირები

ავსტრალიის საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია, მიუხედავად გარე სამყაროდან მისი განცალკევებული მდებარეობისა, საკმაოდ ფართოა. ვაჭრობს მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანასთან და საერთო მაჩვენებლების მიხედვით, მსოფლიოს პირველ ოცეულშია. ვაჭრობის ბალანსი 452,6 მლრდ დოლარია (2018 წ.), მათ შორის ექსპორტზე მოდის 231,6 მლრდ დოლარი (ჩინეთი - 33,5%, იაპონია - 14,6%, კორეის რესპუბლიკა - 6,6%, ინდოეთი - 5%, პაკისტანი - 4,1%), ხოლო იმპორტზე - 221 მლრდ დოლარი (ჩინეთი - 22,9%, აშშ - 10,8%, იაპონია - 7,4%, ტაილანდი - 5,1%, გერმანია - 4,9%, კორეის რესპუბლიკა - 4,6%). გააჩნია ვაჭრობის დადებითი სალდო და 10 მლრდ დოლარს შეადგენს. ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა: მინერალური რესურსი (რკინის მადანი, ბოქსიტი, სპილენძი, ქვანახშირი), შავი და ფერადი ლითონი, ხორბალი, მატყლი, ხორცი და სხვ. იმპორტის გზით შედის ნავთობი, მანქანა-მოწყობილობები, მედიკამენტები, მერქანი და სხვ.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას კაპიტალის გატანა წარმოადგენს. უცხოური ინვესტიციების კაპიტალდაბანდება 700,6 მლრდ დოლარს შეადგენს. ამასთან, ქვეყნის კაპიტალი პირდაპირი ინვენსტიციების სახით ჩადებულია სხვა ქვეყნებშიც (509,7 მლრდ დოლარი). ასევე ჩართულია საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობაში, საერთაშორისო ტურიზმსა და შრომითი რესურსების გაცვლაში.

შიდარეგიონული სხვაობები

ავსტრალია ბუნებრივი პირობებისა და რესურსების, ისტორიული წარსულის, განსახლების ხასიათისა და მეურნეობრივი განვითარების თავისებურებები გამო, ოთხ განსხვავებულ რაიონად იყოფა.

1. სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი - შედის ახალი სამხრეთი უელსის და ვიქტორიის შტატები, აგრეთვე, მათთან მომიჯნავე სამხრეთ ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. უჭირავს ქვეყნის საერთო ფართობის 20%, სა-

დაც ცხოვრობს მოსახლეობის 70%-ზე მეტი. მინერალური რესურსებით შედარებით ღარიბია, მაგრამ მაღალ დონეზეა განვითარებული დამუშავებითი მრეწველობის ყველა დარგი. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია ხორბლის და ხეხილის მოყვანა. რაიონში მდებარეობს ქვეყნის უმთავრესი საქალაქო დასახლებები - სიდნეი, მელბურნი, ადელაიდა და დედაქალაქი კანბერა.

2. ჩრდილო-დასავლეთი რაიონი - შედის ქვისილენდის შტატი. მდიდარია მინერალური რესურსებით, რის ბაზაზეც ეკონომიკური განვითარების დონით მეორე ადგილზეა. მრეწველობიდან კარგადაა განვითარებული სამთო-მოპოვებითი, ფერადი მეტალურგია, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და კვების. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენება (1/2 ნაწილი) და სპეციალიზდება სიმინდის, თამბაქოს და ტროპიკული ხილის მოყვანაზე. მნიშვნელოვანი ცენტრი ერთადერთი უდიდესი ქალაქი ბრისბენია.

3. სამხრეთ-დასავლეთი რაიონი - შედის სამხრეთის და დასავლეთი ავსტრალიის შტატები, აგრეთვე, ჩრდილოეთის ტერიტორია. უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1/2 ნაწილი, სადაც ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 10%. მდიდარია მინერალური რესურსებით, განსაკუთრებით, ოქროს, რკინის მადნითა და მარგანეცით. მრეწველობიდან განვითარებულია სამთო-მოპოვებითი, ქიმიური, კვების და სხვ. სოფლის მეურნეობიდან წამყვანია მეცხვარეობა, ხორბლის მოყვანა და მეხილეობა. მთავარი ცენტრია - პერთი.

4. ტასმანიის რაიონი - აერთიანებს კუნძულ ტასმანიას. მდიდარია მინერალური (პოლიმეტალები, სპილენძი) და წყლის რესურსებით. არსებული რესურსებიის ბაზაზე კარგადაა განვითარებულია ჰიდროენერგეტიკა, ფერადი მეტალურგია (სპილენძი, ალუმინი), მეცხვარეობა და თევზჭერა. ძირითადი ეკონომიკური ცენტრია - ჰობარტი.

ლიტერატურა

1. არდია მ., მარგველიანი გ. მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები. თბილისი, 2001.
2. გორგოშაძე მ., სამნიძე დ. იურიდიული გეოგრაფია. ბათუმი, 2008.
3. გოქსაძე გ. მოსახლეობის გეოგრაფია. თბილისი, 2008.
4. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, 2003.
5. დავითაშვილი ზ. მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია. თბილისი, 2001.
6. მაქსაკოვსკი ვ. მსოფლიოს გეოგრაფიული სურათი. თბილისი, 2002.
7. მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. ვ.ნეიძის რედაქტორობით. თბილისი, 2004.
8. ჟღენტი გ., ხარიტონაშვილი ჯ. მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. თბილისი, 1999.
9. ფუტკარაძე მ. მაღალგანვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. ბათუმი, 2009.
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I-XI. თბილისი, 1975-1987.
11. Brunt B. Western Europe: A Social and Economic Geography. 1990.
12. Knox P. The Geograhy of western Europa. Lojdon,1984.
13. Knox P., Agnew J. and Mccfrthe L.The Geography jof tht World Economy. London –New York, 2014.
15. King R.The Industrial Geography of Italy. London and New York,2015.
16. Saxena H. Indian and world Geography: Physical, Social and Economic. Deli, 2016.
17. Wallace I. A Geography of the Canadian Economy Paperback. Oxford University Press, 2001.
18. Алисов Н.В., Хорев Б. С. Экономическая и социаьная география мира. Москва, 2001.
19. Альфа и омега. Краткии спровочник. Таллин, 1990.
20. География мира в 3 т. Том 3. Регионы и страны мира: учебник и практикум для бакалавриата и магистратуры. Под редакцией Н.В. Каледина, Н.М. Мехеевой. Москва, 2018.
21. География мира. Том 3. Под редакцией Н.В.Каледина, Н.М. Михеево.Москва, 2017.
22. География Туризма. Под Редакцией проф. А.Ю. Александровой. Москва, 2009.
23. Ломакин В.К. Мировая Экономика. Москва, 2019.
24. Родионова И.А. Экономическая и социалъная география мира. Частъ I география. Изд.2-е.Москва, 2018.
25. Степанюга Н.А., Андриевская З.Я. Социально-Экономическая география зарубежных стран. Москва, 2008.
26. Экономическая география капиталистических и развивающихся стран. Изд. 2-е. Под Редакцией проф.В.В. Волского. Москва, 1986.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვებ - გვერდები:
1. CIA World Factbook. 2018. www.cia.gov
2. www. worldbank.org
3. www. wikupedia.ru
4. www. uis.unesco.org
5. www. un.org
6. www. krugosvet.ru
7. www. economict.com
8. www.esa.un.org
9. www. ru.wikupedia.org
10. www. ka.wikipedia.org
11. www.unwto.org

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა	7
1.1. პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები	7
1.2. თანამედროვე პოლიტიკური რუკა	13
1.3. ქვეყნების დაჯგუფება და ტიპოლოგია	41
1.4. სახელმწიფოთა საზღვრები და ტერიტორიული შემადგენლობა	44
1.4. მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გაერთიანებები	45
თავი 2. ევროპა	55
2.1. ევროპის ზოგადი დახასიათება	55
2.1.1. რუსეთი	69
2.1.2. გერმანია	97
2.1.3. საფრანგეთი	115
2.1.4. დიდი ბრიტანეთი	133
2.1.5. იტალია	153
2.1.6. უკრაინა	168
2.1.7. აზერბაიჯანი	184
2.1.8. სომხეთი	197
თავი 3. აზია	209
3.1. აზიის ზოგადი დახასიათება	209
3.1.1 ჩინეთი	225
3.1.2 იაპონია	245
3.1.3. ინდოეთი	264
3.1.4. თურქეთი	278
3.1.5. ირანი	293
თავი 4. აფრიკა	309
4.1. აფრიკის ზოგადი დახასიათება	309
4.1.1. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	316
თავი 5. ჩრდილო ამერიკა	327
5.1. ჩრდილო ამერიკის ზოგადი დახასიათება	327
5.1.1. ამერიკის შეერთებული შტატები	328
5.1.2. კანადა	363
თავი 6. ლათინური ამერიკა	377
6.1. ლათინური ამერიკის ზოგადი დახასიათება	377
6.1.1. ბრაზილია	390
თავი 7. ავსტრალია და ოკეანეთი	402
7.1. ავსტრალია და ოკეანეთის ზოგადი დახასიათება	402
7.1.1. ავსტრალია	406
ლიტერატურა	418

მერაბ ფუტკარაძე - გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი. 1985 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1988-1991 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1992 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულებით. 1992 წლიდან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამი მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო. კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის გეოგრაფიის, ტურიზმისა და საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიის საკითხების შესწავლა.